ვ. ონიანი

დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907)

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი 1958

წინასიტყვაობა

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია უდიდესი მოვლენაა ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიო მშრომელი მასების ცხოვრებაში, მას სამართლიანად უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. 1905 — 1907 წწ. რევოლუციის ძირითადი ამოცანა იყო თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. მიუხედავად დამარცხებისა, 1905 წლის რევოლუციამ მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და დემოკრატიული ინტელიგენცია შეაიარაღა უდიდესი გამოცდილებით, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში. „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“ (ვ. ი. ლენინი).

ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა 1905 წლის რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას. იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილება და მისი ისტორიის გაცნობა მოწოდებულია განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ხალხებში რევოლუციური ტრადიციები. „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ,—წერდა ვ. ი. ლენინი. — და ჩვენს გარდა არავინ იზრუნებს, — იმაზე, რათა ხალხი იცნობდეს ამ სიცოცხლით სავსე, შინაარსით მდიდარ და თავისი მნიშვნელობით და შედეგებით დიად დღეებს...“[1].

1905 — 1907 წწ. რევოლუცია რუსეთში იყო პირველი სახალხო რევოლუცია იმპერიალისტურ ეპოქაში. ამ რევოლუციის თავისე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 33.

ბურება გამოიხატებოდა იმით, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადის როლში პირველად გამოვიდა პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო თანმიმდევრული და მოწინავე რევოლუციური კლასი. პროლეტარიატის ძირითადი მოკავშირე იყო რევოლუციური გლეხობა. დემოკრატიული ძალების განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა ახალი ტიპის პარტია ბოლშევიკებისა.

1905 — 1907 წწ. რევოლუციის საარქივო დოკუმენტალური მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ რუსეთის პროლეტარიატისა და მისი მოკავშირე რევოლუციური გლეხობის განმათავისუფლებელ, რევოლუციურ ბრძოლას მხარს უჭერდა და ზოგჯერ აქტიურად ეხმარებოდა კიდეც რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის კვლევის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ რევოლუციაში დემოკრატიული ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის ისტორიის შესწავლა.

წინამდებარე ნაშრომი — „დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905 — 1907 წწ.)“ დაწერილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო არქივების მასალების, აგრეთვე ბოლშევიკური ლეგალური და არალეგალური პრესის მიხედვით. წიგნი წარმოადგენს 1905 წლის რევოლუციაში დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობის მოკლე ნარკვევს.

წინამდებარე ნაშრომი ავტორის მოკრძალებული ცდაა 1905 — 1907 წწ.-ის რევოლუციაში რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობის საკითხის გაშუქების საქმეში; იგი, ცხადია, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან. წიგნის დაწერის (1955 წ.) შემდეგ ავტორის მიერ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში ამ თემაზე ჩატარებულმა კვლევითმა მუშაობამ, იქ გამოვლინებულმა მდიდარმა დოკუმენტებმა, ნათელყო, რომ მთელი რიგი საკითხები აღებული თემიდან არასაკმაოდ არის გაშუქებული, და რომ ცალკეული საკითხების სრულყოფილი გაშუქება შემდგომ მუშაობას მოითხოვს. ამიტომ ავტორი დიდი მადლობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას წიგნში განხილულ საკითხებზე.

ავტორი

თ ა ვ ი I

დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში

(1901 — 1904 წწ.)

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს ევროპაში დაწყებული სამრეწველო კრიზისი რუსეთსაც მოედო. კრიზისმა უკიდურესად გაამწვავა რუსეთში არსებული ყველა წინააღმდეგობა. მუშების ბრძოლა რევოლუციურ და ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა. ეკონომიური გაფიცვებიდან მუშებმა პოლიტიკურ გაფიცვაზე იწყეს გადასვლა. მუშები იწყებენ ქუჩის დემონსტრაციებს და პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებას, გამოდიან საბრძოლო ლოზუნგით: „ძირს მეფის თვითმპყრობელობა“.

როგორც ცნობილია, რუსეთის სახელოვანი მუშების მიერ პოლიტიკური ბრძოლის დაწყების პირველი მერცხალი იყო 1901 წელს პეტერბურგის ობუხოვის სამხედრო ქარხანაში მომხდარი გმირული გაფიცვა, რომელიც მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც „ობუხოვის თავდაცვა“. რუსეთის მუშათა კლასის ისტორიაში ეს იყო პირველი საბარიკადო ბრძოლა. „ობუხოვის მოგერიებამ“ დიდი გავლენა მოახდინა მთელი ქვეყნის მუშებზე. მისი გავლენით პოლიტიკური დემონსტრაციები და გაფიცვები მოედო მთელ რუსეთს. რუსეთის მუშათა პოლიტიკური ბრძოლის შემდგომი გაფართოებისა და გაძლიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე 1902 წლის მარტში მომხდარმა ბათუმის მუშების დიდმა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა, რომლებიც მოაწყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, და როსტოვის 1902 წლის ნოემბრის ცნობილმა გაფიცვამ.

ამ მოძრაობის გავლენით გაფიცვებმა რუსეთში კიდევ უფრო დიდი მასშტაბი მიიღო 1903 წელს. ამ წელს გაფიცვები სულ უფრო და უფრო ორგანიზებული ხდებოდა იმიტომ, რომ მუშების პოლი-

ტიკურ ბრძოლას თითქმის ყველგან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ.

მუშათა მძლავრი რევოლუციური მოძრაობის განვითარებას გავლენით იწყება და ფართოვდება გლეხთა მოძრაობა ჯერ კიდევ 900-იანი წლებიდან. გლეხთა მღელვარება განსაკუთრებით ძლიერდება 1902 წლიდან. ცენტრალურ რუსეთში გლეხთა მოძრაობა მოედო სარატოვის, ვორონეჟის, ტამბოვისა და ტულის გუბერნიებს, უკრაინასა და ვოლგისპირეთს. აჯანყებული გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლკარს, ხელთ იგდებდნენ მათ მიწებს, ხოცავდნენ მათთვის საძულველ საერობო უფროსებსა და მემამულეებს. გლეხთა აჯანყებებს ყველგან აქრობდნენ სამხედრო ძალებით, გლეხებს ტყვიებს უშენდნენ. მათ ასობითა და ათასობით აპატიმრებდნენ, გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს საპყრობილეში ჰყრიდნენ და კატორღაში გზავნიდნენ. მარტო პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში სასამართლოზე იყო გადაცემული 1100-ზე მეტი გლეხი. მიუხედავად ამ სასტიკი რეპრესიებისა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა კვლავ იზრდებოდა.

მართალია, გლეხთა ეს მოძრაობა ატარებდა სტიქიურ ხასიათს, რის გამოც იგი დამარცხდა, მაგრამ გლეხთა მასობრივ გამოსვლებს რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის რევოლუციური დროშის ქვეშ გლეხობის დარაზმვისა და რევოლუციური ძალების შემდგომი მობილიზაციისათვის.

განსაზღვრავდა რა 1905 წლის რევოლუციის წინა ხანებში პროლეტარიატის როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადის და როგორც საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ავანგარდის მსოფლიო ისტორიულ ამოცანას, ლენინი 1902 წელს წერდა: „ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია რომელიც გნებავთ სსკა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე... აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“[1].

მუშებისა და გლეხების ეს მრავალრიცხოვანი რევოლუციური

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 465.

გამოსვლები იმას მოწმობდა, რომ რუსეთში მოახლოებული იყო ძლავრი სახალხო რევოლუცია.

რუსეთში რევოლუციურმა აღმავლობამ მოძრაობაში მოიყვანა დემოკრატიული ინტელიგენციაც; ამ პერიოდში მუშების რევოლუციური ბრძოლის გავლენით გაძლიერდა მოსწავლე ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სტუდენტების გამოსვლები, ადგილი ჰქონდა სტუდენტთა მრავალ დემონსტრაციასა და გაფიცვებს. თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა მათ წინააღმდეგ. მეფის მთავრობამ სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლების პასუხად დახურა უმაღლესი სასწავლებლები, საპყრობილეებში ჩაყარა ასობით და ათასობით სტუდენტი და ჯარისკაცებად მათი გაგზავნა გადასწყვიტა. მთავრობის ამ მოქმედების პასუხად ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში 1901 — 1902 წლის ზამთარში სტუდენტთა საყოველთაო გაფიცვა მოხდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 ათასამდე კაცმა.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში ინტელიგენციის რიცხვი შედარებით მცირე იყო[1], მაგრამ სათანადო პოლიტი-

---

[1] რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით რუსეთის ინტელიგენციის რიცხობრივი და პროფესიული შემადგენლობა ასეთი იყო:

მასწავლებლები	155. 520
მედიცინის მუშაკები	58.200
ნებით დაქირავებული მოსამსახურეები საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებებში	46. 300
ადმინისტრაციული და სასამართლო უწყების კანცელარიათა მოსამსახურეები	44. 481
ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები	40.931
რკინიგზის მოსამსახურეები	23. 184
ბანკებისა და დაზღვევის დაწესებულებათა მოსამსახურეები	17.093
მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები	18. 250
ადვოკატები და ნოტარიუსები	8.931
ინჟინრები და ტექნოლოგები	4. 010
მეცნიერები და ლიტერატორები	3.296
სულ	420. 196

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ იმდროინდელი ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს შეადგენდა მასწავლებლობა, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილს — ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენა (იხ. „რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, 1897 წ.," ტ. II, 1901, გვ. 256 — 284).

რაც შეეხება მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობას, მეფის მთავრობის

კურ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობა და ინტელიგენციის დემოკრატიული ნაწილის მიმხრობა რუსეთის რევოლუციური ძალების ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენდა.

რევოლუციური აღმავლობის დროს რუსი მარქსისტები ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ პროლეტარიატის რევოლუციური დროშის ქვეშ მშრომელი მასების დარაზმვის საქმეს, მათში პოლიტიკური განათლების შეტანას. ლენინმა და ლენინელებმა პროლეტარიატს მიზნად დაუსახეს თავის გარშემო შემოეკრიბა მოსახლეობის ფართო ფენები, სახალხო ინტელიგენციის რაც შეიძლება მეტი ძალები, რათა რევოლუციის გადამწყვეტ მომენტში აემხედრებინა ისინი საერთოსახალხო აჯანყების მოსაწყობად თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ, მეფის ტახტის დასამხობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.

რევოლუციური აღმავლობის დაწყებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მიუთითებდა, რომ რევოლუცია უნდა გახდეს საერთოსახალხო, ე. ი. რევოლუციურ მოძრაობაში უნდა ჩაბმულიყო არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ მოსახლეობის რევოლუციურად განწყობილი ყველა ფენა, უწინარეს ყოვლისა სახალხო ინტელიგენცია და პროგრესულად განწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობა.

რევოლუციური აღმავლობის დაწყების პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ინტელიგენციასთან მუშათა კლასისა და მისი პარტიის დამოკიდებულების საკითხს. ლენინი სასტიკად გმობდა იმ ოპორტუნისტულ პარტიებსა და მიმდინარეობებს, რომლებიც მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებისადმი. აკრიტიკებდა რა „ეკონომისტების“ მტრულ დამოკიდებულებას ინტელიგენციისადმი, ვ. ი. ლენინი წერდა: „შეგნებული მუშა უკვე დიდი ხანია გამოვიდა იმ არტახებიდან, როდესაც იგი ერიდებოდა ინტელიგენტს, როგორც ასეთს. შეგნებული მუშა აფასებს ცოდნის იმ უფრო მდიდარ მარაგს, იმ უფრო ფართო პოლიტიკურ ჰორიზ-

---

ოფიციოზის — შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული „ეკეგოდნიკ როსიის“ 1910 წლის მონაცემების თანახმად, რუსეთის იმპერიის მოსწავლეთა საერთო რიცხვი ყველა სახის დაბალ, საშუალო და უმაღლეს სკოლასა და სასწავლებელში 1904 წელს 6.200.172 კაცს შეადგენდა.

ზონტს, რომელსაც ის პოულობს სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტებში"[1].

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მუშათა კლასის პარტიას ებრძოლა, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ პროლეტარიატს წარმოეშვა თავისი საკუთარი ინტელიგენცია, და, მეორე მხრივ, ყველაფერი გაეკეთებინა რადიკალური ინტელიგენციის თავის ჰხარეზე გადმოსაყვანად.

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად დაიწყეს მოქმედება მუშათა ინტელიგენციის შესაქმნელად, პროლეტარული პრესის მოსაწყობად. თუ რა სერიოზული ღონისძიებანი ტარდებოდა ამ მიმართულებით, ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა. პოლკოვნიკ დებილის 1901 წლის 2 დეკემბრის საიდუმლო მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტის სახელზე აღნიშნულია, რომ 1901 წლის 25 ნოემბერს ავლაბარში ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე მიმდინარეობდა საიდუმლო ცენტრალური კომიტეტის (თბილისის კომიტეტი. — ვ. ო.) სხდომა, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები:

1) საიდუმლო სტამბის მოწყობის შესახებ; 2) თავისი არალეგალური ნაწარმოებების შექმნის შესახებ (ამ საკითხზე დაადგინა გამოცემულ იქნას მფრინავი ფურცლები და ბროშურები); 3) მოწინავე მუშების განცხადების განხილვა არალეგალური ლიტერატურის ნაკლოვანებათა შესახებ; 4) ინტელიგენციის ნაკლებობის შესახებ და მუშათა ინტელიგენციის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კრების თავმჯდომარემ ინტელიგენტმა ვასომ კომიტეტს მოახსენა, რომ იმ დიდი დაპატიმრებების გამო, რომელიც მთავრობამ მოახდინა, მუშათა ინტელიგენცია ძალიან ცოტა დარჩა, რომ საკუთარი ინტელიგენციის ასეთი სიმცირის გამო კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა ხარკოვის კომიტეტს. მაგრამ ხარკოვის კომიტეტმა უპასუხა, რომ საიმედო ინტელიგენტების გამოგზავნა შეუძლებელია, ვინაიდან ყოველი ინტელიგენტი, რომლის გამოგზავნაც შეიძლება, იმყოფება პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. გამოგზავნილ ამხანაგს თან გამოყვება ჯაშუში და საქმე გაფუჭდებაო. საქმის ასეთი ვითარების გამო კომიტეტი და თბილისის მუშათა ინტელიგენცია შეუდგნენ ადგილობრივი საშუალო სასწავლებლების უფროსი კლასების მოწაფეების მომზადებას. მაგრამ ამ ღონისძიებათა გარდა კომიტეტი აუცილებლად თვლის მიიღოს სხვა ზომებიც, სახელდობრ შექმნას მუშათა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 491.

ინტელიგენცია. ამ ამოცანის შესრულების მიზნით მოწინავე მუშებთან მოეწყოს 3 — 4 თვიანი მეცადინეობა[1].

ჟანდარმერიის იმავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აგენტურის მიერ მოწოდებული საიდუმლო ცნობების თანახმად, გარდა ზემოთ დასახელებული თბილისის ადგილობრივი ინტელიგენციის წრისა, რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა მეორე ასეთივე წრე თბილისის გარეთ, რომელიც მუშაობს ქართულ რევოლუციურ გაზეთ „ბრძოლის" გამოცემაზეო.

აკრიტიკებდა რა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების დებულებებს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებდნენ ინტელიგენციას და მშრომელ მასებს, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მასების პოლიტიკური აღზრდა და მათი ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა შეუძლებელია მუშათა ინტელიგენციის დახმარების გარეშე. თავის განთქმულ შრომაში „რა ვაკეთოთ?" ლენინი აღნიშნავდა, რომ მასები „...ვერასოდეს ვერ ისწავლიან პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას, ვიდრე არ შევუწყობთ ხელს ამ ბრძოლის ხელმძღვანელთა აღზრდას როგორც ინტელიგენტი მუშებიდან, ისე თვით ინტელიგენტებიდან..."[2].

ლიბერალური ბურჟუაზიის, ესერების, „ეკონომისტებისა" და მენშევიკების ოპორტუნისტული პარტიების რევოლუციური მოძრაობიდან იზოლაციისა და მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ლენინი და ლენინელები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არალეგალურ რევოლუციურ გაზეთებს. ვ. ი. ლენინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1900 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ გამოვიდა გაზეთ „ისკრის" პირველი ნომერი. განსაზღვრავდა რა საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის როლს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ასეთი გაზეთის გარეშე შეუძლებელია პრინციპულად გამართული და ყოველმხრივი პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევა.

ლენინურმა გაზეთმა „ისკრამ" უდიდესი როლი შეასრულა 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში სოციალისტური შეგნების გაბომუშავების საქმეში. „ისკრა" განუხრელად იბრძოდა მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური შეგნების შესაერთებლად, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის პოლიტიკური შეგნების გაძლიერებისათვის. რევოლუციური აღმავლობის დროს ამიერკავ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქმე № 22, ფურ. 250.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 637.

კასიის მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის საქმეში დიდი როლი შეასრულეს აგრეთვე ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთებმა „ბრძოლამ“ და „პროლეტარიატის ბრძოლამ“.

1901 წლის სექტემბერში ლადო კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მუშებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პოლიტიკური აღზრდის საქმეში, ლენინურ-ისკრული მიმართულების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბოლშევიკური კადრების გამოზრდაში. გაზეთ „ბრძოლის“ ამოცანა განსაზღვრა ი. ბ. სტალინმა ამ გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში — „რედაქციისაგან“, სადაც იგი წერდა: „...ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყოველ კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა.

გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია“[1].

ამრიგად, რევოლუციურ პრესას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა მუშების, გლეხებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის პოლიტიკური განათლების ამაღლებისა და მათი ერთ საერთო მებრძოლ ძალად შემჭიდროების საქმეში. ამ ამოცანას ახორციელებდნენ მთელი თავისი ძალითა და შესაძლებლობით გაზეთი „ისკრა“ და პირველი არალეგალური ქართული სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც თანამიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ლენინურ იდეებს.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მეცნიერების, ლიტერატორების, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების მისაზიდად რევოლუციური პრესის შემოქმედებით საქმიანობაში. სოციალ-დემოკრატიული გაზეთები უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო თეორიულ და პარტიულ-პოლიტიკურ სტატიებთან ერთად ბეჭდავდნენ რევოლუციური შინაარსის მხატვრულ წერილებს, ლექსებსა და სიმღერების ტექსტებს.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 9.

გაზეთ „ბრძოლის“ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და მის დასახმარებლად ი. ბ. სტალინმა მოუწოდა ყველა პროგრესულ ადამიანს. ამ გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში ი. ბ. სტალინი წერდა: „ვისაც ეკნება სურვილი ლიტერატურით დახმარებისა, ის, უეჭველია, იპოვის საშუალებასაც იქონიოს კავშირი „ბრძოლის“ რედაქციასთან პირდაპირ თუ სხვისი მეშვეობით.

მოვუწოდებთ ყველა ქართველ მებრძოლ სოციალ-დემოკრატებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა „ბრძოლის“ ბედიღბალში, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება მის გამოცემა-გავრცელებას და ამით პირველი თავისუფალი ქართული გაზეთი „ბრძოლა“ გახადონ რევოლუციური ბრძოლის იარაღად“ [1].

ეს მოწოდება გულში ჩასწვდა დემოკრატიული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებიც ქართულ ენაზე პირველი სოციალ-დემოკრატიული გაზეთის გამოცემას დიდი სიხარულით და კმაყოფილებით შეხვდნენ. ბევრმა მათგანმა მოისურვა გაზეთში მონაწილეობის მიღება და გაზეთის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა.

3. ი. ლენინი და ლენინური გაზეთი „ისკრა“ უაღრესად დიდად აფასებდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას. 1901 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავთან დაკავშირებით „ისკრა“ წერდა: „...ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ ასი წლის თავი აღნიშნა იმით, რომ გამოსცა პირველი რევოლუციური ქართული გამოცემა „ბრძოლის“ სახელწოდებით[2].

„ისკრის“ რედაქცია აღფრთოვანებული იყო გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პრინციპული სტატიებით. „ისკრა“ სისტემატურად აშუქებდა თავის ფურცლებზე ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობას, მუშათა რევოლუციურ საქმიანობას და მნიშვნელოვან ამბებს. „ისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 80 სტატია და კორესპონდენცია, რომლებიც მიძღვნილია ამიერკავკასიასა და საქართველოში გაშლილი რევოლუციური ბრძოლისადმი. გაზეთის რედაქციამ 1902 წელს მაუნხენში გამოსცა ბროშურა „მუშათა მოძრაობიდან თბილისში“.

გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემის წინ რსდმპ თბილისის ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ჯგუფმა მოაწყო არალეგალური ფურცლე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 10.
გაზ. „ისკრა“, 1901, № 13.

ბისა და პროკლამაციების მასობრივი ბეჭდვა. 1901 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გამოშვებულ იქნა 16 პროკლამაცია 19 800 ეგზემპლარის რაოდენობით ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ადგილობრივი ხელმძღვანელი ჯგუფის ამ მუშაობას გაზეთი „ისკრა“ აფასებდა როგორც მუშებში გატარებულ დიდი მნიშვნელობის პროპაგანდას, რომ ამ პროკლამაციებმა დიდი მაორგანიზებელი და გამარეოლუციონერებელი გავლენა მოახდინეს არა მარტო მუშათა მასებზე, არამედ დემოკრატიულ ინტელიგენციაზედაც. ამასთან დაკავშირებით „ისკრა“ წერდა: „...ხალხი და თვით ინტელიგენციაც კი, განსაკუთრებული კმაყოფილებით კითხულობდა კომიტეტის ირალეგარულ გამოცემებს და ნის პროკლამაციებს...“[1].

ა. წულუკიძის, მ. ცხაკაიას, ს. შაუმიანის, მ. დავითაშვილისა და სხვ. ინიციატივით 1903 წლის მარტში მოწვეული კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით გაზეთი „ბრძოლა“ და სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პროლეტარიატი“ გაერთიანებულ იქნა ერთ საერთო ირალეგარულ ორგანოდ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით, რომელმაც 1903 წლის აპრილიდან გამოსვლა იწყო ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

„პროლეტარიატის ბრძოლამ“ განაგრძო გაზეთ „ბრძოლის“ მიერ გაჩაღებული რევოლუციური პროპაგანდა და სასტიკი ომი გააჩაღა ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ მიმართულებათა წინააღმდეგ. „პროლეტარიატის ბრძოლამ“ დიდი როლი შეასრულა როგორც 1905 წლის რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის პერიოდში.

რუსეთის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ლენინის მეთაურობით რევოლუციური მარქსისტების მიერ დემოკრატიული ინტელიგენციის მოსამზრობად გაჩაღებული ბრძოლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკების მიერ ლიბერალური ბურჟუაზიის, ოპორტუნისტული პარტიების, ესერების, ეკონომისტებისა და მენშევიკების წინააღმდეგ ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხში ჩატარებულმა ბრძოლამ. ქართველმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა ი. ბ. სტალინის, ა. წულუკიძისა და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით მწვავე ბრძოლა გააჩაღეს ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა, და აგრეთვე ქართველი ფედერალისტების, ნაროდნიკების

---

[1] გაზ. „ისკრა“, 1902, № 19.

და სხვა ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ, რომელთა იდეური ხელმძღვანელი ამ საკითხში იყო ა. ჯორჯაძე.

ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ბელადმა ნოე ჟორდანიამ ინტელიგენცია ხალხს დაუპირისპირა და მოუწოდა მას ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. თავის სტატიაში „რა არის პარტია“ ნოე ჟორდანია იცავდა იმ აზრს, რომ ინტელიგენციის ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, მუშათა კლასის ინტერესებს, რომ მუშათა კლასთან ინტელიგენციის დაკავშირება უაღრესად საშიშ მოვლენას წარმოადგენს.

ნოე ჟორდანიას ანტიმარქსისტული შეხედულება, რაც მან აღნიშნულ სტატიაში გამოთქვა, სასტიკად გააკრიტიკა ცნობილმა ლენინელმა ალ. წულუკიძემ თავის განთქმულ სტატიაში „პაწია შენიშვნა ღიდ კითხვაზე“. ამ სტატიაში წულუკიძემ ქვა ქვაზე არ დატოვა ნ. ჟორდანიას შეხედულებებიდან ინტელიგენციის საკითხში.

ა. წულუკიძე იცავდა მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებას, რომ პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის, მისი იდეოლოგიის ფართო პროპაგანდა და პოპულარიზაცია მასებში უნდა აწარმოოს პროგრესულმა ინტელიგენციამ. ინტელიგენცია „...თეორიულად გამოხატავს პრაქტიკულ ცხოვრების საჭიროებებს და მისდა შესაფერად მკაფიოდ გარკვეულ, მეცნიერულად შემუშავებულ პროგრამას ადგენს და ამ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად პრაქტიკულ მოღვაწეებთან ერთად სამოქმედო წესებს იმუშავებს. ამ გარკვეული პროგრამით და სამოქმედო წესებით იგი მოღვაწეობას ეწევა“ [1]

როგორც ცნობილია, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში დიდი დავა გაჩაღდა მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის საკითხის გარშემო. ცნობილია, რომ „ეკონომისტები“, ესერები და მენშევიკები უარყოფდნენ მუშათა მოძრაობაში რევოლუციური თეორიის შეტანის საჭიროებას, წინააღმდეგი იყვნენ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანისა, ისინი „ამტკიცებდნენ, რომ მუშათა მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლი, სოციალისტური შეგნების, სოციალისტური თეორიის მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი უმნიშვნელოა, ან თითქმის უმნიშვნელოა, რომ სოციალ-დემოკრატიამ არ უნდა აიყვანოს მუშები სოციალისტური შეგნების დონემდე. არამედ, პირიქით თვითონ უნდა ეგუებოდეს და ეშვებოდეს

---

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზ., გვ. 239.

მუშათა კლასის საშუალო და თვით ყველაზე ჩამორჩენილი ფენების დონემდეც კი"[1].

თავის გენიალურ შრომაში „რა ვაკეთოთ?" ვ. ი. ლენინმა განაცხადა „ეკონომისტების" იდეური განადგურება, რომლებიც ქედს იხრიდნენ მუშათა სტიქიური მოძრაობის წინაშე და ამცირებდნენ სოციალისტური შეგნების როლს პროლეტარიატის რევოლუციურად აღზრდის საქმეში. ლენინმა ბრწყინვალედ დაიცვა და განავითარა მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის რევოლუციური პარტია თავის თავში განასახიერებს მუშათა მოძრაობის შეერთებას სოციალისტურ შეგნებასთან, და უჩვენა, რომ მუშათა კლასისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ რევოლუციურ თეორიას.

ვ. ი. ლენინმა ასევე ბრწყინვალედ დაიცვა და განავითარა მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება უნდა მოხდეს მოწინავე ინტელიგენციის საშუალებით. „ყველა ქვეყნის ისტორია მოწმობს,— წერდა ლენინი,— რომ მუშათა კლასს მარტოოდენ თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედ-უნიონისტური შეგნება, ე. ი. რწმენა იმისა, რომ აუცილებლად საჭიროა გაერთიანდნენ კავშირებში, აწარმოონ ბრძოლა მეპატრონეებთან, მოითხოვონ მთავრობისაგან მუშებისათვის საჭირო ამა თუ იმ კანონების გამოცემა და სხვ. ხოლო სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა იმ ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიური თეორიებიდან, რომელთაც ამუშავებდნენ მდიდარი კლასების განათლებული წარმომადგენლები, ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი, მარქსი და ენგელსი, თვითონაც, თავიანთი სოციალური მდგომარეობით, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ. სწორედ ასევე რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიის თეორიული მოძღვრება წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებლად მუშათა მოძრაობის სტიქიური ზრდისაგან, წარმოიშვა როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი რევოლუციურ-სოციალისტური ინტელიგენციის აზროვნების განვითარებისა"[2].

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში, როცა რუსეთის 1905 წლის რევოლუცია ახლოვდებოდა და მწიფდებოდა, მუშათა კლასის ორგანიზაციისა და აღზრდის, რევოლუციისათვის მისი მომზადების ლენინური დებუ-

---

[1] „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი", გვ. 44.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 5, გვ. 468 — 469.

ლების წინააღმდეგ გამოვიდა გ. ვ. პლეხანოვი. მან 1904 წელს გამოაქვეყნა სტატია „მუშათა კლასი და სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენცია", რომელიც მიმართული იყო ვ. ი. ლენინის შრომაში — „რა ვაკეთოთ?" — გამოთქმული ძირითადი დებულებების წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანის საკითხში პლეხანოვისა და ქართველი მენშევიკების ლიდერის ნოე ჟორდანიას ანტიმარქსისტული და ოპორტუნისტული შეხედულებანი მკაცრად გააკრიტიკა ი. ბ. სტალინმა თავის „წერილებში ქუთაისიდან". იგი წერდა: „წაიკითხე აგრეთვე პლეხანოვის სტატიები, რომლებშიც იგი არჩევს წიგნს „რა ვაკეთოთ?". ეს კაცი ან მთლად შეშლილა, ან მას სიძულვილი და მტრობა ალაპარაკებს. ვფიქრობ, აქ ერთიცაა და მეორეც. მე მგონია, რომ პლეხანოვი ჩამორჩა ახალ საკითხებს. მას ძველი ოპონენტები ელანდება, და ძველებურად გაიძახის: „საზოგადოებრივი შეგნება განისაზღვრება საზოგადოებრივი მდგომარეობით", „იდეები ციდან არ ცვივა". თითქოს ლენინი ამბობდეს, რომ მარქსის სოციალიზმი შესაძლებელი იქნებოდა მონობის ან ბატონყმობის დროს. ახლა გიმნაზიელებმაც კი იციან, რომ „იდეები ციდან არ ცვივა"... ახლა ჩვენ ის გვაინტერესებს, თუ როგორ მუშავდება ცალკე იდეებიდან იდეათა სისტემა (სოციალიზმის თეორია), როგორ კავშირდებიან ცალკე იდეები ერთ მწყობრ სისტემად — სოციალიზმის თეორიად, და ვინ ამუშავებს და აკავშირებს მათ"[1].

მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ცხადია, არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ მუშათა კლასი არ მიისწრაფვის მოწინავე რევოლუციური თეორიის დაუფლებისაკენ, რომ იგი პასიურად აღიქვამს მუშათა მოძრაობაში პარტიის მიერ შეტანილ თეორიას. პირიქით, მარქსიზმ-ლენინიზმი გვაჩვენებს, რომ მუშათა კლასი მიილტვის დაეუფლოს რევოლუციურ თეორიას, სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისაკენ.

ი. ბ. სტალინმა შრომებში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „პასუხი სოციალ-დემოკრატს" და სხვ. ბრწყინვალედ დაიცვა ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის მიზნის მისაღწევად აუცილებელია მეცნიერული სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, ამასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი წერდა:

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 56.

„რა არის მეცნიერული სოციალიზმი **უმუშათამოძრაობად?**— კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაეანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს.

რა არის მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოდ?**— უკომპასო გემი, რომელიც ისეც მიატანს მეორე ნაპირს, მაგრამ კომპასი რომ ჰქონდეს, უფრო ჩქარა მიადგება ნაპირს და უფრო ნაკლებ ხიფათს შეხვდება.

შეაერთეთ ორივე, და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისაკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს"[1].

რევოლუციური აღმავლობის წლებში მუშებისა და ყველა მშრომელის პოლიტიკური განათლების ამაღლებისა და რევოლუციური ძალების შემდგომი გაძლიერება-შემჭიდროების საქმეში დიდი როლი შეასრულა ლენინისა და ლენინელების მიერ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის მარქსისტული მოძღვრების დაცვამ და განვითარებამ.

როგორც რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის დროს მასების პოლიტიკური აღზრდისა და შემჭიდროების საქმეში ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყეს სერიოზული მუშაობა იმისათვის, რომ რუსეთის მუშებს ჰქონოდათ რევოლუციური მოძრაობისათვის შესაფერი რევოლუციური სიმღერები. ამ მიზნით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ერთ-ერთმა წევრმა გლებ კრჟიჟანოვსკიმ ციხეში ყოფნის დროს (1897 წელს) რუსულ ენაზე თარგმნა რამდენიმე პოლონური რევოლუციური სიმღერა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვაცლავ სვენციცკის მიერ 1883 წელს დაწერილი პოლონელ მუშათა რევოლუციური სიმღერა „ვარშავიანკა".

„ვარშავიანკას" სიმღერის ტექსტი სწრაფად გავრცელდა რუსეთის მუშებსა და რადიკალურ ინტელიგენციაში. ქართული რევოლუციური ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი ლ. ასათიანი თავის ნარკვევში —„ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან"— წერს, რომ „ვარშავიანკა" კომუნისტური პარტიის შემქმნელის ვ. ი. ლენინის საყვარელი რევოლუციური

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 98—99.

სიმღერების რიცხვს ეკუთვნოდა. არსებობს ცნობა, რომ ციმბირში გადასახლებულ ვლადიმერ ილიას-ძეს, გადასახლებულთა გუნდში, მდინარე ენისეის ნაპირებზე, არაერთხელ უმღერია „ვარშავიანკას“ ჰანგები.

„ვარშავიანკა“ ხშირად იბეჭდებოდა რუსულ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ კრებულებში და ცალკე ფურცლების სახითაც.

ი. ბ. სტალინი, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი და სხვ. ბევრს ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ქართველ მუშებსაც ჰქონოდათ რევოლუციური სიმღერები. მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დაწყების დროს ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი რევოლუციური სიმღერები — „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“. ი. ბ. სტალინმა გაზეთ „ბრძოლას“ ამოცანად დაუსახა მუშებისათვის, გლეხებისა და პროგრესული ინტელიგენციისათვის რევოლუციური სასიმღერო ლექსების შექმნა. თავის ცნობილ სტატიაში — „რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ — ი. ბ. სტალინი წერდა, რომ „საბრძოლველი სიმღერა... ააშკარავებს არსებულ წესწყობილებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს“[1]. ამ ამოცანის შესრულებას შეუდგა გაზეთი „ბრძოლა“, რომელმაც თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა მუშების გამამხნევებელი და დამრაზმავი ლექსი — „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“.

გაზეთმა „ბრძოლამ“ ქართულ ნიადაგზე გადმონერგა რუსული მუშური სიმღერები — „ვარშავიანკა“ და „მარსელიოზა“. „ვარშავიანკას“ პოლონური ტექსტის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლის“ 1901 წლის პირველ ნომერში. ამ სიმღერამ დიდი როლი შეასრულა მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდაში, რევოლუციური ძალების შემდგომი შემჭიდროების საქმეში.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა პოეტ რუჟე დე ლილის მიერ 1792 წელს შექმნილი სიმღერა „მარსელიოზას“ ტექსტის რუსულად გადმოკეთება. რუსული მარსელიოზის ტექსტი — „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“ ფრანგული მარსელიოზის ანალოგიით დაწერა ლავროვმა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში და განსაკუთრებით რევოლუციური აღმავლობის პერიოდში რევოლუციურ სიმღერებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 26.

გამოცემები. ამ გამოცემათა ფურცლებზე ძალიან ხშირად ქვეყნდებოდა რევოლუციური სიმღერები.

ქართველი მუშების ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გაზეთ „ბრძოლის“ 1902 წლის მეოთხე ნომერში „მარსელიოზის“ ტექსტის ქართული თარგმანის გამოქვეყნება. მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა მშრომელი მასების რევოლუციურად აღზრდის საქმეში.

რევოლუციური აღმავლობის წლებში მასების პოლიტიკური აღზრდისათვის საპროპაგანდო-საagიტაციო საქმიანობის დროს ბოლშევიკები სისტემატურად იყენებდნენ რევოლუციურ სიმღერებს, განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ „მარსელიოზას“. ბათუმის ცნობილი გაფიცვების გამო 1902 წელს ბათუმის ციხეში ისხდნენ ი. ბ. სტალინი და დემონსტრაციის მონაწილე სხვა აქტიური მუშები. ერთ-ერთი მოგონების ავტორი წერს, რომ 1903 წლის აპრილში, როდესაც მათ მიიღეს განკარგულება ქუთაისის ციხეში გადაყვანის შესახებ და სადგურისაკენ მიდიოდნენ, „...ამხანაგმა სტალინმა წინადადება მოგვცა გვემღერა მარსელიოზა. განთიადისას მიგვიყვანეს ქუთაისის სგგუბერნიო ციხესთან.

როდესაც ჩვენს წინ ციხის კარები გაიღო, ჩვენ ვიმღერეთ მარსელიოზა“[1].

„მარსელიოზა“ საყვარელი და პოპულარული სიმღერა გახდა, იგი ფართოდ გავრცელდა მთელ ხალხში. ამ სიმღერით გამბნევებული ადამიანები სულ უფრო მეტი რაოდენობით ებმებოდნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

„მარსელიოზამ“ და „ვარშავიანკამ“ დიდი აღმზრდელობითი და მაორგანიზებელი როლი შეასრულეს მუშებში და პროგრესულ ადამიანებში. გაზეთში დაიბეჭდა აგრეთვე რამდენიმე ორიგინალური რევოლუციური ლექსები — „ოცდაორ აპრილს“, „ამხანაგებს“, „ბრძოლა“, „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს ორგანიზებულობისაკენ თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილი ლექსი „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მწერალ-რევოლუციონერს ირ. ევდოშვილს, იწყება გაბედული მოწოდებით:

„მაღლა აღვმართოთ წითელი დროშა
და იერიშით მივიდეთ მტერზე,
ძირს მეფის ტახტი! ძირს მტარვალები!
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“

[1] იხ. ლ. ასათიანი, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან, გვ. 135.

დაიწყო თუ არა რევოლუციური აღმავლობა და ქუჩის მძლავრი დემონსტრაციები, ბოლშევიკებმა მასებში მოაწყვეს აგიტაციისა და პროპაგანდის ფართო ორგანიზაცია. არა მარტო სოციალ-დემოკრატია, ორამედ თვითმპყრობელური მთავრობაც კი დარწმუნებული იყო, რომ „...ქუჩის აგიტაცია მისი (თვითმპყრობელობის. — ვ. ო.) სასიკვდილო განაჩენია, რომ საკმარისია კიდევ 2 — 3 წელიწადი გავიდეს და მის წინ აიტუზება ხალხის რევოლუციის აჩრდილი“ [1]. მოვლენათა მსვლელობამ ჭეშმარიტად დაადასტურა ი. ბ. სტალინის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები.

ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გააჩაღეს მასებში აგიტაციისა და პროპაგანდის გასაშლელად, რევოლუციური ლიტერატურისა და პრესის გასავრცელებლად. 1904 წელს ვ. ი. ლენინის დავალებით ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა მოაწყო სპეციალური გამომცემლობა, რომელსაც უნდა გამოეცა პარტიული ლიტერატურა. ფართო მასებში პარტიული ლიტერატურის გავრცელებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები. იმასთან დაკავშირებით, რომ მენშევიკები ყოველნაირად აბრკოლებდნენ ბოლშევიკური ლიტერატურის ბეჭდვასა და გავრცელებას, რსდმპ კავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების კონფერენციამ, რომელიც 1904 წლის ნოემბერში შედგა, „უმრავლესობის ლიტერატურის შესახებ“ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღო: „კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდოს პარტიის კომიტეტებს ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის ჯგუფების ლიტერატურა იმ დანარჩენ პარტიულ ლიტერატურასთან ერთად, რომელიც არკვევს პარტიულ უთანხმოებებს“. მალე მთელი საგამომცემლო საქმიანობა გადავიდა ლენინის მიერ შექმნილ გაზეთ „ვპერიოდის“ ხელში.

მარქსისტული ლიტერატურის მასებში ფართოდ გავრცელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ბ. სტალინი. იგი თავის „წერილში ქუთაისიდან“ 1904 წელს წერდა: „ძალიან საჭიროა ბონჩ-ბრუევიჩის გამოცემები: „ბრძოლა ყრილობისათვის“, „პარტიისადმი“ (22-ის დეკლარაცია ხომ არაა?), „ჩვენი გაუგებრობანი“, „სოციალიზმის არსის შესახებ“ და „გაფიცვების შესახებ“ რიადოვოისა (თუ გამოსულია), ლენინის ბროშურა როზას და კაუცკის წინააღმდეგ, ლიეის ყრილობის ოქმები, „ნაბიჯი წინ“[2].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 28.

[2] იქვე, გვ. 55.

რევოლუციური ლიტერატურის შექმნის საჭიროების და ამ ლიტერატურის მასებში გავრცელების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა ლენინი რსდმპ II ყრილობის რეზოლუციის პროექტში პარტიული ლიტერატურის შესახებ. რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ „ყრილობას უთუოდ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შეიქმნას ფართო პოპულარული ს.-დ. ლიტერატურა მოსახლეობის ყველა ფენისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასის მასებისათვის“[1].

ამრიგად, ამიერკავკასიის მუშებისა და ყველა პროგრესული ელემენტის პოლიტიკური განათლების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მრავალრიცხოვანმა ფურცლებმა, პროკლამაციებმა და ცალკეულმა ბროშურებმა, რომლებიც იბეჭდებოდა თბილისის, ბათუმისა და ბაქოს არალეგალურ სტამბებში. გაზეთმა „ისკრამ“ მაღალი შეფასება მისცა თბილისის სოციალ-დემოკრატების ამ რევოლუციურ ლიტერატურას. „ისკრა“ წერდა: „საუცხოოდ დაწერილი პროკლამაციები გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და ავსებდა თბილისის ყველა კვარტალებს“[2].

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ 1901 — 1904 წლებში მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება მიიპყრო. 1902 წლის მარტში ბათუმში მომხდარმა დიდმა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა სერიოზულად დაინტერესა რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ცნობილია, რომ ხელისუფლებამ საბრალდებო სკამზე დასვა ბათუმის დემონსტრაციის მონაწილე ბევრი მუშა. ამ მუშების დაცვა გადაწყვიტეს რუსეთის პროგრესულმა ვექილებმა. ცნობილი ქართველი დემოკრატი მწერალი დავით კლდიაშვილი წერს: „მუშების დამცველებად გამოდიოდნენ რუსეთის საუკეთესო ვექილები, რიცხვით თორმეტი, იმ დროს ცნობილი ვექილი მურავიოვის მეთაურობით“[3].

ბათუმის ამბები და გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დიდად აინტერესებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობას. ბათუმის მუშათა გმირული ბრძოლისა და გურიის გლეხთა გამოსვლების ამბების გასაცნობად გენიალურმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ საქართველოდან დაიბარა მიშო ყიფიანი და ილია ნაკაშიძე. აღსანიშნავია 1902 წელს მოწინავე ჟურნალისტთა, ლიტერატორთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმომადგენლების საიდუმლო კრება

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 586.

[2] გაზეთი „ისკრა“, № 25, 1902 წ.

[3] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 214.

ბასეინის ქუჩაზე, ჟურნალ „პრავოს“ რედაქტორ პოლინოვის ბინაზე; კრებას ესწრებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც — გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, კ. გელოვანი, დ. კლდიაშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი და სხვ. ბათუმისა და გურიის ამბების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბათუმის მუშების ერთ-ერთი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. „სამი დიდი ოთახი სავსე იყო ხალხით. ანდრონიკაშვილის ვრცელმა მოხსენებამ ბათუმის შეტაკების შესახებ, მათი მეორედ გამოსვლის შესახებ და გურიის უკანასკნელ ამბების გადმოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე“[1].

რუსეთის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში საქართველოში მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას დიდი თანაგრძნობით შეხვდა სახალხო ინტელიგენცია. თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული მთავრობა განსაკუთრებით აღაშფოთა პროგრესულ ინტელიგენციაში დაწყებულმა საპროტესტო მოძრაობამ. მთავრობამ მთელი სისასტიკით დაუწყო დევნა ინტელიგენციაში ყოველგვარ რევოლუციურ გამოვლინებას, სამუშაოდან ხსნიდა, ციხეში ამწყვდევდა და გადასახლებაში გზავნიდა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, რითაც თვითმპყრობელობას სურდა ჩაექრო ხალხში რევოლუციური განწყობილება. ქუთაისის გუბერნიის ყოფილი გუბერნატორი ვ. ა. სტაროსელსკი წერდა, რომ 1902 წ. აგვისტოში ყველა ციხე აავსეს რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებით. „განსაკუთრებით დაისაჯა სოფლის ინტელიგენცია, უმთავრესად, მასწავლებელნი. დაპატიმრებულთ (300-ზე მეტი) გზავნიდნენ ადმინისტრაციულის წესით ციმბირში და ჩრდილოეთ გუბერნიებში 5 წლით. აპატიმრებდნენ პირადი შეხედულებით, „ბლუზისა“ და „პიჯაკის“ ჩაცვისათვის, „სოციალური და ეკონომიური შინაარსის“ წიგნების კითხვისათვის, „სოციალ-დემოკრატიულის“ და ტოლსტოის დოქტრინების აღსარებისათვის“[2]. დანაშაულის დასამტკიცებლად საკმარისი იყო პოლიციის საიდუმლო ცნობები, წყაროების მიუთითებლად. თუკი პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში კაცი მოხვდებოდა როგორც დამნაშავე, მისი საქმე გათავებული იყო — იგი უეჭველად დაისჯებოდა. ერთი იმ დროის უცნაური და სასაცილო ამბავთაგანი, — წერს იქვე სტაროსელსკი,— იყო ძებნა ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძისა, რომელიც, პოლი-

---

[1] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 220.

[2] ვ. ა. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი, გლეხთა მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში, გვ. 9.

ციის ცნობებით, მამაკაცის ტანისამოსჩაცმული ბლეხებს შორის აგიტაციას ეწეოდა, სინამდვილეში კი მწერალი ქალი იმ დროს ფეხმოუცვლელად ლონდონში ცხოვრობდაო.

ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლებს არსებული წყობილების წინააღმდეგ. რუსეთის სტუდენტობა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი რევოლუციურობითა და მარქსიზმისადმი სიყვარულით. რუს სტუდენტებს დიდი და ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1870 წლის მარტში ინტერნაციონალის რუსული სექციის კომიტეტი კარლ მარქსს სწერდა:

„ჩვენი დაკინებითი სურვილი — თქვენ იყოთ ჩვენი წარმომადგენელი — იმით აიხსნება, რომ თქვენ სახელს სრულიად დამსახურებულად პატივს სცემს რუსი სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მშრომელი ხალხის რიგებიდან გამოვიდა. ამ ახალგაზრდობას არც იდეურად, არც თავისი სოციალური მდგომარეობით არაფერი აქვს საერთო და არც სურს რომ ჰქონდეს პრივილეგიური კლასების პარაზიტებთან, და იგი პროტესტს აცხადებს მათი ჩაგვრის წინააღმდეგ, იბრძვის რა ხალხის რიგებში მისი პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლებისათვის"[1].

მუშებთან სტუდენტების დაკავშირების იდეა, მასებში რევოლუციური პროპაგანდის გასაშლელად სტუდენტების გამოყენების იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მარქსისტულმა წრეებმა აღმოცენება იწყეს გასული საუკუნის 80-იან წლებში. პირველი მარქსისტული წრე მოსკოვის უნივერსიტეტში შეიქმნა 1889 წელს სტუდენტ ვიქტორ კურნატოვსკის, შემდგომში ცნობილი ბოლშევიკის ხელმძღვანელობით. უმაღლესი სასწავლებლების მარქსისტული წრეების წევრები სწავლობდნენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომებს, თარგმნიდნენ მათ ნაწარმოებებს რუსულ ენაზე, მიზნად ისახავდნენ მუშებთან კავშირის დამყარებას და მათში რევოლუციური პროპაგანდის გაშლას. ასე, მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის მარქსისტულ ორგანიზაციაში შედიოდნენ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები: ვ. ვ. ვოროვსკი, დ. ი. ულიანოვი, ნ. ა. სემაშკო, მ. თ. ვლადიმირსკი, პ. გ. სმიდოვიჩი, მ. ნ. ლიადოვი, ა. ნ. ვინოკუროვი, ს. ი. მიცკევიჩი და სხვ. XX საუკუნის დამდეგს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ და სტუდენტთა მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდ-

[1] კ. მარქსის და ფრ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, 1955, გვ. 49.

ნენ ბოლშევიკური პარტიის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ა. წულუკიძე, ვ. ვ. ვოროვსკი, ვ. პ. პოტიომკინი, ს. სპანდარიანი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი ა. თ. მიასნიკოვი, სამოქალაქო ომის გმირები ნ. რუდნევი და უ. ბაინაკსკი, ბაქოს კომისრები — ს. ოვსეპიანი და ყორღანოვი, სამოქალაქო ომის გმირი, კომუნისტი მწერალი დ. ფურმანოვი და სხვ. ამ სახელოვანი ადამიანების რევოლუციური მოღვაწეობის საფუძველზე უნივერსიტეტში სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა ალმავალი გზით მიდიოდა. ეს მოწინავე სტუდენტები აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ მუშებთან კავშირს. ქმნიდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს უნივერსიტეტებში.

მუშათა მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ სერიოზული გავლენა იქონია სტუდენტებზე. შეიცვალა სტუდენტთა მოძრაობის ფორმები, სტუდენტების მოძრაობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს გაფიცვები, სტუდენტთა მასობრივი კრებები, ქუჩის დემონსტრაციები, რაც გამოიხატა 1896 და 1899 წლებისა და განსაკუთრებით კი 1901 — 1902 წლების სტუდენტთა ცნობილი მღელვარებებით.

რევოლუციური ალმაცლობის წლებში თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ სტუდენტებისა და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლების პროგრამა და სტუდენტებთან პარტიის დამოკიდებულების ხაზი მოცემულია ვ. ი. ლენინისა და ლენინელების იმდროინდელ ნაშრომებში. თავის სტატიაში — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლაში" (1901 წ. № 2, 3), ი. ბ. სტალინი წერდა, რომ „შეღავათიანი წოდებების წარმომადგენლებიდან მხოლოდ სტუდენტობის ნაწილმა გვაჩვენა თავისი გადაწყვეტილება — მიჰყვეს თავის მოთხოვნილებებს ბოლომდე"[1]. ამავე დროს სტალინი აღნიშნავს, რომ მებრძოლი სტუდენტობა შედგება თვითმპყრობელური წყობილების სიმძიმით შეწუხებულ და შეგიწროებულ მოქალაქეთა შვილებისაგან, რომ სტუდენტები და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობა „...ყველაზე უფრო განწყობილია გაჰყვეს იდეალურ მისწრაფებებს, რომლებიც იწვევენ თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ.

ასეა თუ ისე, დღეს სტუდენტობა გამოდის „საზოგადოებია" მოძრაობაში თითქმის მესვეური, მოწინავე რაზმი. მის გარშემო

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 23.

ოკრიბება დღეს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის უკმაყოფილო ნაწილი“ [1]. სტუდენტობამ პირველ ხანებში, მუშების მსგავსად, ბრძოლა დაიწყო გაფიცვებით; მაგრამ როდესაც სტუდენტთა ამ გაფიცვებს მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა, სტუდენტობამ საბრძოლველად დახმარება ითხოვა რუსეთის საზოგადოებისაგან და გაფიცვებიდან გადავიდა ქუჩის დემონსტრაციებზე. სტუდენტობამ „...არ დაყარა იარაღი. პირიქით, უფრო დიდი სიმამაცითა და გადაწყვეტილებით შეუდგა ბრძოლას. მის გარშემო მოიყარა თავი შეეიწროებულმა მოქალაქეობამ, მას გაუწოდა დახმარების ძმური ხელი მუშათა კლასმა და ამით მოძრაობა გახდა ძლიერი, მმართველობისთვის თავზარდამცემი“[2].

რევოლუციური აღმავლობის დროს სტუდენტთა მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ სტუდენტებს მხოლოდ თავისი ძალით არ შეუძლიათ აწარმოონ გრანდიოზული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. რომ სტუდენტთა სუსტ მკლავებს მარტო არ შეუძლიათ ზიდონ ეს მძიმე დროშა, რომ მის სატარებლად საჭიროა უფრო ძლიერი მკლავები—მშრომელების შეერთებული ძალა. „მაშასადამე, — წერდა ი. ბ. სტალინი, — მუშათა კლასმა უნდა ჩამოართვას სუსტ სტუდენტობას მთელი რუსეთის დროშა და, დააწერს რა მას ზედ: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას!“ — უნდა წაიყვანოს რუსეთის ხალხი თავისუფლებისაკენ. სტუდენტობისა კი ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ იმ გაკვეთილისთვის, რომელიც მან მოგვცა: მან დაგვანახა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დემონსტრაციას რევოლუციურ ბრძოლაში“[3].

1901 წლის დამდეგიდან დაიწყო მუშებისა და სტუდენტების გრანდიოზული დემონსტრაციები რუსეთის მთელ რიგ მსხვილ ქალაქებში, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქებში. სტუდენტების საპროტესტო მოძრაობა ძლიერდებოდა და გრანდიოზულ მასშტაბს ღებულობდა მუშათა მოძრაობის გავლენით.

პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, ოდესისა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების მუშები გამოვიდნენ სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობისათვის მხარის დასაჭერად. მუშებმა მოუწოდეს სტუდენტებს უფრო ორგანიზებული და გაბედული მოქმედებისაკენ არსებული წყობილების წინააღმდეგ. თუ წარსულში სტუდენ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 24.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 25.

ტი იყო რევოლუციური ბრძოლის დამწყები, ახლა, პირიქით, სტუდენტთა სუსტ და მცირერიცხოვან ქუჩის ბრძოლებს მუშები აქცევდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად. ასეთი დემონსტრაციების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს 1901 წლის თებერვალ-მარტის პოლიტიკური დემონსტრაციები მოსკოვსა და პეტერბურგში — ყაზანის მოედანზე.

1901 წელს სტუდენტთა მღელვარების საბაბი გახდა 1899 წლის ივლისში მეფის მთავრობის მიერ დამტკიცებული „უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების სამსედრო ბეგარის მოხდის დროებითი წესები". ამ „წესების" თანახმად, სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ კოლექტიურ გამოსვლებში უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, გაირიცხებოდნენ სასწავლებლებიდან და ჩაირიცხებოდნენ არმიაში რიგით ჯარისკაცებად 1 წლიდან 3 წლამდე ვადით.

1901 წლის სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ღრმა მეცნიერული ანალიზი მოცემულია ვ. ი. ლენინის სტატიაში — „სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად", რომელიც დაიბეჭდა 1901 წლის იანვარში გაზეთ „ისკრის" მეორე ნომერში.

1901 წლის 11 იანვარს რუსეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მთავრობის ცნობა კიევის 183 სტუდენტის ჯარისკაცად გაგზავნის შესახებ „იმ უწესობათა გამო, რაც მათ ერთად მოახდინეს". კიევის სტუდენტების მღელვარების საბაბი გახდა მოთხოვნა იმ პროფესორის გაძევებისა, „რომელმაც წასული ამხანაგის ადგილი დაიკავა". (ლენინი). ადმინისტრაციამ უარი უთხრა ამ მოთხოვნის შესრულებაზე, რის გამოც სტუდენტები აწყობდნენ საპროტესტო კრებებსა და დემონსტრაციებს. სტუდენტთა კრებებზე იხილავდნენ მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს, მოითხოვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული აუტანელი რეჟიმის შეცვლას. ადმინისტრაცია სასტიკ ზომებს ღებულობდა; მხეცურად სჯიდა მოძრაობის მონაწილეებს, მაგრამ სტუდენტობა მაინც თავისას განაგრძობდა. ყოველი სტუდენტის გარიცხვას უპასუხებდნენ ახალი საპროტესტო კრებებით. სტუდენტობა არ დაემორჩილა ადმინისტრაციის წინადადებას — დაშლილიყვნენ. უნივერსიტეტში მოვიდნენ ვიცე-გუბერნატორი და ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ჯარისკაცთა რაზმით. სტუდენტებმა მათ წაუყენეს მოთხოვნა — გაეუქმებინათ კარცერით დასჯა, აღედგინათ სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის გარიცხულები და სხვ.

ა კიევის უნივერსიტეტის 183 სტუდენტის ჯარისკაცებად გაგზავნამ, თვითმპყრობელური ხელისუფლების ამ მკაცრმა და არაადამიანურმა ღონისძიებამ ღრმა აღშფოთება გამოიწვია არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში, არამედ მთელ რევოლუციურ და პროგრესულ ინტელიგენციაშიც. აფასებდა რა მეფის მთავრობის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს, ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ ასეთი ზომები გამოიწვევდა კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას. „მთავრობა იმედოვნებს ამ სკოლაში დისციპლინა ასწავლოს „მეამბოხეებს", — წერდა ლენინი. — ვითომ არ მოტყუვდება ის თავის ანგარიშში? არ გახდება ვითომ რუსული სამხედრო სამსახურის სკოლა რევოლუციის სამხედრო სკოლად? რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტი ვერ გაუძლებს ამ სკოლის სრული კურსის გავლას. ზოგს გასტეხს მძიმე ჯაფა, დაღუპავს სამხედრო უფროსებთან შეჯახება, ზოგს, — სუსტებს და მოდუნებულთ, — დააფრთხობს ყაზარმა, მაგრამ ზოგს ის გამოაწრთობს, გაუფაფრთოებს ჰორიზონტს, აიძულებს ჩაუფიქრდეს და შეიგრძნოს განმათავისუფლებელი მისწრაფებანი... ისინი დაინახავენ რანაირია სინამდვილეში მდაბიო ხალხის მდგომარეობა, იმათ გული ეტკინებათ იმ დამცირებისა და ძალმომრეობისათვის, რომელთა ყოველდღიურ მოწმეებად გახდიან მათ, და შეიგნებენ, რომ ის უსამართლობანი და შარის მოდება, რითაც სტუდენტები იტანჯებიან, — წვეთია ხალხის ჩაგვრის ზღვაში" [1].

სტუდენტთა მღელვარების მონაწილეთა წინააღმდეგ მთავრობის სასტიკი რეპრესიების პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად სტუდენტმა პ. ვ. კარპოვიჩმა 1901 წლის 14 თებერვალს სასიკვდილოდ დასჭრა სახალხო განათლების მინისტრი ნ. პ. ბოგოლეპოვი. 1901 წლის 19 თებერვალს პეტერბურგსა და ხარკოვში მოეწყო დიდი დემონსტრაციები, რომელთაც მთელი სისასტიკით გაუსწორდა თვითმპყრობელობა. დემონსტრანტებისადმი სასტიკი გასწორების შემზარავმა ამბავმა სწრაფად მიაღწია მოსკოვამდე. პროტესტის ნიშნად 23 თებერვალს მოსკოვში დაიწყო მუშებისა და სტუდენტების დიდი მღელვარება.

1901 წლის 23 თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი სტუდენტებით გაიჭედა. მალე უნივერსიტეტის ეზოც აივსო სტუდენტებით. როგორც დარბაზში, ისე ეზოში გაიმართა ცხარე კამათი. ორატორები აყენებდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს და სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მღელვარებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. მთავრობის განკარგულებით

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 513—514.

უნივერსიტეტს სამ პირად შემოერტყა ჯარი, პოლიცია და ცხენოსანი ჟანდარმერია. როდესაც კრების შემდეგ სტუდენტები სიმღერით ქუჩაში გაემართნენ, 200 სტუდენტი ძალით წაიყვანეს მანეჟში. მანეჟს ალყა შემოარტყეს 1500 ჯარისკაცმა და 300 კაზაკმა. მთავრობა შეეცადა მანეჟიდან სტუდენტები ციხეში წაეყვანა, მაგრამ მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა სტუდენტებისათვის საჭმელი არ მიეცათ მანამ, სანამ ისინი არ დათანხმდებოდნენ ციხეში გადასვლაზე.

სტუდენტებს ათასობით მშრომელი მიეშველა. ისინი ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ მანეჟში დამწყვდეული ახალგაზრდები. 24 თებერვალს მოხდა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლა, პოლიციამ და ჯარმა სცემეს მოძრაობის მონაწილეებს. მეფის მთავრობის ამ მხეცური მოქმედებისაგან სტუდენტების დასაცავად გამოვიდნენ მოსკოვის მუშები, რომლებსაც ჟანდარმერიასთან მოუხდათ სისხლისმღვრელი შეტაკება. მიუხედავად ამ სასტიკი ზომებისა, მოძრაობა მაინც არ ნელდებოდა. 24 თებერვალს, საღამოს, ისევ შედგა დემონსტრაცია. დემონსტრანტები ტვერის ქუჩით გაემართნენ გენერალ-გუბერნატორის სახლისაკენ, სადაც ისინი გაფანტეს ჟანდარმერიამ და პოლიციამ. დემონსტრაციის 300-მდე მონაწილე დააპატიმრეს.

მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები ძლიერდებოდა. 1901 წლის 25 თებერვალს, კვირას, მღელვარებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოსაწყობად ქუჩაში გამოვიდნენ ათიათასობით მუშა და სტუდენტი. დემონსტრანტებმა დილიდანვე დაიწყეს ჯგუფ-ჯგუფად მოსვლა მოსკოვის უნივერსიტეტთან. მუშები გამოვიდნენ ქალაქის სხვა ქუჩებშიც. დემონსტრაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ტვერის ბულვარზე დემონსტრანტებს შეხვდათ პოლიცია და ჯარი. მოხდა შეტაკება. დემონსტრანტებმა სცემეს ჟანდარმერიას. მოსკოვის სტუდენტებისა და მუშების წინააღმდეგ რეპრესიებმა ვერ შეძლო სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობა.

ასეთმა მძლავრმა სახალხო აღშფოთებამ ძალიან შეაშინა მთავრობა, რომელმაც სასწრაფო ზომები მიიღო, რათა შეენელებინა ეს მღელვარება. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი. ციხეში ჩაყარეს რსდმპ მოსკოვის კომიტეტის მთელი ხელმძღვანელობა და სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დიდი შეტაკების შემდეგ 26 თებერვალს, ღამით პოლიციამ და ჯარმა გატეხეს მშიერი და მანეჟში სიცივისაგან ნახევრად გაყინული სტუდენტების წინააღმდეგობა და გაძლიერებული დაცვით

გადაიყვანეს ისინი ციხეში. მოძრაობა თანდათანობით შესუსტდა, რასაც ხელი შეუწყეს აგრეთვე ლიბერალური პროფესურის გამცემლურმა პოლიტიკამ და თავისუფლებაში დარჩენილმა სტუდენტთა აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ სტუდენტებს ხელი აეღოთ გაფიცვებზე და ქუჩის ბრძოლაზე და მოძრაობა შეეზღუდათ წმინდა აკადემიური მოთხოვნებით.

კიდევ უფრო მძლავრი დემონსტრაცია მოეწყო ყაზანის მოედანზე პეტერბურგში 1901 წლის 4 მარტს. აქ ათასობით მუშა და სტუდენტი შეიკრიბნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეების ჯარში გაგზავნის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ორატორები, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ მთავრობის თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ორატორების სიტყვები, რომლებიც მოუწოდებდნენ მასებს არსებული რეჟიმის, თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მოედანზე გაისმოდა დემონსტრანტთა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა!“. დემონსტრაციის გარეკვა შეძლეს მხოლოდ ჯარისა და პოლიციის ძალებით.

სტუდენტების საპროტესტო მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა, მან განსაკუთრებით მძლავრი ხასიათი მიიღო ოდესის სტუდენტთა საერთო ყრილობის მოწვევის შემდეგ. 1901 წლის ზაფხულში ოდესაში შედგა სტუდენტთა საერთო ყრილობა რუსეთის მთელი სტუდენტობის რევოლუციური ბრძოლისათვის დარაზმვის პროგრამით. ყრილობის მიზანს შეადგენდა განეხილა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები, პროტესტი გამოეთქვა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული აკადემიური წესების წინააღმდეგ, იმდროინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ. მეფის მთავრობამ სტუდენტთა ეს მოქმედება ჩათვალა დანაშაულებრივ პოლიტიკურ მოქმედებად და ყრილობის ყველა დელეგატი დააპატიმრა. მაგრამ მიუხედავად მთავრობის ამ გაუგონარი დამსჯელი ღონისძიებისა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება გამოდის „...მთელი საბრალმდებლო ოქმით, არ ზოგავს საღებავებს სტუდენტების ავაზაკობათა დასასურათებლად“ [1], სტუდენტთა მღელვარება სულ უფრო იზრდებოდა და უშიშრად, შეუპოვრად, თავდაჭიწყებით იჩენდა თავს რუსეთის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში. პროგრესული სტუდენტების ამ ბრძოლის მიზანი იყო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 4, გვ. 510.

უსულგულო ფორმალიზმით და ბიუროკრატიზმით გათავხედებული მეფის მთავრობის მოხელეებისაგან დამოუკიდებლად განესაჯათ და განეგოთ თავიანთი საერთო საქმეები.

საპროტესტო მოძრაობაში რადიკალური ინტელიგენციისა და სტუდენტობის მონაწილეობა თანდათანობით ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. მეფის მთავრობის მიერ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეთა გასამართლებისა და გადასახლების დროს მოწინავე მუშების, ინტელიგენციისა და სტუდენტობის ინიციატივით ეწყობოდა საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები. ასეთი საპროტესტო მოძრაობა გავრცელდა პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, პსკოვში, ტამბოვში, გომელში, კიშინიოვში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

1901 წლის 11 სექტემბერს კიშინიოვიდან ვიატკის გუბერნიაში ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ მიტროფანე დომბროვსკის გასაცილებლად რკინიგზის სადგურზე თავი მოიყარა სტუდენტებისა და მუშებისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რათა პროტესტი გამოეთქვა მეფის მთავრობის თვითნებობისა და პიროვნების უუფლებობის წინააღმდეგ. სადგურზე გაისმოდა შეძახილები „ძირს თვითნებობა!“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“, და სხვ. სადგურზე გამოცხადდა ჟანდარმერია, რომელიც მხეცურად სცემდა დემონსტრაციის მონაწილე მუშებს და ინტელიგენტებს. ჟანდარმერიის ამ ბარბაროსული მოქმედების საპროტესტოდ მოეწყო მსვლელობა გუბერნატორთან.

მოსწავლე ახალგაზრდობისა და რადიკალური ინტელიგენციის იდეურ აღზრდაში, პოლიტიკურ მოძრაობასთან მათი დაკავშირების საქმეში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს დიდ დახმარებას უწევდა მაქსიმ გორკი, რის გამოც მან სასტიკი დევნა განიცადა მეფის მთავრობისაგან. იმ მიზნებარე აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, რომელსაც გორკი ეწეოდა მშრომელ მასებში, მთავრობამ მას ნიჟნი-ნოვგოროდიდან გადასახლება მიუსაჯა.

ნიჟნი-ნოვგოროდიდან ყირიმში პოლიციის ზედამხედველობით მაქსიმ გორკის გადასახლების წინ ადგილობრივი ინტელიგენციის მიერ გორკის საპატივცემოდ მოწყობილ იქნა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 125 კაცი. 1901 წლის 7 ნოემბერს ნიჟნი-ნოვგოროდიდან მატარებლის გასვლის წინ, რკინიგზის სადგურზე გამოცხადდა პროგრესულ ადამიანთა დიდი ჯგუფი გორკის გასაცილებლად. პოლიციის დეპარტამენტის ცნობაში აღნიშნულია, რომ გამცილებელთა შორის იყვნენ ექიმები, ნაფიცი ვექილები, გაზეთების თანა-

მშრომლები, ადგილობრივი სასწავლებლების მოსწავლეები და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების მსმენელები, აგრეთვე სტუდენტი ქალები. მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერიამ სასტიკი ზომები მიიღო, მოსულმა საზოგადოებამ მაინც მოუწყო გორკის მქუხარე ოვაცია, ჯერ 1-ლი კლასის დარბაზში, ხოლო შემდეგ პლატფორმაზე, დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, წარმოთქვამდნენ მხურვალე სიტყვებს. როცა სადგურიდან განდევნეს გამცილებლები, მათ ქუჩაში დაიწყეს სიმღერები, სხვადასხვა ადგილებზე გადმოყარეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები შემდეგი ხელის მოწერით: „ხალხის დამცველები მისი მჩაგვრელების წინააღმდეგ". ხალხში გაისმოდა შეძახილები: „ვაშა გორკის — თავისუფლების მომღერალს, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე გადასახლებულს"[1]. მაქსიმ გორკის გადასახლების წინააღმდეგ გამართულმა დემონსტრაციამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მან სერიოზულად ჩააფიქრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მესვეურნი.

ამ დემონსტრაციის მოწყობასთან დაკავშირებით გაზეთ „ისკრის" 1901 წლის 20 დეკემბრის ნომერში ვ. ი. ლენინი წერდა, რომ სახელგანთქმული ადამიანი, რომლის ერთადერთი იარაღი თავისუფალი სიტყვა იყო, მეფის მთავრობამ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად გადაასახლა თავის სამშობლო ქალაქიდან — ნიჟნი-ნოვგოროდიდან. მეფის მთავრობა გორკის ბრალად სდებდა, რომ იგი მასებზე ცუდ გავლენას ახდენს. დემონსტრაციის მონაწილენი მთელი რუსი ხალხის სახელით აცხადებდნენ, რომ გორკის მთელი შემოქმედება და მოღვაწეობა კარგი და მეტად სასარგებლო გავლენა არისო. მ. გორკის გადასახლებასთან დაკავშირებით შემდგარი დემონსტრაცია „...დამთავრდა სტუდენტის საზეიმო დეკლამაციით: „დაემხობა თვითნებობა, და აღსდგება ხალხი, თავისუფალი და ძლიერი!".

მოსკოვის ვაგზალზე გორკის ასობით მოსწავლე ახალგაზრდობა ელოდებოდა, და შეშინებულმა პოლიციამ გორკი გზაში, ვაგონშივე დ ა ა პ ა ტ ი მ რ ა, აუკრძალა მოსკოვში შესვლა... და აიძულა პირდაპირ გადასულიყო ნიჟნი-ნოვგოროდის გზიდან კურსკის გზაზე"[2]. დემონსტრაცია, რომელსაც მოსკოვის მოწინავე ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე მუშები ამზა-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქმე № 22, ფურ. 339.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 400.

დებდნენ გორკის გადასახლების გამო, არ შედგა; მაგრამ დობროლუბოვის გარდაცვალების 40 წლისთავთან დაკავშირებით 1901 წლის 18 ნოემბერს გენერალ-გუბერნატორის სახლის წინ მოულოდნელად გაიმართა სტუდენტების, მოწინავე ინტელიგენციისა და მუშების დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციის მოწყობის გამო სტუდენტთა ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი თავის 1901 წლის 23 ნოემბრის ბიულეტენში წერდა, რომ ეს დემონსტრაცია უკმაყოფილებისა და პროტესტის აშკარა გამომხატველი იყო.

1901 წლის 17 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში შედგა კრება, სადაც შემუშავებული იქნა დობროლუბოვის გარდაცვალებიდან 40 წლის აღსანიშნავი იუბილეს ჩატარების გეგმა. სტუდენტები შეჩერდნენ იმაზე, რომ 19 ნოემბერს მოეწყოთ ლიტერატურული დილა, სადაც უნდა მიეწვიათ გარეშე პირებიც. კრების თავმჯდომარეს სტუდენტ ა. ივანოვს დაევალა მოლაპარაკებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს, რათა მათ მიეცათ ნება აღნიშნული დღის ჩატარებისა, მაგრამ ხელმძღვანელობამ თანხმობა არ მისცა.

26 ნოემბერს უნივერსიტეტის მოედანზე მეორედ შედგა სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრებამ გადაწყვიტა იმავე დღეს პირველ საათზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო ლიტერატურული დილა სასწავლებლის ხელმძღვანელობისაგან ნებართვის აღების გარეშე. დანიშნულ დროზე საქტო დარბაზში შეიკრიბა 600-მდე კაცი, წაკითხულ იქნა ლექსები და რეფერატები — „დობროლუბოვი როგორც პოლიტიკური მოღვაწე", „დობროლუბოვი და მისი თანამედროვე საზოგადოება" და სხვ.

29 ნოემბერს პეტროგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შედგა კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრების დღის წესრიგში იდგა ახლად შემოღებულ სტუდენტთა წესდებასთან დამოკიდებულების საკითხი. გამოსული ორატორები ძირითადად გამოთქვამდნენ ერთ და იგივე აზრს, რომ მთავრობას ეშინია სტუდენტთა მოძრაობისა და მათ გასაფრთხილებლად ცდილობს გამოიყენოს ყოველგვარი საშუალებები. არ ერიდება რა სიცრუესა და ეშმაკობას. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ თუმცა ახალი წესდების შინაარსი ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ არაფერ კარგს არ უნდა ველოდეთ მისგანო. იმის გამო, რომ მთავრობა თავის დაპირებებს არასდროს არ ასრულებს, „ჩვენ ძალით უნდა მოვითხოვოთ უფლება, რომელიც არ სურთ ჩვენ მოგვცენ". 30 ნოემბერს სატყეო ინსტიტუტის სტუდენტთა კრებაზე, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი დაესწრო, განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ღირს თუ არა უცადონ დაპირებულ რეფორმებს, თუ ეხლავე შეუდგნენ გაფიცვებისა და ქუჩის დემონსტრაციების

მოწყობას. ამ საკითხმა ისეთი დავა გამოიწვია, რომ კრებამ საბოლოო დადგენილება ვერ გამოიტანა.

საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები გაჩაღდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. 18 და 20 ნოემბერს სტუდენტთა ინიციატივით მოეწყო ქუჩის მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. სტუდენტებს შორის გაავრცელეს მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტის პროკლამაციები, რომელშიაც მოცემული იყო ცნობები პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობის შესახებ.

პოლიციის დეპარტამენტის 1901 წლის 12 დეკემბრის სრულიად საიდუმლო ცნობაში აღნიშნულია, რომ 17 ნოემბერს სასტუმრო „კონტინენტალში" დობროლუბოვის ხსოვნის აღსანიშნავად შეიკრიბნენ ერობის მოსამსახურეები, მწერლები, პუბლიცისტები, სტუდენტები და სხვ., სადაც სიტყვები წარმოსთქვეს ლიტერატორებმა და სტუდენტებმა. განსაკუთრებით მხურვალე რევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა, აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა; მისი სიტყვა ატარებდა მხურვალე, წმინდა რევოლუციურ ხასიათს, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. სიტყვების შემდეგ იმღერეს რევოლუციური სიმღერები.

კრებები ტარდებოდა მოსკოვის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. სისტემატურად გამოდიოდა და სტუდენტებში ვრცელდებოდა პროკლამაციები და ბიულეტენები, სადაც მოცემული იყო ცნობები სხვადასხვა ქალაქებში სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობის წინააღმდეგ მთავრობის მიერ გატარებული მხეცური ზომების შესახებ და სხვ.

პროგრესულ მოსწავლე ახალგაზრდობასა და პროფესორებში განსაკუთრებით დიდი მღელვარება გამოიწვია პროფესორ ვინოგრადოვის წასვლამ, რომელსაც თან მიჰყვებოდა კიდევ ბევრი პოპულარული პროფესორი, იმ სასტიკი რეჟიმის გამო, რომელიც მეფის მთავრობამ შექმნა პროგრესულ მოღვაწეთა წინააღმდეგ.

17 ნოემბერს კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედგა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 800 კაცი. კრებამ განიხილა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. 19 ნოემბერს კიევის უნივერსიტეტში სტუდენტები ჯგუფჯგუფად კითხულობდნენ პროკლამაციებს და არიგებდნენ მოსაწვევ ბარათებს 20 ნოემბრის კრებისათვის. 17 ნოემბრის მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა არა ცდა ან ხვეწნა, არამედ მუქარა და მოქმედება. მოწოდება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: გვახსოვდეს, რომ ჩვენი წმიდათა წმიდა მოვა-

ლეობაა გავაძლიეროთ ბრძოლა, ხელი შევუწყოთ გამარჯვებას... ერთსულოვნად აღვმართოთ ბრძოლის დროშა[1].

სტუდენტთა მოძრაობამ განსაკუთრებით მძლავრი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო 1901 წლის დეკემბერში. 1 დეკემბერს პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსების ინტერნატში შედგა კრება, სადაც მოეწყო სახალხო განათლების მინისტრის სახელზე გასაგზავნ პეტიციაზე ხელის მოწერა, რომელშიაც მოითხოვდნენ ხარკოვის ვეტერინარული ინსტიტუტის პირველი კურსის გარიცხული სტუდენტების აღდგენას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოში გაავრცელეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ურთიერთდამხმარე სალაროს მოწოდება. ამ მოწოდებაში აღნიშნული იყო სტუდენტთა თანამედროვე მოძრაობის მიზანი და ამოცანები. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ დროებითი საკურსო ორგანიზაციების უფლება მოპოვებული იქნა მთელი რიგი მღელვარებისა და კრებების შედეგად, რომ საჭიროა ამ ბრძოლის გაგრძელება, ვინაიდან თვითმპყრობელური რუსეთის პირობებში შეუძლებელია უნივერსიტეტის ფართო ავტონომიის გატარება, რომ სტუდენტთა მოძრაობა წარმოადგენს ერთ-ერთ გამოვლინებას საზოგადოებრივი თვითმოქმედებისა, რომელიც მიმართულია პიროვნების უფლების დასაცავად. იგი უეჭველად არის პოლიტიკური მოძრაობა. ხოლო აკადემიურ მოძრაობაზე დაყრდნობა ნიშნავს სურვილს არ დაიწყო მთავრობასთან აშკარა ბრძოლა, განისაზღვრო მასთან ლიბერალური თამაშით. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთავრობის პოლიტიკის მიზანია დაამშვიდოს სტუდენტობა, ჩააქროს მათში რევოლუციური სული და აზრი. „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, — ნათქვამია მოწოდებაში, — რომ ყოველ მოაზროვნე და პატიოსან სტუდენტს, რომელსაც გულწრფელად სურს შეიგნოს თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და თავისი ამოცანები, მოკავშირედ მიაჩნია რევოლუციური პროლეტარიატი მისი სოციალ-დემოკრატიული პროგრამით; რეს ინტელიგენტს და მაშასადამე სტუდენტობას სხვა უფრო მიზანმსწრაფი პოლიტიკური და სოციალური პროგრამა არ შეიძლება ჰქონდეს. ამას მხარს უჭერენ... ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის დიადი ანდერძები. ჩვენი აზრით, დობროლუბოვის ხსოვნის ყველაზე დიდი პატივისცემა იქნებოდა ის, რომ სტუდენტობას

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 349.

შეეგნო თავისი პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებანი და მიეღო სოციალ-დემოკრატიის ერთადერთი პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი პროგრამა“ [1].

გაძლიერდა ახალგაზრდობაზე სოციალ-დემოკრატების გავლენა. პოლიციის დეპარტამენტი თავის საიდუმლო მიმოწერებში სტუდენ-თა მოძრაობის შესახებ აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობაზე განსაკუთრებით მავნე გავლენას ახდენენ რევოლუციური ჯგუფები და განსაკუთრებით „პროტესტი“ და „ვპერიოდი“.

1901 წლის 28 ნოემბერს შედგა ქალთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებისა და ქალთა კურსების წარმომადგენლები. კრებამ განიხილა მთელი რიგი საკითხები — ქალთა საერთო ორგანიზაციის შექმნა, ქალების მონაწილეობა როგორც სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობაში, ისე მუშათა მოძრაობაში. კრებამ გაერთიანებულ ქალთა ორგანიზაციას უწოდა „ორგანიზებულ ქალთა ჯგუფები“.

1901 წელს გაჩაღებული საპროტესტო მოძრაობის დროს სტუდენტობაში გაჩნდა იდეა საერთო ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ მიზნით მოსკოვის მოსწავლე ახალგაზრდობამ აირჩია დელეგაცია, რომელიც გაგზავნილ იქნა კიევში და ხარკოვში, რომელმაც მათ აცნობა, რომ მოსკოვის სტუდენტობა წინადადებას იძლევა საშობაო არდადეგების დროს მოწვეულ იქნეს სტუდენტთა საერთო ყრილობა, რომელიც განიხილავს შემდგომი მოქმედების პროგრამას. კიევიდან და ხარკოვიდან დაბრუნებულმა სტუდენტებმა ინფორმაცია გაუკეთეს „მოსკოვის გაერთიანებული სათვისტომოებისა და ორგანიზაციების აღმასრულებელ კომიტეტს“, რომ კიევის და ხარკოვის „საკავშირო საბჭოებმა“ სრული თანხმობა გამოსთქვეს საშობაო არდადეგების დროს მოწვეულ იქნას ყრილობა ერთიანი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.

საპროტესტო კრებები და მოძრაობა გრძელდებოდა კიევის სტუდენტობაში, სისტემატურად გამოდიოდა „საკავშირო საბჭოს“ მიერ შედგენილი პროკლამაციები, რომლებიც ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ერთ-ერთ მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ „საკავშირო საბჭო“ წინადადებას აძლევს ამხანაგებს ემზადონ იმ მომენტისათვის, როცა მოგვიხდება ბრძოლის დროშის გაშლაო.

სტუდენტთა მოძრაობის აღმავლობის დროს გაძლიერდა ბრძოლა პროგრესულ და რეაქციულ სტუდენტობას შორის. ამასთან

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 306.

დაკავშირებით კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „საორგანიზაციო კომიტეტმა“ 1901 წლის 1 დეკემბერს გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ სტუდენტებს შორის მომხდარი განხეთქილების გამო მოწინავე „სტუდენტობას მოუხდება ორ ფრონტზე ბრძოლა, ამიტომ საჭიროა დაიწყოს სწორი და კარგი ორგანიზაციის შექმნა“ [1].

1901 წლის 5 დეკემბერს კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედგა მრავალრიცხოვანი კრება. კრებამ 509 ხმით 191 წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია: თუ უკან არ იქნებიან მიღებული გარიცხული ხარკოველი ამხანაგები და თუ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება არ ექნება ყველას, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, მოეწყოს საერთო გაფიცვა. ინსტიტუტის დირექტორს, რომელიც მოწვეული იყო კრებაზე, გამოუცხადეს, რომ თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ შესრულდება, გაფიცვა დაიწყება 1902 წლის 20 იანვრიდანო. ინსტიტუტის დირექტორმა უარით უპასუხა. ამის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა საღამოს 9 საათზე მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა კაცმა. დემონსტრანტები მღეროდნენ „დუბინუშკას“ და ყველგან ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რომელშიაც გმობდნენ არსებულ წყობილებას და ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. დემონსტრანტებს თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც ცემით გაფანტა დემონსტრაციის მონაწილეები და ბევრი მათგანი დააპატიმრა.

1901 წლის 26 ნოემბერს ხარკოვის „გაერთიანებული სათვისტომოებისა და ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტის“ პროკლამაციაში სასტიკად იყო დაგმობილი მთავრობის მოქმედება ვეტერინარული ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტთა გარიცხვის გამო. ხარკოვის უნივერსიტეტის, ტექნოლოგიური ინსტიტუტის და ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებმა 28 ნოემბერს მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია.

ხარკოვის უმაღლესი სასწავლებლების ამ მძლავრი საპროტესტო მოძრაობის დროს ხარკოვის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიაც მოუწოდებდა ახალგაზრდობას, რომ იგი, „ისე როგორც წარსულ

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 310.

წლებში, ახლაც ყოფილიყო დიადი გამანთავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე დამწყები და მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია"[1].

ნოემბერში დაწყებული მღელვარება და საპროტესტო მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

1 დეკემბერს ხარკოვის უნივერსიტეტში შედგა საერთო კრება, რომელსაც გარდა სტუდენტებისა, ესწრებოდა 14 პროფესორი. კრებამ გამოიტანა დადგენილება უნივერსიტეტის დახურვის შესახებ. ამ დღეს ლექციები არც ტექნოლოგიურ და ვეტერინარულ ინსტიტუტებში შედგა.

მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ. გუბერნატორის განკარგულებით 2 დეკემბერს ღამით დააპატიმრეს 33 კაცი, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავიანთი აქტიურობით, ორგანიზაციისა და ფართო აგიტაციის მოწყობით.

2 დეკემბერს დილით კუზნეცის ქუჩის კუთხეში და პრიმეროვის ქუჩაზე აღმართული იყო წითელი დროშა შემდეგი წარწერებით: „მომუშაკებო! დღეს, კვირას, ნიკოლაევის მოედანზე პოლიტიკური დემონსტრაციაა!", „ძირს მათრახისა და ხმლის მთავრობა!" და სხვ. დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, ხელში ეჭირათ წითელი დროშები, გაისმოდა შეძახილები — „ძირს მთავრობა!", „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს თავისუფლებას!". დემონსტრაციას მიყვებოდა 3.000 კაცი, რომელთა შორისაც იყვნენ მუშები, ინტელიგენცია და სხვა ფენების წარმომადგენლები. დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიცია გამოიყვანეს.

სტუდენტთა ამ საპროტესტო მოძრაობით შეშფოთებულმა მთავრობამ დაიწყო სტუდენტების მასობრივად გარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან. 4 დეკემბერს ხარკოვის გუბერნატორი დეპეშით აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლებიდან გარიცხულ იქნა 250 კაცი, რომლებიც მალე გასახლებული იქნებიან ხარკოვიდანო.

სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. რიგის უმაღლეს სასწავლებლებში. იქ სისტემატურად ავრცელებდნენ პროკლამაციებს და მოწოდებებს. 24 ნოემბრის კრების დადგენილებაში სტუდენტები მოითხოვდნენ ყველა დათხოვნილი ამხანაგის დაბრუნებას, დროებითი წესების გაუქმებას და სხვ.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 311.

26 ნოემბერს ოდესის უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 250 კაცი. კრებაზე წაკითხულ იქნა ხარკოვის ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტთა მოწოდება მხარი დაეჭირათ მათი ბრძოლისათვის სახალხო განათლების სამინისტროს წინააღმდეგ. კრებამ დაადგინა მოეწყო გაფიცვა ყველა ფაკულტეტზე და განეგრძო მანამდე, სანამ არ დააკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს.»

სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობის ხელმძღვანელები ცდილობდნენ მოძრაობისათვის მიეცათ საყოველთაო ხასიათი. 1901 წლის ნოემბრის ბოლოს პეტერბურგიდან ვარშავაში ჩავიდა დელეგატი იმ მიზნით, რომ აგიტაცია გაეწია ვარშავის სტუდენტებს შორის, რათა ისინიც ჩაბმულიყვნენ საერთო მოძრაობაში. ამ წინადადებას სიმპათიით შეხვდა ადგილობრივი სტუდენტობა. 1 დეკემბერს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედგა სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრებამ დირექტორს წაუყენა მოთხოვნა, რათა მას ეშუამდგომლა უფროსების წინაშე ინსტიტუტის დაპატიმრებული სტუდენტების ციხიდან განთავისუფლების შესახებ. 4 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტში შედგა კრება, რომელსაც 300 კაცი დაესწრო. პროფესორებს ლექციების წაკითხვის საშუალება არ მისცეს, პოლიციისა და რექტორის წინადადებას — დაშლილიყვნენ, არ დაემორჩილნენ და პროტესტი განუცხადეს 21 ნოემბერს ქუჩის დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ მათი ამხანაგების დაპატიმრების გამო. პოლიციამ შეადგინა კრების 171 მონაწილის სია და გადასცა უნივერსიტეტის გამგეობის სასამართლოს ლექციებზე პროფესორის დაუშვებლობის ბრალდებით.

ხმებმა სხვადასხვა ქალაქებში გაჩაღებულ სტუდენტთა მოძრაობის შესახებ ტომსკის სტუდენტებამდეც მიაღწია; აქაც დაიწყო საპროტესტო კრებების მოწყობა. 1901 წლის ნოემბრის ბოლოს ტომსკის ახალგაზრდობაში გავრცელდა ციმბირის სოციალ-დემოკრატიული კავშირის მოწოდება სათაურით—„წერილი ქალაქ ტომსკის სტუდენტებს“. მოწოდებაში აღნიშნული იყო: „ყაზანის საკავშირო საბჭო, რომელიც სტუდენტებს მოუწოდებს ფართო პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, სრულიად მართალია, ვინაიდან ინტელიგენციისა და პროლეტარიატის ახლანდელ უუფლებო პირობებში აკადემიური თავისუფლების მიღწევა რუსეთში შეუძლებელია. ჩვენ არ დაგვაკმაყოფილებს არც წმინდა მეცნიერება,... არც მოსწავლეთა ამხანაგური ერთიანობა პროფესორებთან, როდესაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგები იღუპებიან ციხეში და გადასახლებაში, ხოლო მილიონიანი მასები კი შიმშილობენ. ციმბირის ორგანიზებუ-

ლი პროლეტარიატის წარმომადგენლები იწვევენ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ პროლეტარიატისა და მთელი ოპოზიციური რუსეთის ერთობლივ მოძრაობაში, ბურჟუაზიულ წყობილებასა და თვითმპყრობელურ მთავრობასთან საბრძოლველად“ [1].

1901 წელს რუსეთში გაჩაღებულ სტუდენტთა მოძრაობას ფართოდ გამოეხმაურა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი რუსეთის ახალგაზრდობა. 29 ნოემბერს გამოვიდა რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის ბიულეტენი № 5. მასში გადმოცემული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა 30 ოქტომბრის კრებისა და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 24 ოქტომბრის კრების რეზოლუციები.

რუსი სტუდენტების წრემ ბერლინში გამოუშვა რეზოლუციის პროექტი საზღვარგარეთელი რუსი სტუდენტების გაერთიანების საკითხზე. რეზოლუცია ეხება საზღვარგარეთელი რუსი სტუდენტების ინტერესების დაცვას, მათს დაკავშირებას რუსეთის სტუდენტების ინტერესებთან. „საზღვარგარეთ მოსწავლე რუსი ახალგაზრდობა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომელიც სამშობლოდან შორს არის რუსეთის წესწყობილების გამო, — მაგრამ რომელმაც შეინარჩუნა სულიერი ურთიერთობა რუსეთის სტუდენტობასთან, უერთდება რუსეთის სტუდენტობის განმათავისუფლებელ მოძრაობას“ [2]. რეზოლუციაში მოცემულია შემდგომი მრქმედების პროგრამა.

1901 წლის 19 ნოემბერს და 2 დეკემბერს ჟენევის უნივერსიტეტში შედგა რუს სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრო 170 კაცი; კრებაზე შეიმუშავეს რუსეთის სტუდენტებისათვის გასაგზავნი წერილი. წერილში ლაპარაკი იყო ახალი ბრძოლის მოახლოვების, ახალი ბრძოლის აუცილებლობისა და ახალი მსხვერპლის გაღების აუცილებლობის შესახებ.

ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნდა „რუსი სტუდენტების პროტესტი პარიზში“, რომელიც რუსულად თარგმნეს და ჰექტოგრაფზე გაამრავლეს მოსკოვში. მასში ნათქვამი იყო, რომ პარიზის რუსული უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა, რომლებიც შეიკრიბნენ 21 ნოემბერს და 4 დეკემბერს, ერთხმად მიიღეს პროტესტი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენ, პარიზის უმაღლესი სკოლის სტუდენტები, — ნათქვამი იყო პროტესტ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 313.

[2] იქვე, ფურ. 314.

ში,—ვუერთდებით რუსი სტუდენტებისა და საზოგადოების პროტესტს მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, და ვუგზავნით ძმურ სალამს ამხანაგებს, რომლებიც იბრძვიან ძალადობის წინააღმდეგ... დავტოვეთ რა ჩვენი ქვეყანა, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ თქვენი ბრძოლის ფორმები ორგანიზებული რეჟიმის სისასტიკის წინააღმდეგ, რომელიც უსირცხვილოდ და უხეშად თელავს ადამიანის უფლებას და ღირსებას. თქვენს რიგებში დავიწყეთ ჩვენ ეს ბრძოლა და თქვენთან ერთად ჩვენც დაველოდებით გამარჯვების დღეს. დაე ჩვენი მუდმივი მოწოდება იყოს: „ძირს თვითმპყრობელობა, რომელიც ჩაგრავს ჩვენს სამშობლოს. გაუმარჯოს რუსეთს, რომელიც მიისწრაფვის დაამსხვრიოს ბორკილები ახალი ცხოვრებისათვის! გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ სტუდენტებს და რუსეთის პროლეტარიატს!“ [1].

1901 წლის ნოემბერში და დეკემბერში დიდი საპროტესტო დემონსტრაციები და კრებები გაჩაღდა იურიევის (ახლა ტარტუ) უნივერსიტეტის სტუდენტებს შორისაც. ამ მოძრაობას სათავეში ედგა „დერპტის გაერთიანებულ სათვისტომოთა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო“, რომელიც სისტემატურად ღებულობდა ცნობებს პეტერბურგისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გაჩაღებულ სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, და რომელიც თავის მხრივ სისტემატურად ავრცელებდა მოწოდებებს.

20 ნოემბერს ფიზიოლოგიური ინსტიტუტის შენობაში შედგა იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრო 479 კაცი. კრებაზე მოწვეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც წარუდგინეს წერილობითი მოთხოვნები, სადაც ნათქვამი იყო: „კვლავ მოვითხოვთ: 1) უმაღლესი სასწავლებლების სრულ ავტონომიას, საუნივერსიტეტო სწავლების თავისუფლებას, სტუდენტთა კრებების, ორგანიზაციებისა და სასამართლოს თავისუფლებას; 2) უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საშუალო სკოლადამთავრებულის შეუზღუდავ მიღებას ამ უკანასკნელთა ტიპის მიუხედავად; 3) უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელთა მიღების პროცენტული ნორმების მოსპობას და საერთოდ უმაღლეს სასწავლებლებში თავისუფალ მიღებას ეროვნებისა და რელიგიური რწმენის მიუხედავად; 4) ქალების შეუზღუდავ მიღებას ყველა უმაღლეს სასწავლებელში; 5) პირადი ხელშეუხებლობის გარანტიას; 6) ყველა ამხანაგის უკან დაბრუნებას, რომლებიც დაისაჯენ სტუდენტთა მოძრაო-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 314.

ბაში მონაწილეობისათვის, არა უგვიანეს შემდეგი სემესტრის დაწყებისა; 7) ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას; 8) საკანონმდებლო წესით „დროებითი წესების“ გაუქმებას; 9) ადგილობრივი მოთხოვნები: გაუქმება ქირისა მატრიკულისათვის, კლინიკებისა და ლაბორატორიების გამოყენებისათვის, სწავლის ქირის შემცირება, სტუდენტთა უფასო მკურნალობა, სტიპენდიის კანდიდატთა დანიშვნა კურსების მიერ; 10) და ბოლოს ვაცხადებთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ ამ მოთხოვნათა სრული განხორციელებისათვის“[1].

ანალოგიური შინაარსის რეზოლუცია გამოიტანა იურიევის ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტთა 26 ნოემბრის კრებამ, რომელსაც დაესწრო 138 კაცი. ერთმანეთის მიყოლებით ეწყობოდა სტუდენტთა საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები რიგაში, ყაზანში, ვარშავაში, იაროსლავლში და სხვ., სისტემატურად ავრცელებდნენ ბიულეტენებს და პროკლამაციებს, რომლებშიაც მოცემული იყო მოწოდება ბრძოლისაკენ და პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ.

სტუდენტებსა და მუშებს შორის აგიტაციის გასაწევად და დემონსტრაციების მოსამზადებლად მოწინავე სტუდენტებიდან გამოყოფილი იყო ათეულობით და ასეულობით აგიტატორი. სტუდენტ-აგიტატორებმა სოციალ-დემოკრატებისა და სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გაშალეს რევოლუციური აღმავლობის წლებში. პოლიციის დეპარტამენტის 1901 წლის საიდუმლო ცნობის თანახმად პეტერბურგის სტუდენტებიდან გამოყოფილი იყო 75 აგიტატორი, მოსკოვის სტუდენტებიდან — 52, კიევის — 48, ხარკოვის — 213, იურიევის—109, ოდესის — 25, რიგის — 58, ნოვოალექსანდრიის — 13, ტომსკის — 6, იაროსლავლის— 13. ამ აგიტატორთა შორის იყვნენ ქართველი სტუდენტებიც.

ვ. ი. ლენინი სტუდენტებს ასწავლიდა, რომ სტუდენტთა მოძრაობა მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მას მხარს დაუჭერს ხალხი, განსაკუთრებით მუშათა კლასი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1901 წელს ხარკოვში სტუდენტების საქმეებით გამოწვეული დემონსტრაცია გადაიქცა ქუჩის ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად იმიტომ, რომ ამ დემონსტრაციაში სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ მრავალი განათლებული ადამიანი და მუ-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქ. № 22, ფურ. 319.

შები. წინა წლების გამოცდილებით სტუდენტობა მტკიცედ დარწმუნდა, რომ „...მხოლოდ ხალხის და უმთავრესად მუშების მხრივ მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს მათი გამარჯვება, ხოლო ასეთი მხარდაჭერის მოპოვებისათვის ისინი უნდა გამოვიდნენ საბრძოლველად არა მარტო აკადემიური (სტუდენტური) თავისუფლებისათვის, არამედ მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“[1]. ლენინი მიუთითებდა, რომ ხარკოვის, პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის და რიგის სტუდენტებმა შეიგნეს, რომ „ხალხის შავბნელი მონობის დროს“ აკადემიურ თავისუფლებაზე ოცნება სრული უაზრობაა. „პოლიციის მიერ იაროსლავლის სტუდენტების მხეცური ცემა-ტყეპა ქუჩაში და პოლიციის ნაწილში, — ყველა ეს და ათასი სხვა ფაქტი ღაღადებდა ბრძოლას, — წერდა ლენინი,— ბრძოლას და ბრძოლას მთელი თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ“[2].

სოციალ-დემოკრატების მოწოდებებით და მუშების მხარდაჭერით გამხნევებული სტუდენტობა აძლიერებდა და აფართოებდა საპროტესტო გამოსვლებს. მოთმინებიდან გამოსულმა ხარკოვის ვეტერინარული ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტებმა პეტიცია წარუდგინეს ხელმძღვანელობას პროფესორ ლაგერმარკის დათხოვნის შესახებ; ისინი მოითხოვდნენ საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების, უხეშობის (რაც ზოგჯერ სტუდენტთა ცემამდეც კი მიდიოდა) აღკვეთას. მთავრობამ საქმის გამოუძიებლად ინსტიტუტიდან გაყარა მთელი კურსი. მეფის მთავრობის ამ აღვირახსნილი მოქმედების გამო „...ფეხზე დადგა მთელი ხარკოვის სტუდენტობა და დაადგინა გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობა. 28 ნოემბერს — 2 დეკემბერს ხარკოვი მეორედ გადაიქცა ამ წელს საომარ ასპარეზად, სადაც „შინაური თურქები“ ებრძვიან ხალხს, რომელიც პროტესტს აცხადებდა თვითმპყრობელური თვითნებობის წინააღმდეგ ერთი მხრივ, შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!“. მეორე მხრივ — ხმლის რტყმევა, მათრახის ცემა, ცხენებით ხალხის გაქელვა. პოლიციამ და კაზაკებმა, რომელნიც დაუნდობლად სცემდნენ ყველას, სქესისა და ასაკის განურჩევლად, გაიმარჯვეს უიარაღო ხალხზე და ზეიმობენ“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 401.

[2] იქვე.

[3] იქვე, 402.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რათა მუშებსა და ყველა შეგნებულ ადამიანს პოლიტიკური პროტესტით ეპასუხნათ სტუდენტებისადმი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ვინაიდან მეფის მთავრობის მიერ სტუდენტთა მოძრაობის მონათვლა უტიფრობად, აღვირახსნილობად, მათი აბუჩად აგდება და ხულიგნებად გამოცხადება — „ეს სილის გაწნვაა რუსეთის საზოგადოებრივი აზრისათვის, რომლის სიმპათიებიც სტუდენტობისადმი მთავრობისათვის კარგად ცნობილია“ [1]. ლენინი მოუწოდებდა, რომ მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო სტუდენტობის მოვალეობას არ შეადგენს, რომ „...ხალხის ყველა ფენის შეგნებული ელემენტები მოვალენი არიან პასუხი გასცენ ამ გამოწვევას, თუ მათ არ სურთ ჩამოქვეითდნენ უტყვი მონების მდგომარეობამდე, რომლებიც უხმოდ იტანენ ყოველგვარ შეურაცხყოფას... ჩვენი განათლებული კლასების საუკეთესო წარმომადგენლებმა დაამტკიცეს და მთავრობის მიერ ათასობით წამებულ რევოლუციონერთა სისხლით აღბეჭდეს თავისი უნარი და მზადყოფნა — შემოიბერტყონ ფეხთაგან ბურჟუაზიული საზოგადოების მტვერი და ჩადგნენ სოციალისტების რიგებში. და სოციალისტის სახელწოდების ღირსი არ არის ის მუშა, რომელსაც გულგრილად შეუძლია უცქიროს იმას, თუ როგორ გზავნის მთავრობა ჯარს მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სტუდენტი ეხმარებოდა მუშას, — მუშა უნდა დაეხმაროს სტუდენტს“ [2].

საზოგადოების აღშფოთების ტალღამ 1901 წელს ისეთი ძლიერი ხასიათი მიიღო, რომ მეფის მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით ვერ შეძლო მისი ჩაქრობა. მაშინ მეფემ მიმართა ხრიკს, მასების მოტყუებას, მან გააძლიერა პროპაგანდა და სტუდენტებს დაპირდა თავისუფლებას, მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებას. მაგრამ მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება. პირიქით, მან ახალი მკაცრი ზომებით — ცემით, დაპატიმრებითა და ჯარში გაგზავნით უპასუხა დემონსტრანტებს. ყოველივე ამან ახალი, უფრო ძლიერი მღელვარება გამოიწვია ინტელიგენციაში, სტუდენტთა მძლავრი მღელვარება მეორედ მოედო რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელს.

სტატიაში — „გაკოტრების ნიშნები“, რომელიც გაზ. „ისკრის“ 1902 წლის მე-17 ნომერში გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინმა ამხილა მეფის მთავრობის დაპირების აშკარა სიყალბე და მთელი ძალით გაუსვა ხაზი, რომ თვითმპყრობელობა დახელოვნდა რუსეთის პროგრე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 514.
[2] იქვე, გვ. 514 — 515.

სულ ელემენტებთან 40 წლის ბრძოლის გამოცდილებით. ლენინი მოუწოდებდა რუსეთის მოწინავე პროგრესულ საზოგადოებრიობას. რომ თვითმპყრობელობის უკან დახევის შემთხვევაში ბრძოლა მის წინააღმდეგ კი არ შეენელებინა, არამედ გაეძლიერებინა. ლენინი პირდაპირ ეუბნებოდა საზოგადოებას: „თუ შენი მოწინააღმდეგე თავზარდაცემულია პირველი სერიოზული შეტევით. დაჰკარ და დაჰკარ ლახვარი, გაათრკეცე ამ დარტყმის ძალა და სიხშირე...“ [1].

ლენინისა და ლენინელების მიერ გაჩაღებული მძლავრი რევოლუციური პროპაგანდის შედეგად, რომელმაც ამხილა მეფის მთავრობის ყველა დაპირების სიყალბე და მის მიერ შემოღებული „დროებითი წესები“, რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები კვლავ უარს ამბობდნენ ფუნქციონირებაზე. სტუდენტთა დიდი ნაწილი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მთავრობის მიერ შემოღებულ ახალ „დროებით წესებს“. მთავრობის ამ ახალი ღონისძიების გამო აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პროფესორებიც. ლენინი აღნიშნავდა, რომ „დროებითი წესების“ შემოღება და მისი განხორციელება კიდევ უფრო გაამწვავებს სტუდენტებსა და მთავრობას შორის წინააღმდეგობას, რომ ამ წესების ცხოვრებაში შემოღება ყველგან გამოიწვევს ახალ აღშფოთებას. ლენინის ეს სიტყვები სავსებით გაამართლა მოვლენათა მსვლელობამ.

სტუდენტთა მძლავრი მოძრაობით აღფრთოვანებული ლენინი მოუწოდებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებას, რომელმაც ჩასთვლიმა მეფის მთავრობის „გამცემლური სიმღერების ჰანგზე“ და რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა დუმილს, მხარი დაეჭირა სტუდენტთა განახლებული მღელვარებისათვის, ბრძოლის პასიური მაყურებლიდან გადაქცეულიყო მებრძოლ ძალად, პროტესტით გამოსულიყო მისი შვილების უსამართლო დევნის წინააღმდეგ. ლენინი მოუწოდებდა განათლებულ საზოგადოებას მიებაძათ მუშებისათვის სტუდენტობის მოძრაობისადმი მხარის დაჭერის საქმეში. „პროლეტარების შვილები და ძმები ხომ არ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, და მაინც მუშებმა კიევშიც, ხარკოვშიც, ეკატერინოსლავშიც უკვე აშკარად განუცხადეს თავისი თანაგრძნობა პროტესტანტებს... ნუთუ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური იდეალიზმის ეს გამოხატულება გავლენას არ მოახდენს საზოგადოების ყოფაქცევაზე, რომელიც სისხლხორცეულად და უშუალოდ დაინტერესებულია

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 85.

სტუდენტთა ბედით, და არ დასძრავს მას ენერგიული პროტესტი-სათვის?"[1], — წერდა ლენინი.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სტუდენტთა მოძრაობის შედეგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დაუჭერს მას მხარს ლიბერალური საზოგადოება; მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო ეს შედეგი, ლენინისათვის ერთი რამ შაინც ნათელი იყო, რომ სტუდენტთა საერთო მოძრაობის განმეორება თვითმპყრობელური წყობილების პოლიტიკურ გაკოტრებას ნიშნავდა. უკეთებდა რა ანალიზს ამ მოძრაობას, 1902 წლის თებერვალში ლენინი წერდა: „სამი წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო ცხოვრება ვერ ჩამდგარა კალაპოტში, მეცადინეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოებს, სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი ბორბალი აღარ მოქმედებს და, ერთხანს საცოდავად რომ შემოტრიალდება, კვლავ დიდი ხნით ჩერდება. და ახლა არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში არ არსებობს ამ სატკივრის რადიკალური განკურნების საშუალება"[2].

მთელ ქვეყანაში სტუდენტთა საყოველთაო მღელვარება თვითმპყრობელური წყობილების აშკარა გაკოტრებისა და გახრწნის მომასწავებელი იყო. არსებული წყობილების გაკოტრების ყოველი ახალი გამოვლინება საფუძველს უთხრიდა მას, ავტორიტეტს უკარგავდა მთავრობას იმათშიაც, ვისაც მისი დაპირებისა ჯერ კიდევ სჯეროდა, ზრდიდა თვითმპყრობელური წყობილების მოსპობის მომხრეთა რიცხვს, აძლიერებდა და ამრავლებდა რევოლუციის ძალებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1901 წლის სტუდენტთა საყოველთაო საპროტესტო მოძრაობა დამარცხდა, მას მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტუდენტთა მოძრაობის ისტორიას არ ახსოვდა ასეთი მძლავრი და თავდადებული ფართოხასიათის გამოსვლები. სტუდენტთა მოძრაობამ პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობასთან შეერთება. ამ გარემოებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ, რომელმაც უნივერსიტეტიდან გარიცხა და მოსკოვიდან გაასახლა გაფიცვის 500-ზე მეტი მონაწილე სტუდენტი, ვერ გაბედა მათ მიმართ გამოეყენებინა „დროებითი წესები" — ჯარისკაცად გაეგზავნა ესინი.

რევოლუციური აღმავლობის წლებში ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლე ახალგაზრდობაში პოლიტიკური განათლების შეტანას, მის იდეურ აღზრდას, მისი მუშაობის გაჩა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 88.
[2] იქვე, გვ. 88 — 89.

ღებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. „ისკრის“ რედაქციის სახელით დაწერილ შენიშვნაში საშუალო სკოლების მოსწავლეთა სამხრეთ რუსეთის ჯგუფის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების გამო, რომელიც „ისკრაში“ დაიბეჭდა, ვ. ი. ლენინმა მოგვცა მოსწავლე ახალგაზრდობასთან პარტიის დამოკიდებულებისა და ახალგაზრდობის იდეური აღზრდის პროგრამა. ამ სტატიაში ლენინი წერდა:

„ეცადეთ თქვენი ორგანიზაციის მთავარ მიზნად გაიხადოთ თვითგანათლება, დარწმუნებულ, მტკიცე და გამობრძმედილ სოციალ-დემოკრატებად ჩამოყალიბება. რაც შეიძლება უფრო მტკიცედ განასხვავეთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა უშუალო პრაქტიკული საქმიანობისაგან. ეცადეთ... გაბათ უაღრესად მჭიდრო (და უაღრესად კონსპირაციული) კავშირურთიერთობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ან საერთო-რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, რათა არ მოგიხდეთ საქმის ცალ-ცალკე დაწყება, რათა უკვე შეგეძლოთ დაიწყოთ არა თავიდან, არამედ განაგრძოთ წინათ გაკეთებული, ერთბაშად ჩადგეთ რიგებსა და რაზმებში, წინ წასწიოთ მოძრაობა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოთ იგი“ [1].

ლენინის მითითებათა საფუძველზე სოციალ-დემოკრატები ყველგან უმაღლეს სასწავლებლებში იბრძოდნენ სტუდენტთა ხელმძღვანელ ჯგუფებზე — სტუდენტთა ბიუროებზე გავლენის მოსახდენად. მოსკოვის, პეტერბურგის, კიევისა და სხვა ქალაქების მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ბიუროს წევრების უმრავლესობას შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, რის გამოც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლეოდათ სტუდენტები გამოეყენებინათ როგორც აგიტატორები, პროპაგანდისტები, ლიტერატორები ახალგაზრდობაზე გავლენის მოსახდენად. ბევრი მოწინავე სტუდენტი პარტიას ჩაბმული ჰყავდა პროკლამაციების ბეჭდვასა და რევოლუციური არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში.

1902 წლის გაზაფხულიდან რსდმპ ადგილობრივმა კომიტეტებმა დაიწყეს მტკიცე კავშირის დამყარება მოსწავლე ახალგაზრდობის არალეგალურ წრეებთან. ასეთი წრეები კი მაშინ საუნივერსიტეტო ქალაქებში ბევრი იყო. მარტო პეტერბურგში 1903 წლის გაზაფხულისათვის ითვლებოდა სტუდენტთა 24 წრე. სტუდენტთა მოძრაობისადმი უკეთესი ხელმძღვანელობის მიზნით 1904 წლის გაზაფხულ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 348.

ზე პეტერბურგში შეიქმნა პეტერბურგის სტუდენტთა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც რაიონული ორგანიზაციის უფლებით შედიოდა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტში. ამავე დროს მოსკოვში არსებობდა მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

სტუდენტთა ხელმძღვანელ ორგანიზაციებზე პოლიტიკური გავლენის მოხდენის მიზნით ერთმანეთს ებრძოდნენ სხვადასხვა პარტიები. ეს აშკარად ჩანს პეტერბურგის სტუდენტთა გაერთიანებული ორგანიზაციის მაშინდელ პროკლამაციაში და სხვა წყაროებში.

1901 — 1904 წლების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ და სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბოლშევიკები. რსდმპ II ყრილობის რეზოლუციის პროექტში მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა მოსწავლე რევოლუციურ ახალგაზრდობას და წინადადებას აძლევდა პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად შეეწყოთ ხელი ახალგაზრდობის შეკავშირებისათვის, სერიოზულად დახმარებოდა მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს მთლიანი და თანმიმდევრული სოციალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებაში, მარქსიზმის გაცნობაში, ჩაენერგა მათთვის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმთან ბრძოლის აუცილებლობა. ლენინი მოუწოდებდა მოსწავლეებს: „...თავი აარიდონ ახალგაზრდობის იმ ყალბ მეგობრებს, რომლებიც აშორებენ მას სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას ფუჭი რევოლუციური თუ იდეალისტური ფრაზეოლოგიით და ფილისტერული გოდებით იმის შესახებ, თითქოს მავნებელია და საჭირო არ არის მკვეთრი პოლემიკა რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმართულებათა შორის, ...ეცადონ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლისას წინასწარ გააბან კავშირურთიერთობა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა გამოიყენონ მათი მითითებანი და, შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილონ დიდი შეცდომები მუშაობის დასაწყისშივე"[1].

რეზოლუციის ამ პროექტის ძირითად აზრს იცავდა ვ. ი. ლენინი თავის სიტყვაში მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხზე რსდმპ II ყრილობაზე, სადაც მან ამხილა ახალგაზრდობის ყალბი მეგობრები — ლიბერალები და სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც ახალგაზრდობას არწმუნებდნენ, რომ მისთვის საჭირო არ არის სხვადასხვა მიმდინარეობაში გარკვევა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 584 — 585.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის ძირითადი ამოცანები ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა თავის სტატიაში — „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სტუდენტის" 1903 წლის სექტემბრის მე-2 — 3 ნომრებში. ამ სტატიაში ვ. ი. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა ის ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რომლებიც ავრცელებდნენ რევოლუციისათვის მავნე აზრს, თითქოს სტუდენტების იდეური გაერთიანება მთლიან მსოფლმხედველობას არ მოითხოვს, რომ თითქოს იდეური გაერთიანება, რომელსაც ლენინელები მოითხოვდნენ, გულისხმობდა ერთგვარ უიდეობას. ამას ეს ოპორტუნისტები ასაბუთებდნენ იმით, რომ სტუდენტობაში იყო სხვადასხვაგვარი ჯგუფები მათი პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებების მიხედვით, ამიტომ მსოფლმხედველობის მთლიანობის მოთხოვნა პარტიას, რევოლუციას ჩამოაშორებდა სტუდენტთა ზოგიერთ ჯგუფს, ხელს შეუშლიდა გაერთიანებას, ერთსულოვან მუშაობას და დაასუსტებდა რევოლუციის საერთო პოლიტიკურ ძალასო.

ამ პერიოდში ინტელიგენციის ფენებიდან ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტობას, ეს იმიტომ, რომ „..სტუდენტობა ინტელიგენციის ყველაზე გულისხმიერი ნაწილია, ხოლო ინტელიგენციას იმიტომაც ჰქვია ინტელიგენცია, რომ ის ყველაზე შეგნებულად, ყველაზე გაბედულად და ყველაზე ზედმიწევნით ასახავს და გამოხატავს კლასობრივ ინტერესთა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა განვითარებას მთელ საზოგადოებაში. სტუდენტობა არ იქნებოდა ის, რაც არის, მისი პოლიტიკური დაჯგუფება რომ არ შეეფერებოდეს მთელი საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას..." [1].

ახასიათებდა რა რევოლუციური სტუდენტობის ბრძოლის მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი ამავე დროს აკრიტიკებდა სტუდენტობის და საერთოდ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელსაც მაშინ სტუდენტ „აკადემისტებს" უწოდებდნენ. ლენინი „აკადემისტების" ნაცვლად ხმარობს „მეკულტურულებს". სტუდენტი „მეკულტურულები" ემხრობოდნენ ლეგალურ პროგრესს პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, ისინი კმაყოფილდებოდნენ პროფესიული ინტერესების ვიწრო ფარგლებით, მოითხოვდნენ მდგომარეობის გაუმჯობესებას მშვიდობიანი გზით, გაურბოდნენ პოლიტიკას და ბრძოლის საჭიროებას.

დაასაბუთა რა, რომ სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება შემთხვევითი არ იყო, ლენინმა გაარკვია, თუ სახელდობრ როგორ უნდა გვესმოდეს სტუდენტობის იდეური გაერთიანება, მისი გარე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 37.

ვოლუციონერება. მან აღნიშნა, რომ სტუდენტობის იდეური გაერთიანების გარეშე სტუდენტობის გარეკოლუციონერებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. სოციალ-დემოკრატია უნდა ეცადოს, რომ თავისი რეჟიმი გაავრცელოს სტუდენტობაში, უფრო შეგნებული და უფრო გაბედული გახადოს სტუდენტობის ყოველგვარი მოძრაობა.

სტატიაში — „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები" — ვ. ი. ლენინი აშუქებს იმ ბრძოლის ისტორიას, რომელიც გაიმართა ოპორტუნისტულ-ლიბერალური მიმდინარეობის — „რევოლუციონნაია როსიასა" და ლენინურ „ისკრას" შორის. ეს დავა გაჩაღდა იმასთან დაკავშირებით, რომ „რევოლუციონნაია როსიაში" და „სტუდენტის" № 1-ში დაბეჭდა გაერთიანებულ სათვისტომოთა და სტუდენტთა ორგანიზაციების კიევის კავშირის საბჭოს „ღია წერილი", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სტუდენტობას არ შეუძლია მიემხროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. გაზეთმა „ისკრამ" სასტიკად გააკრიტიკა ასეთი მსჯელობა, როგორც მავნე და მიუღებელი, ხოლო „რევოლუციონნაია როსიამ" თავგამოდებით დაიწყო მისი დაცვა და „ისკრელებს" დაქსაქსვისა და გათიშვის მქადაგებლები, ფანატიკოსები და უტოპიტოები უწოდა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სტუდენტობა აუცილებლად უნდა მიეხდოა პარტიას, მისი ხელმძღვანელობით იმუშაოს და გააჩაღოს პოლიტიკური ბრძოლა. სოციალისტ-რევოლუციონერები კი „უპარტიობას" ჩასჩიჩინებდნენ სტუდენტობას.

ვ. ი. ლენინმა დაუნდობლად ამხილა სოციალისტ-რევოლუციონერების ბურჟუაზიული ბუნება და აღნიშნა, რომ მათი მსჯელობა სასტიკად უნდა დაგმოს ყოველმა სოციალისტმა, ვინაიდან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არსებითად ბურჟუაზიული ფრაქციაა და მეტი არაფერი, „...ფრაქცია,— წერდა ლენინი,— რომელიც თავისი შემადგენლობით უმთავრესად ინტელიგენტურია, თვალსაზრისით — უმთავრესად წვრილბურჟუაზიული, თეორიული მრწამსით — უახლესი ოპორტუნიზმისა და მამაპაპური ნაროდნიკობის ეკლექტიკურად შემაერთებელი"[1].

ამუშავებდა რა სტუდენტებთან პარტიის დამოკიდებულების ტაქტიკის საფუძვლებს, ლენინი მიუთითებდა, რომ მისი მოთხოვნა პოლიტიკურ მიმართულებათა სრული გამიჯვნის შესახებ სრულიადაც არ ნიშნავს პროფესიულ და სასწავლო კავშირებთან ურთიერთობის უარყოფას. ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალ-დემოკრა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 50.

ტიის ამოცანაა გააძლიეროს სტუდენტობაში მუშაობა, ღრმად და ფართოდ შეიჭრას სტუდენტთა წრეებში, ეცადოს გააფართოოს მათი ჰორიზონტი, სწორად აწარმოოს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროპაგანდა.

მოსწავლე ახალგაზრდობაში პოლიტიკური განათლების შეტანის საჭიროების, ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის მუშათა მოძრაობასთან დაკავშირების ლენინურ იდეას ბრწყინვალედ ახორციელებდნენ ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. ამ დიდი მუშაობის შედეგად რევოლუციური აღმავლობის დროს მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს მხურვალედ დაუჭირა მხარი დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობამ. რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტის მოწოდებით 1903 წლის 14 ივლისს თბილისში დაწყებულ მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ათასზე მეტმა კაცმა, და 17 ივლისს ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში და სხვა ქალაქებში დაწყებულ გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა, მხარი დაუჭირა მოწინავე ინტელიგენციამაც.

მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისა და მათში სოციალ-დემოკრატიული იდეების შეტანის მიზნით, რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა ახალგაზრდობის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა უფროსი კლასის მოწაფეებს. სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ამ ორგანიზაციამ მგზნებარე რევოლუციური მუშაობა გაშალა მოსწავლე ახალგაზრდობაში. თბილისის კომიტეტის მითითებით ახალგაზრდობის ორგანიზაციამ 1902 წელს გამოსცა რამდენიმე ნაბეჭდი ბიულეტენი. მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა; მან მასობრივი ხასიათი მიიღო ქუთაისის გუბერნიაში. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით 1904 წელს ქუთაისში მოეწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივი დემონსტრაცია მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიასა და საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანომ გაზეთმა „ბრძოლამ“ და რევოლუციურმა ფურცლებმა, რომლებიც მასობრივად ვრცელდებოდა მოსწავლეებს შორის. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციის შექმნას და მუშაობას დიდი ინტერესით შეხვდა ლენინური გაზეთი „ისკრა“, რომელიც 1902 წლის 15 სექტემბრის ნომერში წერდა: „მოსწავლე ახალგაზრდობამ სცა-

და შეექმნა ორგანიზაცია, რომელიც მოიცავდა თბილისის საშუალო სასწავლებლების... დიდ რიცხვს. მის მიერ გამოცემული ბიულეტენი აცნობდა საზოგადოებას სტუდენტთა მღელვარების მიმდინარეობას. ხელმოწერით გამოვიდა უკვე დაბეჭდილი რამდენიმე ბიულეტენი, რომლებიც შეეხებიან მოსწავლის პიროვნების დაბეჩავების იმ სისტემას, რითაც მთავრობა თავისთვის მონების შექმნას ფიქრობს".

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი იყო გამოჩენილი ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც თბილისის საფერშლო სკოლაში შევიდა 1901 წლის შემოდგომაზე. ამ სკოლასთან, როგორც ზინაიდა ორჯონიკიძე გადმოგვცემს თავის ნარკვევში „ბოლშევიკის გზა", რამდენიმე წელიწადს არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელშიც შედიოდა გ. კ. ორჯონიკიძე.

ამ სკოლის მოსწავლეების იდეურად აღზრდისა და რევოლუციურ მოძრაობაში მათი ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულეს დემოკრატიულად განწყობილმა მასწავლებლებმა — გედევანიშვილმა, ნათაძემ, პოტიომკინსკიმ, საფერშლო სკოლის უფროსმა ექიმმა გურკომ და სხვ.

სოციალ-დემოკრატიული წრის ხელმძღვანელობით საფერშლო სკოლის მოსწავლეები თავიანთი რევოლუციური განწყობილებით მაგალითს უჩვენებდნენ და გავლენას ახდენდნენ სხვა სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობაზე. საფერშლო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის თვალსაჩინო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო სერგო ორჯონიკიძე. „მალე გრიშა სკოლის ახალგაზრდობის წინამძღოლი, მისი გამოსვლებისა და გაფიცვების ორგანიზატორი გახდა. სკოლაში ფართოდ ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა. ხშირად პროკლამაციებს ვპოულობდი ჩემი ბალიშის ქვეშაც", — წერდა თავის მოგონებებში ორჯონიკიძის ყოფილი მასწავლებელი მ. ნათაძე.

თბილისის საფერშლო სკოლის მოსწავლეთა წრემ თავისი რევოლუციური მოღვაწეობით სახელი გაითქვა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. ეს წრე „...რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ძირეული რგოლი იყო. წრე უშუალოდ ექვემდებარებოდა თბილისის მოწაფეთა საერთო ცენტრს. ცენტრიდან გზავნიდნენ ხელმძღვანელებსა და ლექტორებს, იქიდან ღებულობდნენ პარტიულ დირექტივებს" [1].

---

[1] ზ. ორჯონიკიძე, ბოლშევიკის გზა, გვ. 16.

მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გავლენით 1903—1904 წლებში გაძლიერდა საპროტესტო მოძრაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში. ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ მოძრაობას, ცდილობდნენ მისთვის მიეცათ ორგანიზებული ხასიათი. ამ მიზნით ბოლშევიკები უკავშირდებოდნენ მოსწავლეებს, მათ მოძრაობას აძლევდნენ მიმართულებას, ქმნიდნენ მოწაფეთა არალეგარულ წრეებს და სხვ. 1904 წლის იანვარში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია სათაურით „მოსწავლე ახალგაზრდობას", რომელშიც მოუწოდებდა მოსწავლეებს მოეწყოთ არალეგარული სოციალ-დემოკრატიული წრეები.

პროკლამაციაში აღნიშნული იყო, რომ თვითმპყრობელური მთავრობა ცდილობს სულთამხუთავი ყაზარმული დისციპლინის შექმნით, სასტიკი რეპრესიებით ჩაახშოს მოსწავლეებში მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, და მიმართავს მოსწავლეებს, რომ მიუხედავად ამისა, „...არ შეიძლებოდა თვალში არ გცემოდათ იმ ხანძრის კაშკაშა ალისფერი დაფიონი, რომელმაც სხვადასხვა მხრიდან გაანათა რუსეთი და გაჰფანტა წყვდიადი, რაც დღემდე მძიმე ბურუსად ჩამოსწოლოდა მას. და დაფიონის ალისფერი ანარეკლი არ შეიძლებოდა არ შემოჭრილიყო თქვენი (სასწავლო) დაწესებულებების აშმორებულ ატმოსფეროში, სინათლის სხივები არ შეიძლებოდა არ შემოჭრილიყო თქვენთანაც და ოდნავ მაინც არ გაეშუქებინა ის ბნელი დერეფნები, რომლებიც დღის შუქს მოკლებულ მიწისქვეშა კატაკომბებს უფრო მოგვაგონებს... ნუ დაემალებით ამ ნათელ სხივებს, მათ მოაქვთ გამამხნევებელი ნაკადები ცხოვრებისა" [1].

პროკლამაცია ურჩევდა მოსწავლე ახალგაზრდობას ჩამოეყალიბებინათ პატარა წრეები, შეექმნათ ორგანიზაციები, ბეჯითად ეკითხათ სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ გარკვეულიყვნენ თანამედროვე რთულ მოვლენებში, ეკითხათ კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის ნაწერები, გამსჭვალულიყვნენ მარქსიზმის იდეებით და შეესისხლხორცებინათ იგი, ევლოთ პროლეტარიატის დროშით; მზად ყოფილიყვნენ იმისათვის, რომ თავი შეწირათ ადამიანთა უფლების აღდგენის წმინდა საქმისათვის, გაეჩაღებინათ ბრძოლა

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 125.

არსებული წყობილების მოსპობად და სოციალისტური წყობილების დასამყარებლად.

1903 წლის პირველი მაისის დღის აღსანიშნავად კავშირის კომიტეტმა წინასწარ გააჩაღა სამზადისი. კომიტეტის გადაწყვეტილებით დემონსტრაცია უნდა მოწყობილიყო ერთდროულად — თბილისში, ბაქოსა და ბათუმში. ამ გადაწყვეტილების თანახმად, 27 აპრილს თბილისში დაიწყო დემონსტრაცია, რომელიც გამოვიდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!" „გაუმარჯოს თავისუფლებას!" „გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს!".

მშრომელთა დემონსტრაციებისადმი და თბილისის ვაგონშემკეთებელი გაფიცული მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადა „თბილისის სასწავლებლების უმრავლესობამ. ამხ. სერგო ორჯონიკიძე იყო გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი საფერშლო სკოლაში", — წერს თავის მოგონებებში საფერშლო სკოლის მასწავლებელი დ. ა. გედევანიშვილი. მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლები საქართველოს ყველა კუთხეს მოედო.

1901 — 1903 წლებში მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მეფის მთავრობამ მიმართა რეპრესიულ ზომებს, მაგრამ მთავრობის ამ მოქმედებას მოჰყვა საწინააღმდეგო შედეგი. სტუდენტთა მღელვარება და მათი მისწრაფება მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებისა, თანდათან ძლიერდებოდა.

სტუდენტთა მღელვარების გაძლიერების ერთ-ერთი საბაბი გახდა რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით თადარიგში მყოფი ყოფილი სტუდენტების ჯარში გაწვევა. 1904 წლის 16 ოქტომბერს იაროსლავლის (მოსკოვი) სადგურზე თავი მოიყარა რამდენიმე ათეულმა სტუდენტმა, რათა გაეცილებინათ თადარიგიდან ჯარში გაწვეული თავისი ამხანაგები და პროტესტი გამოეთქვათ იმ სამარცხვინო ომის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას სწყვეტდა ხალხის საუკეთესო შვილებს და რომელმაც უკვე იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე. ამ მშვიდობიან და დაუცველ სტუდენტთა ჯგუფს თავს დაესხნენ ჯარისკაცები, რომლებიც მთავრობამ წინდაწინ დაათრო. ჯარისკაცებმა არაადამიანურად სცემეს სტუდენტებს და დემონსტრაცია დაშალეს. მთავრობის ამ ბარბაროსულმა მოქმედებამ სტუდენტობისა და ყველა მოწინავე ადამიანის ახალი აღშფოთება გამოიწვია. ამ პოლიტიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ სტუდენტებმა 17 ოქტომბერს მოაწყვეს მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია.

მეფის მთავრობის ამ მხეცურ მოქმედებასთან დაკავშირებით

რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა 1904 წლის 19 ოქტომბერს გამოუშვა ფურცელი — „მოსწავლე ახალგაზრდობას", რომელიც სასტიკად ამხილებდა ხალხის საძულველი მთავრობის დესპოტურ მოქმედებას და მტკიცედ მოუწოდებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისაკენ. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „დაე სულ უფრო გაძლიერდეს ეს ცეცხლი, დაე მისმა მძლავრმა ალმა ამოწვას თქვენს გულებში „ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების" დიადი სიტყვები... დაე ამ დევიზით გაერთიანდეს სტუდენტობა თვითმპყრობელობის საზარელი ჰიდრას წინააღმდეგ მებრძოლთა მძლავრ ორგანიზებულ კავშირში. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, მოსწავლე ახალგაზრდობავ, რუსეთის საზოგადოების ბნელი, რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, სინათლისა და თავისუფლების ჯალათების წინააღმდეგ ბრძოლაში! მაგრამ მხურვალედ გთხოვთ, რომ არ დაივიწყოთ ჩვენი მუდმივი მოწოდება — „დაირაზმენით!", რათა არ დარჩეს თქვენი ხმა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, და მუშათა კლასის მრისხანე აჯანყების მომენტში შეხვიდეთ მის რიგებში და მათთან ერთად, სოციალიზმის წითელი დროშით, მედგრად გასწიოთ საძულველ მტერთან საბრძოლველად მონობით გაწამებული, ბორკილდადებული, მრავალტანჯული ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის!

ძირს თვითმპყრობელობა! ძირს ომი!" [1].

რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა მოედო საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებსაც. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო საპროტესტო კრებებისა და დემონსტრაციების მოწყობა. ომის საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობა გაჩაღდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისისა და ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მღელვარება. 1904 წლის იანვრის დასასრულს ომის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა გააჩაღეს ქალაქ ქუთაისის მოსწავლეებმა. მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა, დაპატიმრებულ იქნა მოძრაობის რამდენიმე აქტიური მონაწილე. ამხანაგების დაპატიმრების საპროტესტოდ გაიფიცნენ ქ. ქუთაისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, სასულიერო სემინარიის, რეალური და ეპარქიალური სასწავლებლების მოსწავლეები, რომლებმაც 1904 წლის 3 თებერვალს მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. დემონსტრაციამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო, რომლის

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1955, გვ. 28.

წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყენა ჯარი და პოლიცია. ქ. ქუთაისის მოსწავლეთა ამ რევოლუციურ გამოსვლებს დიდი შეფასება მისცა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა თავის 1904 წლის თებერვლის პროკლამაციაში — „მოსწავლეებო!“

„ჩვენ მოწმენი ვიყავით თქვენი 3 თებერვლის დემონსტრაციებისა, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — როდესაც თქვენი ახალგაზრდული ძალებით მჭიდროდ დარაზმულნი, დამყოლი მშობლების მუქარისა და ჩიჩინის მიუხედავად, თქვენ ბრისხანედ გაიშალენით ქალაქის მთავარ ქუჩებში და შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ აუწერელ შიშს ჰგვრიდით თქვენს პედაგოგებს, გარყვნილი მთავრობის დაქირავებულ ლაქიებს, როდესაც პოლიციელმა არამზადებმა თავისი ბინძური ხელები დაუშვეს ენერგიულად მომავალი მებრძოლი ახალგაზრდა ძალის წინაშე. დიახ, თქვენ დაამარცხეთ მტერი და ჩვენ მოგესალმებით თქვენ, რევოლუციური მოძრაობის აზვირთებული ტალღებით გატაცებულთ. თქვენ გაბედულად მიემხრეთ სოციალ-დემოკრატიას და გაემართენით თვითმპყრობელობის ხომალდისათვის ცეცხლის მოსაკიდებლად. იგი უსაჭოდ აწყდება აქეთ-იქით და მოახლოებული ბობოქარი ტალღები მას მალე დაღუპვას უწინასწარმეტყველებენ“ [1].

ქუთაისის მოსწავლეების მიერ მოწყობილი პირველი პოლიტიკური დემონსტრაციით აღფრთოვანებული იყვნენ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, მათ ეს დემონსტრაცია გამოაცხადეს მაგალითის მიმცემად ყველა ქალაქისა და სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. თავის 1904 წლის თებერვალში გამოშვებულ პროკლამაციაში „მოსწავლეებო!“ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი აღნიშნავდა, რომ ყველა მოსწავლემ უნდა მიბაძოს ქუთაისის მოწაფეთა რევოლუციურ გამოსვლებს. პროკლამაციაში აღნიშნული იყო:

„...დემონსტრაცია ძალიან კარგად ჩატარდა. სულით სპეტაკი ახალგაზრდები, თავისუფალი რუსეთის მომავალი შოქალაქენი, გაბედულად და მამაცურად მიდიოდნენ ქუჩებში... მათ უჩვენეს ხრწნად თვითმპყრობელობას, რომ რუსეთის გმირი პროლეტარიატის მძლავრი და შეუკავებელი განმათავისუფლებელი მოძრაობა ედება და დიად ბრძოლაში ითრევს ყველას, ვინც კი ჯერ კიდევ

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 128 — 129.

ცოცხლად არ დამპალა რუსული დესპოტიზმის გამხრწნელ უღელქვეშ.

დაე ქუთაისელ ახალგაზრდა მებრძოლთა თავგანწირულება მაგალითი გახდეს სხვა სასწავლებლებისათვის"[1].

ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომელმაც დაინახა, რომ რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა, გადაწყვიტა ამ მოძრაობისათვის მიეცა ბურჟუაზიული ხასიათი, შეცდომაში შეეყვანა მუშები და დემოკრატიული ინტელიგენცია, აეცდინა ისინი რევოლუციური გზიდან. ამ მიზნის გასახორციელებლად ბურჟუაზიამ დაიწყო ახალი პარტიების შექმნა. ბოლშევიკებმა თავის დროზე და სასტიკად ამხილეს ბურჟუაზიის ეს ცდები. ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური პოლიტიკა სასტიკად არის მხილებული ქალაქ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 1904 წლის ნოემბრის ფურცელში — „თანამედროვე ლიბერალური მიმართულების შესახებ".

სოციალ-დემოკრატები მოუწოდებდნენ ინტელიგენციას, რომ რუსეთის ხალხის პოლიტიკურმა მონობამ ახალი რევოლუციური ძალების დაწოლით ადგილი უნდა დაუთმოს ახალს, ცხოვრების თავისუფალ ფორმებს, რომ მისი დაცემა დროის საქმეა; თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს პროლეტარიატის მეთაურობით, რომ პროლეტარიატის რევოლუციური გაქანება, მისი მზარდი ძალა ცხოვრებისათვის აღვიძებს იმ კლასებსაც, რომლებიც აქამდე განზე იდგნენ ყოველგვარი მოძრაობისაგან, რომ რევოლუციური ძალების დაწოლით მერყეობას იწყებს არა მარტო მთავრობა, არამედ ბურჟუაზიული კლასებიც, რომლებსაც მთავრობა ეყრდნობა. ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს რევოლუციის ეს მძლავრი დაწოლა, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი, დაიცვას ცარიზმი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაგან. ამ მიზნით მოუწოდებს იგი მეფის მთავრობას წავიდეს დროებით დათმობებზეო.

ზემოხსენებულ ფურცელში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ლიბერალიზმის კლასობრივ ხასიათზე მითითებით ბურჟუაზია სრულიად უარყოფს თავის უფლებას სახალხო ინტერესების წარმომადგენლობაზე, რომ მხოლოდ მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულ დამფუძნებელ კრებას შეუძლია მისცეს სახელმწიფოს ესა თუ ის ფორმა; უცადო და იმედი იქონიო ზევიდან რეფორმებისა —

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 132—133.

ეს ნიშნავს გამოამეღავნო შენი სისუსტე. „მხოლოდ მძლავრ რევოლუციურ მოძრაობას შეუძლია იხსნას რუსეთი დესპოტური მონობისაგან და მიიყვანოს იგი ახალ, თავისუფალ ფორმებამდე. წინააღმდეგ ლიბერალებისა, რომლებსაც კონსტიტუციის იმედი აქვთ, ჩვენ ვაყენებთ **დემოკრატიული რესპუბლიკისათვის** ბრძოლის მოწოდებას!“ [1].

უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობის აღმავალი გზით მიმავალი მოძრაობა სულ უფრო მეტად იპყრობდა სხვადასხვა პარტიებისა და კლასების ყურადღებას, ყველა პარტია ცდილობდა თან გაეყოლებინა სტუდენტობა, თავისი პოლიტიკური გავლენისათვის დაემორჩილებინა მათი მოძრაობა. ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა გააჩაღეს სტუდენტობაში, რათა სოციალ-დემოკრატიულ იდეებს გაჰყოლოდა მოსწავლე ახალგაზრდობა, ჩამოეშორებინა იგი ყველა ოპორტუნისტული პარტიის გავლენისაგან. რსდმპ ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტები და უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ასრულებდნენ რა პარტიის მითითებებს, სათავეში ჩაუდგნენ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას, ეწეოდნენ ფართო პროპაგანდასა და აგიტაციას, ასწავლიდნენ, თუ როგორ მოქცეულიყო მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორ გამოეყენებინა რაციონალურად მზარდი ენერგია, როგორი პოლიტიკური პოზიციები უნდა დაეჭირა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტობას, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფთან უნდა წასულიყვნენ ხელიხელჩაკიდებულნი და სხვ. ბოლშევიკები უხსნიდნენ სტუდენტებს, რომ უნივერსიტეტი არ არის რაღაც დამოუკიდებელი, რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი რამ.

სტუდენტების ამ მოძრაობამ მკვეთრად გამოავლინა სტუდენტთა სხვადასხვა დაჯგუფება და მიმართულება, რითაც დაიმსხვრა ოპორტუნისტული ილუზიები საერთო სტუდენტთა მოძრაობის შესახებ; ამ მოძრაობამ უჩვენა, რომ სტუდენტთა მასებზე გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა პროლეტარული მოძრაობის მძლავრმა ზრდამ.

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 1904 წლის დეკემბრის მიმართვაში რევოლუციური სტუდენტობისადმი, ნათქვამი იყო: „ამჟამად... რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ტალღები შეიჭრა უნივერსიტეტშიც სტუდენტთა წინა მღელვარებათა მიერ შექმნილი ნახვრეტებიდან. ამ ტალღებში იღუპება სტუდენტთა ერთიანობის უკანასკნელი ილუზიები და

[1] ! მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, გვ. 31.

უკვე მკვეთრად ჩანს დიფერენციაცია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის გავლენით“ [1].

ბოლშევიკები უხსნიდნენ დემოკრატიულ ინტელიგენციას და რევოლუციურ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომ მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ახალგაზრდობაში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძვის სამი ოპოზიციური საზოგადოებრივი მიმდინარეობა, ესენია: 1) ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც აერთიანებდა ორგანო „ოსვობოჟდენიე“, 2) სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, როგორც გლეხობის წვრილბურჟუაზიული ინტერესების გამომხატველი, და ბოლოს 3) სოციალ-დემოკრატია, როგორც შეგნებული ავანგარდი.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარების გავლენით დაიწყო რევოლუციურმა სტუდენტობამ დაჯგუფება ამ პარტიების გარშემო. სოციალ-დემოკრატიამ მიზნად დაისახა ერთიან ორგანიზაციად გაეერთიანებინა ის მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებიც სიმპათიას იჩენდნენ სოციალ-დემოკრატების მიმართ მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატია კავშირს სწყვეტდა რადიკალურად განწყობილ დანარჩენ სტუდენტობასთან.

უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ სტუდენტთა ცენტრალურ ორგანიზაციებს — სტუდენტთა კავშირის აღმასრულებელი კომისიის მუშაობას. ეს ორგანიზაციები მოიკოჭლებდნენ კონსპირაციის უქონლობითა და უთავბოლობით, არ იკარებდნენ უფრო შეგნებულ და გამოცდილ სტუდენტებს, არ წარმოადგენდნენ რევოლუციურ სკოლას, ისინი ხელმძღვანელობას არ უწევდნენ რევოლუციურ მოსწავლე ახალგაზრდობას და სხვ.

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 1904 წლის დეკემბრის რევოლუციური მოწოდება მხურვალედ მიმართავს ახალგაზრდობას, რომ ცხოვრების პირობები, თანამედროვე ვითარება პროგრესულ ძალებს იწვევს ბრძოლისაკენ, რომ ეს მომავალი ბრძოლა მოითხოვს მტკიცე ორგანიზებულობას და გეგმიან მოქმედებას, რომ ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა მტკიცედ შეუერთდეს სტუდენტობა უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ამრიგად, ბოლშევიკებმა 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში უდიდესი მუშაობა გაიჩაღეს იმისათვის, რომ მთელი პროგრესუ-

---

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, გვ. 40.

ლი ძალები დაერაზმათ პროლეტარიატის დროშის ქვეშ, დიდი რევოლუციური პროპაგანდა გაშალეს განათლებული საზოგადოების წარმომადგენლების — დემოკრატიული ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდისათვის, მუშათა რევოლუციური მოძრაობის მხარეზე მის გადმოსაყვანად.

თავი II

დემოკრატიული ინტელიგენცია 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში

რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუცია იყო პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იმპერიალისტურ ეპოქაში. ეს რევოლუცია უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში, ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების გმირული ბრძოლის ისტორიაში; იგი იყო პირველი მძლავრი სახალხო რევოლუცია იმპერიალისტურ ეპოქაში.

რუსეთის პირველი რევოლუცია ხასიათდებოდა ისეთი გაქანებითა და ბრძოლის ისეთი სასტიკი ფორმებით, რომელიც უცნობი იყო მანამდე მომხდარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციებისათვის. 1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში რუსეთის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობასთან ერთად აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიისა და მეფის რუსეთის სხვა განაპირა მხარეების მუშები, გლეხები, ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, დემოკრატიული ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

ვ. ი. ლენინმა რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე დიდი მუშაობა გააჩაღა დემოკრატიული ინტელიგენციის დასარაზმავად პროლეტარული მოძრაობის დროშის ქვეშ, მის ჩასაბმელად სახალხო რევოლუციურ მოძრაობაში, თვითმპყრობელურ-მემამულური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვანაირი იყო. ინტელიგენციის ზედაფენა მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, ხოლო ინტელიგენციის დაბალი ფენა, ესე იგი სახალხო ინტელიგენცია, სოლატაკე-

ში იმყოფებოდა და უუფლებობას განიცდიდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მშრომელ მასებთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად გამოსული იყვნენ მშრომელი გლეხობიდან და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიიდან. თვითონ მეფის მთავრობაც კი იძულებული გახდა ელიარებინა სახალხო სკოლის მასწავლებელთა უკიდურესად ცუდი მატერიალური მდგომარეობა. ასევე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ერობებში მსახურობდა. ამ ერობების გამგეობებს განაგებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები, რომლებიც ყოველნაირად ავიწროებდნენ და ამცირებდნენ საერობო ინტელიგენციას. მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებების დაბალი რანგის მოსამსახურეებიც. ასე, მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების მოსამსახურეთა სამუშაო დღე 15 — 16 საათს აღწევდა. ფართოდ იყო გავრცელებული საჯარიმო მორიგეობა. ყოვლად აუტანელი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლის პირობები როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სასწავლებლებში.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში პროლეტარიატისა და მისი პარტიის დამოკიდებულება ინტელიგენციასთან განსაზღვრული იყო ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანებით, რომლებიც შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა. ინტელიგენციასთან მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხი ბოლშევიკურმა პარტიამ ყურადღების ცენტრში დააყენა 1905 წლის რევოლუციისათვის მზადების პერიოდში. მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი სპეციალურად იქნა განხილული პარტიის III ყრილობაზე. რსდმპ მესამე ყრილობის რეზოლუციის პროექტში ვ. ი. ლენინი წერდა: „ყრილობა გადაჭრით გმობს მუშებსა და ინტელიგენტებს შორის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში უნდობლობისა და მტრობის დათესვის იმ პოლიტიკას, რომელსაც ახალისკრელები ეწევიან“[1].

ძირითად ძალას თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენდა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ინტელიგენცია, როგორც ფენა, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არ იყო დამოუკიდებელი ძალა. ინტელიგენციის ზედაფენა, ისე როგორც ლიბერალური ბურჟუაზია, 1905 წლის რევოლუციის დროს ცდილობდა მშრომელი მასების ხარჯზე მოეხდინა ცარიზმთან შე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 219.

თანხმება. ამიტომ ბოლშევიკური პარტია ინტელიგენციის ამ ნაწილის წინააღმდეგ აწარმოებდა შეუნელებელ და სისტემატურ ბრძოლას აგიტაციისა და პროპაგანდის ფართოდ გაშლით, ამხელდა მის ბურჟუაზიულ კლასობრივ ბუნებას, ააშკარავებდა მის გამცემლობას და ცარიზმთან კავშირის დამყარების ცდებს. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის სტატიებს, წერილებს და ლიტერატურულ ნაწერებს სასტიკად აკრიტიკებდნენ ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკური პარტიის მთელი რიგი სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის მერყეკი, შემთანხმებლური და გამცემლური ბუნება ამხილა ვ. ი. ლენინმა სტატიაში „მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა", რომელიც დაიბეჭდა 1905 წელს გაზეთ „პროლეტარის" მე-15 ნომერში. „ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საერთოდ და მთლიანად „შეთანხმება" სურს. ამიტომ ისიც ყოყმანობს... რეაქციასა და რევოლუციას შორის, ვაჭრობასა და ბრძოლას შორის, მეფესთან მორიგებასა და მეფის წინააღმდეგ აჯანყებას შორის. ეს სხვანაირად შეუძლებელიცაა ბურჟუაზიული ინტელიგენციის კლასობრივი მდგომარეობის გამო" [1].

ებრძოდნენ რა ინტელიგენციის ზედაფენას, როგორც ბურჟუაზიის ძიძას, მის დასაყრდენს, ბოლშევიკები ამავე დროს სისტემატურად ზრუნავდნენ სახალხო ინტელიგენციის იდეური აღზრდისათვის; ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ პროგრესული ინტელიგენციის რევოლუციის მხარეზე გადმოყვანას იმიტომ, რომ მშრომელ მასებთან მისი დაკავშირების შემდეგ ინტელიგენციის ეს ნაწილი შეიძლება გამხდარიყო დიდ ძალად ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინი წერდა, რომ ინტელიგენციას, „...მთელი მისი მერყეობის მიუხედავად, მეტი უნარი შესწევს თვითმპყრობელობასთან რევოლუციური ბრძოლისა, და ხალხთან დაახლოების შემთხვევაში მას შეუძლია დიდი ძალა გახდეს ამ ბრძოლაში. თავისთავად უძლურს, მას შეეძლო წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხების ფრიად მნიშვნელოვანი ფენებისათვის მიეცა სწორედ ის, რაც მათ აკლიათ: ცოდნა, პროგრამა, ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია" [2].

ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხში ბოლშევიკები გამოდიოდნენ იქიდან, რომ რუსეთის ინტელიგენცია იმ დროს იყოფოდა სამ — ბურჟუაზიულ-ლიბერალურ, წვრილბურჟუაზიულ და

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 256.
[2] იქვე, გვ. 257.

სოციალ-დემოკრატიულ ნაკადად. 1905 წლის რევოლუციის დროს ბოლშევიკური პარტია მიზნად ისახავდა გაეთავისუფლებინა ინტელიგენცია ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, გადმოეყვანა იგი რევოლუციის მხარეზე და ჩაება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

. რევოლუციური კრიზისის გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთ-იაპონიის ომმა.

რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ იაპონიასთან ომი დაეხმარებოდა მას მზარდი რევოლუციური მოძრაობის შეჩერებაში; მაგრამ მოხდა პირიქით: ომმა კიდევ უფრო შეარყია მეფის მთავრობის პოლიტიკური სიმტკიცე და დააჩქარა რევოლუცია. ომმა, რომელმაც მოითხოვა უდიდესი ხარჯები, კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის ისედაც ცუდი ეკონომიური მდგომარეობა.

ომით გაძლიერებულმა ეკონომიურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა და აუტანელი გახადა მუშების მდგომარეობა, რამაც გამოიწვია მუშათა კლასის საერთო უკმაყოფილება და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება. მთელ რიგ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მუშები აწყობდნენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. ბოლშევიკებმა და პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ომის საკითხში მხარს უჭერდნენ ბოლშევიკურ ტაქტიკას, მუშებსა და ჯარისკაცებს შორის გააჩაღეს ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა, ავრცელებდნენ ომის საწინააღმდეგო და პოლიტიკური ხასიათის ბროშურებსა და პროკლამაციებს. ბოლშევიკები ამხელდნენ ომის მტაცებლურ, სისხლისმღვრელ და დამღუპველ ხასიათს, მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს იარაღი შეებრუნებინათ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მუშებს მოუწოდებდნენ გამოეცხადებინათ საერთო გაფიცვა. ბოლშევიკების მიერ ჩატარებული ამ დიდი მუშაობის შედეგად 1904 წლის ნოემბრიდან მთელს რუსეთში გაჩაღდა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. მუშათა მოძრაობის გავლენით ომის საწინააღმდეგო მოძრაობა გავრცელდა ჯარისკაცებსა და გლეხობაში. დაიწყო გლეხთა მძლავრი გამოსვლები.

რუსეთ-იაპონიის ომის გამო ქვეყანაში გამწვავებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ აამოძრავა ლიბერალური ბურჟუაზიაც. 1904 წლის ნოემბერში ლიბერალ-ერობელებმა პეტერბურგში მოიწვიეს თათბირი; თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ბურჟუაზიული პარლამენტის მოწვევას, რომელიც კონტროლს გაუწევდა მეფის ადმინისტრაციას. ლიბერალური ბურჟუაზიის ამ მოძრაობას მიზნად ჰქონდა დასახული არა მეფის მთავრობის დამხობა, არამედ მისთვის მანიფესტის გამოგლეჯა, რომელიც ქვეყნის პოლი-

ტიკურ მმართველობაში მიიწვევდა ლიბერალურ ბურჟუაზიას. მაგრამ მეფე ჯერჯერობით ამ დათმობაზე არ წავიდა. ამის საპროტესტოდ ერობელებმა და ინტელიგენციის ზედაფენამ დაიწყეს პოლიტიკური ბანკეტების მოწყობა. ბანკეტებზე გამოსული ორატორები გამოთქვამდნენ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების ლიბერალურ სურვილებს.

რევოლუციური მოძრაობისათვის საზიანო და სახიფათო ლიბერალური ბურჟუაზიის ამ მანევრებს მხარი დაუჭირეს მენშევიკებმა. მათ წამოაყენეს ლოზუნგი „არ დააფრთხოთ ბურჟუაზია". მენშევიკებმა და მათმა „ისკრამ" გაშალეს აგიტაცია საერობო კამპანიებში მუშათა მონაწილეობის საჭიროების შესახებ. მათ მუშათა დემონსტრაციები გამოაცხადეს „დაბალი ტიპის" დემონსტრაციებად, ხოლო მუშათა დემონსტრაციები ერობებისა და სათათბიროების წინაშე — „დემონსტრაციის უმაღლეს ტიპად".

ლიბერალური ბურჟუაზიისა და მისი მოკავშირე მენშევიკების შემარიგებლური და გამცემლური მოქმედების წინააღმდეგ მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკებმა. თავის სტატიაში — „საერობო კამპანია და „ისკრის" გეგმა" — ვ. ი. ლენინმა სასტიკად ამხილა მენშევიკები და აღნიშნა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიბერალურ ბურჟუაზიაზე იმედის დამყარება ნიშნავს იმას, რომ კუდში მისდიო ბურჟუაზიულ მოძრაობას, მუშათა კლასი კი დაუმორჩილო ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას.

ცნობილია, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს ბოლშევიკებმა დაიკავეს „პორაჟენცული" პოზიცია. ისინი მიუთითებდნენ, რომ თვითმპყრობელობის დამარცხება ამ მტაცებლურ ომში რევოლუციისათვის სასარგებლოა, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ცარიზმის დასუსტებასა და რევოლუციის გამარჯვებას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთის ცარიზმის სამხედრო კრახი იქნება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის დასაწყისი, რომ რუსეთ-იაპონიის ომში ცარიზმის დამარცხება გამოიწვევდა რუსეთის რევოლუციის მოახლოებას.

ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს მენშევიკებმა, ესერებმა, ტროცკიმ და მათმა მიმდევარმა რუსეთის ინტელიგენტებმა, რომლებიც დაადგნენ ობორონცულ პოზიციას. მენშევიკურმა გაზეთმა „ისკრამ" წამოაყენა ლოზუნგი „გაუმარჯოს ზავს!". როდესაც ფრონტზე დაიწყო მეფის მთავრობის სამხედრო დამარცხება, მენშევიკების ამ ლოზუნგს ხელი ჩასჭიდეს როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ბურჟუაზიამ, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენამ და მათმა პრესამ. რუსეთში ამ „ზავის"

ლოზუნგის პროპაგანდას სათავეში ჩაუდგა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის წარმომადგენელი რეაქციონერი სტრუვე, ევროპაში კი — ბურჟუაზიის პირწავარდნილი დამცველი კლემანსო. ისე როგორც ბურჟუაზია, ევროპისა და რუსეთის ინტელიგენციის ზედაფენა ურჩევდა თვითმპყრობელურ მთავრობას, რომ რაც შეიძლება მალე შეეწყვიტა ომი, დაედო სამშვიდობო ხელშეკრულება და ამით ხელები გაეთავისუფლებინა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ სამოქმედოდ. რუსეთის ბურჟუაზიისა და მისი აგენტების ეს პოლიტიკა სასტიკად ამხილა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „ევროპის კაპიტალი და თვითმპყრობელობა".

„ახლა სინამდვილემ გვიჩვენა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ „ზავი რადაც უნდა დაგვიჯდეს" ევროპის მებირჟეთა და რეაქციონერთა ლოზუნგი გასდა... ზავით სპეკულაციის გაწევა რევოლუციის ჩასახშობად თვალნათლივ წამოიწია ჩვენს წინაშე, როგორც რეაქციონერის სპეკულაცია წინააღმდეგ პროგრესული ბურჟუაზიის სპეკულაციისა იაპონიის ბურჟუაზიის გამარჯვებით. აბალისკელთა ფრაზები საერთოდ „სპეკულაციის" წინააღმდეგ აღმოჩნდა სწორედ სენტიმენტალური ფრაზები, რომლებისთვისაც უცხოა კლასობრივი თვალსაზრისი და სხვადასხვა ძალთა გათვალისწინება"[1].

შორეულ აღმოსავლეთში ცარიზმის სამხედრო დამარცხებამ კიდევ უფრო გააძლიერა რევოლუციური მოძრაობა და ნათლად უჩვენა მშრომელ მასებს, რომ იმ ჩიხიდან გამოსავალი, რომელშიაც მოამწყვდია თვითმპყრობელობამ ქვეყანა, შეუძლია გამონახოს მხოლოდ ხალხმა, ამ წყობილების დამხობით. მუშებში, გლეხებსა და პროგრესულ ინტელიგენციაში გაძლიერდა ცარიზმისადმი უკმაყოფილება და სიძულვილი. მეფის მთავრობა ფიქრობდა ომით ჩაახრჩობდა რევოლუციას, მაგრამ საწინააღმდეგოს მიაღწია: რუსეთ-იაპონიის ომმა დაჩქარა რევოლუცია.

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით სასტიკ რეპრესიებთან ერთად მეფის მთავრობამ გადაწყვიტა რევოლუციის წინააღმდეგ მიეღო სხვა ზომებიც. მეფის ადმინისტრაცია შეეცადა პოლიციის ორგანიზაცია დაეპირისპირებინა პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი მუშებისათვის. ჯერ კიდევ 1904 წლის თებერვალში პოლიციამ პროვოკატორ ხუცეს გიორგი გაპონის დახმარებით მუშებს შორის შექმნა თავისი ორგანიზაცია — „რუს საფაბ-რიკო-საქარხნო მუშების კრება". ამ ორგანიზაციამ პეტერბურგის ყველა რაიონში შექმნა თავისი განყოფილებები. გაპონის ეს ორგა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ 310.

ნიზაცია აწყობდა სამკითხველოებს რელიგიურ-რეაქციული ლიტერატურით, ატარებდა ლექციებს სპეციალურ თემებზე, აწყობდა კონცერტებსა და საოჯახო საღამოებს მუშებისათვის, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიეზიდა მუშები. ქმნიდნენ ურთიერთდამხმარე სალაროებს, დამკრძალავ სალაროებს, სამომხმარებლო დუქნებს, მუშათა საჩაიეებს და სხვა დაწესებულებებს. ამავე დროს გაპონის ორგანიზაციები აწყობდნენ მუშათა კრებებს. გაპონის ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დიდი წარმატება ჰქონდათ ჩამორჩენილ მუშებში. 1904 წლის დამლევისათვის პეტერბურგში ითვლებოდა 11 გაპონური განყოფილება, რომლებშიც შედიოდა 2 000-ზე მეტი მუშა.

ბოლშევიკები ცდილობდნენ დაეარწმუნებინათ მუშები გაპონის ორგანიზაციის პოლიციურ ხასიათში, რომ ეს არის პოლიციის ახალი მეთოდებით მოქმედება მუშების წინააღმდეგ. პოლიტიკური ვითარების დაძაბულობისა გამო და ბოლშევიკების დიდი მუშაობის შედეგად რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა გაპონის ორგანიზაციაში შემავალი ჩამორჩენილი მუშებიც.

1905 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან მუშათა მოძრაობა ძლიერდება. 3 იანვარს დაიწყო პეტერბურგის უდიდესი საწარმოს — პუტილოვის ქარხნის მუშათა გაფიცვა, რომელსაც მალე შეუერთდა პეტერბურგის სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებიც. 7 იანვრისათვის პეტერბურგში გაფიცული იყო 150 ათასი კაცი. ამ გაფიცვების დროს პოლიციის მითითებით გაპონმა თავის საზოგადოების კრებებზე წამოაყენა პროვოკაციული გეგმა: 9 იანვარს შეიკრიბოს ყველა მუშა და საეკლესიო ბაირაღებითა და მეფის პორტრეტებით მშვიდობიანი მსვლელობით წავიდეს ზამთრის სასახლისაკენ და მისცეს მეფეს პეტიცია თავის საჭიროებათა შესახებ. მეფე ხალხის მოთხოვნებს დააკმაყოფილებსო.

პეტიციას იხილავდნენ მუშათა მრავალრიცხოვან კრებებზე. ბოლშევიკები მუშებს არწმუნებდნენ, რომ არ შეიძლება თავისუფლების მიღწევა თხოვნით. ზამთრის სასახლისაკენ მუშათა მსვლელობა მაინც ვერ შეაჩერეს; ამიტომ ბოლშევიკებმა პეტიციაში შეიტანეს მთელი რიგი მოთხოვნები. 8 იანვარს პეტერბურგის ბოლშევიკებმა მუშებში გაავრცელეს პროკლამაციები, სადაც მხილებული იყო ხუცეს გაპონის პროვოკაციული გეგმა. პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ ასე იაფად თავისუფლებას ვერ იძენენ, რომ თავისუფლებას აღწევენ მხოლოდ სისხლით, რომ მისი მოპოვება შეიძლება ბრძოლით, იარაღით.

1905 წლის 8 იანვარს გაზეთ „ნაში დნის“ რედაქციაში შედგა ინტელიგენციის კრება, რომელმაც განიხილა 9 იანვრის მუშათა პროცესიის საკითხი. მაქსიმ გორკის წინადადებით კრებამ აირჩია შინაგან საქმეთა მინისტრთან გასაგზავნი კომისია, რომელსაც მინისტრისათვის უნდა ეთხოვა მიეღო ისეთი ზომები, რომლებიც არ დაუშვებდა ჯარის სისხლისმღვრელ შეტაკებას მუშებთან. ამ დეპუტაციის შემადგენლობაში არჩეული იქნენ პეშკოვი (გორკი), ანენსკი, პეშეხონოვი, მიაკოტინი, კედრინი, არსენიევი, გესენი, სემევსკი, კარეევი, შნიტნიკოვი და ივანიჩ-პისარევი. დეპუტაცია იმავე დღეს საღამოს მივიდა მინისტრ სვიატოპოლკ-მირსკისთან, მაგრამ მან არ მიიღო იგი. მაშინ დელეგატები გაემართნენ მინისტრის თანაშემწესთან პოლიციის დარგში გენერალ რიდზევსკისთან, რომელსაც აცნობეს, რომ დემონსტრაციას მშვიდობიანი ხასიათი აქვს, და სთხოვეს განკარგულება გაეცა, რომ ჯარი ქუჩაში არ გამოეყვანათ. რათა თავიდან აეცდინათ სისხლისღვრა. მაგრამ რიდზევსკიმ უხეშად უპასუხა მათ, რომ ეს მას არ ეხება, და კომისია დემონსტრაციულად მიატოვა. ბოლოს დეპუტაციამ ანალოგიური განცხადებით მიმართა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვიტეს. ამ უკანასკნელმაც უპასუხა, რომ მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

9 იანვარს, დილას, 150 ათასიანი დემონსტრაცია გაპონის გეგმით გაემართა ზამთრის სასახლისაკენ. მეფე ნიკოლოზ მეორის ბრძანებით ჯარმა სროლა აუტეხა უიარაღო მუშებს; მოკლულ იქნა ათასზე მეტი კაცი, ხოლო დაჭრეს 2 ათასზე მეტი მუშა. პეტერბურგის ქუჩები უდანაშაულო მუშების სისხლით მოირწყო. მეფის მთავრობის ამ გაუგონარმა მხეცობამ სასტიკი აღშფოთება გამოიწვია მუშებში, გლეხებსა და მშრომელ ინტელიგენციაში. მეფის მთავრობის ამ მხეცური მოქმედების პროტესტის ნიშნად მთელ ქვეყანას მოედო მუშათა გაფიცვები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობამ და პროგრესულმა პრესამ.

1905 წლის 9 იანვრის პეტერბურგის მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის მხეცურად დახვრეტის საპროტესტოდ მაქსიმ გორკიმ, რომელიც თვითონ იყო მოწმე პეტერბურგის მუშათა სისხლის ღვრისა, დაწერა მოწოდება „რუსეთის ყველა მოქალაქეს და ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივ აზრს“. გორკიმ ღრმა მეცნიერული შეფასება მისცა 9 იანვრის ამბებს და სასტიკად ამხილა თვითმპყრობელური მთავრობის, როგორც პეტერბურგის ქუჩებში სისხლისღვრის უშუალო ორგანიზატორის, საზიზღარი მოქმედება. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ ისინი, ამ დოკუმენტის ხელის მომწერნი, ბრალს სდებენ მთელი რუსეთის ხალხის წინაშე და მთელი

ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, შინაგან საქმეთა მინისტრს სვიატოპოლკ-მირსკის, აგრეთვე ნიკოლოზ მეორეს მშვიდობიანი რუსი მოქალაქეების მასობრივ მკვლელობაში [1].

მეფის მთავრობის მიერ მოწყობილმა საშინელმა ტრაღედიამ აღაშფოთა რუსეთის მთელი რადიკალური ინტელიგენცია. მეფის მთავრობის საპროტესტოდ იმავე დღეს, 9 იანვარს, შეიკრიბა თავისუფალ-ეკონომიური საზოგადოების ინტელიგენციის კრება, რომელმაც დაგმო თვითმპყრობელური მთავრობის დანაშაულებრივი მოქმედება და მიიღო მოწოდება „ოფიცრებს", რომელშიც გამოთქმული იყო პროგრესული ინტელიგენციის უსაზღვრო აღშფოთება, და ყველას მოუწოდებდა ოპოზიციური მოძრაობისაკენ.

1905 წლის იანვრის ამბების გავლენით რუსეთის 342 მეცნიერმა შეადგინა და ხელი მოაწერა წერილს „განათლების საჭიროების შესახებ". ეს წერილი უნდა გამოექვეყნებინათ 1905 წლის 12 იანვარს მოსკოვის უნივერსიტეტის 150 წლისთავის აღსანიშნავ ბანკეტზე, რომელიც არ შედგა, ვინაიდან მთავრობამ ნება არ დართო. წერილს ხელს აწერდა მეცნიერებათა აკადემიის 16 წევრი, 125 პროფესორი და ადიუნქტ-პროფესორი, 201 დოცენტი, ასისტენტი, მასწავლებელი და ლაბორანტი. ამ მიმართვას შეუერთდა სხვა მრავალი ხელის მომწერიც. წერილში ნათქვამი იყო:

„თვითეული ჩვენგანი ღრმა მწუხარებით აღიარებს, რომ სახალხო განათლება რუსეთში მეტად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება და სრულიად არ უპასუხებს არც ჩვენი სამშობლოს საარსებო მოთხოვნილებებს, არც მის ღირსებას... მთავრობის პოლიტიკა ხალხის განათლების დარგში, პოლიტიკისა, რომელიც უმთავრესად შთაგონებულია პოლიციური ხასიათის მოსაზრებებით, ამუხრუჭებს ხალხის განვითარებას, იგი აბრკოლებს მის სულიერ ზრდას და სახელმწიფო მიყავს დაცემისაკენ" [2].

ამრიგად, რუსეთის ლიბერალურმა პროფესურამაც კი აღიარა, რომ თვითმპყრობელურმა წყობილებამ კატასტროფამდე მიიყვანა სახალხო განათლების საქმე, რომ „უმაღლესი სასწავლებლები ...იმყოფებიან სრული გახრწნის მდგომარეობაში". წერილს სხვებთან ერთად ხელს აწერდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: პ. მელიქიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ას. მოსეშვილი, გ. გელეიშვილი და სხვ.

პეტერბურგის უდანაშაულო მუშების სისხლისღვრით აღშფოთებულმა ქალაქ მოსკოვის დაწყებითი სასწავლებლების გაუმჯობესე-

---

[1] მ. გორკი, თხზ., ტ. 23, გვ. 335 — 336.

[2] მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 63, აღწ. 14, საქ. № 787, 1905, ფ. 209.

ბისათვის ზრუნვის საზოგადოების მასწავლებლებმა მოიწვიეს მიტინგი, სადაც სასტიკი პროტესტი და ზიზღი გამოუცხადეს მეფის მთავრობას. მიტინგზე მიღებულ საპროტესტო რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „დაინთხა უდანაშაულოთა სისხლი, მაგრამ მწვავე საკითხმა არა თუ არ მიიღო სათანადო გადაწყვეტა, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე უფრო მრისხანე გაშუქებით წარმოსდგა ...ვუერთდებით რა ინტელიგენციისა და მუშების ადრე გაკეთებულ განცხადებას, ჩვენ თანამედროვე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ვხედავთ იმაში, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცეს სახალხო წარმომადგენელთა კრებას, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო, ფარული და ხმის პირდაპირი მიცემის გზით“ [1].

მეფის მთავრობის მიერ პეტერბურგში მოწყობილმა ვერაგულმა სისხლისღვრამ აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია რუსეთის მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებში.

თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ პროტესტის გაბედული ხმა აღიმაღლა სამხატვრო აკადემიის კოლექტივმა. ცნობილი რუსი მხატვრების ვ. პოლენოვის და ვ. სეროვის ინიციატივით აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივმა შეადგინა წერილი, რომელშიც წერდნენ, რომ 9 იანვრის საშინელმა ამბებმა უსაზღვროდ აღაშფოთა ისინი. წერილში ნათქვამი იყო: ჩვენ, მხატვრები, ღრმად ვგლოვობთ და ვწუხვართ, რომ ჩვენი აკადემია ატარებს იმ პიროვნების სახელს (ლაპარაკია მეფის შესახებ), რომლის ბრძანებითაც ჯარისკაცები ხოცავდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებსო.

სამხატვრო აკადემიის კოლექტივის ამ წერილის გამოქვეყნებისნება არ დართო მთავრობამ. ამან კიდევ უფრო აღაშფოთა მოწინავე მხატვრები. პროტესტის ნიშნად დიდმა მხატვარმა ვ. სეროვმა უარი თქვა სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრობაზე. სეროვი შემდგომშიც გამოთქვამდა გაბედულ პროტესტს მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. ერთ-ერთი სამხატვრო გამოფენის ორგანიზატორმა წინადადებით მიმართა ვ. სეროვს, გაეკეთებინა ნიკოლოზ მეორის პორტრეტი. ამ წინადადებაზე სეროვმა ასეთი შინაარსის სპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ამ სახლში მე უკვე აღარ ვმუშაობ“.

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ 9 იანვარს ჩადენილი ვერაგობის წინააღმდეგ პროტესტს პროტესტზე აცხადებდნენ რუსე-

[1] მსცია, ფ. 63. აღწ. 14, საქ. № 787, ფ. 219.

თის ინტელიგენციის სხვადასხვა საზოგადოებაში. საპროტესტო კრებები ჩაატარეს პედაგოგიურმა, ტექნიკურმა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო საზოგადოებებმა, რომლებმაც თავიანთ რეზოლუციებში სასტიკად დაგმეს მთავრობის მოქმედება და მოითხოვეს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა. საპროტესტო რეზოლუცია მიიღეს აგრეთვე ნაფიცმა რწმუნებულებმა და მათმა თანაშემწეებმა. რუსეთის ექიმთა საზოგადოების გამგეობამ დიდი მუშაობა ჩაატარა გაფიცული მუშების ოჯახებისათვის შეწირულების შესაგროვებლად. პროგრესული ინტელიგენციის ამ მოქმედებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ აკრძალა სამეცნიერო საზოგადოებათა ყოველგვარი სხდომები და კრებები. როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის მთელ პერიოდში, ისე 1905 წლის იანვრის საპროტესტო მოძრაობის დროსაც რუსეთის ინტელიგენციის მაგალითის მიმცემი რევოლუციურ მოძრაობისადმი მხარდაჭერის საქმეში იყო დიდი მწერალი-რევოლუციონერი მაქსიმ გორკი. იგი თავისი ნაწერებით და გამოსვლებით ბიძგს აძლევდა რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს მხარი დაეჭირათ რევოლუციისათვის. 9 იანვრის სისხლისღვრის მომწყობი მთავრობა გორკიმ სასტიკად ამხილა, რისთვისაც იგი 11 იანვარს დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს „სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის“.

1905 წლის 14 იანვარს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი, რომელშიც მწუხარებით იტყობინებოდა გორკის დაპატიმრების ამბავს. ფურცელში აღნიშნული იყო, რომ გორკის დაპატიმრება — ეს არის მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი ახალი აღმაშფოთებელი ფაქტი. გორკის დაპატიმრებამ აღშფოთება გამოიწვია როგორც მუშებში, ისე მოწინავე ინტელიგენციაში. მ. გორკის დასაცავად გამოვიდა რუსეთის მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა. გორკის დაპატიმრების გამო საპროტესტო რეზოლუცია მიიღო ექიმთა ყრილობამ. ლიტერატურულმა ფონდმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გორკის განთავისუფლების შესახებ. მოძრაობამ გორკის გასათავისუფლებლად განსაკუთრებით მძლავრი ხასიათი მიიღო მუშებში. რუსეთის საზოგადოებრიობის მძლავრმა ძალამ აიძულა თვითმპყრობელური მთავრობა გაეთავისუფლებინა მ. გორკი, რომელმაც საპატიმროდან გამოსვლისთანავე გააჩაღა მგზნებარე რევოლუციური პროპაგანდა პროლეტარიატის დროშის ქვეშ ყველა პროგრესული ძალების დასარაზმავად.

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ 9 იანვარს ჩადენილი სისხ-

ლიანი ვერაგობით აღშფოთებული მშრომელი მასებისა და მოწინავე ინტელიგენციის გავლენით ამოძრავდნენ და აღშფოთება გამოთქვეს რუსეთის ჟურნალისტებმა. მათ პროტესტის ნიშნად 1905 წლის 13 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინეს 4600 მოკლულისა და დაჭრილის სია.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც ამ დროს ჟენევაში იმყოფებოდა, სტატიაში — „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში", — რომელიც 18 იანვარს დაიბეჭდა გაზეთ „ვპერიოდში", ღრმა პოლიტიკური ანალიზი გაუკეთა რუსეთში მომხდარ ამბებს. მუშების მიმართ მეფის ადმინისტრაციის ცინიკურ სიტყვებს — „ჩვენ მ-თ კარგი გაკვეთილი მივეცით!"—ვ. ი. ლენინმა ასე უპასუხა: „დიახ, გაკვეთილი დიდი იყო! რუსეთის პროლეტარიატი ამ გაკვეთილს არ დაივიწყებს"[1]. ამ გაკვეთილის კარგად დამახსოვრების შედეგად და მის საფუძველზე გაიმარჯვა რუსეთის პროლეტარიატმა 1917 წლის ოქტომბერში.

რუსეთში გაშლილ საპროტესტო მოძრაობასთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა დიდი პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა გაშალეს სახალხო ინტელიგენციაში. ინტელიგენციის ფენებს შორის ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სახალხო მასწავლებლობას, ვინაიდან ინტელიგენციის ეს ნაწილი ყველაზე საჭირო და ყველაზე მრავალრიცხოვან რაზმს წარმოადგენდა, და ამავე დროს ის მატერიალურად და უფლებრივად ყველაზე დაჩაგრული იყო. ბოლშევიკებმა თავისი პრესით, აგიტაცია-პროპაგანდით მზურვალედ მოუწოდეს სახალხო მასწავლებლებს, რათა ისინიც შეერთებოდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. ბოლშევიკური პარტიის ორგანო გაზეთი „პროლეტარი" წერდა, რომ მასწავლებლობამ „ყველაზე კარგად იცის ხალხის დიდი საჭიროებანი და ყველა მისი დიდი და პატარა მტანჯველები და მძარცველები, მას თავის საკუთარ ტყავზე ყველაზე უფრო, ვიდრე რომელიმეს რიგითი ინტელიგენციიდან, უხდება გამოსცადოს არსებული წყობილების მთელი სისაძაგლე"[2]. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დავალებით ბოლშევიკები სისტემატურად გამოდიოდნენ სხვადასხვა ქალაქებში და სოფლებში მოხსენებებით და სიტყვებით მასწავლებელთა კრებებზე, სადაც ამხელდნენ შემარიგებელი და მოღალატე პარტიების — კადეტების, ესერების, მენშევიკებისა და სხვ. პოლიტიკას. ამავე დროს თავიანთ სიტყვებში და მოხსენებებში ბოლშევიკები განუმარტავდნენ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 100.
[2] გაზეთი „პროლეტარი", 1905, № 4.

ვითარების ნამდვილ არსს და რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებს.

თავიანთ მოხსენებებში, გამოსვლებში, მოწოდებებსა და საგაზეთო სტატიებში ბოლშევიკები მთელი სიძლიერით უჩვენებდნენ, რომ სახალხო ინტელიგენცია და განსაკუთრებით მასწავლებლობა, რუსეთში უკიდურეს მდგომარეობამდეა მისული, რომ ამის მიზეზი არის თვით არსებული ბიუროკრატიული წყობილება, რომ „...რუსეთში სახალხო განათლების ყველაზე ბოროტი, ყველაზე შეურიგებელი მტერი რუსეთის მთავრობაა“ [1]. რსდმპ ტულის ბოლშევიკური კომიტეტის მიერ 1905 წლის მარტში გამოცემულ პროკლამაციაში „მასწავლებლებს და მასწავლებელ ქალებს“ ნათქვამი იყო, რომ არსებული წყობილების დასამხობად აუცილებელია საერთო - სახალხო აჯანყება, საჭიროა მასწავლებლობა შეუერთდეს საერთო სახალხო აჯანყებას და მოწინავე როლი შეასრულოს შეიარაღებული აჯანყების მოამზადების აუცილებლობაში მასების დასარწმუნებლად.

მასწავლებლობას მგზნებარე რევოლუციური მოწოდებით მიმართა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავის პროკლამაციაში „სახალხო მასწავლებლებს“, რომელიც მოუწოდებდა განათლების ყველა პატიოსან მუშაკს შეერთებოდნენ სახალხო რევოლუციას თვითმპყრობელობის დამხობისათვის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის ბრძოლაში. პროკლამაციაში აღნიშნული იყო, რომ სახალხო განათლებისა და მისი მუშაკების ახლანდელი აუტანელი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი — ეს არის არსებული წყობილების დამხობა, რომ გლეხთა ფართო მასებში განათლებისა და პოლიტიკური შეგნების შეტანის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია მასწავლებლობას. მასწავლებელთა ბრძოლა რომ უფრო ძლიერი და ორგანიზებული ყოფილიყო, პროკლამაცია მოუწოდებდა მათ გაერთიანებულიყვნენ პროფესიულ კავშირებში.

მგზნებარე რევოლუციური რეზოლუცია მიიღო 1905 წლის მარტში შემდგარმა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა მეხუთე ყრილობამ. ეს რეზოლუცია გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა. რეზოლუციაში მხილებულია მეფის მთავრობის მთელი დამღუპველი პოლიტიკის ბუნება, გადმოცემულია თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მოწყობილი მხეცური სისხლისღვრა და მასობრივი მკვლელობა პეტერბურგში, ვარშავაში და „მრავალტანჯული რუსეთის სხვა ადგილებში“, აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა უმრავლესობა პროტეს-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 156.

ტის ნიშნად წყვეტს მეცადინეობას. „ჩვენ მებრძოლთა რიგებში ვდგებით, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ჩვენს ხმას ვუერთებთ მებრძოლ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას და მოვითხოვთ:

ა) დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე ყველასათვის, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა.

ბ) სიტყვის, სინდისის, ბეჭდვის, კრებების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლებას.

გ) ნაციონალური და რელიგიური ჩაგვრის მოსპობას.

დ) პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის ყველა წამებულის სრულ ამნისტიას.

ე) ქვეყნის გამომფიტველი ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას"[1].

1905 წლის 12 მარტს შეიკრიბა პეტერბურგის მასწავლებელთა და განათლების დარგის მოღვაწეთა კრება, რომელმაც შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განიხილა განათლების მდგომარეობისა და მის საჭიროებათა საკითხები. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნათ სახალხო განათლების მოღვაწეების კავშირი. რეზოლუციაში, რომელსაც ხელი მოაწერა 256 კაცმა, ნათქვამი იყო: „წინააღმდეგობანი დახავსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებასა და ცხოვრების მოთხოვნილებებს შორის, — უკვე დიდი ხანია ყველა უბედურებათა მიზეზია. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს მან ისეთ დონეს მიაღწია, რომ ყოველგვარი დაყოვნება ამ წინააღმდეგობათა მოსპობისათვის, — სახელმწიფოს დაღუპვით ემუქრება. დადგა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ძირეული შეცვლის მომენტი"[2].

პეტერბურგის მასწავლებელთა ამ კრებაზე მიღებული ვრცელი რეზოლუცია გამრავლებულ იქნა ჰექტოგრაფზე და გავრცელდა თითქმის მთელ ქვეყანაში.

გარდა სახალხო მასწავლებლებისა, ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რკინიგზის მოსამსახურეებს შორის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაშლას, მათ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, რევოლუციის მხარეზე მათს გადმოყვანას. ბოლშევიკებმა იცოდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ცხოვრებაში რკინიგზას, მით უმეტეს, რომ რკინიგზის მოსამსახურეები წარმოადგენდნენ ინტელიგენციის დიდ ნაწილს, მის მნიშვნელოვან

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 351 — 352.

[2] მს

ფენას. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს პარტიის მოსკოვის კომიტეტის მუშაობა. რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების 1905 წლის თებერვლის გაფიცვების მსვლელობის დროს რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან შეიქმნა მოსკოვის რკინიგზის კვანძის მოსამსახურეთა კავშირი, რომელმაც მიუხედავად სრულ არალეგალურ პირობებში არსებობისა, დიდი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს შორის. რკინიგზის მოსამსახურეებში რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა. 1905 წ. 19 აპრილს ათი რკინიგზის წარმომადგენელთა ყრილობაზე შეიქმნა „სრულიად რუსეთის რკინიგზის მოსამსახურეთა კავშირი".

რკინიგზის მოსამსახურეებში დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე კიევის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც მოამზადა და სათავეში ჩაუდგა კიევის რკინიგზის კვანძის მოსამსახურეთა გაფიცვას. ამ გაფიცვას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელები. გაფიცვის მსვლელობას სისტემატურად აშუქებდა ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი".

1905 წლის თებერვლის დამდეგს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რკინიგზის მოსამსახურეთა ჯგუფმა დაიწყო სამხრეთ-დასავლეთისა და კიევ-პოლტავის რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეთა გაფიცვის მომზადება. შემუშავებულ იქნა მოთხოვნები სამმართველოს დაბალი და საშუალო კატეგორიების მოსამსახურეებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ, სადგურის უფროსებისა და ტელეგრაფისტებისათვის სამცვლიანი მუშაობის შემოღების, მოსამსახურეთა ღამის უფასო მორიგეობის, ჯარიმების გაუქმების, ყველა მოსამსახურისათვის ხელფასის შენახვით ერთთვიანი შვებულების მიცემის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვებისათვის უფასო სწავლების შემოღების და სხვ. შესახებ. მოთხოვნაში აღნიშნული იყო მოსამსახურეებისაგან ბიუროს შექმნის აუცილებლობის შესახებ. ბიუროს უნდა განეხილა ის საკონფლიქტო საკითხები, რომლებიც წამოიჭრებოდა ადმინისტრაციასა და მოსამსახურეებს შორის. მას უნდა ებრძოლა ადმინისტრაციის თვითნებობისა და ბიუროკრატიული მოქმედების წინააღმდეგ. რკინიგზის მოსამსახურეთა ეს მოთხოვნები დაბეჭდილ იქნა რსდმპ კიევის კომიტეტის სტამბაში და გავრცელებულ იქნა რკინიგზის მოსამსახურეებს შორის.

გაფიცვის საინიციატივო ჯგუფმა 1905 წლის 10 თებერვალს მოიწვია რკინიგზის მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 2 ათასზე მეტი კაცი. კრება მიმდინარეობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ კრებაზე ბევრი აღმოჩნდა

რკინიგზის მოსამსახურეების რევოლუციური მოძრაობისადმი მიმ-ხრობის წინააღმდეგი და მტრულ პოზიციებზე იდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი დამოკიდებულების საქმეში, ბოლშევიკებმა მაინც მოახერხეს კრებას მიეღო მათი წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ამის შემდეგ გახშირდა კრებების მოწვევა. ზოგჯერ კრება ისეთ სერიოზულ და ხანგრძლივ ხასიათს იღებდა, რომ დილის 10 საათზე დაწყებული ღამის 2 საათამდე გრძელდებოდა.

ამ მრავალრიცხოვან კრებებზე ორატორები მკაცრად აკრიტიკებდნენ თვითმპყრობელურ წყობილებას, ამხელდნენ რკინიგზის ადმინისტრაციის თვითნებურ და ბიუროკრატიულ მოქმედებას. რკინიგზის მოსამსახურეთა ამ მოძრაობის მსვლელობას სისტემატურად აშუქებდა ბოლშევიკური პრესა. გაზეთი „ვპერიოდი" მოუწოდებდა რკინიგზის სხვა ხაზის მოსამსახურეებს მიებაძათ მათთვის. ამ კრებებზე დიდი პოლიტიკური სკოლა გაიარეს რკინიგზის მოსამსახურეებმა. ამის შემდეგ გაფიცვის მონაწილეები დიდი ინტერესით კითხულობდნენ ბოლშევიკების რევოლუციურ მოწოდებებს, ყურადღებით ისმენდნენ მათ მოხსენებებს და სიტყვებს, გაიზარდა ბოლშევიკების ავტორიტეტი. რკინიგზის მოსამსახურეთა ამ გაფიცვამ ისეთი მძლავრი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო, რომ ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა მთელი რიგი მოთხოვნები.

1905 წლის თებერვლის დამდეგს მოეწყო მოსკოვის რკინიგზის კვანძის სამმართველოს მოსამსახურეთა გაფიცვა. პირველ თებერვალს მოსკოვ-ვინდავის რკინიგზის სამმაროველოს მოსამსახურეებმა გზის ხელმძღვანელობას წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები: 1) სამუშაო დღის შემცირება 5 საათამდე; 2) ახლად მიღებულ ყოველი მოსამსახურისათვის ჯამაგირის დანიშვნა არანაკლები 40 მანეთისა თვეში; 3) ყოველი ორი წლის შემდეგ მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატება 20%-ით (ასეთი მომატება უნდა ასულიყო თვეში 125 მანეთამდე), 4) სამმართველოს მოსამსახურეთგან ბიუროს შექმნის ნებართვა; 5) ცალკეული საძულველი უფროსების დათხოვნა[1]

1905 წლის 8 თებერვალს რკინიგზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინიგზის ხაზზე მოძრაობა შეწყდა. ადმინისტრაციის მაშინდელ საიდუმლო მოხსენებებში აღნიშნულია, რომ გაფიცულმა მოსამსახურეებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები: 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის გადიდება, მო-

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. 1576, 1905, ფ. 40.

სამსახურეთათვის მუშაობის პირობების. გაუმჯობესება. რკინიგზის მოსამსახურეთა ამ გაფიცვამ გაიმარჯვა; 11 თებერვალს გზის სამმართველოს ადმინისტრაცია იძულებული გახდა თანხმობა მიეცა გაფიცულებისათვის ხელფასის 20%-ით გადიდების შესახებ და დაპირდა, რომ მოსამსახურეთა სხვა პირობებსაც გადახედავდა[1].

1905 წლის 11 თებერვალს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ხაზის სადგურების: სოკოლნიკის, ნიკოლაევის, მიტკოვის, სორტირეოვოჩნაიას, პეროვის მოსამსახურეებმა მუშაობა შეწყვიტეს. საღამოს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ხაზზე მოძრაობა შეწყდა. მთავრობა იძულებული გახდა ამ ხაზზე ჯარი გამოეძახა. 12 თებერვალს შედგა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: გაეგრძელებინათ გაფიცვა თუ შეეწყვიტათ. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა: გაფიცვა გააგრძელონ მანამ, სანამ მთავრობა არ დააკმაყოფილებს მათ მიერ 7 თებერვალს წაყენებულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები შემდეგი იყო: გაფიცვებში მონაწილეობისათვის სამსახურიდან დათხოვნილი ტელეგრაფისტებისა და ტელეფონისტების სამუშაოზე აღდგენა, მოსამსახურეებისათვის დემოკრატიული თავისუფლების მინიჭება, 6-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, კავშირებისა და კრებების თავისუფლება, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ[2].

რკინიგზის მოსამსახურეებში დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე რსდმპ ტომსკის კომიტეტი. ტომსკის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ციმბირის რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს ტომსკის მუშათა ცნობილ შეიარაღებულ დემონსტრაციაში 1905 წლის იანვარში. დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა ს. მ. კიროვი. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის 12 მოსამსახურის დათხოვნის გამო რსდმპ ტომსკის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია — „ციმბირის რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეებს“, რომელიც მოუწოდებდა მტკიცედ მოეთხოვათ დათხოვნილი მოსამსახურეების დაუყოვნებლივ აღდგენა.

რკინიგზის მოსამსახურეთა 1905 წლის სახელოვანი გაფიცვების დროს „რკინიგზის მოსამსახურეთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა“ გამოუშვა ჰექტოგრაფზე გამრავლებული პროკლამაცია — „სამხრეთის რკინიგზის ყველა სამსახურის მოსამსახურეებს“. პროკლამაცია ყველა მოსამსახურეს მოუწოდებდა ჩაბმულიყვნენ გაფიცვაში და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ თვითმპყრობელური

---

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. № 1577, ფ. 2.

[2] იქვე, საქ. 1575, 1905, ფ. 5.

წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. პროკლამაციაში აღნიშნული იყო: ამჟამად, როდესაც ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში იღვრება პროლეტარიატის სისხლი, რომელმაც წამოაყენა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები, როცა მთელი საზოგადოებრივი ძალები ეწევიან მტკიცე ბრძოლას თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, როცა პროტესტს აცხადებენ და იფიცებიან უნივერსიტეტები, ერობები, მეცნიერული საზოგადოებანი, ადვოკატები, ლიტერატორები, ფარმაცევტები, რკინიგზის მოსამსახურეები და სხვ. მხოლოდ ჩვენ — სამხრეთის რკინიგზის მოსამსახურეები ვრჩებით ყველა მიმდინარე ამბების მიმართ ყრუ და მუნჯები. მხოლოდ ჩვენ არ ვაცხადებთ პროტესტს თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. არამც თუ არ ვებრძვით თვითმპყრობელურ მთავრობას, არამედ ვეხმარებით კიდევაც მას თავის დანაშაულებრივ საქმეებში: განა რკინიგზებით არ გზავნიან ჯარებს ალმოსავლეთში ომში დასახოცავად, განა რკინიგზებით არ გადაყავთ კაზაკები გაფიცული მუშებისა და გლეხების საკემად და დასახოცავად, მატარებლებით არ გზავნიან პოლიტიკურ ტუსაღებს ციმბირში, ყოველივე ამას ჩვენდა სამარცხვინოდ ვაკეთებთ. ბრძოლეთ, სხვა ჩვენთვის არაფერ-ზრუნებს, შეუერთდით ბრძოლას, გავიფიცოთ, მივებაძოთ პეტერბურგ-ვარშავია, ნიკოლაევის და ბალტიის რკინიგზების საადგუმებს, ციმბირის, ვორონეჟის (სამხრეთ-დასავლეთი), კოზლოვის და ბევრ სხვა რკინიგზის მოსამსახურეებს და გამოვაცხადოთ საყოველთაო გაფიცვა. „ძირს მონარქია", „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას" [1].

ეს პროკლამაცია დაგზავნილ იქნა ყველგან — რკინიგზის მოსამსახურეებში, რომლებზედაც მან დიდი გავლენა მოახდინა. როგორც პოლიციის მაშინდელ მიმოწერებიდან და რევოლუციონერებისადმი პროკურატურის მიერ წაყენებული საბრალდებულო დასკვნებიდან ჩანს, ამ პროკლამაციას განსაკუთრებული შეშფოთება გამოუწვევია მთავრობის მოხელეებში.

საგაფიცვო მოძრაობა დაეუფლა სულ სხვადასხვა პროფესიის ინტელიგენციას. გაფიცვებში მონაწილეობა მიიღეს პეტერბურგის 50 აფთიაქის მოსამსახურეებმა. პეტერბურგის ფარმაცევტებმა წამოაყენეს მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნები. გაფიცვამ ისეთი მტკიცე და ორგანიზებული ხასიათი მიიღო, რომ აფთიაქის მეპატრონეები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნები. ფარმაცევტთა ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ბოლშევიკები. პეტერბურგის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ფარმაცევტთა

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. 2510, 1905, ფ. 5.

საინიციატივო ჯგუფი „რუსეთის ორმაგი მტრების — ცარიზმთან და მის ზურგს უკან დამალულ ერთი მუჭა კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად“ [1]. ფარმაცევტების ამ საინიციატივო ჯგუფს მხარს უჭერდა და ყოველნაირად ეხმარებოდა ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი“. ბოლშევიკების ავტორიტეტი იზრდებოდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ 1905 წლის მარტში მოწვეულმა პეტერბურგის ფარმაცევტების საერთო კრებამ დაადგინა დახმარებისათვის მიემართათ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტისათვის. თებერვლის საგაფიცვო მოძრაობის დროს გაიფიცა მოსკოვის აფთიაქების თითქმის ყველა მოსამსახურე.

1905 წლის 21 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის შენობაში შედგა სრულიად რუსეთის ექიმთა ყრილობა, რომელსაც 2000-მდე კაცი დაესწრო. ყრილობა გახსნა პიროგოველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ექიმმა გ. ე. გავრიჩევსკიმ. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მეფის მთავრობის მიერ დევნილი ექიმი ს. ი. ელპატევსკი. მან, როგორც პოლიცია წერდა, წარმოთქვა მომხიბლავი რევოლუციური სიტყვა, რომელიც ყრილობის ტაშით დაიფარა. ამის შემდეგ ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლებისათვის 9 იანვარს დაღუპულ მებრძოლთ.

ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა ცნობილი ბოლშევიკ-ექიმის ს. ი. მიცკევიჩის მოხსენება. როგორც პოლიციის საიდუმლო მოხსენებაშია აღნიშნული, მიცკევიჩის ეს რევოლუციური შინაარსის მოხსენება რადიკალურ აზრებს შეიცავდა. ყრილობის რეზოლუციაში წამოყენებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნები. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია რუსეთის პირველი რევოლუციის ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, რომლებიც ამ ყრილობის გადაწყვეტილებებს ადარებენ მოსკოვის სათათბიროს გადაწყვეტილებებს.

ყრილობაზე როგორც მომხსენებლები, ისე მოკამათეები აკრიტიკებდნენ არსებულ წყობილებას და მოუწოდებდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ყრილობამ თავის 23 მარტის სხდომაზე მიიღო დადგენილება — „შეიქმნას ექიმების კავშირი არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად“. ყრილობის ამ სხდომას, რომელიც მიმდინარეობდა კონსერვატორიის შენობაში, ესწრებოდა 3500 კაცი (სხდომას სხვა პროფესიის ინტელიგენციაც ესწრებოდა); ყრილობა დიდი აღფრთოვანებით, ტაშითა და შეძახილებით — „ძირს თვითმპყრობელობა“ — შეხვდა ამ დადგენილე-

[1] გაზ. „ვპერიოდი“, 1905, № 11.

ბის მიღებას. პოლიციამ სასწრაფოდ აცნობა ეს გადაწყვეტილება თავის უფროსებს. მოსკოვის ქალაქის უფროსმა განკარგულება გასცა დაეხურათ კრება. ყრილობაზე მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს: „მარსელიოზას“ და „დუბინუშკას“.

ექიმთა ამ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: ყრილობა, რომელიც შეიკრიბა რუსეთის ყველა მხარისა და კუთხის წარმომადგენლებისაგან იმისათვის, რათა შეემუშავებინა ღონისძიებანი იმ ახალი უბედურების წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება რუსეთს[1], აღნიშნავს, რომ არავითარი მშვიდობიანი და კულტურული მუშაობა არ შეიძლება ჩატარდეს არსებული წყობილების პირობებში, რომ მეფის მთავრობის პოლიტიკა არის განუსაზღვრელი ადმინისტრაციული თავაშვებულობის, დამპყრობლური ავანტიურების პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანა უკვე მიიყვანა გამანადგურებელ სიღატაკემდე, რომელმაც სისხლით მორწყო შორეულ მანჯურიის ველები; უდანაშაულო მოქალაქეთა ცოტა სისხლი როდი დაიღვარა აგრეთვე პეტერბურგის, ვარშავის, ბაქოს, რიგის, კურსკისა და სხვა ქალაქების ქუჩებში; რომ სანამ არსებობს მეფის მთავრობა, მანამ ტყუილია ოცნება საექიმო მოღვაწეობის ნორმალური პირობების შექმნაზე; „ამიტომ პიროგოველთა ყრილობა უცხადებს ექიმებს, რომ აუცილებელია დაირაზმონ მშრომელ მასებთან ერთად ენერგიული ბრძოლისათვის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული წყობილების წინააღმდეგ, მისი სრული მოსპობის და დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის“[2].

რეზოლუციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ როდესაც არსებული სახელმწიფოებრივი მმართველობა შეიცვლება ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მმართველობით, მაშინ ჩვენი ქვეყნისათვის საშიში აღარ იქნება არც შავი ჭირი, არც ხოლერა და არც სხვა ეპიდემიები.

ყრილობის რეზოლუციაში მხილებულია რუსეთ-იაპონიის ომის ყაჩაღური ბუნება, რომ ეს ომი არის რუსი ხალხისათვის დამღუპველი ომი, და გამოთქმულია სურვილი, რათა შეწყდეს შორეულ აღმოსავლეთში წარმოებული ომის ასიგნება.

ექიმთა ამ ყრილობის შედეგები და რეზოლუციები დაიბეჭდა პიროგოველთა საზოგადოების ჟურნალის მე-2 ნომერში. ჟურნალის ამ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ექიმთა სხვა საზოგადოებების კრებების შედეგები და სტატიები, სადაც დაგმობილია არსებული წყობილება

---

[1] ყრილობას უნდა განეხილა ხოლერასთან ბრძოლის ღონისძიებანი.

[2] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. № 1587, 1905, ფ. 19.

და მოცემულია მოწოდება მისი შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ამ ნომერში დაბეჭდილი იყო ჟბანკოვის სტატია — „ტრავმატული ეპიდემიის შესახებ რუსეთში", სადაც ავტორი წერს, რომ მომაკვდინებელი ეპიდემიის გავრცელების მთავარი მიზეზია უკანასკნელ დროს მთავრობის მიერ მოწყობილი სისხლისმღვრელი ამბები, რომ შექმნილი უბედურების მთავარი მიზეზი არის მეფის მთავრობა, რომელმაც მოაწყო კიშინიოვის დარბევა — ნამდვილი ომი, 9 — 10 იანვრის სისხლისღვრა პეტერბურგში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. მთავრობამ კონფისკაცია უყო ჟურნალის ამ ნომერს და მისი რედაქცია პასუხისგებაში მისცა.

1905 წლის 26 თებერვალს შედგა ვორონეჟის გუბერნიის მედიცინის დარგის მუშაკთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ გუბერნიის ყველა მაზრის წარმომადგენლები. კრება ჩატარდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტის ნიშნით. კრებაზე მიღებული იქნა მიმართვა მინისტრთა კომიტეტის სახელზე, რომელშიც სასტიკად არის მსილებელი არსებული წყობილება. „ჩვენ, ფერმერები, ექიმები, უბრალო ადამიანები,—ნათქვამი იყო მიმართვაში,— ყველაზე უკეთ ვიცნობთ ხალხის საჭიროებებს, ჩვენ თვალწინ ხალხი სულ უფრო მეტად ავადდება და გადაშენებამდეა მისული. ხალხის სიღარიბემ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. იგი ცხოვრობს ჭუჭყიან, გულისამაზრზენ ბინებში, ცუდად იცვამს და იკვებება. ქანცგამწყვეტ შრომას, ტუბერკულოზს, საგრძნობლად განვითარებულ სიფილისსა და ეპიდემიურ დაავადებებს აუარაცხელი მსხვერპლი ეწირება. სიბნელე და უმეცრება ხალხს საშუალებას არ აძლევს თვითონ დაიღწიოს თავი ამ მდგომარეობას; გულმოდგინედ იდევნება ყოველგვარი განათლება, ახშობენ ყოველგვარ აზრს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამგვარად, რუსეთი მისულია უსაშინელეს მდგომარეობამდე: სიღარიბემ, სიბნელემ და უუფლებობამ უკიდურეს ფარგლებს მიაღწიეს ...ომი საბოლოოდ ფიტავს... სამშობლოს. თვითნებობამ და ძალადობამ მხეცობასა და ტირანიამდე მიაღწია. კიშინიოვსა და გომელში არბევენ და ხოცავენ ებრაელებს, მოსკოვში სცემენ სტუდენტებს, პეტერბურგის ქუჩებს მუშების სისხლით რწყავენ, ნიჟნი-ნოვგოროდში არბევენ ინტელიგენციას... ბაქოში ხვრეტენ სომხებს...“[1].

9 იანვრის შემდეგ მთელი ქვეყნის ხალხთა მღელვარება და აღშფოთება დღითიდღე ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. 1905 წლის 12 იანვარს საღამოს, მოსკოვის დიდი სასტუმროს თეთრ დარ-

[1] მცსაა, ფ. 102, აღწ. 999 — 42, 1905, ფ. 5.

ბაზში შედგა ინტელიგენციის კრება, სადაც თავი მოიყარეს ექიმების, სტუდენტებისა და ინტელიგენციის სხვა ფენების წარმომადგენლებმა. კრებას სულ დაესწრო 250 კაცი. კრებაზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: პეტერბურგში უდანაშაულო მუშების დახვრეტისა და მათი ოჯახებისადმი დახმარების შეგროვების შესახებ, გაფიცვების დროს დაზარალებული მუშებისათვის ფულადი შეწირულების შეგროვების შესახებ, რა გზა უნდა აერჩიათ პოლიტიკური თავისუფლების მისაღწევად; ადმინისტრაციის თავაშვებული და მხეცური მოქმედების შესახებ და სხვ. კრებამ პროტესტი გამოთქვა გენერალ ტრეპოვის პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის გამო და აღნიშნა, რომ ტრეპოვის დანიშვნა — ეს არის „სილის გარტყმა მთელი რუსეთისათვის". კრებამ დაადგინა პროტესტის ნიშნად გამოაცხადონ საერობო ექიმების გაფიცვა, მაგრამ ვინაიდან გაფიცვის დროს ავადმყოფები მოუვლელად დარჩებოდნენ, გადაწყვიტეს გაფიცვას მხარი დაუჭირონ, მაგრამ ავადმყოფების მოვლა განაგრძონ.

ექიმების ამ კრების ერთდროულად მიმდინარეობდა ნაფიც რწმუნებულთა კრება მოსკოვის რესტორან „ერმიტაჟში", სადაც ანალოგიური საკითხები იქნა განხილული. 9 იანვარს პეტერბურგში დაზარალებულ მუშათა დასახმარებლად აქ შეგროვდა 215 მანეთი. კრების მონაწილენი რესტორან „ერმიტაჟიდან" გაემგზავრნენ და შეუერთდნენ ექიმთა კრებას. გაერთიანებულმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნული იყო, რომ მხარს უჭერენ მუშათა მოძრაობას და ფულად დახმარებას გაუწევენ 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტის დროს დაზარალებულ მუშებს და მათ ოჯახებს.

1905 წლის 12 თებერვალს ოდესაში სასწრაფო დახმარების შენობაში შედგა „ოდესის ექიმთა საზოგადოების" მორიგი სხდომა. პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში წერია, რომ კრებას დაესწრნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები. საზოგადოების თავმჯდომარე შეეცადა კრებიდან გაეყარა სოციალ-დემოკრატები, მაგრამ კრების მონაწილეებმა მას მხარი არ დაუჭირეს და მოითხოვეს სოციალ-დემოკრატებს მონაწილეობა მიეღოთ კრების მუშაობაში. თავმჯდომარის ყოველ სიტყვას ფარავდა რევოლუციური სიტყვების ხმამაღალი წამოძახილი, დარბაზში გადმოყარეს რევოლუციური მოწოდებები. ლიბერალური საკითხების განსახილველად მოწვეული კრება სოციალ-დემოკრატებმა გადააქციეს რევოლუციურ ტრიბუნად. კრების მონაწილეები რევოლუციური

ლოზუნგებით და სიმღერებით გაემართნენ ქუჩისაკენ, მაგრამ დემონსტრანტები გაფანტა პოლიციამ[1].

პეტერბურგის 9 იანვრის ტრაგედიით გამოწვეული საპროტესტო მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა პროგრესულ ინტელიგენციაში. 1905 წლის 5 აპრილს ოდესის უნივერსიტეტის ანატომიურ თეატრში შედგა სამედიცინო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო 2000-მდე კაცი. სხდომას ესწრებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაც. კრებამ მოისმინა პრივატ-დოცენტ ტარასევიჩის მოხსენება. პიროგოველთა უკანასკნელი ყრილობის შედეგებზე ტარასევიჩმა (რომელსაც პოლიციის საიდუმლო მიმოწერაში უწოდებდნენ თავისი პოლიტიკური არაკეთილსინდისიერებით პოლიციისათვის ცნობილ პიროვნებას) მოხსენება წაიკითხა რუსეთის იმდროინდელ რევოლუციურ აზრებთან დაკავშირებით და მკაცრად დაგმო მეფის მთავრობის სისხლისმღვრელი მოქმედება. პოლიცია სწერს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მომხსენებელმა თავისი მოხსენება დაამთავრა მოწოდებით: „ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ს.-პეტერბურგში 9 იანვარს დახოცილი მუშების ხსოვნისათვის, რაც შესრულებულ იქნა კიდეც დამსწრეთ მიერ რევოლუციური შეძახილებით“[2].

სხდომის დროს გადმოყარეს რევოლუციური მოწოდების ფურცლები, რომლებიც ამხილებდნენ მთავრობის სისხლისმღვრელ და დამღუპველ მოქმედებას და ხალხს მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ. კრების დასაშლელად გამოძახებულ იქნა პოლიცია და ჯარი. როდესაც კრებაზე გამოჩნდნენ პოლიციელები, კრების მონაწილეებმა მიაძახეს: „სიკვდილი პოლიციას!“. პოლიციამ კრება მხეცური წესებით გარეკა.

პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო მოხსენებაში ძალიან საშიშარ მოვლენად არის დახასიათებული 1905 წლის 31 მაისს ენისეის გუბერნიის ექიმთა საზოგადოების კრება, რომელიც შეიკრიბა ქალაქ კრასნოიარსკის თეატრში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ კრებაზე წინადადება შემოიტანეს, „...შეიარაღებული ძალით იქნეს მიღწეული არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლა, რის შემდეგაც რამდენიმე ათასიანი დემონსტრაცია წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით დაიძრა ქუჩისაკენ“[3].

1905 წ. იანვარში დაწყებული საპროტესტო მოძრაობა გავრცელდა ვეტერინარ ექიმებშიაც. 5 მარტს მოსკოვში შეიკრიბა ვეტერინარი

---

[1] მცსია, ფ. 102. აღწ. 168, საქ. № 39, 1905, ფ. 76.
[2] იქვე, ფ. 133.
[3] იქვე, ფ. 179.

ექიმების კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ვეტერინარიის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ვეტერინარული საქმის დანიშნულებაა ემსახუროს მეცხოველეობის დაცვას და განვითარებას, ემსახუროს საბალნო ჯანმრთელობის საქმეს, მჭიდრო კავშირი იქონიოს საერთო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოვლენებთან; ახლანდელ ვითარებაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მისულია სრულ სამეურნეო გლახაკებამდე. ადამიანთა მონურ უუფლებობასა და სრულ უკულტურობასთან ერთად, არსებულმა ხელისუფლებამ ქვეყანა მიიყვანა საგანგაშო და კრიტიკულ მდგომარეობამდე. ჩვენ, ვეტერინარ ექიმებს, რუსი ხალხის ყველა პროგრესულ ფენასთან ერთად ამ მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიული წყობილების შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე დამფუძნებელ კრებაში ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია დაუყოვნებლივ გაუქმდეს დებულება გაძლიერებული დაცვის შესახებ, გარანტირებულ იქნეს პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების, სარწმუნოების თავისუფლება, მიღებულ იქნეს ყველა ზომა ხალხისათვის ძალით თავსმოხვეული დამღუპველი ომის შეწყვეტისათვის, შემოღებულ იქნეს საყოველთაო და უფასო სწავლება და სხვ[1]. ვეტერინარ ექიმთა ეს რეზოლუცია მოწონებულ იქნა სრულიად რუსეთის ექიმთა ყრილობაზე 1905 წლის მარტში.

1905 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის გმირი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გავლენით და ბოლშევიკების მიერ ინტელიგენციაში სისტემატური მუშაობის შედეგად მედიცინის მუშაკთა გაფიცვები მოხდა ვორონეჟში, ნოვგოროდში, ტომსკში, ეკატერინოსლავში, მინსკში, თბილისში, ბაქოში და სხვ. ბოლშევიკური პარტიის დავალებით მედიცინის დარგის მუშაკებს შორის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ბოლშევიკები, განათლებით ექიმები — მ. ვ. ვლადიმირსკი, ს.ი. მიცკევიჩი, ვ. ა. ობუხი, ი. ვ. რუსაკოვი, ნ. ა. სემაშკო (ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჯანდაცვის სახალხო კომისარი), ზ. პ. სოლოვიოვი, დ. ი. ულიანოვი და სხვ.

---

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. 1587, 1905, ფ. 15.

ბოლშევიკები დიდ პროპაგანდისტულ და აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ იმისათვის, რომ პროლეტარულ მოძრაობაში ჩაებათ ინტელიგენციის ყველა პროფესიის წარმომადგენლები: ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები, კანტორის მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები და სხვ. ბოლშევიკების ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1905 წლის მარტში მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან შექმნილ იქნა ლიტერატორ-ლექტორთა ჯგუფი, რომელშიაც შევიდნენ ინტელიგენციის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები: ს. მიცკევიჩი და ვ. ობუხი (ექიმები), ი. სკვორცოვ-სტეპანოვი (ეკონომისტი), მ. პოკროვსკი (ისტორიკოსი) და სხვ. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ვ. შანცერი. ლიტერატორ-ლექტორთა ჯგუფის წევრები ეწეოდნენ დიდ პროპაგანდისტულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერდნენ რევოლუციურ ფურცლებს, ბროშურებს, რუსულ ენაზე თარგმნიდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, ლექციებს კითხულობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, დაწესებულებებსა და სხვადასხვა საზოგადოებებში. ამ დიდი მუშაობის შედეგად გააქტიურდა ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა, ერთმანეთს დაუკავშირდა მუშათა მოძრაობა და დემოკრატიული ინტელიგენცია.

1905 წლის რევოლუციის დროს ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ რევოლუციისათვის საჭირო თანხების შეგროვებას. ამ საქმის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია. რევოლუციისათვის საჭირო თანხების შეგროვებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დემოკრატიული ინტელიგენცია. მისი წარმომადგენლები დიდ დახმარებას უწევდნენ კომისიას, რომელიც სისტემატურად აწყობდა ფასიან კონცერტებს, ყიდდა ლიტერატურას, აგროვებდა შეწირულებას. რევოლუციისათვის საჭირო ფონდის შექმნაში ბოლშევიკებს განსაკუთრებულ დახმარებას უწევდა პროლეტარული მწერალი მ. გორკი. რევოლუციისათვის შექმნილ ფონდში ფული და ნახატები შეჰქონდა დიდ მხატვარს ვ. ა. სეროვს. ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ფასიან კონცერტებში, რომელთა შემოსავალიც მიდიოდა რევოლუციის ფონდში, ხშირად მონაწილეობდა ცნობილი რუსი მსახიობი ვ. ი. კაჩალოვი.

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ბოლშევიკები სულ უფრო ფართოდ აჩაღებდნენ სახალხო ინტელიგენციაში აგიტაციასა და პროპაგანდას. რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებული მოსკოვის რკინიგზის კვანძის კავშირმა დიდი მუშაო-

ბა გაშალა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და სერიოზული როლი შეასრულა რკინიგზის მოსამსახურეთა იდეური აღზრდის, მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან მათი დაკავშირების საქმეში. რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებულმა მოსკოვის რკინიგზის კვანძის კავშირმა 1905 წლის 8 აპრილს გამოუშვა რევოლუციური შინაარსის ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა ყველა რკინიგზელს გაერთიანებულიყვნენ ერთ კავშირში. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ სანამ თვითმპყრობელური წყობილება არსებობს, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. მხილებული იყო აგრეთვე მეფის მთავრობის მთელი სისაძაგლე და დესპოტიზმი, რომ თვითმპყრობელური წყობილების დროს მოსპობილია ხალხთა ყოველგვარი თავისუფლება და შექმნილია აუტანელი ეკონომიური პირობები. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა მთელი პროგრესული ძალების დარაზმვა ხალხის მთავარი მტრის — თვითმპყრობელობის დასამხობად, რომ რკინიგზის მოსამსახურეები თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით წარმოადგენენ სრულიად რუსეთის პროლეტარიატის ოჯახის ნაწილს, ამიტომ მათი მიზანია მოსპონ თვითმპყრობელობა და შექმნან ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება პროლეტარიატის ინტერესებს. „ჩვენ, — ნათქვამია მოწოდებაში, — რკინიგზის მოსამსახურეთა ჯგუფი, ვუერთდებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მისი ხელმძღვანელობით მობილიზაციას ვუკეთებთ ჩვენს ძალებს უახლოესი და გადამწყვეტი შეტაკებებისათვის ჩვენს მტერთან — თვითმპყრობელობასთან“ [1].

ბოლშევიკებმა მთელი თავისი შესაძლებლობა იქითკენ მიმართეს, რომ რაც შეიძლება მეტი რევოლუციური ძალებისათვის მოეყარათ თავი თვითმპყრობელობის მოსასპობად. ისინი ცდილობდნენ, რომ რუსეთის ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში რაც შეიძლება ფართოდ ჩაებათ დემოკრატიული ინტელიგენციის ძალები. 1905 წლის აპრილში მოსკოვის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი, რომლითაც მოუწოდებდა სახალხო მასწავლებლებს მხარი დაეჭირათ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის; ფურცელში ბოლშევიკები მიმართავდნენ მასწავლებლებს, რომ თუ გულწრფელად სურთ დემოკრატიული რეფორმები, მათი მოვალეობაა მხარი დაუჭირონ პროლეტარულ მოძრაობას, დაეხმარონ მას სიტყვით და საქმით, რომ უპროლეტარიატოდ არ არის და არც იქნება დემოკრატია. მოწოდება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ხელი შეუწყეთ

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1955, გვ. 128.

პროლეტარიატის შეიარაღებას, ჩადექით მის რიგებში, იარეთ მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული... ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!.. გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას! მისი დროშის ქვეშ, მოქალაქენო!" [1].

მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მეფის მთავრობის მიერ სასტიკი რეპრესიების გაძლიერებასთან დაკავშირებით, მოსკოვის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეების კავშირმა, რომელიც გაერთიანებული იყო რკინიგზის სოციალ-დემოკრატიულ კავშირში, 1905 წლის მაისში ტულის რკინიგზის მუშების სახელზე გამოუშვა რევოლუციური შინაარსის ფურცელი, რომელშიც მხილებულია რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე მასების წინააღმდეგ მეფის ადმინისტრაციის მთელი მხეცური მოქმედება, მუშების წინაალმდეგ ჯაშუშობისა და მაბეზღართა ქსელის გაფართოება და სხვ.

„ჩვენ შევუერთდით რკინიგზის კავშირს, — წერია ფურცელში, — რომელიც შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, მეფის მთავრობასთან საბრძოლველად, და თქვენც გიწვევთ ჩვენს რიგებში, მუშათა პარტიის რიგებში, რომელიც ჩვენ გაგვანთავისუფლებს პოლიციურ-ჟანდარმული მთავრობისაგან, მოგვიპოვებს ჩვენს მტრებთან — კაპიტალისტებთან ბრძოლის უფლებას. მუშათა პარტია დაამხობს აგრეთვე ამ უღელსაც — კაპიტალის უღელს, და ახლანდელ წყობილებას შეცვლის ახალი სოციალისტური წყობილებით" [2].

საპროტესტო მოძრაობაში ინტელიგენციის სულ უფრო ფართო ფენები ებმებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ექიმების 1905 წლის მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ მშრომელმა ხალხმა დაიწყო მძიმე ეკონომიური, უფლებრივი და პოლიტიკური მონობის ჯაჭვების გაწყვეტა. მშრომელთა სისხლი იღვრება ქვეყნის მრავალი ქალაქის ქუჩებში, სამრეწველო ცენტრებში და განაპირა მხარეებში. რუსეთს მოედო სისხლიანი რევოლუციის ალი. მშვიდობიანი ცხოვრება შეწყდა. პროლეტარიატის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა გახდა სიგნალი ეკონომიურად და უფლებრივად დაჩაგრული ყველა დანარჩენი კლასისა და საზოგადოებრივი ფენისათვის. „და რუსეთის ინტელიგენციამაც, — ნათქვა-

---

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 176.

მია მოწოდებაში, — თავი ანება თავის ჩვეულებრივ სამუშაოს. მასში განმტკიცდა იმის შეგნება, რომ ახლანდელ მომენტში შეუძლებელია ასეთი მუშაობის გაგრძელება და პროტესტის იდეა სულ უფრო ფართოდ ეუფლება მის წრეებს. ყოველ დღეს მოაქვს სულ ახალი ფაქტები, რომლებიც ამ იდეის გამარჯვებას მეტყველებენ...“[1].

მოწოდება მოითხოვდა, რომ რუსეთის ინტელიგენტური საზოგადოების პროგრესული ნაწილი არ გაჩერებულიყო შუა გზაზე, რომ ამჟამად არავის არ აკმაყოფილებს მარტო სიტყვიერი პროტესტი, „რომ რევოლუციის დროს სიტყვიერი პროტესტი არის პასიური პროტესტი. ცხოვრება მოითხოვს მეტს, — საჭიროა აქტიური ბრძოლა. ყოველმა ინტელიგენტმა, ინტელიგენტური საზოგადოების თითოეულმა შეგნებულმა წევრმა უნდა მოძებნოს თავისი ადგილი საშინაოს გასათავისუფლებლად უკვე დაწყებულ ბრძოლაში“[2].

1905 წლის 2 აპრილს თბილისში ქალაქის სათათბიროს შენობაში შედგა თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელსაც დაესწრო 250 კაცი. კრებამ განიხილა მუშა-მოსამსახურეთა საჭირბოროტო საკითხები. დიდი მსჯელობის შემდეგ კრებამ უფროსებს წაუყენა მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც შედგებოდა 25 მუხლისაგან. მათ შორის წამოყენებული იყო 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება. იმის გამო, რომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, კრებამ დაადგინა გაფიცვის გამოცხადება. ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. 1905 წლის 13 აპრილს ქალაქისთავის სახელზე დაწერილ მოხსენებაში ერთ-ერთი ხმოსანი წერდა, რომ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის შედეგად ქალაქში მოძრაობა შეწყვეტილია, გაფიცვა გახანგრძლივდა. თბილისის ტრამვაის დირექცია იძულებული გახდა მიემართა გაფიცულებისათვის შემდეგი დაპირებით: თუ გაფიცულები 2 მაისს მუშაობას განაახლებენ, ყველას მოუმატებდნენ ხელფასს, დირექცია თანახმა იყო ერთდროული დახმარების სახით მოსამსახურეებისათვის მიეცა 5600 მანეთი და სხვ.

1905 წლის ზაფხულში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა მოსამსახურეთა, განსაკუთრებით რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა, მისწრაფება მუშათა გაფიცვებისათვის მხარის დაჭერისადმი. 1905 წლის 15 ივნისს ნოვოროსიისკში დაიწყო რკინიგზის სახელოსნოების გაფიცვა, რომელსაც მხარი დაუჭირა მოსამსახურეთა დიდმა ნაწილმა. 16 ივნისს ნოვოროსიისკის რკინიგზის სახელოსნოების ახლოს შეიკრიბა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელ-

[1] მცსია, ფ. 63, ტ. 1, აღწ. 14, საქ. № 26, 1905, ფ. 165.
[2] იქვე, ფ. 165.

საც დაესწრო 1000-ზე მეტი კაცი. კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ ხაზზე არ გაეტარებინათ არც ერთი მატარებელი. კრებამ გუბერნატორს წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის მომატება 20 პროცენტით, ზედმეტი საგალდებულო სამუშაო საათების მოსპობა, რკინიგზაზე სამხედრო მდგომარეობის მოხსნა და სხვ. გაფიცვა თანდათანობით ფართოვდებოდა; მას შეუერთდნენ ნოვოროსიისკის დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები. გაფიცულთა რიცხვი 2000 კაცამდე გაიზარდა. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 27 ივნისამდე. მთავრობა იძულებული გახდა ხაზზე წესრიგის დასაცავად გამოეყვანა ჯარის ნაწილები. ეს გაფიცვა 1905 წლის რევოლუციის დროს მომხდარ გაფიცვებს შორის ერთ-ერთი სახელოვანი გაფიცვა იყო.

1905 წლის ივნისში თბილისში გაჩაღებულ საყოველთაო გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რკინიგზის მოსამსახურეებმა, აგრეთვე ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა. ივნისში ტომსკის მუშათა გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ რკინიგზის მოსამსახურეები და მედიცინის დარგის მუშაკები. 1905 წლის ზაფხულში დიდი გაფიცვა მოაწყვეს ოდესის საქალაქო ტელეფონის სადგურის ტელეგრაფისტებმა; ეს გაფიცვა სამ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა.

1905 წლის 11 ივლისს ვლადიკავკაზის, კავკაზსკაიას და ტიხორეცკაიას სადგურებზე და კავკასიის დეპოში დაიწყო გაფიცვა. გაფიცვამ ფართო ხასიათი მიიღო. რკინიგზის ჟანდარმერიის საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1905 წლის ივლისის გაფიცვის მოწყობაში მთავარი როლი ითამაშეს რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა. ისინი მუშებში ეწეოდნენ აგიტაციას საერთო გაფიცვის მოწყობის აუცილებლობის შესახებ. გაფიცვა გაგრძელდა 18 ივლისამდე. გაფიცვის დამთავრების შემდეგ მთავრობამ დააპატიმრა რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის რამდენიმე ათეული მოსამსახურე, ბევრი მათგანი სამსახურიდან დაითხოვეს.

მუშათა გაფიცვებისადმი სოლიდარობით და ენერგიული მხარდაჭერით განსაკუთრებით განირჩეოდნენ ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის რკინიგზის მოსამსახურეები. თავის 1905 წლის 26 აგვისტოს მოხსენებაში ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი წერდა, რომ ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის დროებით საგუბერნატოროებს განსაკუთრებით სერიოზული და მკაცრი ზომების მიღება უხდებათ რკინიგზის მოსამსახურეების წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი არიან გაფიცვების ინიციატორები, აგიტატორები და ორგანიზატორები. გზის უფროსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „რკინი-

გზის მოსამსახურეები, რომლებიც პოლიტიკურად საეჭვონი არიან, არ შეიძლება სამსახურში დატოვებულ იქნენ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც, როგორც კი მღელვარება დაიწყება, მაშინათვე დგებიან გაფიცულთა მხარეზე და ინიციატორები ხდებიან რკინიგზის მთავარი ფუნქციის — მატარებლების მოძრაობის შეჩერებისა"[1].

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ვლადიკავკავის რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების სახელზე გამოსცა ძიძართვა, სადაც მხილებული იყო მეფის მთავრობა და მისი ბიუროკრატიული და დამპალი აპარატის ბოროტმოქმედება, აღწერილი იყო რკინიგზის მუშა-მოსამსახურეების მთელი ეკონომიური გაჭირვება და უუფლებო მდგომარეობა. პარტია მოუწოდებდა მოსამსახურეებს ერთობლივი ბრძოლისაკენ. 1905 წლის 20 ივლისს ვლადიკავკავის რკინიგზის ჟანდარმთა განყოფილება წერდა, რომ ვლადიკავკავის რკინიგზის გაფიცული მუშები და მოსამსახურეები მხარდაჭერას ღებულობდნენ როსტოვიდან და ნოვოროსიისკიდან. ამავე დროს მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ „... გაფიცვის ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი იყვნენ სტუდენტები და ადგილობრივი პრესა „პიატიგორსკი ლისტოკ"-ისა და „კავკაზსკიე მინერალნიე ვოდის" სახით"[2].

რევოლუციური მოძრაობისადმი დემოკრატიულ-რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლების მხარდაჭერისა და რევოლუციური ბრძოლის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს საქმიანობა მაქსიმ გორკისა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობის სასტიკ დევნას განიცდიდა, მხურვალე პროპაგანდას ეწეოდა იმისათვის, რომ მოწინავე ინტელიგენცია ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, მხარი დაეჭირა მუშათა კლასისთვის. იგი წერდა წიგნებს, გამოდიოდა პრესაში, კრებებზე, მიტინგებზე, ინტელიგენციის საზოგადოებათა სხდომებზე. 1905 წლის 10 ივლისს გორკიმ მონაწილეობა მიიღო რუსეთის მხატვრების, მწერლებისა და ჟურნალისტების კრებაზე კუოკალაში. იმავე წლის 30 ივლისს გორკი მონაწილეობდა ტერიოკაში გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე, რომელსაც ესწრებოდა 800-ზე მეტი კაცი.

ინტელიგენციასთან, ხალხსა და რევოლუციასთან დამოკიდებუ-

---

[1] საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 12, საქ. № 51, 1905, ფურც. 208.

[2] იქვე, ფ. 277.

ლების საკითხს მ. გორკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში. მან ამ საკითხს მიუძღვნა მთელი რიგი ნაწარმოებები: „მოაგარაკენი“, „მზის შვილები“, „ბარბაროსები“ და სხვ., რომლებშიც იშვიათი რეალისტური ოსტატობით გააშუქა ინტელიგენციის ბუნება, მისი ცხოვრება, მისი რევოლუციურობაც და მერყევი ბუნებაც და მიუთითა, რომ რევოლუციური ალმავლობის დროს ინტელიგენცია ხდება რევოლუციის თანამგზავრი, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემთხვევაში მის რიგებში ადგილი აქვს დაცემულობას, ურწმენობას, მერყეობას და ზოგჯერ რეაქციის მხარეზე გადასვლასაც.

ამ პერიოდის ნაწერებსა და საჯარო გამოსვლებში გორკი მეცნიერული სიღრმით და უდიდესი მხატვრული ოსტატობით აკრიტიკებდა ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კრავდა კავშირს, და იმათაც, რომლებიც მერყეობდნენ რევოლუციასა და რეაქციას შორის. ამით იგი ბიძგს აძლევდა მერყევ ინტელიგენტებს გადასულიყვნენ რევოლუციის, ხალხის მხარეზე.

გორკი გახსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდა ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც გამოსული იყო მშრომელი მასების ფენებიდან, მაგრამ ხალხისაგან შორს ეჭირა თავი და თავის ბედს მათ არ უკავშირებდა. მ. რეინგარდტისადმი მიწერილ ბარათში გორკი წერდა: „მე მინდოდა ამესახა რუსეთის ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც დემოკრატიული ფენებიდან გამოვიდა, და მიაღწია რა სოციალური მდგომარეობის გარკვეულ სიმაღლეს, დაკარგა კავშირი ხალხთან, მის სისხლით ნათესავთან, დაივიწყა მისი ინტერესები, იძის აუცილებლობა, რომ ხალხს ცხოვრება უნდა შეუმსუბუქდეს...“[1].

ინტელიგენციის ლიბერალური ნაწილის მერყევი ბუნება სამარცხვინო ბოძზე გააკრა გორკიმ თავის პიესებში „მეშჩანები“ და „მოაგარაკენი“. აქ მან ინტელიგენციის ლიბერალურ ნაწილს დაუპირისპირა დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც ცდილობდა ხალხს დაკავშირებოდა და ხალხის ცხოვრება აესახა, ხალხისათვის ემსახურა.

— გორკიმ ნათლად გვიჩვენა ინტელიგენციის იმ ნაწილის სახე, რომელიც ცდილობდა გაქცეოდა ბურჟუაზიულ მეშჩანურ ინდივიდუალიზმს, ბურჟუაზიის უსამართლო და ბილწ წრეს და მიიღტვოდა ხალხისაკენ, ცდილობდა ხალხის საკეთილდღეოდ ემოქმედა. გორ-

---

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 345.

კიმ გვიჩვენა, რომ ინტელიგენციის ნამდვილი პატიოსანი და ჭეშმარიტი გზა არის ხალხთან მჭიდრო კავშირში ყოფნა, მისი თავდადებული და გულწრფელი სამსახური; მან ამავე დროს ამხილა ყველა, ვინც ამ გზას გაურბოდა და სახალხო რევოლუციის ქარიშხლის მოახლოებისას ცდილობდა თავის ნაჟუჟში დამალულიყო, ხალხის მტრების მსახური გამხდარიყო.

გორკის მიერ ინტელიგენციის შესახებ დაწერილმა ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს 1905 — 1907 წლების რევოლუციის დროს, როცა ინტელიგენციაში გაძლიერდა ოპოზიციური მოძრაობა, როცა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას თავისი ლიბერალური მოძრაობით თავი მიაჩნდა მომავალი სოციალური და ეკონომიური გარდაქმნების ხელმძღვანელად და სულისჩამდგმელად.

1905 წელს მ. გორკიმ გამოაქვეყნა დიდი მხატვრული რევოლუციური შრომა „შენიშვნები მეშჩანობის შესახებ“, სადაც სასტიკად დაგმო მეშჩანობა, რეალისტურად დაახასიათა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების კანონები, ნათელი ფერებით დახატა მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთობა, გვაჩვენა რუსეთის რევოლუციაში პროლეტარიატის წამყვანი როლი, დაახასიათა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინა პერიოდი და რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის დიდი მნიშვნელობა. მეშჩანობა დახასიათებულია როგორც კაპიტალისტური წყობილების პირდაპირი შედეგი.

რევოლუციის პერიოდში რუსეთში მეშჩანობის წინააღმდეგ გორკის მიერ გაჩაღებულ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების რევოლუციურად აღზრდისათვის, რევოლუციური მოძრაობის მტრების მხილებისა და იზოლაციისათვის. ეს უფრო ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ვ. ი. ლენინი დაუნდობლად ებრძოდა მეშჩანობას. მის მერყევ და საშიშ ბუნებას, რომ მეშჩანები (ფილისტერები) ყოველთვის ცდილობდნენ ავერდზე დამდგარიყვნენ ბრძოლიდან, მიისწრაფოდნენ კლასთა ბრძოლის მიჩქმალვისაკენ, სოციალურ შემარიგებლობისაკენ. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „...ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შუაგზაზე რუსი ფილისტერი ოცნებობს თვითმპყრობელობასა და სახალხო თავისუფლებას შორის წინააღმდეგობის მიჩლუნგებაზე, მოუწოდებს რევოლუციონერებს, ე. ი. სახალხო თავისუფლების ყველა მტკიცე და თანამიმდევარ მომხრეს, რეაქციისაკენ ნუ წაუბიძგებთ ლიბერალურ ბურჟუაზიასო“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 318.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გორკის შემოქმედების დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ ბურჟუაზიულ ყალბ ჰუმანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს მიჩქმალოს კაპიტალიზმის კაცთმოძულე, მტაცებლური იდეოლოგია, მთელი ძალით დაუპირისპირა პროლეტარული კაცთმოყვარე, ჭეშმარიტი ჰუმანიზმი, რომლის მიზანია გაათავისუფლოს ყველა ეროვნების მშრომელი მასები კაპიტალიზმის მიერ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან.

1905 — 1906 წლებში გენიალურმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა: „გონს მოდით", „საზოგადოების მოძრაობის შესახებ რუსეთში", „უდიდესი ცოდვა", „მოწოდება რუსი ადამიანებისა, მთავრობისა, რევოლუციონერებისა და ხალხისადმი", „რუსეთის რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ", „რა გავაკეთოთ?", რომლებშიაც ნათლად გამოსჭვივის ლევ ტოლსტოის მსოფლმხედველობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ხედავდა რა ხალხის საშინელ ჩაგვრას და მძიმე ეკონომიურ ტანჯვას, ტოლსტოი ხმას იმაღლებდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს იგი მხარს არ უჭერდა იმას, რომ მშრომელი მასები იარაღით ხელში გამოსულიყვნენ ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

ლევ ტოლსტოი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1905 — 1907 წლების მოძრაობას და სერიოზულ შედეგებსაც მოელოდა მისგან, მაგრამ მას არ ესმოდა, რომ ეს დიდი სახალხო მოძრაობა იყო მარქსისტული რევოლუციური თეორიის სისწორის დადასტურება, პირიქით, ეს მოძრაობა მას ესმოდა როგორც თავისი საკუთარი თეორიის დადასტურება. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელობის შეფასების საქმეში ლ. ტოლსტოის შეცდომა აშკარად ჩანს თვითმპყრობელური მთავრობისა და ხალხისადმი დაწერილ მის მოწოდებაში. ამ მოწოდებაში ტოლსტოი მეფის მთავრობას ურჩევს აღიაროს ხალხის წინაშე მის მიერ ჩადენილი ცოდვები, რომ ამ ცოდვების გამოსყიდვა შეიძლება სამართლიანობის, სიკეთისა და ჭეშმარიტების აღიარების გზით. ხალხს კი ტოლსტოი ურჩევდა არ გამოეჩინა აქტივობა, არ ჩარეულიყო არც მთავრობის საქმეში და არც რევოლუციონერთა მოქმედებაში, ყველაფერი გადაეტანა მოთმინებით, დამორჩილებოდა ღვთის ძალასა და მის კანონებს.

ვ. ი. ლენინმა უსაყვედურა ლევ ტოლსტოის, რომ იგი გადუდგა რევოლუციას, აღნიშნა, რომ ტოლსტოის შეხედულებები, მისი მოძღვრება სავსე იყო აშკარა წინააღმდეგობებით. „ერთი მხრივ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა

არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამძულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისათვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, „ტოლსტოელი", ე. ი. გაცვეთილი, ისტერიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: „მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორცეულს აღარა ვჭამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდოობო". ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს ძალადობით" [1].

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ლევ ტოლსტოის ნაწერებში არსებული წინააღმდეგობანი გააკრიტიკა მაქსიმ გორკიმ. ტოლსტოის სახელზე დაწერილ ღია წერილში 1905 წელს მაქსიმ გორკი წერდა, რომ მას (ტოლსტოის) არ ესმის რევოლუციის ნამდვილი ამოცანები, არ ესმის გლეხთა მდგომარეობა, თითქოს გლეხებს ესაჭიროებათ მხოლოდ მიწა და მეტი არაფერი. „...თქვენ არ იცნობთ მათ (მშრომელების. — ვ. ო.) სულიერ სამყაროს, თქვენ უფლება არ გაქვთ ილაპარაკოთ მათი სურვილების შესახებ. თქვენ დაკარგეთ ეს უფლება მას შემდეგ, რაც აღარ უგდებთ ყურს ხალხის ხმას" [2].

1905 წლის 9 იანვარს რუსეთში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის გავლენით (რომელიც თვითმპყრობელურ მთავრობას ჰპირდებოდა სესხებს, თუ იგი „წესრიგს" დააყარებდა რუსეთში) და რუსეთის ბურჟუაზიის გულის მოგების მიზნით ზიხაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის სახელზე გამოაქვეყნა რესკრიპტი, რის თანახმადაც უნდა შექმნილიყო კომისია ბულიგინის მეთაურობით, რომელიც შეიმუშავებდა კანონპროექტს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ; სათათბიროს ექნებოდა მხოლოდ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 237 — 238.
[2] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 28 გვ. 358.

სათათბირო უფლება და მოკლებული იქნებოდა საკანონმდებლო უფლებას.

მეფის რესკრიპტს მსხვილი ბურჟუაზია დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაიწყო ვაჭრობა ცარიზმთან, მოითხოვა რათა თვითმპყრობელური მთავრობა დადგომოდა პოლიტიკური რეფორმების გზას. სტატიაში — „რევოლუციური ბრძოლა და ლიბერალური მაკლერობა“ — ვ. ი. ლენინმა ამხილა ლიბერალები, რომლებიც თავის თავს უწოდებდნენ კონსტიტუციონურ დემოკრატებს, იმიტომ რომ დაემალათ თავისი პარტიის რეაქციული ხასიათი. მენშევიკებმა, ესერებმა და ლიბერალური ბურჟუაზიის მიმდევარმა ინტელიგენციამ — „კავშირების კავშირმა“ მხარი დაუჭირეს ლიბერალური ბურჟუაზიის გადაწყვეტილებას მეფესთან ხელისუფლების გაყოფის შესახებ.

როდესაც ბულიგინის სათათბიროს კანონპროექტმა სასტიკი კრიტიკა გახიცადა, მეფის მთავრობამ მის ნაკლოვანებათა „შესასწორებლად“ გამოსცა ახალი დებულება „საკანონმდებლო სათათბიროს შესახებ“. ბოლშევიკებმა ამხილეს მეფის მთავრობის ეს პროვოკაციული ცდაც და რუსეთის საზოგადოებრიობას მოუწოდეს ებრძოლა ამ ახალი ხრიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკების ტაქტიკის დასაცავად გამოვიდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მთავრობის ამ ახალი ცდების წინააღმდეგ მთელი ძალით გაილაშქრა გორკიმ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მეფის მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მოწვევით აწყობს საზიზღარ კომედიას. ამასთან დაკავშირებით გორკი წერდა: „რუს ხალხს ესმის, რომ სურთ იგი უხეშად მოატყუონ, და თავს არ იტყუებს. იგი ბრძოლისათვის ემზადება“[1]. მეფის მთავრობის ახალი მანევრის წინააღმდეგ გამოვიდა მრავალი მოწინავე ადამიანი. მან გმობდეხ სხვადასხვა პროფესიის ინტელიგენციის კრებებსა და თათბირებზე.

ბოლშევიკებმა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს და ძიზხად დაისახეს ჩაეშალათ სახალხო წარმომადგენლობის ეს კარიკატურა.

ბულიგინის სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხი 1905 წლის ზაფხულში სერიოზული სადავო საკითხი გახდა. ლიბერალური ბურჟუაზია, ესერები, მენშევიკები და მათი მიმდევარი ინტელიგენცია გამოდიოდნენ ამ სათათბიროს არჩევნებში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის, სათათბიროში მონაწილეობის მომხრედ.

---

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 390.

ბოლშევიკები კი ატარებდნენ სათათბიროს ბოიკოტის თანამიმდევრულ რევოლუციურ ტაქტიკას. ბოლშევიკები რაზმავდნენ და ამჭიდროებდნენ ყველა მშრომელსა და პროგრესულ ადამიანს სათათბიროს აქტიური ბოიკოტისათვის.

ბულიგინის სათათბიროსადმი პროლეტარიატის რევოლუციური დამოკიდებულების ტაქტიკა განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში — „ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „პროლეტარის" მე-12 ნომერში 1905 წლის 16 (3) აგვისტოს. აღნიშნულ სტატიაში ლენინმა აბნილა ბულიგინის სათათბიროს რეაქციული ხასიათი. განსაზღვრავდა რა ბულიგინის სათათბიროსადმი აქტიური ბოიკოტის იდეას, ვ. ი. ლენინი წერდა:

„ამრიგად: ბოიკოტის იდეის უაღრესად ენერგიული მხარდაჭერა; ბურჟუაზიული დემოკრატიის ბოიკოტის უარმყოფელი მარჯვენა ფრთის გამცემლობის მხილება; ამ ბოიკოტის აქტიურ ბოიკოტად გადაქცევა, ე. ი. უაღრესად ფართო აგიტაციის გაჩაღება; შეიარაღებული აჯანყების ქადაგება, მოწოდება რევოლუციური არმიის რაზმების დაუყოვნებლივ შექმნისაკენ თვითმპყრობელობის დასამხობად და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესაქმნელად; გავრცელება და განმარტება ამ დროებითი რევოლუციური მთავრობის ძირითადი და უცილობლად სავალდებულო პროგრამისა, რომელიც აჯანყების დროშად უნდა გახდეს და ნიმუშად გადაიქცეს ოდესის ამბების ყველა მომავალი განმეორების დროს"[1].

ბოლშევიკების მიერ დიდი მუშაობის გაშლის შედეგად ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ბულიგინის სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ბოლშევიკურ ტაქტიკას. ინტელიგენციის ყრილობებსა და კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებები ბულიგიხის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. კურსკის გუბერნიის ინტელიგენციის კავშირების ყრილობამ ხმის უმრავლესობით დაადგინა ბოიკოტი გამოეცხადებინა სათათბიროსათვის. ბულიგიხის სათათბიროს აქტიური ბოიკოტი გამოუცხადა ვორონეჟის გუბერნიის ინტელიგენციის კავშირების კრებამ.

ბოიკოტის რეზოლუციები გამოიტანეს ნოვგოროდის გუბერნიის მასწავლებელთა სამაზრო ყრილობებმა. ბულიგინის სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხმა დიდი დავა გამოიწვია პეტერბურგის მედიცინის დარგის მუშაკთა კრებაზე. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კრებამ ხმის უმრავლესობით დაადგინა, რომ დაუშვებ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 218.

ლად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს ბულიგინის სათათბიროს არჩევნებში.

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში 1905 წლის ივლისში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მოიწვია „კავშირთა კავშირის“ III ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო ბულიგინის სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხი, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელმა პროფესორმა მილიუკოვმა. ლიბერალური ბურჟუაზიის ამ იდეოლოგმა თავის მოხსენებაში ის ძირითადი აზრი გაატარა, რომ საჭიროა ბულიგინის სათათბიროსადმი მხარის დაჭერა და ბურჟუაზიასთან სოლიდარული მოქმედება. მას მხარი დაუჭირეს ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ლიბერალური ბურჟუაზიის ამ წინადადების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს სათათბიროს ბოიკოტის მომხრეებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ლიბერალების მოთხოვნა სათათბიროსადმი მხარის დაჭერის შესახებ ნიშნავს ცარიზმისადმი მხარის დაჭერას, რომ ცარიზმი სათათბიროს გამოიყენებს თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, მშრომელი მასების წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ.

სათათბიროს ბოიკოტის მომხრე დელეგატებმა ყრილობაზე წარადგინეს თავისი რეზოლუცია, რომელიც გმობდა ბულიგინის სათათბიროს, როგორც რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ცარიზმის ძახეს. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა მთავრობის პროექტის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტების მოსაწყობად მთელი დემოკრატიული ძალების დაუყოვნებლივ მობილიზაცია. რეზოლუცია წინადადებას აძლევდა კავშირის ყოველ წევრს, რათა გამოცხადებულიყვნენ ყველა საფეხურის საარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებში აგიტაციის გასაწევად, იმ მიზნით, რომ ამომრჩევლებს უარი განეცხადებინათ არჩევნებში მონაწილეობაზე. ყრილობის წინ ბოლშევიკების მიერ ინტელიგენციაში ჩატარებული დიდი აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგად ლიბერალებმა მარცხი განიცადეს. ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადების რეზოლუციას.

ინტელიგენციის კავშირების III ყრილობის შედეგებს ღრმა მეცნიერული და პოლიტიკური ანალიზი გაუკეთა ვ. ი. ლენინმა. „.. არსი „ბოიკოტის“ იდეისა, — წერდა ლენინი, — როგორც ის წარმოიშვა „კავშირთა კავშირში“, ის არის, რომ მ ს ხ ვ ი ლ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს პ ი რ ვ ე ლ მ ა ნ ა ბ ი ჯ მ ა თ ა თ ბ ი რ ი-

საკენ — მეფესთან შეთანხმებისაკენ გარდუვალად გამოიწვია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის პირველი ნაბიჯი რევოლუციურ ხალხთან დაახლოებისაკენ. მემამულეები და კაპიტალისტები მარჯვნივ გადაიხარნენ, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, მარცხნივ გადაიხარა. პირველნი მეფესთან მიდიან და თან სულაც არ იღებენ ხელს იმაზე, რომ არა ერთხელ დაემუქრონ მას ხალხის ძლიერებით. მეორენი საგოხებელ'ში არიან, ხომ არ წავიდნენ ხალხთან, და თან საბოლოოდ ვერ წყვეტენ კავშირს „შეთანხმების" თეორიასთან და სავსებით ვერ დგებიან რევოლუციურ გზაზე"[1].

დიდმა ლენინმა ბოლშევიკებს ამოცანად დაუსახა დახმარებოდნენ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას მერყეობის გადალახვის საქმეში, განემტკიცებინათ მათ მიერ ხალხთან დასაახლოვებლად ყრილობაზე გადადგმული ნაბიჯი და ახალი სერიოზული წარმატება მოეპოვებინათ ამ საქმე'ში. ეხებოდა რა სათათბიროს ბოიკოტის ბოლ'შევიკური ტაქტიკისადმი მასების მხარდაჭერის საკითხს, ვ. ი. ლენინი წერდა:

„რევოლუციური პროლეტარიატის უტყუარმა კლასობრივმა ინსტინქტმა რუსეთის ამხანაგების უმრავლესობას აქტიური ბოიკოტის იდეა უკარნახა. ეს კი ნიშნავს: მხარი დაუჭირო მემარცხენე ფრთას და შენსკენ მიიზიდო, ეცადო გამოჰყო რევოლუციური დემოკრატიის ელემენტები, რათა მათთან ერთად ეკვეთო თვითმპყრობელობას. რადიკალურმა ინტელიგენციამ თითი გამოგვიწოდა, — ჩაეჭიდე მთელ ხელს!"[2].

ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ბოლშევიკურ ხაზს მხარი დაუჭირა მაქსიმ გორკიმ. მან ამხილა დემოკრატიული პარლამენტის ეს კარიკატურა და გაკიცხა ის ადამიანები, რომლებიც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი სათათბიროსადმი.

1905 წლის დასაწყისში გორკი წერდა: „მეტად საცოდავნი არიან ის ოპტიმისტები... რომლებიც თავს იმცირებენ და იბრძვიან ამ სათათბიროსათვის, სადაც მოგროვილი იქნება რუსეთის მიწის... ყველა ნარეცხი..."[3]. უფრო გულდასმით დასცინა გორკიმ სათათბიროს თავის მეორე წერილში: „კონსტიტუცია — უნიჭო ადამიანთა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 257.

[2] იქვე, გვ. 260.

[3] მ. გორკი, თხზ., ტ. 28, გვ. 370.

ეს წვრილმანი თაღლითობა — არ ახდენს არც აქ, არც პიტერში, რამდენადმე გარკვეულ შთაბეჭდილებას“ [1].

ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებების საფუძველზე ბოლშევიკურმა კომიტეტებმა ფართო მუშაობა გაშალეს მასებში, გამოჰქონდათ დადგენილებები სათათბიროსათვის აქტიური ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, არწმუნებდნენ მასებს ამ დადგენილებათა სისწორეში, დაუხდობლად ამხელდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენას, რომელიც რევოლუციის მოღალატედ გამოდიოდა.

მასებში ბოლშევიკების მუშაობის წარმატებით და ინტელიგენციაში რევოლუციური განწყობილების გაძლიერებით შეშინებული და აღშფოთებული რეაქციული და ლიბერალური ბურჟუაზიული გაზეთები თავს დაესხნენ დემოკრატიული ინტელიგენციის პროგრესულ და რევოლუციურ მისწრაფებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაზეთმა „ოსვობოჟდენიემ“. აქ იბეჭდებოდა მთელი რიგი ცილისმწამებლური და რეაქციული წერილები, რომლებშიც დაგმობილი იყო ინტელიგენციის ერთი ნაწილის ხალხისაკენ გადახრის გახწყობილება. ამ გაზეთში დაიბეჭდა პ. მილიუკოვის სტატია. წერილში იგი აშინებდა ინტელიგენციას და არწმუნებდა მას, რომ ინტელიგენციის მიერ ბულიგინის სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადება — ეს არის ცარიზმისადმი ხელის შეწყობა და დახმარება. ლიბერალურ ბურჟუაზიას არც მენშევიკი ლიდერები და მათი პრესა ჩამორჩა, ისინიც შეეცადნენ დაეშინებინათ ინტელიგენცია, რათა მას დაეგმო ხალხთან დასაახლოებლად გადადგმული ნაბიჯი და გაჰყოლოდა ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკურ ხაზს. მენშევიკურ „ისკრაში“ გამოქვეყნდა მარტოვის სტატია, სადაც იგი ბრალს სდებდა ინტელიგენციას მასებისადმი ღალატში, იმის გამო, რომ მათმა ერთმა ნაწილმა სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადა. მენშევიკი ლიდერები „აფრთხილებდნენ“ ინტელიგენციას, რომ თუ იგი ხელს არ აიღებს ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტზე, ამან შეუძლია გამოიწვიოს ინტელიგენციის პოლიტიკური სიკვდილიო. ამრიგად, მენშევიკები შეეცადნენ ბურჟუაზიის რეზერვად მოემზადებინათ ინტელიგენცია, ჩამოეშორებინათ იგი რევოლუციური მოძრაობისაგან.

ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საჯაროდ ამხილეს ლიბერალური ბურჟუაზიის და მენშევიკების გამცემლობა.

სახალხო რევოლუციის გაძლიერებით დამფრთხალი ბურჟუაზიული ლიტერატორები, ჟურნალისტები, მწერლები მთელი ძალით

---

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 28. გვ. 382.

გამოვიდნენ რევოლუციური მოძრაობის, რევოლუციური ლიტერატურისა და პრესის წინააღმდეგ. ისინი ცილისმწამებლურ წერილებს წერდნენ რევოლუციური ლიტერატურის თვალსაჩინო ავტორების წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი თავდასხმა განიცადეს მაქსიმ გორკიმ და მისმა რევოლუციურმა ნაწერებმა. 1905 წლის დეკემბერში კადეტების ორგანო „პოლიარნაია ზვეზდაში" დაიბეჭდა დ. მერეჟკოვსკის სტატიები „მეშჩანობა და რუსეთის ინტელიგენცია", „მომავალი ხეპრე" („Грядущий хам") და „რუსეთის რევოლუციის წინასწარმეტყველები". მერეჟკოვსკი ამ სტატიებში გამოვიდა როგორც რევოლუციით შეშინებული ბურჟუაზიის წარმომადგენელი და დამცველი.

დიდი სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყეს რეაქციულმა ჟურნალებმა „რუსკი ვესტნიკმა", „პოლიარნაია ზვეზდამ", „ვესიმ", „ნოვოე ვრემიამ". აღნიშნულ ჟურნალებში ანტიხალხური სტატიებით გამოდიოდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის წარმომადგენლები — დ. მერეჟკოვსკი, ნ. ბერდიაევი, ბულგაკოვი და სხვ., რომლებიც რევოლუციას ხატავდნენ როგორც საშიშარ მოვლენას, სახალხო მოძრაობას ახასიათებდნენ როგორც ველურების ლაშქრობას. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ რეაქციული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის ამ საზიზღარ ცილისმწამებლურ ლაშქრობას საკადრის პასუხს აძლევდნენ ბოლშევიკური პრესა და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რეაქციული მწერლების შემოტევისაგან რევოლუციური ლიტერატურის პროლეტარულ-რეალისტურ შეხედულებათა დასაცავად გამოვიდა ბოლშევიკების ბელადი ვ. ი. ლენინი. თავის ბროშურაში — „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები" — ლენინმა ამხილა ლიბერალური ბურჟუაზიისა და მათი ინტელიგენციის გამცემლური პოლიტიკა.

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში დღითიდღე ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა. 1905 წლის შემოდგომისათვის რევოლუციური მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო. იგი უდიდესი ძალით იზრდებოდა.

19 სექტემბერს მოსკოვში დაწყებული მბეჭდავი მუშების გაფიცვა გავრცელდა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში. მოსკოვის მბეჭდავი მუშების გაფიცვას მხარი დაუჭირეს სხვა საწარმოთა მუშებმაც. იგი გადაიქცა საერთო პოლიტიკურ გაფიცვად.

ამ გრანდიოზული გაფიცვების დროს ბოლშევიკები დღითიდღე აძლიერებდნენ ინტელიგენციაში მუშაობას. ამ დროს განსაკუთრე-

ბით დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსკოვის, სარატოვის, ტულის, ნიტის, ტომსკის, ეკატერინოსლავის, ოდესის და სხვ. ქალაქების ბოლშევიკური ორგანიზაციები. გაფიცვებში მონაწილეობას იღებდნენ რკინიგზის მოსამსახურეებიც. 1905 წლის სექტემბერში მოსკოვის აფთიაქის მოსამსახურეების წარმომადგენელთა კრებამ აირჩია საგაფიცვო კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შეიდნენ რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წარმომადგენლები.

ბოლშევიკების მიერ ინტელიგენციაში გაჩაღებულ მუშაობას ახალ-ახალი წარმატებები მოჰქონდა. 1905 წლის სექტემბერში ბოლშევიკებმა შექმნეს სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების პეტერბურგის კავშირი. მისი მიზანი განსაზღვრულია მის წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ კავშირი მიზნად ისახავს გააერთიანოს სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების მოღვაწეები, ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი სკოლის არსებობას, რომელიც ერთნაირად მისაწვდომი იქნება მთელი მოსახლეობისათვის. წესდებაში ნათქვამი იყო: „იზიარებს რა პროლეტარიატის კლასობრივ თვალსაზრისს და მიაჩნია რა, რომ ასეთი სკოლის შექმნა შეუძლებელია გაბატონებული ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების ჩარჩოებში, კავშირს საჭიროდ მიაჩნია არსებული წყობილების გარდაქმნა სოციალიზმის საფუძვლებზე“ [1].

გაფიცვებში რადიკალური ინტელიგენციის მონაწილეობამ ძალიან შეუწყო ხელი მათ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, მათი მერყეობის დაძლევას და რევოლუციურ პროლეტარიატთან დაახლოებას. ეს გაფიცვები დემოკრატიული ინტელიგენციის ნამდვილი პოლიტიკური სკოლა გახდა.

სახალხო ინტელიგენციის აქტივობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წლის ოქტომბრის სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელი ქვეყნის საძრეწველო მუშებმა. გაფიცულ მუშებს უერთდებოდნენ წვრილი მოსამსახურეები, მოსწავლეები, ინტელიგენცია — ადვოკატები, ინჟინრები, ექიმები. ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვა სრულიად რუსეთის გაფიცვად იქცა.

ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ პირველ რიგში მიიზიდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც განიცდიდა ბოლშევიკური პარტიის გავლენას. ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგმა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის შესახებ თავისი შე-

---

[1] გაზ. „ნოვაია ჟიზნ“, 1905, № 1.

დეგები გამოიღო. გაფიცვა იმდენად ძლიერი შეიქმნა, რომ ამას ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენაც კი შეუერთდა. მაგრამ ინტელიგენციის ამ ნაწილის მონაწილეობას შედეგად არ მოჰყვა ინტელიგენციის ერთი მთლიანი კავშირის შექმნა. გაფიცვებმა კიდევ უფრო გააძლავეს წინააღმდეგობა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენასა და დემოკრატიულ ინტელიგენციას შორის.

გაფიცვების დაწყებისთანავე თვითმპყრობელურმა მთავრობამ გადაწყვიტა სისხლში ჩაახრჩო ისინი. დედაქალაქი აივსო ჯარებით. ფაბრიკებში, ქარხნებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩააყენეს სამხედრო ნაწილები, გააძლიერეს პოლიციის ზედამხედველობა, ჯაშუშებით აავსეს უმაღლესი სასწავლებლები.

მაგრამ მეფის მთავრობის ამ გაუგონარმა რეპრესიებმა და თვალთმაქცობამ ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობა. მოსკოვის მუშათა გაფიცვებს სწრაფად უერთდებოდნენ ყველა დარგის მოსამსახურეები, დაკეტილ იქნა სახელმწიფო ბანკი, კანტორები. საფოსტო განყოფილებები, მუშაობა შეწყვიტეს საავადმყოფოებმა. სასამართლო ორგანოებმა, მაღაზიებმა; პეტერბურგისა და მოსკოვის თითქმის მთელი საქალაქო მეურნეობა მოშლილი იყო.

რუსეთის ამ ორი პოლიტიკური ცენტრიდან გაფიცვები სწრაფად მოედო პროვინციებსაც. მუშათა გაფიცვებს ყველგან უერთდებოდა სახალხო ინტელიგენცია. 10 ოქტომბერს დაიწყო ეკატერინეს რკინიგზის ყველა დარგის სამსახურის მოსამსახურეთა გაფიცვა. ხარკოვის ცნობილ საყოველთაო გაფიცვაში, რომელსაც მოჰყვა ჯართან სასტიკი სისხლისმღვრელი შეტაკება, მუშებთან ერთად თავგახწირვით იბრძოდა ინტელიგენცია, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტობა. გაფიცულმა მუშებმა და ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობამ ერთმანეთთან დაამყარეს მჭიდრო კავშირი. უნივერსიტეტი გადააქციეს გაფიცულთა ციხე-სიმაგრედ. გაფიცულებმა უნივერსიტეტის გარშემო ააგეს 10-ზე მეტი ბარიკადი. პოლიცია უძლური აღმოჩნდა და მთავრობა იძულებული გახდა ჯარი გამოეყვანა. ჯარი გარს შემოერტყა უნივერსიტეტის შენობას. გაფიცულებს შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები. შეწყდა ყოველგვარი კავშირი. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობის აღდგენა მთავრობამ მხოლოდ ჯარის საშუალებით შეძლო.

ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას თანდათანობით უერთდებოდნენ ინტელიგენციის მთელი რიგი პროფესიული ჯგუფები. 12 ოქტომბერს მოწვეულ იქნა მოსკოვის საქალაქო საძმართველოს მოსამსახურეთა დელეგატების კრება. კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია საყოველთაო გა-

ფიცვასთან შეერთების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ძუ"შების მიერ დაწყებული პოლიტიკური გაფიცვა ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მეწარმეების ექსპლოატაციისაგან შრომის დაცვის, აგრეთვე მუშებისა და ინტელიგენციის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, მეფის მთავრობაზე და ბურჟუაზიაზე ზემოქმედებისათვის. კრებამ აუცილებლად მიიჩნია გამოეცხადებინა თავისი სრული სოლიდარობა გაფიცული ძუ"შებისადმი და წინადადება მისცა ქალაქის მოსამსახურეებს დაეწყოთ გაფიცვა და არ შეეწყვიტათ იგი წამოყენებული მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებამდე. კრების დადგენილებით 13 ოქტომბერს ქალაქის სამმართველოს ყველა მოსამსახურე გაიფიცა.

ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვების წინ და გაფიცვების მსვლელობაში ბოლშევიკები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ რკინიგზის ძუ"შებსა და მოსამსახურეებში. ამ მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ მოსკოვის რკინიგზის კვანძის მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვის დროს შექმნილი მოსკოვის რკინიგზის კვანძის მოსამსახურეთა კავშირი, ხოლო ძაის"ში გამოყოფილ იქნა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის რკინიგზის სპეციალური რაიონი, რომელიც აერთიანებდა მოსკოვის რკინიგზის სადგურებზე მომუშავე ბოლშევიკებს. იმ დროს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მოსამსახურეებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბოლშევიკური პარტიის წევრი დ. მ. კოტლიარენკო, მოსკოვ-კურსკის გზის მოსამსახურეებს შორის — ბოლშევიკი კ. დ. ნამიტნიჩენკო, რკინიგზის სახელოსნოებში პროპაგანდას ეწეოდნენ ბოლშევიკები გორჩილინი და ბელორუსოვი.

1905 წლის 7 სექტემბერს მოსკოვში დაიწყო რკინიგზელების დიდი გაფიცვა. 8 ოქტომბერს გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ მოსკოვ-კურსკის რკინიგზის მოსამსახურეები. 8 ოქტომბრისათვის შეჩერებული იყო იაროსლავლის, ყაზანის, კურსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის რკინიგზები; მუშაობა შეწყვიტა აგრეთვე რკინიგზების თითქმის ყველა სამმართველომ. 9 ოქტომბერს შეჩერებული იყო ყველა რკინიგზის ხაზი, გარდა ნიკოლოზის, ვინდავის და საველოვის გზებისა. 10 ოქტომბერს მუშაობა შეწყვიტეს კურსკის სახელოსნოების ძუ"შებმა და იმავე დღეს გამართეს მიტინგი. მიტინგის მონაწილე გაფიცულები გაემართნენ ნიკოლოზის და ვინდავის რკინიგზის ძუ"შა-ძოსამსახურეებთან და წინადადება მისცეს შეეჩერებინათ მუშაობა, რაზედაც ისინი დათანხმდნენ და შეუერთდნენ გაფიცვას. საგაფიცვო მოძრაობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. 10 ოქტომბერს სრულიად შეწყდა მოსკოვის რკინიგზის კავშირი

ქვეყნის სხვა რაიონებთან. მდგომარეობამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მოსკოვის ქალაქისთავმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ტრეპოვს: „მოსკოვისა და გუბერნიის მდგომარეობა ისეთი სერიოზული ხდება, რომ მხოლოდ სამხედრო წესების შემოღებით შეიძლება წესრიგის აღდგენა“ [1].

9 ოქტომბერს მოსკოვის ფარმაცევტთა საზოგადოებაში შედგა ფარმაცევტთა საერთო კრება, რომელმაც შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განიხილა პროფესიული კავშირის ამოცანები. კრებას თავს დაესხა პოლიცია და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაშლილიყო, მაგრამ კრებამ არ შეასრულა პოლიციის განკარგულება და პრორტესტი განუცხადა მთავრობას ასეთი თვითნებობისათვის. მაშინ პოლიციამ ძალა იხმარა და მხეცურად გაუსწორდა კრების მონაწილეებს. მთავრობის ამ მოქმედების გამო კრებამ დაადგინა დაიწყოს საერთო-საპროტესტო გაფიცვა. ამ დადგენილების საფუძველზე აფთიაქები ერთიმეორეზე წყვეტდნენ მუშაობას.

9 ოქტომბერს ფარმაცევტების კრებაზე თავდასხმისა და აწიოკების გამო ფარმაცევტთა დროებითმა საგაფიცვო კომიტეტმა 10 ოქტომბერს გამოუშვა მოწოდება, სადაც აღნიშნული იყო: „ერთიანობის გარეშე გამარჯვება შეუძლებელია. თქვენ მოგიწოდებთ, ამხანაგებო, ერთობლივი ბრძოლისაკენ სოლიდარობისათვის და გაფრთხილებთ, რომ იმათ წინააღმდეგ, ვინც დაიკავებს გაფიცული ამხანაგების ადგილს, გამოყენებული იქნება ბოიკოტის ყველა საშუალება“[2].

12 ოქტომბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა მოსკოვის უნივერსიტეტში მოიწვია საერთო მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალი მუშა-მოსამსახურე. მიტინგმა განიხილა და მიიღო რსდმპ პროგრამა-მინიმუმი. იმავე დღეს უნივერსიტეტში შედგა ფარმაცევტების მიტინგი, რომელმაც ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო რსდმპ პროგრამა-მინიმუმი. უბნის ბოქაული ქალაქისთავს სწერდა, რომ მიტინგზე დიდი რევოლუციური განწყობილება სუფევდა და მიტინგის დამთავრების შემდეგ მონაწილეები ქუჩაში გამოვიდნენ „მარსელიოზას“ ხიმღერით. ფარმაცევტების ამ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება, რომ იმ დღესვე, ე. ი. 12 ოქტომბერს შეერთებოდნენ გაფიცვას.

12 ოქტომბერს მოსკოვის უნივერსიტეტში მესამე კრება ჩაატარეს რკინიგზის დეპუტატებმა და მოსამსახურეებმა; კრებამ.

---

[1] მცსია, ფ. 63, საქ. 773. ტ. 6, ფ. 155.

[2] იქვე, აღწ. 14, ტ. 1, საქ. № 26, 1905, ფ. 285.

რომელსაც დაესწრო 200 კაცი, განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით და საშუალებით ფიქრობს კრება გაფიცულების მიერ წამოყენებული მოთხოვნების განხორციელების მიღწევას. კრებამ დაადგინა შეწყვიტოს დამპალ და სისხლიან მთავრობასთან ყოველგვარი მოლაპარაკება და თავისი უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას. დეპუტატების ამ კრებამ აირჩია თავისი ცენტრალური ბიურო 24 კაცის შემადგენლობით.

13 ოქტომბერს ქ. მოსკოვის გაფიცული ფარმაცევტები დადიოდნენ ქალაქში და სამუშაოდან ხსნიდნენ საავფთიაქო მაღაზიებში მომუშავეებს, სასტიკად ემუქრებოდნენ ყველას, ვინც მუშაობის დაწყებას გაბედავდა. თითქმის ყველა საავფთიაქო მაღაზია დაიკეტა. ამავე დღეს შეიკრიბა ქალაქ მოსკოვის ტექნიკოსების კრება. კრებაზე ძიღებულ იქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმი; კრებამ აღიარა მოსკოვის ბოლშევიკების კომიტეტის ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა გაფიცვის გამოცხადება.

პროლეტარიატის სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას შეუერთდნენ მოსკოვის გუბერნიის საერობო სამმართველოს მოსამსახურეები. 1905 წლის 14 ოქტომბერს შედგა მათი საერთო კრება, რომელმაც განიხილა გაფიცვის საკითხი. დიდი კამათის შემდეგ კრებამ ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: რუსეთის კულტურის შემდგომი განვითარება და რაიმე სასურველი მოღვაწეობის გაშლა არ შეიძლება მანამ, სანამ არ იქნება შექმნილი ნორმალური პირობები რუსეთის ხალხის ცხოვრებისათვის. კრებას აუცილებლად მიაჩნია: კრებების, მიტინგების, კავშირების, გაფიცვების, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლებათა და პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა; პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება; წარმომადგენლობითი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე, სქესისა და ეროვნების განურჩევლად. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ზემოთდასახელებულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად უდიდესი საშუალებაა პოლიტიკური გაფიცვა, რომ ახლანდელი მოძრაობა ატარებს სწორედ ასეთ ხასიათს, რომ მოსკოვის გუბერნიის საერობო სამმართველოს მოსამსახურეების შეერთება საერთო გაფიცვასთან თავისი ფაქტიური და მორალური მნიშვნელობით იქნება მებრძოლ მუშათა კლასთან სოლიდარობის გამომხატველი და მხარდაჭერას გაუწევს საერთო მოძრაობას. „კრება 15 ოქტომბრიდან აცხადებს პო-

ლიტიკურ გაფიცვას განუსაზღვრელი დროით, რაც დამოკიდებულია ძოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე"[1]. კრებამ შექმნა საგაფიცვო კომიტეტი 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სხვა საგაფიცვო კომიტეტებთან კავშირის დამყარება, სხვა ერობების მოსამსახურეებზე გაფიცვების გავრცელება, ერობის მოსამსახურეთა კრებებისათვის საკითხების მომზადება და სხვ.

ინტელიგენციის სხვა დანარჩენი ფენების მსგავსად ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვას შეუერთდა მედიცინის დარგის მუშაკთა ერთი ხაწილიც. მედიცინის დარგის მუშაკები იწვევდნენ მიტინგებს და კრებებს, სადაც იხილავდნენ თანამედროვე ამბებს. მსჯელობდნენ ამ მოვლენებთან თავიანთი დამოკიდებულების შესახებ. 12 ოქტომბერს შედგა პეტერბურგის მედიცინის მუშაკთა საერთო კრება, რომელმაც დაადგინა ემოქმედათ მუშათა საგაფიცვო კომიტეტთან ერთად. 16 ოქტომბერს შეიკრიბა მოსკოვის სამედიცინო დაწესებულებათა ექიმების საერთო კრება. კრებამ განიხილა გაფიცვებთან და საერთოდ გამათავისუფლებელ მოძრაობასთან მედიცინის დარგის მუშაკთა დამოკიდებულების საკითხი და ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: ქალაქის ექიმები უერთდებიან გამათავისუფლებელ მოძრაობას და თანაუგრძნობენ გაფიცვებს. მათ გადაწყვიტეს ემზადონ საავადმყოფოებისა და ამბულატორიების გასაფართოებლად მოსალოდნელი სისხლიანი ამბების გამო. ქალაქის ექიმთა პერსონალი მონაწილეობას იღებს საგაფიცვო მოძრაობაში, თავისი ჯამაგირის 20 პროცენტს გადარიცხავს გაფიცულებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად. უერთდებიან რა ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს. საავადმყოფოების ექიმები კისრულობენ მათზე დამოკიდებულ ყველა საშუალებით ხელი შეუწყონ ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს გამათავისუფლებელი მიზნების განხორციელების საქმეში. ექიმები აფრთხილებენ ქალაქის სამმართველოს და მთავრობის ადმინისტრაციას: თუ ექიმები თავისი მიზნების განხორციელების დროს შეხვდებიან მათგან წინააღმდეგობას ადმინისტრაციული რეპრესიების სახით, მაშინ თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას საავადმყოფოებისა და საერთოდ საექიმო მუშაობის შეწყვეტისათვის. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ექიმების კრების ეს დადგენილება სავალდებულოდ ითვლება ქალაქის საავადმყოფოების ყველა ექიმისათვის. რეზოლუცია ავალებდა ყველა საავადმყოფოს აერჩია დროებითი საგაფიცვო კომიტეტები, ადგილობრივი კომიტეტის

[1] ბოლშევიკები 1905 წლის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის სათავეში, გვ. 409.

2 დელეგატი ცენტრალურ საგაფიცვო ბიუროში გასაგზავნად, რომლებმაც ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტთან შეთანხმებით უნდა იზრუნონ საავადმყოფოებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად[1].

17 ოქტომბერს შეიკრიბა ქ. მოსკოვისა და მისი მიდამოების მედიცინის დარგის მუშაკთა კრება, რომელმაც განიხილა მიმდინარე რევოლუციურ ამბებთან და გაფიცვებთან დამოკიდებულების საკითხი და მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება: ყველა გაფიცულ მუშა-მოსამსახურეს გამოეცხადოს სრული სოლიდარობა: ამასთან ერთად კრება აღიარებს, რომ საყოველთაო გაფიცვა არის პოლიტიკური ბრძოლის მძლავრი საშუალება, ამიტომ ემხრობა და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს საყოველთაო გაფიცვას. ამ მიზნების განსახორციელებლად ყოველი ცალკეული საექიმო ორგანიზაცია ირჩევს თავის წარმომადგენელს. ისინი შექმნიან ქალაქ მოსკოვისა და მისი მიდამოების მედიცინის დარგის მუშაკთა საგაფიცვო კომიტეტს, რომელიც თავისი წარმომადგენლების საშუალებით შედის ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში გადამწყვეტი ხმის უფლებით და მოქმედებს მისი მითითებების თანახმად.

14 ოქტომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოწვეული იქნა ქ. პეტერბურგის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების საერთო კრება. კრების დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო რუსეთში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობასთან დამოკიდებულების ფორმების გამომუშავება. საკითხის ხანგრძლივი და სერიოზული განხილვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც მიმდინარე რევოლუციური ამბების სწორი ანალიზი იყო მოცემული და ამავე დროს განსაზღვრული იყო რევოლუციურ ამბებთან მოსამსახურეების დამოკიდებულების ტაქტიკა. რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანა განიცდის ისტორიულ დღეებს, როდესაც სახალხო მოძრაობის ტალღამ უნახავი ძალით მოიცვა მთელი ქვეყანა, როცა ხალხის თვალში ყოველგვარი ნდობა დაკარგა მთავრობამ, რომელმაც ჯარს უბრძანა — „ტყვიებს ნუ დაიშურებთო", როდესაც მთელი ქვეყანა სისხლით არის მორწყული, ჩვენ შეუძლებლად და დაუშვებლად მიგვაჩნია განვაგრძოთ ჩვენი სამსახურებრივი მოვალეობაო. ჩვენ, პეტერბურგის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები, ხვალიდანვე ვიხმართ ყოველგვარ ღოხისძიებას სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის შესაწყვეტად და ჩვენი ასეთი პოლიტიკური გაფიცვით ვუერთდებით

[1] ბოლშევიკები 1905 წლის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის სათავეში, გვ. 410 — 411.

მთელი შეგნებული რუსეთის ხმას; თანამედროვე აუტანელი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი — ეს არის: სახელმწიფოს სათათბიროს ადგილზე სრულუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობის — დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა — პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, „ძველი წესრიგის" ყველა შემკვიდრეობის მოსასპობად და მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად, ადმინისტრაციული თვითნებობის დაუყოვნებლივ მოსპობა, ბეჭდვის, კრებების და კავშირების თავისუფლება, სამხედრო წესებისა და გაძლიერებული დაცვის მოხსნა, სიკვდილით დასჯის გაუქმება და უკეთესი მომავლისათვის ყველა მებრძოლის განთავისუფლება.

ოქტომბრის საგაფიცვო ბრძოლას შეუერთდა პეტერბურგის მასწავლებლობაც. 14 ოქტომბერს მოწვეულ იქნა პეტერბურგის მასწავლებელთა საგაფიცვო კომიტეტის კრება, რომელმაც მიიღო რეზოლუცია რევოლუციურ მოძრაობასთან მასწავლებლების დამოკიდებულების შესახებ. რეზოლუციაში სწორად არის მოცემული რუსეთის რევოლუციური ამბების ნამდვილი არსი და ამ ამბებისადმი მასწავლებლობის დამოკიდებულების ხაზი. რეზოლუციაში მითითებულია, რომ ამჟამად მიმდინარე მუშებისა და ინტელიგენციის უდიდესი პოლიტიკური გაფიცვა არის მტკიცე მოთხოვნა იმ პოლიტიკური რეფორმებისა, რომლებიც მოსპობენ თვითმპყრობელურ წყობილებას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საშუალო და დაბალი სასწავლებლების მასწავლებლები 15 ოქტომბრიდან წყვეტენ შეცადინეობას და უერთდებიან საერთო პოლიტიკურ გაფიცვას. ამ დადგენილებით ყოველ პიროვნებას, რომელიც გაფიცვას შეუერთდებოდა, გაფიცულთა სასარგებლოდ ფონდში უნდა შეეტანა სამი დღის ხელფასი.

გაზეთი „პროლეტარი" იტყობინებოდა, რომ 15 ოქტომბრისათვის მოსკოვში ყველა ბანკი, რესტორნები, თეატრები, საზოგადოებრივი და სამრეწველო დაწესებულებები დაკეტილი იყო; პეტერბურგთან ტელეფონით კავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის ბინიდან; ქალაქის სატელეფონო კავშირი სრულიად შეწყდა. მოსკოვის თეატრების არტისტებმა გაფიცვა გამოაცხადეს და საერთო გაფიცვას შეუერთდნენ.

საგაფიცვო მოძრაობაში ერთიმეორის მიყოლებით ებმებოდნენ სულ სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები. 17 ოქტომბერს 11 საათზე მექანიკის ინსტიტუტში შედგა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კრება; 2 საათზე იმავე ინსტიტუტის შენობაში შედგა წიგნის საწყობებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მო-

საძსახურეების კრება, ხოლო 4 საათიდან დაიწყო სტუდენტთა საერთო კრება. იმავე დღეს, 2 საათზე, საინჟინრო ინსტიტუტის შენობაში შეიკრიბა ექიმთა კრება, ხოლო 8 საათზე — საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა საერთო კრება. კრებებზე იხილავდნენ მიმდინარე ამბებს, გაფიცვებთან დამოკიდებულების საკითხს. ყველგან ხმის უმრავლესობით გამოჰქონდათ დადგენილებები გაფიცულებისათვის სოლიდარობის გამოცხადების შესახებ.

1905 წლის 15 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა საძძართველოს უფროსმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს პოლიციის დარგში, სადაც წერდა, რომ დღეს, ე. ი. 15 ოქტომბერს თბილისში გაფიცვის პირველი დღეა: შეწყვიტეს მუშაობა ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებში. შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა და ვაგრობა, თბილისიდან მატარებლები აღარ გადიან, თბილის-ბათუმ-ქუთაისის რკინიგზის ხაზი გაფუჭებულია. თბილისსა და ბათუმს შორის ფოსტა-ტელეგრაფის ხაზი დაზიანებულია. გახშირდა შეტაკებახი ჯარსა და რევოლუციონერებს შორის.

აძიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურეებმა გამოუშვეს. რევოლუციური პროკლამაციები. 14 ოქტომბერს დილით, როცა რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეები სამუშაოზე გამოცხადდნენ, თვითეულ მათგანს საწერ მაგიდაზე დახვდა პროკლამაციები, სადაც მოცემული იყო მოწოდება — 15 ოქტომბერს დაიწყოთ გაფიცვა. გაგზავნილ იქნა დელეგაცია გზის უფროს ივანოვსკისთან, რათა მას ხება დაერთო რკინიგზის მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევისათვის. გზის უფროსმა სასტიკი უარით უპასუხა დელეგაციას. მიუხედავად ამისა, 15 ოქტომბერს რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეთა კრება მაინც შედგა. კრებამ განიხილა გაფიცვის საკითხი და დაადგინა: იმის გამო, რომ გაფიცვები ყველგან დაიწყო, რკინიგზის მოსამსახურეებიც მას უნდა შეუერთდნენ, ვინაიდან საყოველთაო გაფიცვა აუცილებელია საყოველთაო თავისუფლების მისაღწევად. გაფიცვა უნდა დაიწყონ 15 ოქტომბერს და განაგრძონ 24 ოქტომბრამდეო.

ხარკოვის 10 ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვას შეუერთდნენ რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებიც. 10 ოქტომბერს დილით ხარკოვის უნივერსიტეტში შედგა მუშების, მოსამსახურეებისა და სტუდენტების საერთო კრება. კრების მონაწილეებს მოელოდათ ჯარისაგან და პოლიციისაგან სასტიკი აწიოკება. ამიტომ კრების მონაწილეებმა უნივერსიტეტის ქუჩა ორივე ბოლოდან გაამაგრეს,

აგეს სანგრები უნივერსიტეტის გარშემო. როგორც ბოლშევიკების ბიულეტენი იუწყებოდა, ბარიკადების მოწყობაში მონაწილეობას იღებდნენ მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, გიმნაზიელები, ქალები და ბოხუცები. როცა გაფიცულები ბრძოლისათვის მზადებაში იყვნენ, ამ დროს ქუჩაში გამოჩნდა „შავი რაზმი" პოლიციასთან ერთად. მათ თან მოჰქონდათ მეფის სურათები, სამფეროვანი დროშები და ბიემარეთებოდნენ ნიკოლოზის მოედნისაკენ „ბოქეცარია ხრანის" სიმღერით. ატყდა საშინელი პანიკა. შავრაზმელები ბევრ ადამიანს იმსხვერპლებდნენ, რომ ამ დროს უნივერსიტეტიდან სწრაფად არ გამომხტარიყო სტუდენტთა შეიარაღებული რაზმი, რომელიც თავს დაესხა პოლიციელებს და შავრაზმელებს. სტუდენტებმა სასტიკად სცემეს და გაფანტეს ისინი, დროშები წაართვეს და დახიეს, მეფის სურათები კი თავზე დაამტვრიეს იმ „პატრიოტებს", რომლებსაც იგი მოჰქონდათ. გაფიცულებმა ბევრი იარაღი წაართვეს მათ, ამავე დროს გატეხეს იარაღის მაღაზია და იქიდან გაიტანეს იარაღი. ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო. საჭირო იყო ამ ბრძოლისადმი ხელმძღვანელობა. ბოლშევიკების, მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების კომიტეტების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა „ბრძოლის კომიტეტი", რომელმაც ხელში აიღო მთელი ხელმძღვანელობა.

მდგომარეობა მეტად დაძაბული და სახიფათო გახდა. ყველა გრძნობდა საშინელი სისხლისმღვრელი ამბების მოახლოებას. სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით მედიცინის საზოგადოების შენობაში შეიკრიბა ადგილობრივი ლიბერალური ინტელიგენციის 30 წარმომადგენელი, რომლებმაც შექმნეს „უშიშროების კომიტეტი". კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა გუბერნატორთან და „ბრძოლის კომიტეტთან". გუბერნატორს სთხოვდნენ არ დაეწყო იერიში უნივერსიტეტზე, ნება დაერთო ხალხისათვის კრებების და მიტინგების მოწვევისა. „უშიშროების კომიტეტის" წარმომადგენლებს გუბერნატორმა პირობა მისცა, რომ თუ გაფიცულები თვითონ არ დაიწყებდნენ სროლას, იგი იერიშს არ შიიტანდა უნივერსიტეტზე; ამავე დროს გუბერნატორმა თანხმობა მისცა გაფიცულებს მეორე დღეს ჩაეტარებინათ საერთო მიტინგი. მაგრამ ეს იყო გუბერნატორის ხრიკი, ვინაიდან მას ჯარის ნაწილები სულ უფრო მეტი რაოდენობით შემოჰყავდა ქალაქში და უნივერსიტეტის გარშემორტყმულ ჯარის რკალს აძლიერებდა. უნივერსიტეტში გამაგრებული გაფიცულებიც თავის მხრივ ემზადებოდნენ თავდაცვისათვის.

ხალხისათვის ნათელი გახდა მთავრობის მიზანი. ამიტომ მუშა-

თა ჯგუფებმა დაიწყეს უნივერსიტეტთან თავმოყრა, ცდილობდნენ გაერღვიათ გარშემორტყმული ჯარისა და პოლიციელების რკალი და დახმარება გაეწიათ გაფიცულებისათვის; მაგრამ მათ გზა გადაუღობეს ჯარის ნაწილებმა და სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ უკუაქციეს მუშათა ჯგუფები. ამ დროს, როგორც იყო, „უშიშროების კომიტეტის“ დელეგაციამ გუბერნატორის საშვებით გაარღვია რკალი, მივიდა „ბრძოლის კომიტეტთან“ და გადასცა გუბერნატორის მიერ მიცემული დაპირება. რევოლუციონერებმა დღის 4 საათზე მჭიდრო კოლონით დაიწყეს უნივერსიტეტის ბარიკადებიდან გამოსვლა და გაემართნენ სკობელევის მოედნისაკენ, სადაც ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი. ბარიკადებიდან მოსულ რევოლუციონერებს ხალხი ტაშით და მისასალმებელი რევოლუციური სიტყვებით შეხვდა.

13 ოქტომბერს გუბერნატორმა პეტერბურგიდან მიიღო ბრძანება — საბჭედრო ძალით ჩაექრო აჯანყება. ბრძანების შესასრულებლად გუბერნატორმა ქალაქში გამოიძახა რამდენიმე ქვეითი და საარტილერიო ლეგიონი და დრაგუნთა ნაწილი. 14 ოქტომბერს მოეწყო ჯართან შეტაკების დროს დაღუპულ მებრძოლთა დასაფლავება, რომელიც უდიდეს საპროტესტო დემონსტრაციად გადაიქცა. დემონსტრანტებს შავრაზმელებისა და პოლიციის თავდასხმისაგან იცავდნენ მუშებისა და სტუდენტებისაგან შემდგარი საბრძოლო რაზმები. მთავრობამ ვერ გაბედა მათ წინააღმდეგ ჯარისა და პოლიციის გამოყვანა.

14 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ქალაქ ვორონეჟის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 5000 კაცი. კრებამ განიხილა სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის გამო ვორონეჟში შექმნილი მდგომარეობა და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღიარა თვითმპყრობელური მთავრობის სრული უუნარობა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საქმეში; მოითხოვა უვარგისი სახელმწიფო სათათბიროს ადგილას დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა; სასტიკად დაგმო ვორონეჟის გუბერნიაში 14 ოქტომბერს კაზაკების, პოლიციისა და შავრაზმელების მიერ მოსწავლე ახალგაზრდობის მხეცური ცემა და წამება და საფერშლო სკოლის მოსწავლეთა დაპატიმრება; წინადადება მისცა გუბერნატორს დაუყოვნებლივ გაეყვანა კაზაკთა რაზმები ქალაქიდან და გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული სტუდენტები და საფერშლო სკოლის მოსწავლეები. კრებამ წინადადებით მიმართა აგრეთვე საქალაქო სათათბიროს — ქალაქში წესრიგის დასაცავად მოეწყო ქალაქის მილიცია მოქალაქეებისაგან.

რსდმპ ოდესის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს შეერთებოდნენ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. ამ მოწოდებით რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები შეუერთდნენ საყოველთაო გაფიცვას. როგორც გაზეთ „პროლეტარის" კორესპონდენტი იტყობინებოდა, 12 ოქტომბერს სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის მოსამსახურეები და ტელეგრაფისტები ჩაებნენ საერთო გაფიცვებში. ოდესა-კიევის ხაზის დასაცავად ძთავრობამ გამოიყვანა ჯარის ნაწილები.

14 ოქტომბერს რსდმპ კრასნოიარსკის კომიტეტმა სახალხო სახლში ძოაწყო საერთო კრება, სადაც თავი მოიყარა 3 000 კაცმა. კრებაზე სიტყვით გამოსულმა ორატორებმა მოუწოდეს მუშებსა და ძოსამსახურეებს ერთობლივი და ერთსულოვანი მოქმედებისაკენ. 13 ოქტომბერს კრასნოიარსკის ფარმაცევტთა კრებამ გამოიტანა დადგენილება საყოველთაო გაფიცვასთან შეერთებისა და ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. კრებაზე შემოვიდა წინადადება შეეწყვიტათ საკითხების განხილვა და კრების მონაწილენი წასულიყვნენ ფოსტა-ტელეგრაფისა და ფარმაცევტების ან მოსამსახურეებთან, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მუშაობას, რათა ისინიც აეძულებინათ შეეწყვიტათ მუშაობა, და ამის შემდეგ გაეგრძელებინათ კრების დღის წესრიგის საკითხების განხილვა. კრებამ წინადადება მისცა აგრეთვე საოლქო სამსახურის მოსამსახურეებს შეეწყვიტათ მუშაობა და შეერთებოდნენ გაფიცვას. ამის შემდეგ კრების მონაწილეებმა განაგრძეს რსდმპ პროგრამის მიღებაზე მსჯელობა. ორატორები მხარს უჭერდნენ რსდმპ პროგრამას. რეპოლუციურ სიტყვებს ხშირად ცვლიდა სიმღერები. სცენაზე ფრიალებდა კრასნოიარსკის ბოლშევიკური კომიტეტის დროშები, რომლებზედაც გაკეთებული იყო წარწერა: „ძირს თვითმპყრობელობა!", „ძირს სახელმწიფო სათათბირო!", „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!".

კრებაზე ჩატარდა შეწირულების შეგროვება იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც განაგრძობდნენ გაფიცვას. კრებამ მიიღო რეზოლუცია რუსეთში გაფიცული ამხანაგებისადმი სოლიდარობის გამოცხადების შესახებ, და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისადმი მისალმება. კრებამ დაადგინა 15 ოქტომბერს 12 საათზე შემდგარიყო საერთო მიტინგი.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1905 წლის 16 ოქტომბერს მოსკოვის საქალაქო სათათბირომ უარი განაცხადა რევოლუციური პარტიების ყოველგვარ წინადადებაზე, მოსკოვის ბოლშევიკურმა კო-

მიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს აერჩიათ მოსკოვის საბჭოს დეპუტატები. ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ დეპუტატებს მთელი რევოლუციური ძალების მობილიზაცია უნდა მოეხდინათ, ვინაიდან ძველი წყობილება არ ნებდება სისხლიანი ბრძოლის გარეშე.

ბოლშევიკებმა გააჩაღეს მუშაობა იმისათვის, რომ მომავალ საგაფიცვო მოძრაობა წარმართულიყო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობით. ამ დიდი მუშაობის შედეგად მოსკოვის საბჭო გახდა ფართო საგაფიცვო მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ბოლშევიკების მოწოდებებს გამოეხმაურნენ და მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელობა აღიარეს მუშებმა, მოსწავლე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა და დემოკრატიულმა ინტელიგენციამ.

პოლონეთში გაჩაღებულ ოქტომბრის უდიდეს საყოველთაო გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო ინტელიგენციაც. ვარშავასა და ლოძში 17 ოქტომბერს დაწყებული საყოველთაო გაფიცვის დროს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შეწყვიტეს მუშაობა. გაფიცვას შეუერთდნენ მთელი რიგი სხვა დარგის მოსამსახურეები. ვარშავაში მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა.

ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის უდიდესი მნიშვნელობისადმი მიძღვნილ სტატიაში—„სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „ბარომეტრი ქარიშხალს გვიჩვენებს!... ყველაფერი უკვე მოგლიჯა ადგილიდან სოლიდარული პროლეტარული იერიშის გიგანტურმა გრიგალმა. რევოლუცია განსაცვიფრებელი სისწრაფით მიექანება წინ, გასაკვირველ ძრავალფეროვან მოვლენებს გვიშლის თვალწინ“ [1].

საყოველთაო საგაფიცვო მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო. თვითმპყრობელური მთავრობა პანიკამ მოიცვა. მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მოსკოვში. მთავრობას ახალ-ახალი ჯარის ნაწილები შემოჰყავდა ქალაქში. რეაქცია აძლიერებდა რევოლუციის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ზომებს.

პროლეტარული იერიშის გიგანტური გრიგალით თავზარდაცემული მეფე იძულებული გახდა გამოეშვა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიაც ხალხს პპირდებოდა „სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებს: პიროვნების ნამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლებას“, „საკა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ... ტ. 9, გვ. 483.

ნონმდებლო სათათბიროს მოწვევას და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემას ყველა კლასისათვის.

ბოლშევიკებმა მაშინათვე გააჩაღეს პროპაგანდა იმის შესახებ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი — ეს არის ხალხის მასების მოტყუება, მეფის ხრიკი იმისათვის, რომ მოადუნოს მასების რევოლუციური სიფხიზლე, მოიგოს დრო, მოიკრიბოს ძალები და შემდეგ შეუტიოს რევოლუციას.

17 ოქტომბრის მანიფესტს დიდი სიხარულით შეხვდნენ ლიბერალური ბურჟუაზია, წვრილბურჟუაზიული პარტიები და რუსეთის ინტელიგენციის ზედაფენა. ამ მანიფესტის შემდეგ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გადაწყვიტა ულმობელი ბრძოლა გამოეცხადებინა რევოლუციისათვის. ეს ბრძოლა რომ უფრო ორგანიზებული ყოფილიყო, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შექმნა თავისი პარტია „განთავისუფლების კავშირი". ამ პარტიის იდეოლოგი და თეორეტიკოსი იყო ყოფილი „ლეგალური მარქსისტების" ლიდერი პ. სტრუვე. რევოლუციის წინააღმდეგ „ოსვობოჟდენცელების" ბრძოლის პროგრამის პროექტი შეადგინა სტრუვემ. ამ პროგრამის შესახებ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ კრებაზე კადეტების ლიდერი პროფესორი მილიუკოვი ამბობდა: „ჩვენი პროგრამა ყველაზე ახლოს დგას იმ ინტელიგენტთა დასავლეთ ჯგუფებთან, რომლებიც ცნობილი არიან „სოციალურ რეფორმატორთა სახელით".

ვ. ი. ლენინმა სასტიკად აშხილა კადეტების პროგრამის რეაქციული ხასიათი. ბროშურაში — „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები" — ლენინი წერდა, რომ პოლიტიკის დარგში კადეტების „...პროგრამა აერთიანებს დემოკრატიზმს, „სახალხო" თავისუფლებას" და კონტრრევოლუციას, თვითმპყრობელობის მიერ ხალხის ჩაგვრის თავისუფლებას წმინდა წვრილბურჟუაზიული და პროფესორულ-პედანტური ზედმიწევნილობით" [1].

კადეტების მიმდევარი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის მოღალატური ბუნება გამოაშკარავდა სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს, როცა ბურჟუაზიასთან ერთად ისინი შეეცადნენ 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოეყენებინათ სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვის ჩასაშლელად. ისინი ყოველნაირად შეეცადნენ ცარიზმთან დაახლოებას.

ლიბერალურ ბურჟუაზიას არც მენშევიკები და მათი თანამგრძნობი ინტელიგენცია ჩამორჩენენ. მათ გააჩაღეს პროპაგანდა, რომ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 247.

თვითმპყრობელობა უკვე აღარ არის, რომ რუსეთი უკვე შევიდა კონსტიტუციურ სახელმწიფოთა შემადგენლობაში, და მოუწოდეს ხალხს ხელი აეღოთ შეიარაღებულ აჯანყებაზე. ამ მიმართულებით დიდი პროპაგანდა გაშალეს ქართველმა მენშევიკებმა. ამიერკავკასიის ბოლშევიკები სასტიკად ამხელდნენ მენშევიკების ამ გამცემლურ პოლიტიკას. ბოლშევიკებმა გამოუშვეს პროკლამაცია, სადაც 17 ოქტომბრის მანიფესტი და სახელმწიფო სათათბირო დახასიათებულია, როგორც რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული მეფის ხრიკი. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ რევოლუციურ მთავრობას შეუძლია მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მეფის მთავრობის ყოველგვარ მანიფესტებს, სათათბიროებსა და სხვა დაპირებებს სასტიკად ამხელდნენ ბოლშევიკები ხალხის წინაშე. რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა", თავის ერთ-ერთ მოწინავეში წერდა: „რევოლუციის შეფერხება — აი რა მიზანი აქვს მეფის მანიფესტს. თვითმპყრობელობის გამაგრება — აი რას უნდა ემსახუროს „საერო კრება". ასე ატყუებენ ქვეყანას მთავრობის ავაზაკები.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ მანიფესტი მეფისაა. აქედან ეტყობა, რომ კეთილი არა იქნება რა: ძაღლისაგან ბატკანი არ დაიბადება — მეფისაგან სიკეთე არ იქნება რა"[1].

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებმა, ერთი მხრივ, აშკარა გახადა ინტელიგენციის ზეიმფენის სურვილი ცარიზმთან დაახლოებისა, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო დააკავშირა რევოლუციასთან ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც აღზარდეს ბოლშევიკებმა, და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. 17 ოქტომბრის მანიფესტის ხასიათის ბოლშევიკურ შეფასებას მხარი დაუჭირა ინტელიგენციის ამ ნაწილმა. დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა პროპაგანდა გააჩაღეს 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ. ისინი მანიფესტს უწოდებდნენ რევოლუციის ჩასაშლელად გამზადებულ რეაქციის ხაფანგს. 17 ოქტომბრის მანიფესტის ყალბი ხასიათი მთელი ძალით ამხილა მ. გორკიმ. იგი აღნიშნავდა: „მაგრამ ყველაფერი ეს, რასაკვირველია, უმნიშვნელო რამაა, იმ ნაბიჯთან შედარებით, რაც გადადგა მუშათა მოძრაობამ. დიდი ნაბიჯია. აი რა არის ნამდვილი გამარჯვება და არა ის, რომ გამოგლეჯილია რაღაც მოძველებული მანიფესტი"[2].

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", № 11, 1905.

[2] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 392 — 393.

სწორი და შორსმჭვრეტელური შეფასება მისცა 17 ოქტომბრის მანიფესტს ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა შალვა დადიანმა. მწერალი მარიამ გარიყული, რომელიც დიდი თანაგრძნობით შეხვდა 1905 წლის რევოლუციას, თავის მოგონებებში გადმოგვცემს, რომ მასთან საუბრის დროს 1905 წლის 18 ოქტომბერს შ. დადიანმა განაცხადა: „ეს მანიფესტი რევოლუციის ცეცხლის შუქით შეშინებული მგლებისაგან გადმოგდებული უხორცო ძვალია. კარგად უნდა კბილის გასინჯვა, საწამლავი არ ეყაროს ზედ, დიდი ხაფანგი არ იყოს დადგმული“ [1].

ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულ დიდი აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგად 17 ოქტომბრის მანიფესტმა არამც თუ შეძლო რევოლუციური მოძრაობის შენელება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა იგი. 18 ოქტომბერს ინჟინერთა და ტექნიკოსთა კავშირმა გამოსცა საგაფიცვო ფურცელი № 8, სადაც მოუწოდებდა ყველა ინჟინერ-ტექნიკოსს შეერთებოდნენ საერთო გაფიცვას. ფურცელში სასტიკად იყო დაგმობილი 17 ოქტომბრის მანიფესტი და მხილებული იყო მისი ნამდვილი არსი.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ თვითმპყრობელური მთავრობის ყველაზე საიმედო დასაყრდენზე — არმიაზედაც მოახდინა გავლენა. ბოლშევიკების მიერ არმიაჯა და ფლოტში ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. 1905 წლის 18 ოქტომბერს შედგა ფლოტისა და არმიის ჯგუფის მატროსებისა და ოფიცრების კრება, რომელმაც ერთხმად მიიღო რეზოლუცია მუშათა და გლეხთა მოძრაობისადმი მხარდაჭერისა და მასთან შეერთების შესახებ. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ „...ყველგან, სადაც კი ხალხი გამოვა აქტიურ რევოლუციურ ძალად და სადაც დაიღვრება მისი სისხლი, ჩვენი ხიშტები და მთელი ჩვენი იარაღი მიმართული იქნება... საზიზღარი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“[2].

17—18 ოქტომბერს საშინელი სისხლისმღვრელი ამბები დატრიალდა ყაზანში. ქალაქის სათათბიროსთან თავი მოიყარა 5.000 მანიფესტანტმა; მუშებთან ერთად გამოვიდნენ სტუდენტები და ზოგიერთი მოსამსახურე. პოლიციის დახმარებით დემონსტრანტებს თავს დაესხნენ შავი რაზმები, რომლებიც მხეცურად ხოცავდნენ მანიფესტაციის მონაწილეებს, განსაკუთრებით სტუდენტებს. ამ მხეცური ამბების შესახებ რსდმპ ყაზანის კომიტეტი თავის № 2

---

[1] მ. გ ა რ ი ყ უ ლ ი, განვლილი გზა, გვ. 172.

[2] ბოლშევიკები 1905 წლის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის საოთავეში, 1955, გვ. 447.

ბიულეტენში წერდა, რომ „...შავი რაზმი ხელთ იგდებდა დაჭრილებს სათათბიროს წინ, იჭერდა სტუდენტებს და აწამებდა“.

რსდმპ კრასნოიარსკის კომიტეტმა 18 ოქტომბერს მოიწვია კრასნოიარსკის მუშების კრება, რომელსაც მუშების გარდა დაესწრნენ მოსამსახურეები, მოსწავლეები და ჯარისკაცები. რკინიგზების მთავარი კანტორის მოსამსახურეების სახელით კრებას მიესალმა ინჟინერი სავიცკი, რომელმაც კრებას აცნობა, რომ მოსამსახურეებიც უერთდებიან საერთო გაფიცვას და დაადგინეს თავისი ხელფასის პატარა პროცენტი გადარიცხონ გაფიცულთა სასარგებლოდ. თავის მხრივ მუშებმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მოსამსახურეებს და მიუთითეს, რომ 8-საათიანი სამუშაო დღისათვის ბრძოლა ეხება არა მარტო მუშებს, არამედ მოსამსახურეებსაც. კრება გაგრძელდა მეორე დღესაც. კრების მონაწილეებმა თავისი რიგებიდან აირჩიეს კომისია, რომელსაც თვითონ უნდა ეხელმძღვანელა შინაგანი საქმეებისათვის (სამსახურში მიღება და დათხოვნა, ჯამაგირების დანიშვნა). კრების მონაწილეებმა ეს მოთხოვნა წარუდგინეს უფროსებს, რომლებიც იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ მის შესრულებაზე. გაფიცვა გრძელდებოდა 24 ოქტომბრამდე. ამ დღეს მიიღეს დეპეშა ციმბირის რკინიგზის გაფიცული მუშების მიერ გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც მათაც გადაწყვიტეს მუშაობა დაეწყოთ.

18 ოქტომბერს მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შემდგარმა მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა კრების ყველა მონაწილე დემონსტრაციით წასულიყო ტაგანის ციხეში და გაეთავისუფლებინა პოლიტიკური პატიმრები. დემონსტრანტები გაეშურნენ ტაგანის ციხისაკენ დაპატიმრებული მუშებისა და სტუდენტების გასათავისუფლებლად. მათ უნდა შემოერთებოდა მუშათა ერთი ჯგუფი. დაგვიანებულ მუშათა ამ ჯგუფისაკენ გაემართა მგზნებარე რევოლუციონერი ნიკოლოზ ერნესტის-ძე ბაუმანი, რათა სასწრაფოდ შემოეერთებინა ისინიც. ამ დროს მოულოდნელად გამოხტა ოხრანკის აგენტი, რომელმაც რკინის ჯოხით მომაკვდინებლად დაარტყა თავში ბაუმანს. ბაუმანის ცხედარი, რომელზედაც გადაფარებული იყო ბაუმანის სისხლით შეღებილი დროშა, დასვენებულ იქნა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის საქტო დარბაზში. ორი დღის განმავლობაში ბაუმანის ცხედართან მუშებთან ერთად მოდიოდნენ რადიკალური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ექიმები, არტისტები, მხატვრები და სხვ.

მშრომელი ხალხის საყვარელი ადამიანის, თავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი ნიკოლოზ ბაუმანის ვერაგულად მოკვლის გამო მთელ ქვეყანაში ტარდებოდა საპროტესტო დემონსტრაციები

და მიტინგები. აგროვებდნენ ფულს იარაღის შესაძენად. ბოლშევიკებმა მოუწოდეს მასებს ბრძოლისაკენ: „შური ვიძიოთ, ამხანაგებო! დროა რუსეთის მიწა-წყალს მოვაშოროთ ეს ბუჭყი და უწმინდურება, რომელიც არცხვენენ მას, დროა ხელი მოვკიდოთ იარაღს გადამწყვეტი დარტყმისათვის“ [1].

რსდმპ მოსკოვის კომიტეტის მოწოდებით 20 ოქტომბერს ბაუმანის ცხედარს მიჰყვებოდა მუშების, ყველა პატიოსანი მშრომელის, მოსკოვის დემოკრატიული ინტელიგენციის 200 ათასიანი დემონსტრაცია, რომელსაც წინ მიუძღოდნენ რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრები წითელი დროშით. დემონსტრანტებს გვერდებზე მიჰყვებოდნენ მუშებისა და ინტელიგენციის შეიარაღებული რაზმები.

ბაუმანის დასაფლავებამ 20 ოქტომბერს ისეთი გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რომ მთავრობამ მის წინააღმდეგ ვერაფერი ვერ გაბედა. ჯარმა და პოლიციამ ბრძანება მიიღეს მიეტოვებინათ ის ქუჩები, რომლებზედაც მიიმართებოდა პროცესია. ბაუმანის დასაფლავება გადაიქცა მოსკოვის დემოკრატიული ძალების შემოწმების დღედ. მან ნათლად უჩვენა ყველას, რომ მასების დარაზმვისა და ბრძოლაში წაყვანის უნარი მხოლოდ ბოლშევიკებს შესწევთ.

ბაუმანის საფლავზე გაიმართა მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვიდა მრავალი ორატორი. ბოლშევიკური პარტიის სახელით სიტყვები წარმოთქვეს ვ. შანცერმა (მარატმა) და მ. ვასილიევ-იუჟინმა, რომლებმაც მოუწოდეს ხალხს თვითმპყრობელური წყობილების მოსპობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისაკენ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ტრაღიკულად დაღუპული ნ. ბაუმანის მეუღლე. მის მოწოდებას — ფიცი დავდოთ, რომ შურს ვიძიებთ გმირულად დაღუპული რევოლუციონერის მოკვლისათვის, მრავალათასიანმა მიტინგმა ერთხმად უპასუხა: „ვფიცავთ, ვფიცავთ!“.

20 ოქტომბერს, საღამოს, როდესაც ბაუმანის დასაფლავებიდან უკან ბრუნდებოდნენ დემონსტრანტები ნიკიტინის ქუჩით, მათ კაზაკებმა მანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი. მოკლული და დაჭრილი იქნა რამდენიმე კაცი. მთავრობის ამ ვერაგობამ ახალი აღშფოთება გამოიწვია მთელ ხალხში. გახშირდა საპროტესტო დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები, სადაც იწონებდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების წინადადებებს, აწყობდნენ ფულის შეგროვებას შეიარაღებისათვის, ფულთან ერთად ინტელიგენტებს

---

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, გვ. 318.

ხშირად შეჰქონდათ ძვირფასი ნივთებიც. მარტო ოქტომბერში მოსკოვის კომიტეტში მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შემოვიდა 35 313 მანეთი.

თვითმპყრობელური რეაქციის პოგრომების საშინელი ტალღა მთელ ქვეყანას მოედო. მთავრობა აწყობდა მოსწავლე ახალგაზრდობის, ინტელიგენციის, ებრაელებისა და სხვ. მასობრივ დარბევებს. მაშინდელი გაზეთების ოფიციალური ცნობებით მარტო 17 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრამდე პოგრომები მოაწყეს 100-ზე მეტ ქალაქში.

მეფის მთავრობა განსაკუთრებით აღაშფოთა რევოლუციური პროლეტარიატისადმი ინტელიგენციის მხარდაჭერამ. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა პოლიციისა და შავრაზმელების საშუალებით მოეწყო ინტელიგენციის ოჯახების დარბევა. ამ მიზნით პოლიციამ დაიწყო რევოლუციური სტუდენტობის, მასწავლებლების, ექიმების, იურისტების, პროფესორების და სხვ. მისამართების შეგროვება. ბევრი მოწინავე ინტელიგენტის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე; ამ ადამიანთა შორის იყო მ. გორკიც. გორკის იცავდა საუკეთესო საბრძოლო რაზმი, რომელიც ქართველებისაგან შედგებოდა. ამასთან დაკავშირებით, იმ დღეებში მაქსიმ გორკი მოსკოვიდან ე. პ. პეშკოვის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „აქ თანდათან ქმნიან „შავ რაზმს“, მოსალოდნელია ჩინების დარბევა. ჩემთანაა კავკასიის საბრძოლო რაზმი — 8 კაცი — ყველა ისინი საუცხოო ახალგაზრდები არიან! მათ უკვე სამჯერ იბრძოლეს და ყოველთვის წარმატებით — ტექნიკურ სასწავლებელთან 25 კაცისაგან შემდგარმა მათმა რაზმმა გარეკა 5 ათასიანი ბრბო, ამასთან მათ მოკლეს 14, დაჭრეს 40-მდე კაცი... ყველანი გურულები არიან. როგორც ხედავ, მე კარგად მიცავენ“ [1].

ბოლშევიკებმა მთელი ძალით ამხილეს რეაქციული მთავრობის სამზადისი პროგრესული ინტელიგენციის დასარბევად, რითაც ჩაშალეს შავრაზმელებისა და პოლიციის ზეგმა. მუშებისა და სტუდენტების შეიარაღებული საბრძოლო რაზმების გაბედულმა და მამაცურმა მოქმედებამ, პრესაში გაჩაღებულმა საპროტესტო კამპანიამ მთავრობა იძულებული გახადა ხელი აეღო ამ განზრახვაზე და დროებით უკან დაეხია.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს პროლეტარიატის დროშის ქვეშ დემოკრატიული ინტელიგენციის დარაზმვის საქმეს დიდი ზიანი მიაყენეს ინტელიგენციის პროფესიულმა პო-

---

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 394 — 395.

ლიტიკურმა კავშირებმა, რომლებიც ლიბერალური ბურჟუაზიისა და სხვა მოღალატე პარტიების გავლენაში იმყოფებოდნენ. ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დროს პროფესიული პოლიტიკური კავშირების წარმომადგენლებისაგან შექმნილმა საგაფიცვო კომიტეტმა 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ გადაწყვიტა ხელი აეღო რევოლუციურ მოთხოვნებზე და დადგომოდა მეფესთან შეთანხმების გამცემლურ გზას. 18 ოქტომბერს საგაფიცვო კომიტეტმა მადლობის დეპეშა გაუგზავნა მეფის სატრაპს, ვიტეს, იმ სასტიკი ზომებისათვის, რომლებიც მან მიიღო საყოველთაო გაფიცვებისა და საერთოდ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ამავე დროს კომიტეტი შეუდგა გაფიცვების ჩაშლას. მან მოწოდებით მიმართა მოსკოვის გაფიცულ მუშებს შეეწყვიტათ გაფიცვები და დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ მუშაობას. საგაფიცვო კომიტეტი შემდეგშიც განაგრძობდა არსებობას, მაგრამ არა იმისათვის, რომ გაფიცვები მოეწყო და მისთვის ეხელმძღვანელა, არამედ იმისათვის, რომ ჩაეშალა გაფიცვები, ინტელიგენციის პროლეტარიატთან დაკავშირების ყველა ცდა და გადაწყვეტილება.

სახალხო მოძრაობის ღალატის გზას დაადგა სრულიად რუსეთის რკინიგზის კავშირის ბიუროც, რომელსაც ესერების პარტია ხელმძღვანელობდა. ბიურომ გამოიტანა დადგენილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ და მიმართა ყველა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს შეეწყვიტათ გაფიცვები. ამრიგად, პირველი დაპირებისთანავე, როგორც ეს დამახასიათებელია ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის, ინტელიგენციის ზედაფენამ გამოიჩინა მერყეობა და ღალატი.

ბოლშევიკებმა სასტიკად გაილაშქრეს ინტელიგენციის კავშირების ხელმძღვანელთა გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ შემარიგებელი და მოღალატე პარტიების მიერ ჩადენილი გამცემლობის გამოსწორება ვერ მოხერხდა, მით უმეტეს, რომ სექტემბრიდან გაფიცვებში მონაწილე მუშების მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საჭირო გახდა შესვენების მოწყობა. 19 ოქტომბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს დროებით შეეწყვიტათ გაფიცვები და შესდგომოდნენ შეიარაღებული აჯანყების მზადებას. 20 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე სხვადასხვა დროს მუშაობა განაახლეს მოსკოვის მუშებმა და მოსამსახურეებმა.

სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვების უდიდესი მნიშვნელობა შეაჯამა ვ. ი. ლენინმა სტატიებში: „მოსკოვის ამბებს გაკვეთილები“ (დაიბეჭდა გაზეთ „პროლეტარის“ 22-ე ნომერში 1905 წლის 24 (11) ოქტომბერს) და „სრულიად

რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“ (გამოქვეყნდა იმავე გაზეთის 23-ე ნომერში). ლიბერალური ბურჟუაზიის და მეფის მთავრობის ცდების გამო — ხელი შეეშალათ რევოლუციური მოძრაობისათვის უნივერსიტეტების ხან გაღებით და ხან დახურვით — ვ. ი. ლენინი წერდა: „...კარგ მუხრუჭში მოექცნენ ტრეპოვები და რომანოვი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუებთან ერთად. უნივერსიტეტს გახსნი — ტრიბუნას მისცემ სახალხო რევოლუციურ კრებებს, დაუფასებელ სამსახურს გაუწევ სოციალ-დემოკრატიას. უნივერსიტეტს დახურავ — ბრძოლას გაუღებ კარს ქუჩაში“ [1].

მოხსენებაში „1905 წლის რევოლუციის შესახებ“ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ 1905 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის გრანდიოზული ბრძოლები მოასწავებდნენ რუსეთის რევოლუციის აღმავალი ხაზის უმაღლეს წერტილს. ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის დროს რევოლუციური ძალები ბევრად უფრო ფართოდ და მძლავრად გამოვიდნენ, ვიდრე წინა თვეებში. მარტო ფაბრიკა-ქარხნების გაფიცულ მუშათა რაოდენობამ ოქტომბერში ნახევარ მილიონს გადააჭარბა. გარდა ამისა, იმ დროს კიდევ გაფიცული იყო რამდენიმე ასეული ათასი რკინიგზის მუშა, მოსამსახურე და სხვ.

ოქტომბრის სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ ბოლშევიკების ავტორიტეტი როგორც საერთოდ მშრომელ მასებში, ისე სახალხო ინტელიგენციაში კიდევ უფრო ამაღლდა. ბოლშევიკების მიერ მასებში ფართო პროპაგანდის გაჩაღებას დიდად შეუწყო ხელი პარტიის გამოსვლამ არალეგალური მდგომარეობიდან. ბოლშევიკებმა მოახერხეს არალეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ გამოცემა. ბოლშევიკების ეს ორგანო, რომლის იდეური ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი, სისტემატურად აშუქებდა ინტელიგენციის საჭირბოროტო საკითხებს, ცარიზმთან ბრძოლის გამოცდილებას და ამ ბრძოლის მნიშვნელობას, მათ ბრძოლას ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერობებში და ქალაქის სათათბიროებში. გაზეთმა „ნოვაია ჟიზნმა“ დიდი როლი შეასრულა ინტელიგენციაში შეგნების შეტანის, მისი აღზრდის საქმეში.

პარტიის მოწოდებით და ხელმძღვანელობით ადგილობრივმა ბოლშევიკურმა კომიტეტებმა მთელ რიგ ქალაქებში შექმნეს ინტელიგენციაში მომუშავე პარტიული ჯგუფები; ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მასწავლებელთა, მედიცინის დარგის მუშაკების, მხატვრების, ფარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 466.

მაცევტების, ტექნიკოსების, ტელეგრაფისტების, კანტორის მოსამსახურეებისა და სხვ. კავშირები.

ბოლშევიკებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაშალეს ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიების მასწავლებელთა ყრილობის მოწვევის წინ, რომელიც შეიკრიბა ნოემბერში. ყრილობის ამოცანები ბოლშევიკებმა განსაზღვრეს გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე დაბეჭდილ მთელ რიგ სტატიებში. ამ დიდი მუშაობის შედეგად ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი მასწავლებელთა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის მომზადების შესახებ, რომელიც მასწავლებლებს უნდა დაეწყოთ მაშინვე, როგორც კი ამის შესახებ იქნებოდა პროლეტარიატის მოწოდება.

ინტელიგენციაში დიდი მუშაობა გაშალეს კოსტრომის, ჩიტის, ლუგანსკის, ხარკოვის ადგილობრივმა ბოლშევიკურმა კომიტეტებმა. ლუგანსკის ბოლშევიკები კ. ე. ვოროშილოვის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებლების, ექიმების, აგრონომებისა და ინტელიგენციის სხვა დარგის კავშირების ყრილობებზე. ბოლშევიკები დიდი ბრძოლის შედეგად აღწევდნენ იმას, რომ ყრილობებზე ხმის უმრავლესობით ღებულობდნენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური ხაზის მატარებელ რეზოლუციებს.

დიდი და საინტერესო მუშაობა გააჩაღეს სორმოვოს ბოლშევიკებმა. სორმოვოს ქარხნის მრავალრიცხოვანმა კრებამ ბოლშევიკების წინადადებით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ წაერთმიათ სასულიერო წოდების პირებისათვის სკოლები, სადაც 2.000 ბავშვი სწავლობდა. კრების მიერ არჩეულმა სასკოლო კომისიამ მოთხოვნა წაუყენა ერობას, რომელიც სკოლებს აფინანსებდა, არ ჩარეულიყო არც პედაგოგიურ პროცესში და არც მასწავლებლების შერჩევაში: ერობა იძულებული გახდა მიეღო ეს წინადადება. სორმოვოს სკოლების ხელმძღვანელობა გადაეცა სასკოლო კომისიის ხელში, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა, რათა სკოლებში მასწავლებლებად მიეზიდა რევოლუციის თანამგრძნობნი. კომისიამ მიაღწია განსაცვიფრებელ შედეგებს—35 მასწავლებლიდან 20 ბოლშევიკი იყო.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს ქალაქის ინტელიგენციაში მუშაობის დიდი გამოცდილება ბოლშევიკებმა გამოიყენეს სოფლად. სოფლის ინტელიგენციის იდეურ აღზრდას, მის გადმოყვანას ხალხის მხარეზე ბოლშევიკები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ; ბოლშევიკებმა მოახერხეს სოფლის ინტელიგენ-

ციის მოწინავე წარმომადგენლების გამოყენება გლეხობაში რევოლუციური პროპაგანდის გასაშლელად. გლეხთა მთელი რიგი გამოსვლების ორგანიზატორებად გამოდიოდნენ სოფლის მასწავლებლები, ექიმები და სხვ. მათი დიდი პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად ზოგიერთი სოფელი მთლიანად რევოლუციურ გავლენას განიცდიდა. ასე იყო რუსეთის მთელი რიგი გუბერნიების სოფლებში. ასევე იყო საქართველოს მთელ რიგ სოფლებში. საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაღვივების საქმეში ცოტა როლი როდი შეასრულა სოფლის მასწავლებლობამ.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში რევოლუციურ მოძრაობაში სახალხო ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო მაგალითი იყო სრულიად რუსეთის ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ნოემბრის გაფიცვას.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები ჯერ კიდევ ოქტომბერში შეუდგნენ მზადებას გაფიცვისათვის. ნოემბრის პირველ რიცხვებში გადაწყვიტეს დაეწყოთ საერთო გაფიცვა. ამ მიზნით მოსკოვის ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შექმნეს ეგრეთწოდებული „ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის კავშირი". კავშირმა წინადადება მისცა ყველა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს მხარი დაეჭირათ მათი კავშირისათვის. მოსკოვიდან დეპეშის მიღებისთანავე ადგილებზე დაიწყეს მზადება გაფიცვებისათვის. 1905 წლის 7 ნოემბერს შედგა ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების კრება, რომელმაც განიხილა მოსკოვიდან მიღებული წინადადება და მიიღო დადგენილება მიმხრობოდა „სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირს". კრებამ აირჩია ადგილობრივი განსაკუთრებული ბიურო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საერთო კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მოძრაობამ ფართო და მძლავრი ხასიათი მიიღო. ამ რევოლუციური მოძრაობით შეშინებულმა მეფის მთავრობამ აკრძალა ფოსტა-ტელეგრაფისტების კავშირი და ამ კავშირის მთელი რიგი აქტიური ორგანიზატორები დააპატიმრა. ხელისუფლებამ ამ აკრძალვას საფუძვლად დაუდო ის, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს უფლება არ აქვთ პოლიტიკურ წრეებში ან კავშირებში გაერთიანებისაო. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები არ დაემორჩილნენ მთავრობის განკარგუ-

ლებას კავშირების დაშლის შესახებ. 15 ნოემბერს მათ მოსკოვში მოიწვიეს ფოსტა-ტელეგრაფისტთა სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობამ 14 ნოემბერს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფისტთა კავშირის ბიუროს და აცნობა, რომ ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდე სრულიად რუსეთის ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეთა ბიურომ პეტერბურგში გრაფ ვიტესთან გაგზავნა დეპუტაცია მთელი რიგი მოთხოვნებით, მაგრამ მოთხოვნების შესრულების ნაცვლად ვიტემ დეპუტაციის მონაწილენი დააპატიმრა.

განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, ყრილობამ 15 ნოემბერს დეპეშით მიმართა ვიტეს. ყრილობის მონაწილეები მოითხოვდნენ აღედგინათ სამუშაოზე საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობისათვის სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეები, შეეცვალათ მთავრობის განკარგულება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის გაუქმების შესახებ და შეეწყვიტათ ამ კავშირის დევნა. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ თუ მთავრობა 15 ნოემბრის 6 საათისათვის დადებით პასუხს არ მისცემდა, მაშინ გამოცხადდებოდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის გაფიცვა. ამავე დროს ყრილობამ მიიღო ცნობა, რომ ციმბირის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა უკვე გამოაცხადეს გაფიცვა. ამ ცნობას დიდი მოწონებით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები.

ამავე დროს 15 ნოემბერს კავშირის ბიურომ დეპეშები გაუგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის ყველა ორგანიზაციას და წინადადება მისცა კავშირის წევრებს: თუ მთავრობა დეპუტაციის დაპატიმრებულ წევრებს 12 საათის განმავლობაში არ გაათავისუფლებდა და მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, დაუწყოთ საერთო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის ყრილობამ შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი. როგორც მოსალოდნელი იყო, გრაფმა ვიტემ პასუხი არ გასცა ყრილობის დეპეშაზე, რის გამოც ყრილობამ 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის ყველა ადგილობრივ განყოფილებას აცნობა: „ვიტეს პასუხი დათხოვნილთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ არ მიგვიღია, გაფიცეთ". ამავე დროს ყრილობამ მანიფესტით მიმართა რუსეთის მოსახლეობას. მანიფესტში აღნიშნული იყო გაფიცვის დაწყების მიზეზები და ამავე დროს მოუწოდებდა მოსახლეობას ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც ხელისუფლება ართმევდა საერთო სამოქალაქო უფლებებს. მთავრობამ გასცა განკარგულება დაეპატიმრებინათ ყრილობის მონაწილეები.

გაფიცვა დაიწყო პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ნოვოროსიისკში, ხარკოვში, თბილისში, ბაქოში, ერევანში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოსამსახურეთა წინააღმდეგ მეფის მთავრობამ დაიწყო სასტიკი რეპრესიები. 21 ნოემბერს მთავრობამ დააპატიმრა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელები. რუსეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლითა და მხარდაჭერით გამხნევებული ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ჯარსა და პოლიციას. 23 ნოემბერს ჯარი და პოლიცია თავს დაესხნენ „დემიდოვ დვორს", სადაც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები იკრიბებოდნენ მიტინგებზე, კრებებზე. რევოლუციურმა მებრძოლმა რაზმებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკუაქციეს ჯარი და პოლიცია.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ნოემბრის გაფიცვა სულ უფრო ფართო და ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა. მეფის მთავრობამ, რომელმაც რეპრესიებით ვერ გასტეხა გაფიცულთა წინააღმდეგობა, შეეცადა მოესყიდა ზოგიერთი წვრილბურჟუაზიული და მოწუწუნე მოსამსახურე და მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის შვილები სტუდენტობიდან, რათა ისინი დაეყენებინა გაფიცულების ადგილზე და ამით ჩაეშალა გაფიცვა. მთავრობის ეს ვერაგული განზრახვა მაშინათვე ამხილეს ბოლშევიკებმა. რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებული სტუდენტთა ორგანიზაციის ცენტრალური ჯგუფის პარტიულმა კრებამ სიძულვილი და აღშფოთება გამოთქვა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც თავის თავს ნებას მისცემდნენ ემუშავათ ფოსტაში გაფიცულ მოსამსახურეთა ადგილებზე.

როდესაც მთავრობამ ვერც ამ მუხანათური გზით მიაღწია გაფიცვის ჩაშლას, მაშინ მან მიმართა სხვადასხვა ხრიკებს — წავიდა ნაწილობრივ დათმობაზე გაფიცულების მიმართ, დაპირება მისცა, რომ დაბალი თანრიგის მოსამსახურეებს ხელფასს გაუდიდებდა და სხვ. გაფიცვის ხელმძღვანელებმა და ბოლშევიკებმა ამხილეს მთავრობის ეს ცდებიც. მოსკოვში მოწვეულ იქნა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც მხილებულ იქნა თვითმპყრობელური მთავრობის ცდები და მიღებულ იქნა გიმართვა ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურისადმი, რომელიც მოუწოდებდა მტკიცედ განეგრძოთ გაფიცვა მანამ, სანამ მთავრობა მთლიანად არ დააკმაყოფილებდა მათ მიერ წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ მთელი ქვეყნის პროგრესული და განათლებული ადამიანების ყურადღება მიიპყრო. მათთვის მხარის დასაჭერად გამოვიდა დემოკრატიული ინტელიგენცია, დაიწყეს ფულის შეგროვება გაფიცულთა დასახმარებლად; ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ლიტერატურული წრის „სრედას“ წევრების — ნ. ტელეშოვის, ს. პეტროვის, ლ. ანდრეევის, ა. კუპრინის, ი. კუნინის და სხვ. მწერლების მოქმედება, რომლებმაც გამოსცეს მოთხრობებისა და ლექსების კრებული და მთელი მისი შემოსავალი უკლებლივ გადასცეს ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოსამსახურეებს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ამ გრანდიოზული გაფიცვით შეშინებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიტე გაფიცვის დღეებში თავის ერთ-ერთ მოხსენებაში მეფე ნიკოლოზ მეორეს სწერდა: ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეთა ბრძოლა არ ცხრება. მოსკოვში ხელისუფლების სრული ანარქიაა. უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი გენერალ-გუბერნატორის ჩამოსვლაო.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობის 15 ნოემბრის მოწოდებას გაფიცვასთან შეერთების შესახებ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს და განყოფილებათა მოსამსახურეებმა. გაფიცვა დაიწყეს ბაქოს, თბილისის, ერევნის, ქუთაისის, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა.

ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა ჯერ კიდევ ნოემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყეს. ერევნის გენერალ-გუბერნატორის თხოვნაზე — ნება დაერთო ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოსამსახურეთა აქტიური ხელმძღვანელების დაპატიმრებისა — კავკასიის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა 1905 წლის 5 ნოემბერს უპასუხეს, რომ გაფიცულთა დაპატიმრებამ „საეჭვოა შექმნას ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მუშაობის შესაძლებლობა, თუ ამ უწყების მუშაობა აღდგენილი არ იქნება რუსეთში. მეორე მხრივ ამ დაპატიმრებებს საქმისათვის არსებითი სარგებლობა არ მოაქვთ, და შეუძლიათ გამოიწვიონ ნიხოლოდ გაროულებანი და მთავრობის საწინააღმდეგო ჯგუფების მიერ გაფიცვებისადმი მხარდაჭერა“[1].

სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობის დეპეშის საფუძველზე თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მოსამსახურეებმა დეპეშით მიმართეს ამიერკავკასიის

[1] საქ. სახ. ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1, საქ. № 90, 1905, ფ. 29.

ყველა ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ გაფიცვა. 15 ნოემბერს ქუთაისის კანტორამ თბილისიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „სასწრაფო, ოლქის ყველა დაწესებულებას. რუსეთის ყველა დაწესებულება გაიფიცა. მათ შორის თბილისიც. წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ყოველგვარი სატელეგრაფო, საფოსტო და სატელეფონო სამუშაო. მუშაობის განახლების დროს თავის დროზე გაცნობებთ"[1].

მუშაობა ერთდროულად შეწყვიტეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებმა. 16 ნოემბერს ქუთაისის კანტორაში სამუშაოზე გამოცხადდა მხოლოდ ერთი განყოფილების უფროსი — რიაბჩინსკი. გაფიცულებმა მას ფანჯრიდან დაუკაკუნეს და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იქაურობა. ამ გაფიცვის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი სტაროსელსკი თავის მოგონებებში წერდა: „16 ნოემბრიდან ქუთაისში დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა, რომელმაც მოგვისპო დანარჩენ ქვეყნებთან კავშირი, თბილისიდან გაზეთები მიჰქონდათ კონდუქტორთა ბრიგადებს... წერილის გაგზავნა შეუძლებელი იყო. გენერალ შირინკინის მიერ მოწყობილი სახელმწიფო კორესპონდენციების გადაგზავნა ფოსტა-ლიონის ხელით ჟანდარმების მფარველობის ქვეშ დაბოლოვდა მეორე დღესვე ჟანდარმებზე თავდასხმით და კორესპონდენციის წართმევით"[2].

ყარსის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი ამიერკავკასიის პოლიციის კანცელარიის სახელზე 25 ნოემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში წერდა, რომ 16 ნოემბრიდან ყარს-არდაჰანის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მთელი მოქმედება და მუშაობა შეწყვეტილია საერთო გაფიცვის გამო. გაფიცულთა წინააღმდეგ მთავრობა შეუდგა რეპრესიული ზომების მიღებას. 1905 წლის 21 ნოემბერს ყველა გუბერნატორს ებრძანა: ის მოსამსახურეები, რომლებსაც არ დაუწყიათ მუშაობა, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ და სახელმწიფო ბინებიდან გაჰყარეთო.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ორგანიზებულ და ხანგრძლივ გაფიცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბოლშევიკები და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს გაფიცულებს. ბოლშევიკების ორგანო „ნოვაია ჟიზნი" სისტემატურად აშუქებდა გაფიცვების მსვლე-

---

[1] საქ. სახ. ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 114, საქ. № 181, 1906, ფ. 25.

[2] ვ. ა. სტაროსელსკი, ბლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, გვ. 89.

ლობას, მოუწოდებდა შემჭიდროებისა და ორგანიზაციულობისაკენ, სასტიკად ამხელდა ბურჟუაზიულ პრესას, რომელიც ბოროტი პროპაგანდით და ცილისწამებით ცდილობდა სახელი გაეტეხა გაფიცულებისათვის, დეზორგანიზაცია შეეტანა მათ რიგებში.

ფოსტა-ტელეგრაფთა საყოველთაო გაფიცვების ფაქტიური ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტები. ბოლშევიკები აწყობდნენ გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფისტთა კრებების, მიტინგების და დემონსტრაციების დაცვას პოლიციისა და შავი რაზმისაგან და ბურჟუაზიის ცდებისაგან შიგნიდან აეფეთქებინათ გაფიცვა. ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები ყველგან ესწრებოდნენ კრებებს და მიტინგებს, გამოდიოდნენ მოხსენებებით და სიტყვებით, ამხნევებდნენ გაფიცვის მონაწილეებს, უხსნიდნენ გაფიცვის მიზანს. გაფიცულთა ბრძოლისუნარიანობაზე, მათ მორალურ მდგომარეობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენდა ბოლშევიკების მიერ მუშებსა და პროგრესულ ინტელიგენციაში გაფიცულთა დასახმარებლად შეგროვილი თანხები. ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვას მიეღო ხანგრძლივი ხასიათი, რათა შემდეგ იგი გადაზრდილიყო აჯანყებაში. ეს გაფიცვა მართლაც გაგრძელდა დეკემბრის საერთო გაფიცვამდე და ბოლოს შეუერთდა კიდეც მას.

ნოემბრის საგაფიცვო მოძრაობა გაიშალა სხვა დარგისა და პროფესიის მოსამსახურეებს შორისაც. 10-დან 15 ნოემბრამდე მიმდინარეობდა ლიტვის საბალნო მასწავლებელთა კონგრესი. დიდი მსჯელობის შემდეგ კონგრესმა აღიარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იდეები, როგორც თავისი საკუთარი იდეები, და მიიღო გადაწყვეტილება სოციალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ განეგრძო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „აღიარებს რა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას მთელი კაცობრიობის საერთო იდეალებისათვის, — აღნიშნულია კონგრესის რეზოლუციაში, — კონგრესი გამოხატავს თავის სრულ სოლიდარობას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მისწრაფებებისა და იდეალებისადმი, და ვალდებულებას კისრულობს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით დაეხმაროს პროლეტარიატს მის ბრძოლაში“[1].

ნოემბრის საგაფიცვო მოძრაობას მხარი დაუჭირეს ჯარის ნაწილებმაც. მთელ რიგ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მოხდა რევოლუციური გამოსვლები. 11 ნოემბერს გაიფიცნენ სამხედრო ელექტროტექნიკური სკოლის კურსანტები, რომლებმაც თავიანთ

[1] გაზ. „ნოვაია ჟიზნ“, № 20, 1905 წ. 24 ნოემბერი.

უფროსებს წაუყენეს მთელი რიგი მოთხოვნები. მათი მოთხოვნების ნაწილი დააკმაყოფილეს, მაგრამ გაფიცვა მაინც გრძელდებოდა. მაშინ ხელისუფლებამ სასტიკ ზომებს მიმართა. გაფიცულთა დაპატიმრების ბრძანება მიიღო ჯერ სემიონოვის და შემდეგ ეგერთა პოლკებმა. მაგრამ ბრძანება არც ერთმა და არც მეორე პოლკმა არ შეასრულა. მთავრობამ სხვა საიმედო პოლკი გამოიყვანა გაფიცულთა წინააღმდეგ. 14 ნოემბერს სკოლის 280 მსმენელიდან 230 დაპატიმრეს.

რევოლუციურმა მოძრაობამ ნოემბერში სერიოზული და ფართო ხასიათი მიიღო საქართველოში. ამიერკავკასიის პოლიციის დეპარტამენტის 1905 წლის 16 ნოემბრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიაში ხელისუფლება ფაქტიურად აღარ არსებობს, რომ გუბერნიას მართავენ „...ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრით, — ეს აზრი მთლიანად სოციალ-დემოკრატიულია, რადგან ამ გუბერნიის ინტელიგენცია და მუშათა მოსახლეობა მთლიანად პროპაგანდირებულია ამ მიმართულებით“[1].

* *
*

ამრიგად, 1905 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში რევოლუციური მოძრაობა უდიდესი სიძლიერით ვითარდებოდა. მუშების მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა გრძელდებოდა. მემამულეების წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო. მღელვარების ტალღა მოედო არმიასა და ფლოტსაც. სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ სხვადასხვა დარგის გაფიცული მოსამსახურეები, რომლებიც მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ რევოლუციურ პროლეტარიატთან.

ნოემბერში დაწყებული ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცნობილი გაფიცვა გრძელდებოდა, აწყობდნენ მიტინგებს, კრებებს, სადაც ორატორები მოუწოდებდნენ ერთიანობისაკენ, პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირისა და შეიარაღებული აჯანყებისაკენ. 3 დეკემბერს მოსკოვში გაფიცულებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ მიტინგზე თეატრ „აკვარიუმში“. მაგრამ ჯარმა და პოლიციამ მათ გზა გადაუღობეს და თეატრში არ შეუშვეს, რის გამოც გაფიცულებმა იქვე ღია ცის ქვეშ გახსნეს მიტინგი, რომელსაც 3.000-მდე კაცი დაესწრო. ფართო მსჯელობის შემდეგ მიტინგის დამსწრეებმა დაადგინეს გაეგრძელებინათ გაფიცვა ახალი საყოველ-

[1] საქ. სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1, საქ. № 79, 1905, ფ. 1.

თაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყებამდე, რომელიც უკვე მწიფდებოდა მოსკოვში.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მასების მომზადების საქმეში ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრესისა და რევოლუციური ინტელიგენციის გამოყენებას. მასებში აგიტაციისა და პროპაგანდის გასაჩაღებლად ბოლშევიკებს ესაჭიროებოდათ მრავალი აგიტატორი და პროპაგანდისტი, რომლებსაც ისინი ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან და რევოლუციური ინტელიგენციიდან. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების დროს მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტმა ფართოდ გამოიყენა კრებებისა და მიტინგების მოწვევის პრაქტიკა, პრესა, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები და სხვ. ამ დროს ბოლშევიკური გაზეთები გამოდიოდა 45 — 50 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით. უმაღლესი სასწავლებლები და თეატრები ბოლშევიკებმა გადააქციეს რევოლუციის ტრიბუნად, საიდანაც ბოლშევიკები, დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები და რევოლუციური სტუდენტობა მოუწოდებდნენ მუშებს, ჯარისკაცებსა და ყველა პროგრესულ ადამიანს შემჭიდროებულიყვნენ ერთ საერთო მძლავრ ძალად, შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

მოსკოვის კომიტეტმა 5 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება: წინადადება მიეცეს საბჭოს გამოაცხადოს საერთო პოლიტიკური გაფიცვა იმ ანგარიშით, რომ ბრძოლის მსვლელობაში გადააქციოს იგი აჯანყებად. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება საერთო პოლიტიკური გაფიცვის დაწყების შესახებ. მოსკოვის საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობის მიერ გამოგზავნილი დელეგაცია, რომელმაც ერთსულოვნად განუცხადა საბჭოს, რომ ყრილობა მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას, რათა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შემთხვევაში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები ყველგან შეუერთდნენ მას. ეს ცნობა გამოცხადდა გაზეთ „ბორბას“ 1905 წლის მე-9 ნომერში. ამ დროს მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი; მოსკოვში მიმდინარეობდა 29 რკინიგზის დეპუტატების კონფერენცია. კონფერენციამ ღაადგინა შეერთებოდა მოსკოვის საბჭოს დადგენილებას და გამოაცხადა პოლიტიკური გაფიცვა ყველა რკინიგზაზე.

7 დეკემბერს მოსკოვში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზის მოსამსახურეებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა, ფარმაცევტებმა, იურისტებმა, სტუდენტებმა. ქალაქ მოსკოვის სა-

ვადმყოფოების მოსამსახურეებმა დაიწყეს სანიტარული რაზმების შექმნა. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების დროს მოსკოვის ქუჩებში ბარიკადებისა და სხვა სიმაგრეების მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებლები, მედიცინის მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ქალაქის სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეები და სხვ. ინტელიგენციის ბევრმა წარმომადგენელმა ისახელა თავი შეიარაღებული აჯანყების დროს. ბარიკადებზე იბრძოდნენ მასწავლებლები, ისინი ამავე დროს აწყობდნენ საბრძოლო რაზმების კვებას. მედიცინის მუშაკების მიერ შექმნილი სანიტარული რაზმები მტკიცედ და ერთგულად იდგნენ მუშების საბრძოლო რაზმებთან.

დეკემბრის აჯანყების დროს მოსკოვში ფიდლერის რეალური სასწავლებელი გახდა ერთ-ერთი მძლავრი სიმაგრე აჯანყებულებისათვის. 9 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, ამ შენობაში შედგა მებრძოლ რაზმელთა კრება, რომელსაც დაესწრო 250-მდე კაცი. როდესაც მთავრობამ ეს ამბავი შეიტყო, შენობას გარს შემოარტყა კაზაკთა და პოლიციელთა რაზმები. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს კრების მონაწილეებს დანებებოდნენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მაგრამ მებრძოლმა რაზმელებმა კაპიტულაციაზე უარი განაცხადეს და დაიწყეს მზადება წინააღმდეგობის გასაწევად. ამ მებრძოლ რაზმელთა შორის ბევრი იყო სტუდენტთა მებრძოლი რაზმის წევრიც. როდესაც რევოლუციონერებმა კაპიტულაციაზე უარი განაცხადეს, ჯარმა გახსნა არტილერიის ცეცხლი, რასაც რაზმელებმა სროლით უპასუხეს. ბოლშევიკებმა სკოლაში გამაგრებულ მებრძოლებს დასახმარებლად გაუგზავნეს მოსკოვის მებრძოლ რაზმებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო რაზმი, რომელიც ქართველებისაგან შედგებოდა. ამ რაზმმა გაუგონარი მამაცობა და გმირობა გამოიჩინა, რათა გაერღვია ჯარისკაცთა რკალი და ეხსნა ამხანაგები. როდესაც მათ ვერ შეძლეს ჯარის რკალის გარღვევა, რაზმელებმა სროლა აუტეხეს ჯარს, რათა შენობიდან გასვლის საშუალება მიეცათ კრების მონაწილეებისათვის. ამ რაზმის დიდი მამაცობის მეოხებით კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა მოახერხა რკალიდან გამოსვლა, ნაწილი კი დაატყვევეს და ციხეში გაგზავნეს.

მთავრობის ეს მოქმედება მთელ ქვეყანას მოედო. მოსკოვის მუშებმა და სტუდენტებმა ბარიკადების აგება დაიწყეს. პირველი დიდი სიმაგრე 9 დეკემბერს აგებულ იქნა თეატრ „აკვარიუმის“.

ᲡᲛᲪᲡᲘᲐ, ფ. 63, საქ. № 785, 1905, ფ. 580.

ახლოს. ბრძოლა ჯარია და შეშენა შორის დაიწყო 9 დეკემბერს; ჯარმა არტილერიის ცეცხლით დაანგრია პირველი ბარიკადები, მაგრამ ბარიკადები სხვა ადგილებშიაც გაჩნდნენ. მთავრობა დღითიდღე აძლიერებდა შეიარაღებული ძალების რაოდენობას, აიარაღებდა ყველა ნაძირალასა და მოღალატეს, რათა გამოეყენებინა რევოლუციის წინააღმდეგ.

მოსკოვის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საყოველთაო გაფიცვას ციენბრო 33 ქალაქის პროლეტარიატი. აჯანყება მოედო საქართველოსაც, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ფაქტიური ძალაუფლება რამდენიმე ხანს მუშებისა და გლეხების ხელში იყო.

იმ დროს, როდესაც საყოველთაო გაფიცვამ დაიწყო დეკემბრის მეიარაღებულ აჯანყებაში გადასვლა, მოსკოვში ჩამოვიდა მ. გორკი, რომელიც დიდი ინტერესით გაეცნო რევოლუციურ ამბებს, უშუალოდ ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში და აქტიურად დაუჭირა მხარი ბოლშევიკების ხაზს. დეკემბრის აჯანყების დღეებში მ. გორკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბოლშევიკების მოსკოვის საბრძოლო ორგანიზაციასთან და რაიონულ პარტიულ კომიტეტთან. თავის ეტიუდში ცნობილი „რევოლუციონერის" კამოს შესახებ გორკი წერდა: „1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩემს ბინაზე, ზოზოვოს და ვოზდვიჟენკის კუთხის სახლში... თორმეტი კაცისაგან შემდგარი ქართველთა მებრძოლი რაზმი ცხოვრობდა. ის ლ. ბ. კრასინის მიერ იყო მოწყობილი და ექვემდებარებოდა ბოლშევიკ ამბინაგთა ჯგუფს, კომიტეტს... ეს რაზმი რაიონების შორის მეკავშირის ადგილსახურს ეწეოდა და კრებების დროს ჩემს ბინას იცავდა. მას რამოდენიმეჯერ აქტიური გამოსვლა მოუხდა „შავრაზმელების" წინააღმდეგ და ერთხელ, ნ. ე. ბაუმანის დასაფლავების წინადღეს, როდესაც ათასამდე კაცისაგან შემდგარმა შავრაზმელთა ბრბომ განიზრახა ტექნიკური სასწავლებლის დარბევა, სადაც გარეწარ მიხალჩუკის მიერ მოკლული ნიკოლოზ ერნესტის-ძის კუბო ესვენა, ამ ჩინებულად შეიარაღებულმა ახალგაზრდა ქართველთა რაზმმა ეს ბრბო გაფანტა"[1]. გორკი აღნიშნავს, რომ ეს რაზმელები იყვნენ თვრამეტი-ოცდაორი წლის ახალგაზრდები, რომლებსაც მეთაურობდა ქართული დრამის არტისტი ვასო არაბიძე, კაცი უაღრესად „ენერგიული, მკაცრად მომთხოვნი და გმირულად განწყობილი რევოლუციონერი".

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მოსკოვში ჩადენილი საშინელი სასხლეტმკვლელი

---

[1] ეურ. „მნათობი", 1956, № 1, გვ. 120.

ამბების შესახებ მ. გორკიმ დაწერა სტატია „მოსკოვის ამბებთან დაკავშირებით“, რომელიც დაიბეჭდა პეტერბურგის გაზეთ „მოლოდაია როსიაში“ 1906 წლის 4 იანვარს.

დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას განსაკუთრებით მტკიცედ დაუჭირეს მხარი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა. რსდმპ-ის ჩიტის კომიტეტის განკარგულებით ჩიტის მთელი ოლქის ფოსტა და ტელეგრაფი 22 დეკემბერს გადავიდა საგაფიცვო კომიტეტის ხელში, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის საჭიროებას, არ ასრულებდა მთავრობის არავითარ განკარგულებას, არ ღებულობდა მის კორესპონდენციებს.

რევოლუციურმა მოძრაობამ გაუგონარი გაქანება მიიღო საქართველოში. ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა გაფიცვებისა და აჯანყების მოსამზადებლად ჩაატარეს დიდი მუშაობა; თავის სტატიაში — „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“— სტალინი მოუწოდებდა მუშებსა და ყველა დემოკრატიულ ძალებს საყოველთაო შეიარაღებისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. დეკემბრის პოლიტიკურ გაფიცვას და შემდეგ შეიარაღებულ აჯანყებას შეუერთდნენ ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები, რომლებმაც გაფიცვა დაიწყეს ჯერ კიდევ ნოემბერში.

ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზების მოსამსახურეების ნოემბერში დაწყებული საგაფიცვო ბრძოლა გრძელდებოდა დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგაც. ბაქოს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის 18 დეკემბრის დაშიფრულ დეპეშაში ამიერკავკასიის პოლიციის უფროსის სახელზე წერდა, რომ საგაფიცვო კომიტეტის მითითებით ადგილობრივი პრესა მოუწოდებს აჯანყებისაკენ, რომ ბევრი მოსამსახურე, „...თვით სასამართლოს პროკურორიც კი, გამოსთქვამს მიტინგებზე დანაშაულებრივ იდეებს. საგაფიცვო ბიურომ ხელში ჩაიგდო რკინიგზა: მატარებლებს დამოუკიდებლად აგზავნიან. ჯარის სიმცირის გამო გენერალ-გუბერნატორს შესაძლებლობა არ აქვს გაბედულად იმოქმედოს. ხელისუფალნი უძლურნი არიან. მეფის ერთგულთა, განსაკუთრებით ჟანდარმთა ჩინების, მდგომარეობა სასოწარკვეთილია; ჯარები შერყეულია, ნავთობის საწყობები არ მოქმედობენ“[1].

დეკემბრის გაფიცვებისა და აჯანყების პერიოდში თავიანთი გაბედული და ორგანიზებული ბრძოლით სახელი გაითქვეს ბათუმის

---

[1] საქ. სახ. ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1, საქ. № 90, 1905, ფ. 50.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა. ისინი განუწყვეტლივ გაგრძელებდნენ საგაფიცვო ბრძოლას 1906 წლის იანვრამდე.

ბათუმის ტელეგრაფისტთა გაფიცვამ ორგანიზებული და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა რსდმპ ადგილობრივი კომიტეტი, მისგან ღებულობდნენ მითითებებს და მატერიალურ დახმარებას. გაფიცულ მოსამსახურეებისადმი სოციალ-დემოკრატიის დიდი დახმარების შესახებ არაერთხელ აღნიშნავდნენ მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები. ბათუმში გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საგაფიცვო ბიუროს წევრების წინააღმდეგ სასამართლოს მიერ წაყენებულ საბრალდებულო დასკვნაში აღნიშნულია, რომ 1905 წლის 26 დეკემბრის კრებაზე ბიუროს წევრმა მებურაშვილმა მოიყვანა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორი წევრი, „...რომლებმაც კრების თავმჯდომარეს გადასცეს 170 მანეთი დახმარება გაფიცულებისათვის და თავის მხრივ არწმუნებდნენ კავშირის ყველა წევრს გაეგრძელებინათ გაფიცვა, დაჰპირდნენ ყოველგვარ დახმარებას. მათმა სიტყვებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე"[1]. გაფიცვა გაგრძელდა 1906 წლის იანვრამდე და მხოლოდ გაფიცულთა საერთო კრების დადგენილებით ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა 1906 წლის 5 იანვარს დაიწყეს მუშაობა.

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოსამსახურეთა გაფიცვებიდან აღსანიშნავია ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა 1906 წლის 10 იანვრამდე. პოლიციის საიდუმლო მოხსენებებში ნათქვამია, რომ აღნიშნულ პერიოდში რევოლუციური ორგანიზაციებისა და მოსამსახურეების მძლავრი პროპაგანდისა და თავგანწირული ბრძოლის შედეგად ქუთაისის გუბერნიაში ბოიკოტი მოუწყვეს მთავრობის დაწესებულებებს და ჩინოვნიკებს, მოისურვეს პოლიციისა და დაცვის გაუქმება[2].

გაფიცვას დიდხანს და ორგანიზებულად აგრძელებდნენ თბილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები. 33 დღის განუწყვეტელი გაფიცვის შემდეგ 1905 წლის 17 დეკემბერს შედგა გაფიცულთა საერთო კრება. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით კრებამ განიხილა საკითხი: გაეგრძელებინათ გაფიცვა, თუ დაეწყოთ მუშაობა. დიდი მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა წაუყე-

---

[1] საქ. სახ. ცენტ. ისტ. არქივი, ფ. 114, საქ. № 177, ფ. 2.
[2] იქვე.

ნონ მოთხოვნები. მეფისნაცვალს და თუ ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მაშინ ყველამ დაიწყოს მუშაობა.

ფოსტა-ტელეგრაფის ნოსამსახურეთა გაფიცვამ ისეთი მძლავრი ხასიათი მიიღო, რომ თითქმის მთლიანად მოიშალა სატელეფონო ქსელი. 1905 წლის 9 დეკემბერს თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ინჟინერი კრასნოვსკი ქალაქის თვითმმართველობას სწერდა, რომ თბილისში ტელეფონის ქსელის აღსადგენად და მის შესაკეთებლად საჭიროა გამოცდილი სპეციალისტები და მუშები. მაგრამ საპუშაოზე მოსვლას ვერავინ ბედავს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების გაფიცულ მოსამსახურეთა მუქარის გამო.

თბილისის გუბერნიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მეფის მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა სასტიკი რეპრესიული ზომების მიღება დაიწყეს. მათ მხეცურად უსწორდებოდნენ განსაკუთრებით დეკემბრის აჯანყების დროს. ზოგს ციხეში გზავნიდნენ, ზოგს გადასახლებაში და ზოგს კი სამსახურიდან ითხოვდნენ. თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის 1905 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით სამუშაოდან დათხოვნილ მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 247 კაცს. იმავე ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილ იქნა ტელეფონის ქსელის 38 მოსამსახურე.

დეკემბრის საყოველთაო გაფიცვასა და რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რკინიგზის მოსამსახურეები. მოსკოვის რკინიგზის მოსამსახურეთა მაგალითს მიბაძეს ქვეყნის თითქმის ყველა რკინიგზის მოსამსახურეებმა. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურეებმაც. ამიერკავკასიის რკინიგზელთა საერთო გაფიცვა დაიწყო 12 დეკემბერს. რკინიგზის ამ ხაზზე მხოლოდ ის მატარებლებს უშვებდნენ, რომელთაც უქნებოდათ გაფიცულთა ბიუროს ნებართვა. ამიერკავკასიის რკინიგზაზე მთელი ძალაუფლება გაფიცულების ხელში გადავიდა. შეიქმნა მეტად სერიოზული მდგომარეობა, რის გამოც კავკასიის მეფის ნაცვალმა გენერალ ალიხანოვს უბრძანა რკინიგზის საამმართველოსთან შეექმნა საამხედრო საბჭო. საამხედრო პირებისაგან, რომელიც უხელმძღვანელებდა მთელ გზას. კავკასიის ჯარების შტაბის შენობაში შედგა თათბირი, სადაც გადაწყდა ჯარების საშუალებით ერთდროულად დაეკავებინათ თბილისისა და ნავთლუღის საადგურები. 16 დეკემბერს ჯარმა დაიკავა აღნიშნული საადგურები. მთავრობის მოხელეებმა დაიწყეს ჯარისკაცებში იმ პირების შერჩევა, რომელთაც რაიმე გაეგებოდათ ფოსტა-ტელეგრაფისა, რათა მათი საშუალებით შეეცვალათ გაფიცუ-

ლი მოსამსახურეები, თბილისის გარნიზონში ასეთები აღმოჩნდა სულ 110 კაცი. რომლებიც უკვე განაწილებული იყვნენ მთავრობის ტელეფონზე. რკინიგზის ფოსტა-ტელეგრაფს კი გაუგზავნეს 12 ტელეგრაფისტი-მოწაფე. მიუხედავად ამისა, რომ თბილისისა და ნავთლუღის სადგურები ჯარმა დაიკავა, გზის უფროსი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ წესრიგის დამყარება მაინც არ მოხერხდაო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ და რკინიგზის ხელმძღვანელობამ ვერ გასტეხეს გაფიცულთა წინააღმდეგობა. ამიერკავკასიის გზაზე მთელი ძალაუფლება გაფიცულთა ხელში დარჩა, ჯარების რკინიგზით გადაყვან-გადმოყვანა შეწყდა. ქალაქში სურსათ-სანოვაგის შემოტანა შეუძლებელი გახდა. ქალაქ თბილისის მცხოვრებთ შიმშილისა და სიცივის საშიშროება მოელოდათ. ამ გაფიცვებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემული ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ მას კი არა, კავკასიის ადგილობრივ მთავრობასაც არ ეყო ძალები ჩაექრო გაფიცვა, რომ თვით გენერალ-გუბერნატორიც კი იძულებული გახდა მიემართა ქალაქის სამმართველოსათვის ეშუამდგომლა გაფიცულთა ბიუროს წინაშე, რათა მათ შემოეტანათ ფოთიდან ფქვილი და შეშა[1]. ამრიგად, მთავრობა იძულებული იყო რკინიგზით სარგებლობის ნებართვა გაფიცულებისათვის ეთხოვა.

რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების დეკემბრის გაფიცვების შესახებ ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი თავის მოგონებებში წერდა, რომ 10 დეკემბრიდან ქუთაისსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. „მეორე საერთო პოლიტიკურმა გაფიცვამ შეწყვიტა მოძრაობა, — წერდა ვ. ა. სტაროსელსკი. — მომყავს ტელეგრაფის შინაარსი, რომლითაც იწვევდნენ გასაფიცად და რომელიც მე მოვიტანეს რკინიგზის ტელეგრაფიდან 9 დეკემბერს წარწერით „ძალი ქუთაისის გუბერნატორს“, ბაქოდან ბათუმამდე ყველა ხაზზე უფროსებს სადგურებისას, დეპოსი, გზის მოსამსახურეთაგან არჩეულებს, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციის თბილისის ბიუროს კონფერენციისა. ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურეთა დელეგატების კონფერენციამ, თანახმად 29 გზის წინადადებისა — შეერთებოდნენ მათ მიერ გამოცხადებულ საერთო პოლიტიკურ გაფიცვას, ლაადგინა მიემხროს საერთო რუსეთის გაფიცვას 10 დეკემბრის ღამის 12 საათიდან. კონფერენციის ბიუროსთხოვეს ამბანაგ ტელეგრაფისტებს მხოლოდ თვითონ დარჩნენ მო-

---

[1] საქ. სახ. ცენტ. ისტ. არქივი. ფ. 12. საქ. 87, 1905, ფ. 79.

ოიგეგ სადგურზე, მოძრაობის ამხანაგებთან ერთად მატარებლების მოსაღებ-გასაგზავნად. მხოლოდ ის მატარებლები გაუშვით, რომლებიც დანიშნულნი იქნებიან გაფიცვის ბიუროს მიერ საორგანიზაციო მიმოსვლისათვის"[1].

1906 წლის დამდეგიდან დაიწყო სასტიკი და განუწყვეტელი ოდევნა რკინიგზის მოსამსახურეებისა, რომლებმაც ამა თუ იმ ფორმით მოსაწილეობა მიიღეს 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. ყოველდღე ეწყობოდა დაპატიმრებანი, გასამართლება, გადასახლება, სამსახურიდან დათხოვნა და სხვ. რკინიგზის გაფიცვის მთავარი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები 47 კაცის შემადგენლობით პასუხისგებაში იქნენ მიცემული. გარდა ამისა, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეები გადასახლებულ იქნენ თბილისიდან. მარტო დეკემბრის გაფიცვის მონაწილე რკინიგზის მოსამსახურეებიდან დაპატიმრებულ იქნა 272 კაცი.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები საგაფიცვო ბრძოლას აგრძელებდნენ. 1906 წლის ზაფხულის ერთ-ერთ მოხსენებაში თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გუბერნატორს სწერდა, რომ 1906 წლის 20 აპრილიდან თბილისის გუბერნიის ფოსტისა და ტელეგრაფის განყოფილებებს ჯარი იცავსო. ასე. მაგალითად, ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, გორის კანტორას, თიანეთის, თელავის, სიღნაღის, სურამის, შანგლისის, მიხაილოვის, ცხინვალის, ახალციხისა და სხვ. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებს იცავდნენ და ემსახურებოდნენ ჯარისკაცები.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ინტელიგენციის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის მოსამსახურეებმა. მთავრობის მაშინდელ მიმოწერაში და საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მონაწილეების წინააღმდეგ წაყენებულ საბრალდებო დასკვნებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვების დროს მთავრობისათვის განსაკუთრებით საშიშარი იყვნენ ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის მოსამსახურეები, რომ „... 1905 წლის 15 ნოემბერს დაწყებულმა ფოსტა-ტელეგრაფის სრულიად რუსეთის გაფიცვამ იმავე წლის 10 დეკემბერს დაწყებულ რკინიგზის გაფიცვასთან ერ-

---

[1] ვ. ა. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, გვ. 90.

თად ყველაზე თვალსაჩინო როლი შეასრულა განვლილ რევოლუციურ მოძრაობაში“ [1].

1905 წლის სახალხო რევოლუციამ თავისი გავლენა მოახდინა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე. რევოლუციის დროს ქართულ სცენაზე მიმდინარეობდა რევოლუციური იდეების გაბედული პროპაგანდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის თეატრი, რომლის კოლექტივს სათავეში ედგა ქართული ხელოვნების დიდი მოამაგე ლადო მესხიშვილი. მესხიშვილი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა 1905 წლის სახალხო რევოლუციურ მოძრაობას, მან თეატრის სცენა რევოლუციურ ტრიბუნად აქცია, საიდანაც იგი და სხვა პროგრესული მსახიობები მოუწოდებდნენ მასებს თვითმპყრობელური წყობილების დამხობისაკენ.

თეატრის სცენიდან რევოლუციური პროპაგანდის გარდა ქუთაისის თეატრის კოლექტივი ქუჩის დემონსტრაციებში და მიტინგებზეც იღებდა მონაწილეობას. 1905 წელს ქუთაისის ბაღში ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ლ. მესხიშვილი და სხვები, რომლებმაც დამსწრეთ მოუწოდეს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მესხიშვილის რევოლუციური პროპაგანდით აღშფოთებული ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველო 1905 წლის აგვისტოს საიდუმლო მოხსენებაში წერდა:

„საიდუმლოთ. ა/წ. 25 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის თეატრში ქართული დასის არტისტების წარმოდგენის დროს მეორე აქტში სცენიდან არტისტმა ალექსი მესხიშვილმა წარმოთქვა ქართულად სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობასთან ბრძოლისაკენ. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოსთქვა: „ბრძოლა ერისა, ბრძოლა ხალხისაო“. წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით („აღსდექ მუშავ“ და სხვ.) დაიშალა“ [2].

„ლადოს მიერ სცენიდან წარმოთქმული კაიოსის მგზნებარე სიტყვები, ჟანის მონოლოგები მალამოსავით ეცხებოდა მაყურებელს და აღმაფრენას იწვევდა; კაიოსის ხმას ბანს აძლევდნენ ქუჩაში აღმართული ბარიკადები. ლადო ჭირშიაც და ლხინშიაც ხალხთან იყო. სინამდვილე რომ არ იყოს, ზღაპრად, ლეგენდად მოგეჩვენებათ ქუთაისის ქუჩებზე დეკორაციებისაგან ახორხილ ბარიკა-

---

[1] საქ. სახ. ცენტ. ისტ. არქივი, ფ. 114, საქ. № 181, 1906, ფ. 24.
[2] იხ. ალ. ბ ე რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, სცენის ოსტატები, 1951, გვ. 34.

დებზე მდგომი. ლომივით ფაფარაყრილი, ხალხის შვენება, ხალხის შვილი ლადო"[1].

1905 წლის რევოლუციის დღეებში სპელოვანი მსახიობის ლადო მესხიშვილის გაბედული და პატრიოტული მოქმედების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა აგრეთვე გ. ბუხნიკაშვილი, რომელიც წერს, რომ „დასავლეთ საქართველოში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ ექსპედიციის ბარბაროსული თარეშის დროს ლადო მესხიშვილი დამსჯელ ექსპედიციას თეატრის მთელი შემადგენლობით დახვდა თეატრის წინ დეკორაციებისაგან აგებულ ბარიკადებზე. მესხიშვილმა განაცხადა, რომ „თუ საჭიროებამ მოითხოვა გვერდით ამოვიყენებთ ცოლშვილს... ჩვენ თუ დავიხოცებით. ქვეყანა წარმოშობს ისეთ გმირებს, რომელნიც უეჭველ გამარჯვებას მიანიჭებს ხალხს"...[2]

ქუთაისის თეატრის კოლექტივის გმირული მოქმედებით აღშფოთებულმა, რევოლუციის ჯალათმა გენერალმა ალიხანოვმა ცეცხლი წაუკიდა ქუთაისის თეატრს, რომელიც მხოლოდ თეატრის მუშაკთა მამაცობამ და თავდადებამ იხსნა განადგურებისაგან. ალიხანოვისავე განკარგულებით დასწვეს ზესტაფონის თეატრი, რომელიც აშენებული იყო მშრომელთა შორის შეგროვილი თანხებით.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ოპერის თეატრს ხელმძღვანელობდნენ მეფის მთავრობის ერთგული მოხელეები — გენერალი როდე და პოლკოვნიკი აკიმოვი, რომლებიც სასტიკად სდევნიდნენ ყოველგვარ პროგრესულ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში გამეფებული იყო საშინელი პოლიციური რეჟიმი, 1905 წ. რევოლუციის დროს პროგრესულ მსახიობთა დახმარებით თბილისის თეატრი გამოყენებულ იქნა თვითმპყრობელური წყობილების მხილების ტრიბუნად. 18 ნოემბერს თეატრის მუშა-მოსამსახურეებმა მთაწმინდაზე მიტინგი მოიწვიეს. მიტინგმა შემდეგი შინაარსის დადგენილება მიიღო:

„ვინაიდან ამჟამად მთელს რუსეთში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება წარმოიბს, ჩვენ კი სათეატრო საქმის პირობების მიხედვით გვიხდება დღე-ღამეში 14—16 საათის განმავლობაში მუშაობა. სახაზინო თეატრის მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე დადგენილი წავუყენოთ დირექციას მოთხოვნები ჩვენი ყოფაცხოვრების

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, სცენის ოსტატები, გვ. 35.

[2] გ. ბუხნიკაშვილი, ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე, 1950, გვ. 58.

გასაუმჯობესებლად, კრების მიერ გამომუშავებული შემდეგი მუხლების მიხედვით:

1. უკლებლივ ყოველ მოსამსახურეს წლიური ხელფასი უნდა ჰქონდეს.

2. დაბალ მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი უნდა იყოს 25 მანეთი თვეში.

3. სეზონის დამთავრების შემდეგ სამუშაო დღე 8 საათამდე უნდა შემცირდეს და სხვ.[1]

თბილისის თეატრის პროგრესული კოლექტივიდან თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით გამოირჩეოდა ია კარგარეთელი. ივი გაბედულად ებრძოდა თეატრის რეაქციულ ხელმძღვანელობას და ყოველსაირად უწყობდა ხელს რევოლუციური პროპაგანდის გაშლას. კარგარეთელის ინიციატივით 1905 წ. ნოემბერში თეატრის კოლექტივის მიერ დადგმული „სეველიელი დალაქის" მთელი შემოსავალი 1601 მან. რაოდენობით გადაეცა რეაქციის მიერ აწიოკებულ გურიის გლეხობას. ქართული თეატრის მოწინავე მსახიობები — ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა. ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ვალერიან გუნია და სხვ. 1905 წლის რევოლუციის დროს აწყობდნენ გასტროლებს პროვინციებში, სადაც ისინი ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ქართულ სცენაზე იდგმებოდა მონტის „კაიუს გრაკი", ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზი", ოქტავ მირბოს „ჟან და მადლენა", ჰაუპტმანის „ფეიერები", ა. ყაზბეგის „არსენა", დ. ერისთავის „სამშობლო", ტ. რამიშვილის „მეზობლები", შ. დადიანის „მღვიმეში", „რის ნადიმობდნენ". ა. ცაგარელის „ციმბირელი", ვ. გუნიას „ორი გმირი" და სხვ. ქართველი პროგრესული მსახიობები თავიანთ ხელოვნებაში ეწეოდნენ პროგრესული, რევოლუციური იდეების პროპაგანდას, ამხელდნენ თვითმპყრობელურ წყობილებას.

მეფის მთავრობის ადგილობრივ მოხელეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველი მსახიობების მიერ რევოლუციისადმი მხარდაჭერის ფაქტი. ქართულ თეატრზე შური იძია მთავრობამ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ. დაიწყო ანასტიკი დევნა და რეპრესიები პროგრესული მსახიობებისა. გადასახლება, ციხე, სიკვდილით დასჯა საერთო მოვლენა გახდა. ბიათუ-

---

[1] იხ. შ. ყაშმაძე: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ნაწ. პირველი, გვ. 352.

რაში 1907 წელს მთელი დასი დააპატიმრეს, მათ შორის რეჟისორი ვასო ურუშაძე. საშინელი დევნა და დამცირება განიცადა ქართული ხელოვნების ცნობილმა წარმომადგენელმა ია კარგარეთელმა. 1906 წ. 13 დეკემბერს, როდესაც სპექტაკლის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, ის დააპატიმრეს და ციხისაკენ წაიყვანეს. „გზაში ოხრანკის აგენტმა დასწრა, მკვდარი ეგონა და ხრამში გადაჩეხა. ია კარგარეთელი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. მაგრამ სამუდამოდ წაერთვა მარჯვენა ხელი და ფეხი"[1].

ამგვარად, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მუშებთან ერთად რევოლუციურ ბრძოლაში დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობას, რარიგ მცირედაც უნდა მოგვეჩვენოს ეგი პროლეტარიატისა და გლეხობის ბრძოლასთან შედარებით, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ეს ფაქტია და ფაქტად რჩება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ჯანყდება პროლეტარიატი, ჯანყდება გლეხობაც, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი ნაწილის მონაწილეობით"[2].

რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილებამ დაადასტურა ინტელიგენციის შესახებ ბოლშევიკური მოძღვრების სისწორე. 1905 წლის რევოლუციის დროს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენისაგან განსხვავებით სახალხო ინტელიგენციამ მხარი დაუჭირა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას, მათ რევოლუციურ დიქტატურას. ამიტომ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობის შემადგენლობაში მიზიდული ყოფილიყო რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. „საბჭომ თავი უნდა გამოაცხადოს დროებითს რევოლუციურ მთავრობად, — წერდა ლენინი, — ან უნდა შეადგინოს ეს მთავრობა და საამისოდ უეჭველად უნდა მიიზიდოს ახალი დეპუტატები არა მარტო მუშებისაგან, არამედ, ჯერ ერთი, მატროსებისა და ჯარისკაცებისაგან, რომლებიც უკვე ყველგან მიისწრაფვიან თავისუფლებისაკენ, მეორე, რევოლუციური გლეხობისაგან, მესამე, რევოლუციური ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან"[3].

---

[1] შ. კაშმაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ნაწ. პირველი, გვ. 352.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 115.

[3] იქვე, გვ. 9.

თავი III

ინტელიგენციის პროფესიული კავშირები 1905—1907 წლებში

ინტელიგენციის „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირები" ძირითადად შეიქმნა 1905 წლის პირველ ნახევარში. რუსეთის ინტელიგენციაში სხვადასხვა დარგის პროფესიული კავშირები იქმნებოდა სხვადასხვა პარტიების გავლენით და ხელმძღვანელობით. გასაგებია, რომ ამ კავშირების საქმიანობაც მიმდინარეობდა სხვადასხვა პარტიების იდეური გავლენით. ამიტომ რევოლუციის პერიოდში პროფესიულ კავშირებს შორის მიმდინარეობდა სასტიკი იდეური ბრძოლა, რაც ხელს უშლიდა კავშირების რევოლუციური სულისკვეთებით გაერთიანებას და ბრძოლაში ჩაბმას.

1905 წლის რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკებმა გაშალეს მუშაობა ინტელიგენციაში პროფესიული კავშირების შესაქმნელად, მათი იდეური აღზრდისათვის. ბოლშევიკები ცდილობდნენ ამ კავშირების საშუალებით მოეხდინათ გავლენა დემოკრატიულ ინტელიგენციაზე და ჩაებათ იგი რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციური აღმავლობის დროს — 1902 წელს მიუთითებდა პროფესიული კავშირების დიდი მნიშვნელობის შესახებ; იგი წერდა: „პროფესიულ ორგანიზაციებს არათუ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოიტანონ ეკონომიური ბრძოლის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, არამედ ფრიად მნიშვნელოვანი დახმარებაც გაუწიონ პოლიტიკურ აგიტაციას და რევოლუციურ ორგანიზაციას"[1].

იმ მიზნით, რომ თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა ინტელიგენცია, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ 1905 წლის რევოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებით ქვეყნის მთავარ ქალაქებში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 579.

დაიწყო ინტელიგენციის „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირების“ შექმნა.

1905 წლის დამდეგს რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრებში — მოსკოვსა და პეტერბურგში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შექმნა პროფესორების, ვექილების, ფარმაცევტების, მასწავლებლების, ინჟინრების, სტატისტიკოსების, აგრონომების, ექიმების, რკინიგზის მოსამსახურეების, ბუღალტრების, მოსაძსახურეების კავშირები, „ქალთა თანასწორუფლებიანობის კავშირი“, „ებრაელთა თანასწორობიანობის“, ჟურნალისტების, ვეტერინარი ექიმების, მწერალთა და სხვ. პროფესიულ-პოლიტიკური კავშირები.

მოკლედ გავეცნოთ ამ კავშირების შექმნის ისტორიას. 1904 წლის 5 დეკემბერს რესტორან „კონტანში“ შედგა ინჟინერთა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 590 კაცი. ინჟინერთა ეს შეკრება გადაიქცა საორგანიზაციო კრებად, სადაც შეიქმნა „ინჟინრების პეტერბურგის კავშირი“. აირჩიეს ბიურო, რომელსაც დაევალა გაეფორმებინა ყველა სპეციალობის „ინჟინრებისა და ტექნიკოსების სრულიად რუსეთის კავშირი“. კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, სადაც განსაზღვრულია კავშირის მიზანი — რუსეთის ყველა ინჟინრისა და ტექნიკოსთა გაერთიანება ერთობლივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოქმედებისათვის, თავისი პროფესიული ინტერესების დასაცავად.

ინჟინერთა კავშირმა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 3 228 კაცს, საპროტესტო მოძრაობა გააჩაღა მეფის მთავრობის მიერ პეტერბურგში 9 იანვარს მოწყობილ სისხლისმღვრელ ამბებთან დაკავშირებით. 13 და 14 იანვარს ჩატარებულ საერთო კრებებზე კავშირის წევრებმა სასტიკი პროტესტი გამოუცხადეს მთავრობას, შეადგინეს წერილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, რომელსაც ხელი მოაწერა 198 კაცმა. ამ წერილით კრების მონაწილეები პროტესტს უცხადებდნენ მთავრობას პეტერბურგის უდანაშაულო მუშების დახოცვისათვის.

1905 წლის 7 ივლისს მოწვეულ იქნა ინჟინერთა კავშირის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში 9 იანვრის ამბების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. კრებაზე დადგინეს ბრძოლაში დაღუპული მუშების პატივსაცემად ჯგუფურად ჩაეტარებინათ პანაშვიდი და იმავე მიზნით 9 ივნისს გამოეცხადებინათ გაფიცვა. კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ კავშირი პეტერბურგში თავის ხარჯზე ინახავს 4 — 5 სასადილოს მუშებისათვის. კავშირმა ვექილების ‚ავ-

შირთან ერთად შექმნა ღარიბი მუშების შვილებისათვის შეწირულების შემგროვებელი კომისია; დაიწყო აგრეთვე ფულის შეგროვება მშრომელებში წიგნების გასავრცელებლად. ივანოვო-ეოზნესენსკის მუშათა ცნობილი გაფიცვის დასაბამრებლად ინჟინერთა კავშირმა დაიწყო თანხების შეგროვება. 1905 წლის 29 აპრილს ინჟინერთა კავშირის ბიურომ 417 ინჟინრის სახელით წინადადებით მიმართა საქალაქო სათათბიროს, რათა მას დაბრკოლება არ შეექმნა მუშებისათვის პირველი მაისის დღესასწაულის აღნიშვნის საქმეში.

1905 წლის 22 — 24 აპრილს ჯერ პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ კი ტერიოკში ჩატარდა „სრულიად რუსეთის ყველა სპეციალობის ინჟინერთა და ტექნიკოსთა დელეგატების ყრილობა“, რომელსაც დაესწრო 125 კაცი. ყრილობამ შეიმუშავა პლატფორმა, რომელიც სრულიად ეთანხმება 1904 წლის 5 დეკემბრის ინჟინერთა კრებაზე მიღებულ რეზოლუციას, სადაც გარკვეულია კავშირის მიზნები და ამოცანები. პეტერბურგის რესტორან „კონტანში“ შემდგარ ინჟინერთა ბანკეტის რეზოლუციის ნამდვილი ბუნების დახასიათება მოცემულია ვ. ი. ლენინის სტატიაში — „თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი“; ლენინი აღნიშნავს, რომ ამ რეზოლუციის ხელისმომწერნი იცავენ რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებს. ლენინი წერდა: „აიღეთ ინჟინერთა 4 დეკემბრის პეტერბურგის ბანკეტის რეზოლუციები. თქვენ დაინახავთ, რომ ბანკეტის 590 მონაწილე, ხოლო მათ შემდეგ რეზოლუციის ხელისმომწერი 6 000 ინჟინერი მხარს უჭერენ კონსტიტუციას, „ურომლისოდაც შეუძლებელია რუსეთის მრეწველობის წარმატებით დაცვა“, ხოლო ამასთან ერთად პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობამ უცხოელ მეწარმეებს შეკვეთა მისცეს“[1].

სრულიად რუსეთის ინჟინერთა კავშირმა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში შექმნა თავისი განყოფილებები — კავშირები, რომლებიც მოქმედებდნენ ცენტრის მითითებით და ხელმძღვანელობით. ამ ადგილობრივი განყოფილებებიდან თავისი აქტივობით გამოირჩეოდა ირკუტსკის კავშირი, რომელზედაც დიდი გავლენა მოახდინეს სოციალ-დემოკრატებმა. 1905 წლის 6 ნოემბერს სრულიად რუსეთის ინჟინერთა და ტექნიკოსთა კავშირის ირკუტსკის განყოფილებამ საზოგადოებრივი კრების შენობაში მოიწვია მიტინგი. ამ მიტინგზე მონაწილეობა მიიღო ირკუტსკში არსებული კავშირების ყველა წევრმა. ირკუტსკის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს 11 ნოემბრის საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 11.

გრანდიოზულ მიტინგს ხელმძღვანელობდა მთავრობასთან მტრული დამოკიდებულებით პოლიციის დეპარტამენტისათვის კარგად ცნობილი გიორგი ზაქარიას-ძე ანდრონიკოვი, რომელიც ამავე დროს არის „სრულიად რუსეთის ინჟინრებისა და ტექნიკოსების“ ირკუტსკის განყოფილების მთავარი ორგანიზატორი და თავმჯდომარე [1].

მიტინგზე ორატორები გმობდნენ მეფის მთავრობის რეაქციულ ზომებს, მის ვერაგულ მოქმედებას ხალხის მოსატყუებლად, ამბობდნენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა არაფერი მისცა ხალხს, რომ იგი იყო ნაწილობრივი დათმობა მუშებისადმი, რომლებმაც უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ მოპოვებული თავისუფლება. იმავე საიდუმლო მოხსენებაში წერია, რომ ერთ-ერთმა ორატორმა—რეიტენშტეინმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!“. ორატორის ამ სიტყვებს დიდი ენთუზიაზმით და მქუხარე ტაშით შეხვდა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მენშევიკების ორატორმა, რომელმაც უარყო შეიარაღებული აჯანყების მოთხოვნა. მიტინგის მონაწილეებმა მას სიტყვის დასრულება არ დააცალეს, ერთხმად გაისმოდა შეძახილები: „ძირს მოღალატე.“, „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!“. ამის შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციას შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა ეს რეზოლუცია.

რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისათვის გაჩაღებული მოძრაობის გავლენით ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო ინტელიგენციის ლიბერალური მოძრაობა. 1904 წლის 31 დეკემბერს თბილისის არტისტთა საზოგადოების შენობაში შედგა ინტელიგენციის დიდი ბანკეტი, რომელსაც დაესწრო 700 კაცი. ამ შეკრების მიზანი იყო ხალხისათვის ეჩვენებინა თავისი „ერთგულება“, შეცდომაში შეეყვანა მასები ლიბერალურ მოთხოვნათა წამოყენებით. ამავე დროს ლიბერალურ ინტელიგენციას ეშინოდა ამ მოთხოვნების წამოყენებას არ გამოეწვია მეფის მთავრობის გულისწყრომა.

ლიბერალური ინტელიგენციის ამ შეკრების ინიციატორებმა და ხელმძღვანელებმა თავიანთი ორატორების სიტყვების შინაარსი და რეზოლუცია წინდაწინ შეუთანხმეს პოლიციას. კრების თავმჯდომარე ს. მ. ჩემეზოვიც პოლიციის მიერ იყო რეკომენდებული. ლიბერალური ინტელიგენციის მიერ გამართული. ამ ბანკეტის გამო რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ გამოცემულ

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00999; 1905, ფ. 365.

პროკლამაციაში აღნიშნულია, რომ ბანკეტზე მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა წერილობითი პროტესტი შეიტანეს ორატორების სიტყვების შეზღუდვის წინააღმდეგ, მოითხოვეს სიტყვის სრული თავისუფლება. ლიბერალი ორატორები საერთო ფრაზებით ლაპარაკობდნენ რუსეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, არაფერს ამბობდნენ ბრძოლის აუცილებლობაზე. ასეთი ლიბერალური და შემარიგებლური სიტყვები აღშფოთებას იწვევდა კრებაზე დამსწრე სოციალ-დემოკრატებსა და მათ მომხრეთა შორის. თბილისიდან ცენტრში გაგზავნილ პროკურორის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ასეთი ლიბერალური სიტყვების წარმოთქმის წინააღმდეგ უკიდურესმა პარტიამ არა ერთხელ გამოთქვა პროტესტიო. მიუხედავად ლიბერალური ინტელიგენციის ასეთი შემარიგებლური მოქმედებისა, მაინც გამარჯვება სოციალ-დემოკრატებს დარჩათ. მათ შესძლეს თავიანთი რეზოლუცია გაეტანათ ამ შეკრებაზე და თვითმპყრობელობის დამხობა მოითხოვეს.

ლიბერალების ცდები — შეცდომაში შეეყვანათ მასები — მხილებულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 1905 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გამოშვებულ პროკლამაციაში: „ბანკეტზე... წამოყენებული იყო ლოზუნგი: „ყველა კლასებო, შეერთდით!", „აქ არ უნდა იყოს არავითარი პარტიები", — ამბობდნენ ლიბერალთაგან ერთნი; „დისონანსი" საჭირო არაა", — ყეფდნენ მეორენი.

შეგნებულმა პროლეტარიატმა მშვენივრად იცის ფასი და აზრი ამგვარი ზღაპრებისა კლასთა ჰარმონიის შესახებ, — მან იცის, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, სიტყვები — დისონანსი საჭირო არ არისო, უბრალო მოუსაზრებლობის შედეგია; კლასობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეს თვალთმაქცობაა" [1].

1905 წლის 28 მარტიდან 30 მარტამდე პეტერბურგში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის ვექილთა პირველი ყრილობა. ყრილობის პირველი ნაბიჯი იყო ვექილთა კავშირის შექმნის ორგანიზაციის მოწყობა. ყრილობამ დაადგინა: 1. ვექილთა საზოგადოებრივ-პროფესიული მოქმედების გაერთიანების მიზნით და დემოკრატიული კონსტიტუციის საწყისებზე პოლიტიკური თავისუფლების მისაღწევად ვექილთა სრულიად რუსეთის კავშირის საქვეყნოდ გამოცხადება, 2. ყრილობის ბიუროს მიეცეს ფართო რწმუნებანი

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 269.

კავშირების მოსაწყობად, 3. სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების კავშირებთან შეერთება, რომლებიც მიზნად ისახავენ პოლიტიკური თავისუფლების მიღწევას, 4. რწმუნება მიეცეს ბიუროს აირჩიოს დელეგაცია გაერთიანებული კავშირების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ყრილობაზე წამოყენებულ იქნა წინადადება ყველა ინტელიგენტური პროფესიული კავშირების (ექიმების, ინჟინრების, მასწავლებლების, ჟურნალისტების, აგრონომების, ფარმაცევტების, ვექილების, კანტორის მოსამსახურეების და სხვ.) ერთ საერთო კავშირში გაერთიანების შესახებ. ყრილობაზე ცხარე კამათი გაჩაღდა ასეთი კავშირების მოღვაწეობის ამოცანების შესახებ. ყრილობამ აღნიშნა, რომ „კავშირების კავშირს“ შეუძლია მთავრობის კომისიების პარალელურად შეიმუშაოს დამფუძნებელი კრების მოწვევის პროექტი, აგიტაცია გასწიოს ფართო მასებში ამ პროექტის სასარგებლოდ. როდესაც კავშირი მიიმხრობს ხალხის უმრავლესობას, მაშინ მთავრობას წაუყენებს გარკვეულ მოთხოვნებს. ყრილობის ერთი ნაწილი კი შორს წავიდა და საკითხი ასე დასვა: რატომ არ შეიძლება კავშირის ბიურო პირდაპირ გადაიქცეს დროებით მთავრობადო.

ორატორმა ტესლენკომ განაცხადა, რომ „კავშირი იქმნება ერთი საერთო დროშით — თვითმპყრობელური წყობილების დამხობა, დემოკრატიული კონსტიტუციის გამოცხადება“ [1].

სრულიად რუსეთის ვექილთა ყრილობის ეს განზრახვა იყო უტოპიური, ვინაიდან ინტელიგენციის ამ წარმომადგენლებს არ გააჩნდათ ძალები იმისათვის, რომ მოეხდინათ შეიარაღებული აჯანყება, გადაქცეულიყვნენ დროებით მთავრობად. ყრილობის მიერ ასეთი მიზნების დასახვა ნიშნავდა იმას, რომ ვექილები თავის თავს თვლიდნენ ხალხის იდეოლოგებად, რომელთაც შეუძლიათ ხალხის თანაგრძნობისა და მხარდაჭერის იმედი იქონიონ.

ამ უტოპიური შეხედულების წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდა ლ. ანდრონიკოვი [2], რომელმაც ინტელიგენციის ყველაზე დიდ შეცდომად მიიჩნია ის აზრი, რომ იგი თავის თავს ხალხს უპირისპირებს, ზევიდან დაჰყურებს ამ თავის მშობელ დედას, რომ ინტელიგენცია თავის ძალას ისე უყურებს, რომელსაც შეუძლია ქვეყნის სოციალური გარდაქმნების მოხდენა. ანდრონიკაშვილმა აღნიშნა, რომ ინტელიგენცია ხალხის გარეშე უძლურია, რომ მას მხოლოდ

---

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქმე № 00999, ტ. 2, 1905, ფ. 12.

[2] ცნობილი ქართველი იურისტი, შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ანდრონიკაშვილი.

ხალხთან კავშირში შეუძლია საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე აკეთოს.

პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვექილთა ამ ყრილობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ბერმანი, რომელმაც გააკრიტიკა და უარყო ყრილობაზე ზოგიერთი ორატორის აზრი ზემოთ დასახელებული მიზნების ლეგალურ ფორმებში განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. მან განაცხადა, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად არსებობს ერთადერთი საშუალება — შეიარაღებული აჯანყება, ამიტომ საჭიროა ვემზადოთ ამ საქმისათვისო. მან პირდაპირ თქვა, რომ არსებული წყობილების დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, ამიტომ ყველა დანარჩენი ფენა და ჯგუფი უნდა დაეხმარონ პროლეტარიატს, ემსახურონ მას. ორატორმა დომენტოვსკიმ მოუწოდა, რათა ვექილების კავშირმა იბრძოლოს თვითოეული ადამიანის შესაიარაღებლად, განსაკუთრებით ქვეყნის ორივე დედაქალაქში — პეტერბურგსა და მოსკოვში, ვინაიდან ურევოლუციოდ და უსისხლოდ გამარჯვება არ იქნებაო. ამის შემდეგ სიტყვით გამოსულმა იოანესიანცმა განაცხადა, რომ ახლა შეიარაღებული აჯანყებისაგან თავის შეკავება არ შეიძლება; ამაში კარგად დაგვარწმუნა კავკასიის ამბებმაო. მან მოითხოვა, რომ კავშირი მიმხრობოდა რევოლუციურ პარტიას.

დიდი მსჯელობის შემდეგ ამ საკითხზე ყრილობამ მიიღო არაფრისმთქმელი დადგენილება: კავშირის ადგილობრივმა განყოფილებებმა მატერიალური და მორალური დახმარება უნდა აღმოუჩინონ რევოლუციური პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ნამდვილად ებრძვიან თვითმპყრობელობას.

„ინტელიგენციის განზრახვების გულუბრყვილობა და უტოპიურობა კარგად აქვს ნაჩვენები ვ. ვოროვსკის თავის სტატიაში—„სრულიად რუსეთის ვექილთა ყრილობა“, რომელშიც წერს: „როდესაც სამხრეთიდან ვექილები პეტერბურგის ყრილობაზე მიდიოდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ „კავშირების კავშირი“ უკვე არსებობს, რომ უკვე შექმნილია მუშათა შეიარაღებული კადრები, რომლებიც მზად არიან გამოვიდნენ „კავშირების კავშირის“ დასაცავად, როგორც კი იგი თავის თავს გამოაცხადებს დამფუძნებელ კრებად“ [1].

იმ მიზნით, რომ ლიბერალური ინტელიგენციის ამ კავშირს

---

[1] ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი, რჩეული ნაწარმოებები რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, 1955, გვ. 25.

მოეტყუებინა მასები, მიემხრო ისინი, რათა ბურჟუაზიის ამოცანები შეესრულებინათ, ყრილობამ განიხილა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები. ბურჟუაზიის აგენტი პ. სტრუვე წერდა: „ყრილობა შეეხო აგრეთვე სოციალურ-ეკონომიური რეფორმების საკითხს და იგი დადებითად გადაწყვიტა". ეს იყო სახალხო მოძრაობის მტრის ცბიერი სიტყვები, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რევოლუციური მოძრაობის ჩაშლა, ვინაიდან ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ყრილობაზე მსჯელობა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის „რეფორმებზე" იყო ლიბერალური ლაყბობა, რასაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი მოთხოვნების წამოყენებით შეცდომაში შეეყვანა საზოგადოებრივი აზრი, რადგან ასეთი მოთხოვნების განხორციელება შეუძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში.

სრულიად რუსეთის ვექილთა ამ ყრილობას არ წამოუყენებია ისეთი რეალური მოთხოვნები, რომელთა განხორციელება მართლაც გამოიწვევდა მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყრილობა დაკმაყოფილდა მხოლოდ სურვილების გამოთქმით. ყრილობის ხაზის ლიბერალურ-ფარისევლური ბუნების აშკარა მაგალითს წარმოადგენს ვექილ რატნერის მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა. აქ აღნიშნული იყო: „ვექილთა კავშირის სოციალურ-ეკონომიური პროგრამის მიზანს შეადგენს ისეთი სოციალურ-ეკონომიური წყობილების დამყარება რუსეთში, რომლის დროსაც დაცული და უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ყველა მშრომელი ელემენტის ნამდვილი ინტერესები. მოსახლეობა განთავისუფლდება თანამედროვე კაპიტალისტური რეჟიმის უღლისაგან" [1]. ეს იყო ცარიელი ფრაზა, ვინაიდან კაპიტალისტური რეჟიმისაგან მშრომელების განთავისუფლება შეიძლებოდა მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით, სოციალისტური რევოლუციის მოხდენით.

შეიარაღებული აჯანყების მოწყობასა და დროებითი მთავრობის შექმნაზე მსჯელობა უცბად შეცვალეს ლაპარაკით იმის შესახებ, თუ რა საშიშროება მოელოდათ ყრილობის მონაწილეებს მეფის მთავრობისაგან ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის. შეშინებული ორატორები მიუთითებდნენ, რომ საკითხი შეიარაღებული აჯანყების შესახებ არის კონსპირაციული საკითხი, რომ აჯანყების საკითხის შეტანა პროგრამაში საჭირო არ არის, იგი საფრთხეს

---

[1] ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი, **რჩეული ნაწარმოებები რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ**, გვ. 26.

უქმნის კავშირის არსებობას და ბევრი იძულებული გახდება გავიდეს ბიუროს შემადგენლობიდანო. რამდენიმე ორატორის გამოსვლის შემდეგ ყრილობის შეშინებულმა უმრავლესობამ ამოშალა მუხლი შეიარაღებული აჯანყებისა და რევოლუციურ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ. სამი დღის მსჯელობის შემდეგ ყრილობამ მიიღო ლოიალური რეზოლუცია, სადაც მრავალჯერ მეორდება ლიბერალურ-თვალთმაქცური ფრაზა: „თანამედროვე ეკონომიური ჩაგვრისაგან მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენის განთავისუფლება“.

ვექილების მეორე ყრილობა მოწვეულ იქნა მოსკოვში 1905 წლის 5 ოქტომბერს, ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ორგანიზაციული საკითხები და დამოკიდებულება სხვა კავშირებთან, 2. კავშირის დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან, 3. სამხედრო სასამართლოებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესახებ, 4. პოლიტიკური გაფიცვის შესახებ, 5. დამშეულთა დახმარების ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, 6. კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან დამოკიდებულების შესახებ. ყველა ამ საკითხის გარშემო ყრილობამ მიიღო ლიბერალური დადგენილებანი.

შეიქმნა რა ინტელიგენციის მთელი რიგი ადგილობრივი კავშირები, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაიწყო ცდები ადგილობრივი კომიტეტების გასაერთიანებლად სრულიად რუსეთის კავშირში. მათ დაიწყეს კამპანია „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირების“ სრულიად რუსეთის ყრილობის მოსაწვევად.

1905 წლის 5 მარტს პეტერბურგში შედგა სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელმაც შექმნა პეტერბურგის მასწავლებელთა კავშირი. კრებამ მიიღო დადგენილება, რითაც მასწავლებელთა კავშირი აღიარა როგორც პროფესიულ, ისე პოლიტიკურ კავშირად. ამ ყრილობისათვის ლიბერალების მზადების დროს ბოლშევიკურმა კომიტეტებმა გააჩაღეს კამპანია მათ წინააღმდეგ და მასწავლებელთა იდეური აღზრდისათვის. რსდმპ მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია „სახალხო მასწავლებლებს“. პროკლამაციაში მხილებული იყო თვითმპყრობელური მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა. მეფის მთავრობა დახასიათებული იყო როგორც უბოროტესი მტერი მასწავლებლებისა და სახალხო განათლებისა.

ბოლშევიკების ეს პროკლამაცია მასწავლებლობას მოუწოდებდა, რომ მათ, როგორც ხალხში სიკეთის, გონიერებისა და განათლების მთესავებმა, მთელი თავისი ძალები უნდა გაერთიანონ

პროლეტარიატის ხელმძღვანელობით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოსკოვის კომიტეტი მოუწოდებდა მასწავლებლებს დახმარებოდნენ მუშებსა და მშრომელებს შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებასა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შედგენაში, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეს.

1905 წლის 11 აპრილს მოსკოვში შეიკრიბა მასწავლებელთა და განათლების დარგის მუშაკთა ყრილობა, რომელიც გაგრძელდა 14 აპრილამდე. მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. ყრილობაზე უმრავლესობაში აღმოჩნდნენ „ოსვობოჟდენცელების" მომხრეები. მოხსენებით სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის წესდების შესახებ გამოვიდა ყრილობის მომწვევი ბიურო. ბიურომ წინადადება შეიტანა წესდებაში შეეტანათ არა მარტო პროფესიული, არამედ პოლიტიკური ამოცანებიც, რამაც დიდი დავა გამოიწვია. კავშირის წესდების მე-11 მუხლის 1-ლ პარაგრაფში აღნიშნული იყო: „კავშირი თავის ძირითად ამოცანად ისახავს რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლებისათვის და ფართო სოციალურ-ეკონომიური რეფორმებისათვის ბრძოლას".

მასწავლებელთა კავშირის ამ ყრილობას ესწრებოდა 26 ბოლშევიკი მასწავლებელი, რომლებიც ყრილობაზე მოვიდნენ ბოლშევიკური პარტიის მიერ შემუშავებული ერთიანი აზრით, ერთიანი ტაქტიკური ხაზით. ბოლშევიკები მოითხოვდნენ კავშირის საქმიანობა განსაზღვრულიყო მხოლოდ პროფესიული ამოცანებით და არა პოლიტიკურით. ბოლშევიკმა დელეგატებმა გააკრიტიკეს და უარყვეს ლიბერალების წინადადება, რომელიც კავშირის წევრს უკრძალავდა მიეხრობოდა რომელიმე პარტიას. ბოლშევიკების სახელით ყრილობაზე განსაკუთრებით დიდ ბრძოლას ეწეოდნენ ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ლ. მენჟინსკაია და სხვ. ისინი მთელი ძალით იცავდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ შექმნილ ინტელიგენციის „პროფესიულ-პოლიტიკურ კავშირებთან" ბოლშევიკური პარტიის დამოკიდებულების პოლიტიკურ ხაზს, ამხელდნენ „ოსვობოჟდენცელების", ესერებისა და მენშევიკების პლატფორმას. ბოლშევიკმა დელეგატებმა ყრილობაზე განაცხადეს, რომ ვინაიდან ყრილობაზე უმრავლესობას შეადგენენ „ოსვობოჟდენცელები", ცხადია, კავშირი გახდება „ოსვობოჟდენცური" ორგანიზაცია და დაემორჩილება ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ტაქტიკურ ხელმძღვანელობას. ასეთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია კავშირში არავითარ შემთხვევაში არ შეევა. სოციალ-დემოკრატმა მასწავლებლებმა ყრილობაზე შეიტანეს შემდე-

გი განცხადება: „ვაღიარებთ რა იმას, რომ მეტად სასურველია მასწავლებელთა კავშირის შექმნა ფართო პროფესიულ ნიადაგზე, ჩვენ, მიუხედავად ამისა, ვთვლით 1) პროექტები პოლიტიკური ბრძოლის შესახებ, რომელიც შეტანილია წესდებაში, კავშირს გაურკვეველ პოლიტიკურ ელფერს აძლევენ, რომელიც აახლოვებს მას ზომიერ ლიბერალიზმთან; 2) რომ ჩვენთვის პოლიტიკური ბრძოლა მჭიდროდაა დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან და შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის რიგებში, სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ; 3) რომ ჩვენი შესვლა ასეთ კავშირში ხელს შეუწყობდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების დაჩრდილვას და ამიტომ შესაძლებლად არ მიგვაჩნია შევიდეთ იმ კავშირის წევრად, რომელსაც სათუძვლად დაედება კავშირის წესდების მიღებული პროექტი"[1]. ხმის უმრავლესობით ყრილობამ ბოლშევიკების მოთხოვნები უარყო და მიიღო ლიბერალური ბურჟუაზიის პლატფორმა.

ბოლშევიკებმა ყრილობის ოქმს დაურთეს თავისი განსაკუთრებული შეხედულებანი, სადაც აღნიშნული იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლის შესახებ წესდებაში მუხლის შეტანა კავშირს აახლოვებს ლიბერალებთან, რომ პოლიტიკური ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია კლასობრივ ბრძოლასთან და ეს ბრძოლა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს პარტიის ხელმძღვანელობით, რომ სოციალ-დემოკრატების შესვლა ასეთ კავშირში ხელს შეუწყობდა პროლეტარიატის თვითშეგნების დაბნელებას. ამიტომ ჩვენ უარს ვამბობთ კავშირში შესვლაზეო.

მასწავლებელთა ყრილობის მიერ ხმების უმრავლესობით ლიბერალური ბურჟუაზიის პლატფორმის მიღება ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო. ამიტომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ბრძოლა ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან მასწავლებლობის გასათავისუფლებლად. ამ ღონისძიებათა გატარების დროს ბოლშევიკებს ბრძოლა მოუხდათ პარტიის შიგნით — მენშევიკებთან. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი მიიღო ყრილობის შემდეგ. პეტერბურგში მოწვეულ სოციალ-დემოკრატი მასწავლებლების ფრაქციის სხდომაზე ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ მასწავლებელთა პროფესიული კავშირის შექმნის თავიანთ გეგმას, ამხელდნენ „ოსვობოჟდენცელების" მიერ შექმნილ ინტელიგენციის „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირების" ხასიათს, ააშკარავებდნენ, რომ ეს კავშირები არიან ლიბერა-

---

[1] მცსია, საქმე № 00999, ტ. 1, ნაწ. 1, ფ. 66.

ლური ბურჟუაზიის პოლიტიკის გამტარებლები და მათი რეზერვი. მენშევიკები თავგამოდებით იცავდნენ და მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ „პროფესიულ-პოლიტიკურ კავშირს“, წინააღმდეგი იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული კავშირების შექმნის ბოლშევიკური პლატფორმისა. მიუხედავად მენშევიკების სერიოზული წინააღმდეგობისა, მასწავლებელთა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თათბირმა დაადგინა: მთელი შესაძლებლობით გააჩაღოს ფრაქციამ ბრძოლა პეტერბურგის მასწავლებელთა შორის პროფესიული კავშირების შესაქმნელად. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ამ დადგენილების საფუძველზე დიდი მუშაობა ჩაატარა დამფუძნებელ კრებაზე იმ დელეგატების ასარჩევად, რომლებიც ემხრობოდნენ მასწავლებელთა სრულიად რუსეთის კავშირის შექმნას. ბოლშევიკების დიდი მუშაობის შედეგად დამფუძნებელი კრების დელეგატებად არჩეულ იქნენ ის ადამიანები, რომლებიც ბოლშევიკების ტაქტიკურ ხაზს იზიარებდნენ.

ბოლშევიკების ადგილობრივი კომიტეტების მიერ სახალხო მასწავლებელთა შორის ჩატარებული დიდი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად მასწავლებელთა მთელ რიგ კრებებზე მოსკოვში, პსკოვში, კალუგაში, სარატოვში, სამარაში, ვორონეჟში, როსტოვში და სხვ. მხარი დაუჭირეს ბოლშევიკური პარტიის ხაზს და დელეგატებად არჩეულ იქნა ბევრი ბოლშევიკი.

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის დამფუძნებელი კრება შედგა პეტერბურგში 1905 წლის 7 ივნისს და გაგრძელდა 11 ივნისამდე. მას ესწრებოდა 34 გუბერნიისა და ოლქის 165 დელეგატი. კრებამ თავისი მუშაობა დაიწყო წესდების პირველი პარაგრაფის განხილვით, რომელიც ეხებოდა საკითხს — ეს კავშირი უნდა ყოფილიყო მხოლოდ „პროფესიული“ თუ „პროფესიულ-პოლიტიკური“. პირველი წინადადების მომხრედ გამოვიდნენ ბოლშევიკები და მათი თანამგრძნობი დელეგატები. მეორე წინადადებას კი იცავდნენ ლიბერალების მომხრეები. ბოლშევიკმა ორატორებმა თავიანთ გამოსვლებში ნათლად უჩვენეს, რომ ესინი, ვინც იბრძვის „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირის“ შესაქმნელად, არიან არა სახალხო ინტელიგენციისა და ხალხის ინტერესების დამცველნი, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიის მომხრეები და ბურჟუაზიული ინტერესების დამცველნი. მიუხედავად ბოლშევიკების სასტიკი წინააღმდეგობისა, იმის გამო, რომ ესერებმა მხარი დაუჭირეს ლიბერალებს, ყრილობამ 109 ხმით მიიღო „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირის“ ბურჟუაზიული პლატფორმა. ბოლშევიკების წინადადებას კი ხმა მისცა 40 კაცმა. პროტესტის ნიშნად ბოლშევიკებმა მიატოვეს ყრი-

ლობა. ყრილობამ შექმნა კავშირის ბიურო 15 კაცის შემადგენლობით.

მასწავლებელთა დამფუძნებელი ყრილობის დადგენილებები განსახილველად დაეგზავნათ მასწავლებელთა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც იხილავდნენ მას თავიანთ კრებებზე. მასწავლებელთა საგუბერნიო და სამაზრო ყრილობებზე დამფუძნებელი ყრილობის დადგენილებების განხილვის დროს ლიბერალები და ესერები დიდ წინააღმდეგობას შეხვდნენ. მასწავლებელთა მოწინავე ნაწილმა სასტიკად გააკრიტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური პოლიტიკა; ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატ მასწავლებელთა მოთხოვნა პროფესიული კავშირის შექმნის შესახებ სავსებით საფუძვლიანი და ერთადერთი სწორი მოთხოვნაა, რომ მომავალი ყრილობა გამოასწორებს ჩატარებული ყრილობის შემცდარ გადაწყვეტილებებს და მხედველობაში მიიღებს ბოლშევიკების სწორ პლატფორმას. ამრიგად, ბოლშევიკების ხაზს მხარი დაუჭირეს მასწავლებელთა მთელმა რიგმა კრებებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა ყრილობებსა და კრებებზე გაჩაღებული ბრძოლა, ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და, მეორე მხრივ, ლიბერალურ ბურჟუაზიასა და მის მოკავშირეებს — ესერებსა და მენშევიკებს შორის დამახასიათებელი იყო ინტელიგენციის ყველა დანარჩენი „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირებისათვის". ყველგან ყრილობებსა და კრებებზე ბოლშევიკები გამოდიოდნენ და ამხელდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლურ პოლიტიკას და ნიღაბს ხდიდნენ ამ პოლიტიკის დამცველ ყველა მიმდინარეობას.

მასწავლებელთა სამაზრო და საგუბერნიო კრებებზე ბოლშევიკების გავლენა სულ უფრო ძლიერდებოდა. ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული დიდი მუშაობისა და მასწავლებლობაზე მათი გავლენის გაძლიერების შესახებ ბევრს წერდნენ პოლიციის ორგანოები. ნიჟნი-ნოვგოროდის ოხრანკა 1905 წლის 15 აგვისტოს პოლიციის დეპარტამენტს სწერდა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდში მასწავლებელთა ყრილობაზე ჩამოსულთა შორის სოციალ-დემოკრატები ეწევიან გაძლიერებულ პროპაგანდას, ამზადებენ მათ გლეხობაში სოციალ-დემოკრატიული იდეებისა და შეიარაღებული აჯანყების პროპაგანდის საწარმოებლად; ამ მიზნით მასწავლებლობას ამარაგებენ არალეგალური ლიტერატურით.

1905 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში შედგა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც კავშირის ძირითად პროგრამად აღიარა სასკოლო სისტემის სრული რეფორმა. იმავე წლის 26 დეკემბერს შედგა ამ კავშირის მეორე ყრილობა. მისი მიზანი

იყო გამოერკვია რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში კავშირის მოქმედების ტაქტიკა.

მასწავლებელთა მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო ნაციონალურ მხარეებში. ეს მოძრაობა გრძელდებოდა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგაც. 1906 წლის ივნისში ლატვიელმა მასწავლებლებმა გამოსცეს პოლიტიკური შინაარსის ფურცელი — „ყველა მასწავლებელს!", სადაც მოუწოდებდნენ ხალხს და მასწავლებლობას ერთიანობისა და ბრძოლისაკენ. ფურცელში ნათქვამი იყო: „სისხლით გამთბარი იბადება ჩვენი თავისუფლება, მაგრამ მომავალი თავისუფლების ნაყოფი რომ შევქმნათ, ჩვენ უნდა აღვადგინოთ ორგანიზაცია და ჩვენი ძალების კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ"[1].

1907 წლის გაზაფხულზე ლატვიის მასწავლებელთა კავშირმა გამოუშვა სოციალ-დემოკრატი დეპუტატების განაწესი, სადაც მთელი სიღრმით და სიძლიერით არის აღწერილი სახალხო მასწავლებელთა აუტანელი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა. განაწესში ნათქვამი იყო: „მაგრამ განსაკუთრებით საშინელი მდგომარეობაა საერთო პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ. განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მასწავლებლები საშინელ რეპრესიებს განიცდიდნენ. გერმანელი ბარონის, მღვდლისა ან ურიადნიკის პირველ ბრძანებისთანავე მასწავლებლები სახრჩობელაზედ აყავდათ და ხვრეტდნენ"[2]. ლატვიის მხარის მასწავლებელთაგან (დაახლოებით 1 800) რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემული იყო 450 კაცზე მეტი.

მიუხედავად რევოლუციური მოძრაობის დაღმავლობისა და მეფის მთავრობის მიერ სასტიკი რეპრესიებისა, ბალტიისპირეთში მასწავლებელთა მოძრაობა ძლიერდებოდა. ლატვიის ჟანდარმთა სამმართველოს 1907 წლის 7 აგვისტოს საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქალაქ რიგაში და მთელ რიგ მაზრებში „...მოქმედებს დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც თავის თავს უწოდებს ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიულ მასწავლებელთა კავშირს. მისი ცენტრალური ბიურო იმყოფება რიგაში, მოქმედებს უაღრესად კონსპირაციულად და ბოიკოტს უცხადებს იმ მასწავლებლებს, რომლებიც გადასახლებული, ციხეში მყოფი და სამსახურიდან მოხსნილი ამხანაგების ადგილს დაიკავებენ".

1907 წლის 24 ოქტომბერს ლიფლანდიის პოლიციის დეპარტამენტი თავის უფროსებს პეტერბურგში სწერდა, რომ რიგის სო-

[1] მცსია, საქმე № 00999, ტ. 1, ფ. 59.

[2] გაზ. „სეგოდნია", 1907 წ. 7 აპრილი.

ციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან არსებულმა მასწავლებელთა ბიურომ განაახლა თავისი საქმიანობა, იგი სისტემატურად ავრცელებს რევოლუციურ პროკლამაციებს, აშინებს იმ მასწავლებლებს, რომლებიც დააპირებენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის პასუხისგებაში მიცემული ამხანაგების ადგილების დაკავებას.

1906 წლის 7 ივნისიდან 10 ივნისამდე ფინეთში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა და განათლების დარგის მოღვაწეთა კავშირის III ყრილობა. ამ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კავშირი პროფესიულ-პოლიტიკური პლატფორმიდან გადავიდა პროფესიონალურ პლატფორმაზე. ყრილობამ მიიღო კავშირის ახალი წესდება, რომლის პირველ პარაგრაფშიც აღნიშნული იყო: „კავშირი თავის ძირითად ამოცანად ხედავს რუსეთში სახალხო განათლების ძირფესვიანად გარდაქმნას, თავისუფლების, დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის საწყისებზე, ამაში იგულისხმება: ა) უმაღლესი ტიპის განათლება იყოს დაბალი ტიპის განათლების გაგრძელება, ბ) საყოველთაო-სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლების შემოღება და უფასო განათლების შემოღება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, გ) საღვთო რჯულის საგნის გამორიცხვა პროგრამიდან როგორც სავალდებულო, დ) თავისუფალი, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღება ყველა ტიპის სკოლებში და სხვ. წესდება სულ 23 მუხლისაგან შედგებოდა[1].

1907 წლის 18 ივნისიდან 24 ივნისამდე ფინეთში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა და განათლების მოღვაწეთა კავშირის მე-4 ყრილობა. ყრილობამ საბოლოოდ გადაწყვიტა საკითხი, რომლის გამოც ამ კავშირის დამფუძნებელი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე წარმოებდა დავა. ეს საკითხი იყო: როგორი უნდა ყოფილიყო კავშირი—პოლიტიკურ-პროფესიული თუ პროფესიული. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სოლიდარობას უცხადებდა სახალხო მოძრაობის ყველა ფორმას. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია უფლება მისცემოდა კავშირის ბიუროს მონაწილეობა მიეღო გადამწყვეტი ხმით სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების მომავალ ყრილობებში. რეზოლუციის დანარჩენ მუხლებში ჩამოთვლილია კავშირის ამოცანები.

1907 წლის 3 იანვარს პეტერბურგში შედგა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კონფერენცია. კავშირი ამ დროს თავის რიგებში ითვლიდა 14 ათას კაცს. კონფერენციამ მოისმინა საოლქო და საგუ-

---

[1] მცსია, პოლიც. დეპ. ფონდი, საქ. 0099, ტ. 1, ნაწ. 3, 1905, ფ. 105.

ბერნიო კომიტეტების მოხსენებები განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ, კავშირის ადგილობრივი ჯგუფების სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. კონფერენციამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა კავშირების მუშაობა რევოლუციური მოძრაობისათვის ფულადი სახსრების შეგროვების საქმეში. ამ თანხებით ეხმარებოდნენ მეფის მთავრობის მიერ დაპატიმრებულ და გადასახლებაში გაგზავნილ რევოლუციონერ მასწავლებლებს და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს.

მასწავლებელთა კავშირის ცენტრალურ ბიუროსთან არსებულმა კომისიამ 1907 წლის პირველ დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ პასუხისგებაში მიცემულ მასწავლებელთა რაოდენობა ამ დროისათვის 1019 კაცზე მეტი იყო. ცნობა იუწყებოდა, რომ პატიმრობასა და გადასახლებაში მყოფ მასწავლებელთა მდგომარეობა ყოვლად აუტანელია, რომ ისინი იხოცებიან შიმშილისაგან, სიცივისაგან და მოკლებული არიან ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას, რომ კომისია თვითეულ რეპრესირებულს თვეში ჯერ აძლევდა 10 მანეთ დახმარებას, შემდეგ — 8 მანეთს, ბოლოს კი — 6 მანეთს; მარტო 1907 წლის აპრილიდან დეკემბრამდე დამხმარე კომისიამ გადასახლებული მასწავლებლებისათვის გასცა 2.000-ზე მეტი მანეთი [1].

მეფის მთავრობას და მის ადგილობრივ ადმინისტრაციას განსაკუთრებით ეშინოდა სახალხო მასწავლებლების რევოლუციური მოღვაწეობისა და თვითეულ მათ ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდა თვალყურს. მოსკოვის ოხრანკის 1906 წლის 7 თებერვლის მოხსენებაში წერია, რომ ინტელიგენციის კავშირებიდან ამჟამად ყველაზე საშიშია მასწავლებელთა და ქალაქის სკოლების კორპორაცია, რომლებიც შედიან ქალაქის მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომლის მოღვაწეობამაც გასული წლის დეკემბრისათვის მიიღო აშკარა დანაშაულებრივი ხასიათი, რისთვისაც მათი ყველაზე აქტიური მოღვაწეები ან დაპატიმრებული არიან, ან დათხოვნილი სამსახურიდან.

რეაქციის გაძლიერების გამო მასწავლებელთა ადგილობრივი კავშირები, რომლებიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობას აღიარებდნენ, გადავიდნენ არალეგალურ მუშაობაზე. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ისინი არ წყვეტდნენ რევოლუციურ პროპაგანდას. არხანგელსკის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო თავის 1909 წლის 8 ივნისის მოხსენებაში წერდა, რომ მასწავლებელთა პეჩორის

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გაზეთი „რუს", 1908 წ. 19 იანვარი.

ჯგუფის კავშირი მიზნად ისახავს მოსახლეობაში პროპაგანდის გაჩაღებით, მთავრობასთან ბრძოლით და ძალდატანებით დაამხოს მმართველობის არსებული ფორმა, დაამხოს იმპერატორის ტახტი და ხელისუფლება გადასცეს ხალხს[1]. ჟანდარმთა სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა კავშირი იმყოფება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ჰუშათა პარტიის გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ.

1904 წლის 5 დეკემბრის პეტერბურგის ინჟინერთა ბანკეტიდან დაწყებული ინტელიგენციის ყველა კავშირის კრებებზე არაერთხელ წამოიჭრა საკითხი სხვადასხვა კავშირების ერთ საერთო კავშირად გაერთიანების საჭიროების შესახებ. 1905 წლის 8-დან 10 მაისამდე მოსკოვში ჩატარებულ სრულიად რუსეთის 14 კავშირის რწმუნებულთა ყრილობაზე და იმავე რწმუნებულთა 24—26 მაისში ჩატარებულ მეორე ყრილობაზე გამოიტანეს დადგენილება ინტელიგენციის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების ერთ საერთო „კავშირების კავშირში" გაერთიანების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე ლიბერალებმა 1905 წლის მაისში მოიწვიეს ეგრეთწოდებული „კავშირების კავშირის" სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირის" წარმომადგენლები. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის ცნობილი წარმომადგენელი პროფესორი მილიუკოვი. აქედან გასაგებია, თუ როგორ ხასიათს მიიღებდა ყრილობა. იმ მიზნით, რომ შეენიღბათ ყრილობის ბურჟუაზიული ხასიათი და შეცდომაში შეეყვანათ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი, ყრილობის ძირითად საკითხზე — „კავშირების კავშირის" ხასიათის, მიზნებისა და ტაქტიკის შესახებ" — მომხსენებლად გამოყვეს ცნობილი მენშევიკი გრომანი. გრომანმა სრულიად აუარა გვერდი რევოლუციის მთავარ საკითხებს: შეიარაღებულ აჯანყებას, ცარიზმის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ე. ი. ყველა იმ საკითხს, რაც მშრომელ მასებს აინტერესებდათ, რასაც თვით კავშირები მოითხოვდნენ. ყრილობის გადაწყვეტილებებიც ბურჟუაზიულ-ლიბერალური ხასიათისა და ბუნდოვანი იყო.

ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ყრილობა ბურჟუაზიული ხაზის გამტარებელი იქნებოდა. ამიტომ რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა შეიმუშავა დეკლარაციის ტექსტი, რომელიც „კავშირების კავშირის" ამ ყრილობაზე პარტიის დავალებით წაიკითხა ბოლშევიკური პარ-

---

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. 00999, ნაწ. 1, ტ. 5, 1905, ფ. 24.

ტიის ერთ-ერთმა განათლებულმა წევრმა ს. ი. მიცკევიჩმა. ბოლშევიკების ეს დეკლარაცია ნიღაბს ხდიდა ლიბერალებისა და ესერების ცდებს შეცდომაში შეეყვანათ მასები. დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „კავშირების კავშირის“ პლატფორმა ლიბერალური ხასიათისაა, რომ თვით ეს კავშირები ემორჩილებიან ლიბერალური ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას. დაიწყო რა ყრილობამ ბურჟუაზიული პოლიტიკის აშკარა განხორციელება, ბოლშევიკებმა მოუწოდეს ინტელიგენციას გაეწყვიტათ კავშირი ბურჟუაზიასთან და შეერთებოდნენ რევოლუციურ მასებს. ამის შემდეგ ბოლშევიკებმა დემონსტრაციულად მიატოვეს ყრილობა.

ემიგრაციაში მყოფი ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ინტელიგენციის ყრილობებზე ლიბერალების, ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლას. როგორც კი რუსეთიდან ჟენევაში ჩავიდა ვ. დ. სტასოვა, ვ. ი. ლენინმა მაშინათვე მოისმინა მისი ინფორმაცია ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული ბრძოლის შესახებ. ლენინმა საჭიროდ ცნო სტასოვას მოხსენება მოესმინათ ჟენევაში მცხოვრებ რუსი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების კრებაზე.

1906 წლის 1 — 2 ივლისს ფინეთში ჩატარდა „კავშირების კავშირის“ III ყრილობა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება ამ კავშირში შემავალ კავშირებში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოხსენების თანახმად კავშირების შემადგენლობა ასეთი იყო: ვექილების კავშირში გაერთიანებული იყო 2.300 — 2.400-მდე კაცი, ექიმების კავშირში — 1.500, ინჟინრებისაში — 4.000 კაცი, კანტორაში მომუშავეების კავშირში — 6.000 კაცი, მასწავლებლების კავშირში — 6.000 კაცი (30 ადგილობრივი ორგანიზაციიდან), აკადემიურ კავშირში — 1.500 კაცი, მწერლების კავშირში (48 პროვინციის განყოფილებით) — 4.000 კაცი, თანასწორუფლებიანობის ებრაელთა კავშირში — 500 კაცი, ფარმაცევტების კავშირში — 600 კაცი, მეტყევეების კავშირში — 100 კაცი. აქ არ არის ცნობები 4 კავშირის შესახებ.

„კავშირების კავშირის“ III ყრილობის მთავარი საკითხი იყო გოფმაისტერ ბულიგინის მიერ შედგენილი სახელმწიფო სათათბიროს პროექტის განხილვა. დიდი მსჯელობის შემდეგ ყრილობა შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ბულიგინის პროექტი ბიუროკრატიული ხასიათისაა, მას არ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის საარსებო ამოცანები, პროექტი არ ზღუდავს არც თვითმპყრობელურ ხელისუფლებას, რომელმაც თავისი უუნარობა და უვარგისობა უკვე გამოამჟღავნა, და არც ბიუროკრატიის თვითნებობას. პროექტის ასეთი ხასიათი იმას

მოასწავებს, რომ თვითმპყრობელობას არ სურს ქვეყნის გამოყვანა შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. ამ პროექტით მთავრობა და მისი მინისტრები ხალხის წინაშე პასუხისმგებელნი არ არიან. „კავშირების კავშირს" არ შეუძლია და არც უნდა გაუწიოს ანგარიში გოფმაისტერ ბულიგინის პროექტს, რომელიც სრულიად უვარგისია და წარმოადგენს მხოლოდ დიპლომატიურ სვლას[1]. აქედან გამომდინარე ყრილობამ დაადგინა, რომ კავშირებმა გაშალონ პროპაგანდა სახელმწიფო სათათბიროს პროექტის წინააღმდეგ, ბრძოლა გამოუცხადონ მთავრობის სხვა ამის მსგავს პროექტებსაც, რომლებიც არ უპასუხებენ ხალხის მოთხოვნებსა და ინტერესებს, აგიტაცია გააჩაღონ მასებში არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგ.

საკითხის ასე დაყენებამ უთანხმოება გამოიწვია ყრილობის მონაწილეებში. მაგრამ ხმების უმრავლესობით იგი მიღებულ იქნა. ყრილობამ განიხილა აგრეთვე სრულიად რუსეთის გაფიცვასთან დამოკიდებულების საკითხი. ყრილობამ კავშირის ბიუროს დაავალა ეწარმოებინა თანხების შეგროვება გაფიცვის საჭიროებისათვის.

„კავშირების კავშირის" IV ყრილობა შედგა 1906 წლის 14—16 იანვარს ფინეთში. ყრილობის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხი, რომელმაც დიდი დავა გამოიწვია. დელეგატების ერთი ნაწილი მოითხოვდა არჩევნებში მონაწილეობას, მეორე ნაწილი კი — არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადებას. დიდი კამათის შემდეგ ყრილობაზე დამსწრე 16 სხვადასხვა კავშირიდან სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტს მხარი დაუჭირა 11 კავშირმა. მიღებულ რეზოლუციაში მკაცრად არის გაკრიტიკებული საარჩევნო დებულების ნაკლოვანი მხარეები. ლიბერალური კავშირების ყრილობის მიერ ასეთი რეზოლუციის მიღება შედეგი იყო იმ დიდი მუშაობის, რომელსაც ბოლშევიკები ეწეოდნენ ინტელიგენციაში.

1905 წლის 13 მარტს პეტერბურგში პიროგოვის მუზეუმის შენობაში შედგა პროფესორთა კავშირის კრება. მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის კრებამ აირჩია ბიურო. 1905 წლის 25-დან 28 აპრილამდე პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორთა ეგრეთწოდებული აკადემიური ყრილობა. ყრილობამ განიხილა აკადემიური კავშირის სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხი და დაადგინა უარყოფილ იქნეს სახელმწიფო სათათბიროსათვის ბოიკოტის გამო-

---

[1] მცსია, ფ. 102. აღწ. 5, საქ. 001000, ნაწ. 1. 1905, ფ. 169.

ცხადება. ყრილობის ეს დადგენილება ლიბერალური ხასიათისა იყო.

აკადემიურმა კავშირმა დიდი სამზადისი გაშალა სრულიად რუსეთის მორიგი ყრილობის მოსამზადებლად, რისთვისაც გამოყო ბიურო 20 პროფესორის შემადგენლობით. ბიურომ ყრილობის დღის წესრიგში შეიტანა წმიდა აკადემიური საკითხები. დიდი მზადების შემდეგ, 25 აგვისტოს, მოსკოვში გაიხსნა აკადემიური კავშირის II ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 39 უმაღლესი სასწავლებლის 120 წარმომადგენელი. პროფესორთა ყრილობის სახელზე სტუდენტობამ გამოგზავნა მიმართვა, სადაც წერდნენ, რომ მათ არ სურთ მეფის მთავრობის უნივერსიტეტებში მეცადინეობა, და თხოვდნენ გახსნილიყო კერძო უნივერსიტეტი (მოსკოვში ამ დროს მიმდინარეობდა თანხების შეგროვება კერძო უნივერსიტეტის გასახსნელად).

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ყრილობის მოსამზადებელი ბიურო. მოხსენება თავიდან ბოლომდე ლიბერალური იყო. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რევოლუციური მოძრაობის დროს უმაღლესი სასწავლებლების მთელი რიგი პროფესორებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ ადმინისტრაციამ მეტად მკაცრი ზომები მიიღო.

მთავრობის ამ სასტიკი რეპრესიების გამო მოხსენებაში გამოთქმულია ლიბერალური პროტესტები, რომ ასეთი რეპრესიები არ შეიძლება დატოვებულ იქნეს განსაზღვრული და გადამწყვეტი პასუხის გარეშე კავშირის მხრიდან, რომლის ერთ-ერთ ამოცანასაც შეადგენს თავისი წევრების დაცვა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები დაცულ უნდა იქნენ კანონით პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ [1].

ყრილობამ უარყო უმაღლესი სასწავლებლის რევოლუციის ტრიბუნად გამოყენების მოთხოვნა და სტუდენტების საბრძოლო რაზმების შექმნა. ყრილობამ განიხილა აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხი, რომლის გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ყრილობა იზიარებს რუსეთის პროგრესული ძალების ღრმა უკმაყოფილებას სახელმწიფო სათათბიროს მიმართ, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი არ შეიძლება ჩაითვალოს სწორადო.

ყრილობის სახელზე მიღებულ იქნა განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 556 მოსწავლე ქალი. ისინი გმობდნენ თვითმპყრობელური წყობილების კანონებს, რომელთა თანახმად ქალებს არ ჰქონდათ მა-

---

[1] მცსიაა, ფ. 63, აღწ. 14, საქ. 787, 1905, ფ. 22.

მაკაცებთან თანასწორი უფლება როგორც საშუალო ისე უმაღლესი განათლების მიღებისა. ყრილობა დაკმაყოფილდა ლიბერალური დადგენილებით, რომ უმაღლესი სასწავლებლების კედლებში ქალები და მამაკაცები თანასწორი უნდა იყვნენო.

აკადემისტთა კავშირის ყველა ყრილობის გადაწყვეტილებანი და საერთოდ მთელი მისი პოლიტიკური ხაზი აშკარად გამოხატავდა კადეტურ მსხვილბურჟუაზიულ ინტერესებს. ამ კავშირის მთელი საქმიანობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მიზნად ისახავდა აეცდინა მასები რევოლუციური გზიდან, დაემორჩილებინა მათი მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

1905 წლის 24 მარტს მოსკოვში შედგა „აგრონომებისა და სტატისტიკოსების კავშირის" პირველი კრება, რომელმაც განიხილა სახელმწიფოში შექმნილი ვითარება. კრებამ დადგენილებაში აღნიშნა, რომ მთავრობა სრული უუნარობა იმისათვის, რომ ქვეყანა გამოიყვანოს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. კრებამ მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომ კავშირი მთელი ძალითა და შესაძლებლობით დაეხმაროს მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც ბრძოლა გააჩაღეს თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად. კრებამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი გლეხთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად. რევოლუციის დროს კავშირი თანხებს აგროვებდა გაფიცულთა და მებრძოლთა დასახმარებლად.

1905 წლის მაისში შეიქმნა „ვეტერინარი ექიმების კავშირი". კავშირის კრებამ მიმდინარე საქმეების ხელმძღვანელობისათვის შექმნა ცენტრალური ბიურო, რომელმაც მოამზადა ვეტერინარი ექიმების დელეგატთა ყრილობა, რომელიც შედგა 18 — 19 ოქტომბერს. ყრილობის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა: ა) შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებასთან და ორგანიზაციებთან ერთად ვეტერინარ ექიმთა კავშირის მონაწილეობის ღონისძიებათა შესახებ, ბ) ვეტერინართა კავშირის დამოკიდებულება „კავშირების კავშირთან", გ) საერთო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

1905 წლის იანვარში გაიფიცნენ ოდესის აფთიაქების მოსამსახურეები. ამ საგაფიცვო მოძრაობის დროს შექმნილმა „ოდესის ფარმაცევტთა საორგანიზაციო კომიტეტმა" გამოუშვა მოწოდებები და შეიმუშავა მოთხოვნები აფთიაქის მეპატრონეებისადმი. 1905 წლის 15-დან 18 ივნისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ქალაქების 80 წარმომადგენელი. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ფარმაცევტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯო-

ბესების ღონისძიებათა შესახებ, 2. ღონისძიებანი მშრომელ ფარმაცევტთა გაერთიანების შესახებ, 3. სააფთიაქო საქმის საერთო რეფორმის შესახებ და სხვ. სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კავშირის მორიგი ყრილობა მოწვეულ იქნა მოსკოვში 1905 წლის 10 ოქტომბერს, რომელზედაც გამოცხადდა 97 კაცი; მაგრამ პოლიციამ ყრილობის გახსნის უფლება არ მისცა, შეადგინა ყრილობაზე მოსული დელეგატების სია და შემდეგ გარეკა ისინი. ფარმაცევტებს სრულიად რუსეთის კავშირი მხარს უჭერდა მუშათა გაფიცვებს, მატერიალურ დახმარებას უწევდა გაფიცულებს. ასე, მაგალითად, ამ კავშირის ხელმძღვანელობით 1905 წლის შემოდგომაზე დაიწყო პეტერბურგის 65 აფთიაქის მოსამსახურეთა ეკონომიური გაფიცვა, რომელიც ფარმაცევტების გამარჯვებით დამთავრდა.

1905 წლის 3 მარტს პეტერბურგში ნებაყოფლობითი ეკონომიური საზოგადოების შენობაში შედგა სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრო 150 დელეგატი. ყრილობა გაიხსნა ცნობილი მწერლის ვ. კოროლენკოს თავმჯდომარეობით. ქართველი ჟურნალისტებიდან ყრილობას ესწრებოდნენ გიორგი ლასხიშვილი, გიგო რცხილაძე და პეტრე სურგულაძე. ყრილობამ განიხილა თანამედროვე მომენტის საკითხები და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. შექმნილი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად საჭიროა დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრის საფუძველზე, 2. დამფუძნებელი კრების მოწვევის წინასწარ პირობას წარმოადგენს სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლების უზრუნველყოფა, პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის დასჯილთა ამნისტიის გამოცხადება, 3. მიწების უსასყიდლოდ გადაცემა მშრომელ გლეხებისათვის, 4. არავითარი კომბინაციები არ იქნეს დაშვებული დამფუძნებელი კრების შესაცვლელად. მთელი შესაძლებლობითა და ძალით იქნეს მოთხოვნილი დამფუძნებელი კრების მოწვევა, 5. არასასურველად იქნეს აღიარებული მთავრობის რომელიმე კომისიაში კავშირის წევრების მონაწილეობა [1].

სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა პირველი ყრილობის დელეგატი გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში" გადმოგვცემს, რომ ყრილობაზე სხვადასხვა საკითხების გამოსარკვევად რამდენიმე წინასწარი კომისია მუშაობდა; ეროვნული საკითხის კომისიაში შედიოდა რუსების, უკრაინელების, ქართველების, ლიტველების და სომხების

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00999, ნაწ. 5, 1905, ფ. 19.

თითო-თითო წარმომადგენელი (ამ კომისიაში არჩეულ იქნა გ. ლასხიშვილი).

ყრილობის მიმდინარეობის დღეებში მთავრობამ სიკვდილით დასაჯა კალიაევი, რომელმაც მოკლა დიდი მთავარი ს. ა. რომანოვი. ყრილობამ - ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლებისათვის მებრძოლ კალიაევის ხსოვნას.

პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო მოხსენებაში, სადაც მოცემულია ჟურნალისტთა ყრილობის დაწვრილებითი დახასიათება, აღნიშნულია, რომ ყრილობაზე ადგილი ჰქონდა სერიოზულ უთანხმოებას, ბრძოლა გაჩაღდა ყრილობის მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებს შორის. მემარჯვენე ლიბერალურ ნაწილს ხელმძღვანელობდნენ „ოსვობოჟდენცელები", ყრილობის რევოლუციურ ნაწილს კი— სოციალ-დემოკრატები. ყრილობის უმრავლესობა აღმოჩნდა „ოსვობოჟდენცელების" მხარეზე. კრების პირველ სხდომაზე აირჩიეს სარედაქციო კომისია, რომლის ყველა წევრი „ოსვობოჟდენცელი" იყო. წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა მიწის საკითხის განხილვის დროს. ყრილობის ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა ნაწილმა წამოაყენა იდეა „გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოებისა — მიწის ფონდის შექმნის გზით". ამ იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან ასეთი წინადადებისა, ვინაიდან უარყოფენ საერთოდ მიწის კერძო საკუთრებას. ამის შემდეგ წამოყენებულ იქნა მიწის ნაციონალიზაციის წინადადება. მის წინააღმდეგ ისევ გაილაშქრეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან ამ წინადადებისა იმდენად, რამდენადაც „წარმოების საშუალებათა სოციალიზაციის გარეშე ასეთი აქტი ფაქტიურად ხალხის მიწას მისცემდა ბურჟუაზიას ხელში" [1]. მაგრამ სოციალ-დემოკრატები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

სოციალ-დემოკრატებმა დაინახეს, რომ ყრილობა აშკარად ატარებს ბურჟუაზიის ხაზს და უარს აცხადებს მუშათა მოძრაობისადმი სოლიდარობაზე, ამიტომ მათ დემოსტრაციულად მიატოვეს ყრილობა. ზოგიერთი ცნობით, ყრილობაზე დამსწრე სოციალ-დემოკრატების რიცხვი 31-ს შეადგენდა.

სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის ლიბერალურ წესდებას სოციალ-დემოკრატებმა დაუპირისპირეს თავიანთი „მარქსისტი ჟურნალისტების კავშირის წესდება", რომელშიც აღნიშნული იყო: 1. მარქსისტი ჟურნალისტების კავშირს მიზნად აქვს დასახული

---

[1] მცსია, ფ. 63, აღწ. 14, საქ. № 601, 1906, ფ. 5.

მარქსისტული მსოფლმხედველობის მომხრეთა იდეური გაერთიანება ლიტერატურული პროპაგანდისათვის და ხელის შეწყობა მარქსიზმის ძირითადი დებულების ცხოვრებაში გატარებისათვის, 2. კავშირის წევრები შეიძლება იყოს ყველა, ვინც ღებულობს მარქსიზმის როგორც თეორიულ დებულებებს, ისე მის პრაქტიკულ დასკვნებს რუსეთის სინამდვილის მიმართ, 3. კავშირის წევრთა საერთო ყრილობა ირჩევს სრულიად რუსეთის მარქსისტი ჟურნალისტების ბიუროს, 5. კავშირის წევრები სხვადასხვა ქალაქებში ქმნიან ადგილობრივ ავტონომიურ ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობის შევსებაც ხდება წესდების მე-2 მუხლის თანახმად; საწევრო გადასახადი 3 მანეთი წელიწადში.

1905 წლის მაისში შეიქმნა ერობებისა და საქალაქო საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის კავშირი. ამ კავშირის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ვორონეჟის გუბერნიის ერობის მოსამსახურეებს, რომლებმაც თავისი 1905 წლის 26 აპრილის კრებაზე შეიმუშავეს ორგანიზაციის შექმნის პროექტი. კავშირის მიზანს შეადგენდა ისეთი ძლიერი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირის წევრებისათვის ელემენტარულ თავისუფლებას მაინც. ადგილობრივი კავშირები შეიქმნა აგრეთვე მთელ რიგ ქალაქებში — ტვერში, ხერსონში, ვოლოგდაში, იაროსლავლში, მოსკოვში, სარატოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ორიოლში, სიმფეროპოლში, ვიატკაში და სხვ. ეს კავშირები შედიოდნენ „ოსვობოჟდენცელების" მიერ შექმნილ „კავშირების კავშირში" და ძირითადად ატარებდნენ ლიბერალურ ხაზს.

1905 წლის მაისის დამდეგს მოწვეულ იქნა „თანასწორუფლებიან ქალთა სრულიად რუსეთის კავშირის" ყრილობა. ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ თანამედროვე რეჟიმის პირობებში ქალები წარმოადგენენ პოლიტიკურად სრულიად უუფლებოს, რომ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან, რომ ქალთა უუფლებობა, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, აფერხებს ქვეყნის როგორც ეკონომიურ განვითარებას, ისე ხალხის პოლიტიკური შეგნების ზრდას, — ჩვენ, ქალთა თანასწორუფლებიანობის კავშირის წარმომადგენლები, ვთვლით, რომ ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელია დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე შემდეგი წინასწარი პირობების დაწესებით: პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, სინდისის, კრებების, კავშირების თავი-

სუფლება, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის ყველა დაზარალებულის უფლებებში აღდგენა, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარება, ყველა საზოგადოებრივი ფენის ქალთათვის მამაკაცების თანაბარი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მიცემა"[1]. თანასწორუფლებიან ქალთა კავშირმა თავისი განყოფილებები შექმნა მთელ რიგ გუბერნიებსა და მაზრებში. 1905 წლის 10 აპრილს კიევში შედგა კიევის განყოფილების კრება კიევის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორის ვ. ი. ჟელეზნოვის თავმჯდომარეობით. კრებამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები: კრებების, კავშირების, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, გაძლიერებული დაცვის შესახებ დებულების გაუქმება, მთავრობის პოლიციის შეცვლა საზოგადოებრივი დაცვით. პოლიტიკური პატიმრების ამნისტია და იაპონიასთან ომის შეწყვეტა[2].

1905 წლის 29 მაისს შედგა სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის ოდესის განყოფილების კრება, რომელსაც დაესწრო სხვადასხვა პროფესიის 100-ზე მეტი ქალი: ექიმები, მასწავლებლები, გლეხის ქალები, პროფესორებისა და ექიმების ცოლები. სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის წევრმა გლეხმა ქალებმა გამოუშვეს მოწოდება, რომლითაც მოუწოდებდნენ გლეხ მამაკაცებს ყურადღება მიექციათ გლეხი ქალების მდგომარეობისათვის, რომ ქალებმა მამაკაცებთან ერთად უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. ასეთივე ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ ქალთა კავშირის სხვა განყოფილებებიც.

1905 წლის 8 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის II ყრილობა. ყრილობაზე მოწვეული იყვნენ ყველა განყოფილებათა წარმომადგენლები. ყრილობამ განიხილა პირველი ყრილობის რეზოლუცია და მოიწონა იგი. ყრილობამ აღნიშნა, რომ კავშირის მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს ისეთი თეორიული საკითხების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია ქალების მამაკაცებთან თანასწორობასთან, ბროშურების, გაზეთების და ჟურნალების გამოცემა, კურსების მოწყობა, საჯარო ლექციების ორგანიზაცია, ხელის შეწყობა ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქალთა შრომის დაცვა, ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ქალთა პოლიტიკურად გათანასწორება მამაკაცებთან.

სრულიად რუსეთის ქალთა კავშირი აერთიანებდა 79 განყოფილებას 65 ქალაქში. კავშირთან ურთიერთობა ჰქონდა 113 ადგილობ-

[1] ᲪᲡᲙᲐ, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00999, ნაწ. 5, 1905, ფ. 43.
[2] იქვე, ნაწ. 47. 1905, ფ. 1.

რივ სხვადასხვა ორგანიზაციას. 1907 წლის იანვარში ქალთა კავშირმა გამოუშვა საყურადღებო მოწოდება, სადაც აცხადებდა, რომ მას სურს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარება უკიდურეს მემარცხენე პარტიასთან, ვინაიდან მხოლოდ ამ უკიდურესმა რევოლუციურმა პარტიამ აღიარა თავის პროგრამაში ქალთა განთავისუფლება.

სრულიად რუსეთის ქალთა კავშირი თავის მოღვაწეობას განაგრძობდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგაც. დიდი ორგანიზაციული მზადების შემდეგ 1908 წლის ივნისში მოწვეული იქნა ამ კავშირის მორიგი ყრილობა შემდეგი დღის წესრიგით: 1. ქალის საკითხის ფილოსოფია და იდეოლოგია, 2. ქალთა ეკონომიური მდგომარეობა, 3. ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო მდგომარეობა, 4. ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის, 5. ქალის განათლება საზღვარგარეთ და რუსეთში, 6. ეთიკის საკითხები. ამ საკითხების გარშემო მიღებული იქნა რეზოლუციები.

1905 წლის 4 ივლისს მოსკოვში გუბერნატორის ნებართვით შედგა სავაჭრო-სამრეწველო დარგის მუშაკთა კავშირის ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ სამრეწველო ორგანიზაციებისა და საბირჟო კომიტეტების წარმომადგენლები. ყრილობა გახსნა მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ბ. ნაიდენოვმა, რომლის ინიციატივითაც მოწვეულ იქნა ეს ყრილობა. აქ შეიქმნა „ბირჟის მოღვაწეთა კავშირი". ყრილობამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ბულიგინის სათათბიროს პროექტი მრეწველობისა და ვაჭრობის ნორმალური პირობების აღდგენას. ყრილობამ მოითხოვა წარმომადგენლობით კრებას ჰქონოდა გადამწყვეტი ხმის უფლება. როდესაც ამ საკითხისათვის კენჭი უნდა ეყარათ, ამ დროს მოვიდა პოლიცია, რომელმაც გუბერნატორის განკარგულებით გარეკა კრების მონაწილეები, რის გამოც საკითხების განხილვა განაგრძეს კერძო ბინაზე. ყრილობამ მიიღო მაშინდელი ლიბერალური კავშირებისათვის დამახასიათებელი გადაწყვეტილებანი.

1905 წლის ზაფხულში მოსკოვში ებრაელი ინტელიგენციის კავშირისაგან შეიქმნა „ებრაელთა თანასწორუფლებიანობის მოპოვების სრულიად რუსეთის კავშირი". კავშირის სამოქმედო პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ მის მიზანს შეადგენდა ებრაელი ხალხისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური და ეროვნული უფლებების სრული განხორციელება, ებრაელებისათვის სახალხო წარმომადგენლობებში მონაწილეობის მოპოვების უფლება, გაუქმება ყველა იმ კანონისა, რომლებიც ზღუდავდა ებრაელთა უფლებებს, თვითგამორკვევის უფლების მოპოვება, ებრაელებისათვის დაწესებული სპე-

ციალური გადასახადების გაუქმება, ამ გზით შეგროვებული მთელი თანხების ებრაელთა ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემა. ამავე მიზნებს ისახავდნენ ამ კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციებიც. კავშირი აწყობდა რევოლუციური მოძრაობისათვის შეწირულების შეგროვებას.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დროს შეიქმნა აგრეთვე „სახალხო კავშირი". იგი შედგებოდა სხვადასხვა პროფესიის ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. კავშირი უმეტესად საერთო მსჯელობით კმაყოფილდებოდა, მოითხოვდა კონსტიტუციას და მეფის მთავრობის შეცვლას დემოკრატიული მთავრობით, პროტესტს აცხადებდა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

1905 წლის მარტის ბოლოს შეიქმნა „შრომის კავშირი", რომლის წესდებაში აღნიშნული იყო, რომ საზოგადოების მიზანია შეუქმნას ყველა კლასს ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობის პირობები, იზრუნოს ხალხში განათლების შესატანად და კავშირის წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კავშირის ყველა დადგენილება და მთელი საქმიანობა ატარებდა ბურჟუაზიულ ხასიათს და მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა მშრომელთა რევოლუციური მოძრაობისათვის.

ასეთივე ლიბერალური დადგენილებები მიიღო უკიდურესმა ლიბერალურმა „კონსტიტუციონალისტურმა კავშირმა" თავის 1905 წლის 6 — 8 ივლისს ჩატარებულ ყრილობაზე. კავშირის მთელი შემდგომი მოქმედება ატარებდა ბურჟუაზიულ ხასიათს და ხელს უშლიდა მშრომელი ინტელიგენციის დაახლოებას რევოლუციურ მოძრაობასთან, ხალხთან.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში აღმოცენებულ ინტელიგენტთა კავშირებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო „სამედიცინო პერსონალის სრულიად რუსეთის კავშირი". ამ კავშირმა თავის პროგრამად აღიარა 1905 წლის 20 — 23 მარტს ჩატარებული პიროგოველთა ყრილობის დადგენილებები. გარდა ამისა, კავშირი ამოცანად ისახავდა: 1. ბეჭდვის, სიტყვის, კრებების, კავშირების და სხვა თავისუფლების განხორციელებას, 2. თანამედროვე ცხოვრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი გაბსაზღვრული დამოკიდებულების დამყარებას, 3. ბრძოლას მთავრობისა და მისი მხარდამჭერი რეაქციის პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ხალხსა და ინტელიგენციას შორის შუღლის ჩამოგდებას, ხალხის დაპირისპირებას ინტელიგენციისადმი და სხვ.[1].

---

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00999, 1905, ფ. 79.

ამ კავშირმა ფართო ხასიათი მიიღო და განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხალხში. ამას მოწმობს 1905 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩატარებული პიროგოველთა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ კავშირის 25 ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლები. ყრილობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, მის სხდომებს ესწრებოდა 2.500-მდე კაცი. ყრილობამ დაამტკიცა კავშირის წესდება.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ინტელიგენციის პროფესიული კავშირებიდან თავისი ორგანიზაციულობით და რევოლუციური მოძრაობისადმი მხარდაჭერით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა რკინიგზელთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კავშირს თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე მოუხდა პოლიციურ რეჟიმთან შეტაკება, ვინაიდან მან დაიწყო კრებების, მიტინგების, ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლა. რკინიგზელთა პროფესიულ-პოლიტიკური კავშირების გარდა არსებობდა რკინიგზელთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი, რომელიც მთლიანად ბოლშევიკების პოზიციებზე იდგა.

რსდმპ მოსკოვის კომიტეტის მიერ შექმნილი და მასთან არსებული მოსკოვის რკინიგზის კვანძის კავშირი აწარმოებდა დიდ მუშაობას რკინიგზის მუშა-მოსამსახურეების მოსამზადებლად გაფიცვებისათვის. კავშირმა 1905 წლის მაისში გამოუშვა ფურცელი, სადაც განსაზღვრული იყო რკინიგზის ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების რევოლუციური ბრძოლის ამოცანები. კავშირი მოუწოდებდა მუშებს და მოსამსახურეებს არავითარ შემთხვევაში არ დაემყარებინათ კავშირი ლიბერალებთან და რადიკალებთან, არ შესულიყვნენ ლიბერალურ კავშირებში, გაერთიანებულიყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც პირდაპირ და გარკვევით მოითხოვდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, ე. ი. მმართველობის ისეთი ფორმის შემოღებას, როცა პოლიტიკური ხელისუფლება იქნებოდა ხალხის ხელში.

რკინიგზელთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა დიდი მუშაობა გაშალა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებში, ეხმარებოდა მათ გაფიცვების მოწყობაში, რკინიგზელთა გაფიცვას აკავშირებდა სხვა დარგის გაფიცულ მუშა-მოსამსახურეებთან, ავრცელებდა რევოლუციური შინაარსის ფურცლებს და მოწოდებებს. 1905 წლის ივნისში მან გამოუშვა მოსკოვ-ბრესტის რკინიგზის მუშებისადმი მიმართული პროკლამაცია, სადაც აღწერილი იყო მუშების ჯოჯოხეთური მდგომარეობა,

მხილებული იყო არსებული წყობილების მთელი სისაძაგლე. პროკლამაცია მთავრდებოდა შემდეგი მოწოდებით: „ამხანაგებო, მაშ ძალით მოვიპოვოთ საკუთარი ბედნიერება. გავერთიანდეთ მძლავრ რაზმებში და იარაღით ხელში მივაღწიოთ იმას, რასაც ახლა არ გვაძლევენ ჩვენი მოთხოვნებით. ჩვენ მოვიპოვებთ პირველად პოლიტიკურ უფლებას, თავისუფლებას, რათა აშკარად ვებრძოლოთ კაპიტალიზმს, შევქმნათ დემოკრატიული რესპუბლიკა და მაშინ კი მწყობრი კოლონებით გავწევთ სოციალიზმის გასხივოსნებული სამეფოსაკენ, კაცობრიობის ბედნიერების ამ ნათელ მზისაკენ“ [1].

1905 წლის 22 — 24 ივლისს მოსკოვში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირის მეორე ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ 21 რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების წარმომადგენლები. ყრილობის ძირითადი საკითხი იყო რკინიგზელთა საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ყრილობა მსჯელობდა იმაზე, თუ როგორი ხასიათის და მიმართულების უნდა ყოფილიყო ეს გაფიცვა და როდის უნდა დაწყებულიყო იგი. ყრილობას როგორც სტუმრები ესწრებოდნენ ბოლშევიკების წარმომადგენლებიც. ამ ყრილობის მიმდინარეობის დროს ბოლშევიკებმა მოიწვიეს რსდმპ მოსკოვის რკინიგზის კვანძის კომიტეტის კონფერენცია. როგორც ყრილობაზე, ისე კონფერენციაზე ბოლშევიკები ცდილობდნენ, რომ რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს კურსი აეღოთ რუსეთის პროლეტარიატის მიერ დაწყებულ რევოლუციურ გაფიცვებისაკენ, გაეფართოებინათ და გაეძლიერებინათ გლეხობის კავშირი მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან.

1905 წლის 30 ოქტომბერს პეტერბურგში შედგა სცენისმოყვარეთა კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელმაც განიხილა მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობასთან სცენის მოღვაწეთა დამოკიდებულების საკითხი და მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „ჩვენ, სცენის მოღვაწეები, ვთვლით, რომ არ შეიძლება გვერდზე ვიდგეთ რუსეთის სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობიდან როგორც ინტელიგენტური პროლეტარიატი. ჩვენ თავს ვთვლით არა მარტო პროფესიულ მოღვაწეებად, რომლებიც განვიცდით კაპიტალის ჩაგვრას, არამედ, აგრეთვე რუს მოქალაქეებადაც, რომლებიც შეგნებულად მიილტვიან ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო თავისუფლების განსახორციელებლად. ამიტომ ჩვენ ვქმნით სრულიად რუსეთის სცენისმოყვარეთა კავშირს, რათა ვებრძოლოთ თვით-

---

[1] მოსკოვის ბოლშევიკების ფურცლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1955, გვ. 222.

მპყრობელურ წყობილებას, მოვითხოვთ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაზარალებულთა სრულ ამნისტიას, გაძლიერებული დაცვის მოხსნას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას და სხვა"[1].

ამრიგად, 1905 წლის რევოლუციის დროს ინტელიგენციის პროფესიული კავშირების შექმნის მოკლე ისტორიიდან ნათელი ხდება, რომ რუსეთის ინტელიგენციაში კავშირების შექმნის მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. აჯამებდა რა კავშირების საყოველთაო მოძრაობის შედეგებს, შინაგან საქმეთა მინისტრი წერდა: „ფართო განვითარების, გაერთიანებისა და შემჭიდროების წყალობით ოპოზიციური მოძრაობა მოედო მთელ რუსეთს და წარმოადგენს სერიოზულ ძალას, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვს უაღრესად დაძაბულ და ფხიზელ ყურადღებას"[2].

1905 წლის რევოლუციის დამარცხების გამო ინტელიგენციის ზოგიერთი პროფესიული კავშირი დაიშალა. ასე მაგალითად, 1906 წლის დამლევისათვის „კავშირების კავშირში" შემავალ 19 კავშირიდან არსებობა შეწყვიტეს მეტყველების, ვეტერინარების, სცენის მოღვაწეების, წიგნთგამომცემლობის, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების კავშირებმა. გარდა ამისა, აღარ არსებობდა ექიმების, კანტორის მოსამსახურეების, მწერლების კავშირები. რაც შეეხება აკადემისტებისა და ფარმაცევტების კავშირებს, მათ საერთო ორგანიზაცია მიატოვეს ჯერ კიდევ 1905 წლის დამლევს.

კავშირები, რომლებიც ბოლშევიკების გავლენას განიცდიდნენ, მიუხედავად რეაქციის მძვინვარებისა, მუშაობას არ წყვეტდნენ. პოლიციის დეპარტამენტის 1907 წლის 4 ივლისის საიდუმლო ბოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმის შემდეგ, რაც „კავშირების კავშირი" დაიშალა, კავშირებში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გავლენა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა განსაკუთრებული კომისია კავშირების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კავშირებზე პარტიის გავლენის გაძლიერებისა და ხელმძღვანელობისათვის.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელურმა მთავრობამ და მისმა ადგილობრივმა მოხელეებმა სასტიკი დევნა დაუწყეს პროფესიულ კავშირებს. 1906 წელს მთავრობამ საიდუმლო ცირკულარი დაუგზავნა პოლიციის ადგილობრივ ორგანოებს და მოითხოვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ

---

[1] შესია, ფ. 102, აღწ. 5. საქ. № 00999, ნაწ. 51, 1905; ფ. 2.

[2] იქვე, ფ. 167.

კავშირების შექმნა, არ მიეცათ მათთვის მოქმედების საშუალება, აღრიცხვაზე აეყვანათ ყველა კავშირი, არც ერთი კავშირი არ დარჩენოდათ გულდასმით შეუსწავლელი. ყოველივე ამის გამო 1906 წლის ბოლოსათვის კავშირები იატაკქვეშეთ მუშაობაზე გადავიდნენ.

* *
*

ამრიგად, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების პერიოდში სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების პროფკავშირებთან ერთად იქმნებოდა ინტელიგენციის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების პროფესიული კავშირები. ინტელიგენციის ეს კავშირები მხარს უჭერდნენ მუშათა საგაფიცვო ბრძოლას ხელფასის გასადიდებლად და მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ისე როგორც მუშათა პროფკავშირები, ინტელიგენციის პროფესიული კავშირებიც ქმნიდნენ სპეციალურ საგაფიცვო ფონდებს, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ გაფიცულებს და სხვ.

როგორი იყო ინტელიგენციის პროფესიული კავშირებისადმი დამოკიდებულების ბოლშევიკური ტაქტიკა? ვინაიდან ამ კავშირებს ქმნიდა ლიბერალური ბურჟუაზია იმ მიზნით, რომ ინტელიგენციაზე მოეხდინა თავისი გავლენა, ბოლშევიკები ამ კავშირებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგი იყვნენ. ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებთან დამოკიდებულების ბოლშევიკური ტაქტიკა განსაზღვრული იყო პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებაში და ვ. ი. ლენინის შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ბოლშევიკები ამხელდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის ცდებს შეესუსტებინათ მასების ყურადღება რევოლუციისადმი, თავისი დროშის ქვეშ დაერაზმათ ხალხი, რათა ეკეთებინათ ბურჟუაზიის საქმე. პარტიის III ყრილობის რეზოლუცია ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ წინადადებას აძლევდა რსდმპ ყველა ორგანიზაციას:

1. განუმარტონ მუშებს ყველა სახის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ანტირევოლუციური და ანტიპროლეტარული ხასიათი, დაწყებული ზომიერ-ლიბერალური მიმართულებით, რომელიც წარმოდგენილია მიწათმფლობელთა და მეფაბრიკეთა ფართო ფენებით, და დამთავრებული უფრო რადიკალური მიმართულებით, რომელიც წარმოდგენილია განთავისუფლების კავშირით და თავისუფალი პროფესიების პირთა მრავალრიცხოვანი ჯგუფებით;

2. ენერგიულად იბრძოლონ, ზემოაღნიშნულის გამო, ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ. რომ

ხავის ხელში აიღოს მუშათა მოძრაობა და გამოდიოდეს პროლეტა-
რიატის ან მისი ცალკეული ჯგუფების სახელით"[1].

ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებთან დამოკიდებულების ბოლშევიკური ტაქტიკის საკითხებს მიუძღვნეს მთელი რიგი სტატიები ვ. ი. ლენინმა და ცნობილმა ბოლშევიკმა ვ. ვ. ვოროვსკიმ. 1905 წელს გაზეთ „პროლეტარის" მე-18 ნომერში გამოქვეყნდა ვ. ვ. ვოროვსკის სტატია „ლიბერალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია". ლენინმა ამ სტატიაში გააკეთა ჩანართი იმავე სათაურით. ვ. ი. ლენინისა და ვ. ვ. ვოროვსკის მიერ ამ საკითხზე სპეციალური სტატიების დაწერის მიზეზი იყო ის, რომ 1905 წლის რევოლუციის გაძლიერებასთან დაკავშირებით ადგილებზე მომუშავე ბოლშევიკებში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ ბოლშევიკები ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ შექმნილი ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებთან. ეს საკითხი წამოიჭრა თითქმის ყველა ადგილობრივ კომიტეტში. პროფესიულ კავშირებთან დამოკიდებულების საკითხმა დიდი უთანხმოება გამოიწვია. ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტი გამოთქვამდა იმ აზრს, რომ შექმნილი პროფესიული კავშირები წარმოადგენენ ხელსაყრელ ნიადაგს სოციალ-დემოკრატიული იდეების აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, მასებში სოციალ-დემოკრატიის გავლენის გაფართოებისათვის. ამიტომ ისინი დასაშვებად თვლიდნენ კავშირებში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას არსებულ პირობებში. ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტი კი გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად არ ღებულობს სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას, საბოლოო ანგარიშით ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს, და ამიტომ ისინი დასაშვებად არ თვლიდნენ თავისი წევრების შესვლას ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებად. ერთ-ერთმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება: იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ეგრეთწოდებული პროფესიული კავშირები, რომლებიც იქმნებიან ამ ბოლო დროს კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, პროფესიული არიან მხოლოდ წესდებით და ფაქტიურად კი პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, მეორე მხრივ, მათი პროგრამა, მიღებული „კავშირების კავშირის" მიერ, არის წმინდა ბურჟუაზიული, — კომიტეტი შეუძლებლად თვლის თავისი ორგანიზა-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 99 — 100.

ციის წევრებისათვის შეეიდნენ ეგრეთ წოდებულ პროფესიულ კავშირებში, რომლებიც ემხრობიან „კავშირების კავშირს“.

ამასთან ერთად კომიტეტი ურჩევდა თავისი ორგანიზაციის წევრებს დასწრებოდნენ პროფესიული კავშირების ყველა მოწვეულ დამფუძნებელ კრებას, ემხილებინათ იქ ლიბერალების მთელი ტაქტიკა, ყველა მათი ცდები — დაეხშოთ და დაებნელებიათ მასების შეგნება, მიეთითებინათ ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის კლასობრივ ხასიათზე, მოეთხოვათ კავშირების ორგანიზაციასთან ერთად პროგრამის წამოყენება და როდესაც კარგად იქმნებოდა გარკვეული კავშირის ხასიათი, დემონსტრაციულად განეცხადებინათ უარი მასში შესვლაზე[1].

ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენასა და ხელმძღვანელობაში მოქცეულ ინტელიგენციის სხვადასხვა პროფესიულ კავშირებთან ბოლშევიკების დამოკიდებულების ლენინურ ტაქტიკას იცავდა ვ. ვ. ვოროვსკი. თავის იმდროინდელ მთელ რიგ სტატიებში მან ამხილა ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ მასების მოტყუების ყოველგვარი ცდები, ამხილა მათ მიერ შექმნილი ინტელიგენციის „პროფესიულ.“ კავშირების ბურჟუაზიული ხასიათი. ვოროვსკი წერდა, რომ, მართალია, კავშირები ეწყობა პროფესიების მიხედვით, მაგრამ ისინი არიან არა მარტო პროფესიული კავშირების ინტერესების დამცველი, არამედ პოლიტიკური კავშირებიც, რომლებიც ახორციელებენ მასების მოტყუების პოლიტიკას. როდესაც, მაგალითად, სოფლის ან ქალაქის ექიმები ერთიანდებიან შრომის უკეთესი ანაზღაურების მიზნით ან როცა გაზეთის თანამშრომლები აწყობენ კავშირს იმ მიზნით, რომ იბრძოლონ, რათა გააღიდონ შრომის ანაზღაურების გადახდა, — ეს იქნება პროფესიული ბრძოლა, და მათი კავშირები იქნებიან პროფესიული კავშირები; მაგრამ კავშირები, რომლებიც იბრძვიან ისეთი უფლებებისათვის, როგორიცაა სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და სხვ. თავისუფლება, რომლებიც მიისწრაფვიან გააფართოონ კლასების უფლებები, გააფართოონ ისინი არსებული პოლიტიკური ხელისუფლების ხარჯზე, — წმინდა პოლიტიკური ხასიათის მატარებელი არიან.

გაარკვია რა, რომ ინტელიგენციის პროფესიული კავშირები თავისი შინაარსით პოლიტიკურ კავშირებს წარმოადგენენ, ვ. ვოროვსკიმ გააშუქა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვთ მათ პროლეტარიატისათვის და არის თუ არა საჭირო, რომ სოციალ-

---

[1] ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი, რჩეული ნაწარმოებები რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, გვ. 365 — 366.

დემოკრატები შევიდნენ ამ კავშირებში იმ მიზნით, რომ იბრძოლონ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დაბნელების წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგია იმდროინდელ პირობებში სოციალ-დემოკრატი ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებში შესვლისა, ვინაიდან იქ შესვლა სოციალ-დემოკრატიას ჩააყენებდა ორაზროვან მდგომარეობაში: მასა გაიგებდა, რომ კავშირები არ ემსახურებიან მშრომელთა შეგნების საქმეს, და მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატები მაინც შედიან ამ კავშირებში. ასეთი წინააღმდეგობა მხოლოდ საერთო მოქმედების დემორალიზაციას გამოიწვევდა და არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა.

ლენინი აკრიტიკებდა იმ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მოითხოვდნენ ინტელიგენტების „პროფესიულ" კავშირებში შესვლას იმ მოტივით, რომ სოციალ-დემოკრატიის ჯგუფები ამ კავშირებში შესვლის შემთხვევაში შეინარჩუნებდნენ თავიანთ სრულ დამოუკიდებლობას და იქნებოდნენ მხოლოდ რსდმპ წევრები. ამასთან დაკავშირებით ლენინი წერდა: „ასეთს პირობებში ლიბერალურ კავშირებში შესვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მხრივ უდიდესი შეცდომა იქნებოდა და ეს ჩააყენებდა მათ ორი სხვადასხვაგვარი და მტრული პარტიის წევრთა მეტად ყალბ მდგომარეობაში. ორ ღმერთს ვერ ემსახურები. ორი პარტიის წევრობა შეუძლებელია. პოლიტიკური თავისუფლების უქონლობის პირობებში, თვითმპყრობელური წყობილების წყვდიადში, პარტიების ერთიმეორეში არევა ძალიან ადვილია, და ბურჟუაზიის ინტერესებიც სწორედ ასეთ არევას მოითხოვენ. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ პარტიების ზუსტ და გარკვეულ გამიჯვნას. ხოლო მოცემა იმის გარანტიებისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ჯგუფები ინტელიგენტების „პროფესიულ" კავშირებში შესვლისას შეინარჩუნებენ თავიანთ სრულ დამოუკიდებლობას, იქნებიან მხოლოდ რსდმპ და არა სხვა რომელიმე პარტიის წევრები, ყოველ თავიანთ ნაბიჯში ანგარიშს ჩააბარებენ თავიანთ პარტიულ ორგანიზაციას, — ასეთი გარანტიების, რეალურისა და არა მხოლოდ სიტყვიერის, მოცემა ამჟამად შეუძლებელია"[1].

ამრიგად, ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით 1905 წლის რევოლუციის პერიოდში შეიმუშავეს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებთან დამოკიდებულების ბოლშევიკურ-რევოლუციური ხაზი, რომელმაც განსაზღვრა ინტელიგენციასთან პარტიის დამოკიდებულების ტაქტიკა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ ეტაპებზედაც.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 345.

თ ა ვ ი IV

მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ერთ-ერთ თვალსაჩინო რაზმს წარმოადგენდა რევოლუციური მოსწავლე ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტობა. 1905 წლის რევოლუციის დროს სტუდენტობა პროლეტარიატის მოკავშირე გახდა, ერთი მხრივ, იმ გამოცდილების შედეგად, რომელიც მან შეიძინა რევოლუციის წინა პერიოდში, და, მეორე მხრივ, რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გავლენით და იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაში. ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანას შეადგენდა მთელი ძალების დარაზმვა და მათი ორგანიზებულად წარმართვა თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით ბოლშევიკების მორიგი ამოცანა ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ჩვენ, — წერდა ლენინი, — „უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მხოლოდ თვით უნივერსიტეტის ან მხოლოდ ერობის და სხვათა წესებით, ჩ ა ვ ა გ ო ნ ო თ აზრი პოლიტიკური წესწყობილების უვარგისობისა. ჩ ვ ე ნ უნდა ვიკისროთ ისეთი ყოველმხრივი პოლიტიკური ბრძოლის მოწყობის ამოცანა, ჩ ვ ე ნ ი პარტიის ხელმძღვანელობით, რომ შეძლებისამებრ დახმარების გაწევა ამ ბრძოლისათვის და ამ პარტიისათვის შეეძლოს და მართლაც გაუწიოს ასეთი დახმარება ყველამ და ყოველნაირმა ოპოზიციურმა ფენამ“[1]. ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ პარტიას გამოეზარდა ისეთი პრაქტიკოსები, რომლებიც შეძ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 540 — 541.

ლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ „მღელვარე სტუდენტებსაც, უკმაყოფილო ერობელთაც, აღშფოთებულ სექტანტებსაც, შეურაცყოფილ სახალხო მასწავლებლებსაც და სხვა და სხვა“ [1].

ამრიგად, ბოლშევიკები და მათი ბელადი ლენინი უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდნენ პროგრესულად განწყობილ მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მუშაობის გაშლას. რსდმპ მეორე ყრილობაზე მიღებულ იქნა სპეციალური რეზოლუცია — „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ“, რომელიც წინადადებას აძლევდა „...პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად დაეხმარონ ამ ახალგაზრდობას მის მისწრაფებაში შეკავშირებისადმი და ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს, ჯერ ერთი, თავიანთი საქმიანობის პირველ რიგში დააყენონ თავიანთ წევრებში მთლიანი და თანმიმდევრული სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება, სერიოზული გაცნობა, ერთი მხრივ, მარქსიზმისა, ხოლო, მეორე მხრივ, რუსული ნაროდნიკობის და დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმისა, როგორც მთავარი მიმდინარეობებისა თანამედროვე მებრძოლ მოწინავე მიმართულებათა შორის; მეორეც, ეცადონ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლისას წინასწარ დაამყარონ კავშირი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა ისარგებლონ მათი მითითებებით და, შეძლებისამებრ, თავიდან აიცილონ დიდი შეცდომები მუშაობის დასაწყისშივე“ [2]. ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებდნენ ცხოვრებაში მეორე ყრილობის ამ დადგენილებას და პარტიის სხვა გადაწყვეტილებებს მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური პროპაგანდის გაშლის შესახებ.

ვ. ი. ლენინი ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა დიდი ყურადღება მიექციათ პარტიაში ახალგაზრდობის მიზიდვისათვის, ყოველი ღონე ეხმარათ მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობის ჩასაბმელად, ვინაიდან ახალგაზრდობა უდიდეს ძალას წარმოადგენდა რევოლუციისათვის. ლენინი სასტიკად გმობდა მენშევიკების უარყოფით დამოკიდებულებას ახალგაზრდობისადმი. აკრიტიკებდა რა მენშევიკ ლარინის წუწუნს იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ახალგაზრდობა სჭარბობსო, სტატიაში — „მენშევიკების კრიზისი“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსი ოპორტუნისტის (ლარინის — ვ. ი.) ამ ჩივილმა მომაგონა ენგელსის ნაწერის ერთი ადგილი.... უპასუხებდა რა ვიღაც უხამს ბურჟუაზიულ პროფესორს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 541.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 61 — 62.

გერმანელ კადეტს, ენგელსი წერდა: განა ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობაო... ჩვენ მუდამ ვიქნებით მოწინავე კლასის ახალგაზრდობის პარტია"[1].

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა მოსწავლე ახალგაზრდობაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებისათვის. მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური განწყობილების ზრდას, მასში თვითმპყრობელური წყობილებისადმი სიძულვილის გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთ-იაპონიის ომში მეფის ჯარების სამარცხვინო დამარცხებამ.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჯერ კიდევ 1904 წლის 17 ოქტომბერს მოაწყვეს მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრაციის საბაბი იყო ის, რომ მომქმედ არმიაში მიმავალი ახალგაზრდების გასაცილებლად იაროსლავსკის სადგურზე მოსულ სტუდენტებს მხეცურად სცემეს პოლიციამ და ჯარმა. დემონსტრაციამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და ჩატარდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!". „ძირს ომი!". 1904 წლის დეკემბერში, როდესაც ბაქოში ჩატარდა მუშების უდიდესი გაფიცვა, რომელიც „მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა" (სტალინი), სტუდენტობამ დიდი მეცნიერ-მასწავლებლის კ. ა. ტიმირიაზევის პატივსაცემად მისი ლექციის შემდეგ პირველ დეკემბერს მოაწყო სტუდენტთა კრება. ამ კრებაზე მიღებული იქნა რევოლუციური დადგენილება: „ეთხოვოს რევოლუციურ კომიტეტს მოაწყოს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები"[2].

ამ დადგენილების საფუძველზე 5 დეკემბერს მოსკოვში შედგა დემონსტრაცია, რომელიც განდევნეს ჯარისა და პოლიციის ძალებით. მთავრობის ამ მოქმედების საპროტესტოდ 7 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც დაადგინა პროტესტის ნიშნად შეწყვეტილიყო მეცადინეობა საშობაო არდადეგების ბოლომდე. კრებამ აგრეთვე მიიღო რეზოლუცია მეფის მთავრობის დამხობისა და დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ.

მთელი რუსეთის სტუდენტობასთან ერთად რუსეთ-იაპონიის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 422—423.
[2] მცსია, ფ. 63, საქ. 255, 1905, ფ. 185.

ომის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო მოძრაობა გააჩაღეს ოდესის მოსწავლე ახალგაზრდობამ. ეს მოძრაობა ძირითადად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ბოლშევიკების დავალებით სტუდენტები მასებში ავრცელებდნენ ომის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, აწყობდნენ ომის საწინააღმდეგო მიტინგებს, კრებებსა და დემონსტრაციებს. ოდესის სტუდენტთა ამ რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სტუდენტები: ნ. ჯიშკარიანი, ნ. ქუთათელაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. ქაჯაია, ვ. ქარუმიძე, შ. ქარუმიძე, ვ. საღარაძე, ა. ბახტაძე, გ. გოგიბერიძე, ი. გობეჩია და სხვ.

სტუდენტთა დიდი აღშფოთება გამოიწვია მეფის მთავრობის მიერ 1905 წლის 9 იანვარს მოწყობილმა სისხლისღვრამ. რუსეთის სტუდენტობას მძლავრი საპროტესტო მოძრაობის მაგალითი მისცეს პეტერბურგის უმაღლესმა სასწავლებლებმა. პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურმა ნაწილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ჯართან მუშების სისხლისმღვრელ შეტაკებაში. ცნობილია, რომ 9 იანვარს ვასილევსკის კუნძულზე მუშებთან ერთად ბარიკადებსა და სიმაგრეებს აგებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტისა და სამთო ინსტიტუტის სტუდენტები. ამ საქმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო სამთო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელიც გმირულად დაიღუპა ბრძოლაში.

უდანაშაულო მუშების ვერაგულად დახვრეტით აღშფოთებულ სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობას სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის სტუდენტთა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელობით 1905 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა სტუდენტთა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები, რომლებშიც სტუდენტთა ფართო მასების გარდა მონაწილეობდნენ მოწინავე ინტელიგენცია და მუშები. ყველგან გამოჰქონდათ ერთსულოვანი დადგენილებანი მეფის მთავრობის ვერაგობის წინააღმდეგ.

10 იანვარს შედგა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 400 კაცი. კრებაზე განიხილეს მიმდინარე რევოლუციურ ამბებთან სტუდენტთა დამოკიდებულების საკითხი. კრების მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს მთავრობის მიერ 9 იანვარს ჩადენილი მხეცობა და მოუწოდეს ყველა სტუდენტსა. და პროგრესულ ადამიანს გაერთიანებულიყვნენ პროლეტარიატის მიერ წამოყენებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნათა ცხოვრებაში გასახორციელებლად. კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო: „...სოლიდარო-

ბა გამოეცხადოს მუშებს მეცადინეობის შეწყვეტის გზით და დაიწყოს შეწირულებათა შეგროვება გაფიცულთა და 9 იანვარს სამხედრო ძალით ჩახშობის დროს დაჭრილთა სასარგებლოდ, აგრეთვე მუშათა შესაიარაღებლად"[1]. კრების მონაწილეებმა იქვე შეაგროვეს 170 მანეთი დამხმარე ფონდისათვის. ასეთივე რეზოლუცია მიიღო პეტერბურგის საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტთა კრებამ, რომელიც 11 იანვარს ჩატარდა. პეტერბურგში შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო დედაქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობა შეწყვეტილი იქნა რამდენიმე ხნით.

სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობის გაძლიერების შესახებ პოლიციის დეპარტამენტი თავის 1905 წლის 11 იანვრის მოხსენებაში მეფის სახელზე წერდა, რომ განვლილი კვირის მანძილზე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა არეულობას. ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტები ჰექტოგრაფზე ბეჭდავდნენ რევოლუციურ შოწოდებებს, რომლებიც იწვევენ ახალგაზრდობას ჩადგნენ რევოლუციონერთა რიგებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმავე დღეებში დიდი საპროტესტო მოძრაობა დაიწყო ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტობაში, ავრცელებდნენ „ვპერიოდის" ჯგუფის მოწოდებებს, სადაც ჰაცხავდნენ მთავრობას, კერძოდ სტატს-მდივან პლეევს მოქმედებას.

კიევის გუბერნიის პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მოხსენებაში სწერდა, რომ პეტერბურგის ამბებით გამოწვეული მღელვარება მოედო უმაღლეს სასწავლებლებსაც, რომ 15 იანვარს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში შედგა საერთო კრება, რათა შეემუშავებინათ ქალაქის ამბებში სტუდენტთა მონაწილეობის გეგმა. კრებამ დაადგინა შეწყვიტონ მეცადინეობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ რევოლუციურ მოძრაობაში და მეორე დღეს, ე. ი. 16 იანვარს, მოაწყონ ქუჩის დემონსტრაცია. ამ დროს გუბერნატორმა გასცა განკარგულება დაეპატიმრებინათ კრების ყველა მონაწილე, მაგრამ სტუდენტებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჯარი იძულებული გახდა მოეხსნა ალყა ინსტიტუტისათვის. გუბერნატორმა მაშინვე გასცა განკარგულება დროებით დაეკეტათ ინსტიტუტი. იმავე დღეებში იურიევში მუშებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ადგილობრივმა სტუდენტმა. დემონსტრაციის დროს სტუდენტები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს.

---

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 168, საქ. № 39, 1905, ფ. 18.

12 იანვარს სტუდენტთა მღელვარება დაიწყო ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტები ჰექტოგრაფზე ამრავლებდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პროკლამაციებს, რომელთაც ხალხში ავრცელებდნენ. იმავე დღეს რკინიგზელთა კრებაზე რამდენიმე ნაფიცმა რწმუნებულმა მოაწყო საღამო, სადაც მოვიდა 400-მდე მუშა, ინტელიგენტი და სტუდენტი. როგორც პოლიციის საიდუმლო მოხსენებაშია აღნიშნული, მათ შესცვალეს საღამოს ხასიათი — საღამო კრებად აქციეს, რომელმაც, როგორც პოლიციის დეპარტამენტი აღნიშნავდა, მიიღო „...რევოლუციური ხასიათი... წარმოთქვამდნენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს... მიღებულია რეზოლუცია ციმბირის რკინიგზის მთელ ხაზზე აჯანყების მოწყობის აუცილებლობის შესახებ, ტომსკის მუშების გაფიცვისა და საერთო ქუჩის დემონსტრაციის მოწყობის შესახებ"[1].

13 იანვარს ქ. რიგაში მუშათა მრავალრიცხოვან დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა. ეს დემონსტრაცია დამთავრდა ჯართან სისხლისმღვრელი შეტაკებით. პოლიციის დეპარტამენტის შემცირებული ცნობით ამ შეტაკების დროს მოკლული და დაჭრილი იქნა 85 კაცი, აქედან 29 სტუდენტი იყო. 14 იანვარს ინსტიტუტში შედგა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა მთავრობის მიერ 13 იანვრის დემონსტრაციის დროს დახოცილ სტუდენტთა დასაფლავების საკითხი. შენობაზე, სადაც კრება მიმდინარეობდა, გამოჰკიდეს დროშა წარწერით: „დიდება ბრძოლაში დაღუპულთ, წყევლა-კრულვა მკვლელებს!". კრებამ დაადგინა გამოცხადდეს გაფიცვა, რის გამოც ინსტიტუტი დროებით დახურეს. 15 იანვარს მოწყობილ იქნა მოკლულთა დასაფლავება, რომელიც გადაიქცა მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად. სამგლოვიარო პროცესიის დროს ავრცელებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებს. სასაფლაოზე მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი, სადაც ორატორები მოუწოდებდნენ საბრძოლველად.

19 იანვარს პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის შენობაში შეიკრიბა დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრებამ დაადგინა უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილიყო მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

პეტერბურგის უდანაშაულო მუშების ვერაგულად დახვრეტის

---

[1] ცსსა, ფ. 102, აღწ. 168, საქ. 39, 1905, ფ. 20.

პროტესტის ნიშნად 22 იანვარს ეკატერინოსლავის უმაღლესი სამთო სასწავლებლის სტუდენტებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და სახალხოდ ატარებდნენ სამგლოვიარო ნიშნებს. საპროტესტო მოძრაობა გაძლიერდა ყაზანის უნივერსიტეტისა და ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებშიც. მეფის სახელზე დაწერილ მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტი წერდა, რომ ყაზანის სტუდენტობა უაღრესად ქმედით მონაწილეობას იღებს მუშებს შორის აგიტაციის გაჩაღებაში. 23 იანვარს საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტები და მუშები, დაადგინეს მოაწყონ საპროტესტო გაფიცვა. კრებას თავს დაესხა პოლიცია და გარეკა მისი მონაწილეები. ასევე გარეკა პოლიციამ ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტთა 24 იანვრის კრება.

15 — 16 იანვარს ვარშავის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარეობდა სტუდენტთა საერთო კრება. ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა მოეთხოვათ ვარშავაში საკანონმდებლო კომისიის მოწვევა პოლონეთში არსებული კანონების შესაცვლელად და მთელ პოლონეთში პოლონურ ენაზე სწავლების დაუყოვნებლივ შემოღება.

20 იანვარს ნოვოალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და სატყეო ინსტიტუტების სტუდენტთა კრებამ დაადგინა გამოაცხადონ გაფიცვა მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე, და მოითხოვა იაპონიასთან ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

სტუდენტთა მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა. თავის სპეციალურ მოხსენებაში ბულიგინი მეფეს სწერდა, რომ პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კოალიციურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება — რადაც უნდა დაუჯდეს განახორციელოს მთელი რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების გაფიცვა ისე, რომ იგი გაგრძელდეს მანამ, სანამ არ შეიცვლება რუსეთში არსებული პოლიტიკური წყობილება.

ვლადიმირისა და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტებს შორის გავრცელებულ იქნა კიევის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდნენ სტუდენტებს მოეწყოთ საერთო კრება და განეხილათ მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან სტუდენტთა დამოკიდებულების საკითხი. მოწოდებაში ნაბეჭდი იყო 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი სისხლისღვრის მთელი საშინელება. მოწოდებამ გააძლიერა სტუდენტთა მღელვარება. 29 იანვარს მთავრობამ დააპატიმრა კიევის სტუდენტთა მოძრაობის ინიციატორები და გაჩხრიკა მათი ბინები. ჩხრეკის

დროს სტუდენტებმა სროლა აუტეხეს პოლიციასა და ადმინისტრაციას. სტუდენტების—პავლოვის, ვეხოვის, მისევიჩის, რიზას, პროსიხინის, ვერემეევის, გამყრელიძის და სხვ. ბინებზე აღმოაჩინეს რევოლვერები, ვაზნები, რევოლუციური მოწოდებები, სოციალ-დემოკრატიული პროკლამაციები და რევოლუციური მოძრაობის საჭიროებისათვის შეგროვილი 8 000 მანეთი.

1905 წლის 27 და 28 იანვარს ნეჟინის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი იმის შესახებ, გამოცხადებულიყო თუ არა გაფიცვა. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: სტუდენტები იმდენად აღშფოთებული არიან პეტერბურგის უდანაშაულო მუშების დახვრეტით, რომ მათ არ შეუძლიათ მეცადინეობა განაგრძონ. ამავე დროს ჩვენ გვსურს ვიყოთ სოლიდარული პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან, რომლებმაც 9 იანვარს სისხლისღვრის მოწყობის გამო გაფიცვა გამოაცხადეს და მეცადინეობა შეწყვიტეს. ორი დღის მსჯელობის შემდეგ ნეჟინის ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო კრებამ მიიღო ვრცელი რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ არსებული სახელმწიფო წყობილების უვარგისობის გამო, კერძოდ, რუსეთში სახალხო განათლების მძიმე მდგომარეობის გამო, რომელიც ეწინააღმდეგება სახალხო-საარსებო მოთხოვნილებებს, შეუძლებლად მიგვაჩნია რაიმე მუშაობის ნორმალურად ჩატარება. მთავრობის წყალობით განათლების საქმე ჩაყენებულია უკიდურეს პირობებში. ამიტომ ჩვენ, ნეჟინის ინსტიტუტის სტუდენტები — მომავალი მასწავლებლები იმ დასკვნამდე მივედით, რომ ნაყოფიერი პედაგოგიური-მოღვაწეობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი სწავლების დაშვების პირობებში; ასეთი სწავლების მიღწევა კი შეუძლებელია საერთო სახელმწიფოებრივი თავისუფლების გარეშე. სწავლების თავისუფლება განუყრელად არის დაკავშირებული სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის, პიროვნების, კავშირების და კრებების თავისუფლებასთან; ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელია არსებული ხელისუფლების დროს [1].

27 იანვარს პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოწვეულ იქნა საერთო კრება. ორატორები ზიზღს უცხადებდნენ თვითმპყრობელური მთავრობის სისხლიან პოლიტიკას. კრებამ დაადგინა მეცადინეობის შეწყვეტა და თავის რეზოლუციაში მოითხოვა ბეჭდვის, სიტყვის, სინდისის, პოლიტიკური ასოციაციების თავისუფლება

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. № 3336, 1905, ფ. 6

და პოლიტიკური დამნაშავეების ამინისტია. 28 იანვარს ამ ინსტიტუტის სტუდენტთა საორგანიზაციო კომიტეტმა წერილით მიმართა პროფესორ-მასწავლებლობას შეერთებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლას.

სტუდენტთა იანვრის მღელვარება გადაედო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მსმენელებსაც, თუმცა მათ აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ გამოსვლებში.

ამ ბობოქარ და სასხლეან დღეებში — 12 იანვარს მოსკოვის უნივერსიტეტს უსრულდებოდა დაარსებიდან 150 წლისთავი. პროგრესული სტუდენტობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეეცადა ეს დღე გამოეყენებინა სტუდენტთა ძალების შესამოწმებლად, მათ ჩასაბმელად რევოლუციურ მოძრაობაში. სტუდენტთა ხელმძღვანელობამ სტუდენტთა მასებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „ახლანდელ მომენტში, როდესაც წინა პლანზე გამოდის ბრძოლა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისათვის, უნივერსიტეტის... ახალგაზრდობამ... უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის ადგილი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში... აქ უნდა გაისმოღეს პროტესტი ჯერ კიდევ შეუწყვეტელი ძალადობის წინააღმდეგ"[1].

მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო რათა ჩაეშალა სტუდენტთა გამოსვლა. ქალაქისთავმა გენერალ-მაიორმა რუდნევმა ქ. მოსკოვის უბნის ბოქაულებს მისცა განკარგულება, რომ 12 იანვარს, მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულის აღნიშვნის დღეს, არცერთი პოლიციელი არ გასულიყო თავისი უბნიდან. ამავე დროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დამცველთა მოსკოვის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა 12 იანვარს ქ. მოსკოვის ყველა რესტორანი დაეკეტათ. 12 იანვარს გაფიცულმა მუშებმა და სტუდენტებმა მოაწყეს დიდი საპროტესტო გამოსვლა. 12 იანვარს ღამით ქალაქისთავმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს პეტერბურგში, სადაც აღნიშნავდა, რომ სტუდენტებისა და მუშების ის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობდნენ მუშებისა და სტუდენტების შეერთებას, დაპატიმრებულ იქნენ.

უნივერსიტეტის სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობას მიბაძეს მოსკოვის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმაც.

12 იანვარს მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში შედგა სტუდენტთა საერთო კრება. ორატორები სასტიკად გმობდნენ მუშათა სისხლისმღვრელი ამბების ორგანიზატორებს და ზიზღს უცხადებენ მთავრობას. კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: აღია-

---

[1] მსცია, ფ. 63. აღწ. 14, საქ. № 26, 1905, ფ. 13.

რებს რა თანამედროვე თვითმპყრობელურ მთავრობას ბიუროკრატიის კლასობრივ ორგანიზაციად, რომელსაც არ შეუძლია ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, კრებას აუცილებლად მიაჩნია შეუდგეს აქტიურ რევოლუციურ მუშაობას არსებულ რევოლუციურ პარტიებთან ერთად და აყენებს შემდეგ მოთხოვნებს: 1) დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების, ფარული კენჭისყრის საფუძველზე; 2) ომის დაუყოვნებლივი შეწყვეტა; 3) პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის ყველა დაზარალებულის განთავისუფლება; 4) პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვარს სისხლისღვრის მოწყობის ხელმძღვანელთა პასუხისგებაში მიცემა; 5) პეტერბურგში 9 იანვარს მოკლულთა ოჯახებისათვის დახმარების მიცემა; 6) მუშათა ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილება; 7) ქალების თანასწორუფლებიანობა. კრების დასასრულს გაფიცული მუშების დასახმარებლად შეგროვილ იქნა 189 მანეთი.

გაფიცვა გამოაცხადეს საინჟინრო სასწავლებლის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამასწავლებლო ინსტიტუტის, კონსერვატორიისა და ქალთა უმაღლესი კურსების სტუდენტებმა.

24 იანვარს მოწვეულ იქნა ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება, სადაც განიხილეს პეტერბურგში მომხდარი ამბები. ორატორები გმობდნენ მთავრობის მიერ 9 იანვარს მოწყობილ სისხლისღვრას, მოითხოვდნენ არსებული წყობილების ძალდატანებით შეცვლას. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: ვაღიარებთ რა თვითმპყრობელური წყობილების დამხობის აუცილებლობას, მოვითხოვთ სახალხო რესპუბლიკის შექმნას, ომის შეწყვეტას. თვითმპყრობელური მთავრობის დანაშაულებრივი და თავხედური პოლიტიკა განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა პეტერბურგის უკანასკნელი ამბების დროს. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით გასაგები გახდა ჩვენთვის მთელი თავისი საშინელებით ტომსკის ქუჩებში 18 იანვარს მომხდარი სისხლიანი ამბების შემდეგ, როცა მთავრობამ ქალაქი ასაოხრებლად გადასცა კაზაკებსა და პოლიციას, რომელთაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მხეცურად დაიწყეს მოქალაქეების დარბევა; ჩეხდნენ ხმლებით, სცემდნენ მათრახებით, ფეხქვეშ თელავდნენ ქუჩაში დაყრილ დახოცილებისა და დაჭრილების გვამებს, არ ზოგავდნენ არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებს... ტომსკის ქუჩები მოირწყო უდანაშაულო ადამიანების სისხლით; ასობით ნაცემი ადამიანი პოლიციაში წაიყვანეს და იქ განაგრძეს მათი წამება. შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია: „ყველა ამ მხეცობამ მოთმინების ფიალა აავსო. ჩვენ უარს ვამბობთ ყოველ-

გვარ მშვიდობიან სამუშაოზე. ჩვენ უნივერსიტეტს დახურულად ვაცხადებთ. ახლანდელ მომენტში მთელი ძალები წარმართული უნდა იქნეს თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სოციალიზმის იდეებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ გაფიცვებისა და დემონსტრაციებისაკენ ყველა მუშას, განსაკუთრებით ციმბირის რკინიგზის მუშებს... ერთადერთი გზა, რასაც ჩვენ ვცნობთ, ეს არის სახალხო აჯანყების გზა. ჩვენი უახლოესი ამოცანაა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ჩვენი ლოზუნგია საყოველთაო, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება. ძირს მონარქია! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!" [1].

1905 წლის იანვარში სტუდენტთა მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებზე. მთელ რიგ მხარეებსა და ქალაქებში გახშირდა მოსწავლეთა საპროტესტო მოძრაობა, მიტინგები, კრებები, დემონსტრაციები, გაფიცვები და სხვ.

ვიატკის გიმნაზიისა და საფერშლო სკოლის მოსწავლეებმა თავის საერთო კრებაზე წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ამ მოთხოვნათაგანი დააკმაყოფილეს, ისინი მეორე დღეს მაინც გაიფიცნენ და დემონსტრაცია მოაწყვეს.

31 იანვარს შედგა ლუბლინსკის ვაჟთა გიმნაზიის საერთო კრება, რომელმაც ხელმძღვანელობას წაუყენა 7 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნები და განაცხადა, რომ სანამ ამ მოთხოვნებს არ შეასრულებენ, მანამ მეცადინეობას არ დავიწყებთო. ამ მოძრაობის მონაწილე მოსწავლეთა წინააღმდეგ მიღებულ იქნა სასტიკი ზომები: სკოლიდან გარიცხეს 78 მოსწავლე.

თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად აქტიურად ჩაება ქართველი ახალგაზრდობაც, რომელიც მწვავედ განიცდიდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მოსწავლეთა გაფიცვები მოედო თითქმის ყველა სასწავლებელს. სწავლა შეწყდა სკოლებში. მოწაფეები არ ემორჩილებოდნენ ადმინისტრაციას, ხევდნენ მეფის სურათებს. სკოლებში დაგზავნილ იქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებები. თბილისის მოწაფეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იანვრის საყოველთაო გაფიცვაში, აგრეთვე 23 იანვარს ჩატარებულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში. 27 იანვარს მთავრობამ დახურა მთელი რიგი სასწავლებლები. 30 იანვარს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კავკასიის მთავარმართებლის მთავარ კან-

---

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 43, საქ. № 3369, 1905, ფ. 5.

ცელარიას სწერდა, რომ მოსწავლეთა მღელვარება თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში თანდათანობით ძლიერდებაო, და მოითხოვდა სწავლის შეწყვეტას ყველა სკოლაში.

საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობას. 1905 წლის იანვარში რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოსცა ქ. თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა 9 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა, რომელშიაც აღნიშნული იყო: „...რუსეთის განახლება მთლიანად რუსეთის პროლეტარიატის ხელშია, ამიტომ ჩვენ, ქალაქ თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი მხარს ვუჭერთ ამ მოძრაობის ხელმძღვანელს — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას... დარწმუნებული იმაში, რომ ყველა ეს მოთხოვნა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ახალ რუსეთში, რომელიც აგებული იქნება დემოკრატიულ საწყისებზე, ჩვენ მხარს ვუჭერთ მთელი მოწინავე რუსეთის ძახილს: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის № 9 ბიულეტინში, რომელიც იტყობინებოდა ბათუმში მომხდარი ამბების შესახებ, აღნიშნული იყო, რომ 1905 წლის 27 იანვარს, დილით, ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეები გაიფიცნენ, დარბაზიდან გამოიტანეს მეფის პორტრეტი და ეზოში დახიეს. გიმნაზიაში გამოიძახეს კაზაკები, რომლებმაც დააპატიმრეს რამდენიმე გიმნაზიელი და ერთი დაჭრეს. 26 იანვარს მეცადინეობა შეწყდა ზოგიერთ დაწყებით სკოლაში. 27 იანვარს დახურეს ქალთა გიმნაზია.

იანვრის ბოლო რიცხვებში ბათუმის სასწავლებლებში გავრცელებულ იქნა ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეების მიერ შედგენილი პროკლამაცია. თებერვლის დასაწყისში ბათუმის მოსწავლეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“. თებერვლის პირველ რიცხვებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებელს სწერდა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაში ადგილი აქვს ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს, რომ გაფიცულმა მოსწავლეებმა მთავრობას წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები: 1) სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლება; 2) მოსწავლეებისადმი წესიერი მოპყრობა; 3) არსებული აუტანელი სასკოლო რეჟიმის დაუყოვნებლივ შეცვლა; 4) საღვთო რჯულის სწავლების ამოღება პროგრამიდან; 5) ეკლესიაში სავალდებულო სიარულის გაუქმება და სხვ. მოსწავლეთა ამ

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 312.

მოძრაობასთან დაკავშირებული იყვნენ სოციალ-დემოკრატები და მათი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა იგი.

1905 წლის იანვარში გაჩაღებული სტუდენტთა მოძრაობის შედეგად ახალგაზრდობაში გაძლიერდა სახალხო რევოლუციასთან კავშირის დამყარების აუცილებლობის შეგნება, რსდმპ პოლიტიკური ხაზისა და ლოზუნგების მნიშვნელობის შეგნება. 1 თებერვალს მოსკოვის სტუდენტთა კრებაზე გამოტანილ იქნა დადგენილება შეერთებოდნენ ბოლშევიკური პარტიის შემდეგ სახალხო მოთხოვნებს: „სახალხო წარმომადგენლობის დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემის საფუძველზე, წინასაარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლების მინიჭებით, პიროვნების ხელუხლებლობა, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება, კავშირების და გაფიცვების თავისუფლება". კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: იმის გამო, რომ შექმნილ ვითარებაში საზოგადოებრივი და აკადემიური ცხოვრების ნორმალურად წარმართვა უაზრობას წარმოადგენს, შეწყდეს ყოველგვარი მეცადინეობა უნივერსიტეტში 1905 წლის 1 სექტემბრამდე. აღდგენილ იქნას უნივერსიტეტიდან გარიცხული ყველა სტუდენტი და უშიშროების გარანტია მიიღონ პირველი თებერვლის კრების მონაწილეობისათვის.

საერთო კრების ეს დადგენილებები განსახილველად გადატანილ იქნა სტუდენტთა საკურსო კრებებზე, რომლებიც მიმდინარეობდა 1 თებერვლიდან 7 თებერვლამდე. საკურსო კრებებმა მოიწონეს აღნიშნული დადგენილებები. საკურსო კრებებზე კენჭისყრის დროს 2.635 კაცმა ხმა მისცა მეცადინეობის შეწყვეტას, 102 წინააღმდეგი იყო და 23 თავი შეიკავა. ასეთი მძლავრი საპროტესტო გამოსვლები ჯერ არ ახსოვდა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ისტორიას. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომამ, რომელიც მოწვეული იყო სტუდენტთა ამ მოძრაობის გამო, აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის მღელვარებას არასოდეს არ ჰქონია ასეთი მძლავრი და ორგანიზებული ხასიათი.

მოსკოვის სტუდენტთა მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ შეაშინა არა მარტო რუსეთის რეაქცია, არამედ ლიბერალური ბურჟუაზია და მათი მოკავშირეებიც, რომლებიც ყოველნაირად შეეცადნენ ჩაეშალათ სტუდენტთა გაფიცვა. ისინი ცდილობდნენ ამ საქმეში გამოეყენებინათ რეაქციული სტუდენტობა. მაგრამ თვითონ მთავრობა გახდა იძულებული ეღიარებინა ლიბერალური პარტიებისა და სტუდენტთა რეაქციული ნაწილის უძლურება იმისათვის, რომ გა-

ფიცვა ჩაეშალათ ან რაიმე მავნე გავლენა მოეხდინათ სტუდენტთა გამოსვლებზე.

სტუდენტთა ამ მოძრაობას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ბოლშევიკები. ისინი უკავშირდებოდნენ ამ მოძრაობას, ცდილობდნენ შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მიეცათ მისთვის, სტუდენტთა გაფიცვების ხელმძღვანელობის საქმეში საერთო სტუდენტთა ცენტრალურ საუნივერსიტეტო ორგანოში დიდ გავლენას ახდენდნენ სტუდენტი-ბოლშევიკები. ბოლშევიკების ინიციატივით სტუდენტთა ამ ორგანიზაციამ კავშირი დაამყარა სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ორგანიზაციებთან. სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებდა. ამ დროს შექმნილ იქნა გაფიცულ სტუდენტთა დამხმარე ცენტრალური სალარო, რომელშიც გაერთიანდნენ მოსკოვის ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები.

ბოლშევიკებმა მოახერხეს იმ მოწინავე სტუდენტებთან დაკავშირება, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკური კომიტეტების ორგანიზაციულ, სააგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობაში; ასე მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. მ. სავკოვი იყო რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრი და ზამოსკვორეჩიეს რაიონის პასუხისმგებელი ორგანიზატორი; იმავე რაიონში პროპაგანდისტად მუშაობდა სტუდენტი ი. დ. უდალცოვი (ამჟამად იგი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია); სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი ნ. ს. ტისმენევი შედიოდა მოსკოვის კომიტეტის ტექნიკურ ჯგუფში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურის ბეჭდვაში. მოსკოვის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტები დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მოსკოვის სამრეწველო საწარმოების მუშებს შორის. გარდა ამისა, სტუდენტები მიდიოდნენ სოფლად თავიანთ რაიონებში და იქაურ ბოლშევიკებს ეხმარებოდნენ რევოლუციური პროპაგანდის გაჩაღებაში. სტუდენტები დაკავშირებული იყვნენ აგრეთვე ჯარის ნაწილებთან, ეწეოდნენ მათში პროპაგანდას, ავრცელებდნენ პროკლამაციებს და სხვ.

მოსკოვის რევოლუციურ სტუდენტობაში ბოლშევიკები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიური საზოგადოების საშუალებით. ამ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებდა ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი. საზოგადოების თავმჯდომარე იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი მ. ნ. პოკროვსკი. საზოგადოების წევრთაგან ბოლშევიკური ხაზის გატარების საქმეში განსაკუთრებით აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ნ. ა. როჟკოვი,

მ. ნ. პოკროვსკი, ვ. მ. ფრიჩე და სხვ. პედაგოგიურმა ხაზოგადოებამ თავისი 1905 წლის 26 მარტის კრებაზე მოისმინა მოხსენება სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის გეგმის პროექტის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციები მუშებს შორის პროპაგანდის წარმოებისა და მათი შეიარაღების შესახებ, რევოლუციის ფონდში სახსრების შესაგროვებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მიერ შემზადებული და მისი ინიციატივით 1905 წლის 7 თებერვალს დაწყებული პეტერბურგის სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 5.000 სტუდენტი. კრებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ მუშები, ზოგიერთი პროფესორი, რუსეთის და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. კრების დღის წესრიგი წინასწარ იქნა შემუშავებული სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მიერ. მასში შეტანილ იქნა შემდეგი საკითხები: 1) პროლეტარიატის როლი რუსეთში; 2) პოლიტიკური წყობილების თანამედროვე მდგომარეობა; 3) „საერობო კრების“ უვარგისობა; 4) რევოლუციური ძალების გაერთიანება სახალხო შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

კრებაზე გამოსული ორატორები სასტიკად გმობდნენ თვითმპყრობელური მთავრობის ქვეყნისდამღუპველ პოლიტიკას, მის მიერ 9 იანვარს პეტერბურგში მოწყობილ სისხლის ღვრას და მიუთითებდნენ: ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ მეფის მთავრობა ხალხის მტერია, პეტერბურგის ქუჩების უდანაშაულო მშრომელთა სისხლით მორწყვისათვის თვითმპყრობელური მთავრობა უნდა მოისპოსო. სტუდენტთა გაფიცვის მოწყობის საკითხის განხილვის დროს გაფიცვის წინააღმდეგ კრებაზე გამოვიდა სამი მასწავლებელი, რომლებსაც ყვირილით და აღშფოთებით შეხვდა მრავალათასიანი კრება. სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ კრებაზე გამოვიდა სტუდენტთა ყოფილი კორპორაციის „დენიცას“ წევრი, რომელსაც სიტყვა შეაწყვეტინეს, სცემეს, ხოლო კორპორაციის ყველა წევრი კრებიდან გაყარეს. მოღალატეების გაყრის შემდეგ ორატორებმა განაგრძეს რევოლუციური სიტყვების წარმოთქმა; ისინი მოითხოვდნენ რევოლუციურ მოძრაობასთან შეერთებას, არსებული წყობილების შეცვლას. კრებამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია სტუდენტთა გაფიცვის გამოცხადების, დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ საყოველთაო, ფარული, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, სიტყვის თავისუფლების, კრებების, კავშირების, პარტიებისა და გაფიცვების დაშვების პირობებ-

ში. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად საჭიროა მას წინ უძღოდეს სახალხო ლაშქრის მოწყობა. თავის 1905 წლის 8 თებერვლის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მეფეს სწერდა: „ამ კრებაზე გამომუშავებულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ხასიათის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ომის შეწყვეტას, სახელმწიფო წყობილების შეცვლას...“[1]. კრების შემდეგ მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, დახიეს მეფის სურათები.

პეტერბურგის სტუდენტთა ამ მძლავრ საპროტესტო მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტები. ისინი მონაწილეობდნენ გაფიცვებში, დემონსტრაციებში, შეიარაღებულ აჯანყებაში. ამ დროს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეში ირიცხებოდა 90-მდე კაცი.

პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელ მოხსენებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სტუდენტთა მოძრაობის გავლენით, მათი პროპაგანდის შედეგად მღელვარება დაიწყო თითქმის ყველა საშუალო სასწავლებელში, რომ რევოლუციური მოწოდებების გავრცელების შედეგად მეცადინეობა შეწყდა მთელ რიგ სკოლებში. იანვრის ბოლო რიცხვებში მეცადინეობა შეწყვიტეს ყაზანის სამხატვრო სკოლაში, სამრეწველო სასწავლებელში. 23 იანვარს ყაზანის უნივერსიტეტთან სტუდენტთა დემონსტრაციასთან შესაერთებლად მივიდნენ მრავალი საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები. დემონსტრაცია განდევნეს ჯარისა და პოლიციის ძალებით. 25 იანვარს ყაზანის უნივერსიტეტი დაკეტილ იქნა დროებით. 5 თებერვალს პეტერბურგის კონსერვატორიის შენობაში შედგა მოსწავლე ვაჟებისა და გოგონების კრება, რომელმაც განიხილა გაფიცვებთან დამოკიდებულების საკითხი და გამოიტანა დადგენილება მეცადინეობა შეეწყვიტათ 1 სექტემბრამდე. დირექტორმა და პოლიციის წარმომადგენელმა კრებას წინადადება მისცეს არ გამოეტანათ დადგენილება გაფიცვის შესახებ და ისე დაშლილიყვნენ, მაგრამ კრება მათ არ დაემორჩილა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო ამ კრების ინიციატორების წინააღმდეგ; კონსერვატორიიდან გარიცხეს 70 კაცი. 4 თებერვალს ვლადიკავკავის კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასების მოსწავლეებმა წამოაყენეს მოთხოვნები

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 168, საქ. № 39, 1905, ფ. 42.

სწავლის რეჟიმის შეცვლის შესახებ, მოსწავლეთათვის თავისუფლების მინიჭების, საძულველი ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მოხსნის შესახებ, გიმნაზიაში დაამტვრიეს ყველაფერი, შემდეგ გავიდნენ ქუჩაში და დემონსტრაციით გაემართნენ რეალური სასწავლებლისაკენ, რომ იქ ჩაეტარებინათ საერთო კრება; მაგრამ ამ დროს მოვიდა პოლიცია და კაზაკთა ასეული, რომლებმაც ცემით გაფანტეს დემონსტრანტები.

13 თებერვალს ქ. ოდესის საზოგადოებრივ დარბაზ „უნიონში" მოეწყო საჯარო ლექცია, რომელსაც 2000 კაცზე მეტი დაესწრო, ძირითადად მოსწავლე ახალგაზრდობა და მუშები. კრებაზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატების პირველი მოთხოვნა — ეს არის თვითმპყრობელური ხელისუფლების მოსპობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა. ორატორმა მიმართა ხალხს, მარტო ცარიელი სიტყვები არ კმარა, საჭიროა ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებაო. მან წინადადება მისცა კრებას მოეწყოთ ქუჩის დემონსტრაცია. ამის შემდეგ გამოსულმა ორატორმაც განაცხადა, რომ რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად აუცილებელია რევოლუცია. კრებას თავს დაესხა პოლიციის რაზმი, მაგრამ კრება არ დაიშალა და დაიწყეს „ვარშავიანკას" და „მარსელიოზას" სიმღერა. პოლიციის დასახმარებლად მთავრობამ გაგზავნა ჯარი, რომელმაც კრების მონაწილეები გარეკა [1].

საპროტესტო მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა საქართველოს მთელი რიგი ქალაქების მოსწავლეთა შორის. თებერვლის შუა რიცხვებში ქუთაისის გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოწაფეებმა მოაწყეს ანტისახელმწიფოებრივი საერთო პოლიტიკური დემონსტრაცია. მათ ქუდებიდან ამოგლიჯეს ღერბები, თავი მოიყარეს ქალაქის ბულვართან, რომლის კარებიც გუბერნატორის ბრძანებით ბოქლომით იყო დაკეტილი. მოსწავლეებმა გატეხეს ბოქლომი და შევიდნენ ბულვარში, სადაც თავი მოიყარა მრავალმა მოსწავლემ. დღის ბოლოს მოსწავლეებს შეუერთდნენ ქალაქის ნოქრები. ბულვართან თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა კაცმა, დემონსტრანტების რიცხვი და მღელვარება სულ უფრო იზრდებოდა. პოლიციამ და ჯარმა სროლა დაიწყეს შესაშინებლად, მაგრამ გაფიცულები მაინც არ იშლებოდნენ. დაინახა რა, რომ მდგომარეობა მწვავდებოდა, იქ მდგომმა ბოქაულმა მახარაძემ დამატებით გამოიძახა ცხენოსანი პო-

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 168, საქ. 39, 1905, ფ. 58.

ლიცია და კაზაკები. მოსულმა ჯარმა და პოლიციელებმა სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს. მოსწავლე ახალგაზრდობამ მათ ქვებით სროლით უპასუხა, რამდენიმეს რევოლვერიც აღმოაჩნდათ და იმათაც დაიწყეს სროლა. ამ შეტაკების დროს პოლიციამ და ჯარმა მოკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი, შემდეგ დაერივნენ დემონსტრანტებს, სცემდნენ მათრახებით, თოფის კონდახებით, ხმლებით. ასე მხეცურად გაფანტეს დემონსტრაციის მონაწილენი, ბევრი მათგანი დააპატიმრეს.

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები განაგრძობდნენ ბრძოლას. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იუსტიციის მინისტრს 17 ოქტომბერვლის მოხსენებაში სწერდა, რომ ქუთაისის რეალური სასწავლებლისა და გიმნაზიის მოსწავლეები არ ემორჩილებიან უფროსებს, განაგრძობენ ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლები დაკეტილი იყო, მოწაფეები ცდილობდნენ გაეღოთ ისინი და იქ კრებები გაემართათ. გიმნაზიის ეზოში მათ კაზაკები დახვდათ, რომლებმაც სროლა დაუწყეს. რამდენიმე მოწაფე დაიჭრა. ქუთაისის მოსწავლეთა საერთო ლოზუნგები იყო: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „ძირს მეფის მთავრობა!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“.

4 თებერვალს იურიევის ვეტერინარულ ინსტიტუტში შედგა სტუდენტთა საერთო კრება. რევოლუციური სიტყვებით გამოსულ ორატორებს ტრიბუნიდან ჩამოსვლისას აცილებდნენ შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ და სხვ. კრებამ მიიღო რეზოლუცია არსებული წყობილების შეცვლის აუცილებლობის შესახებ, აგრეთვე დაადგინა მეცადინეობა შეეწყვიტათ პირველ სექტემბრამდე. რეზოლუცია ჩააბარეს ინსტიტუტის დირექტორს.

ახალგაზრდობის მძლავრი რევოლუციური აღმავლობა ბოლშევიკების წინაშე აყენებდა ამოცანას კიდევ უფრო გაეძლიერებინათ პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისათვის. ბოლშევიკების წინაშე დაისვა საკითხი თუ როგორ და საიდან მოეკრიბათ ძალები, რომ რევოლუცია ბოლომდე მიეყვანათ. ამ კითხვაზე ვ. ი. ლენინი უპასუხებდა, რომ ასეთ ძალას პირველ ყოვლისა წარმოადგენს პროლეტარიატი, მშრომელი გლეხობა და რევოლუციური ინტელიგენცია. ლენინი ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტებისაგან მოითხოვდა ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაებათ მთელი პროგრესული ახალგაზრდობა, რათა ამით გაეძლიერებინათ

რევოლუციის ძალები. ლენინი მიუთითებდა, რომ საჭიროა „...ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, ა რ გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს მ ი ს ი. ომიანობის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც. უკუაგდეთ უმოძრაობის, ხარისხის პატივისცემისა და ყველა სხვა მსგავსი ძველი ჩვეულება. ახალგაზრდობისაგან დაარსეთ ვპერიოდელთა ა ს ო ბ ი თ წრე და წააქეზეთ ისინი რაც ძალი და ღონე აქვთ იმუშაონ“ [1].

ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებდნენ ლენინის ამ მითითებას, რის შედეგად დიდად გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა და ავტორიტეტი მოსწავლე ახალგაზრდობაში. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის, რომ 1905 წლის თებერვალში პეტერბურგის სტუდენტთა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შემავალ სტუდენტთა 14 სოციალ-დემოკრატიული ჯგუფიდან მხოლოდ 4 ჯგუფი გავიდა ამ ორგანიზაციიდან მენშევიკების წინადადებით, დანარჩენი ჯგუფები განაგრძობდნენ მოღვაწეობას ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. ბოლშევიკებმა ფართოდ ჩააბეს სტუდენტები საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში. სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებში განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაობას ეწეოდნენ სტუდენტები: დ. ზ. მანუილსკი, ლ. ა. იაკოვლევი, მ. კუჩეროვსკი, კ. ს. ჟერნოვეცკი, ა. ა. გაპეევი და სხვ. 1905 წლის რევოლუციის დროს სტუდენტებიდან შეიქმნა ტექნიკური, გამომცემლობის, ფინანსური, ლიტერატურის გამავრცელებელი და სხვ. ჯგუფები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკებს მასების მომზადებაში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის ტექნიკურ ჯგუფს სათავეში ედგა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი ა. ი. ზაბლოცკი. მისივე ხელმძღვანელობით პეტერბურგში მოეწყო ორი პარტიული სტამბა. სტუდენტობა დიდ დახმარებას უწევდა ბოლშევიკებს იარაღის შესაძენად თანხების შეგროვებაშიც.

ბოლშევიკები ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ ინტელიგენციის მიერ მოწყობილ ყოველგვარ კრებებზე, მიტინგებზე, სალამოებზე, ლიტერატურულ წრეებში და სხვ. 1905 წლის 1 მარტს ქ. კიევის ადგილობრივ არტისტულ საზოგადოებაში ლიტერატორ ვოდოვოზოვის ინიციატივით შედგა მოსწავლე ახალგაზრდობის კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი. კრებაზე რეფერატი წაიკითხა რსდმპ კიევის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 160.

კომიტეტის წევრმა ალექსანდრე სკრინიკოვმა, რომელიც ლაპარაკობდა ბაქოში მუშათა გამოსვლების შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პეტერბურგში, კიშინიოვსა და ბაქოში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაში დამნაშავეა მეფის მთავრობა და არა სხვა ვინმე. როდესაც ამ კრების მოწვევის ინიციატორმა ლიბერალმა ვოდოვოზოვმა წამოაყენა წინადადება რუსეთში კონსტიტუციის შემოღების შესახებ, კრების დამსწრენი მას შეხვდნენ საერთო აღშფოთებული შეძახილებით: — „არ გვინდა იგი, საჭიროა რევოლუცია“ — და დაიწყეს მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებების გავრცელება.

თებერვალში ოდესის ყველა სასწავლებელში და კურსებზე გაძლიერდა რევოლუციური პროპაგანდა, მოსწავლეებსა და სტუდენტებში სოციალ-დემოკრატები ავრცელებდნენ რევოლუციურ ფურცლებს, პროკლამაციებს, რომლებიც მოუწოდებდნენ სახალხო აჯანყებისაკენ. თებერვლის ბოლო რიცხვებში ოპოზიციური მოძრაობა გაძლიერდა ოდესის პედაგოგიური კურსების მსმენელთა შორის; თავიანთ კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებები, რომ მხარი დაეჭირათ მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობისათვის. ამ მიზნით სტუდენტებმა გამოაცხადეს გაფიცვა. რევოლუციურმა მოძრაობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობამ სულ დახურა კურსები.

1905 წლის მარტის მეორე ნახევარში საპროტესტო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს შორის. 18 მარტს იაროსლავლის გიმნაზიის მოსწავლეთა საპროტესტო კრების დროს ვერაგულად მოკლეს 16 წლის მოწაფე ნიკოლოზ პანოვი. მის დასაფლავებას დაესწრნენ ქალაქის ყველა სასწავლებლის მოწაფეები, მათ შეუერთდნენ ქალაქის მშრომელებიც. დასაფლავება საპროტესტო პოლიტიკურ დემონსტრაციად აქციეს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მოსწავლეებს აუკრძალა გვირგვინების გამოტანა, რამდენიმე გვირგვინი მაინც გამოიტანეს; გვირგვინების ლენტებზე იყო წარწერა: „თვითმპყრობელობის მსხვერპლი“. სასაფლაოზე გამართეს მიტინგი, სადაც ორატორები მოუწოდებდნენ არსებული წყობილების დამხობისაკენ. ხალხში გაისმოდა შეძახილები: „ძირს მეფე!“, „ძირს თვითმპყრობელობა!“ და სხვ.

19 მარტს ხარკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბა იურიდიული საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრო 1.000-ზე მეტი კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა პროფესორი გრედესკული. დამსწრე საზოგადოება შედგებოდა მუშებისა და რევოლუციური ინტელიგენციისაგან, მათ შორის სჭარბობდა სტუდენტობა. თავმჯდომარე შეეცადა კრებისათვის მიეცა ლიბერალური ხასიათი და განსახილველად შემოიტანა საკითხი „იმ მონახაზთა

შესახებ. რომელიც გამოცხადებულია მისი უდიდებულესობის 18 თებერვლის რესკრიპტით"; მაგრამ კრებაზე დამსწრე საზოგადოება აღშფოთებით შეხვდა თავმჯდომარის ამ წინადადებას და უარყო იგი. დიდი და ცხარე კამათის შემდეგ ღამის 1 საათზე კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა თვითმპყრობელური წყობილების შეცვლას და დამფუძნებელი კრების მოწვევას. კრებაზე გადმოყარეს მრავალი რევოლუციური მოწოდება. კრების დასასრულს იმღერეს „მარსელიოზა" და სიმღერითა და რევოლუციური ლოზუნგებით გაემართნენ ქუჩაში, სადაც ისინი დაშალა პოლიციამ და ჯარმა.

პეტერბურგის სტუდენტთა გაერთიანებულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 1905 წლის 21 მარტს გამოუშვა ფურცელი, სადაც მოუწოდებდა სტუდენტებს მხარი დაეჭირათ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის. „...ვაფასებთ რა სტუდენტთა თანამედროვე მოძრაობას, — ნათქვამი იყო ფურცელში, — როგორც პროლეტარიატის ბრძოლით წარმოშობილ მოძრაობას, ჩვენ ვიბრძვით ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც შეზღუდავს მის ფარგლებს წმინდა აკადემიური მოძრაობის ფარგლებამდე. ჩვენ ვამბობთ. რომ არ კმარა მარტოოდენ გაფიცვა, და მოვუწოდებთ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე მომენტის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, საერთო-სახალხო აჯანყების მომზადებაში, მთელი ძალებით დაეხმარონ განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილ საფუძველს — მუშათა კლასს" [1].

მუშათა რევოლუციური გავლენით და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სტუდენტთა მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. მძლავრი საპროტესტო მოძრაობით მოსკოვისა და პეტერბურგის სტუდენტობას არ ჩამორჩა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტობაც. კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები გახშირდა და გაძლიერდა ოდესის სტუდენტობაში. სტუდენტთა საერთო კრებებზე ცხარე მსჯელობის შემდეგ 1905 წლის 2 აპრილს ოდესის სტუდენტობამ მოაწყო დიდი საპროტესტო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებმა, პროგრესულმა ინტელიგენციამ და მუშებმა. დემონსტრანტების წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა კაზაკები და პოლიცია, რომლებმაც ცემით და სროლით დაშალეს დემონსტრანტები. დე-

---

[1] პეტერბურგის ბოლშევიკები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. (1905 — 1907 წწ.), 1955, გვ. 283.

მონსტრაციაში ბევრი ქართველი სტუდენტი ღებულობდა მონაწილეობას.

ოდესის უნივერსიტეტი რევოლუციური ტრადიციების მქონე უნივერსიტეტი იყო. 1905 წლის რევოლუციის მძლავრმა ძალამ აიძულა თვითმპყრობელური მთავრობა უმაღლესი სასწავლებლებისათვის დროებით მიენიჭებინა ზოგიერთი დემოკრატიული უფლება. ამან საშუალება მისცა პროგრესულ პროფესორ-მასწავლებლობას უნივერსიტეტების ხელმძღვანელობაში გაეყვანათ დემოკრატიულად განწყობილი პროფესორები, რომლებიც ბევრს ზრუნავდნენ სტუდენტთა საკეთილდღეოდ და მეცნიერების პროგრესისათვის. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეცნიერებიც. ცნობილია, რომ ოდესის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები — ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი რევოლუციური სტუდენტების მხარეზე დადგნენ. ისინი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს, რათა უნივერსიტეტის აუდიტორიები მუშებსა და სტუდენტებს გამოეყენებინათ მიტინგებისა და კრებების ჩასატარებლად, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დასჯილ ადამიანებს.

1905 წლის რევოლუციის გავლენით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში წამოწეულთა შორის იყო პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი. იგი 1907 წელს არჩეულ იქნა ოდესის უნივერსიტეტის რექტორად. მუშაობის მეტად მძიმე პირობების მიუხედავად პროფესორი პეტრიაშვილი თავისი რექტორობის დროს უშიშრად და თავდადებით იცავდა სტუდენტობას და უნივერსიტეტის ღირსებას. რევოლუციური მოძრაობის თანაგრძნობისათვის, უნივერსიტეტში დემოკრატიულ ღონისძიებათა გატარებისათვის, პროგრესული პროფესორებისა და სტუდენტობის თავგამოდებული დაცვისათვის მთავრობამ პეტრიაშვილი შეიძულა და საშიშარ პიროვნებად მიიჩნია. ქართველი ხალხის საზიზღარი ჯალათის ტოლმაჩოვის დაჟინებითი მოთხოვნით პეტრიაშვილი მოხსნეს რექტორობიდან.

რევოლუციურ მოძრაობას თანაგრძნობით შეხვდა სახელოვანი მეცნიერი ი. რ. თარხნიშვილი. იგი ჯერ კიდევ 70-იან წლებში მიემხრო პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას. თარხნიშვილი 1870 წელს მონაწილეობდა სამედიცინო აკადემიისა და სამიწათმოქმედო ინსტიტუტის სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციაში, რისთვისაც ორგანიზაციის სხვა აქტიურ წევრებთან ერთად პასუხისგებაში მისცეს. ცნობილია აგრეთვე, რომ იგი განიცდიდა დიდი რუსი განმანათლებლების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვ. სერიოზულ

გავლენას. 1905 წლის რევოლუციის დროს თარხნიშვილი სახალხო რევოლუციას უპერდა მხარს. ამას ადასტურებს რევოლუციის დროს მისი გამოსვლები და მთელი რიგი რევოლუციური ხასიათის ნაწერები. ჟურნალში „ზნანიე ი ჟიზნი", რომლის რედაქტორიც იყო ი. თარხნიშვილი, 1905 წელს ხშირად იბეჭდებოდა კორესპონდენციები მუშების მძიმე მდგომარეობის შესახებ, რევოლუციის მსვლელობაზე, ცალკეულ ქალაქებში რევოლუციური გამოსვლების შესახებ, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული მეფის მთავრობის სულთამხუთავი პოლიტიკა.

ი. თარხნიშვილი მატერიალურ დახმარებასაც კი უწევდა რევოლუციურ მოსწავლე ახალგაზრდობას. საჯარო ლექციებიდან მიღებულ შემოსავალს იგი ახმარდა რევოლუციურ სტუდენტობას.

ი. თარხნიშვილის ნაშრომებიდან ყურადღებას იმსახურებს 1906 წელს დაწერილი წიგნი — „ნერვული საუკუნე", რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ექსპლოატატორული კლასები საერთოდ და კერძოდ კი რუსეთის ბურჟუაზიული და მემამულური კლასები. ამ ნაშრომში თარხნიშვილი აშკარად და გაბედულად აღნიშნავდა, რომ მშრომელი მასების დაავადებისა და სიკვდილიანობის მიზეზი არის ის მძიმე მატერიალური და ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ხალხი. დამაჯერებელი ფაქტების საფუძველზე თარხნიშვილმა ამ წიგნში უჩვენა რუსეთის მუშათა კლასის მძიმე მატერიალური და უუფლებო მდგომარეობა და მისი კიდევ უფრო გაუარესება ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების პირობებში.

მთავრობის ნებართვით და ხელისშეწყობით ოდესაში ებრაელთა ჟლეტვის დროს, როცა ქალაქის ქუჩები მოირწყო უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლით, გმირულად დაიღუპა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი საბა კლდიაშვილი. „დაიღუპა ახალგაზრდა მეცნიერი, — წერდა დ. კლდიაშვილი, — საოცარი მგრძნობიერი ადამიანი, ყველა მისი მცნობის საყვარელი პიროვნება. ნიჭიერი, გატაცებული მეცნიერებით, იგი... მუშაობაში იყო ჩაბმული ქართველ სახელოვან მეცნიერებთან, ოდესის პროფესორებთან პეტრე მელიქიშვილთან და ვასილ პეტრიაშვილთან" [1].

ს. კლდიაშვილის უდროოდ დაღუპვამ დიდი მწუხარება გამოიწვია მოწინავე საზოგადოებრიობაში, განსაკუთრებით პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტობაში. ოდესის უნივერსიტეტმა მისი ნეშტი საქართველოში გადმოგზავნა. კლდიაშვილის ნეშტის შესა-

[1] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, 1932, გვ. 258.

ხვედრად ბათუმში დამკრძალავმა კომიტეტმა მოაწყო მიტინგი, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო. სიტყვებით გამოვიდნენ მთელი რიგი ორატორები, მათ შორის ს. ქავთარაძეც. მიცვალებულს სიტყვით მიმართა ებრაელმა ჯარისკაცმა:

„— ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, შენი ყველაფერი. ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი... შენც იგი გხვდა, რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ შენს ჩვენდამი გულკეთილობას, შენს სახელს, შენს ჩვენთვის ძვირფას სახელს. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლელებს... ჩვენს მტარვალებს!“ [1].

კლდიაშვილის ნეშტი ქ. ქუთაისში ჩამოასვენეს. აქ „სობოროს“ მოედანზე მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი, სადაც მრავალი ორატორი გამოვიდა სიტყვებით; ქალაქში გაიმართა უზარმაზარი საპროტესტო დემონსტრაცია, მასში მონაწილეობა მიიღო მთელმა ხალხმა. დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს და გაიძახოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს. ასეთი ხასიათის სამგლოვიარო პროცესიის ჩატარება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ქუთაისის გუბერნატორმა სტაროსელსკიმ განკარგულება გასცა პროცესიისათვის ხელი არ შეეშალათ.

იმის გამო, რომ რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო სტუდენტთა მოძრაობა სისხლიანი რეპრესიებით ვერ ჩაშალა, მეფის მთავრობა შეეცადა სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ გამოეყენებინა სხვა ზომებიც. 1905 წლის 27 აგვისტოს მან გამოსცა ბრძანებულება უნივერსიტეტებისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭების შესახებ. მეფის მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ დათმობით შეაჩერებდა სტუდენტთა მღელვარებას, ჩამოაშორებდა მას მუშათა რევოლუციურ ბრძოლას. მაგრამ მთავრობა მოტყუვდა ანგარიშში; რევოლუციურმა სტუდენტობამ უნივერსიტეტისათვის მინიჭებული ავტონომია რევოლუციის სასარგებლოდ გამოიყენა — უმაღლესი სასწავლებლები რევოლუციის ტრიბუნად გადააქცია.

1905 წლის იანვარში დაწყებული სტუდენტთა მოძრაობა თანდათანობით ძლიერდებოდა. ასეთ სერიოზულ ვითარებაში ახლოვდებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყების დრო. ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკური პარტიის წინაშე წამოიჭრა საკითხი: რა უფრო სასარგებლო იქნება რევოლუციისათვის: გაფიცვების გაგრძელება

[1] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 259 — 260.

თუ მეცადინეობის დაწყება პირველი სექტემბრიდან? რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მომქმედი აგენტების თათბირზე კადაწყვიტეს სტუდენტებისათვის ერჩიათ პირველ სექტემბრისათვის გაფიცვები შეეწყვიტათ და შესდგომოდნენ მეცადინეობას, იმ მიზნით, რომ უმაღლესი სასწავლებლები გამოეყენებინათ რევოლუციის ტრიბუნად.

1905 წლის აგვისტოში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, სადაც მოუწოდებდა სტუდენტობას მოეხდინა ძალების მობილიზაცია და თავისი ბრძოლა შეეერთებინა პროლეტარიატის ბრძოლასთან თვითმპყრობელობის დასამხობად. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში — „ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში“ — აღნიშნული იყო: ახლოვდება თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი შეჯახების დრო, საჭიროა მთელი ძალების კონცენტრაცია ერთდროული დარტყმისათვის, სტუდენტობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამას და თავისი ძალების კოორდინაცია მოახდინოს პროლეტარიატის მოქმედებასთან, რომელიც რუსეთის რევოლუციის ყველაზე მთავარ ძალას წარმოადგენს; ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს სტუდენტობას — სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო პროპაგანდის დაწყების შემთხვევაში მოწყობილ იქნას აშკარა გამოსვლები.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა სტუდენტობას, რომ გაფიცვების გამოცხადება ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია სტუდენტთა რევოლუციური მოქმედების ნაკლებ მიზანშეწონილ ფორმად, რომ ახლა საჭიროა არა გაფიცვა, არამედ სტუდენტთა ძალების მობილიზაცია და ორგანიზაცია პროლეტარიატთან ერთად საერთო გამოსვლისათვის.

ბოლშევიკები ურჩევდნენ სტუდენტებს საჭირო შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებლების აუდიტორიების კარები გაეღოთ ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე პროლეტარიატისათვის და სხვა რევოლუციური ძალებისათვის. თავის 1905 წლის სექტემბრის მოწოდებაში — „ყველა მოსწავლე ახალგაზრდობას“ — რსდმპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა პროგრესულ მოსწავლე ახალგაზრდობას უმაღლესი სასწავლებლები გადაექცია თავისი რევოლუციური მუშაობის შტაბებად, ფართო პროპაგანდა ეწარმოებინა შეიარაღებული აჯანყების იდეისა. მოწოდებაში ნათქვამი იყო: თქვენ უნდა გამოიყენოთ ყველა საშუალება და მომენტი, ემზადეთ აჯანყებისათვის — რუსეთის რევოლუციის ამ ერთადერთ გამოსავალისათვის, ფართო პროპაგანდა გაუწიეთ შეიარაღებული აჯანყების იდეას, ასწავლეთ ამხანაგებს ქუჩის ბრძოლის ამოცანები და ტაქტიკა, შექმე-

ნით საბრძოლო რაზმები, ხელი შეუწყეთ პროლეტარიატის მობილიზაციას. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა სტუდენტობას გამოეყენებინა ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის მუშებისა და გლეხების ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, რომლებიც აუქმებდნენ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს და ქმნიდნენ თავის საკუთარ მმართველობას [1].

იქ მიზნით, რომ სტუდენტთა მოძრაობას ჰქონდა ერთი საერთო მოქმედების ტაქტიკური ხაზი, რომ ამ მოძრაობას მიეღო უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი, ბოლშევიკების რჩევით გადაწყდა მოეწვიათ სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობის მოსამზადებლად დიდი მუშაობა გაშალეს ბოლშევიკმა სტუდენტებმა. 1905 წლის 13 სექტემბერს შედგა სრულიად რუსეთის სტუდენტთა ყრილობა ქ. ვიბორგში. ყრილობას დაესწრო 23 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. ყრილობამ განიხილა სტუდენტთა ბრძოლის ტაქტიკის, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და სხვ. საკითხები. მათი განხილვის დროს ყრილობაზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა, მენშევიკებსა, ესერებსა და კადეტებს შორის. დიდი კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცარიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არის სტუდენტობის პირველი რიგის მთავარი ამოცანა. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „სტუდენტობამ თავისი ძალების კონცენტრაცია და მობილიზაცია უნდა მოახდინოს მსხვილ ქალაქებში და მათ საშუალება უნდა მიეცეთ უმაღლესი სასწავლებლები გამოიყენონ მოსახლეობის ფართო მასებში რევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, და მიიღონ ზომები სტუდენტთა საბრძოლო რაზმების მოსაწყობად ისე, რომ საჭირო მომენტში სტუდენტობას შეეძლოს მიემხროს საერთო პოლიტიკურ გაფიცვას და შეიარაღებულ აჯანყებას“ [2]. ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია დამფუძნებელი კრების შესახებ. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, რეზოლუცია მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრებისადმი დამოკიდებულების ბოლშევიკური ტაქტიკის საფუძველზე.

რუსეთის სტუდენტობამ მიიღო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რჩევა ახალ სასწავლო წელს მეცადინეობის დაწყების შესახებ და 1905 წლის 1 სექტემბერს მეცადინეობა დაიწყო ყველა უმაღლეს სასწავლებელში; მეცადინეობის დაწყებისთანავე ყველგან ჩატარ-

---

[1] იხ. გაზ. „პროლეტარი“, 1905, 10 ოქტომბერი (27 სექტემბერი).

[2] ჟურნ. „ოპოროსი ისტორიი“, № 10, 1955, გვ. 77.

და სტუდენტთა კრებები. ამ კრებების ერთი საერთო და ძირითადი საკითხი იყო რევოლუციაში სტუდენტთა შემდგომი მონაწილეობის საკითხი. კრებებზე აქტიურად გამოდიოდნენ და პარტიის პოლიტიკურ ხაზს იცავდნენ ბოლშევიკი სტუდენტები და მათი მომხრე ახალგაზრდობა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით 1905 წლის სექტემბერში უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული სტუდენტთა კრებების მნიშვნელოვანი მომენტი იყო აგრეთვე ის, რომ კრებებზე სტუდენტებმა შემოუშვეს მუშათა წარმომადგენლები, რომლებსაც საშუალება მიეცათ სიტყვებით გამოსულიყვნენ ამ კრებებზე. მუშათა წარმომადგენლები თავიანთ სიტყვებში მოუწოდებდნენ სტუდენტებს მისულიყვნენ ფაბრიკებში და ქარხნებში რევოლუციური პროპაგანდის ჩასატარებლად, სოციალისტური იდეების შესატანად, სტუდენტთა მოძრაობის მუშათა მოძრაობასთან დასაკავშირებლად. მუშების ამ მგზნებარე რევოლუციურ გამოსვლებს სტუდენტთა აუდიტორიები ხვდებოდნენ მქუხარე ოვაციებით.

1905 წლის 27 აგვისტოს მოსკოვის უნივერსიტეტის ორგანომ გამოუშვა სტუდენტებისადმი მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1905 წლის 1 თებერვლის საერთო კრების გადაწყვეტილებით სტუდენტობა 1 სექტემბერს უნდა შეგროვდეს საერთო კრებაზე განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი ტაქტიკის განსახილველად. მოწოდებას ხელს აწერდნენ: მოსკოვის უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანო, მოსკოვის საინჟინერო სასწავლებლის, მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ქალთა უმაღლესი კურსების ორგანიზაციები[1].

ამ მოწოდების საფუძველზე 1905 წლის 7 სექტემბერს მოსკოვის უნივერსიტეტში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი. დამსწრეთა შორის 400 სტუდენტი ქალი იყო. კრებას აგრეთვე ესწრებოდნენ მუშები და რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელი. კრებასთან კავშირი დაამყარეს ბოლშევიკებმა. სიტყვებით გამოვიდა მრავალი ორატორი. კრებამ მღელვარე ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით მოსკოვის მეორე უბნის ბოქაული თავის საიდუმლო მოხსენებაში წერდა, კრებაზე „...იყიდებოდა ღია ბარათები შემდეგი სურათების გამოსახულებით: მდინარე, მის ნაპირზე დგანან ყველა ქვეყნის მეფენი, მდინარეში ცურავს ყინულის ნაჭერი და ზედ დგას რუსეთის მეფე, რომელსაც დაგლეჯია

[1] მცსია, ფ. 63, საქ. № 26, 1905, ფ. 33.

პორფირი და გვირგვინი, მის ფეხთით ყინულზეა სახელმწიფო, რომელიც წყალში ეშვება... მეფე ხელს იწვდის ნაპირისაკენ, თითქოს დახმარებას ითხოვს; მეორე სურათი გამოსახავს რუსეთის მეფეს, რომელიც უზარმაზარ ხმალს უქნევს ჰიდრას; მეფე ჰიდრას ჭრის თავს, მაგრამ მის ადგილას შვიდი თავი ჩნდება...“ [1].

კრებაზე იყო ოთხი სხვადასხვა დაჯგუფება: 1) აკადემიური — 74 ხმით, რომელიც იცავდა აზრს „მეცნიერება მეცნიერებისათვის“; 2) რევოლუციურ-აკადემიური—1 202 ხმით; ეს მიმართულება იცავდა იმ აზრს, რომ შეიძლება მეცნიერებას ეუფლებოდე და ამავე დროს რევოლუციურ მუშაობასაც ეწეოდეო; 3) გაფიცულები — 192 ხმით, რომლებიც მეცადინეობის დაწყების წინააღმდეგნი იყვნენ და გაფიცვის გაგრძელებას მოითხოვდნენ, ე. ი. წინააღმდეგი იყვნენ იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლები გადაქცეულიყო რევოლუციურ ტრიბუნად და 4) რევოლუციური ტრიბუნისტები — 254 ხმით. პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში ამ უკანასკნელი მიმართულების შესახებ აღნიშნული იყო, რომ იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და საშიშარი მიმდინარეობაა. ეს დაჯგუფება კრებაზე ახორციელებდა ბოლშევიკების მითითებას, ცდილობდა უნივერსიტეტი გადაექცია რევოლუციის ტრიბუნად, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მუშებში და ინტელიგენციაში შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის იდეის პროპაგანდის ტრიბუნად.

ხანგრძლივი ცხარე კამათის შემდეგ საერთო კრებამ ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ბულიგინის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. რეზოლუციაში მხილებული იყო მეფის მთავრობის ეს ახალი ხრიკი, მხილებული იყო მთავრობის მიერ უნივერსიტეტში შემოღებული წესები; ამავე დროს აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით არის შესაძლებელი ქვეყნის ხსნა პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

კრებამ მიიღო დადგენილება გაეშალათ აგიტაცია და პროპაგანდა სტუდენტებში, უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ფართო მასებში და მომზადებულიყვნენ ერთდროული გამოსვლისათვის მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად, დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების მოსაწვევად, რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შესაქმნელად.

სტუდენტთა საერთო კრების ამ რეზოლუციას მიესალმა და მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა. აფასებდა რა ამ რეზოლუციის

[1] მცსია, ფ. 63, საქ. № 26, 1905, ფ. 79.

მნიშვნელობას, სტატიაში — „პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში“ — ლენინი წერდა: „ეს რეზოლუცია ნამდვილი ენით, თავისუფალ მოქალაქეთა და არა მლიქვნელ მოხელეთა ენით სამარცხვინო ბოძზე აკრავს სახელმწიფო სათათბიროს, როგორც ხალხის თავხედურ აბუჩად აგდებას, მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ რესპუბლიკისათვის, დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ ნამდვილად საყოველთაო, სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის“ [1].

12 სექტემბერს მოსკოვის უნივერსიტეტში შედგა საერთო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა ბრძოლის ახალი ტაქტიკის გამოსამუშავებლად. კრებამ სოციალ-დემოკრატების წინადადებით, სტუდენტთა ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედების მიზნით, შექმნა კოალიციური საბჭო მენშევიკებისა და ესერებისაგან. კრებამ ამავე დროს შექმნა უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის შიგნით სტუდენტთა ცხოვრების ნორმალიზაციას, მაგრამ სტუდენტთა უმაღლეს ინსტანციად ისევე სტუდენტთა საერთო კრება რჩებოდა.

რევოლუცია განუხრელად იზრდებოდა. 19 სექტემბერს დაიწყო მოსკოვის მბეჭდავი მუშების გაფიცვა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მოედო მოსკოვის მთელ საწარმოებს. გაფიცვების ორგანიზაციას და გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ უმაღლესი სასწავლებლები რევოლუციის ტრიბუნად იყო გადაქცეული.

პროლეტარიატსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების საჭიროებისა და აუცილებლობის შეგნება დღითიდღე ძლიერდებოდა. სექტემბერში სტუდენტთა კრებებზე მოდიოდა ათასობით მუშა. 1905 წლის 19 სექტემბერს შედგა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 2.000 სტუდენტი, 500-ზე მეტი მუშა და უმაღლესი კურსების მსმენელები. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია სტუდენტი ენგელი. სიტყვაში გამოსული მრავალი ორატორი სტუდენტობას მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, მუშებთან ერთობლივი მოქმედებისაკენ. პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკური ნაწილის საიდუმლო მოხსენებაში წერია, რომ კრებამ მღელვარე ხასიათი მიიღო; კრების მონაწილეები განსაკუთრებით ამეღავნებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილებას. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ კრებამ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღო: გაუქმებულ იქნეს ინსპექცია და სტუდენტთა ფორმის სავალდებულო ტარება; პროფესორთა საბჭოსთან

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ'ი, თხზ., ტ. 9, გვ. 428 — 429.

ურთიერთობის დასამყარებლად შემოღებულ იქნეს საკურსო სტა-
როსტების ინსტიტუტი, აღიარებულ იქნეს უნივერსიტეტში თავისუ-
ფალი მიღება ეროვნების, სარწმუნოებისა და სქესის განურჩევლად;
უნივერსიტეტში თავისუფალი შესვლის უფლება მიეცეს ებრაელებს;
უნივერსიტეტში შესვლის უფლება მიეცეს ყველა იმ სახალხო მას-
წავლებელს, რომლებმაც ხუთი წელიწადი იმსახურეს; აღდგენილი
იქნეს ყველა ის სტუდენტი, რომლებიც პოლიტიკური დანაშაულისა-
თვის გარიცხული იყვნენ უნივერსიტეტიდან; უნივერსიტეტის სა-
ხელწოდებიდან ამოვარდეს სიტყვა „იმპერატორის"; სტუდენტთა
კრებებზე და ლექციებზე დასწრების უფლება მიეცეთ მუშებს; გან-
თავისუფლებულ იქნენ უნივერსიტეტიდან ის პროფესორები, რომ-
ლებსაც სტუდენტობა ცუდად ახასიათებს[1]. კრებაზე შემოტანილი
წინადადების საფუძველზე მოეწყო შეწირულების შეგროვება სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიის საჭიროებისათვის, წითელი ჯვრის,
პოლიტიკური პატიმრებისა და გადასახლებულთა დასახმარებლად.

მთელმა სექტემბერმა პეტერბურგის სტუდენტთა განუწყვეტელი
რევოლუციური კრებების ნიშნით ჩაიარა. 28 სექტემბერს პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოწვეულ იქნა მიტინგი,
რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა პარტიების, მუშებისა და ინტე-
ლიგენციის წარმომადგენლები. კრებაზე დიდი არეულობა და ხმაუ-
რი გამოიწვიეს ანარქისტებმა, რომლებიც გამოვიდნენ მოწოდე-
ბით — დაერტყათ როგორც ხელისუფლებისათვის, ისე ინტელიგენ-
ციისათვის, ვინაიდან ინტელიგენცია მხოლოდ ატყუებს მუშებსო.
ინტელიგენციის წინააღმდეგ ლაშქრობის მოთხოვნამ სასტიკად აღა-
შფოთა სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც ანარქისტებს ხულიგ-
ნები და შავრაზმელები უწოდეს.

სტუდენტთა კრებები და მიტინგები სექტემბერში მთელი ძალით
გრძელდებოდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. 21 სექტემბერს
მოსკოვის უნივერსიტეტში შედგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელ-
საც დაესწრნენ მუშები და მოსკოვის თითქმის ყველა უმაღლესი
სასწავლებლის სტუდენტები. ორატორები დამსწრეებს მოუწო-
დებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

მთავრობისათვის აშკარა გახდა, რომ უმაღლესი სასწავლებლები
გადაქცეული იყვნენ რევოლუციის ტრიბუნად; ამიტომ მან გადა-
წყვიტა დაეხურა უმაღლესი სასწავლებლები. მოსკოვის უნივერსი-
ტეტის ლიბერალურმა პროფესურამ დაადგინა 22 სექტემბრიდან
უნივერსიტეტი დახურულიყო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ დიდი

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00325, 1905, ფ. 17 — 18.

აღშფოთება გამოიწვია სტუდენტობაში და კიდევ უფრო გააძლიერა საპროტესტო მოძრაობა. იმავე დღეს, ესე იგი 22 სექტემბერს, შედგა სტუდენტთა კრება, რომელმაც ერთხმად მოითხოვა უნივერსიტეტის გაღება. ლიბერალური პროფესურის რეაქციულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის დახურვის შესახებ ღრმა პოლიტიკური შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა. „ლიბერალებმა თავისუფლება გამოიყენეს, — წერდა ლენინი, — რათა ეღალატათ თავისუფლებისათვის, რათა შეეკავებინათ სტუდენტები ბრძოლის გაფართოებისა და გამწვავებისაგან, რათა ექადაგნათ „წესიერი საქციელი" — ბაშიბუზუკებისა და შავრაზმელების, ბატონ ტრეპოვისა და რომანოვის წინაშე! ლიბერალებმა თვითმმართველობა იმისთვის გამოიყენეს, რომ განეგოთ ხალხის ჯალათთა საქმეები, დაეხურათ უნივერსიტეტი, ეს მათრახოსანთა მიერ ნებადართული „მეცნიერების" საკურთხეველი, რომელიც სტუდენტებმა შებილწეს იმით, რომ „საძაგელი ბრბო" შეუშვეს თვითმპყრობელური ბანდის მიერ „ნებადაურთველი" საკითხების განსახილველად. თვითმმართველი ლიბერალები ღალატობდნენ ხალხს და ღალატობდნენ თავისუფლებას, ვინაიდან მათ ეშინოდათ უნივერსიტეტის კედლებში ხოცვა-ჟლეტისა. და ისინიც სამაგალითოდ დაისაჯნენ თავიანთი საძაგელი სილაჩრისათვის. რევოლუციური უნივერსიტეტის დახურვით მათ ქუჩის რევოლუციას გაუღეს კარი. ეს უბადრუკი პედანტები თითქმის უკვე ზეიმობდნენ, არამზადა გლაზოვებთან ერთად; ხანძრის ჩაქრობას სკოლაში. სინამდვილეში კი მათ მხოლოდ გააღვივეს ხანძარი უზარმაზარ სამრეწველო ქალაქში"[1].

სტუდენტთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობით დამფრთხალმა მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე გამოიტანა დადგენილება — ეთხოვოს მთავრობას, რათა გამოსცეს ისეთი მითითებანი, რომელიც სტუდენტობას ასეთი მოქმედების საშუალებას მოუსპობდა და გააფართოებდა საბჭოს უფლებებს. იმ მიზნით, რომ პროფესორთა საბჭოს ამ დადგენილების გამო უფრო სწრაფი გადაწყვეტილება მიეღო მთავრობას, 28 სექტემბერს უნივერსიტეტის რექტორი თავადი ს. ნ. ტრუბეცკოი პირადად გაემგზავრა პეტერბურგში. მეორე დღეს ტრუბეცკოი გამოცხადდა განათლების სამინისტროში, სადაც მას აღშფოთებული შეხვდნენ ხელმძღვანელები და კარგადაც დატუქსეს იმ რევოლუციური მოძრაობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტში. შეურაცხყოფილი და სტუდენტთა მძლავრი რევოლუციური მოძ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 465 — 466.

რაობით შეშინებული ტრუბეცკოი უეცრად მოკვდა განათლების სამინისტროს დერეფანში. ტრუბეცკოის მოულოდნელ სიკვდილთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა დასწერა წერილი „ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო". „ჩვენ მზადა ვართ დავუშვათ, — წერდა ლენინი, — რომ ეს მეტისმეტად სასტიკი სასჯელია, რუსეთის ლიბერალისათვისაც კი. მაგრამ ნუთუ, ბატონებო, ხალხის თავისუფლების მომხრეთათვის უფრო კარგი, უფრო ღირსეული არ იქნება, რომ სრულიად გაუყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა ჯალათთა და ჯაშუშთა მთავრობასთან? ნუთუ უმჯობესი არ იქნება სიკვდილი უშუალო, პატიოსან, აშკარა, ხალხის განმანათლებელ და აღმზრდელ ქუჩის ბრძოლაში ამ ქვეწარმავლებთან, რომელთა გაუნადგურებლად ნამდვილი თავისუფლება შეუძლებელია, კიდრე სიკვდილი „უსიამოვნების" გამო ტრეპოვებთან და მის საზიზღარ ლაქიებთან საუბრის დროს?"[1].

მთელს ქვეყანაში სტუდენტთა ამ საყოველთაო-საპროტესტო მოძრაობის დროს დიდი ბრძოლა წარმოებდა ბოლშევიკებს, მენშევიკებს, ესერებსა და კადეტებს შორის. ბოლშევიკებს განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მენშევიკები და ესერები. ისინი ცდილობდნენ თავის ხელში აეღოთ სტუდენტთა მოძრაობის მთელი ხელმძღვანელობა. მენშევიკები ეწეოდნენ მლიქვნელურ და ორჭოფულ პროპაგანდას, ფარისევლურად აქებდნენ სტუდენტებს. რაც შეეხება ესერებს, ისინი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დაწყების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მოითხოვდნენ გაფიცვების გაგრძელებას.

სხვადასხვა პარტიებს შორის გამართული ბრძოლების დროს გამოირკვა, რომ მოსწავლე რევოლუციური ახალგაზრდობა მიჰყვებოდა ბოლშევიკების პოლიტიკურ ხაზს. სტუდენტთა კრებების მონაწილე ახალგაზრდობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ბოლშევიკების რეზოლუციას, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ბულიგინის სათათბირო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ხალხის წარმომადგენლობით ორგანოდ, რომ იგი არის მეფის მთავრობის ცდა ჩაშალოს ხალხთა მასების მისწრაფება რევოლუციისაკენ, ჩაშალოს მათი რევოლუციური ბრძოლა.

ბოლშევიკების ბელადი ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის გაღრმავებისა და გაძლიერების საქმეში. იგი წერდა: „ეჭვს გარეშეა, აფეთქება კიდევ უფრო გაამწვავა მოსკოვის რევო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 462.

ლუციურმა სტუდენტობამ, რომელმაც ახლახან მიიღო პეტერბურ-
გის რეზოლუციის სრულიად ანალოგიური რეზოლუცია; იგი სამარ-
ცხვინო ბოძზე აკრავს სახელმწიფო სათათბიროს და მოუწოდებს
რესპუბლიკისათვის საბრძოლველად, დროებითი რევოლუციური
მთავრობის შესაქმნელად"[1].

1905 წლის ოქტომბერში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ფაბრი-
კა-ქარხნებმა მუშაობა შეწყვიტეს. ტრანსპორტის მუშაობა გაჩერდა.
გაზეთები აღარ გამოდიოდა, მუშებმა და მოსამსახურეებმა დაკეტეს
ფოსტა და ტელეგრაფი. გაფიცვის ამ ტალღამ კიდევ უფრო გააძლიე-
რა სექტემბერში დაწყებული სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა.
ოქტომბერში სტუდენტთა კრებებს უფრო ხშირად და უფრო მეტი
რაოდენობით ესწრებოდნენ მუშები და რადიკალური ინტელიგენ-
ცია, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სტუდენტთა კრებების რევოლუ-
ციური ხასიათი. ახლა უფრო ფართოდ და გაბედულად იხილავდნენ
სტუდენტები თავიანთ კრებებზე რევოლუციურ მოძრაობაში პრო-
ლეტარიატის მოქმედების ტაქტიკურ საკითხებს და მხურვალედ
უჭერდნენ მხარს მუშათა მოძრაობასთან მოსწავლე ახალგაზრდობის
დაკავშირების ბოლშევიკურ ხაზს.

რევოლუციური მუშებისა და პროგრესული სტუდენტობის
სოლიდარობა დღითი დღე ძლიერდებოდა. 5 ოქტომბერს პეტერბურ-
გის უნივერსიტეტში შედგა სახალხო მიტინგი, რომელსაც დაესწრო
12 ათასამდე კაცი. პოლიციის ცნობით, მათ შორის 7 ათასი მუშა იყო.
კრებამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო და გაგრძელდა ღამის 12 სა-
თამდე. კრებაზე გამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც
მოითხოვდნენ სახელმწიფო სათათბიროსადმი აქტიური ბოიკოტის
გამოცხადებას. 11 ოქტომბერს უნივერსიტეტში ისევ შედგა საერთო
კრება, რომელსაც დაესწრო 10.000 კაცი; მათ შორის იყვნენ სტუ-
დენტები, მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. კრებამ
განიხილა იგივე საკითხები, რაც 5 ოქტომბერს. კრების დასასრულს
მონაწილეებს შორის მოეწყო ფულის შეგროვება საბრძოლო რაზმე-
ბის საჭიროებისათვის.

7-დან 11 ოქტომბრამდე პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტი-
ტუტში მიმდინარეობდა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც
ესწრებოდა 8 000 კაცი; მათ შორის ბევრი იყო მუშა და მოსამსახუ-
რე. კრების ძირითადი საკითხი იყო „დასავლეთ ევროპაში პროლეტა-
რიატის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მომენტები". იმავე
დღეებში საერთო კრება ჩატარდა პეტერბურგის სამოქალაქო საინ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 415.

ჟინერო სასწავლებელში; კრებას ესწრებოდა 4.000 კაცი, მათ შორის ბევრი მუშა. კრებაზე გამოვიდა 22 ორატორი, რომლებიც მოითხოვდნენ მეფის მთავრობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. იარაღის შესაძენად კრებაზე ჩატარდა შეწირულების შეგროვება.

14 ოქტომბერს პეტერბურგის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა სტუდენტთა კრებები, რომლებსაც ესწრებოდა მრავალი მუშა. სტუდენტი ორატორები აგიტაციას უწევდნენ მუშებს, რომ აუცილებელია მუშებსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, რომ მუშები სისტემატურად უნდა მოდიოდნენ სტუდენტთა კრებებზე, ხოლო სტუდენტები უნდა ესწრებოდნენ მუშათა კრებებს. კრებებზე ყველგან ერთსულოვნად მოითხოვდნენ ადედგინათ უმაღლეს სასწავლებლებში ყველა სტუდენტი, რომლებიც გარიცხული იყვნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთო კრებამ, რომელსაც ბოლშევიკი სტუდენტი ენგელი თავმჯდომარეობდა, უარყო ესერების წინადადება შეეწყვიტათ მეცადინეობა. კრებამ დაადგინა უნივერსიტეტში მეცადინეობა არ შეწყდეს, მისი კარები ფართოდ გაიღოს რევოლუციური აგიტაციისათვის, გამოყენებულ იქნეს იგი რევოლუციის ტრიბუნად.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ სტუდენტთა რევოლუციურმა მოძრაობამ მეფის მთავრობას ხელიდან გამოგლიჯა კრებების თავისუფლება, რითაც პატარა ნაპრალი გაუჩნდა თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას. „და ამ ნაპრალში მაშინვე მოულოდნელი ძალით ახალი რევოლუციური ნაკადები შეიჭრა... სტუდენტების კრებებს მუშებმა მიაშურეს. გამოდიოდა რევოლუციური სახალხო მიტინგები, რომლებზედაც სჭარბობდა თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი“[1].

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დროს პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის გაძლიერების შესახებ საინტერესო ცნობებს აქვეყნებდა ბოლშევიკების ორგანო გაზეთი „პროლეტარი“. გაზეთი წერდა, რომ „არ არის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც არ ყოფილიყოს ერთი, ზოგჯერ ორი, სამი და მეტი მიტინგი. მიტინგებით დაკავებულია არა მარტო დარბაზები, არამედ ხაზვის აუდიტორიებიც კი“[2]. რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გმირული ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ქვეყნის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 465.
[2] გაზ. „პროლეტარი“, 1905, 16 (3) ნოემბერი.

თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულმა კრებებმა და მიტინგებმა დიდი როლი შეასრულა 1905 წლის ოქტომბრის სრულიად რუსეთის სახელოვანი პოლიტიკური გაფიცვების მომზადებისა და გატარების საქმეში. ამ კრებებს ამზადებდნენ და აწყობდნენ ბოლშევიკური კომიტეტები და მუშათა საბჭოები სტუდენტთა ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად. კრებებზე ღებულობდნენ დადგენილებებს რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მაგრამ ასეთ საკითხებზე რევოლუციური გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობდა სხვადასხვა პარტიებსა და ჯგუფებს შორის გაჟღენთილი ბრძოლის ვითარებაში. სტუდენტთა კრებებზე და მიტინგებზე მიღებული რევოლუციური გადაწყვეტილებანი მიუთითებს იმაზე, რომ მრავალრიცხოვან მასობრივ კრებებსა და მიტინგებზე ყველგან იმარჯვებდა ბოლშევიკური ხაზი, მასების დიდი ნაწილი მპარს უჭერდა ბოლშევიკურ პარტიას.

სტუდენტებს შორის რევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდის გაშლის საქმეში დიდ მუშაობას ეწეოდა 1905 წელს ბოლშევიკების მიერ პეტერბურგში შექმნილი მიტინგების ორატორების კოლეგია, სადაც სტუდენტობა გზავნიდა თავის საუკეთესო წარმომადგენლებს. ამ ორატორთა შორის იყვნენ პ. ა. კრასკოვი, დ. მ. მანუილსკი, ა. მ. ენგელი და სხვ.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასა და გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ბოლშევიკების ავტორიტეტი არა მარტო მუშებსა და გლეხებში, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაშიც, რის შედეგადაც ბოლშევიკური ორგანიზაციების რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში ბევრად გაიზარდა. ასე, მაგალითად, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დაწყების წინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ჯგუფი თავის რიგებში აერთიანებდა 104 კაცს.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დროს გაჩაღებულ სტუდენტთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტთან არსებულმა სტუდენტთა გაერთიანებულმა ორგანიზაციამ პეტერბურგის კომიტეტის მითითებით გამოუშვა რევოლუციური ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა სტუდენტობას ბრძოლის ორგანიზაცია მოეწყო პროლეტარიატთან ერთად. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ როცა მთავრობა რევოლუციურ მოძრაობას ძალის საშუალებით ვერ აბრუნებს, ცდილობს მოტყუების გზით ჩაშალოს იგი. ფურცელში მხილებულია სტუდენტობაში არსებული სხვადასხვა მოღალატური და გამცემლური მიმდინარეობანი: „აკადემისტები“,

„აკადემისტ-პოლიტიკოსები“, „აკადემისტ-კონსტიტუციონალისტები“, ესერები და სხვ., რომლებიც თავიანთი თანაგამზრახველების — ერობელების, „ოსვობოჟდენცელების“ და სხვათა მსგავსად მზად იყვნენ ვაჭრობა დაეწყოთ თვითმპყრობელობასთან. წინააღმდეგ ყველა ამ გამცემლებისა, რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ ნათელი პასუხი გასცა რევოლუციური მოძრაობის მიერ წამოყენებულ მთელ რიგ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებზე. ბოლშევიკები პირდაპირ ეუბნებიან ხალხს,— ნათქვამი იყო ფურცელში, — რომ ჩვენ ახლა აფეთქების წინაშე ვდგავართ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ ვართ; თვითმპყრობელობა ცხოვრების მიერ განწირულია და იგი უეჭველად დაემხობა; მაგრამ ჩვენი მიზანი მარტო მისი დამხობა არ არის: ამ გადატრიალების შედეგად პროლეტარიატმა უნდა მიაღწიოს ყველაფერს, რის მიღწევაც კი შესაძლებელია მოცემულ ისტორიულ ჩარჩოებში. „ჩვენ, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — სოციალ-დემოკრატები, მოვუწოდებთ მთელ რევოლუციურ სტუდენტობას პროლეტარიატის რიგებში ერთობლივი ბრძოლისათვის... ამხანაგებო! დაირაზმენით, შეიარაღდით და შემოგვიერთდით! გაუმარჯოს რევოლუციას!“ [1].

12 ოქტომბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა მოსკოვის უნივერსიტეტში მოაწყო მუშებისა და ფარმაცევტების გრანდიოზული მიტინგი, სადაც დიდხანს მსჯელობდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დამოკიდებულების საკითხზე. მიტინგის მონაწილეებმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღეს რსდმპ პროგრამა-მინიმუმი და იმღერეს „მარსელიოზა“. 14 ოქტომბერს უნივერსიტეტში ისევ შედგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 10.000 კაცი. მიტინგმა ძალიან მღელვარე ხასიათი მიიღო; ორატორები მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს ამბობდნენ და მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ. მიტინგმა მოიწონა სტუდენტთა და მუშათა მოძრაობის გაერთიანების აზრი.

უმაღლეს სასწავლებლებში მუშებისა და სტუდენტების გაერთიანებული საპროტესტო მიტინგებით შეშინებულმა და აღშფოთებულმა მეფის მთავრობამ 14 ოქტომბერს გამოაქვეყნა თავისი დადგენილება, რომელიც სასტიკად კრძალავდა „უმაღლეს სასწავლებლებში კრებებისა და მიტინგების ჩატარებას „უცხო პირების“ დასწრებით“. ეს დადგენილება პროფესორთა საბჭოებს ავალებდა მთავრობის ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში გამოეძახებინათ პოლიცია და უმაღლესი სასწავლებელი დაეხურათ. მთავრობის ამ

---

[1] ბოლშევიკები 1905 წლის ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვების სათავეში, გვ. 231 — 232.

ღონისძიებამ ახალი მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია სტუდენტობაში. დაიწყო საპროტესტო მიტინგებისა და კრებების მოწვევა. ორატორები სასტიკად გმობდნენ მეფის მთავრობის დადგენილებას და მოითხოვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში კრებების მოწვევის თავისუფლებას. პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების სტუდენტთა საერთო კრებებზე მიიღეს რეზოლუციები, რომ უმაღლესი სასწავლებლები გამოყენებული ყოფილიყო პოლიტიკური აგიტაციისათვის, კრებებისა და მიტინგების მოსაწვევად. საპროტესტო მიტინგები და კრებები ყოველ საათობით ფართოვდებოდა და იზრდებოდა. დადგენილების გამოქვეყნების დღიდან 20 ოქტომბრამდე მთელი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში დილიდან დაწყებული ღამის 12 საათამდე, ზოგჯერ კი 2 საათამდეც, არ წყდებოდა კრებები და მიტინგები, სადაც გამოჰქონდათ დადგენილებები თვითმპყრობელური მთავრობის თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

მეფის მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო საუნივერსიტეტო ქალაქებში; რევოლუციური სტუდენტობის წინააღმდეგ გამოყვანილი იქნა ჯარი და პოლიცია, უმაღლესი სასწავლებლები დახურეს და მათ შესავალს პოლიცია და ჯარი იცავდა. მაგრამ მთავრობის ამ შემოტევას მუშები და სტუდენტები ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებდნენ. როდესაც მიტინგები და კრებები მიმდინარეობდა, პოლიციისა და ჯარის თავდასხმისაგან თავის დასაცავად უმაღლესი სასწავლებლების შესასვლელთან მუშები და სტუდენტები აწყობდნენ ბარიკადებს და სხვა სიმაგრეებს, ჯარს არ აძლევდნენ საშუალებას დაეკავებინათ შენობები; ჯარსა და სტუდენტებს შორის შეტაკება ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა.

საერთო პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობა ოქტომბრის მეორე ნახევრისათვის გაუგონარი ძალით გაიშალა ოდესის უნივერსიტეტში. აქ 14 ოქტომბერს შეიკრიბა 18.000 კაცისაგან შემდგარი მიტინგი. მიტინგს ესწრებოდნენ მუშები, სტუდენტები, ინტელიგენცია და სხვა კლასებისა და ფენების წარმომადგენლები. რამდენიმე ორატორის მოკლე და მხურვალე რევოლუციური სიტყვების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭიროა ყველა ღონისძიების მიღება იმისათვის, რათა შეჩერებულ იქნას ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება, მთელი სახელმწიფო აპარატის, დაწესებულებების საქმიანობა. როგორც გაზეთ „პროლეტარის“ კორესპონდენტი ოდესიდან იტყობინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიტინგს მრავალი ათასი კაცი ესწრებოდა, იგი სრული წესრიგით ჩატარდა. რევოლუციური მოძ-

რაობით შეშინებულმა მთავრობამ სხვა გარნიზონებიდან ოდესაში გადმოიყვანა რამდენიმე ლეგიონი. მთავრობა გამალებით ემზადებოდა ცეცხლითა და მახვილით ჩაეხშო სახალხო მოძრაობა. 15 ოქტომბერს მუშებმა და სტუდენტებმა ოდესის ქუჩებში ბარიკადები ააგეს. საბარიკადო ბრძოლას რსდმპ ოდესის ბოლშევიკური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. თავის მხრივ მეფის მთავრობამ აამოქმედა კაზაკები, ჯარის ნაწილები, პოლიციელები და შავი რაზმები, რომლებმაც მშრომელთა სისხლით მორწყეს ოდესის ქუჩები. განსაკუთრებით სასტიკი და სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო შეტაკებებმა ჯარსა და სტუდენტებს შორის. ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვმა რამდენიმე ათეულ კაცს მიაღწია. მრავალ სტუდენტს თავი ხმლებით ჰქონდა დაჩეხილი. ჯარს ნაბრძანები ჰქონდა ტყვიები არ დაეშურებინა დემონსტრანტების წინააღმდეგ. ოდესის რევოლუციურ მოძრაობაში ბევრი ქართველი სტუდენტი და მუშა ღებულობდა მონაწილეობას. სტუდენტთა მებრძოლ რაზმებს შორის თავდადებით, მამაცობით და გამბედაობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართველ სტუდენტთა საბრძოლო რაზმი, რომელსაც ბოლშევიკ-სტუდენტი ე. მუჯირი ხელმძღვანელობდა. ამ რაზმს იარაღით და საბრძოლო ძალით ამარაგებდნენ მოწინავე ქართველი სტუდენტები.

ოდესაში მომხდარმა სისხლისმღვრელმა ამბებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია მოსკოვში და ძალიან შეაშინა თვითმპყრობელური მთავრობა და მისი მოკავშირე ბურჟუაზია. პოლიტიკური ვითარების გართულების გამო 15 ოქტომბერს მოწვეულ იქნა მოსკოვის საქალაქო სათათბიროს სასწრაფო სხდომა, რომელმაც განიხილა შექმნილი ვითარება. სათათბიროს სხდომაზე მოწვეული იყვნენ კადეტები. სხდომაზე მოუწვევლად მოვიდნენ ბოლშევიკების წარმომადგენლები — მ. ვლადიმირსკი, გ. ჩერნომორდინი, ლ. ზასლავსკაია და სხვ., რომლებმაც ბოლშევიკური პარტიის სახელით წინადადება მისცეს სათათბიროს დეპუტატებს ხელი აეღოთ თავის რწმუნებაზე და სათათბიროს ფუნქციები გადაეცათ დემოკრატიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური პარტიების წარმომადგენლებისათვის, რომელიც შეაიარაღებდა მუშებს და მათგან შექმნიდა ქალაქის მილიციას. მაგრამ ბოლშევიკების მოთხოვნა უარყოფილ იქნა. რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი „ყველა მუშას!“, რომელიც სასტიკად ამხელდა ლიბერალური ბურჟუაზიის მთელ გამცეცლურ პოლიტიკას და მუშებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

საქალაქო სათათბიროს სხდომის მიმდინარეობის დროს სათათბი-

როს შენობასთან თავი მოიყარა მუშებისა და სტუდენტებისაგან შემდგარმა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც სათათბიროსაგან მოითხოვდა შეესრულებინა ბოლშევიკების მოთხოვნები; მათ თავს დაესხა მოსკოვის მუშებისა და სტუდენტების სისხლით დამთვრალი დრაგუნთა რაზმი, რომელიც მხეცური სისასტიკით დაერია დემონსტრანტებს. ხმლებით ჩეხავდნენ და ცხენებით თელავდნენ დემონსტრანტებს, განსაკუთრებით სტუდენტებს.

15 ოქტომბერს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელდახელოდ მოწვეულმა სხდომამ დაადგინა დაეხურათ უნივერსიტეტი. ეს გახდა სტუდენტთა ახალი მღელვარების სიგნალი. მუშებმა და სტუდენტობამ თავი მოიყარეს უნივერსიტეტის ეზოში, შეიჭრნენ უნივერსიტეტში, დაიკავეს იგი და სასწრაფოდ შეუდგნენ ბარიკადების აგებას უნივერსიტეტის შესასვლელთან; 2.500 კაცისაგან შემდგარმა სტუდენტთა რაზმმა მოაგროვა ქვები, რკინის ნაჭრები, ჯოხები და ემზადებოდა მეფის შეიარაღებული ძალების შემოტევის მოსაგერიებლად. დღის ბოლოს უნივერსიტეტი გადაქცეული იყო საბრძოლო სიმაგრედ. მის ეზოში და გარშემო აიგო მრავალი ბარიკადი. უნივერსიტეტში გამაგრებულ სტუდენტებს ხელმძღვანელობდა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრი მ. ვასილიევ-იუჟინი. რევოლუციური სტუდენტობის წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა ჯარის დიდი ნაწილები, რომლებიც ყველა მხრიდან ორ რკალად შემოერტყნენ უნივერსიტეტს. ბოლშევიკების ბიულეტინი იმ დღეებში წერდა, რომ უნივერსიტეტის საბჭომ ხელი აიღო ყველა რწმუნებაზე და იგი გადასცა განსაკუთრებულ კოალიციურ კომისიას, რომელშიაც შედიოდნენ: უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო ორგანოდან 3 კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — ერთი კაცი, ერთი კაცი მენშევიკური და ერთიც — ბოლშევიკების ფრაქციიდან. მოსკოვის უნივერსიტეტის გმირული მოგერიება ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა. ბოლოს აჯანყების ხელმძღვანელებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის გაიმართა მოლაპარაკება. მთავრობამ 16 ოქტომბერს პროფესორ მანუილოვის პირით აჯანყებულებს შეუთვალა, რომ იგი იძლევა უნივერსიტეტიდან უშიშრად გასვლის გარანტიას. ამ წინადადების განსახილველად უნივერსიტეტის ეზოში მოიწვიეს კრება. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ გადაწყვიტა მიეღო მთავრობის წინადადება. 16 ოქტომბერს ღამით მოგერიების ხელმძღვანელებმა აჯანყებულები იარაღით გაიყვანეს უნივერსიტეტიდან, რაც მუშებისა და სტუდენტების გამარჯვებას ნიშნავდა.

რუსეთის რევოლუციურმა სტუდენტობამ დიდი უნდობლობა

გამოუცხადა მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომელშიც მეფე ფარისეველობდა და მლიქვნელობდა ხალხის წინაშე.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების გამო საპროტესტო მოძრაობამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო მოსკოვში. მოსკოვის პოლიციის სამმართველოდან შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, პოლიციის უფროსს სწერდნენ, რომ მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს, 18 ოქტომბერს, თეატრალურ მოედანზე თავი მოიყარეს მრავალათასიანმა ჯგუფებმა, რომლებიც ძირითადად მუშებისა და სტუდენტებისაგან შედგებოდნენ. დემონსტრანტებმა აქ გამართეს მიტინგი. სიტყვაში გამოსული ორატორები ამხელდნენ მეფის მთავრობის მანევრებს, 17 ოქტომბრის მანიფესტის სიყალბეს და მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ. მიტინგზე მოეწყო შეწირულების შეგროვება გაფიცული მუშების დასახმარებლად. მიტინგის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილე რამდენიმე ათასი კაცი გაემართა გენერალ-გუბერნატორის სასახლისაკენ. გუბერნატორის სახლთან დემონსტრანტები შეჩერდნენ და გამოყვეს დეპუტაცია გუბერნატორთან გასაგზავნად; დელეგაციამ მოითხოვა ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. ამ გრანდიოზული მოძრაობით შეშინებულმა გენერალ-ადიუტანტ დურნოვომ დეპუტაციას უპასუხა, რომ უკვე გაცემულია განკარგულება ცენტრალური ციხიდან 150 პატიმრის განთავისუფლების შესახებ. როდესაც ასეთი პასუხი მიიღეს, დემონსტრანტები გაემართნენ ციხისაკენ პატიმრების განთავისუფლებაზე დასასწრებლად. როდესაც ბ. გნეზდინსკის კუთხეებამდე მიაღწიეს, იქ მოთავსებული ოხრანკის განყოფილებას ჩამოჰგლიჯეს ამ ორგანოს სახელწოდების გამომხატველი წარწერა, შეიჭრნენ შენობაში, ჩაამტვრიეს მინები და შენობაზე გამოჰკიდეს წითელი დროშა. ამავე დროს დემონსტრანტთა ერთი ნაწილი წითელი დროშებით ხელში შეიჭრა ქალაქისთავის რეზიდენციის ეზოში, ჩაამტვრია როგორც ოხრანკის განყოფილების შენობის, ისე ქალაქისთავის კანცელარიის ფანჯრები; დემონსტრანტების უმრავლესობა შეიარაღებული იყო რევოლვერებით. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიცია, რომელმაც სროლა დაიწყო. დემონსტრანტებმა უკან დაიხიეს და ქუჩის კუთხეში გამაგრდნენ. დაიწყო სროლა, რომლის დროსაც ბევრი მოკვდა და დაიჭრა ორივე მხარეს.

პოლიციის დეპარტამენტი 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების დღეებში მშრომელი მასების განწყობილების შესახებ წერდა:

„დედაქალაქის ყველა რევოლუციურმა ჯგუფმა გამოთქვა თავისი სრული უკმაყოფილება რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების

გარდაქმნით, რაც წინასწარ მოხაზულია 17 ოქტომბრის მანიფესტით, და გადაწყვიტეს ყველა საშუალებით მიაღწიონ თვითმპყრობელობის დამხობას, რისთვისაც მოეწყოს შეიარაღებული სახალხო აჯანყება"[1].

ბაუმანის დასაფლავების დიდ პოლიტიკურ საპროტესტო დემონსტრაციად გადაქცევის საქმეში მუშებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა; პროგრესულმა ინტელიგენციამ.

მოსკოვის ქალაქისთავის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჯარმა და პოლიციამ ბაუმანის დასაფლავების დროს დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს, რომლის დროსაც მოკლეს და დაჭრეს 80 სტუდენტი.

ბაუმანის დასაფლავების დღეს მოკლული სტუდენტების დასაფლავება, რომელიც შედგა 24 ოქტომბერს, სტუდენტებმა და მუშებმა გადააქცეს საპროტესტო დემონსტრაციად, გვირგვინების ლენტებზე იყო მთავრობის საწინააღმდეგო წარწერები — „თვითნებობის მსხვერპლნი" და სხვ.

15 — 16 ოქტომბრის ამბების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის ყველა მისადგომსა და მახლობელ ქუჩებს იცავდნენ ჯარი და პოლიცია. რევოლუციურმა სტუდენტობამ გადაწყვიტა ძალით აეღო უნივერსიტეტი და იგი რევოლუციის ტრიბუნად გადაექცია. 20 ოქტომბერს სტუდენტთა საბრძოლო რაზმები შეიჭრნენ უნივერსიტეტში და შენობა ხელში ჩაიგდეს. უნივერსიტეტის ლიბერალურმა პროფესურამ ყოველგვარ ზომებს მიმართა, რომ უნივერსიტეტიდან გაედევნა სტუდენტობა. პროფესორთა საბჭოს დავალებით უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ა. მანუილოვმა 22 ოქტომბერს თხოვნით მიმართა მოსკოვის ქალაქისთავს: „...უნივერსიტეტის საბჭომ 1905 წ. 22 ოქტომბერს თავის სხდომაზე აუცილებლად მიიჩნია დროებით, ქალაქში წესრიგის დამყარებამდე, მოაწყოს უნივერსიტეტის შენობების სამხედრო დაცვა"[2]. 22 ოქტომბერს ქალაქისთავმა გასცა ბრძანება თხოვნა სისრულეში მოეყვანათ. უნივერსიტეტის შენობას შემოარტყეს ჯარისა და პოლიციის ნაწილები, რომლებმაც აიძულეს უნივერსიტეტის სტუდენტთა ცენტრალური ორგანო, საბრძოლო რაზმები და სტუდენტთა წითელი ჯვრის ორგანიზაცია 29 ოქტომბერს ღამით მიეტოვებიათ უნივერსიტეტი, რომელიც ისევ ჯარმა დაიკავა.

19 ოქტომბერს ქ. კოსტრომაში მოხდა საშინელი სისხლის-

[1] ᲫᲪᲡᲘᲐ, ფ. 63, აღწ. 25, საქ. № 785, ფ. 111.

[2] იქვე, ფ. 83.

მღვრელი შეტაკება გაფიცულ მოსწავლე ახალგაზრდობასა და პოლიციას შორის. პოლიციამ და შავრაზმელებმა სასტიკად სცემეს მოსწავლეებს. მთავრობის ამ ვერაგულმა მოქმედებამ ხალხის საერთო აღშფოთება გამოიწვია. კოსტრომაში მომხდარი სისხლისმღვრელი ამბების გამო რსდმპ კოსტრომის კომიტეტმა 22 ოქტომბერს გამოსცა ფურცელი, სადაც მიმართავდა ყველა მუშას — გაეძლიერებინათ თავისი ღონისძიებანი, არ ნდობოდნენ მთავრობის დაპირებებს, და აღნიშნავდა, რომ 19 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდობისადმი მხეცურად მოპყრობამ ნათლად უჩვენა ყველას, თუ რა ფასი აქვს მეფის დაპირებებს.

მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო თბილისში. 21 — 22 ოქტომბერს დიდი დემონსტრაციები მოაწყეს მუშებმა და მოსწავლეებმა. ამავე დროს მანიფესტაციები მოაწყეს აგრეთვე ეგრეთწოდებულმა „პატრიოტებმა“, რომლებიც შედგებოდნენ რეაქციული ელემენტებისაგან, შავრაზმელებისაგან, ცალკეული გაბრწნილი ადამიანებისაგან; ისინი მეფის სურათებითა და სამფეროვანი დროშებით ხელში მიემართებოდნენ გოლოვინის პროსპექტით მეფის ნაცვლის სასახლისაკენ. როდესაც ეს ნაძირალები ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიამდე მივიდნენ, იქ მდგომ მოსწავლეებს წინადადება მისცეს ქუდები მოეხადათ. ახალგაზრდობამ არ შეასრულა ეს წინადადება; მაშინ შავრაზმელები დაერიენ მათ და მხეცურად სცემეს. ამ დროს გიმნაზიიდან შავრაზმელებს ქვების სროლა დაუწყეს, რასაც პოლიციამ და შავრაზმელებმა თოფისა და რევოლვერის სროლით უპასუხეს. პოლიციას და შავრაზმელებს სროლა დაუწყეს გიმნაზიის ყველა სართულიდან და ფანჯრებიდან, მეზობელი შენობებიდან, სადაც მოთავსებული იყო თბილისის კრების კლუბი, არტისტთა საზოგადოება და გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქცია, აგრეთვე სასტუმროებიდან — „როსია“ და „ბოიარსკაია“ და სხვ. პოლიციის დასახმარებლად გამოიყვანეს ჯარის ნაწილები და კაზაკთა რაზმები, რომლებიც შეცვივდნენ ამ სახლებსა და ეზოებში, მხეცურად განაგრძობდნენ სროლას და მოქმედებდნენ კონდახებითა და ხმლებით[1]. პროკურორის ცნობით, ამ საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს მოკლულ იქნა 55 კაცი და დაიჭრა 75 კაცი. ამ ამბების შემდეგ პოლიციამ მოახდინა იმ შენობების ჩხრეკა, საიდანაც მათ ესროდნენ. ჩხრეკისა და რბევის დროს გამხეცებულმა პოლიციელებმა მოჰკლეს კიდევ რამდენიმე გიმნაზიელი.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მომზადებულ და ჩატარე-

[1] მცსია, ფ. 24, აღწ. 44, საქ. 1254, 1906, ფ. 3.

ბულ მუშებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის საერთო რევოლუციურ გამოსვლებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. აფასებდა რა მოსკოვის პროლეტარიატისა და სტუდენტების გამოსვლების შედეგებს, ლენინი მოუწოდებდა რუსეთის მუშებს: „...ისწავლეთ, ამხანაგო მუშებო, მეტი ყურადღებით ისწავლეთ მოსკოვის ბებრის გაკვეთილები. სწორედ ასე, უსათუოდ ასე წავა საქმე რუსეთის მთელ რევოლუციაშიც... დაე ყველა ჩვენგანი სადარაჯოზე შეხვდეს მომავალ აფეთქებას“ [1].

1905 წელს გაჩაღებული გრანდიოზული მოძრაობის დროს რევოლუციური სტუდენტობა სასტიკ ბრძოლას უცხადებდა თავის რიგებში ლაჩრობისა და ღალატის ყოველგვარ გამოვლინებას. იმის გამო, რომ ოსტზეის ბარონების მიერ 1905 წელს შექმნილ დაქირავებულ შავ რაზმებში ჩაეწერა ოსტზეის მხარის გერმანელ სტუდენტ-კორპორანტთა ნაწილი, ლატვიელმა და რუსმა სტუდენტობამ სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა მათ. როგორც ლენინი აღნიშნავდა, ამ სტუდენტებმა საგანგებო კომისია დანიშნეს „...საქმის გამოსაძიებლად მემამულეთა შავ რაზმებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ“. კომისიის ორი წევრი მთავრობამ დააპატიმრა და რიგის საპყრობილეში ჩასვა.

მეფის მთავრობის ამ მოქმედებამ საერთო აღშფოთება გამოიწვია, ფეხზე დადგა მთელი ლატვიელი და რუსი სტუდენტობა. მოწვეულ იქნა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც მრავალი სტუდენტი დაესწრო; კრებაზე სპეციალურად მოიწვიეს პოლიტექნიკუმის დირექტორი, რომელსაც ულტიმატუმი წაუყენეს — დაუყოვნებლივ მიეღო ყოველგვარი ზომები ორი დაპატიმრებული სტუდენტის გასათავისუფლებლად. კრებამ ერთხმად მიიღო რევოლუციური შინაარსის მებრძოლი რეზოლუცია. სტუდენტთა კრების ამ რეზოლუციის შესახებ სტატიაში — „რევოლუციური რიგის ულტიმატუმი“ — ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული წერდა: „რეზოლუცია დაასრულეს პირდაპირი ულტიმატუმით: თუ სამი დღის განმავლობაში დანიშნულ საათზე დაპატიმრებულნი არ იქნებიან განთავისუფლებული, მაშინ სტუდენტები რიგის მუშების დახმარებით შესძლებენ მათს განთავისუფლებას ყოველგვარი საშუალებით“ [2].

სტუდენტობის საპროტესტო გამოსვლების მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებისათვის ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული მუშაობის ბრწყინვალე შედეგებით შეშფოთებული იყვნენ არა მარტო რუსეთის რეაქცია და ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 474 — 475.
[2] იქვე, გვ. 503.

ევროპის ლიბერალები და მათი პერიოდული პრესა. ევროპის ლიბერალები იცავდნენ რევოლუციასთან რუსეთის ლიბერალების დამოკიდებულების გამცემლურ პოლიტიკას და თავს დაესხნენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან უმაღლესი სასწავლებლების დაკავშირების ბოლშევიკურ პოლიტიკას. თავის სტატიაში — „მოსკოვის აჯბების გაკვეთილები" — ვ. ი. ლენინი ამხელს დასავლეთ ევროპის ლიბერალური ბურჟუაზიის ამ ცდებს, კერძოდ იგი აკრიტიკებს ბერლინის ლიბერალური გაზეთის — „ფოსის გაზეთის" ცნობას, რომელიც უფრო აშკარად და გულახდილად გამოხატავდა ლიბერალების შეხედულებებს. გაზეთი ძალიან ნაღვლიანად აცხადებდა, რომ სტუდენტთა არეულობა პეტერბურგსა და მოსკოვში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მეტისმეტად მძაფრად განახლდა, მას თან ერთვის მუშათა მძლავრი მოძრაობაო. სტუდენტთა ამ მოძრაობისათვის „ფოსის გაზეთი" ბრალს სდებს სოციალ-დემოკრატებს, რომ „...სტუდენტობამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ბელადების პაროლი: უნივერსიტეტების გადაქცევა სახალხო კრებების ადგილად და ამრიგად რევოლუციის შეტანა მოსახლეობის ფართო ფენებში. თუ როგორ ხორციელდება ეს პაროლი, მოსკოვის სტუდენტებმა უკვე გვიჩვენეს: მათ უნივერსიტეტის შენობაში მოიწვიეს მუშები და სხვა პირნი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ უნივერსიტეტთან, და ისიც ისეთი რაოდენობით, რომ თვით სტუდენტები უმცირესობაში დარჩნენ" [1].

უკეთებდა რა ანალიზს 1905 წლის მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას, სტატიაში „სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში", ლენინი 1905 წლის ოქტომბერში წერდა, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის 1905 წლის მაის-აგვისტოს გმირული გაფიცვის შემდეგ, რომელმაც ცხადყო მუშების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ყოფნა, მუშათა რევოლუციური მღელვარება განუწყვეტლივ ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა, რომელმაც ოქტომბერში აჯანყებად გადაქცევა იწყო. ეს რევოლუციური მღელვარება და რევოლუციური აფეთქება „...კიდევ უფრო გაამწვავა მოსკოვის რევოლუციურმა სტუდენტობამ, რომელმაც ახლახან მიიღო პეტერბურგის რეზოლუციის სრულიად ანალოგიური რეზოლუცია; იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს სახელმწიფო სათათბიროს და მოუწოდებს რესპუბლიკისათვის საბრძოლველად, დროებითი რევოლუციური მთავრობის შესაქმნელად ...პოლიციის მუქარის ზეგავლენით უნივერსიტეტი დახურეს: როგორც თვითონ ამბობდნენ, მათ თითქოს შეეშინდათ უნი-

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 470.

ვერსიტეტის კედლებში თბილისის ხოცვა-ყლეტვის[1] განმეორებისა. მათ დააჩქარეს მხოლოდ სისხლის ღვრა ქუჩებში, უნივერსიტეტის გარეთ"[2]. ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დემოკრატიული ინტელიგენციისა და სტუდენტების მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, რევოლუციურ აფეთქებათა დაჩქარების საქმეში.

საგაფიცვო ბრძოლა ისეთ სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, რომ სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა შეიარაღებული აჯანყების დაწყების დრო. ამიტომ ლენინმა მოუწოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მტკიცედ მოეკიდათ ხელი შეიარაღებული აჯანყების მზადებისათვის. 1905 წლის ოქტომბერში პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ საბრძოლო კომიტეტს ვ. ი. ლენინი წერდა: „მიმართეთ ახალგაზრდობას. ა ხ ლ ა ვ ე მოაწყეთ მებრძოლი რაზმები ყველგან და ყოველ ადგილას სტუდენტებშიც, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ უ შ ე ბ შ ი ც და სხვ. და სხვ. დაე ახლავე მოეწყოს რაზმები 3-დან 10, 30-მდე კაცის შემადგენლობით თვითეული"[3].

ლენინისა და ბოლშევიკების ამ მგზნებარე მოწოდებას გამოეხმაურა რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. რევოლუციურმა სტუდენტობამ დიდი დახმარება გაუწია ბოლშევიკებს სამხედრო ორგანიზაციების შექმნაში, იარაღის შეძენის საქმეში. ახალგაზრდობა უშიშრად ებმებოდა ბრძოლაში პროლეტარიატის დროშის ქვეშ.

რევოლუციური სტუდენტების მოღვაწეობა არ იფარგლებოდა მარტო უმაღლესი სასწავლებლების მასშტაბით; ისინი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ უმაღლეს სასწავლებლებს გარეთაც, ეხმარებოდნენ ბოლშევიკებს მუშათა საბრძოლო რაზმების შედგენასა და გაწვრთნაში. სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მტკიცე კავშირს ამყარებდნენ რსდმპ ადგილობრივ კომიტეტებთან; უნივერსიტეტებისა და საერთოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ორგანიზაციებში და კრებებზე დადიოდნენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები.

რევოლუციურმა სტუდენტობამ გმირული მონაწილეობა მიიღო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში და თვით აჯან-

---

[1] ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მეფის ჟარისკაცებისა და პოლიციის მიერ თბილისის მუშების მუხანათური დახვრეტა 1905 წლის 29 აგვისტოს ქალაქ თბილისის გამგეობის შენობაში, სადაც მოკლეს 60 და დაჭრეს 300-მდე კაცი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 415.

[3] იქვე, გვ. 424.

ყებაში. სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საბრძოლო მასალებისა და იარაღის შეძენის, მისი შენახვისა და ადგილებზე გადაზიდვის საქმეში. 1905 წლის დეკემბერში ბოლშევიკური პარტიის დავალებებს პეტერბურგიდან მოსკოვში იარაღის გადაზიდვის შესახებ უშიშრად და მამაცურად ასრულებდნენ სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მსმენელები სტუდენტ ვ. ვ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით. 1905 — 1907 წლებში რსდმპ ბოლშევიკური კომიტეტის დავალებებს სანიმუშოდ ასრულებდნენ სტუდენტები ნ. საგრედო, დ. მანუილსკი, კ. ჟერნოვეცკი და სხვ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს მუშებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საბრძოლო რაზმები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყვნენ ჯერ კიდევ ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს. უნივერსიტეტის საბრძოლო რაზმებიდან განსაკუთრებით ისახელა თავი რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკი ვ. ა. კოსტიცინი. ამ რაზმმა სხვა საბრძოლო რაზმებთან ერთად დეკემბრის აჯანყებია წინ ბარიკადები ალგო მიასნიცკზე, პოკროვკაზე და მაროსეიკაზე. ეს ადგილები ისე გულდასმით გაამაგრეს, რომ რაზმელების წინააღმდეგობის დაძლევა მთავრობამ მხოლოდ ჯარის დიდი ნაწილების საშუალებით შეძლო 12 დეკემბერს.

გააფთრებული ბრძოლის დღეებში 11 დეკემბერს პრესნიაზე შექმნილ იქნა აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი ბოლშევიკური პარტიის წევრის ზ. ლიტვინ-სედოის ხელმძღვანელობით. შტაბის შემადგენლობაში შედიოდნენ სტუდენტთა წარმომადგენლებიც. შტაბის წევრმა — ქიმიკოსმა სტუდენტმა ილინმა ლაბორატორიაში მოაწყო ყუმბარების და ფუგასების წარმოების ორგანიზაცია. ყუმბარების წარმოების საპირობისათვის აჯანყების შტაბმა კონფისკაცია უყო ლვოვის აფთიაქის გლიცერინის მთელ მარაგს. შტაბმა აგრეთვე შექმნა სანიტარული დაბმარების რაზმები; ამ რაზმებში ძირითადად შედიოდნენ სტუდენტები. 250-ზე მეტი სტუდენტი მუშებთან ერთად მამაცურად იბრძოდა კრასნაია პრესნიას და ბრონნაიას რაიონში. ამ ბრძოლებში გმირულ მონაწილეობას ღებულობდა ქართველ სტუდენტთა რაზმი („კავკასიელთა რაზმი"). როგორც ცნობილია, რსდმპ მოსკოვის კომიტეტის სანელოვანი ხელმძღვანელებიდან (ნ. ე. ბაუმანი, ი. თ. დუბროვსკი, ვ. ლ. შანცერი (მარატი), მ. ნ. ლიადოვი, ი. ი. სკვორცოვი (სტეპანოვი), მ. თ. ვლადიმირსკი, მ. ი. ვასილიევი (იუჟინი), ა. შ. შესტაკოვი, ნ. ნ. მანდელშტამი, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი და სხვ.) უმრავლესობა ყოფილი სტუდენტი იყო

დეკემბრის აჯანყებაში სტუდენტთა მონაწილეობის ერთ-ერთ გმირულ მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, მოსკოვის ერთ-ერთი დიდი ავეჯის ფაბრიკის პატრონის ნიკოლოზ შმიდტის მოქმედება; მან თავისი ფაბრიკის მუშებისაგან შექმნა საბრძოლო რაზმები, შეაიარაღა და დეკემბრის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მათთან ერთად. ნ. შმიდტის ამ მოქმედებამ განსაკუთრებით აღაშფოთა მეფის მთავრობის მოხელეები. 17 დეკემბერს, ღამის 4 საათზე, პოლიციისა და კაზაკების რაზმი შეიჭრა შმიდტის ბინაში და იგი დააპატიმრა. შმიდტის საშინელი წამება აღწერა გორკიმ წერილში „ნიკოლოზ შმიდტის საქმე". იგი აღნიშნავს, რომ შმიდტის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა წამების ყველაზე საშინელი ფორმები. არ აკმარეს ის, რომ სცემდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ძილის საშუალებას არ აძლევდნენ. ერთ დღეს იგი მიიყვანეს სასაფლაოზე, სადაც უნდა დაეხვრიტათ შმიდტის ფაბრიკის მუშები. სასაფლაოზე ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა შმიდტის თვალწინ დაუწყეს სროლა მუშებს, მოკლეს რსინი.

დიდი წამების და საშინელი ტანჯვის შემდეგ შმიდტს გაუფორმეს ბრალდება. მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა. ამასთან დაკავშირებით მაქსიმ გორკიმ მიმართა ყველა პატიოსან ადამიანს: „პროტესტი განაცხადეთ შმიდტის დასჯის წინააღმდეგ. თუ თქვენ გულწრფელად გიყვართ თავისუფლების საქმე, თუ თქვენ გწამთ გონიერებისა და სამართლიანობის მომავალი გამარჯვება, — თქვენი რწმენა და სიყვარული გაძლევენ უფლებას ყოველთვის და ყველგან ჩაერიოთ ყველაფერში, რაც კი წინ უდგას სიმართლეს და გონებას. ხოლო თქვენი უფლება თქვენი მოვალეობაა" [1].

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს გმირულად მებრძოლ მუშებსა და სტუდენტებს აქტიურ დახმარებას უწევდნენ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები. მოსკოვის ქალაქისთავი 23 დეკემბერს მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველს სწერდა, რომ ვაჟთა მე-2 გიმნაზიის შენობაში მოწყობილ იქნა დროებითი ლაზარეთი დაჭრილი რაზმელებისათვის. საავადმყოფო გაიხსნა 10 დეკემბერს ამ გიმნაზიის მოსწავლეთა ინიციატივით, მიუხედავად პედაგოგიური საბჭოს სასტიკი წინააღმდეგობისა. ბევრი მათგანი შეიარაღებული იყო რევოლუციური აღმავლობის დროს და განიარაღებულ იქნა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემ-

---

[1] მ. გორკი, თხზ., ტ. 32, გვ. 405.

დეგ პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გამოირკვა, რომ პროხოროვის მანუფაქტურის რაიონში აჯანყების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო პროხოროვის სკოლის მოსწავლე ვასილ მათეს-ძე ჩესტნოვი. 17 წლის ჩესტნოვმა დეკემბრის ბრძოლების დროს ყუმბარით ააფეთქა ოხრანკის განყოფილება. ჩესტნოვმა ამხანაგების დახმარებით მოკლა პოლიციის უფროსი ვოლოშნიკოვი და ზედამხედველი საბაროვი.

დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით აღშფოთებულმა და შეშინებულმა მეფის მთავრობამ 20 დეკემბერს განუსაზღვრელი დროით დახურა მთელი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ მუშათა რევოლუციური ბრძოლა მიმდინარეობდა მეტად რთულ და მძიმე ვითარებაში, რევოლუციური სტუდენტობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას მაინც განაგრძობდა.

დეკემბრის დღეებში სტუდენტთა შეიარაღებულ მონაწილეობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში და განსაკუთრებით ოდესაში. დეკემბრის დღეებში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელეს ოდესის სტუდენტთა საბრძოლო რაზმებმა. მათ შორის ქართველ სტუდენტთა რაზმმა, რომლის მეთაური ბოლშევიკი სტუდენტი ე. მუჯირი გმირულად დაიღუპა 6 დეკემბრის ბრძოლის დროს.

1905 წლის დეკემბერში სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლების სიძლიერე, თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ მათი თავდადებული და გმირული ბრძოლა აღიარა მეფის მთავრობამაც. 1906 წლის 10 იანვრის თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ სასწავლო ოლქის მზრუნველი, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და დირექტორები, მთელი გუბერნიისა და ქალაქ მოსკოვის გიმნაზიების დირექტორები და იმ სასწავლებლების დირექტორები, რომლებიც საშუალო სასწავლებლების უფლებებით სარგებლობდნენ, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა დაწვრილებით უამბო დამსწრეთ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში სტუდენტთა მონაწილეობაზე, და აღნიშნა: „... ამასთან სრულიად გარკვეულად დადგინდა, რომ დედაქალაქის რვა უმაღლეს სასწავლებლიდან შვიდმა, ე. ი. მეფისწულის ნიკოლოზის ხსოვნის საიმპერატორო ლიცეის გამოკლებით, — სავსებით აშკარა მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში. და რომ ამ მონაწილეობის მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით

ყველაზე შორს წავიდნენ ტექნიკური და საინჟინერო სასწავლებლები“ [1].

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ რევოლუციამ იწყო თანდათანობით შენელება. თვითმპყრობელურმა მთავრობამ სასხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ.

მაგრამ რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო დათრგუნვილი; რევოლუციური მასები უკან იხევდნენ ნელა, ბრძოლით. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საუკეთესო ნაწილი. 1905 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილ „საბრძოლო ტექნიკურ ჯგუფში“, კიევში შექმნილ ინსტრუქტორთა საბრძოლო სკოლაში და სამხედრო-ტექნიკურ ბიუროებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბოლშევიკი-ინტელიგენტები. ასე. მაგალითად, რსდმპ მოსკოვის სამხედრო-ტექნიკური ბიუროს ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი პ. კ. შტერნბერგი. მისი ხელმძღვანელობით და ინიციატივით ასტრონომიული ობსერვატორია კრასნაია პრესნიაზე გადაქცეულ იქნა იარაღის შესანახ კონსპირაციულ საწყობად, შემდგომში შტერნბერგი მზვერავთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გამოცდილებამ წამოსწია ქუჩის ბრძოლის ტაქტიკის ცოდნის აუცილებლობა. ქუჩის ბრძოლის ტაქტიკის გასახორციელებლად საჭირო იყო ქუჩების, მოსახვევების, გასასვლელი ეზოების, შენობათა აღნაგობის, სიმაღლისა და სიმაგრის, პოლიციის რაზმების განლაგების და იარაღის საწყობების ადგილის ცოდნა და სხვ. ქალაქ მოსკოვის ასეთი გეგმის შედგენა მოსკოვის კომიტეტმა დაავალა მზვერავთა ჯგუფს, რომელსაც შტერნბერგი ხელმძღვანელობდა. დიდი გამბედაობის, მამაცობისა და მოხერხების წყალობით შტერნბერგმა შეძლო ამ რთული ამოცანის შესრულება.

საბრძოლო რაზმების შექმნის, მათი შეიარაღებისა და საბრძოლო გაწვრთნის საქმეში დიდი მუშაობა შეასრულა მამაცმა ბოლშევიკ-ინტელიგენტმა ა. თ. ჩესკიმ. 1906 წლის მაისში ჩესკი დააპატიმრეს, შალე მან მოახერხა ციხიდან გაქცევა და აქტიური რევოლუციური მუშაობა განაგრძო პეტერბურგის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. მისი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა შავი რეაქციის მაძებრებს. 1907 წლის მაისში ჩესკი მეფის მთავრობამ ისევ დააპატიმრა და პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში ჩასვა, სადაც ოცი გარდაიცვალა 1909 წელს.

---

[1] მცსია. ფ. პოლიციის დეპარტამენტის აღწ. 00 (II). საქ. № 37, 1906, ფ. 2.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციური აღმავლობა თანდათან ზენელდა, 1906 წლის დასაწყისში ქვეყნის მთელი რიგი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები ჯერ კიდევ დაკეტილი იყო. პარტიის მითითებით ბოლშევიკურმა კომიტეტებმა გააჩაღეს ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლების გასაღებად, რათა ისინი გამოეყენებინათ რევოლუციური მიზნებისათვის. რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან დაკავშირებით 1906 წლის იანვარში რსდმპ მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია უმაღლესი სასწავლებლების გაღების აუცილებლობის შესახებ. იგი ამხელდა მეფის მთავრობისა და მისი მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზიის კონსტიტუციონურ ილუზიებს, რომლებითაც ისინი ფარავდნენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს. პროკლამაციაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული სიტყვის, ბეჭდვის, კავშირების თავისუფლება, რომ რუსეთის სტუდენტობა, რომელიც ყოველთვის იდგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, დაინტერესებულია ამ თავისუფლების განხორციელებით, რომ უმაღლესი სასწავლებლების გაღებას ახლანდელ მომენტში შეუძლია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ქმედით მონაწილეობას გამათავისუფლებელ ბრძოლაში.

1906 წლის 7 აპრილს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა უმაღლესი სასწავლებლების გაღების აუცილებლობისა და რევოლუციური ბრძოლისათვის მათი გამოყენების შესახებ. უმაღლესი სასწავლებლების გაღებისათვის სტუდენტთა ბრძოლის ხელმძღვანელობა დაევალა უმაღლესი სასწავლებლების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციებს.

ბოლშევიკების გაბედული და სისტემატური ხელმძღვანელობით სტუდენტთა მოძრაობა გრძელდებოდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგაც. განსაკუთრებით გაძლიერდა სტუდენტთა ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლების გასახსნელად და 1905 წლის 9 იანვრის პეტერბურგის სისხლიანი ამბების წლისთავის აღსანიშნავად. ეს მოძრაობა გააძლიერა „საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწოდების“ პრესაში გამოქვეყნებამ, რომელიც წინადადებას აძლევდა ყველა სოციალისტურ პარტიას და ჯგუფს მოეწყოთ მიტინგები და ქუჩის დემონსტრაციები.

ამასთან დაკავშირებით, 1905 წლის 24 დეკემბერს პოლიციის დეპარტამენტმა დაუშვა სრულიად საიდუმლო ცირკულარი ყველა გუბერნატორის, ქალაქისთავის და ვარშავის ობერ-პოლიცმეისტერის სახელზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ მასებში მიმდინარეობს დიდი საშზადისი, რომ ამ მოძრაობაში სტუდენტები იღებენ აქტიურ მონა-

წილობას, რომ საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, რათა არ იქნას დაშვებული კრებები, მიტინგები და ქუჩის დემონსტრაციები, სასტიკად იქნას ჩაქრობილი ყოველგვარი გაფოსვლები. ცირკულარში ნათქვამი იყო: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: ხისდაწინ იქნეს გამოვლინებული და დაპატიმრებული ფაბრიკა-ქარხნებში მღელვარების დამწყებნი და ხელმძღვანელები; დაშლილ და მოსპობილ იქნას საბოლოოდ ეგრეთ წოდებული „რკინიგზის საგაფიცვო კომიტეტები"; არ იქნეს დაშვებული არც მიტინგები და არც ქუჩის დემონსტრაციები; მთელი სისასტიკით დაშლილ იქნეს ის კრებები, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამენ და რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწევიან; საჭიროა ძუდმივი კავშირი ჯარის ნაწილების უფროსებთან, რათა ბზად ჰყაკდეთ ჯარები საჭირო შემთხვევისათვის; პატრულების გაძლიერება; ქალაქების დაყოფა მოქმედების რაიონებად [1].

მიუხედავად სასტიკი რეპრესიების გატარებისა, სტუდენტთა მოძრაობა მაინც ძლიერდებოდა. მოსკოვის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი თავის 1906 წლის 14 იანვრის მოხსენებაში წერდა, რომ იგი ყოველგვარ ზომებს ხმარობს და ყველა საშუალებას იყენებს იმისათვის, რომ სტუდენტთა მოძრაობა ჩააქროს. მაგრამ, სამწუხაროდ, მას (გუბერნატორს) არ შეუძლია იმის გარანტიის მოცემა, რომ სტუდენტთა გამოსვლები არ მოხდება, რომ „.. უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიური შემადგენლობა, როგორც ჩანს, ნაკლებად შერყეული არ არის, ვიდრე განათლების საქმე, — და ასეთ პირობებში ნაკლებად სასურველია ამ სასწავლებლების გახსნა" [2].

სტუდენტთა მძლავრმა მოძრაობამ და საზოგადოებრივმა აზრმა აიძულა მთავრობა 1906 წლის 19 აპრილს გაეღო უმაღლესი სასწავლებლები. სტუდენტთა კრებები და მიტინგები ისევე გრძელდებოდა. ამ კრებებზე აყენებდნენ მთელ რიგ რევოლუციურ მოთხოვნებს. 1906 წლის 19 აპრილს შედგა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რათა უნივერსიტეტი გამოყენებული ყოფილიყო რევოლუციური მიზნებისათვის. ნება მისცემოდა რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიას უნივერსიტეტის შენობა გამოეყენებინა მოსამზადებელი მუშაობისათვის — პროპაგანდის გასატარებლად. ანალოგიური საკითხები განიხილა 30 და 31 მაისის მრავალათასიანმა სტუდენტთა კრებამ. უმაღ-

---

[1] მცსია, ფ, 63, აღწ. 25, საქ. № 785, 1905, ფ. 55.

[2] ი ფ. პოლ. დეპარტ. აღწ. 00 (11), საქ. № 3, 1906, ფ. 5.

ლეს სასწავლებლებში მეცადინეობის ნებართვა სტუდენტობამ ფართოდ გამოიყენა რევოლუციური მოძრაობის გასაძლიერებლად.

1906 წლის გაზაფხულზე დიდი საპროტესტო მოძრაობა დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობაში შმიდტის სიკვდილით დასჯის გამო. პოლიციის დეპარტამენტის 1906 წლის 20 აპრილის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ შმიდტის სიკვდილით დასჯის გამო მთელ რიგ სასწავლებლებში მოეწყო გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაციები; ხელში ეჭირათ წითელი და შავი დროშები; პირველზე გაკეთებული იყო წარწერა: „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!", მეორეზე, ე. ი. შავ დროშაზე, გაკეთებული იყო შემდეგი წარწერა: „დიდება თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს". დურნოვომ განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ ის მოწაფეები, რომლებმაც შმიდტის დასჯის გამო მოაწყეს საპროტესტო გამოსვლა, მაგრამ ვერც ერთი ამ საქმის ინიციატორთაგანი ვერ იგდეს ხელთ.

მიუხედავად რეპრესიებისა, 1906 წელს მოძრაობა ძლიერდებოდა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს შორის; მათ ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით შეცვალეს თავიანთი ბრძოლის ტაქტიკაც, ეხლა უფრო კონსპირაციულად, უფრო ორგანიზებულად და ფრთხილად ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას. 1906 წელს მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა სასულიერო სემინარიებში. მოძრაობის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები. 1906 წლის 21 მაისს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი შინაგან საქმეთა სამინისტროს სწერდა, რომ მოსკოვის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს შორის შეიქმნა საიდუმლო წრე, რომელსაც სათავეში უდგას ს. ნ. ნაუმოვი. წრემ გაშალა გაძლიერებული მუშაობა იმისათვის, რომ ასეთი წრეები შექმნილიყო ყველა უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში. ამ წრის თვითეულ წევრს ევალებოდა დაკავშირებოდა სხვა სასწავლებლებს, რათა იქაც შეექმნათ წრეები. ნაუმოვის წრემ შესძლო თავისი საიმედო წარმომადგენლები ჰყოლოდა მრავალ მხარესა და ქალაქში, რომელთა მისამართებიც საიდუმლოდ ინახებოდა თვით ნაუმოვთან; თბილისის გუბერნიაში ასეთ საიმედო წარმომადგენლად მათ ჰყავდათ პ. ი. სევოსტიანოვი.

მოსკოვის სემინარიის მოსწავლეებმა მოკლე დროში დაამყარეს კავშირი მთელ რიგ სემინარიელებთან. მოწაფეები ყველგან მოწონებით ხვდებოდნენ ბრძოლისაკენ მოწოდებას. მათ შორის ორგანიზაციული მუშაობის მოწყობის იდეამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ საკითხი წამოიჭრა სემინარიებში მოსწავლეთა საერთო კავში-

რის შექმნისა და მისი ორგანოს — ჟურნალის გამოცემის შესახებ. ამ მიზნით მოსწავლეებმა დაიწყეს თანხების შეგროვება.

1906 წლის პირველ სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი იმის შესახებ, დაეწყო თუ არა მეცადინეობა ახალ სასწავლო წელს. დიდი მსჯელობის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: სტუდენტთა გაფიცვები, როგორც საპროტესტო ბრძოლის პასიური ფორმა, არ შეეფერება რუსეთის რევოლუციის უკვე მიღწეულ საფეხურს; „რომ უნივერსიტეტის გახსნა, როგორც ეს გვიჩვენა გასულმა წელმა, დადებით როლს თამაშობს რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში, რომ საერთო რევოლუციური ბრძოლა მოითხოვს ძალების კონცენტრაციას, როგორც რევოლუციური დემოკრატიის ერთ-ერთი რაზმისას. საერთო-საუნივერსიტეტო კრება უნივერსიტეტს გახსნილად აცხადებს"[1].

4 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოწვეულ იქნა დედაქალაქის ყველა უმაღლესი სასწავლებლის საერთო კრება, რომელმაც მოიწონა პირველი სექტემბრის კრების რეზოლუცია.

სტუდენტთა კრებებისა და მიტინგების მოწვევა გახშირდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც იხილავდნენ პოლიტიკურ საკითხებს. სტუდენტთა ამ გაძლიერებულ საპროტესტო მოძრაობას მთავრობამ უპასუხა იმით, რომ 18 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე დახურა მოსკოვის უნივერსიტეტი. მთავრობის ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა რევოლუციურ სტუდენტობასა და რეაქციულ პროფესურასა და მის მხარდამჭერ სტუდენტებს შორის.

სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ამოძრავდა რუსეთის მთელი რეაქციული პრესა, რომელიც ცილს სწამებდა სტუდენტობას, ლანძღავდა რევოლუციური მოძრაობისადმი მხარის დაჭერისათვის, მოითხოვდა მის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღო მთავრობას. 1906 წლის 23 სექტემბერს „რუსკოე ზნამიაში" გამოქვეყნდა ა. ჩორნის სტატია „ვინ გაიმარჯვებს?". ავტორი აღშფოთებული იყო იმით, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებამ წამოაყენა მოთხოვნა რეაქციონერი პროფესორების—ბუდკევიჩის, ვიაზიგინის, დენისოვის და ოსტროუმოვის უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ, რომ კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იმ მასწავლებლებს, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელების მიღების წინააღმდეგ გაილაშქრეს, რომ ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებამ

[1] მცსია, ფ. 124, აღწ. 44, საქ. № 1256, 1906, ფ. 46.

დაადგინა აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოს საძულველ პროფესორებს და მასწავლებლებს და წინადადება მისცა პროფესორთა საბჭოს მოაცილონ ისინი უნივერსიტეტს. წერილის ავტორი აღშფოთებული განაგრძობს, რომ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები გაიღო და მოსწავლეებმა ინებეს ლექციებზე მოსვლა, მაგრამ ამავე დროს დადგენილი წესის თანახმად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გრძელდება მიტინგები და კრებები. სტუდენტთა ერთი ნაწილი ენერგიულად იბრძოდა და იკრიბებოდა კრებებზე, მოედნებზე, სადაც მოითხოვდნენ ამხანაგობას და ერთობლივ მოქმედებას [1].

29 სექტემბერს გაზეთმა „რუსკოე ზნამიამ" დაბეჭდა რეაქციონერ ვლად. დროზდ-ბუნიაჩევსკის წერილი, სადაც იგი წერდა: „აღმაშფოთებელია იმის კითხვა, თუ რა ხდება ჩვენს სასწავლებლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტის მეთაურობით, რომლის სტუდენტებმაც მიითვისეს უფლება სასამართლოსი არა მარტო პროფესორების მიმართ, არამედ ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა მიმართაც, როგორც ეს ჩანს სტუდენტთა კრების გადაწყვეტილებიდან" [2].

1906 წლის სექტემბერში სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა მთელი ძალით განახლდა ოდესის უნივერსიტეტში. 9,11 და 12 სექტემბერს ზედიზედ ჩატარდა სტუდენტთა საერთო კრებები, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ოდესის პოლიციის საიდუმლო მოხსენებაში წერია, რომ სტუდენტთა კრებებზე სოციალ-დემოკრატმა ორატორებმა წინადადება შეიტანეს 17 ოქტომბრისათვის მოემზადებინათ საერთო მძლავრი და აქტიური საპროტესტო გამოსვლა. სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს მეფის ადმინისტრაციის შეცვლა და საბრძოლო რაზმების შეიარაღება. ბოლშევიკების წინადადებით კრებაზე გამოტანილ იქნა დადგენილება მთელი შესაძლებლობით ემზადონ მოსალოდნელი პოგრომებისაგან თავის დასაცავად. კრებებს ესწრებოდა მრავალი მუშა. აქ აგრეთვე კითხულობდნენ პოლიტიკურ რეფერატებს.

23 ოქტომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში შედგა სტუდენტთა კრება, რომელსაც დაესწრო 1.000 კაცი. კრებამ განიხილა სტუდენტთა სტაროსტების საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს შორის მოხდარი კონფლიქტი, რომელიც წამოიჭრა იმის გამო, რომ პროფესორთა საბჭომ დაადგინა არ დაეშვათ სტუდენტთა კრებებზე გარეშე პირები. ორატორებმა სასტიკად დაგმეს პროფესორთა საბჭოს

---

[1] გაზ. „რუსკოე ზნამია", 1906 წ. 23 სექტემბერი.
[2] იქვე, 1906 წ. 29 სექტემბერი.

დადგენილება. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო: განიხილა რა სტუდენტთა სტაროსტების საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს შორის მომხდარი კონფლიქტი, კრება „... სრულ სოლიდარობას უცხადებს თავის წარმომადგენელთა მოქმედებას, და აცხადებს, რომ სტუდენტთა უფლებების დარღვევის ყოველი ცდა ყოველთვის იწვევს მთელი სტუდენტობის მედგარ წინააღმდეგობას. ამასთან ერთად კრება მიუთითებს ბ. ბ. პროფესორებს მათი მუქარის რეაქციულ ხასიათზე უნივერსიტეტის დახურვის შესახებ, და იმაზე, რომ უნივერსიტეტის დახურვის საქმეში სტუდენტობა ყოველთვის იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას"[1].

სტუდენტთა საპროტესტო კრებები და მიტინგები გაჯაჭირდა 1906 წლის ნოემბერში. 3 ნოემბერს მოწვეულ იქნა პეტერბურგის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის საერთო კრება, 6 ნოემბერს — ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა კრება, სადაც სასტიკი პროტესტები გამოთქვეს სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების გამო. იმავე დღეებში დიდი მღელვარება დაიწყო პეტერბურგის ბიოლოგიურ ლაბორატორიასთან არსებულ კურსებზე. 11 ნოემბერს მოეწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მუშების საერთო კრება. 12 ნოემბერს სამოქალაქო საინჟინერო ინსტიტუტში ჩატარდა სტუდენტების და მუშების კრება. ამ კრებებს სისტემატურად ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, გამოდიოდნენ სიტყვებით, მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ, ავრცელებდნენ პროკლამაციებს. პოლიციის საიდუმლო მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები ამ კრებაზე მოუწოდებდნენ არსებული მონარქიული წყობილების ძალდატანებით დამხობისაკენ. პოლიციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თავის 1906 წლის ნოემბრის მოხსენებაში სწერდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში რევოლუციური მიზნებისათვის კრებების მოწყობა საერთო მოვლენად იქცა, რომ ამ კრებებს ესწრებიან არა მარტო მუშები, არამედ ჯარისკაცებიც, რის გამო ჯარშიაც აღწევს რევოლუციური განწყობილება[2].

პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ნოემბერში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობა დახასიათებული და შეჯამებულია ქალაქისთავის მიერ 1906 წლის პირველ დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე დაწერილ მოხსენებაში, სადაც აღნიშნულია, რომ დედაქალაქში სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა წინანდებურად გრძელდება. მოხსენებაში წერია, რომ პეტერბურგის უნი-

[1] მსცია, ფ. 102, საქ. № 003, ლ. 26, 1905, ფ. 69.
[2] იქვე, ფ. 64.

ვერსიტეტის ორგანიზაციამ გულდასმით მოამზადა 18 ნოემბრის საერთო კრება. მოსაწვევი ბარათები გაუგზავნეს რევოლუციურ მუშებს და რევოლუციურ პარტიებს. კრებამ განიხილა არსებული პოლიტიკური ვითარება. ორატორები ახასიათებდნენ რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, აკრიტიკებდნენ მთავრობის რეაქციულ მოქმედებას, ლაპარაკობდნენ ბურჟუაზიის გამცემლობაზე შესახებ და ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

საიდუმლო მოხსენებაში დახასიათებულია პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში 22 ნოემბერს ჩატარებული საერთო კრება, რომელსაც სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ მუშები და ინტელიგენტები. კრებამ განიხილა საკითხები: „სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების წესების შესახებ" და „ებრაელთა თანასწორუფლებიანობის შესახებ". კრებაზე მუშები მოვიდნენ რევოლუციური პარტიის მიერ დარიგებული მოსაწვევი ბარათებით, ლანძღავდნენ მეფეს და მის წყობილებას, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ქალაქისთავის ამ მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში ყოველდღიურად იკრიბებიან კრებაზე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, მუშები და „კურსისტკები", კრებებზე კითხულობენ პოლიტიკურ რეფერატებს, მსჯელობენ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე. 26 ნოემბერს პეტერბურგში სოციალდემოკრატებმა ჩაატარეს პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტებისა და აგიტატორების კოლექტივის კრება, სადაც წაკითხულ იქნა რეფერატები პოლიტიკურ თემებზე.

რევოლუციის დაღმავლობის ვითარებაში სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობისათვის შეიქმნა მძიმე პირობები. საჭირო იყო სტუდენტთა ორგანიზაციების პარტიული სულით განმტკიცება. თუ აქამდე უნივერსიტეტის სტუდენტთა ცენტრალურ ორგანოებს ირჩევდნენ კურსების მიხედვით, ახლა გადაწყვიტეს უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანო აირჩიათ იმ სიების მიხედვით, რომელსაც სტუდენტთა პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ. ასეთი წესით არჩევნების ჩატარება მიზანშეწონილი იყო არა მარტო იმის გამო, რომ იგი განამტკიცებდა ამ ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, არამედ იმიტომაც, რომ არკვევდა თუ რომელ პარტიას უპირატეს მხარს სტუდენტთა უმრავლესობა. აი როგორ სურათს იძლევა 1906 წლის ნოემბერში მოსკოვის უნივერსიტეტში ჩატარებული არჩევნები: არჩევნებში მონაწილე 5 437 კაციდან სოციალდემოკრატებს ხმა მისცა 2 044 კაცმა (ანუ დაახლოებით 40 პროცენტმა), კადეტებს — 1 462 კაცმა (ანუ დაახლოებით 28 პროცენტ-

მა), ესერებს — 1 256 კაცმა (23 პროცენტმა), დანარჩენმა პარტიებმა და ჯგუფებმა მიიღეს უმნიშვნელო ხმები. უნივერსიტეტის ცენტრალურ ორგანოში პარტიების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 12 ადგილი მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა, 8 — კადეტებმა, 7 — ესერებმა, 2 — საპალხო სოციალისტებმა, 1 — დამოუკიდებელ სტუდენტთა კავშირმა და 1 — პოლონეთის კოლომ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან. ცენტრალურ ორგანოში შევიდნენ ი. უდალცოვი, ა. ტრაინინი (ამჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი), ა. ხაინსკი, ნ. ოვსიანიკოვი, ი. ს. ეფოვი და სხვ. უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. ტრაინინი, მდივნად — ი. უდალცოვი.

უნივერსიტეტის ახლად არჩეულმა ორგანომ ფართო ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა. თავის ერთ-ერთ სხდომაზე ცენტრალურმა ორგანომ დაადგინა აღენიშნათ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წლისთავი 1906 წლის 7, 8 და 9 დეკემბერს სტუდენტთა კრებების მოწვევით. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი კრებების მოწვევა მთავრობის მიერ სასტიკად იყო აკრძალული, ცენტრალურმა ორგანომ გადაწყვიტა მოეწყოთ სტუდენტთა ორკვირეული გაფიცვა. დაინახა რა, რომ სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა კვლავ გრძელდებოდა, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ კვლავ დაადგინა დაეხურათ უნივერსიტეტი 1907 წლის 15 იანვრამდე.

მაგრამ სტუდენტთა მოძრაობა: ვერ ჩაშალეს ვერც უმაღლესი სასწავლებლების მრავალჯერ დახურვით და ვერც სხვა რეპრესიებით. 1907 წლის დამდეგს პეტერბურგის კოალიციურმა კომიტეტმა გამოსცა მიმართვა რუსეთის საზოგადოებრიობისადმი და სტუდენტობისადმი. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ რეაქციის გამარჯვების გამო რუსეთის უმაღლესი განათლების საქმეს ისევ ემუქრება სერიოზული საფრთხე. მიმართვაში მხილებული იყო თვითმპყრობელური წყობილების დროს უმაღლესი განათლებისათვის შექმნილი აუტანელი პირობები.

მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ მთავრობამ აიღო კურსი ლიკვიდაცია უყოს ყველა იმ უმნიშვნელო თავისუფლებასაც კი, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ გამოჰგლიჯა ხელიდან თვითმპყრობელობას. მთავრობამ გადაწყვიტა უმაღლესი სასწავლებლებიდან ქალების გაყრა, სტუდენტთა ორგანიზაციების ლიკვიდაცია, მონათმფლობელური სიველურის სამარცხვინო ინსტიტუტის — ებრაელებისათვის პროცენტული ნორმების აღდგენა, ყველაზე უფრო პოპულარული პროფესორების გაყრა უნივერსიტეტიდან, სტუდენტთა კრებების

აკრძალვა, საგნობრივი გამოცდების გაუქმება და სპეცგამოცდების შემოღება, მავნე და საიდუმლო ინსპექციების შემოღება (სტუდენტთა ფოტოსურათების გადაღება, უმაღლესი სასწავლებლების შენობებზე მეთვალყურეობის გაძლიერება და სხვ.), სტუდენტთა ურთიერთდამხმარე სალაროების ლიკვიდაცია, სტუდენტთა პოლიტიკური კეთილსაიმედოობის შემოწმების შემოღება და სხვ.[1].

1907 წლის დამდეგიდან შეფის მთავრობამ დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების მასობრივი ჩხრეკა, მათზე მეთვალყურეობის გაძლიერება, სტუდენტების მასობრივი დაპატიმრება და გარიცხვა. 1907 წლის 9 იანვარს პოლიციამ და ჯარმა გაჩხრიკეს პეტერბურგის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საცხოვრებელი ოთახები, სადაც აღმოაჩინეს სტაბილისათვის საჭირო მოწყობილობა, შრიფტი, პროკლამაციები, ყალბი პასპორტები, რსდმპ პროკლამაციები და გაზეთები 4.000 ეგზემპლარის რაოდენობით. 19 იანვარს ღამით ჯარისკაცები და პოლიციელები თავს დაესხნენ და გაჩხრიკეს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სადაც აღმოაჩინეს დიდძალი აკრძალული ლიტერატურა, პროკლამაციები.

4 თებერვალს, ღამის 3 საათზე, პოლიციამ კაზაკთა ასეულის დახმარებით მოაწყო მოსკოვის უნივერსიტეტისა და მისი სასადილოს დიდი და ხანგრძლივი ჩხრეკა, რომლის დროს აღმოაჩინეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო მოწოდებები, დიდი რაოდენობით არალეგალური გაზეთები და რევოლუციური, უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა და გაზეთები — „პროლეტარი", „ვპერიოდ", აგრეთვე მემარცხენე ბლოკის ამომრჩევლების სიები. ჩხრეკა გაგრძელდა დილამდე. იმავე დღეს უნივერსიტეტის მე-11 აუდიტორიაში სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს არალეგალური კრება, რომელსაც სტუდენტების გარდა ესწრებოდნენ „გარეშე" პირებიც. მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი. დღის პირველ საათზე უნივერსიტეტში შეიჭრნენ შეიარაღებული პოლიცია და რამდენიმე ათეული „გოროდოვოი", სასწრაფოდ შემოერტყნენ აუდიტორიას, შეადგინეს დამსწრეთა სიები, 130 კაცი დააპატიმრეს და პოლიციის პოლიტიკურ ნაწილში წაიყვანეს. ამ დროს კრებები სხვა აუდიტორიებშიაც მიმდინარეობდა, მაგრამ დააპატიმრეს მხოლოდ „გარეშე" პირები, ხოლო სტუდენტები გაყარეს უნივერსიტეტიდან.

ამ დიდი ჩხრეკისა და დაპატიმრების დროს უნივერსიტეტი გარშემორტყმული იყო ჯარის ნაწილებით და ქვეითი და ცხენო-

---

[1] მსცია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 003, ლ. 26, 1905, ფ. 168.

სანი პოლიციის რაზმებით. 5 თებერვალს განათლების მინისტრმა და ქალაქისთავმა გამოიძახა უნივერსიტეტის რექტორი პ. პ. ბორმანი და პროორექტორი, რომლებსაც მკაცრი გაფრთხილება მისცეს და მოსთხოვეს უნივერსიტეტში წესრიგის აღდგენა. იმავე დღეს საღამოს მოწვეულ იქნა პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა უნივერსიტეტის რექტორის ინფორმაცია — 4 თებერვალს პოლიციის მიერ უნივერსიტეტის გაჩხრეკისა და სტუდენტთა დაპატიმრების შესახებ. საბჭომ პროტესტი გამოთქვა უნივერსიტეტში პოლიციის თვითნებურად შემოჭრისა და იმის გამო, რომ პოლიცია მხეცურად მოიქცა უნივერსიტეტის ჩხრეკის დროს — სცემა სტუდენტებს და უნივერსიტეტის ეზოს. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საბჭო, რომელიც დგას უმაღლესი განათლების ინტერესების სადარაჯოზე, გამოთქვამს სურვილს, რათა ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

1907 წლის 4 თებერვალს მთავრობის მიერ მოწყობილმა უნივერსიტეტის რბევამ საერთო აღშფოთება გამოიწვია სტუდენტობაში. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სტაროსტების საბჭომ მოიწვია საერთო საპროტესტო კრება, რომელსაც მრავალი სტუდენტი დაესწრო. დამსწრეთა ერთმა ნაწილმა მოითხოვა პროტესტის ნიშნად საერთო გაფიცვის მოწყობა, მაგრამ კრების უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: უნივერსიტეტის წინააღმდეგ მთავრობის შემოტევას სტუდენტობა უპასუხებს იმით, რომ უნივერსიტეტი კვლავაც იქნება რევოლუციის ტრიბუნა. კრებამ სტუდენტთა საბჭოს დაავალა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთან ერთად მიიღოს ყველა ზომა დაპატიმრებულ სტუდენტთა გასათავისუფლებლად [1]. კრებამ დაადგინა თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ოდესის რევოლუციური სტუდენტობისათვის, რომლებსაც მხეცურად სცემეს ჯარმა და პოლიციამ 1907 წლის იანვარში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს.

პეტერბურგის ქალაქისთავის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ 1907 წლის 20 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტში კვლავ შედგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც სტუდენტობის გარდა ესწრებოდნენ ბევრი მუშა, ინტელიგენტი და რევოლუციური პარტიის წარმომადგენლები. კრებაზე პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

---

[1] გაზ. „ნოვოე ვრემია", 1907 წ. 6 თებერვალი.

ამასთან დაკავშირებით ქალაქისთავმა გასცა ბრძანება უმაღლეს სასწავლებლებში ანტისახელმწიფოებრივი კრებების და მიტინგების მოწვევის სასტიკად აკრძალვის შესახებ.

1907 წლის 20 თებერვალს — მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს მოსკოვის უნივერსიტეტში შედგა პოლიტიკური მიტინგი, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ მიტინგმა მიიღო რევოლუციური შინაარსის რეზოლუცია, რომელშიც სასტიკად იყო დაგმობილი თვითმპყრობელური მთავრობის აღვირახსნილი მოქმედება. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ სტუდენტობა მზად არის ერთგულად ემსახუროს მშრომელი მასების პოლიტიკურ ბრძოლას თვითმპყრობელური სისტემის წინააღმდეგ. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საპროტესტო კრებები გახშირდა; მთავრობამ აშკარად დაინახა 1905 წლის ამბების განმეორების საშიშროება, ამიტომ რეპრესიები სტუდენტთა წინააღმდეგ გაძლიერდა.

1907 წლის 17 მარტს მოწვეულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო-საკანონმდებლო კრება. კრების დღის წესრიგში იდგა აკადემიური საკითხები. უნივერსიტეტისათვის მიცემული ავტონომიის ძალით მათ ასეთი კრების მოწვევის უფლება ჰქონდათ, მაგრამ მთავრობამ უხეშად დაარღვია ეს უფლება და 17 მარტს სტუდენტთა საერთო კრება შეიარაღებულმა პოლიციამ ცემით და სროლით გარეკა. მთავრობის ამ მზეცური მოქმედებით აღშფოთებულმა სტუდენტობამ ისევ მოიწვია კრება. კრებამ განიხილა წინადღეს ჩატარებული სტუდენტთა კრების წინააღმდეგ მთავრობის მიერ ძალის გამოყენების საკითხი. დიდი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც სასტიკად იყო დაგმობილი მთავრობის მოქმედება. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „არ მიაჩნია რა შესაძლებლად უნივერსიტეტის ფუნქციონირება, სანამ ფაქტიურად არ განხორციელდება კრების უფლება, უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანო... უნივერსიტეტს დახურულად აცხადებს“ [1].

ამრიგად, სტუდენტთა ფართო და ხანგრძლივი მოძრაობის მოსპობა თვითმპყრობელურმა მთავრობამ ვერ შესძლო 1907 წელსაც კი. სტუდენტთა მოძრაობით შეშფოთებულმა მინისტრთა საბჭომ 1907 წლის 11 ივნისს გამოსცა დებულება სტუდენტთა ორგანიზაციებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კრებების შესახებ. როცა მეფემ ეს დებულება დაამტკიცა, მის საფუძ-

---

[1] გაზ. „უტრო“, 1907 წ. 20 მარტი.

ველზე შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. სტოლიპინმა 1907 წლის 21 აგვისტოს პოლიციის დეპარტამენტს დაუგზავნა ცირკულარი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით უმაღლესი სასწავლებლების კედლებში უეცველად დაიწყება კრებები და მიტინგები. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სტუდენტებს კრებებზე თავმოყრის საშუალება არ მივცეთ; თუ ვინცობაა ადმინისტრაციას არ დაეპორჩილებიან და კრებებზე მაინც შეიკრიბებიან, სასწრაფოდ გამოძახებულ იქნეს პოლიცია. კრების მონაწილეთა წინააღმდეგ გაძოყენებულ იქნეს ჯარიმები, გარიცხვა, დაპატიმრება და სხვა ზომები.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი და სასტიკი პოლიციური რეჟიმი დაამყარა, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წლის დაწყებისთანავე გაჩაღდა სტუდენტთა მოძრაობა. იმის გამო, რომ მეფის მთავრობამ გააუქმა სტუდენტთა საბჭო, სასწავლო წლის დასაწყისში პეტერბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტთა საუნივერსიტეტო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლები, სულ 16 კაცი. უნივერსიტეტის კომიტეტმა დაიწყო საერთო კრების მოამზადება, სადაც უნდა ვამოეცხადებინათ საერთო გაფიცვა.

პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მოძრაობის გაერთიანების მიზნით და სტუდენტთა საერთო გაფიცვების ხელმძღვანელობისათვის სექტემბრის პირველ რიცხვებში შეიქმნა „პეტერბურგის სტუდენტთა კოალიციური კომიტეტი". ქალაქის ამ კოალიციურ კომიტეტში შევიდა უნივერსიტეტის კომიტეტი მთლიანად, ორ-ორი წარმომადგენელი სამთო და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებიდან და თითო წარმომადგენელი ყველა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლიდან. დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო კრების მოწვევის წინ პეტერბურგის სტუდენტთა კოალიციურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება — „საზოგადოებას და სტუდენტობას", სადაც სასტიკად არის მხილებული მეფის მთავრობის მთელი ანტიხალხური მოქმედება როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის პერიოდში, მოცემულია მოწოდება არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

1907 წლის 9 სექტემბერს უნივერსიტეტში შედგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კრება, რომელსაც დაესწრო 40 კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის სტუდენტი კუზმინ-კარავაევი. კრებას ესწრებოდა რსდმპ პეტერბურგის კომიტე-

ტის სამი წევრი. აქ განხილულ იქნა პეტერბურგის სტუდენტთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი.

დიდი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, 1907 წლის 11 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის დარბაზში მოწვეულ იქნა საერთო კრება. კრებას დაესწრნენ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, უმაღლესი კურსების მსმენელები და მუშები, სულ 2.000 კაცი; აქედან 800 მუშა იყო. კრების დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებული რეაქციის შესახებ, 11 ივლისის წესების გარჩევა და სტუდენტთა სტაროსტების საბჭოს არჩევა. კრების მთელი მსვლელობა და ხასიათი აღწერილია პოლიციის 1907 წ. 12 სექტემბრის საიდუმლო მოხსენებაში, სადაც აღნიშნულია, რომ კრებაზე გამოსული ორატორების სიტყვები ატარებდა რევოლუციურ ხასიათს; ისინი მოუწოდებდნენ მოახლოებული რეაქციის წინააღმდეგ საერთო და თავდადებული ბრძოლისაკენ. კრებაზე ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ ბოლშევიკური და მენშევიკური შეხედულებანი. კრების უმრავლესობა ბოლშევიკებს უჭერდა მხარს. კრებაზე რეზოლუციის ერთი პროექტი წარმოადგინეს ბოლშევიკებმა, მეორე პროექტი — მენშევიკებმა. რსდპ ბოლშევიკების ფრაქციის რეზოლუციის პროექტი წაიკითხა სტუდენტმა ვეიტინსკიმ. ამ რეზოლუციის ძირითადი აზრი ასეთი იყო: „არ დავემორჩილოთ 11 ივლისის წესებს და მოეწყოს კრებები თავშეყრის წესით. ორგანიზებულ იქნეს სტუდენტობა ბრძოლისათვის და გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტი რევოლუციის მიზნებისათვის"[1]. ამ რეზოლუციას ხმა მისცა 487 კაცმა. რაც შეეხება მენშევიკების რეზოლუციას, იგი, როგორც საერთოდ მენშევიკების ტაქტიკა, იყო ლიბერალური და რეფორმისტული. მენშევიკების რეზოლუციას ხმა მისცა 433 კაცმა.

იმის გამო, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკებმა ამხილეს სოციალისტ-რევოლუციონერების პოლიტიკური ხაზი და რევოლუციის დროს დიდად გაიზარდა ბოლშევიკების ავტორიტეტი მოსწავლე ახალგაზრდობაში, სოციალისტ-რევოლუციონერებმა დაკარგეს ავტორიტეტი მასებში. ამიტომ მათ 11 სექტემბერს მოიწვიეს კრება ცალკე — სხვა აუდიტორიაში, რომელსაც დაესწრო 500-მდე კაცი, აქედან სტუდენტი იყო 300.

ამ კრების ჩატარებიდან ორი დღის შემდეგ, ე. ი. 13 სექტემბერს მოწვეულ იქნა სტუდენტთა საერთო გრანდიოზული კრება, რომელსაც დაესწრო 4000-ზე მეტი კაცი. კრება დაიწყო უნივერ-

---

[1] მსცია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 00 ლ. 26, 1905, ფ. 97.

ტეტის სააქტო დარბაზში, მაგრამ იქ ყველა დამსწრე ვერ ეტეოდა. კოალიციურმა კომიტეტმა მოაწყო კიდევ ორი პარალელური კრება. კრების ძირითადი საკითხი იყო კოალიციური კომიტეტის მოდაწეობა საერთო გაფიცვის მოწყობის საკითხში. კრებამ მიიღო რეზოლუცია პროფესორთა კოლეგიების მიერ უნივერსიტეტის სრული მართვის, სტუდენტთა კრებებისა და ორგანიზაციების სრული თავისუფლების, სტუდენტთა რიცხვში ქალების დაშვების შესახებ და სხვ. 15 სექტემბრის საერთო კრებამ დაადგინა უახლოეს დღეებში დაწყებულიყო სტუდენტთა საერთო გაფიცვა. კრებებზე ხმის უმრავლესობით გამოთქვეს აზრი საერთო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. 22 სექტემბერს იქვე მოიწვიეს საერთო კრება, სადაც განიხილეს გაფიცვის საკითხი. კრებაზე გაჩაღდა ცხარე კამათი. დიდი მსჯელობის შემდეგ გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ ხმა მისცა 1.176 კაცმა, წინააღმდეგ — 533, თავი შეიკავა — 165 კაცმა. პეტერბურგის სტუდენტთა გადაწყვეტილებას საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ იხილავდნენ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებშიც. სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პეტერბურგის სტუდენტთა რეზოლუციას. 1907 წლის 24 სექტემბერს იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრებაზე, განიხილა რა გაფიცვასთან შეერთების საკითხი, ხმის უმრავლესობით დაადგინა შეერთებოდნენ გაფიცვას. 27 სექტემბერს იურიევის ვეტერინარული ინსტიტუტის საერთო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია გაფიცვასთან შეერთების შესახებ.

მიუხედავად რეაქციული ძალების მძვინვარებისა, ბოლშევიკები კავშირს არ წყვეტდნენ რევოლუციურ სტუდენტობასთან; ბოლშევიკების ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა სტუდენტთა შორის.

იმის გამო, რომ 1907 წლის 3 ივლისს მეფემ გარეკა მეორე სახელმწიფო სათათბირო, ხოლო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც 65 დეპუტატისაგან შედგებოდა, დაპატიმრა და მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოაწყო, პროტესტის ნიშნად 1907 წლის 22 ნოემბერს გაფიცვა გამოაცხადეს პეტერბურგის სატყეო, პოლიტექნიკური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტებმა, პეტერბურგის ისტორიულ-ლიტერატურულ, იურიდიულ, პოლიტექნიკურ და ქალთა პედაგოგიური უმაღლესი კურსების მსმენელებმა. 21 ნოემბერს იურიევის უნივერსიტეტში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც პროტესტი განაცხადა 3 ივლისის კანონისა და სოციალ-დემოკრატ დეპუტატების დაპატიმრების წინააღმდეგ. კრებას თავს დაესხა პოლიცია და გარეკა მისი მონაწი-

ლეები. უნივერსიტეტი დროებით დახურეს. ნოემბერში სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო იურიევის ვეტერინარულ ინსტიტუტში, რომ პროფესორთა საბჭოს 21 ნოემბრის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებით ინსტიტუტი დახურულ იქნა.

1907 წლის სტუდენტთა მოძრაობის ისტორიიდან მოგონების ღირსია რუსეთის სტუდენტობის სახელით პეტერბურგის სტუდენტების მიერ სათარ-ხანის სახელზე გაგზავნილი პატრიოტული და მგზნებარე მისალმება. აი რას წერდნენ ამ მისალმებაში:

„გამარჯვებულ სათარ-ხანს და სპარსეთის დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლს!

შორეული პეტერბურგიდან რუსეთის სტუდენტობა გიგზავნით სალამს!

სათარ-ხანს, რომელმაც თავისი გამარჯვებებით გაფანტა საუკუნოვანი ღრუბლები, რომლებიც აწვა ლომისა და მზის ქვეყანას. ჩვენი მტერი შენი მტერია, სათარ-ხან, ჩვენი — რუსეთის თვითმპყრობელობის სახით, თქვენი — ამ თვითმპყრობელობის მონის — ლიახოვის სახით. ჩვენ გვრცხვენიან, რომ ლიახოვი ჩვენი თანამემამულეა. ჩვენ ვიბრძვით, ისე როგორც თქვენ, თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ. ჩვენ ახლა წელში მოღუნული, მაგრამ გატეხილები არა ვართ. ჩვენ კვლავ წარმოვსდგებით; ჩვენ ერთი საერთო მტერი, საერთო მიზანი გვაქვს, სათარ-ხან...

გაუმარჯოს თავისუფლების მომხრეებს, დაე დაიღუპონ მისი მტრები!“[1].

რევოლუციური სტუდენტობა, განსაკუთრებით პეტერბურგის სტუდენტობა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა შავი რეაქციის გამარჯვების შემდეგაც. შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ დამახასიათებელ ამბებზე პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობიდან. 1908 წლის სტუდენტთა მღელვარების საბაბი გახდა სახალხო განათლების მინისტრის 1908 წლის 16 თებერვლის ცირკულარი სტუდენტთა სტაროსტების საბჭოს გაუქმებია შესახებ. მთავრობის ამ ღონისძიებით აღშფოთებულმა სტუდენტობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 29 თებერვალს მოიწვია საერთო კრება, რომელსაც 5.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. სერიოზული მსჯელობის შემდეგ კრებაზე რეზოლუციის პროექტი წარმოადგინეს ბოლშევიკებმა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

1) სტუდენტთა სტაროსტების საბჭოს დაშლის შესახებ განათლების მინისტრის განკარგულება იმის ფაქტს წარმოადგენს, რომ

---

[1] მსცია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 003. ა. 26, 1905, ფ. 275.

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გააუქმოს სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოები საერთოდ; 2) ამ გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ რეაქცია მიისწრაფვის უმაღლესი სასწავლებლები მიიყვანოს ისეთ კატასტროფულ მდგომარეობამდე, როგორშიც მთელი რუსეთია; 3) ახლანდელი მომენტი წარმოადგენს ყველაზე უფრო მოხერხებულ მომენტს კონფლიქტების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად და მთავრობასთან ბრძოლის საფუძველზე სტუდენტთა ავტორიტეტის მოსაპოვებლად[1]. ბოლშევიკების რეზოლუციას ხმა მისცა 1.769 კაცმა, წინააღმდეგ — 145, თავი შეიკავა — 100 კაცმა. ეს იყო ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც მოპოვებულ იქნა ინტელიგენციაში და მშრომელ მასებში ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგად.

მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების წინააღმდეგ საპროტესტო კრებები შემდეგშიაც ტარდებოდა. ასეთი საპროტესტო კრება შეიკრიბა მოსკოვის უნივერსიტეტში 1908 წლის 2 მარტს; კრებამ, რომელსაც 3.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, აღშფოთება გამოთქვა უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ მიმართული მთავრობის რეაქციული ზომების წინააღმდეგ.

სტუდენტთა მღელვარებამ ისევ იჩინა თავი ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. პეტერბურგის სტუდენტობამ თავგამოდებით გააჩაღა ბრძოლა უმაღლეს სასწავლებლებში რეაქციულ ღონისძიებათა განხორციელების წინააღმდეგ. 1908 წლის 3 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 4.000 კაცი. კრების დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სტუდენტთა სტაროსტების საბჭოს ბიუროს ანგარიში; 2) კოალიციური კომიტეტის ანგარიში; 3) პრინციპული საკითხის გადაწყვეტა აკადემიური ტაქტიკის შესახებ; 4) სტუდენტთა უახლოესი ნაბიჯები. კრებამ მოიწონა სტუდენტთა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიში და აირჩია სტუდენტთა კოალიციური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან—5 კაცი, კადეტების პარტიიდან — 3, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — 3, უპარტიო —1 კაცი და სამეცნიერო წრეებიდან — 3 კაცი. ბოლოს კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „იმის გამო, რომ საგსებით არ არსებობს ბრძოლის წარმოების ლეგალური სამუალებანი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობა მიმართავს რუსეთის სტუდენტობას გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა და წამოაყენოს შემდეგი მოთხოვნები: 1) პროფესორთა კოლეგიის სრული თვითმმართველობა; 2) სტუდენტთა კრებებისა და ორგანიზაციების

[1] მსცია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. 003. ა 26, 1905, ფ. 122.

თავისუფლება; 3) ქალების დაშვება უნივერსიტეტში; 4) ებრაელთა პროცენტული ნორმების გაუქმება; 5) უნივერსიტეტში ყველა საშუალო კურსდამთავრებულის მიღება; 6) უმაღლესი სასწავლებლების კედლებიდან პოლიციურ შევიწროებათა განდევნა"[1].

1908 წლის 9 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში ისევ შედგა სტუდენტთა 3.000-იანი კრება, რომელმაც მხურვალე რევოლუციური ხასიათი მიიღო. ორატორები ამხელდნენ მთავრობის რეაქციულ ღონისძიებებს, მოუწოდებდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. კრებამ მიიღო განათლების მინისტრის შვარცის სახელზე გასაგზავნი წერილი, რომელშიც მხილებული იყო თვითმპყრობელური წყობილება, მეფის მთავრობის მთელი რეაქციული ბუნება. წერილში გაშუქებული იყო თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ რუსი ხალხისა და რევოლუციური ინტელიგენციის ბრძოლის ისტორია და სხვ. ამ ვრცელ და ღრმა პოლიტიკური შინაარსის წერილში ნათქვამი იყო: „ბატონო შვარც! გაიხსენეთ, რომ არც პლეევეს რეჟიმის რკინის მარწუხებმა, არც ტრეპოვის ტყვიებმა, არც თვით 9 იანვარმა და სხვა საშუალებებმა და თვითმპყრობელობის მამაცობამ ვერ შესძლო საბოლოოდ ქვეყნისა და უნივერსიტეტის ორგანიზმიდან მოეშორებინათ ის ოპოზიციური უჯრედები, რომელთა წინააღმდეგ თქვენ ასე გაალმასებული გამოდიხართ..."[2].

პეტერბურგის სტუდენტთა ამ წერილმა სასტიკი აღშფოთება გამოიწვია მთავრობის წრეებში და რუსეთის მთელ რეაქციულ მიმდინარეობათა შორის, მის წინააღმდეგ ახმაურდა მთელი რეაქციული პრესა

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ბრძოლის მაგალითს მიბაძა დედაქალაქის ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა. 15-დან 18 სექტემბრამდე სტუდენტთა კრებები ჩატარდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამთო საინჟინრო ინსტიტუტში, ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სატყეო ინსტიტუტში, ქალთა უმაღლეს კურსებზე, იურიევის უნივერსიტეტში და ვეტერინარულ ინსტიტუტში, რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სხვ. კრებებზე ყველგან გამოჰქონდათ დადგენილებები იმის შესახებ, რომ რეაქციის შემოტევის საპასუხოდ დაეწყოთ საპროტესტო გაფიცვები.

გაფართოვდა და განმტკიცდა ბოლშევიკების ავტორიტეტი უმაღლეს სასწავლებლებში. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში რევოლუციური სტუდენტობა პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ნამდვილი, ერთგული და თავდადებული მებრძოლი არის

[1] მცსია, ფ. 102, აღწ. 5, საქ. № 003 ლ. 26, 1905, ფ. 174 — 175.

[2] იქვე, ფ. 164.

მხოლოდ ბოლშევიკების პარტია. რეაქციის მძიმე წლებში სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები ბოლშევიკები იყვნენ.

სტუდენტთა მოძრაობა პეტერბურგში ისე გაძლიერდა და ისეთი გაბედული ხასიათი მიიღო, რომ რუსეთის რეაქცია, მისი პრესა და თვით მენშევიკებიც კი საკვეყნოდ გაჰყვიროდნენ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტი რევოლუციის ციტადელიაო. ამიტომ მეფის მთავრობამ სასტიკი რეპრესიების გატარება დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის რევოლუციური სტუდენტობის წინააღმდეგ. მთავრობა არ დასჯერდა იმას, რომ მრავალი სტუდენტი გაგზავნა ციხეში და გადასახლებაში, და გადაწყვიტა უნივერსიტეტიდან გაერიცხა ყველა, გარდა რეაქციული სტუდენტებისა. განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს მოსთხოვა სია პროგრესულად განწყობილი ყველა სტუდენტისა მათი უნივერსიტეტიდან გარიცხვის მიზნით. უნივერსიტეტის პრორექტორმა მთავრობას 1.300-მდე კაცის სია წარუდგინა. რუსეთის რეაქცია აჩქარებდა მთავრობას მალე მოეყვანა სისრულეში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გარიცხვა და მათი პეტერბურგიდან სასწრაფოდ გასახლება. ამის შესახებ გაზეთი „ბირჟევაია ვედომოსტ“ წერდა: „გუშინ გავიდა ვადა პრორექტორის მიერ გასარიცხად წარდგენილი 1280 სტუდენტისა... ბევრი ამ წამებულთაგანი გადასროლილი იქნება არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ცხოვრების გარეთაც“[1].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საგაფიცვო მოძრაობას შეუერთდნენ მთელი რიგი სხვა სასწავლებლები. თვითმპყრობელური რეაქცია სასტიკად ავიწროებდა უნივერსიტეტებს, სდევნიდა სტუდენტებს. სტატიაში — „სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „თვითმპყრობელურ რუსეთში სტუდენტთა ორგანიზაციებთან მუდმივმა ბრძოლამ მიიღო ფორმა „პრემიერ“ სტოლიპინის სრული თანხმობით მოქმედი შავრაზმელი მინისტრის შვარცის ლაშქრობისა 1905 წლის შემოდგომაზე სტუდენტებისათვის დაპირებული ავტონომიის წინააღმდეგ... იმ ავტონომიის წინააღმდეგ, რომლითაც სტუდენტები სარგებლობდნენ, ვიდრე თვითმპყრობელობას „სტუდენტებისათვის არ ეცალა“, და რომლის წართმევას არ შეეძლო არ შესდგომოდა თვითმპყრობელობა, რჩებოდა რა იგი თვითმპყრობელობად“[2].

---

[1] გაზ. „ბირჟევაია ვედომოსტ“, 1909 წ. 16 აპრილი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 251.

ამ სტატიაში ვ. ი. ლენინმა მოხაზა სტუდენტთა აკადემიური მოძრაობისადმი სოციალ-დემოკრატი სტუდენტებისა და ბოლშევიკების დამოკიდებულების ტაქტიკა, დაგმო ამ მოძრაობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. „ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატია დიდ შეცდომას ჩაიდენდა, — წერდა ლენინი, — თუკი იგი „აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგ“ გაილაშქრებდა. არა, იმ სტუდენტთა ჯგუფებმა, რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან, მთელი ძალ-ღონე უნდა მიმართონ მოცემული მოძრაობის მხარის დაჭერისა, გამოყენებისა და გაფართოებისაკენ“ [1].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, განსაკუთრებით კი რეაქციის მძვინვარების წლებში, სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას აშკარად თუ ფარულად დიდ ზიანს აყენებდა სტუდენტთა რეაქციული ნაწილი. მთავრობა მას იყენებდა სტუდენტთა მოძრაობის ჩასაშლელად, მის შიგნიდან ასაფეთქებლად. პოლიციისა და ჟანდარმერიის ორგანოების დავალებით ზოგიერთი სტუდენტი ეტმასნებოდა სტუდენტთა რევოლუციურ ორგანიზაციებს და ჟანდარმერიას აწვდიდა ცნობებს სტუდენტთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა შესახებ.

„შეთქმულებასთან ბრძოლის რუსეთის საზოგადოების“ წევრი სტუდენტი ნიკოლოზი (ფსევდონიმია) 1907 წლის 21 ნოემბერს პოლიციის დეპარტამენტს სწერდა: „ჩვენმა საზოგადოებამ ამოცანად დაისახა დაეხმაროს მთავრობას რევოლუციონერების აღმოჩენის საქმეში, სანამ თანდათანობით არ მოისპობა ყოველივე სოციალისტური... გთხოვთ კრამოლას არ გაუმჟღავნოთ ჩვენი თავი, რადგან ისინი ჩვენ უეჭველად მოგვკლავენ“ [2].

სტუდენტთა რეაქციულმა ნაწილმა, რომელიც ალაგმული ჰყავდა პროგრესულ სტუდენტობას რევოლუციის აღმავლობის დროს, სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ ცილისმწამებლური პროპაგანდა გააჩაღა მაშინდელ რეაქციულ და ლიბერალურ პრესაში. იმ მრავალი ცილისმწამებლური, ბოროტი და სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის სახელის გამტეხი წერილიდან და კორესპონდენციიდან, რომლებიც მაშინდელ რეაქციულ პრესაში იბეჭდებოდა, შევჩერდებით ერთ-ერთ წერილზე, რომელიც ეკუთვნის რეაქციული ორგანიზაციის — „რუსი ხალხის კავშირის სტუდენტთა განყოფილების საბჭოს“ წევრს. წერილის ავტორი მიესალმება სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ მთავრობის მიერ გატარებულ რეაქციულ ღონისძიებებს და მოითხოვს კიდევ უფრო სას-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 255.

[2] მცსია, ფ. 102, საქ. № 003 ლ. 9, 1907, ფ. 4.

ტიკი ზომების მიღებას, ამავე დროს იგი აკრიტიკებს პროფესურას, რომელიც სტუდენტთა მოძრაობას ლიბერალურად ეექცევა და არ ღებულობს გადამჭრელ ზომებს.

ამრიგად, რეაქციის გამარჯვების შემდეგ, მიუხედავად მეფის მთავრობის გაუგონარი რეპრესიებისა, რუსეთის სტუდენტობის რევოლუციური ნაწილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით არ სწყვეტდა თავის შეუდრეკელ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და მისი მოკავშირე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თავი V

დემოკრატიული პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

ცნობილია, რომ ბოლშევიკები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრესას, როგორც მძლავრ იარაღს მასების ხელმძღვანელობის საქმეში, მათთან კავშირის დასამყარებლად, მათი ორგანიზებისა და იდეურად აღზრდის საქმეში. ვ. ი. ლენინმა 1900 წელს სტატიაში — „რით დავიწყოთ" — გენიალურად ჩამოაყალიბა პრესის ფუნქციები და ამოცანები. ლენინი წერდა, რომ გაზეთი წარმოადგენს მძლავრ საშუალებას მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანისათვის, პროლეტარიატის იდეურად აღზრდისათვის. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ გაზეთის საქმიანობა არ ამოიწურება აგიტაციითა და პროპაგანდით, რომ მას ევალება დიდი ორგანიზაციული მუშაობის გაწევაც. გაზეთი უნდა იყოს პროლეტარიატის დიდი ტრიბუნა, რომლიდანაც უნდა მოეწყოს მეფის მთავრობის მხილება.

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები პრესის მნიშვნელობის შესახებ საპროგრამო მითითება იყო პარტიისათვის, ბოლშევიკური და დემოკრატიულ-პროგრესული პრესის მუშაკებისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში მასების პოლიტიკური აღზრდისა და მთელი დემოკრატიული ძალების პროლეტარიატის დროშის ქვეშ დარაზმვის საქმეში დიდი როლი შეასრულა რევოლუციურმა ბეჭდვითმა სიტყვამ. ბოლშევიკური პრესისა და საერთოდ პროგრესული ლიტერატურის საქმიანობას რევოლუციის პერიოდში განსაზღვრავდნენ ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი, რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და რევოლუციის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ რევოლუციის ხელმძღვანელობა მძლავრი რევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის გარეშე შეუძლებელია. იგი ურჩევდა პარტიას რეგულარულად გამოეშვა ფურცლები და ბროშურები პარტიულ და პოლიტიკურ თემებზე. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე დაწერილ წერილში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „...თქვენ შეგიძლიათ გახადოთ და კიდეც უნდა გახადოთ ცენტრალური კომიტეტი არა უტყვად, არამედ მუდამ მოლაპარაკედ. წარსულს ბარდება ის დრო, როცა იდეური ხელმძღვანელობა „ჩურჩულით“ ხორციელდებოდა თავშეყრისა და აგენტებთან შეხვედრის დროს! საჭიროა ხელმძღვანელობა პოლიტიკური ლიტერატურის საშუალებით... თქვენთვის აუცილებლად საჭიროა უშვებდეთ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენს ფორმით არა უმეტეს 2 ნაბეჭდი ფურცლისა, მაგრამ უშვებდეთ კვირაში ორჯერ“[1].

ლენინის მითითების საფუძველზე პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი კომიტეტები მასობრივი ტირაჟით უშვებდნენ ფურცლებს, პროკლამაციებსა და ბროშურებს, რაც საშუალებას აძლევდა ბოლშევიკებს სწრაფად გამოხმაურებოდნენ უმნიშვნელოვანეს ამბებს, ფართო პროპაგანდა ეწარმოებინათ მასებში, სწორად გაეშუქებინათ მომხდარი ამბები, ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწიათ რევოლუციური მასებისათვის.

1905 წლის იანვრის სისხლიანი კვირის შემდეგ ბოლშევიკების პროკლამაციები და ფურცლები ათასობით ვრცელდებოდა მასებში. რევოლუციის პირველივე დღეებიდან ბოლშევიკური პრესა გახდა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მასების ორგანიზაციისა და მობილიზაციის უდიდესი საშუალება.

რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა 1905 წლის 10 იანვარს გამოუშვა ფურცელი „ყველასადმი“, სადაც მოუწოდებდა შეიარაღებულიყვნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფურცელში ნათქვამი იყო: „ამხანაგებო! სისხლი დაიღვარა, იგი უხვად იღვრება. მუშებმა ერთხელ კიდევ გაიგეს მეფის ალერსი და მეფის წყალობა. ისინი მიდიოდნენ მეფესთან სიმართლის საძიებლად და ტყვიები კი მიიღეს.... თქვენ ხედავთ, რას ნიშნავს თხოვა მეფეს, მისი იმედი გქონდეს. მაშ ისწავლეთ ძალით მოიპოვოთ ის, რაც გჭირდებათ. საჭიროა ვისწავლოთ ის, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს“[2]. ფურცელი თავდებოდა

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 387.

2 პეტერბურგის ბოლშევიკები რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, გვ. 161 — 162.

მოწოდებით: „გაერთიანდით, შეიარაღდით, საკუთარი თავის იმედი გქონდეთ, ამხანაგო მუშებო! ძირს მეფე-მკვლელი!“.

ბოლშევიკური პარტია სისტემატურ აგიტაციას და პროპაგანდას ეწეოდა ჟურნალებისა და გაზეთების საშუალებით. პარტიამ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შექმნა გაზეთებისა და ჟურნალების დიდი ქსელი. 1905 წლის რევოლუციის დროს 140-ზე მეტი ბოლშევიკური გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში გამოდიოდა გაზეთები — „ნოვაია ჟიზნ“, „ვპერიოდ“, „პროლეტარი“, „ბორბა“, „რაბოჩი“, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, „ვოლნა“, „ეხო“, „პროლეტარიატის ბრძოლა“ და სხვ., ჟურნალები — „ვესტნიკ ჟიზნი“, „ისტინა“ და სხვ.

ბოლშევიკური პარტიის სახელგანთქმულმა ორგანოებმა — „ვპერიოდმა“, „პროლეტარმა“, „ნოვაია ჟიზნმა“ და სხვ. პარტიის ბელადის ლენინის ხელმძღვანელობით დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკების რევოლუციური ტაქტიკის შემუშავების საქმეში, პარტიის III ყრილობის მომზადებისა და ამ ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის, მშრომელი მასებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის აღზრდის, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვებისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების საქმეში.

1905 წლის 4 იანვარს ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ, ჟენევაში, გამოსვლა დაიწყო ბოლშევიკების ორგანომ, არალეგალურმა გაზეთმა „ვპერიოდმა“, რომელიც საიდუმლოდ შემოჰქონდათ ბოლშევიკებს რუსეთში და ავრცელებდნენ მასებში. გაზეთის ხელმძღვანელობის საქმეში ლენინის უახლოესი თანაშემწეები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

გაზეთმა „ვპერიოდმა“ ლენინის ხელმძღვანელობით გააჩაღა ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოსაწვევად. გაზეთის ფურცლებზე ლენინმა დაამუშავა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური ხაზი შეიარაღებული აჯანყების, დროებითი რევოლუციური მთავრობის და მუშათა და გლეხთა რევოლუციური დიქტატურის შესახებ, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების შესახებ. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები: „ორი ტაქტიკა“, „მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?“, „სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციური მთავრობა“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“ და სხვ., სადაც დასაბუთებული და განვითარებული იყო ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ტაქტიკა. გაზეთ „ვპერი-

ოდში“ სულ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 40-ზე მეტი სტატია. ამ ნაშრომებში იგი სახავდა რევოლუციის შემდგომი განვითარების, მისი მთავარი ამოცანების გადაჭრის გზებს. მარქსისტულ მოძღვრებაზე დაყრდნობით, ობიექტური კანონების ღრმა ცოდნის საფუძველზე ლენინი იძლეოდა პასუხს თანამედროვეობის ყველა მთავარ საკითხზე.

ვ. ი. ლენინმა მიზნად დაისახა გაზეთ „ვპერიოდის“ გარშემო დაერაზმა პარტიული აქტივი, მოწინავე რევოლუციური მუშები, დემოკრატიული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ლენინი ასწავლიდა პრესის მუშაკებს, რომ გაზეთი მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს მიზანს, მხოლოდ მაშინ შეასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და კოლექტიური ორგანიზატორის როლს, თუ ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის 500, 5.000 არალიტერატორი მუშაკი. ლენინი მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალება მიეცათ მუშებისათვის ეწერათ ბოლშევიკურ გაზეთში, ეწერათ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, თავისი ინტერესების შესახებ.

გაზეთ „ვპერიოდში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, არმიასა და ფლოტში. გაზეთი თავის მთავარ ამოცანად ისახავდა რუსეთის რევოლუციური ამბების მსვლელობის სწორად და სისტემატურად გაშუქებას, გაზეთის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა რევოლუციური ამბებისადმი მიძღვნილი სტატიები, კორესპონდენციები, მიმოხილვები და სხვ.

გაზეთი „ვპერიოდი“ დაუცხრომლად ეწეოდა პროპაგანდას შეიარაღებული აჯანყებისათვის, არწმუნებდა მასებს აჯანყების აუცილებლობაში, სისტემატურად წერდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ნომზადებულიყო და ჩატარებულიყო შეიარაღებული აჯანყება, რა რაოდენობით შეექმნათ მებრძოლი რაზმები, როგორ შეეიარაღებინათ და გაეწვრთნათ სამხედრო საქმეში მუშები. შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების საკითხს მიუძღვნა გაზეთმა სტატიები: „ბარიკადების მოწყობის საკითხისათვის“, „ჯარისკაცთა შორის მუშაობის შესახებ“, „შეიარაღებული ბრძოლის შესახებ“ და სხვ. გაზეთ „ვპერიოდში“ დაიბეჭდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის მიერ რედაქტირებული თარგმანი პარიზის კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის კლიუზერის სტატიისა — „ქუჩის ბრძოლის შესახებ (კომუნის გენერლის რჩევა)“.

ეაზეთმა სასტიკი კრიტიკა გააჩაღა მენშევიკების შემარიგებლური და დეზორგანიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და ამხილა ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური ტაქტიკა.

ბოლშევიკური პარტიის რიგების შემჭიდროებისა და რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა „ვპერიოდის“ რედაქციის მიერ III ყრილობის მოხსენების თეზისებისა და სხვა მასალების ფართო პოპულარიზაციამ. ყრილობის მოწვევისათვის გაზეთის მიერ მოწყობილი მგზნებარე რევოლუციური პროპაგანდა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამ წარმატებით აღფრთოვანებული ვ. ი. ლენინი გაზეთ „ვპერიოდში“ წერდა: „ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვიზეიმოთ სრული მორალური გამარჯვება! რუსეთმა აჯობა საზღვარგარეთლებს. პარტიულობამ გაიმარჯვა წრეობანაზე“ [1].

გაზეთ „ვპერიოდის“ დიდი მუშაობა პარტიის მესამე ყრილობის მოსაწვევად და მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მის მიერ გაჩაღებული ბრძოლის მნიშვნელობა და საერთოდ გაზეთის თვალსაჩინო როლი რევოლუციის მიერ წამოყენებული საკითხების დაყენებისა და გაშუქების საქმეში აღნიშნულ იქნა პარტიის III ყრილობის სპეციალურ რეზოლუციაში: „...მხედველობაში აღებს რა თვალსაჩინო როლს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რაც გაზეთმა „ვპერიოდმა“ პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში შეასრულა, ბოლოს, მის მნიშვნელობას ყრილობის განხორციელების საქმეში, — ყრილობა მადლობას უცხადებს „ვპერიოდის“ რედაქციას“[2].

პარტიის III ყრილობის შემდეგ პარტიის ცენტრალური ორგანო გახდა გაზეთი „პროლეტარი“, რომელიც წარმოადგენდა გაზეთ „ვპერიოდის“ გაგრძელებას. გაზეთის რედაქტორად ყრილობამ დაამტკიცა ვ. ი. ლენინი. გაზეთმა განაგრძო პარტიის III ყრილობის დადგენილებათა სისტემატური პროპაგანდა. გაზეთში იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები და შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელმძღვანელო მითითებებს პარტიული ორგანიზაციებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ ჩასდგომოდნენ სათავეში მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას.

გაზეთ „პროლეტარის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ცნობები საკაუიცვო მოძრაობის შესახებ, პოლიტიკური დემონსტრაციებისა და შეიარაღებული შეტაკებების შესახებ. მასში იბეჭდებოდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 306.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 104.

დიდი სამრეწველო ქალაქებიდან და სოფლებიდან მიღებული მრავალი კორესპონდენცია, სადაც გაშუქებული იყო რევოლუციური აჰბების მსვლელობა და მათი ხასიათი, მუშებისა და ჯარის ნაწილების ერთიანეთთან დაკავშირების ფაქტები და სხვ.

გაზეთი „პროლეტარი" ფართოდ აშუქებდა საპირველმაისო დემონსტრაციების, ივანოვო-ვოზნესენსკის ცნობილი გაფიცვის მსვლელობას, მის ორგანიზაციულ და შეგნებულ ხასიათს, ჯავშნოსან „პოტიომკინზე" მეზღვაურების აჯანყების მსვლელობას. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის წერილი „რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა", რომელშიც ნათქვამია: „ოდესაში მომხდარი აჯანყება და რევოლუციის მხარეზე ჯავშნოსან „პოტიომკინის" გადასვლა მოასწავებს ახალი და დიდი ნაბიჯის გადადგმას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. მოვლენებმა განსაცვიფრებელი სისწრაფით დაადასტურეს, თუ რაოდენ დროული იყო მოწოდებანი აჯანყებისაკენ და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ"[1]. „პოტიომკინზე" აჯანყებას ლენინმა რევოლუციური არმიის ბირთვის შექმნის ცდა უწოდა.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მიმოხილვები, სადაც მოცემული იყო მიმდინარე რევოლუციის ტიპიურ თავისებურებათა დახასიათება, მოყვანილი იყო ფაქტები ცალკეული საწარმოებისა და ქალაქების მუშების მტკიცე ბრძოლის შედეგად მოპოვებული წარმატებების შესახებ.

„პროლეტარის" მეექვსე ნომერში დაიბეჭდა ლენინის მოწინავე სტატია „პროლეტარიატის ბრძოლა და ბურჟუაზიის ლაქიობა", სადაც ნათქვამი იყო: „აჯანყება და შეიარაღებული ბრძოლა ბარიკადებზე ლოძში, — ხოცვა-ჟლეტა ივანოვო-ვოზნესენსკში, — საყოველთაო გაფიცვები და მუშებისათვის სროლის ატეხა ვარშავასა და ოდესაში, — ერობათა დელეგაციის კომედიის სამარცხვინო დასასრული, — ასეთია გასული კვირის მთავარი პოლიტიკური ამბები. თუ ამას მივუმატებთ ჟენევის... გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს ხარკოვის გუბერნიის ლებედინის მაზრაში გლეხთა მღელვარების შესახებ, ხუთი მამულის დარბევისა და იქ ჯარების გაგზავნის შესახებ, ერთი კვირის ამბები თვალწინ გადაგვიშლის ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ძალის ხასიათს, რომელიც ახლა რევოლუციის დროის ასე აშკარად და მკაფიოდ მოჩანს"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 665.
[2] იქვე, გვ. 639.

თვითმპყრობელურმა მთავრობამ, როდესაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ რეპრესიების საშუალებით შეუძლებელი იყო რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობა, მიმართა მანევრებს, ხრიკებს ხალხის მოსატყუებლად. მთავრობამ დაიწყო დაპირებების მოცემა „წარმომადგენლობითი დაწესებულების“ მოწვევის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს სახით. ასეთი სათათბიროს პროექტის შემუშავება ნიკოლოზ მეორემ დაავალა თავის მინისტრს ბულიგინს. ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა პრესამ გაილაშქრეს სათათბიროს წინააღმდეგ და მოითხოვეს მისთვის ბოიკოტის გამოცხადება. გაზეთ „პროლეტარის“ მე-12 ნომერში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება“, სადაც სასტიკად იყო მხილებული მეფის კანონი სათათბიროს შესახებ. ლენინი მიუთითებდა, რომ მთავრობის ამ თვალთმაქცობის მიზანი იყო შეეჩერებინა და ჩაექრო სახალხო რევოლუცია. ამხელდა რა ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტული პარტიების დამოკიდებულებას სათათბიროსადმი, ვ. ი. ლენინი აღნიშნულ სტატიაში მოითხოვდა ბულიგინის სათათბიროსადმი აქტიური ბოიკოტის გამოცხადებას და მთელი ენერგიითა და შესაძლებლობით მზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის, თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

ბულიგინის სახელმწიფო სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ლენინური ლოზუნგის ცხოვრებაში გასახორციელებლად გაზეთმა „პროლეტარმა“ დაიწყო მგზნებარე სისტემატური პროპაგანდა. გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა სტატიები და კორესპონდენციები, სადაც მხილებული იყო ბულიგინის სათათბიროს რეაქციული ხასიათი და სასტიკად იყო გაკრიტიკებული ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედება, რომელიც დიდი სიხარულით შეხვდა სათათბიროს მოწვევის დაპირებას. ა. ვ. ლუნაჩარსკის და ვ. ვ. ვოროვსკის სტატიებში მხილებული იყო ლიბერალების გამცემლური პოლიტიკა და ნაჩვენები იყო ბულიგინის სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ბოლშევიკური ტაქტიკის სისწორე. ლიბერალური ბურჟუაზიის ყალბი ფრაზები დემოკრატიის შესახებ და გამცემლური ცდები დემოკრატიული სიტყვებით დაეშალათ თავიანთი კავშირი ცარიზმთან — სასტიკად იქნა მხილებული გაზეთ „პროლეტარში“ დაბეჭდილ ვ. ი. ლენინის სტატიებში — „რევოლუციური ბრძოლა და ლიბერალური მაკლერობა“, „ბურჟუაზიული გამცემლობის პირველი ნაბიჯები“, „თეთრხელთათმანიანი რევოლუციონერები“, „პროლეტარიატის ბრძოლა და ბურჟუების ლაქიობა“, „ბურჟუაზია ევაჭრება თვითმპყრობელობას, თვითმპყრობელობაც ევაჭრება ბურჟუაზიას“ და სხვ.

გაზეთ „პროლეტარის“ ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა 1905 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც დაიწყო მოსკოვში 19 სექტემბერს მბეჭდავი მუშების გაფიცვით და შემდეგ მთელ ქვეყანას მოედო. მოსკოვის რევოლუციური ამბების მნიშვნელობა შეაჯამა ვ. ი. ლენინმა სტატიაში „მოსკოვის ამბების გაკვეთილები“, რომელიც გამოქვეყნდა „პროლეტარის“ 22-ე ნომერში. ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვას, რომელიც სრულიად რუსეთის გაფიცვად იქცა და რომელმაც შეაჩერა სახელმწიფოს მთელი ცხოვრება, ღრმა პოლიტიკური ანალიზი გაუკეთა ლენინმა თავის წერილში „რევოლუციის პირველი გამარჯვება“ (გაზეთი „პროლეტარი“, № 24). იგი წერდა:

„17 ოქტომბრის დღე ისტორიაში დარჩება, როგორც რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი დღე. მსოფლიოს უმაგალითო საყოველთაო-სახალხო გაფიცვამ თავის აპოგეას მიაღწია. პროლეტარიატის მძლავრმა ხელმა, პროლეტარიატისა, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეში გმირული სოლიდარობის უაღრესი ალმავლობის დროს აღსდგა, მთელი მრეწველობის, ვაჭრობისა და სახელმწიფო ცხოვრების მაჯისცემა შეაჩერა. ქვეყანა მიყუჩდა ქარიშხლის წინ“ [1].

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დროს ბოლშევიკები აიარაღებდნენ მუშებს, ქმნიდნენ საბრძოლო რაზმებს. მუშები აგებდნენ ბარიკადებს, გახშირდა მუშების შეიარაღებული შეტაკებები ჯართან და პოლიციასთან. უკეთებდა რა ანალიზს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შედეგებს, ამ დროს გაჩაღებულ შეიარაღებულ შეტაკებებს, სტატიაში— „სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“ („პროლეტარი“, № 23).—ვ. ი. ლენინი წერდა:

„აჯანყება ახლოვდება, იგი ჩვენს თვალწინ იზრდება სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვიდან. იმ მინისტრ-კლოუნის დანიშვნა, რომელიც არწმუნებს მუშებს, საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება „ახლა“ შეუძლებელიაო, ნათლად გვიჩვენებს რევოლუციურ ძალთა ალმავლობას და მეფის მთავრობის ძალთა დაცემას. თვითმპყრობელობას უკვე აღარ ძალუძს აშკარად გამოვიდეს რევოლუციის წინააღმდეგ. რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს მტერს. თითქმის გაწონასწორებულ ძალთა ეს ქანაობა აუცილებლივ ბადებს ხელისუფლების დაბნეულობას, იწვევს რეპრესიებიდან დათმობებზე, პრესის თავისუფლებისა და კრებების თავისუფლების კანონებზე გადასვლას“[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 525 — 526.

[2] იქვე, გვ. 486.

თავისი გმირული ბრძოლით რუსეთის პროლეტარიატმა თეითმპყრობელურ მთავრობას გამოგლიჯა ერთგვარი პოლიტიკური თავისუფლება. მოხდა რუსეთისათვის უჩვეულო ამბავი — რევოლუციურმა გაზეთებმა დაიწყეს ლეგალურად გამოსვლა, თუმცა მეფის მთავრობა ოქტომბრის დაპირებების შემდეგაც განაგრძობდა ბეჭდვითი სიტყვის სასტიკ ცენზურას. მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გააჩაღეს ბრძოლა მეფის ცენზურის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ მის გაუქმებას.

გაზეთმა „პროლეტარმა" მანიფესტის წინააღმდეგ დაიწყო 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ პროპაგანდა. გაზეთი აფრთხილებდა მუშებს, რომ მეფე მხოლოდ სიტყვებით ჰპირდებოდა მათ და საქმით არაფერს არ იძლეოდა.

ბოლშევიკურმა ადგილობრივმა კომიტეტებმა მთელი ძალით გაშალეს პროპაგანდა იმისათვის, რომ ემხილებინათ 17 ოქტომბრის მანიფესტის მუხანათური ბუნება. ამ დღეებში მათ გამოსცეს მრავალი ფურცელი, რომლებითაც ბოლშევიკები მიმართავდნენ მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს და დემოკრატიულ ინტელიგენციას, რომ არ დაეჯერებინათ მეფის არავითარი დაპირება, გაეძლიერებინათ გაფიცვები, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება, შეექმნათ საბრძოლო რაზმები, შეეიარაღებინათ ისინი, დარაზმულიყვნენ საერთო საბრძოლო დროშის ქვეშ. ამ მიმართულებით ბოლშევიკების უდიდესი მუშაობის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტის მოღვაწეობა. მარტო ერთი თვის მანძილზე, 1905 წლის 19 აპრილიდან 19 მაისამდე, მოსკოვის კომიტეტმა გამოუშვა და გაავრცელა 84.952 ეგზემპლარი ფურცელი და ბროშურა, იმავე წლის სექტემბერში — 94.282 ეგზემპლარი, ოქტომბერში — 268.588, ნოემბერში —307.044, დეკემბერში — 145.943 ეგზემპლარი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტისაგან მოსკოვის კომიტეტმა მარტო ივნისში მიიღო 3,5 ფუთი ლიტერატურა.

მოსკოვის კომიტეტმა მარტო 1905 წლის ნოემბერში გამოუშვა 250 ათასი ეგზემპლარი ფურცელი, გაავრცელა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები 16 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, პარტიის პროგრამა — 8 ათასი ეგზემპლარი, 25 ათასი ეგზემპლარი ბოლშევიკური გაზეთები და სხვ. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ბოლშევიკებს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ბეჭდვითი სიტყვის პროპაგანდა. „პარტიის ხელმძღვანელობა მოძრაობის ახლანდელი გიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება. და უნდა შეიქმნას ცოცხალი, მოძრავი, სწრაფი, მოკლე ფურცლები-ბიუ-

ლეტენები, რომლებშიც დაიბეჭდება ძირითადი ლოზუნგები და ძირითადი ამბების შედეგები"[1].

რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ცენტრში — მოსკოვში მასების აღზრდის, რევოლუციური ძალების შემჭიდროების, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების საქმეში დიდი როლი შეასრულა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის „ბიულეტენმა", რომლის გამოსვლა დაიწყო 1905 წლის აგვისტოში. იგი სისტემატურად აშუქებდა რევოლუციური მოძრაობის მთელ მსვლელობას. ამ დროს ბოლშევიკებმა მოსკოვში მოაწყეს ორი სტამბა. კონსპირაციის მიზნით ორსავე სტამბას გამოკიდებული ჰქონდათ აბრა შემდეგი წარწერით: „საბითუმო ვაჭრობა კავკასიური ხილით, კალანდაძისა".

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მასების იდეური აღზრდის, მათი ერთი საბრძოლო დროშის ქვეშ დარაზმვისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ორგანომ „ნოვაია ჟიზნმა". ლენინი, რომელიც 1905 წლის ნოემბერში რუსეთში დაბრუნდა და უშუალოდ ჩაუდგა სათავეში შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნს". გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ლენინის სტატიები წარმოადგენდნენ ბრძნულ მითითებებს. ემიგრაციიდან დაბრუნების პირველ დღეებიდანვე ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ბოლშევიკური პრესის საქმიანობის მოგვარების. საკითხებს, განსაკუთრებით გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" იმ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას, რომელშიაც იმყოფებოდა გაზეთის რედაქცია. პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე ლენინმა მოიწვია სპეციალური სხდომა, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა რედაქციის შემადგენლობა და შემუშავებულ იქნა „ნოვაია ჟიზნის" უახლოესი ამოცანები. გაზეთის აქტიური თანამშრომლები იყვნენ ბოლშევიკ-პუბლიცისტები: ვოროვსკი, ლუნაჩარსკი, ოლმინსკი და სხვ. გაზეთის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი.

გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" უშუალო ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. მარტო ერთი თვის მანძილზე გაზეთში დაბეჭდა ლენინის 12 ნაშრომი. 1905 წლის 13 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე „ნოვაია ჟიზნში" დაიბეჭდა მისი სტატიები: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" („ნოვაია ჟიზნ", № 12), „ჩაშლილი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 408.

პროვოკაცია“ (№ 13), „ჯარი და რევოლუცია“ (№ 14), „სასწორი ქანაობს“ (№ 16), „ისწავლეთ მტრებისაგან“ (№ 16), „რევოლუციის კანცელარულობა და რევოლუციის საქმე“ (№ 18), „შომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები“ (№ 19), „სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა“ (№№ 22 და 27), „სოციალიზმი და რელიგია“ (№ 28) და სხვ. ლენინის ამ ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულეს რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში.

ვ. ი. ლენინის სტატიამ „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე, დიდი როლი შეასრულა 1905 წლის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და საერთოდ სოციალისტური ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამ სტატიაში ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა ბურჟუაზიული ლიტერატურისა და პრესის მავნე პროპაგანდა ლიტერატურის უპარტიობის შესახებ და მთელი სიძლიერით წამოაყენა სოციალისტური ლიტერატურის პარტიულობის იდეა.

„თავი დავაღწიეთ რა ბატონყმური ცენზურის ტყვეობას,—წერდა ლენინი, — ჩვენ არა გვსურს ტყვედ ჩაუვარდეთ და არც ჩაუვარდებით ბურჟუაზიულ-ჩარჩულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ჩვენ გვსურს შევქმნათ და კიდევაც შევქმნით თავისუფალ ბეჭდვითს სიტყვას, თავისუფალს არა მარტო პოლიციისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან, კარიერიზმისაგან; — ესეც ცოტაა: აგრეთვე ბურჟუაზიულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმისაგან თავისუფალსაც“[1].

ამხელდა და ანადგურებდა რა ლიტერატურის უპარტიობის ბურჟუაზიულ-რეაქციულ იდეას, რომლის მიზანსაც შეადგენდა კლასთა ბრძოლის მიჩქმალვა, სტატიაში — „ისწავლეთ მტრებისაგან“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „ძირს უპარტიობა! უპარტიობა ყოველთვის და ყველგან ბურჟუაზიის იარაღი და ლოზუნგი იყო. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიაროთ კიდეც, განსაზღვრულ პირობებში, შეუგნებელ პროლეტარებთან ერთად, იმ პროლეტარებთან ერთად, რომელნიც არაპროლეტარულ მოძღვრებას იზიარებენ... მაგრამ არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი მკაცრი პარტიულობა, არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ და არც სხვებს დავავიწყებინოთ, რომ პროლეტარიატში არსებული მტრობა სოციალ-დემოკრატიისადმი —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 38.

ეს არის პროლეტარიატში დარჩენილ ბურჟუაზიულ შეხედულებათა ნაშთი"[1].

ვ. ი. ლენინმა მთელი სიძლიერით და სიმწვავით დააყენა საკითხი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ, რასაც მტკიცედ ატარებდნენ ბოლშევიკები 1905 წლის რევოლუციის დროს. „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს, — წერდა ლენინი. — წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონყაცური ანარქიზმისა" და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით"[2].

ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" ავტორიტეტის გაძლიერების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მაქსიმ გორკის. გორკი „ნოვაია ჟიზნის" ლიტერატურული განყოფილების ფაქტიური წამყვანი იყო. გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი გორკის მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები ამხნევებდნენ და ამჟიდროებდნენ რევოლუციის ძალებს, თავზარს სცემდნენ მეფის მთავრობას და მის დამცველ რეაქციონერ ლიტერატორებს. „ნოვაია ჟიზნში" პირველად დაიბეჭდა გორკის ცნობილი ნაშრომები: „შენიშვნები მეშჩანობის შესახებ" და „პო პოვოდუ".

ბოლშევიკური პრესის გაბედულმა, პირდაპირმა და სამართლიანმა ხმამ ბევრ ცნობილ რუს ლიტერატორზე მოახდინა გავლენა. ზოგიერთი მათგანი შეეცადა კიდეც ეთანამშრომლა ბოლშევიკურ რევოლუციურ პრესაში. ბურჟუაზიული ლიტერატორების რევოლუციურ პრესასთან დაახლოების ერთ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ცნობილი მწერალი ა. ტიხონოვი, რომელმაც გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" გამოაქვეყნა საინტერესო ფელეტონი „მოკვდით თავის დროზე!". ფელეტონში ოსტატურად არის მხილებული ლიბერალური ბურჟუაზიის თვალთმაქცური და გამცემლური მოქმედება. მწერალი პირდაპირ მიმართავს ხალხის საძულველ მტრებს— რაც შეიძლება ადრე მოკვდითო. გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა პუბლიცისტური შენიშვნების სერია სათაურით „შთაბეჭდილებანი", რომელიც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, უნდა ეკუთვნოდეს მ. გორკის. ალ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 55.
[2] იქვე, გვ. 35 — 36.

ნიშნულ ნაწარმოებში მხილებულია თვითმპყრობელური მთავრობის ანტიხალხური მოქმედება, მეფის მთავრობისა და მისი მოხელეების სასტიკ მხილებასთან ერთად სამარცხვინო ბოძზეა გაკრული ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედებაც.

ბოლშევიკური პრესის რევოლუციური ტონის და მ. გორკის დიდი მხატვრული შემოქმედების გავლენით „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციასთან დაახლოება და გაზეთში თანამშრომლობა მოისურვეს მთელმა რიგმა რადიკალურმა მწერლებმა. გაზეთში თანამშრომლობა დაიწყეს ისეთმა მწერლებმა, როგორიც იყვნენ მინსკი („ნოვაია ჟიზნის“ ოფიციალური რედაქტორი), ბალმონტი, ტეფი, ჩირიკოვი და სხვ. მართალია, მათი ლიტერატურული შრომები, რომლებიც „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, არ იყო პროლეტარული სულისკვეთებით დაწერილი ნაშრომები, მაგრამ მათ მაინც ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ნიშნავდა რევოლუციურ პრესაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიზიდვას, ნიშნავდა მათ გადახრას მარცხნივ ბურჟუაზიისაგან და მათზე ბოლშევიკების პარტიისა და მისი ლიტერატურის გავლენის გაძლიერებას.

მოსკოვის მუშათა დეკემბრის აჯანყების მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ. რსდმპ მოსკოვის კომიტეტის ორგანოები — გაზეთები „ეპერიოდი“, „ბორბა“, „ბიულეტენი“, ფურცლები რევოლუციურ მასებს ამზადებდნენ და მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

რევოლუციის მძლავრი აღმავლობის დღეებში, 1905 წლის 27 ნოემბერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკი წევრების არალეგალურ თათბირზე ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი და გენიალური პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი. თათბირზე იხილავდნენ მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხს. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების მომზადების შესახებ. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის სხდომამ დაადგინა მოსკოვში გამოეცათ გაზეთი „ბორბა“. თათბირზე ვ. ი. ლენინმა წინადადება შეიტანა მოსკოვის კომიტეტის ორგანო „ბორბას“ რედაქციაში შეეყვანათ მ. გორკი. გაზეთ „ბორბას“ გამოსვლას დიდი ინტერესით და სიხარულით გამოეხმაურა ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო „ნოვაია ჟიზნი“. „ბორბას“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ წერდა: „სულით და გულით მივესალმებით თანამედროვე ახალ ამხანაგს. გაზეთის პირველი ნომერი მეტად მდიდა-

რი შინაარსისა და შემკულია გორკის მოთხრობით — „და კიდევ ეშმაკის შესახებ“ [1]. სულ გამოვიდა გაზეთ „ბორბას“ ცხრა ნომერი.

გაზეთმა „ბორბამ“ დიდი როლი შეასრულა რევოლუციური ძალების აღზრდისა და შემჭიდროების, მასებში შეიარაღებული აჯანყების იდეის პროპაგანდის საქმეში. გაზეთი აქვეყნებდა მრავალ სტატიას, წერილსა და კორესპონდენციას მოსკოვის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის, საგაფიცვო მოძრაობის, ფოსტა-ტელეგრაფის მოსაშსახურეების გაფიცვის მიმდინარეობის, ჯარის ნაწილებში მომხდარი მღელვარების, საბრძოლო რაზმების შექმნისა და შეიარაღების, საგაფიცვო ფონდისათვის თანხების შეგროვების მიმდინარეობის შესახებ, დაწვრილებით აქვეყნებდა მოსკოვის საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხვ.

გაზეთ „ბორბას“ საქმიანობის გაძლიერების საქმეში ბოლშევიკებს დიდ დახმარებას უწევდნენ გორკი და მასთან ახლო მდგომი პროგრესული მწერლები ნ. გ. გარინ-მიხაილოვსკი და სხვ., როგორც ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწერების გამოქვეყნებით, ისე შეიარაღებული აჯანყებისათვის თანხების შეგროვებით. გაზეთს რედაქტორობდა ცნობილი რევოლუციონერი ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. გაზეთში პირველად დაიბეჭდა ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური მოქმედების მამხილებელი პამფლეტი.

1905 წლის 2 დეკემბერს გამოვიდა მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ვპერიოდი“ (სულ გამოვიდა ოთხი ნომერი). გაზეთის უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ ბოლშევიკური პარტიის წევრები — ლიტერატორები ი. დუბროვინსკი, ე. იაროსლავსკი და ვ. სოკოლოვი.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა რევოლუციის ამბებს, ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობას, პროფესიულ მოძრაობას. იგი ფართო პროპაგანდას უწევდა ბოლშევიკების ლოზუნგს, რომელიც მოსკოვის მუშებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, ცდილობდა გაეშუქებინა ჯარისკაცებში გაჩაღებული მოძრაობა. განსაკუთრებით დიდი მოვლენა იყო როსტოვის პოლკის აჯანყება დეკემბერში.

დეკემბრის ამბების გაძლიერებასთან დაკავშირებით ბოლშევიკების კომიტეტმა გაზეთ „ვპერიოდის“ საშუალებით ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამი იყო: „მისმა (თვითმპყრობელობის.—ვ. ო.) უკანასკნელმა დასაყრდენმა — ჯარმა — მერყეობა დაიწყო და უკვე მის წინააღმდეგ გამოსვლას იწყებს. სევასტოპო-

[1] გაზ. „ნოვაია ჟიზნ“, 1905 წ., № 24.

ლის, კრონშტანდტის, პიატიგორსკის, რიგისა და სამარის შემდეგ ჯარმა მღელვარება დაიწყო ჩვენთანაც, მოსკოვში. როსტოვის პოლკიდან გაძევებულია ყველა ოფიცერი, მოხსნილია მთავრობის ყველა საგუშაგო, ყაზარმები და იარაღი აჯანყებული პოლკის ხელშია.

სხვა ჯარებშიც არაა სიმშვიდე.

დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება დადგეს გადამწყვეტი მომენტი, როდესაც ჯარები უკვე თავს ვეღარ შეიკავებენ და გამოვლენ ქუჩებში. შეიძლება, ახლოსაა გადამწყვეტი ბრძოლის დღე. მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, იმისათვის, რომ საყოველთაო გაფიცვითა და სხვა საშუალებით დავეხმაროთ ჩვენს ამხანაგებს და ერთობლივი დაწოლით დავამხოთ მტერი. დაირაზმენით, ემზადეთ გადამწყვეტი ბრძოლისათვის"[1].

დეკემბრის დამდეგს მდგომარეობა თანდათანობით დაძაბულ ხასიათს ღებულობდა. მეფის მთავრობა მთელი ძალებით მიისწრაფვოდა იქითკენ, რომ ჩაეხშო რევოლუცია. დაიწყო რეაქციის საშინელი შეტევა. მთავრობამ დააპატიმრა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ბოლშევიკების ორგანო „ნოვაია ჟიზნი" აკრძალულ იქნა. გამოქვეყნდა კანონი გაფიცვების აკრძალვის შესახებ. ყველა ეს ამბები ბოლშევიკების მიერ გაშუქებული იქნა პრესაში. გაზეთ „ვპერიოდის" მე-4 ნომერში დაიბეჭდა სტატია „მთავრობას სისხლი სწყურია", რომელიც მოუწოდებდა მოსკოვის მუშებს მთელი შესაძლებლობით მომზადებულიყვნენ აჯანყებისათვის, ჩაეშალათ მთავრობის ყველა სისხლიანი გეგმა.

ბოლშევიკური პრესის ბრძოლის ისტორიის განხილვის დროს მოგონების ღირსია გაზეთი „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებანი", რომელიც გამოდიოდა 1905 წლის 7-დან 12 დეკემბრამდე (სულ გამოვიდა ექვსი ნომერი). გაზეთს ბეჭდავდნენ ბურჟუაზიულ სტამბებში „განცხადების წესით", რომელსაც იცავდნენ საბრძოლო რაზმები.

მოსკოვის საბჭომ და მისმა ორგანომ დაიწყეს გამალებული მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებანის" პირველი ნომერი იხსნებოდა მოსკოვის საბჭოს და პარტიული ორგანიზაციების დადგენილებით: მოსკოვში, ოთხშაბათს, 7 დეკემბერს, დღის 12 საათიდან გამოცხადებულ იქნეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც უნდა გადაიზარდოს შეიარაღებულ აჯანყებაში. გაზეთში დაიბეჭდა მოწოდე-

---

[1] გაზ. „ვპერიოდ", № 3, 1905 წ., 4 დეკემბერი.

ბა „ყველა მუშას, ჯარისკაცსა და მოქალაქეს“. მოწოდებაში მოცემული იყო მომენტის ღრმა შეფასება. იგი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „გაბედულად ჩაებით ბრძოლაში, ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო, მოქალაქენო! ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას და შეიარაღებულ აჯანყებას! გაუმარჯოს საყოველთაო, სახალხო დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს-დემოკრატიულ რესპუბლიკას!“.

გაზეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა მოსკოვის საბჭოს მოღვაწეობის მოკლე ანგარიში, საბჭოს მოწოდება მოსახლეობისადმი — უარი ეთქვათ გადასახადებზე და სხვ. გაზეთში გამოქვეყნდა აგრეთვე ინფორმაცია რუსეთის სხვა ქალაქებში რევოლუციური გამოსვლების შესახებ.

გაზეთის მეორე ნომერი იუწყებოდა 7 დეკემბრის 12 საათზე მოსკოვის პროლეტარიატის მიერ დაწყებული გმირული, ერთსულოვანი პოლიტიკური გაფიცვის შესახებ. იქვე დაიბეჭდა მოსკოვის საბჭოს მოწოდება მუშების დასახმარებლად და ხალხის შესაიარაღებლად ფულადი სახსრების შეგროვების შესახებ.

გაზეთმა გამოაქვეყნა რევოლუციური სიმღერების — „მარსელიოზას“, „ინტერნაციონალის“, „ვარშავიანკას“, „დუბინუშკას“ ტექსტები.

გაზეთის მეორე ნომერში გამოქვეყნებულ იქნა წერილი „სისხლი მოსკოვის ქუჩებში“, რომელშიც გადმოცემული იყო მეფის ჯარების მხეცური მოქმედება რევოლუციური მუშებისა და სტუდენტების წინააღმდეგ. გამოქვეყნებული იყო მოკლულთა და დაჭრილთა სიები.

გაზეთის რედაქცია ცდილობდა ხელი შეეწყო რევოლუციონერებისათვის, რომლებიც ქუჩებში იბრძოდნენ. გაზეთში დაიბეჭდა წერილი „რჩევა აჯანყებულ მუშებს“. წერილში გადმოცემული იყო ქუჩის ბრძოლის წესები. იგი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო! დაიწყო აჯანყებული მუშების ქუჩის ბრძოლა ჯართან და პოლიციასთან. ამ ბრძოლაში ბევრი თქვენი ძმა, თავისუფლებისათვის ბევრი მებრძოლი შეიძლება დაიღუპოს, თუ თქვენ არ დაიცავთ წესებს: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოსკოვის კომიტეტთან არსებული საბრძოლო ორგანიზაციის ესწრაფვის გაგაცნოთ თქვენ ეს წესები და გთხოვთ დაიცვათ იგი““[1]. წერილი შედგებოდა ათი მუხლისაგან, სადაც მოცემული იყო და-

---

[1] გაზ. „მუშა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს უწყებანი“, № 5, 1905 წ., 11 დეკემბერი.

რიგება, თუ როგორ მოქცეულიყვნენ მუშები ქუჩაში ბრძოლის დროს.

გაზეთის მეექვსე ნომერში დაბეჭდილი მდიდარი მასალა შეეხებოდა იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ეწეოდნენ მუშები მოსკოვის ქუჩებში მრავალრიცხოვან ჯართან და პოლიციასთან. გაზეთი მოუწოდებდა ჯარისკაცებს არ ესროლათ აჯანყებული მუშების წინააღმდეგ და შეერთებოდნენ მათ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების გამო მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1905 წლის 18 დეკემბერს გამოუშვა მოწოდება შეეწყვიტათ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მოწოდება თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „მოსკოვის პროლეტარიატის დეკემბრის აჯანყების კვირეული დასრულდა... გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“.

მოსკოვის პროლეტარიატის აჯანყების დამარცხების შემდეგ მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტი მთავრობამ დააპატიმრა, მუშათა დეპუტატების საბჭო დაშალა და გაზეთის გამოსვლაც შეწყდა.

მასების იდეური აღზრდისა და შეიარაღებული აჯანყების მოამზადების, ბოლშევიკურ-რევოლუციური ლოზუნგების პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პოპულარულმა გაზეთმა „რაბოჩიმ“; იგი იბეჭდებოდა 1905 წლის აგვისტოში მოსკოვში ბოლშევიკების მიერ შექმნილ არალეგალურ სტამბაში. ამ სტამბამ დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური პრესის ბეჭდვისა და განაწილების საქმეში. სტამბას განსაკუთრებულ მძიმე პირობებში უხდებოდა როგორც ლიტერატურის ბეჭდვა, ისე მისი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა. ლიტერატურით სავსე ყუთებს თავზე აყრიდნენ ხილს და ისე გზავნიდნენ დანიშნულებისამებრ.

ვ. ი. ლენინი ძალიან კმაყოფილი იყო ამ სტამბისა და გაზეთ „რაბოჩის“ საქმიანობით. „რაბოჩის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით ლენინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მისასალმებელ წერილში წერდა: „ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე ...„რაბოჩის“ პირველი ნომერი. იგი საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს. შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ რთულ ამოცანას მოუბეზრებელი პოპულარული თხრობისა, გაზეთი გადაწყვეტს. არის რაღაც ახალი თხრობის ტონსა და ხასიათში. შესანიშნავი საბრძოლო სულისკვეთება. ერთი სიტყვით, სულით და

გულით "შემიძლია მოგილოცოთ წარმატება და გისურვოთ შემდეგი წარმატებანი"[1].

ბოლშევიკების ამ არალეგალურ სტამბას თავისი მუშაობის პერიოდში არც ერთი ჩავარდნა არ ჰქონია. იგი უტყუარად ასრულებდა თავის მოვალეობას მთელი არსებობის მანძილზე და ლენინის წინადადებით დაიხურა მხოლოდ 1906 წლის ივლისში, ისე რომ მისი ადგილსამყოფელის შესახებ ვერაფერი გაიგეს მთავრობის ჯაშუშებმა და პოლიციამ. 1923 წელს საბჭოთა მთავრობამ მოახდინა სტამბის რესტავრაცია და სსრ კავშირის რევოლუციური მუზეუმის ფილიალად გადააქცია.

1906 წლის 4 (17) იანვარს გამოვიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის, სოციალ-დემოკრატი სტუდენტების ლეგალური ორგანოს — „მოლოდაია როსიას" პირველი ნომერი. „მოლოდაია როსიას" დიდი მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მის პირველ ნომერშივე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში".

ვ. ი. ლენინის ამ სტატიაში მოცემულია რუსეთის რევოლუციის თანამედროვე ვითარების თავისებურების ღრმა ანალიზი. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, წერდა ლენინი, რომ მოვლენებმა სავსებით გამოააშკარავეს 17 ოქტომბრის მანიფესტის მთელი მოჩვენებითობაო.

ახალი ვითარებიდან გამომდინარე ვ. ი. ლენინმა პარტიის წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები. იგი წერდა: „ძირს კონსტიტუციური ილუზიები! საჭიროა შეეგროვოთ ახალი, პროლეტარიატის მომხრე ძალები. საჭიროა „დავაგროვოთ გამოცდილება" რევოლუციის ორი დიადი თვისა (ნოემბერი და დეკემბერი). ხელახლა უნდა შეეგუოთ აღდგენილ თვითმპყრობელობას, უნდა მოვახერხოთ ყველგან, სადაც კი საჭიროა, ისევ ჩავძვრეთ იატაკქვეშ. საჭიროა უფრო გარკვეულად, პრაქტიკულად დავაყენოთ ახალი აქტიური გამოსვლის კოლოსალური ამოცანები, ვემზადოთ მისთვის უფრო მტკიცედ, უფრო სისტემატურად, უფრო შეუპოვრად და, რამდენადაც შესაძლებელია, დავზოგოთ საგაფიცვო ბრძოლით დაღლილი პროლეტარიატის ძალები"[2].

გაზეთ „მოლოდაია როსიას" პირველ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე მაქსიმ გორკის საინტერესო სტატია „მოსკოვის ამბების

---

[1] ლენინის კრებული V, გვ. 499.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 99

შესახებ", სადაც მხილებული იყო მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი მთელი ბოროტება და მხეცური მოქმედება.

გაზეთ „მოლოდაია როსიას" პირველი და უკანასკნელი ნომერი, რომელშიაც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში", კონფისკებულ იქნა, მისი რედაქტორი კი დააპატიმრეს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ არმიაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას, ჯარისკაცებთან და ოფიცრობასთან კავშირის დამყარების ორგანიზაციას, მათი მოსახრობის საქმეს, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოჰკიდა ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციის წინა პერიოდში. რსდმპ II ყრილობაზე ლენინმა წამოაყენა საკითხი არმიაში მუშაობის დაწყების აუცილებლობის შესახებ და მოითხოვა ყრილობას ამ საკითხზე მიეღო სათანადო რეზოლუცია; მაგრამ ყრილობის ოპორტუნისტულმა ნაწილმა უარყო ლენინის წინადადება. ამ საკითხზე პარტიის II ყრილობისათვის მომზადებულ რეზოლუციის პროექტში ლენინი წერდა: „ყრილობა ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს ჯარში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის დიდ მნიშვნელობას და ურჩევს მათ მიმართონ მთელი ძალღონე იქით, რომ რაც შეიძლება მალე განამტკიცონ და გააფორმონ ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის არსებული ყოველი კავშირურთიერთობა. ყრილობას სასურველად მიაჩნია ჯარში მოსამსახურე სოციალ-დემოკრატთა განსაკუთრებული ჯგუფების შექმნა, რათა ამ ჯგუფებს ეჭიროთ გარკვეული მდგომარეობა ადგილობრივ კომიტეტებში (როგორც კომიტეტის ორგანიზაციის შტოებს) ან ცენტრალურ ორგანიზაციაში (როგორც უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილ და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს)"[1].

ჯარისკაცებსა და ოფიცრობაში მუშაობის გაძლიერების მიზნით, რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან შეიქმნა სამხედრო ორგანიზაცია, რომელმაც გამოუშვა ჯარისკაცებისათვის სპეციალურად განკუთვნილი გაზეთები „სოლდატსკაია ჟიზნ" და „სოლდატსკაია მისლ". გაზეთი „სოლდატსკაია მისლის" პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 5 თებერვალს. „სოლდატსკაია ჟიზნის" და „სოლდატსკაია მისლის" მთავარ მიზანს შეადგენდა, როგორც ამას თვითონ რედაქცია აცხადებდა, არმიის გარევოლუციურება, ჯარის დაკავშირება პროლეტარიატთან, რათა გადამწყვეტი შეტაკების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ 6, გვ. 594 — 595.

დროს ჯარის ნაწილები გადმოსულიყვნენ რევოლუციის მხარეზე. გაზეთებში იბეჭდებოდა მრავალი წერილი და კორესპონდენცია ჯარისკაცების მძიმე, მონური მდგომარეობის, ჯარის ნაწილებში რევოლუციური მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა უდიდესი რევოლუციური მუშაობა გაშალეს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემჭიდროების, მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდისა და შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიაში გამოდიოდა გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", „ახალი დროება", „დრო", „ახალი ცხოვრება", „ჩვენი ცხოვრება", „კაიწ", „ნორ-ხოსქ", „ბაკინსკი რაბოჩი", „ბაკინსკი პროლეტარი", „გუდოკ", „რიადოვოი", „ქოჩ დევეტ", „ბანვონი-ძაინ" და სხვ.

იმ დროისათვის ამ მრავალრიცხოვანი ბოლშევიკური რევოლუციური გაზეთებიდან განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა". გაზეთი თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავდა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს და ფართო პროპაგანდას ეწეოდა მშრომელ მასებში შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობისა და თვითმპყრობელური წყობილების დამხობის აუცილებლობის შესახებ. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯერ გაზეთ „ვპერიოდთან" და შემდეგ გაზეთ „პროლეტართან". გაზეთი გამოდიოდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. 1905 წლის 14 (1) ივლისს „პროლეტარიატის ბრძოლის" რუსულ ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით ბოლშევიკების ორგანო „პროლეტარის" რედაქცია დიდი სიხარულით მიესალმა მის გამოსვლას. მისალმებაში ნათქვამი იყო: „მხურვალეთ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს" [1].

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცლებზე დაიბეჭდა გაზეთ „პროლეტარიდან" გადმობეჭდილი ვ. ი. ლენინის დიდმნიშვნელოვანი სტატიები: „მესამე ყრილობა", „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები", ვ. ი. ლენინის მიერ და-

---

[1] გაზეთი „პროლეტარი", 1905 წ., № 12.

წერილი რეზოლუციის პროექტი „კავკასიის ამბების გამო“, რომელიც დამტკიცებულ იქნა პარტიის III ყრილობის მიერ. რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატს და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრებისა და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“[1].

რუსეთის რევოლუციის მიერ წამოჭრილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ვ. ი. ლენინის მიერ გაცემული პასუხების დაცვისა და განვითარების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ი. ბ. სტალინის სტატიებს: „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ (№ 10), „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ (№ 11), „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“ (№ 11), „რეაქცია მწვავდება“ (№ 12), „ბურჟუაზია მახეს აგებს“ (№ 12) და სხვ. სტალინის ცნობილ სტატიას „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“ მაღალი შეფასება მისცა ბოლშევიკების ბელადმა ვ. ი. ლენინმა. მან გაზეთ „პროლეტარის“ № 22-ში აღნიშნა „საუცხოო დაყენება ცნობილი საკითხისა „შეგნების გარეშან შეტანის შესახებ“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ დიდი მნიშვნელობის შესახებ ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი“ თავის ფურცლებზე გადაბეჭდავდა ხოლმე „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაბეჭდილ სტატიებს და წერილებს. გაზეთ „პროლეტარის“ მეთორმეტე ნომერში „პროლეტარიატის ბრძოლიდან“ გადაბეჭდილ იქნა სტატია „მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“. „პროლეტარის“ ფურცლებზე დაიბეჭდა დაწვრილებითი ინფორმაცია რუსულ ენაზე გამოცემულ „პროლეტარიატის ბრძოლის“ პირველი ნომრის მნიშვნელობისა და მისი შინაარსის შესახებ.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილს „მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წი-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 101.

ნაშე“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. თავის წერილში — „რედაქციის ბოლოსიტყვაობა სტატიისათვის „მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“ („პროლეტარი“, № 14) — ლენინი წერდა: „კავკასიის კავშირმა თავის ორგანოში დინჯად და საფუძვლიანად გააბათილა მენშევიკების მოსაზრებები და ჩინებულად დაამტკიცა რსდმპ III ყრილობის სრული კანონიერება...“ [1].

„პროლეტარის“ მე-15 ნომერში გადაბეჭდილია აგრეთვე ნეკროლოგი „ამხ. ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას“.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაბეჭდილ სტატიებს, წერილებს, კორესპონდენციებს და ინფორმაციებს რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკების ორგანო „პროლეტარის“ რედაქცია, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ „პროლეტარში“ (№ 15) დაიბეჭდა ინფორმაცია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მოღვაწეობის შესახებ.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ მთელ რიგ სტატიებში ი. ბ. სტალინი იცავდა 1905 წლის რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას და ბრწყინვალედ ასაბუთებდა, რომ პროლეტარიატს ყველაფერი გააჩნია იმისათვის, რათა რევოლუციის ჰეგემონის როლი შეასრულოს, რომ პროლეტარიატი, რომელსაც ჰყავს თავისი ხელმძღვანელი პარტია, წარმოადგენს ერთადერთ თანმიმდევრულ რევოლუციურ კლასს, რომ მიმდინარე რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის მიუხედავად რევოლუციის სრული გამარჯვებით დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატი.

„პროლეტარიატის ბრძოლამ“ დიდი პროპაგანდა გაშალა შეიარაღებული აჯანყების იდეის აუცილებლობის დასანერგავად მშრომელ მასებში. გაზეთი განუმარტავდა რევოლუციურ მასებს შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობასა და მნიშვნელობას, ებრძოდა მენშევიკ-ოპორტუნისტებს, რომლებიც გამოდიოდნენ აჯანყების წინააღმდეგ. გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ ი. ბ. სტალინის სტატიებში — „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, „რეაქცია მწვავდება“ — მხილებული იყო მენშევიკების გამცემლური ტაქტიკა, მათ მიერ შეიარაღებული აჯანყების უარყოფის მავნე აზრი.

აუშკარავებდა რა მენშევიკების შემარიგებლურ, გამცემლურ პროპაგანდას, ი. ბ. სტალინი წერდა:

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 246.

„შავი რეაქცია სასიკვდილო იერიშით მოდის რევოლუციაზე. მას უნდა ჩვენი რაზმები არივდარიოს და სამარე გაუთხაროს ხალხის რევოლუციას, — ჩვენი ამოცანაა რაზმებად დავეწყოთ, ყველგან **ერთდროული** იერიში მივიტანოთ მეფის თვითმპყრობელობაზე და სამუდამოდ მოვსპოთ მისი სახსენებელი.

მარტოვის ხუხულა კი არა, საყოველთაო აჯანყება — აი რა გვინდა ჩვენ.

ხალხის ხსნა ხალხისავე ძლევამოსილ აჯანყებაშია.

ან სიკვდილი, ან რევოლუციის გამარჯვება — ასეთი უნდა იყოს დღეს ჩვენი რევოლუციის ლოზუნგი“ [1].

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები, კორესპონდენციები და ინფორმაციები რუსეთის სხვადასხვა მხარეებსა და ქალაქებში რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის, ცალკეული მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. გაზეთმა ფართოდ გააშუქა ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხდარი აჯანყება, ოდესაში მომხდარი მუშათა აჯანყება. 1905 წლის მაისსა და ივნისში ტაშკენტში ჯარის ბანაკში მომხდარი მღელვარების შესახებ დაწვრილებითი ცნობები გაზეთმა გამოაქვეყნა თავის მეათე ნომერში.

ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი ამბების შესახებ მდიდარი მასალა გამოაქვეყნა „პროლეტარიატის ბრძოლამ“ თავის მეთერთმეტე ნომერში. გაზეთის მოწინავე სტატია „მეფის მანიფესტი და ხალხის რევოლუცია“ ამხელდა მეფის მანიფესტის ყალბ ბუნებას და ხალხს მოუწოდებდა სიფრთხილისაკენ.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ მეთერთმეტე ნომრის დამატებაში მოთავსებულია ვრცელი ცნობა თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს მომხდარი საშინელი ტრაღედიის შესახებ, რომელიც მოაწყეს ხალხის სისხლით დამთვრალმა მეფის მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა. წერილში ნათქვამია: „ამ საზიზღარმა „ომმა“ გასტანა 40 წუთამდე. მოკლულია 60-მდე ქალი და კაცი. დაჭრილთა რიცხვი ჯერაა გამორკვეული, ამბობენ 300-მდეაო; მათში ბევრი სასიკვდილოდაა დაჭრილი“[2].

29 აგვისტოს თბილისში მოწყობილი სისხლიანი ტრაღედიის გამო თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია სათაურით „29 აგვისტოს თავდასხმა“. იმის ნაცვლად, რომ მენშევიკებს მოეწოდებინათ ხალხისათვის თვითმპყრობელური წყობილე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 169.

[2] „პროლეტარიატის ბრძოლის“ დამატება, № 11, 1905.

ბის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათი პროკლამაცია მოითხოვდა ქალაქისთავის წინააღმდეგ ბრძოლას. პროკლამაცია შემდეგი ლოზუნგით თავდებოდა: „ძირს ვერმიშევი!“ მენშევიკების ეს ლიბერალური და სასაცილო პროკლამაცია სასტიკად არის გაკრიტიკებული „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაბეჭდილ ცნობაში. იქ აღნიშნულია: „რა ღატაკი უნდა იყვეს ის „კომიტეტი“, რომელსაც დღევანდელ დროს მეტი ლოზუნგი ვეღარ უპოვნია, გარდა ძირს ვერმიშევისა!“ თბილისში პროლეტარიატის სისხლი იღვრება, ჰაერში აჯანყების სუნი ტრიალებს, ხალხი ბრაზმორეული გაჰყვირის: იარაღი, იარაღი, და „თბილისის კომიტეტი“ კი იძახის: ქალაქისთავი ვერმიშევი და მისი სტოროჟები მოიშორეთ, ისინია ჩვენი დამღუპველი, აჯანყებისათვის მზადება და თვითმპყრობელობის დამხობა — ეს მეორეხარისხოვანიაო!“[1].

გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებულია ბევრი საინტერესო მასალა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის 1905 წლის რევოლუციის დროს გაჩაღებული ბრძოლის შესახებ. ამ საკითხზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ჭიათურაში გამართული კამათის შესახებ გაზეთში დაბეჭდილია პატარა, მაგრამ საინტერესო ცნობა, სადაც ნათქვამია: „ჩვენ მივიღეთ ჭიათურიდან რეზოლუცია, სადაც 200 პერევისელი მუშა „ზიზღს უცხადებს მეუმცირესე „გრიგოლს“, რომელმაც ამხანაგ კობაზე ცრუ ხმები გაავრცელა პერევისაში კამათის გამო“[2].

ამრიგად, გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“ დიდი როლი შეასრულა 1905 წლის რევოლუციის მიერ წამოყენებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავების, მასების აღზრდისა და შემჭიდროების საქმეში, რევოლუციის შესახებ ბოლშევიკური პარტიის თეორიისა და ტაქტიკის პროპაგანდაში.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოსვლას იწყებს გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 20 ნოემბერს. გაზეთის რედაქციამ თავიდანვე დაამყარა მჭიდრო კავშირი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციასთან. „ნოვაია ჟიზნში“ დაბეჭდილი ვ. ი. ლენინის სტატიები საფუძვლად დაედო გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ მთელს მუშაობას.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, № 11, 1905.
[2] იქვე.

ლენინის სტატიის — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — უმნიშვნელოვანესი ადგილები. მოკლე შესავალში, რომელიც წარემძღვარა ლენინის სტატიას, რედაქცია წერდა: „ნოვაია ჟიზნის“ № 12-ში მოთავსებულია ამხ. ნ. ლენინის საფუძვლიანი სტატია, რომელიც მიუთითებს ცხოვრების მიერ პარტიის წინაშე წამოყენებულ ამოცანაზე — შექმნას ლეგალური პარტიული პრესა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პარტიულ ცხოვრებასთან და იმუშაევებს ორგანიზაციის კონტროლქვეშ“.

გაზეთი აშუქებდა 1905 წლის რევოლუციის მიერ წამოჭრილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ბოლშევიკურ იდეას, უხსნიდა მშრომელ მასებს შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების აუცილებლობას.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ მგზნებარე პროპაგანდა გააჩაღა ბურჟუაზიასთან ბოლშევიკების დამოკიდებულების ტაქტიკის დასაყენანად მასებამდე; იგი ამხელდა ბურჟუაზიის გამცემლურ პოლიტიკას და მის კავშირს თვითმპყრობელობასთან, არწმუნებდა მუშებს ბურჟუაზიის იზოლაციის ბოლშევიკური ტაქტიკის სისწორეში. გაზეთმა დიდი მუშაობა ჩაატარა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური მოძღვრების მასებში ახსნა-განმარტების საქმეში. გაზეთი წერდა, რომ გლეხობა მხოლოდ პროლეტარიატს უნდა უჭერდეს მხარს და მისი ხელმძღვანელობით იბრძოდეს.

გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ დიდი აგიტაცია გააჩაღა მეფის მთავრობის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ — შეცდომაში შეეყვანა მასები და სხვადასხვა დაპირებებითა და მანიფესტებით ჩაექრო რევოლუცია. მეფის მანიფესტის ბუნება სასტიკად იყო მხილებული „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ მე-2 ნომერში მოთავსებულ სტატიაში „სამი ნოემბრის მანიფესტი“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ მთავრობა მხოლოდ სიტყვით იძლევა დაპირებებს, საქმით კი სასტიკ რეპრესიებს ატარებს ხალხის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ თავის ფურცლებზე ბეჭდავდა მთელ რიგ სტატიებს, წერილებს და ცალკეულ უმნიშვნელოვანეს ამონაწერებს ლენინის შრომებიდან, რომლებშიაც ლაპარაკი იყო ხალხის შეიარაღების აუცილებლობაზე, თვითმპყრობელური წყობილების დამხობაზე, რევოლუციური მთავრობის შექმნის შესახებ, საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობაზე და სხვ. ამ საკითხებს მიეძღვნა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტო-

კის“ მე-7 ნომერში დაბეჭდილ სტატია „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“ და ამავე გაზეთის, მე-10 ნომერში გამოქვეყნებული წერილი „კიდევ ერთხელ დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“. მე-14 ნომერში გამოქვეყნებულ ი. კორას წერილში „რევოლუციური თვითმმართველობა და დროებითი რევოლუციური მთავრობა“ გაშუქებულია დროებითი რევოლუციური მთავრობის, როგორც მუშათა და გლეხთა დიქტატურის ორგანოს, ძირითადი ამოცანები და დასაბუთებულია ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის აუცილებლობა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ დიდი როლი შეასრულა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ამიერკავკასიის მშრომელთა იდეური აღზრდის, ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების, რევოლუციური მასების შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადების, ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის რუსეთის რევოლუციასთან დაკავშირების საქმეში.

შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხებს მიუძღვნა გაზეთმა მრავალი სტატია, წერილი და კორესპონდენცია. გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში“ ამ საკითხზე დაიბეჭდა „რისი ეშინია ბურჟუაზიას“ (№ 3), „არმია და ხალხი“ (№ 7), „სოციალისტური საზოგადოების მიჯნაზე“ (№ 9), „ბარიკადების შესახებ“ (№ 10), „ქუჩის ბრძოლის შესახებ“ (№№ 12 და 13), „უკან დახევა არ შეიძლება“ (№ 14) და სხვ. სტატიები, სადაც საუცხოოდ არის გაშუქებული შეიარაღებული აჯანყების ლენინური იდეა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მოწინავე სტატია „თბილისი, 1905 წლის 20 ნოემბერი“, სადაც მოცემულია მიმდინარე მომენტის ღრმა შეფასება, დასახულია პარტიისა და პროლეტარიატის მორიგი ამოცანები და მხილებულია ბურჟუაზიის გამცემლობა.

ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და მშრომელი მასების შემჭიდროებისა და რევოლუციური აღზრდის, ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან დაკავშირების და რუსეთის რევოლუციური ამბების გაშუქების საქმეში 1905 — 1907 წლებში დიდი როლი შეასრულეს გაზეთებმა: „ახალმა ცხოვრებამ“, „ახალმა დროებამ“, „მნათობმა“, „ჩვენმა ცხოვრებამ“, „დრომ“, „განთიადმა“, „ელვამ“ და სხვ. ამ გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები მუშებისა და გლეხების მძიმე ეკონომიური მდგომარეობის, მათი მომავალი ამოცანების, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებსა და ქალაქებში მუშათა და გლეხთა მღელვარების შესახებ და სხვ.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მასების შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებისა და რევოლუციური ძალების შემჭიდროების საქმეში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „ბაკუმ"; იგი სისტემატურად მოუწოდებდა მშრომელებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ. მეფის მთავრობის მოხელეები, შავრაზმელები და ხალხის ყველა ჯურის მტრები სასტიკად იყვნენ აღშფოთებული ადგილობრივი გაზეთების — „ბაკუს", „ვოზროჟდენიეს", „რაბოჩი ლისტოკის" მიერ დიდი რევოლუციური პროპაგანდის გაშლის გამო. ბაქოს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისში მყოფ თავის უფროსებს სწერდა, რომ გაზეთები „ბაკუ", „ვოზროჟდენიე" და „რაბოჩი ლისტოკი" დიდ რევოლუციურ პროპაგანდას ეწევიანო.

გარდა ბოლშევიკური გაზეთებისა, 1905 წლის რევოლუციის დროს გამოდიოდა სხვა ჟურნალ-გაზეთები. ბევრი მათგანის ფურცლებზე იბეჭდებოდა რევოლუციური და პროგრესული წერილები, რომლებიც ამხელდნენ თვითმპყრობელური წყობილების სიდამპლეს. 1905 წლის 9 სექტემბერს „რკინიგზის მოსამსახურეთა კავშირმა" გამოუშვა ფურცელი სათაურით „სოიუზ" № 2, რომელშიაც დაიბეჭდა ორი საყურადღებო წერილი. პირველ სტატიაში — „ვინაა მოსყიდული" — მხილებულია მეფის მთავრობის პროვოკაციული ცდები შეცდომაში შეეყვანა მასები. მთავრობამ ხმა გაავრცელა, თითქოს რუსეთის მთელი გაფიცვები, რომლებიც მაშინ მიმდინარეობდა, მოწყობილი იყო იაპონიის მიერ მოსყიდული სტუდენტებისა და მუშების მიერ, რომლებმაც ვითომ რუსეთი იაპონიას მიჰყიდეს 18 მილიონ მანეთად. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ეს საქმე მართლაც არ მოხდა ღალატის გარეშე, მოსყიდვისა და ქურდობის გარეშე; მაგრამ მოღალატეები და ქურდები არიან არა მუშები და სტუდენტები, არამედ მეფის ნაცვალი ალექსეევი, გენერალი კურპატკინი და სხვ.

იმავე სტატიაში მხილებულია მეფის სახელმწიფო სათათბიროს რეაქციული ბუნება, რომ ეს სათათბირო არ არის წარმომადგენლობითი ორგანო, ვინაიდან იქ არ არიან არც მუშები, არც გლეხები და არც პროგრესული ინტელიგენცია. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ თვითმპყრობელობის დამხობა შეუძლებელია განცალკევებული ბრძოლით, რომ საჭიროა ძალების გაერთიანება, ერთი მთლიანი კავშირისა და ორგანიზაციის შექმნა. ფურცელში დაბეჭდილი მეორე სტატია მიძღვნილია რკინიგზის მოსამსახურეებისა და მუშების საერთო კრების მოწვევის საკითხისადმი.

ქუთაისის პოლიციის ხაიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ

1905 წლის 12 დეკემბერს გენერალ-გუბერნატორ სტაროსელსკის ნებართვით გ. ს. ლორთქიფანიძემ ქ. ქუთაისში დაიწყო ყოველდღიური ქართული გაზეთის „სოციალ-დემოკრატიული ფურცლის“ გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხში რევოლუციური პროპაგანდა აწარმოოს არსებული ხელისუფლების დასამხობად და ახალი საზოგადოებრივი-წყობილების დასამყარებლად. ამ გაზეთის რედაქცია 1906 წლის მარტში პასუხისგებაში იქნა მიცემული.

რუსეთის პროლეტარიატისა და მშრომელი მასების რევოლუციურად აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა პროლეტარულმა პოეზიამ, რომელმაც განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან რევოლუციური მარქსიზმის უშუალო გავლენით.

მშრომელი მასები ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იჩენდნენ დიდ ინტერესს დემოკრატიული ლიტერატურისადმი. ამიტომ ბოლშევიკები ლენინის ხელმძღვანელობით სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ პროლეტარული პოეზიის შექმნას და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის გამოყენებას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ბოლშევიკები რევოლუციური პრესის წინაშე ამოცანად აყენებდნენ დიდი ადგილი დაეთმოთ სახალხო მწერალთა მხატვრული ნაწერებისათვის.

ვ. ი. ლენინი 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში დაწერილ შრომებში მიუთითებდა ისეთი მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც რეალისტურად ასახავდა ჩაგრული კლასების ცხოვრების სინამდვილეს, გამოააშკარავებდა თვითმპყრობელური წყობილების უვარგისობას.

რევოლუციური პროპაგანდის საქმეში ბოლშევიკების მიერ მხატვრული სიტყვის გამოყენების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს 1903 წელს ცნობილი რევოლუციონერისა და ლენინელის ლადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლის გამო რსდმპ ბაქოს კომიტეტის პროკლამაცია, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა შაქსიმ გორკის სიტყვები:

„О, смелый сокол! в бою с врагами истек ты кровью“.

რუსეთის რევოლუციის წინა პერიოდში რევოლუციურ ლექსებს წერდნენ: მ. გორკი, ა. ბოგდანოვი, ლ. რადინი, გ. კრჟიჟანოვსკი, ა. კოცი, ე. ტარასოვი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი და სხვ. ამ ლექსებში ნაჩვენებია რევოლუციური აღმავლობის სურათი და ასახულია პროლეტარული მოძრაობის მნიშვნელობა.

რევოლუციური პუბლიცისტიკის ძირითადი ამოცანები ნათლად განსაზღვრა ლენინმა სტატიაში „რევოლუციური დღეები“ („ეპე-

რიოდი", № 4), სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ უხდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები"[1].

მოწინავე იდეებით შეიარაღებულმა რევოლუციურმა პოეზიამ დიდი როლი შეასრულა მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლების საქმეში, მათში კულტურისა და განათლების შეტანის საქმეში. რევოლუციური პოეზია გაბედულად, მგზნებარე მხატვრული სიტყვით მოუწოდებდა მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რაზმავდა რევოლუციურ ძალებს ბრძოლისათვის, ქმნიდა სიმღერებს ქუჩის ბრძოლისათვის. რევოლუციურმა სიმღერებმა და ლექსებმა დიდი როლი ითამაშეს რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მასების რევოლუციურად აღზრდის საქმეში, თვითმპყრობელური მთავრობის ადგილობრივი მოხელეებისა და მათი მოკავშირე „შავი რაზმების" წინააღმდეგ ხალხის დარაზმვის საქმეში. რევოლუციური სიმღერების, ლექსებისა და ლოზუნგების დიდი გავლენის შედეგად 1905 წლის რევოლუციის უმაღლეს ეტაპზე „...ვეღარ გაიგონებდით ფსალმუნებისა და „Боже, царя храни"-ს გალობას, — ამის მაგიერ „მარსელიეზისა" და „ვარშავიანკას" სიმღერა გაისმოდა და ყურებს უყრუებდა დამჩაგვრელებს"[2].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან ამბავს დროულად ეხმაურებოდნენ რევოლუციური მწერლები. 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარ სისხლისმღვრელ ამბებს მთელი თავისი შემოქმედებითი ძალით გამოეხმაურნენ დემოკრატიული პოეტები. მას მიუძღვნა ა. კოცმა ლექსი „9 იანვარი", ე. ტარასოვმა — „ეს მოხდა იანვრის ბნელ ღამეს", ა. ლუნაჩარსკიმ — „9 იანვრის იუბილესათვის", უცნობმა პოეტმა — „9 იანვარი". ამ ლექსებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ მუშათა კრებებზე და მიტინგებზე. 9 იანვრის ამბების ამსახველმა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 108.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 191.

ლექსებმა ხელი შეუწყეს მეფისადმი პროლეტარიატის რწმენის შერყევას და მუშებში შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობისა და გაძარჯვების რწმენის შთაგონებას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არაჩვეულებრივად გაიზარდა მშრომელი მასების ინტერესი რევოლუციური შინაარსის მხატვრული ლიტერატურისადმი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მშრომელ მასებს არასოდეს არ გამოუჩენიათ ლიტერატურისადმი ისეთი მისწრაფება, როგორც 1905 — 1907 წლების პერიოდში. ამიტომ ბოლშევიკებმა თავის გადაუდებელ ამოცანად დაისახეს მშრომელ მასებში პროგრესულ-რეალისტური ლიტერატურის ფართოდ გავრცელება პარტიის III ყრილობის დადგენილების საფუძველზე, რომელიც ავალებდა ცენტრალურ კომიტეტს:

„...მოაწყოს ლიტერატურულ-პროპაგანდისტული ჯგუფი საერთო პროპაგანდისტული პროგრამის შესამუშავებლად და მის შესაბამისად მთელი რიგი პოპულარული ბროშურების შესადგენად პარტიული პროგრამის, ტაქტიკის, ორგანიზაციის მთავარ საკითხებზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბროშურული ლიტერატურის გამოცემას „ლესნობაში საშუშაოდ“...[1]. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1905 წლის ზაფხულში შექმნა ლიტერატორ-პროპაგანდისტთა ჯგუფი. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია ამ ჯგუფის თათბირი, რომელმაც თავის რეზოლუციაში ყოველკვირეულ პოპულარული ორგანოს შექმნის შესახებ გამოთქვა სურვილი ახალი ორგანოს ყოველ ნომერში შეტანილი ყოფილიყო „ბელეტრისტიკული ფურცლები“.

ლიტერატორ-პროპაგანდისტთა ჯგუფმა შეადგინა მუშებში პროპაგანდის ჩატარების პროგრამა, რომელიც პროპაგანდისტებს ურჩევდა ყოველ მეცადინეობაზე გამოეყენებინათ სპეციალურად შერჩეული მხატვრული ლიტერატურა. პროგრამაში ნაჩვენები იყო რომელ თემაზე რა ლიტერატურა გამოეყენებია პროპაგანდისტს. ასე მაგალითად, მეცადინეობისათვის თემაზე — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიული გარდუვალობის შესახებ — რეკომენდებული იყო ცნობილი ფრანგი მწერლის ე. ზოლას რომანი „ჟერმინალი“, ო. მირბოს პიესა „ბრიქვი მწყემსები“ და ვ. ჰაუპტმანის პიესა „ფეიერები“.

ლიტერატორ-პროპაგანდისტთა პროგრამაში რეკომენდებული იყო მრავალი მხატვრული ნაწარმოები, სადაც სასტიკად იყო მხილებული რუსეთის თვითმპყრობელობა და მისი მოკავშირე ბურჟუ-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და დადგენილებებში, ნაწ. 1, გვ. 100—101.

აზია, მხატვრულად იყო ასახული მუშების მძიმე ეკონომიური და უუფლებო მდგომარეობა. ასეთი ლიტერატურა ეხმარებოდა მუშებს იმის გაგებაში, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებობს შეურიგებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობა. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი და ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მაქსიმ გორკის რევოლუციურ ნაწარმოებებს.

მაქსიმ გორკი განსაკუთრებით დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა გამომცემლობა „ზნანიეში" მუშაობის დროს. ეს გამომცემლობა შექმნა კ. პ. პიატნიცკიმ 1898 წელს. მასში გორკი შევიდა 1900 წელს. გამომცემლობა „ზნანიე" თავის გარშემო აერთიანებდა დემოკრატიულად განწყობილ მწერლებს. იქ შესვლის შემდეგ განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა გორკი. მისი ხელმძღვანელობით გამომცემლობა ეხმარებოდა ბოლშევიკებს მშრომელ მასებში პროგრესული ლიტერატურის გავრცელებაში, მათ იდეურად აღზრდაში. გამომცემლობა „ზნანიე" დიდი რაოდენობით უშვებდა პოლიტიკურ ლიტერატურას, მარქსის, ენგელსის და ლენინის ნაშრომებს. გამომცემლობა ამავე დროს ბეჭდავდა ანტიკურ ლიტერატურას (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) და დასავლეთ ევროპის კლასიკოსების — ბაირონის, შელის, გოეთეს და თანამედროვე ავტორების — იბსენის, ზოლას, ვერჰარნის ნაწარმოებებს, ჩეხოვის, გორკის, სერაფიმოვიჩის, კუპრინის და სხვ. თხზულებებს.

თავისი რევოლუციურ-მხატვრული ნაწერებით გორკი რაზმავდა მასებს, დემოკრატიულ ძალებს არა მარტო თვითმპყრობელობისა და მისი მოკავშირე ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ ამ კლასების დამცველი მწერლებისა და მათი ლიტერატურის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყოველგვარი თვალთმაქცობის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ 1905—1907 წწ. რევოლუციური მოძრაობის გავლენით, რევოლუციური ლიტერატურისა და პრესის შემოქმედებით თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, კულტურისა და მეცნიერების აყვავებისათვის პირობების შექმნაზე თვალთმაქცური ლაპარაკი დაიწყეს ბურჟუაზიულ-რეაქციონერმა მწერლებმა. მასზე ლაპარაკი დაიწყო ისეთმა რეაქციონერმა მწერალმაც კი, როგორიც იყო ნ. ბერდიაევი. ბურჟუაზიული მწერლები ლიტერატურულ, ეგრეთ წოდებულ „ივანოვსკიე სრედის" შეკრებებზე თავიანთ ფარისევლური ფრაზებით და ლიტერატურული ლაყბობით ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ რევოლუციური მასები, ჩაეშალათ რევოლუცია, ხელი შეეწყოთ რეაქციის განმტკიცებისათვის.

ბურჟუაზიული მწერლების ამ რეაქციული ცდების წინააღმდეგ

გაილაშქრა გორკიმ. თავის მხრივ ბურჟუაზიული მწერლებიც სასტიკად ებრძოდნენ დიდ პროლეტარულ მწერალს, აკრიტიკებდნენ რევოლუციისადმი მიძღვნილ მის ყოველ ნაშრომს. გორკის უდიდესი პროლეტარული მხატვრული ნაწარმოების — „შენიშვნები მეშჩანობის შესახებ“ — წინააღმდეგ გაილაშქრეს რეაქციონერმა და ლიბერალმა ლიტერატორებმა. გორკის ამ ნაწარმოების წინააღმდეგ მერეჟკოვსკიმ 1905 წელს „პოლიარნაია ზვეზდა“ში“ დაბეჭდა სტატიები: „მეშჩანობა და რუსეთის ინტელიგენცია“ და „რუსეთის რევოლუციის ნაკადული“. გორკის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე ბერდიაევი, ბულგაკოვი და სხვ. ბერდიაევმა გორკის ნაშრომის საპასუხოდ გამოაქვეყნა სტატია „რევოლუცია და კულტურა“.

გორკის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ ოფიციალურმა რედაქტორმა დეკადენტმა პოეტმა და ფილოსოფოსმა ნ. მინსკმაც. მან დაუყოვნებლივ დაწერა სტატია, რომლის დაბეჭდვაც მოისურვა ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე, მაგრამ რედაქციის ბოლშევიკურმა ნაწილმა ნება არ მისცა მისი გაზეთში გამოქვეყნებისა. გორკის რევოლუციური შემოქმედების დასაცავად ლენინთან ერთად გამოვიდა „ნოვაია ჟიზნის“ ბოლშევიკური რედაქცია. ცნობილმა ბოლშევიკ-ლიტერატორმა ვ. ვ. ვოროვსკიმ დასწერა შესანიშნავი სტატია, რომელიც დაიბეჭდა 1906 წლის ჟურნალ „ობრაზოვანიეს“ №-4 ნომერში. გორკის შეხედულების დასაცავად გამოვიდა ბოლშევიკი პუბლიცისტი ა. ვ. ლუნაჩარსკი, რომელმაც დაწერა „მეშჩანობა და ინდივიდუალიზმი“.

მაგრამ, თუ გორკის ცნობილმა ნაწარმოებმა „შენიშვნები მეშჩანობის შესახებ“ საშინელი აღშფოთება გამოიწვია ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენაში, სამაგიეროდ დიდი კმაყოფილებით და ენთუზიაზმით შეხვდნენ მას დემოკრატიული მწერლები. დემოკრატიული ინტელიგენციის კმაყოფილება და აზრი ა. კუპრინმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: დიდი მადლობა გორკის მისი სტატიისათვის მეშჩანობის შესახებ. ასეთი რამ დაგვეხმარება უცებ გავერკვეთ მოვლენებშიო.

ბოლშევიკების განმარტების საფუძველზე, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი მახე და მეფის მთავრობის ახალი პროვოკაციაა, დემოკრატიულმა მწერლებმა მგზნებარე აგიტაცია-პროპაგანდა გაშალეს მეფის მანიფესტის ნამდვილი ხასიათის გამოსამჟღავნებლად. პოეტებმა მას მიუძღვნეს მთელი რიგი რევოლუციური ხასიათის ლექსები. ა. მიკულიჩიკის ლექსში — „არ დაუჯეროთ მტრებს“ — სასტიკად არის მხილებული 17 ოქტომბრის მანიფესტის მთელი სიყალბე

და დემაგოგია. მანიფესტის სიყალბე ამხილა ი. პრივალოვმა ლექსში „მანიფესტის გამო“.

17 ოქტომბრის მანიფესტს დიდი სიხარულით და ნდობით შეხვდნენ ლიბერალური ბურჟუაზია, ესერები და მენშევიკები. ამასთან დაკავშირებით ლენინმა რევოლუციონერ-ლიტერატორების წინაშე მაშინ დასახა ამოცანა — მოეწყოთ ლიბერალებისა და მენშევიკების სატირული დაცინვა. ლენინი მოითხოვდა ცოცხალი და მკაცრი ტონის აღებას რევოლუციის ამ მტრების ლიტერატურული დახასიათების დროს, რათა „...გაშუქდეს უხეში სიცრუე, მ ხ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს იგი ისე, რომ შეუძლებელი იყოს თავის დაძვრენა...“[1]. ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი გაგზავნილ მეორე წერილში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა მენშევიკების მთელი მოღალატური საქციელის მხილებაზე. „სამარცხვინო ბოძზე გააკარით ისინი ომის მათი უ ბ ა დ რ უ კ ი ხ ერ ხ ი ს ა თ ვ ი ს. მათგან ტ ი პ ი გ ა ა ქ ე თ ე თ. დანტეთ მათი მთლიანი პორტრეტი მათივე ნაწარმოებებიდან აღებული ციტატების მიხედვით“[2].

ლიბერალური ბურჟუაზიისა და რევოლუციის სხვა მტრების რეაქციული ხასიათი, მათი კავშირი ცარიზმთან საუცხოოდ ამხილეს ე. ტარასოვმა ლექსში — „ხელები შორს!“ და ა. ლუნაჩარსკიმ თავის ბალადაში — „ორი ლიბერალი“. ლუნაჩარსკის ამ ნაწარმოებმა ვ. ი. ლენინის მოწონება დაიმსახურა.

დემოკრატიული მწერლები 1905 წლის რევოლუციის დროს წერდნენ არა მარტო მუშათა რევოლუციური ბრძოლის შესახებ, არამედ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზედაც. მათ მთელი რიგი ნაწერები მიუძღვნეს პროლეტარიატის მოკავშირე გლეხობის რევოლუციური გამოსვლების ასახვას. უცნობი პოეტის ლექსში — „გლეხის სიმღერა“ — გადმოცემული იყო გლეხობის გაწამებული და უუფლებო ცხოვრება; აღნიშნული იყო, რომ თვითმპყრობელური მთავრობა ყოველთვის ატყუებდა გლეხებს თავისი დაპირებებით, რომ გლეხობას თავისუფლების მოპოვება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასთან ერთად შეიარაღებული აჯანყების გზით.

1905 წლის რევოლუციის დროს ჯარისკაცებს შორის დიდი საagიტაციო საქმე შეასრულეს უცნობი პოეტის ლექსებმა — „ჯარისკაცისადმი“ და „ჩვენ ძმები ვართ“, რომლებიც დაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ „ყაზარმაში“ 1906 წელს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 369.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 377.

შეიარაღებული აჯანყებისადმი მიძღვნილ ლექსებში — „მიჩუმდა დაგვიანებული ბათქი“, „ძმებს“ (ე. ტარასოვის), „ისინი ღახვრიტეს“ (დ. ცენზორის) და სხვ. — ღრმად იყო ასახული სინამდვილე. ეს ლექსები გამსჭვალული იყო მტრისადმი შეურიგებლობის, ბრძოლაში უშიშარობისა და მომავლისადმი მტკიცე რწმენით.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ რევოლუციური ლექსების კრებულების გამოცემას და მასებში ფართოდ გავრცელებას. 1905 — 1907 წლებში გამოცემულ იქნა კრებულები: „გარიჟრაჟის წინ“, „ჭექა-ქუხილში“, „ბრძოლის სიმღერები“, ე. ტარასოვის ლექსები „1903 — 1905“, ა. მიკულიჩის „მუშის ლექსები“, „რევოლუციის სიმღერები“ და სხვ.

ბოლშევიკების მიერ განხორციელებული დიდი ღონისძიების შედეგად რევოლუციური ლიტერატურა ღრმად შეიჭრა მასებში. მშრომელი მასები უდიდესი ინტერესით კითხულობდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. ბოლშევიკების ბელადი ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული იყო რევოლუციური ლიტერატურისადმი მშრომელთა ასეთი დიდი ლტოლვით. მასებში რევოლუციური ლიტერატურის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „ვაჭრები თავს ანებებდნენ შვრიით ვაჭრობას და იწყებდნენ უფრო ხელსაყრელ ვაჭრობას — დემოკრატიული იაფი ბროშურით ვაჭრობას. დემოკრატიული წიგნი საბჭოზრო პროდუქტი გახდა“[1].

1905 წლის რევოლუციის პერიოდში თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებში იდგა ცნობილი რუსი მწერალი ვ. გ. კოროლენკო. იგი იბრძოდა ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, უმღერდა სახალხო მოძრაობას; თუმცა კოროლენკომ ვერ გაიგო, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო მეფის ხრიკი ხალხის მოსატყუებლად, რევოლუციის ჩასაშლელად. მას შესაძლებლად მიაჩნდა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნა 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე.

1905 წლის რევოლუციის დროს მეფის მთავრობა ყოველნაირად აქეზებდა თავის ოფიცრებს, გენერლებს, პოლიციას სისხლში ჩაეხშოთ მასების ყველა რევოლუციური გამოსვლა. მეფის მთავრობის ასეთი მხეცური პოლიტიკა სასტიკად ამხილა მ. გორკიმ თავის სტატიაში „ნიკოლოზ შმიდტის საქმე“.

„წესიერი მოქმედება, რა სახითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი, დანაშაულად ითვლება იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც ცნობილია,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 376.

ბმართველობაზ ბისისტრები, რომლებიც ჰპარავენ გლეხებს შვრიასა და ხორბალს. სადაც მეფეს უყვარს გენერლები მკვლელებად აქციოს და მკვლელობისათვის წააქეზოს ისინი კლასიკური ცინიკური ფრაზით, რომელიც მან გადაუგდო გენერალ-ლეიტენანტ ყაზბეგს, როდესაც მან მოხსენება გაუკეთა მას ვლადივოსტოკის ჯარისკაცთა აჯანყების მშვიდობიანი დამთავრების შესახებ: „ხალხს ყოველთვის გენერალმა უნდა ესროლოს“[1].

მაქსიმ გორკიმ ლენინური შეფასება მისცა დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას. დაასახა იგი. მ. გორკი ალნიშნავდა, რომ 1905 წლის რევოლუცია ბრძოლის მეთოდებითა და ფორმებით იყო პროლეტარული. იგი წერდა: „პროლეტარიატი დამარცხებული არ არის, თუმცა ზარალი კი ნახა. რევოლუცია გამტკიცებულია ახალი იმედებით. მისი კადრები კოლოსალურად გაიზარდნენ ...რუსეთის პროლეტარიატი წინ მიიწევს გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ, რადგან ის არის ერთადერთი კლასი, რომელიც მორალურად ძლიერია, შეგნებულია და სწავს თავისი მომავალი“[2].

1906 წელს გორკი მთელი შეგნებით გამოდის და მხარს უჭერს რევოლუციას. მისმა მახვილმა კალამმა და რევოლუციურმა მოწოდებამ რუსეთის რეაქციის რისხვა დაიმსახურა. გორკის სასტიკი ლევნა დაუწყეს. მას ლაპატინრების საფრთხე მოელოდა. იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. 1906 წლის თებერვალში გორკი საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ რევოლუციასთან და ბოლშევიკებთან მას კავშირი არ გაუწყვეტია. საზღვარგარეთ გორკი განუწყვეტელ პროპაგანდასა და აგიტაციას ეწეოდა რუსეთის რევოლუციის სასარგებლოდ; იგი წერდა, რომ რუსეთის რევოლუცია არ დამარცხებულა, არამედ იკრებს ძალებს ახალი ბრძოლისათვისო.

მაქსიმ გორკიმ 1905 — 1907 წლებში დაწერილ შრომებში სწორი შეფასება მისცა რევოლუციური პროლეტარიატის წამყვან როლს და პროლეტარიატის მოკავშირე გლეხობის მნიშვნელობას. გორკი უდიდეს შემოქმედებითს პროპაგანდას ეწეოდა იმის შესახებ, რომ ცხოვრების გარდაქმნა, ახალი ცხოვრების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური გზით. გორკიმ სწორად შეაფასა აგრეთვე რუსეთის პირველი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა; მან მართებულად განჭვრიტა რუსეთის რევოლუციის უდიდესი მომავალი, რაც გადმოცემულია გორკის

---

[1] მ. გორკი, თხზ., ტ. 23, გვ. 400 — 401.

[2] იქვე, გვ. 379.

შესანიშნავ ნაწარმოებში — „დედა". გორკის სიტყვებმა — „რუსეთი იქნება დედამიწის ყველაზე ნათელი დემონსტრაცია" — ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში.

პროლეტარულ-რევოლუციური ლიტერატურის ისტორიაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა გორკის პიესა „მტრები". სადაც მას მუშები გამოყვანილი ჰყავს გამარჯვებულ მებაირაქტრეებად, და გამოთქმულია წრმენა, რომ პროლეტარიატი უეჭველად გაიმარჯვებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გორკიმ შექმნა შესანიშნავი რევოლუციური ნაწარმოებები: „საპყრობილე", „ჯარისკაცები", „ანანასგო", „პატრული", „9 იანვარი" (1905) და სხვ., რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ იმ დროს და ახლაც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენენ.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუციის მხატვრულ ლიტერატურაში ასახვით გორკიმ ბრწყინვალედ შეასრულა დიდი რევოლუციონერი მწერლის საპატიო როლი; მან მხატვრული სიტყვის ძალით უჩვენა, რომ 1905 წლის რევოლუციამ რუსეთის მუშათა კლასი დააყენა მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდში.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შედეგად რუსეთის ჩაგრულ ხალხთა შორის დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. რუსეთში მოსახლეობის 57 პროცენტი განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას. რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ სარგებლობდა „დედა ენის თავისუფლებითაც კი" (ლენინი). რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა აძლიერებდა ეროვნულ ჩაგვრას, სასტიკად ახშობდა რუსეთის ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახშობდა ეროვნული კულტურის ყოველგვარ გამოვლინებას, სკოლებში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში იდევნებოდა მშობლიური ენა.

ამიტომ 1905 წლის რევოლუციის დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათანობით ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით. რევოლუციის დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საინტერესო ფაქტები მოყვანილია ვ. ი. ლენინის მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ. ამ მოძრაობამ ფართო სასიათი მიიღო საქართველოშიც. მას დიდი სიხარულით და ინტერესით შეხვდნენ ქართველი პროგრესული ინტელიგენცია და ქართული დემოკრატიული პრესა.

1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოს ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ დემოკრატიულ პრესაში როგორც ორიგინალური, ისე რუსულიდან თარგმნილი რევოლუციური მხატ-

ვრული ნაწარმოებებისა და სიმღერების ბეჭდვას. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაქსიმ გორკის ნაწერების ქართულად თარგმნას. ქართველი მკითხველები ძალიან დიდი ინტერესით შეხვდნენ გორკის „გრიგალას სიმღერას“, რომლის თარგმანიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოგზაურის“ მე-2 ნომერში (1905). ქართულ ბოლშევიკურ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციური მხატვრული ნაწარმოებები, ფელეტონები, ლექსები და სიმღერები. გაზეთ „ახალ დროებაში“ გამოქვეყნდა შესანიშნავი ლექსები — „სურვილი“, „სახრჩობელაზეთან“, ი. ევდოშვილის „ნერონი“, „ბაზარზე“, მოთხრობა „ბოიკოტი“ პარიას ფაევდონიმით, „მუშათა ანბანი“ (თარგმანი), ირ. ევდოშვილის ფელეტონი „საახალწლო ვიზიტები“ და სხვ. „ახალი დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილი ამ ნაწარმოებების ავტორები მოითხოვდნენ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლას ისეთი ურთიერთობით, როცა მშრომელი მასები თავისუფალი იქნებოდნენ ჩაგვრისაგან, მონური მდგომარეობისაგან, როცა დამყარდებოდა თავისუფლება, ძმობა და მეგობრობა.

ლექსში „ნერონი“ (გაზეთი „ახალი დროება“, № 6) ირ. ევდოშვილი ალეგორიულად გადმოგვცემს დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის საშინელ სურათს.

„რომი იწვება, რომი ინთქება,
გახვეულია ის ცეცხლის ალში,
კვნესა, ვაება, ტირილ-გოდება,
ისმის ყოველგან დატანჯულ ხალხში!

აქ გარბის დედა ძუძუთა შვილით,
დანგრეულ ოჯახს იქ სტირის მამა,
ათი-ათასი უმანკო მსხვერპლი
შთანთქა გენიამ, შთანთქა საფლავმა!

და ნერონი კი, იმპერატორი,
ოქროს დარბაზში ზის და ქეიფობს,
ხედავს სარკმლიდან ხალხის ვაებას,
და ეს სურათი ახარებს, ატკბობს!

უბრალო მონამ გული გაუპო
ბეფეს სისხლის მსმელს, მეფეს მტარვალსა,
და მისი ლეში რომაელებმა
წილად არგუნეს ღორსა და ძაღლსა!“

1907 წლის პირველ იანვარს გამოვიდა გაზეთ „მნათობის“ პირველი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა ირ. ევდოშვილის ლექსი

„საჩუქარი“. ამ ლექსში ევდოშვილი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა მებრძოლ რევოლუციონერებს:

„მეგობრებო, ახალ წელსაც
არსადა სჩანს განთიადი,
მაშ საჩუქრად მომიძღვნია
თქვენთვის წმინდა ბარიკადი“.

ეძ ლექსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში დასარწმუნებლად, მათში რევოლუციის გამარჯვების რწმენის განსამტკიცებლად.

გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ სხვადასხვა ნომერში დაიბეჭდა მაქსიმ გორკის „მზე ჩადის და მზე ამოდის“ (№ 1, თარგმანი ირ. ევდოშვილისა); ირ. ევდოშვილის ლექსები: „გულის ტოლი“ (№ 2), „ტკბილი წარსული“ (№ 3), „სულმდაბალნო, გულით, გრძნობით“ (№ 9). უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელ ლექსს. იგი მიმართული იყო რევოლუციის იმ დროებითი თანამგზავრების წინააღმდეგ, რომლებმაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაკარგეს მისი გამარჯვების რწმენა, სულმდაბლობა გამოიჩინეს და უღალატეს რევოლუციას.

ქართული ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა ი. ევდოშვილის პოლიტიკურ-სატირული ფელეტონები, რომელშიც გარჩეული იყო შეკმნილი ვითარების მთელი რიგი აქტუალური საკითხები. გაზეთ „მნათობის“ მე-2 ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში — „ყარამანიანი“ — მკვეთრ სატირულ ფორმებში გაკრიტიკებულია ხალხის ჯალათების — ვიტესა და სტოლიპინის მთელი ხრიკები და მათი მხეცური მოქმედება რევოლუციის წინააღმდეგ. მსილებულია პირველი სახელმწიფო სათათბიროს რეაქციული ხასიათი, ამ სათათბიროს გარეკვა და მთავრობის მიერ ახალი სათათბიროს მოწვევის მიზანი.

ლექსად დაწერილ ფელეტონში „ტრაგი-კომედია“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ მე-4 ნომერში 1907 წელს, ი. ევდოშვილი სასტიკად ამხელს ვიტეს სათათბიროს მთელ პოლიტიკურ ხასიათს; ვიტე შემდეგი სიტყვებით მიმართავს სტოლიპინს:

„ვერ გაგიგიათ, კონსტიტუციით,
რომ ვატყუებდი რუსეთის ხალხსა!
სიტყვით ვაძლევდი, საქმით კი არა,
და სწორედ დღესაც ასე მწადიან“.

ირ. ევდოშვილი აკრიტიკებს და ამხელს მეფის მთავრობის მიერ მოწვეულ II სახელმწიფო სათათბიროსაც; მას მიუძღვნა სატირა „პატარა ფელეტონი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ მე-5 ნომერში (1907 წ.). გაზ. „დროს“ მე-7, მე-9 და მე-15 ნომრებში გამოქვეყნებულია „პატარა ფელეტონი“, სადაც მხილებული არიან მეფის მთავრობა და მისი პირსისხლიანი მოხელეები — ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, პურიშკევიჩი, კრუშვანი, მამა ანტონი, მამა ილიოდოუ და სხვ. ამ წერილებში გაკრიტიკებულია აგრეთვე ქართველ ფედერალისტთა გაზეთის „ისარის“ და „ზაკავკაზიეს“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, რომლებიც მეფის მიერ მოწვეულ სახელმწიფო სათათბიროს აქებდნენ და ხალხს ირწმუნებდნენ მის მნიშვნელობაში. ფელეტონში გაშუქებულია ხალხის ტანჯვა და უუფლებობა.

ყოველდღიურ ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის „დროს“ ფურცლებზე, რომელიც გამოდიოდა 1907 წლის მარტიდან 15 აპრილამდე, დაიბეჭდა ხუთი საინტერესო ლექსი, რომელთა შინაარსიც ამხნევებდა მახლებს, უნერგავდა გამარჯვების რწმენას და ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობის იდეას. გამაბნევებელი, გაბედული და გამარჯვების რწმენით აღსავსე იყო ლ. დარჩიას ლექსი „მეგობრებს“, სადაც ნათქვამი იყო:

„ქმარა ცრემლი, ქმარა კვნესა,
მეგობარნო, გასწით წინა,
მედგრად!... თორემ, დახეთ, მტერმა
გაიღიმა, გაიცინა...

ნუ გიშფოთებთ სულს წამება,
ნუ გითრთოლავთ შიშით გული,
ვინც სილაჩრით დაჰგმო ბრძოლა
ცოცხლად არის დამარხული!“

რევოლუციონერი მწერლის იროდიონ ევდოშვილის დამსახურება რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არ ამოიწურება ზემოაღნიშნული რევოლუციური პოეტური და პუბლიცისტურ-სატირული თხზულებების შექმნით. იგი მთელი შეგნებით და თავდადებით შეუერთდა 1905 — 1907 წლების რევოლუციურ მოძრაობას.

1905 წლის რევოლუციის დროს ირ. ევდოშვილი იმყოფებოდა ჯარში. იგი, როგორც თადარიგში მყოფი პროპორშჩიკი, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა ჯარში

და მსახურობდა ქ. ელიზავეტოპოლში მდგომ სამარქაფო ათასეულ-ში. როგორც პროფესორ შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ საარქი-ვო მასალებიდან ჩანს, ირ. ევდოშვილი ჯარში ყოფნის დროს ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას, როგორც მეშვებში, ისე ჯარისკა-ცებში. ამავე დროს იგი დაკავშირებული იყო სოციალ-დემოკრატი-ულ პარტიასთან. მან განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია პარ-ტიას იარაღის შეძენის საქმეში. ევდოშვილი ინგარიშს არ უწევდა იმას, რომ მას, როგორც ფიცმიცემულ ოფიცერს, დიდი ხიფათი ემუქრებოდა რევოლუციური პროპაგანდისათვის და მთელი შესაძ-ლებლობით აჩაღებდა მუშაობას. რევოლუციური მწერლისა და ოფიცრის მოქმედებას განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მთავრობის, ადგილობრივი ორგანოები; მთავრობამ ი. ევდოშვილი საშიშარ პიროვნებად მიიჩნია.

ირ. ევდოშვილის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ გამოქ-ვეყნებულ საბუთებში ნათლად ჩანს, რომ პოეტი დიდ საქმიანობას ეწეოდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირში. პარტიული ორგანიზაციების დავალებით ევდო-შვილი ქ. ელიზავეტოპოლიდან საიდუმლოდ ჩადიოდა ქ. თბილისში სათანადო დავალებების შესასრულებლად. 1905 წლის დეკემბერში ევდოშვილი ჯარიდან იქნა დათხოვილი როგორც არაკეთილსაი-ნედო.

სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ირ. ევდოშვილი თბილისში დაბრუნდა და, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიის წევრი, ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას, თანამშრო-მლობდა სხვადასხვა გაზეთებში, განსაკუთრებით ბოლშევიკურ პრესაში; იგი წერდა რევოლუციურ მგზნებარე ლექსებს. რუსული-დან ქართულად თარგმნიდა რევოლუციურ სიმღერებს, პროპაგან-დას ეწეოდა მუშებში, გამოდიოდა კრებებსა და მიტინგებზე რევო-ლუციური მოწოდებებით და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვე-ბით. 1906 — 1907 წლებში ირ. ევდოშვილის რევოლუციურ მუშაობაზე მეტყველებენ პოლიციის საიდუმლო დოკუმენტები, სა-დაც ნათქვამია:

ი. ევდოშვილი „1906 წელს იმყოფებოდა თბილისში და სო-ციალ-დემოკრატიული პარტიის მეომარ რაზმს წვრთნიდა. ემალე-ბოდა პოლიციას. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში; ამ მიზ-ნით მას გამოცვლილი ჰქონდა გარეგნობა: გაპარსული იყო და ატარებდა თეთრ სათვალეებს.

1907 წლის ცნობებით ის იყო რსდმპ ტფილისის კომიტეტის

1-ლი რაიონის წარმომადგენლად. მისგან მიღებული იყო აგენტის მიერ სადარბაზო ბარათი, რომელზედაც გამოხატული იყო ბაქოდან ჩამოსული ალექსანდრე გერასიმოვი. ეს ბარათი 1906 წლის აგვისტოდან 1907 წლის მარტის 1-მდე სალაროს ანგარიშითურთ უნდა გადასცემოდა ბესარიონ ქრისტეფორესძე დვალიძეს. 1907 წლის ივნისის 22-ს ხოსიტოვი მონაწილეობას იღებდა 1-ლ რაიონის წევრთა კრებაზე დვალიძის ბინაზე. იმოგზაურა ორგანიზაციის საქმეების გამო სამი სხვა ამხანაგებითურთ ქუთაისში ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან ერთად პარტიის შემდეგი მოქმედების საკითხების ერთად განსახილველად. ივნისის 22-ს კრებაზე წარმოთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ მეფის მოთმენა შეუძლებელია და რომ საჭიროა შეიარაღებული აჯანყება. დამსწრეთ წინადადება მისცა აერჩიათ პირები, რომელნიც შექმნიდნენ შეიარაღებული კოლექტივის ბირთვს. ეს კრება წარმოებდა დვალიძის ბინაზე. ევდოშვილი ადგენდა პროკლამაციების შავებს და დასაბეჭდად გადასცემდა ქართულ გაზეთ „ფილას“ რედაქციას“[1].

მგზნებარე რევოლუციონერი, მშრომელი მასების საყვარელი პოეტი და უშიშარი მებრძოლი ირ. ევდოშვილი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და განუწყვეტელ დევნას განიცდიდა თვითმპყრობელური მთავრობის მოხელეებისაგან. 1909 წელს ევდოშვილი ეტაპის წესით გადასახლებულ იქნა ვოლოგდის გუბერნიაში სამი წლის ვადით.

თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი, დემოკრატიული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შალვა ჩიტაძე. ის მთელი შეგნებით და თავდადებით ჩაება ცარიზმის წინააღმდეგ გაჭთავისუფლებელ ბრძოლაში. გიმნაზია, რომლის დირექტორიც იყო ჩიტაძე, 1905 წლის რევოლუციის დროს აქტიურად გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1905—1906 წლების რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში შ. ჩიტაძე მთელი თავისი შემოქმედებითი ძალით წერდა რევოლუციური შინაარსის წერილებსა და სტატიებს, სადაც ამხელდა არსებული წყობილების ბოროტებას და მოუწოდებდა მასებს ამ წყობილების დამხობისაკენ. ეს წერილები მშრომელ ხალხში ეწეოდა მეგობრობისა და ორგანიზებულობის პროპაგანდას. ხალხთა

---

[1] იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა. ისტორიული საბუთები იროდიონ ევდოშვილის შესახებ, 33. 54.

ერთიანობისა და ცარიზმის დასამხობად ბრძოლისაკენ მოწოდებას. მიუძღვნა შიო ჩიტაძემ მთელი რიგი შესანიშნავი ნაწერები: „ხალხის ხმის გადამცემი“, „მომავალი ტაქტიკა“, „გუშინდელი წარსული“, „გამოძახილი“, „სამარცხვინო ბორკილი“, „თავისუფლების ღირსნი არა ვართ?“, „ახალი წესწყობილება“, „მაქსიმ ვორკი და მისი შემოქმედება“, „სამწუხარო მოვლენა“, „ინტერესი სწავლაში“ და სხვ.

მგზნებარე პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და უშიშარი რევოლუციონერი ჩიტაძე მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა თვითმპყრობელური წყობილების საშიშარ მტრად მიიჩნიეს; 1906 წლის 4 ივლისს იგი მეფის ჯალათებმა მოკლეს მუხანათურად. მთელი ქართველი ხალხი, კერძოდ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია დიდი აღშფოთებით და მწუხარებით შეხვდნენ გამოჩენილი პედაგოგის ჩიტაძის ვერაგულ მკვლელობას. ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ (1906 წლის ივლისი) წერდა, რომ ქართველი ხალხი არ აპატიებს მეფის ჯალათებს საბალნო საქმისათვის მებრძოლ ჩიტაძის უდანაშაულო სისხლს. გაზეთი მოუწოდებდა მშრომელ მასებს შეემუშავებინათ რიგები დემოკრატიული რევოლუციის მოსახდენად, თვითმპყრობელობის დასამხობად.

1906 წლის 7 ივლისს გაზეთ „ახალი ცხოვრების“ ფურცლებზე დაიბეჭდა მრავალი სამგლოვიარო განცხადება. მიუხედავად რეაქციის მძვინვარებისა, სამხედრო წესების შემოღებისა და მთავრობის მიერ მიღებული ზომებისა, რომ ჩიტაძის დასაფლავება დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო, თბილისის მოწინავე ინტელიგენციამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ და მშრომელმა მასებმა შ. ჩიტაძეს მოუწყვეს გრანდიოზული დასაფლავება, რომელმაც მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ჩიტაძის ვერაგულად მოკვლასთან დაკავშირებით გაზეთი „ახალი ცხოვრება“ მოუწოდებდა მასებს: „ღაე ეს მსხვერპლი სამუდამოდ დარჩეს ჩვენს გულში. იგი მოგვიწოდებს ჩვენ, სისხლით ვაზღვევინოთ ჯალათებსა და მკვლელებს მოწინავე საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის მკვლელობისათვის“[1].

1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო იგივე მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლმა რევოლუციონერმა მწერალმა ჰოლა ლომთათიძემ. მისი ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია საპყრობილეში არსებული საშინელი

---

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., 7 ივლისი.

ქდგომარეობა, მშრომელებში იწვევდა სასტიკ სიძულვილს თვითმპყრობელობის მიმართ.

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით შეხვდა ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტი ა. წერეთელი. დიდმა პოეტმა რევოლუციისადმი თანაგრძნობა და თვითმპყრობელური წყობილებისადმი სიძულვილი ბრწყინვალედ გადმოგვცა ლექსებში: „გაზაფხული“, „თქვენი ჭირიმე“, „ნატვრა“, „ხანჯალი“, „რჩევა“ და სხვ. ლექსში „თქვენი ჭირიმე“ ა. წერეთელმა აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართა რევოლუციურ ახალგაზრდობას:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე.
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ აღარ ვსტირი მე,
დრო მოდის — ერთად ვიცინოთ,
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე“.

1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ მეორე ლექსში — „ნატვრა“ — აკაკი უდიდესი სიხარულით აღნიშნავდა, რომ ხალხი გამოვიდა და თავგამოდებით იბრძვის თავისუფლებისათვის, რომ ამ ბრძოლის შედეგად დაემხობა თავისუფლების საშინელი მტერი — თვითმპყრობელობა. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში აკაკი წერეთელმა ქართულ ენაზე თარგმნა ეჟენი პოტიეს „ინტერნაციონალი“, რომელიც დაიბეჭდა 1906 წლის პირველ იანვარს „პატარა გაზეთში“.

რევოლუციის გაძლიერებით აღფრთოვანებულმა ა. წერეთელმა გაბედულად მოუწოდა ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. თავის ლექსში იგი პირდაპირ ამბობს:

„ძირს მთავრობავ, უსამართლო.
ველარ ვიტანთ გასაჭირსო, —
ყოველი მხრივ გეძახიან:
ძირს მთავრობავ... აწ კი ძირსო.
კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო.
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,
გავიღვიძეთ და აწ „ძირსო“...

ხალხი იბრძვის... ხალხი ღელავს,
ვეღარ ასდებ აწ აღვირსო...
ყოველ მხრიდან გეძახიან...
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო“.

1905 წლის რევოლუციისადმი თანაგრძნობა და დიდი ინტერესი ა. წერეთელმა აშკარად გამოხატა მთელ რიგ თავის გამოსვლებსა და წერილებში. 1905 წლის სექტემბერს „ივერიაში“ ის წერდა: „ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა; იმან გაჰკვალა ცხოვრების ახალი გზა, დასდვა შრომას ფასი, მუშას მოუპოვა სამუშაო“. ა. წერეთელი დიდ იმედს ამყარებდა 1905 წლის რევოლუციის შედეგებზე, ხალხს ულოცავდა 1905 წლის რევოლუციას, და ამბობდა: „...და ვმადლობ ჩემს ბედსაც, რომ მომასწრო ამ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ვნატრობდი და მბოლოდ იდეალად ვისახავდი“.

ქართულ პროგრესულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები და კორესპონდენციები, რომლებიც სასტიკად ამხელდნენ მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ჯარის მოქმედებას, რის გამოც სასტიკ დევნას განიცდიდნენ ამ პრესის ხელმძღვანელები. მთავრობის ამ დევნის გამო გ. ლასხიშვილი წერდა: „ჩვენ არ შეგვეძლო გაჭუმებულიყავით, როცა ქვეყანა აიკლეს და ხალხი ააწიოკეს, როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი გაუგონარ ტანჯვა-ვაებაში ჩააგდეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრად და უფრო გაბედულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო მხარე“[1].

საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის დროს თავგამოდებით იცავდა გლეხობას მთავრობის ჯარებისა და შავრაზმელთა დარბევისაგან. ი. ჭავჭავაძემ ბრძოლა გამოუცხადა ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც ცდილობდა რუსეთის მსგავსად საქართველოშიც შეექმნა შავრაზმული ორგანიზაციები. „შავი რაზმის“ მოწყობის ინიციატორ თავადაზნაურთა ერთ ჯგუფს ი. ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„რად გინდათ, იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხობისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ!“.

დასავლეთ საქართველოში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გაგზავნით აღშფოთებულმა ი. ჭავჭავაძემ ქართველი ინტელი-

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 226.

გენციის მოწინავე წარმომადგენლებს წინადადებით მიმართა დელეგაცია გაეგზავნათ მეფის ნაცვალთან, რათა გაეუქმებინა განკარგულება გურიაში დამსჯელი რაზმის გაგზავნის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად დავიხოცებითო, — ამბობდა დიდი მწერალი.

1906 წელს სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე პეტერბურგში ყოფნის დროს კორესპონდენტებთან ინტერვიუში ილიამ განაცხადა: „საქართველოს აწიოკების შესახებ, რაც რუსულ გაზეთში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია... თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

1905 წლის რევოლუციას მხურვალედ დაუჭირეს მხარი აგრეთვე ქართველმა პროგრესულმა ქალებმა. თბილისის განათლებულ ქალთა ერთმა ჯგუფმა მარიამ ორბელიანის ინიციატივით საზღვარგარეთ საპროტესტო წერილი გაგზავნა ქალების სახელით; წერილი ევროპის თითქმის ყველა გაზეთებს დაუბეჭდავს. ამას ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, იმის გამო, რომ იმ დროს ინგლისის ესკადრა სადარბაზოდ უნდა წასულიყო რუსეთში, ქვედა პალატის ერთ-ერთ დეპუტატს შეკითხვა მიუცია მთავრობისათვის — უკანასკნელ დროს რუსეთიდან მეტად ამაღელვებელი ამბები მოდის: წაიკითხავდით აგრეთვე ქართველი ქალების მხურვალე პროტესტს საქართველოს აოხრების შესახებ: მიაჩნია მთავრობას შესაძლებლად ამის შემდეგ ესკადრა გაგზავნოს სადარბაზოდ რუსეთში?

ცოტა ხნის შემდეგ ამ ქალებმა მოაწყვეს დაზარალებულ ქალთა დამხმარე კომიტეტი ი. გრუზინსკაიას და მ. ორბელიანის ხელმძღვანელობით. ქალთა კომიტეტმა მაშინდელი პროგრესული გაზეთების დახმარებით დიდი თანხა შეაგროვა და დაზარალებულთ დაურიგა. დახმარების საქმე გურიაში მოაწყო აგრეთვე ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნინო ნაკაშიძემ. ამ მოღვაწეობისათვის და რევოლუციის თანაგრძნობისათვის ნ. ნაკაშიძე მთავრობამ დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა.

1905 წლის რევოლუციის დიდი სიხარულით შეხვდა სახელმოსვეჭილი ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მიეჰყრო. ვაჟას 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობის შესახებ საინტერესო საბუთები გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა თავის ნაშრომში „ვაჟა-ფშაველა“. ნაშრომში მოტანილი დოკუმენტებიდან ვეგებულობთ, რომ რაინიგზის ბატალიონის კაპიტანს სამონოვს 1907 წელს მეფის

ნაცვლის კანცელარიაში პოლკოვნიკ ბაბუშკინისათვის წარუდგენია საიდუმლო მოხსენება, რომელშიაც ვაჟა ხევსურეთის რევოლუციური მოძრაობის მეთაურად არის აღიარებული. სამონოკი წერს, რომ ხევსურეთის რაიონის რევოლუციური მოძრაობის სათავეში დგას სახალხო პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომელსაც განუსაზღვრელი გავლენა აქვს ფშაველებზე, ითვლება სახალხო ბელადად, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ეწევა აგიტაციას. სამონოკი წინადადებას იძლეოდა, რომ აუცილებელია მოეიფიქროთ ზომები მის უვნებელსაყოფად, ვინაიდან ვაჟა-ფშაველას დაპატიმრებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული შედეგები და მღელვარება მაღაროსკარელთა შორისო.

ამავე ნაშრომში მოტანილია ვაჟას ახლობელი მეგობრის მიხ. შამანაურის მოგონებიდან ერთი ადგილი: 1905 წელს რუსეთში დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით ვაჟამ აგიტაცია დაიწყო ხალხში, რომ საქართველოს გათავისუფლება ჩვენ მთიდან უნდა დავიწყოთ, ჩვენ უნდა მუჯლუგუნი ვკრათ ჯარს, რომელსაც სძინავსო. ვაჟას ინიციატივით მოწვეულ მთელი ხევსურეთის კრებაზე ფიცი დადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ამ ფიცის ტექსტი შედგენილი ყოფილა ვაჟა-ფშაველას მიერ. ვაჟას მიერ შედგენილ ქართულ „მარსელიოზას“ მღეროდა ხალხი.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არც ვაჟა-ფშაველას ჩანგი იყო ჩუმად. 1905 — 1907 წლებში დაწერილი ლექსებიდან თავისი რევოლუციური ხასიათით განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები — „ბერიკაული“, „ბაყაყთა აჯანყება“ და სხვ. ლექსში „ბერიკაული“ პოეტი გაბედულად მოუწოდებს ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ:

„ხმალს ლესავს ბერიკაული,
დაფიქრებული ძალზედა,
ჰლესავს დიდრონი სალესით,
თან ცერს გადუსვამს ფხაზედა.

ახლა ხმალს ვლესავ გორდასა,
გალესვა იმის ჯერია;
იქნება იმან მიშველოს
და მომაშოროს მტერია“.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაჟას არ ესმოდა სახალხო რევოლუციაში პროლეტარიატის ავანგარდული როლის მნიშვნელობა და ამიტომ 1905 წლის რევოლუციას ის უყურებდა, რო-

გორც მხოლოდ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საშუალებას.

1905 — 1907 წლების პერიოდში რევოლუციური ხასიათის ლექსებს წერდა ღარიბი ხელოსნის ოჯახში დაბადებული, მძიმე ცხოვრების პირობებში მყოფი იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი). ასეთი ლექსებია: „ვიდრე მიდგას პირში სული“, „ტუსაღის სიმღერა“, „ბრძოლა“, „აკაკისებური“, „მუშის სიმღერა“, „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“, „ამხანაგებს“, „დაჰბერე, ქარო“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტმა ასახა ცხოვრების სინამდვილე; იგი მშრომელ მასებს შთააგონებდა უსამართლობისა და სიდუხჭირის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

ლექსში „ტუსაღის სიმღერა“ ი. გრიშაშვილი ახასიათებდა რევოლუციონერის სახეს, იმედს გამოთქვამდა, რომ ხალხი დაამსხვრევდა სულთამხუთავ ცარიზმს, ძველ წყობილებას და მოიპოვებდა თავისუფლებას. პოეტი ასე ალაპარაკებს ბორკილებში ჩაჭედილ რევოლუციონერს:

„მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს, —
მტარვალთა ხროვავ, არ შეეშინდები,
მალე გავარღვევ საკანთა კედლებს, —
თავისუფლებას შევხვდებით ძმები“.

1907 წელს დაწერილ ლექსში — „ბრძოლა“ — რევოლუციის ავანგარდის — პროლეტარიატის ძლიერების იმედით გამხნევებული, სოციალ-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული პოეტი შთააგონებდა მუშებს საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის აუცილებლობას, არსებული წყობილების შეცვლის რწმენას, ხალხის საკეთილდღეოდ, თავისუფლებისათვის მსხვერპლის გაღების აუცილებლობას; იგი მუშებს მოუწოდებდა:

„რას დაგვაკლებს ჩვენ მტარვალი,
თუ ჯეექნება ერთი პირი,
შევასრულოთ ჩვენი ვალი,
რომ არ ვნახოთ გასაჭირი.

შევაბრუნოთ ქვეყნის ჩარხი,
წინ წავიდეთ საბრძოლველად,
ან დავიხსნათ ჩვენი ხალხი,
ანუ გავწყდეთ ბრძოლის ველად“.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში დაწერილ ლექსებში გრიშაშვილი რეალისტურად ასახავს მუშების მძიმე მატერიალურ და უუფლებო მდგომარეობას. ლექსში — „მუშის სიმღერა" — გრიშაშვილი აქებდა და ადიდებდა მუშის მარჯვენას:

„ვუყურებ თქვენსა ტანჯვასა
და მიტომ მოვსთქვამ, ვტირი მე.
არ შეეშინდეთ მტარვალსა,
მუშებო, თქვენი ჭირიმე!"

ცნობილ ლექსში — „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა" (1907) — ი. გრიშაშვილმა დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოსცა ბურჟუაზიული ურთიერთობის დროს კაპიტალისტების მიერ მუშა ქალის საშინელი ექსპლოატაცია, მისი აუტანელი პირობები. მთელი მისი ცხოვრება ტანჯვაში მიმდინარეობს, მან დაკარგა ჯანმრთელობა, ენერგია; ამ ტანჯვაში გადაიქცა გაცვეთილ მანქანად, რომელიც მალე უვარგისი და გამოუსადეგარი გახდება. ამ ქალს ცხოვრებამ არაფერი მისცა, გარდა უბედურებისა და ტანჯვისა. ასე გრძნობიერად, ღრმად და მხატვრულად დახატა პოეტმა კაპიტალისტურ გარემოში დასაღუპავად განწირული ქალის ტანჯული სახე.

„დი თქვენ... და თქვენ, სვე-მღვიძარნო,
როს იკაეებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ ამის მკეთებელი
კედება ტანჯვა-გასაჭირში".

მაგრამ ავტორი არა მარტო იმას გადმოგვცემს, თუ როგორ ეტანჯებოდა კაპიტალისტის ხელში მუშა, არამედ იმასაც, თუ როგორ ირაზმება პროლეტარიატი ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში თვითმპყრობელური რეაქციის წინააღმდეგ მშრომელი მასების დასაცავად და დასახმარებლად მთელი შეგნებითა და შესაძლებლობით გამოვიდა დიდი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და დემოკრატი იაკობ გოგებაშვილი. ამ პერიოდში დაწერილ მრავალ სტატიასა და წერილში გოგებაშვილი ამხელს მეფის მთავრობის ადგილობრივი შოხელეებისა და ჯარების გაუგონარ მხეცობას, მათ მიერ მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას და მოუწოდებს მთელ პროგრესულ ძალებს დაეხმარონ რეაქციისაგან აკლებულ მშრომელ მასებს. ამ საკითხს

მიუძღვნა გოგუბაშვილმა 1905 — 1906 წლებში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი სტატიები: „განმათავისუფლებელი საერთო ფონდი“, „უსაკვიროესი შუამდგომლობა“, „სადღეისოდ“, „პატარა შენიშვნა უდიდეს საგანზე“, „დასავლეთ საქართველოში“, „ახალი შეძენა“ და სხვ.

ცნობილია, რომ 1905 წელს გურიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად და გურიის ასაოხრებლად მთავრობის მიერ ჯარის გაგზავნამ მთელი მოწინავე საზოგადოებრიობის აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, მოწინავე ქართველებისაგან შემდგარი შეიარაღებული ცხენოსანი რაზმი ოსებ იმედაშვილის მეთაურობით მეფის მოადგილესთან მივიდა და მას შემდეგი მოთხოვნა წაუყენა: „გურიიდან დამსჯელი რაზმი გამოიყვანე, თორემ მთელი კახეთი შეიარაღებულია და თბილისს მოადგებაო“. მთავარმმართებელი იძულებული გახდა რაზმისათვის დაპირება მიეცა, რომ გურიიდან ჯარს უკან გამოიძახებდა.

მაგრამ მთავრობამ ხელი არ აიღო გურიის აოხრებასა და აწიოკებაზე. დამსჯელი ექსპედიცია ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა გურიის მშრომელ გლეხობას. ვინც ცოცხალი გადარჩა, ისიც სულს ღაფავდა შიმშილისა და უსახლკარობის გამო. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა მოუწოდეს ხალხს დახმარებოდნენ დამშეულ გურიას. ამ საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ი. გოგებაშვილი. მან გაზეთში დაბეჭდა სტატია „განმათავისუფლებელი საერთო ფონდი“, სადაც მოუწოდებდა ყველას დახმარებოდნენ გურიის გლეხობას; გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ფულს, რომელიც გროვდება გურულების დასახმარებლად, არ შეეფერება შეწირულობის სახელი, რადგან ეს ყოველი კეთილი ადამიანის წმიდა ვალის გადახდაა და არა შეწირულობაო.

ი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა დანარჩენი მშრომელი მასები ვალში არიან გურულების წინაშე, ვინაიდან გურულებმა „... პირველმა გამოიღვიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიმუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იშვიათის გამბედაობით, საარაკო ვაჟკაცობით.

ამავე დროს თავის რადიკალურ მისწრაფებათა, განსახორციელებლად მათ ამოირჩიეს მეტად სიმპათიური, სრულიად კულტურული ღონისძიება: მტკიცე ერთობა თავის შორის და გაფიცვა, ბოიკოტი. მოწინააღმდეგეთა მიმართ. კლასთა ბრძოლაში მათ არც ერთი ბარბაროსული ღონისძიება არ უხმარიათ, არც ერთი მემამულე არ მოუკლავთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მემამულე იყო, არც

ერთი შენობა არ გადაუწვიათ. მართალია, ისინი სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ ვის? სულმდაბალს ჯაშუშებს, რომელნიც მათ აბეზღებდნენ, ცილსა სწამებდნენ და ათობით და ოცობით აგზავნიდნენ საპყრობილეში. თუ ახლა ყველას გაგვითენდა დილა თავისუფლებისა და მოველით. თავისუფლების შუადღესაც, თუ ქართველის ერის მეტ-ნაკლებობით გატეხილი სახელი აღსდგა და პატივით იხსენება კავკასიასა, რუსეთსა და მთელს განათლებულს კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოებისათვის არც თავისი რაინდული სისხლი, არც თავისი ღვაწლიანი სიცოცხლე"[1].

აღნიშნულ წერილში გოგებაშვილი არა მარტო აღწერს მეფის ჯარისა და მოხელეების მხეცობას, ხალხთა ტანჯვასა და წამებას, არამედ დიდ თანაგრძნობასაც უცხადებს რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეხება რა ქართლის გლეხობის მძიმე მდგომარეობას, გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ მათ არანაკლები შავი დღე ადგათ, ვიდრე გურიის გლეხებს, რომ ქართლის „გლეხობაც მტკიცედ და ერთგულად შეუდგა განმათავისუფლებელს მოძრაობას; მაგრამ სასტიკად დაისაჯა. მრავალს სოფელში ჩაუყენეს ყაზახების ეგზეკუცია, რომელმაც სოფელს გაუჩანაგა შინაური ფრინველები, საქონელი, პური, ღვინო, ხილი და ვალიც ბევრი ააღებინა"[2].

ი. გოგებაშვილმა მთელი სისასტიკით დაგმო და ზიზღი გამოუცხადა შავი რეაქციის ხელშეწყობთ, ხალხის მოღალატეებს, რომლებიც რეაქციის მხარეზე გადავიდნენ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს და ზიანს აყენებდნენ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ასეთ ადამიანებს გოგებაშვილმა უწოდა „ხალხის მტრები, ხულიგნები, პოლიციის აგენტები, რომელთაც ისარგებლეს გლეხების უვიცობით, მოატყუეს ისინი, კლასთა ბრძოლა გაამწვავეს იმ განზრახვით, რომ ორივე მებრძოლი კლასი დაეუძლურებინათ და მონობის უღელქვეშ დაენარჩუნებინათ. სავალალოდ, ამ კლასთა ბრძოლის გამწვავებას ხელი შეუწყო თვით თავადაზნაურობამ, რომელმაც დააარსა ეგრეთ წოდებული შავი რაზმი"[3].

გოგებაშვილის სტატია „განმათავისუფლებელი საერთო ფონდი" თავდება პატრიოტული განცხადებით: „...სასარგებლოდ ამ

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", № 2944, 1905 წ. 8 ნოემბერი.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.

ფონდისა ვუდგენ რედაქციას ათს თუმანსა (100 მან.) და, გარდა ამისა, ვალად ვიღებ მომავალი ანგარიშიდან ყოველ თვე ვიხადო თვეში თითო თუმანი, რაც შეადგენს მეათედს ჩემის თვიურის სახსრისას ამ წლის განმავლობაში.

„წერა-კითხვის საზოგადოებას" ვთხოვ ამავე ფონდს შეუერთოს მთელი შემოსავალი ჩემი წიგნისა „რანი ვიყავით გუშინ"[1].

სტატიაში „უსაქმიროესი შუამდგომლობა" ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს კარს მოადგა ისეთი განსაცდელი, რომელიც განადგურებას უქადის ქვეყანასო; იგი მოითხოვდა, რომ თბილისის მოწინავე საზოგადოებას დაუყოვნებლივ აერჩია დეპუტაცია, რათა გადარჩენოდა დარბევასა და განადგურებას მთელი დასავლეთ საქართველო; ამ დეპუტაციას უნდა დაემტკიცებინა მეფის ნაცვლისათვის, რომ „...დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული მოძრაობა არის მხოლოდ შტო რუსეთის საერთო მოძრაობისა, იმერნი მხოლოდ ძმურს სოლიდარობას იჩენენ ამ შემთხვევაშიაც თავის ჩრდილოეთ მოძმეებთან" [2].

1906 წელს შავი რეაქციის მძვინვარება თანდათან ძლიერდებოდა. საქართველოში რეაქციის აღვირახსნილობა სასტიკად ამხილა ი. გოგებაშვილმა სტატიაში „პატარა შენიშვნა უდიდეს საგანზე". აღწერდა რა დასავლეთ საქართველოში მეფის ჯარების მიერ მოსახლეობის აწიოკების ბარბაროსულ ფაქტებს, ი. გოგებაშვილი წერდა:

„ის, რაც გაზეთებში იწერება იმერთა აწიოკების შესახებ, უნდა ათჯერ ამრავლოთ, ათჯერ აიღოთ, რათა საშინელ სინამდვილეს, საზარელ სიმართლეს მიუახლოვდეთ. ხალხი მთლად განადგურებულია ქონებრივად, ოთხი-ხუთი ტყავი აქვთ გამძვრალი, სხეული შეურაცხყოფილი, სული შეგინებული, და ჩავარდნილია თავზარდაცემულის მონების მდგომარეობაში..." [3].

თავის ვრცელ სტატიას „დასავლეთ საქართველოში", რომელშიც გადმოცემულია 1905 — 1906 წლებში თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს აოხრების გაუგონარი და აღმაშფოთებელი სურათი, ი. გოგებაშვილი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „სევდიანი ვიღებ კალამს ხელში. ის, რაზედაც მინდა ვწერო, სამწუხარო და ხავალალოა და არ ვიცი, რა სიტყვები მოვძებნო იმის აღსანიშნა-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", № 2944, 1905 წ. 8 ნოემბერი.
[2] იგივე, № 2975, 1906 წ. 8 იანვარი.
[3] იგივე, № 3019, 1906 წ. 5 მარტი.

ვად, გამოსახატავად, რომ სურათი ნათლად დაგვიდგეს თვალწინ. ყოველივე სიტყვა უფერული მგონია საამისოდ“ [1].

აღნიშნულ სტატიაში გოგებაშვილს აღწერილი აქვს მეფის მთავრობის დამსჯელი ჯარების მიერ საქართველოს დარბევის შემზარავი და თავზარდამცემი ფაქტები: მთელი სოფლებისა და ოჯახების გადაწვა ცოცხალი ადამიანებითურთ, დოვლათის გატაცება და მოსპობა, ასობით და ათასობით ადამიანთა უსახლკაროდ დატოვება, დაპატიმრება, სიკვდილით დასჯა, ქალების გაუპატიურება და სხვა უბედურება, რომელიც თავს დაატეხეს ქართველ ხალხს. ჩამოთვლის რა მეფის მთავრობის ჯარების მხეცური თარეშის ფაქტებს, ი. გოგებაშვილი წერს: „სულ ეხლა, თებერვალში გადამწვარნი, აკეთსა, ძიმითსა, ბახვსა, დვაბზუსა და მელექედურზე 130 მოსახლეა. ზარალი ამ სოფელში 35 ათას მანეთს შეადგენს. აქ არ შედის ნაგომარზე გადამწვართა სახლები, არც ოზურგეთში გადამწვარნი... არ შედის არც იმ პირთა სახლები, ვისაც „დანაშაულობისათვის“ დაუნგრიეს და დაუწვეს (ჩოხატაური, ხიდისთავი და ამაღლება-ასკანა). ძველი, ე. ი. ოქტომბერში გადამწვარნი 114 მოსახლე. მაშინდელი ზარალი საზოგადო დაწესებულებების გარდა (სკოლა, სოფლის კანცელარია და აბრეშუმეულობის საქსოვი ქარხანა), რომელიც არ ყოფილა ნაანგარიშევი, უდრის 75.500 მანეთს“[2].

ცნობილია, რომ საქართველოში გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობით დიდად იყო დაინტერესებული დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში და ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში გადმოგვცემენ, რომ ლევ ტოლსტოიმ საქართველოს ამბების გასაცნობად დაიბარა მიშო ყიფიანი, რომელსაც ილია ნაკაშიძემ წერილი გაატანა ლევ ტოლსტოისთან. წერილში აღწერილი იყო გურიის ამბები. გურიაში მომხდარი ამბებით აღტაცებულმა ლევ ტოლსტოიმ ილია ნაკაშიძეს გაუგზავნა გურულებისათვის წერილი. ნაკაშიძემ ეს წერილი მიტინგზე წაუკითხა გურულებს; წერილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე.

1905 წლის რევოლუციის დროს თვითმპყრობელური მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში მოწყობილი პროვოკაციებისა და საშინელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ. თავის ცნობილ წერილში „კავკასიის ამბების შესახებ“, რომელიც გამოიცა ჟენევაში 1905 წელს, გორკი

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 3035, 1906 წ. 24 მარტი.
[2] იგივე, № 3035, 1906 წ. 24 მარტი.

მოუწოდებდა ამიერკავკასიის მშრომელ მასებს ძმური კავშირი დაემყარებინათ, ორგანიზაციულად და საერთო ძალებით ებრძოლათ ხალხთა ჯალათის — თვითმპყრობელური მთავრობის დასამხობად.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს მშრომელ მასებთან დემოკრატიული ინტელიგენციის მჭიდრო კავშირისა და რევოლუციისადმი მხარდაჭერის ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორის ვ. ა. სტაროსელსკის საქმიანობა.

ვ. სტაროსელსკი იყო მშრომელი ოჯახიდან გამოსული, შვილიშვილი ცნობილი დეკაბრისტის სტაროსელსკისა. 1905 წლის რევოლუციის წინ იგი მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში აგრონომად. სტაროსელსკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელ მასებთან, ცდილობდა სწავლა-განათლება შეეტანა ახალგაზრდობაში. მას უყვარდა ხალხი და თვითონაც ხალხის სიყვარულით იყო გარემოსილი. თვითმპყრობელურმა მთავრობამ იცოდა, რომ სტაროსელსკი ხალხის საყვარელი და დიდად განათლებული კაცი იყო, მაგრამ სახალხო რევოლუციით შეშინებული მთავრობა დათანხმდა მის გუბერნატორად დანიშვნას. რევოლუციის დროს სტაროსელსკი თავის ადმინისტრაციული უფლებებით სარგებლობდა და ცდილობდა დაეცვა მშრომელი მასები შავი რეაქციის აწიოკებისაგან. ცნობილი ქართველი დემოკრატი მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა: „სტაროსელსკიც ხალხის სასარგებლოდ ხმარობდა თავის უფლებებს. იგი მუდამ დადიოდა სოფლებში, ესაუბრებოდა მცხოვრებლებს, ესენიც გულღიად ესაუბრებოდნენ და პირველად მოხდა, რომ ადმინისტრაცია და ხალხი ასე სადად, ასე დაახლოებულად და გულგახსნილად, ნდობით, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ“[1].

ხალხის სიყვარულით სტაროსელსკის ავიწყდებოდა, რომ იგი იყო თვითმპყრობელური მთავრობის მიერ დაყენებული ადმინისტრატორი, რომ რევოლუციური მოძრაობის მფარველობისათვის მას საფრთხე მოელოდა. სტაროსელსკიმ არა ერთხელ ააცდინა სისხლის ღვრა და დარბევა მშრომელებს, ბევრი რევოლუციონერი გადაარჩინა დაპატიმრებას და საკვდილით დასჯას. რევოლუციური მოძრაობის ხელის შეწყობი გენერალ-გუბერნატორი მთავრობამ დიდხანს ვერ მოითმინა და მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა, მაგრამ დემოკრატიული ძალების ხელის შეწყობით ვ. ა. სტაროსელსკიმ თავი დააღწია პატიმრობას და არალეგალურად გადავიდა ჩრდილო

[1] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, 1932, გვ. 254.

კავკასიაში, სადაც შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. სტაროსელსკის ძებნით პირადად დაინტერესებული იყო ნიკოლოზ II. გამუდმებულმა დევნამ სტაროსელსკი აიძულა წასულიყო ემიგრაციაში — პარიზში, სადაც აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში ჩაება, მიეგზავნა ლენინელებს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დარჩა ხალხის ერთგული.

სტაროსელსკის გუბერნატორობის დროს მის მიერ მშრომელი მასების გმირულ დაცვას შავი რეაქციისაგან აღფრთოვანებაში მოჰყავდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა, არამედ ევროპის მოწინავე ადამიანებიც. სტაროსელსკისთან შეხვედრისას ჟან ჟორესი ყოველთვის ჩამოუგდებდა საუბარს 1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. 1907 წლის ივნისში დეპუტატთა პალატაში ჟან ჟორესს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს სტაროსელსკისათვის: „თქვენ გმირი ხართ, მოქალაქევ!“ ამაზე სტაროსელსკის შემდეგი პასუხი მიუცია:

„არა, მე გმირი არა ვარ, მხოლოდ დიდი ხანია ვხედავდი, რომ აჯანყება უნდა დაწყებულიყო დაჩაგრულ ქვეყანაში და უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა დავმდგარიყავ დაჩაგრულთა მხარეზე“.

მძიმედ დაავადებული სტაროსელსკი სიკვდილის წინ ამბობდა: „მე კიდევ მინდოდა სიცოცხლე, მე მწამს, რომ ეს ომი (პირველი იმპერიალისტური ომი. — ვ. ო.) გამოიწვევს რევოლუციას, სოციალიზმის განვითარებას, მაგრამ ვგრძნობ, რომ ღონე აღარ მაქვს...

მინდა, რომ ჩემი შვილები აღიზარდნენ საქართველოში, რომ ისწავლონ მუშაობა, განაგრძონ ჩემი საქმე საქართველოს პროლეტარ-მცხოვრებთა კულტურულ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისა“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტია აძლიერებდა ლიტერატურულ საქმიანობას. ამ საქმეში თავდადებული და გაბედული მუშაობის მაგალითს კვლავ მოსკოვის ბოლშევიკები იძლეოდნენ. 1906 წლის სექტემბრიდან 1907 წლის აპრილამდე, ესე იგი, 8 თვის მანძილზე რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა გამოუშვა სხვადასხვა არალეგალური გამოცემები მილიონნახევარი ეგზემპლარის რაოდენობით. ამავე დროს მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტმა მოახერხა 1907 წლის 14 იანვარს ლეგალური ორკვირეული ჟურ-

---

[1] ვ. ა. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, გვ. IX.

ნალ „ისტინას“ გამოცემა. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი. 1907 წლის 14 მარტს მთავრობამ აკრძალა ჟურნალის გამოცემა. 1907 წელს მოსკოვში გამოცემულ იქნა ბოლშევიკური კრებული „II სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა“. როგორც ჟურნალ „ისტინაში“, ისე აღნიშნულ კრებულში მხილებული იყო კადეტების გამცემლური მოქმედება სახელმწიფო სათათბიროში და გაკრიტიკებული იყო სათათბიროში მენშევიკური ფრაქციის დეპუტატების ბურჟუაზიულ-შემარიგებლური გამოსვლები და მათი მთელი მოღვაწეობა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციური სიმღერების ტექსტების ცალკე ფურცლებად დაბეჭდვას და მასებში გავრცელებას. კომიტეტმა ცალკე კრებულად, 1.300 ცალად გამოსცა „რევოლუციური სიმღერები“. რსდმპ თბილისის კომიტეტმა მარტო 1905 წელს გამოსცა „მარსელიოზა“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე 2.600 ეგზემპლარის ტირაჟით.

1905 წლის რევოლუციის დროს მუშებში, გლეხებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციური სიმღერები „მარსელიოზა“ და „ვარშავიანკა“. ამ სიმღერებს მღერიდნენ მიტინგებზე, კრებებზე, დემონსტრაციებზე, რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დროს. ბოლშევიკურ გაზეთ „დროში“ დაიბეჭდა წერილი მუშა-რევოლუციონერ გ. თელიას დაკრძალვის შესახებ; წერილში აღნიშნული იყო, რომ თელიას დაკრძალვას მრავალი ხალხი დაესწრო და იგი პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. საფლავზე გაიმართა მიტინგი. ამ მიტინგის შესახებ იმავე წერილში ნათქვამი იყო: „მიტინგი დაიხურა და დაიწყო უკანასკნელი გამოთხოვება ძვირფას ამხანაგთან. მთელ საათნახევარს გაგრძელდა სიმღერა ქართულ-რუსულ მარსელიოზასი „თქვენ მსხვერპლი გახდით“, „ვარშავიანკასი“ და სხვა რევოლუციური სიმღერებისა[1]“.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, პროკლამაციები, ფურცლები, რევოლუციური სიმღერები, ლექსები და მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა რევოლუციის ხანძრის აალებად ყუმბარას. ამიტომ თვითმპყრობელურ მთავრობას ყველაზე უფრო ეშინოდა რევოლუციური პრესისა. „დიდი ხანია, რაც აღიარებულია, რომ პრესა არის უდიდესი ძალა...“, — სწერდა ბულიგინი ნიკოლოზ II-ს

[1] გაზ. „დრო“, 1907, № 15.

1905 წლის 12 აპრილის მოხსენებაში. მეფის მთავრობამ, რომელსაც შეგნებული ჰქონდა რევოლუციური პრესის დიდი საშიშროება, მთელი სისასტიკით დაუწყო დევნა ბოლშევიკურ და პროგრესულ პრესას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში რევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლას თვითმპყრობელური მთავრობა აწარმოებდა ორი მთავარი მიმართულებით: ერთი მხრივ, მთავრობა სულ უფრო და უფრო აძლიერებდა ადმინისტრაციულ და სასამართლო რეპრესიებს დემოკრატიული პრესის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მეფის მთავრობამ შექმნა რეაქციული ბეჭდვითი ორგანოები და ისინი რევოლუციურ პრესას დაუპირისპირა. ასეთი ბეჭდვითი ორგანოები იმ დროს იყო: „რუსკოე ზნამია", „სტრელა". „დვუვლავი ორიოლ", „სელსკი ვესტნიკ" და სხვ.

რევოლუციური პრესის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის მთავრობა ყოველნაირად უწყობდა ხელს რეაქციულ პრესას, აძლევდა საჭირო თანხებს, აქებდა და აქეზებდა მას. ამავე დროს ყოველნაირად ზღუდავდა და სდევნიდა რევოლუციურ პრესას. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1905 წლის 24 ნოემბერს, მთავრობამ გამოსცა პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ეგრეთწოდებული, „დროებითი წესები", რომელნიც ფაქტიურად აუქმებდა პრესის იმ თავისუფლებას, რასაც მეფე თავის 17 ოქტომბრის მანიფესტში ჰპირდებოდა ხალხს. ხალხისათვის თვალის ახვევის მიზნით „დროებით წესებში" უსირცხვილოდ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „დროებითი წესები" გამომდინარეობენ 17 ოქტომბრის მანიფესტიდან და უზრუნველყოფენ სიტყვისა და პრესის თავისუფლებას.

მოსკოვის მუშათა დეკემბრის ბმირული აჯანყების დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელობამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ. 1906 წლის 18 მარტის ბრძანებულებით შემოღებული იქნა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი კანონები. ბრძანებულებაში აღნიშნული იყო, რომ „დროებითი წესები" არასაკმაო აღმოჩნდა პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის წესების დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1906 წლის 24 მარტს გამოქვეყნდა კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ მთავრობის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ ყალბი ცნობების გავრცელებისათვის. ეს კანონი პირდაპირ იყო მიმართული რევოლუციური პრესის წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობის დაღმავლობასთან დაკავშირებით მეფის მთავრობა თანდათანობით აძლიე-

რებდა ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ შეტევას. 1906 წლის 26 აპრილს გამოქვეყნდა ახალი ბრძანებულება პერიოდულ გამომცემლობაზე ცენზურის გაძლიერების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე მთავრობის მოხელეები წვავდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, ციხეში და გადასახლებაში გზავნიდნენ მათ ავტორებს და გამომცემლებს. იმავე წლის 1 დეკემბერს მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც კრებებზე, მიტინგებზე და პრესაში რევოლუციური პროპაგანდისათვის წესდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ცენზურული რეპრესიების მასშტაბზე ნათლად ლაპარაკობს პრესის შესახებ არასრული სტატისტიკური ცხრილი 1905 წლის 17 ოქტომბრიდან 1907 წლის 1 იანვრამდე [1].

1. კონფისკაცია უყვეს წიგნებს	— 361-ჯერ
2. მარტო პეტერბურგში კონფისკაცია უყვეს პერიოდული გამოცემების ნომრებს .	— 433 „
3. ძალმომრეობით შეწყვეტილ იქნა პერიოდული გამოცემანი რუსეთში . .	— 371
4. დაპატიმრებული და დაჯარიმებული იქნენ რედაქტორები და გამომცემელნი	— 607
5. დალუქეს სტამბები	— 97

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში განსაკუთრებით სასტიკი დევნა და რეპრესიები განიცადეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა: „ნოვაია ჟიზნმა“, „ვოლნამ“, „ვპერიოდმა“, „ეხომ“, „ტერნიი ტრუდამ“, „პროსტიე რეჩიმ“, „ზრენიემ“, „ნოვი ლუჩმა“, „რაბოჩი მოლვამ“, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ და სხვ. მაგრამ ვერავითარმა რეპრესიამ ვერ შეძლო ჩაეხშო ბოლშევიკური პრესის საქმიანობა, იგი სულ უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა, სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მასებში და ეუფლებოდა მათ.

არალეგალური პრესისა და ლიტერატურის ხალხის მასებში ფართოდ გავრცელებაზე ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი თავის 1905 წლის აპრილის სპეციალურ მოხსენებაში. ბულიგინი ნიკოლოზ II სწერდა: „გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბრძოლა ამგვარ არალეგარულ ლიტერატურასთან საიდუმლო სტამბების დევნის, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ლიტერატურის ხელში ჩაგდების, და ბოლოს, ტრიალში მყოფი პროკლამაციების მოსპობის გზით — თავის მიზანს ვერ აღწევს და ეს

[1] იხ. რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. X, 1954, გვ. 104.

უკანასკნელნი სულ უფრო და უფრო ვრცელდებიან უბრალო ხალხში და ქალაქში განლაგებულ ჯარის ნაწილებში“ [1].

რევოლუციური პრესის წინააღმდეგ და მუშათა კლასის პოლიტიკური გაბრწნის მიზნით მთავრობა შეეცადა შეექმნა რეაქციული გაზეთები და ისეთი სახელწოდებით გამოეცა ისინი, რომლებიც შეცდომაში შეიყვანდნენ მუშებს. ერთ-ერთ ასეთ ბინძურ და საზიზღარ ცდას წარმოადგენდა რეაქციონერ უშაკოვის მიერ პოლიციის და შავი რეაქციის მომხრე ვაჭრების ფულით „მუშათა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის“ შექმნა. ამ შავრაზმულ-რეაქციულმა ორგანიზაციამ ამავე დროს შექმნა თავისი ორგანო დემაგოგიური სახელწოდებით — „რაბოჩაია გაზეტა“. გაზეთმა ყველაზე საზიზღარი და ცილისმწამებლური აგიტაცია გაშალა ბოლშევიკების წინააღმდეგ. „რაბოჩაია გაზეტა“ განსაკუთრებული რეპრესიების გატარებას მოითხოვდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ 1905 წ. რევოლუციაში მოსწავლე ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მონაწილეობის შესახებ სისტემატურად წერდნენ და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას მოითხოვდნენ მაშინდელი გაზეთები: „ნოვოე ვრემია“, „რუსკოე ზნამია“, „რუს“, „როდნაია ზემლია“, „რეჩ“, „ტოვარიშჩ“, „უტრო“, „სარატოვსკი ლისტოკ“, „ვიატსკაია რეჩ“, „რუსსკი სევერ“, „გოლოს მოსკვი“, „სტარაია მოსკვა“, „სლოვო“, „რუსკოე სლოვო“, „ნოვაია რუს“, „პოსლედნიე ნოვოსტი“, „ვეჩერ“, „ნოვი გოლოს“, „ნაშა გაზეტა“, „სოვრემენნოე სლოვო“, „ბირჟევაია ვედომოსტ“, „ვეჩერნი პეტერბურგ“, „სვეტ“, „სტოლიჩნაია მოსკვა“ და სხვ.

* *
*

რევოლუციურმა ბეჭდვითმა სიტყვამ უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მასების პოლიტიკურად აღზრდისა და მათი შემჭიდროების საქმეში. პრესის საშუალებით ბოლშევიკები ერთმანეთთან აკავშირებდნენ მუშებს, გლეხებსა და დემოკრატიულ ინტელიგენციას, ორგანიზაციას უკეთებდნენ მათ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, ებრძოდნენ გამცემლურ ლიბერალურ ბურჟუაზიას და შემარიგებელ პარტიებს, რაზმავდნენ მშრომელ მასებს პარტიის გარშემო, უზრუნველყოფდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიას.

---

[1] ეურ. „ზვეზდა“, № 2, 1955, გვ. 175.

თავი VI

რუსეთის პირველი გურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამოძახილი საზღვარგარეთ

რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე, მან სერიოზული გავლენა იქონია აგრეთვე პროგრესულ ინტელიგენციაზედაც. „რუსეთის პირველმა რევოლუციამ ახალი ფურცელი გადაშალა მსოფლიო ისტორიაში, დაიწყო უღრმესი პოლიტიკური ძვრებისა და რევოლუციური ქარიშხლების ეპოქა, დასაბამი მისცა ევროპაში მუშათა მოძრაობისა და აზიის ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას"[1].

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგის მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტას დიდი საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა. საერთაშორისო პროლეტარიატი და პროგრესული ინტელიგენცია გამოვიდა რუსეთის სისხლიანი მთავრობის წინააღმდეგ. გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში — ბერლინში, ჰამბურგში, მიუნხენში, დრეზდენში და სხვ. მიმდინარეობდა მრავალრიცხოვანი კრებები და მიტინგები, სადაც ღებულობდნენ რუსეთის ცარიზმის მხეცური მოქმედების სასტიკად დაგმობის რეზოლუციებს. ერთ-ერთ მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: კრება თავის სიმპათიას უცხადებს თავისუფლებისათვის მებრძოლ რუსებს. კრება მოელის, რომ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ მთელი მსოფლიოს ცივილიზებული კაცობრიობისათვის, იარაღს არ დაყრიან მანამ, სანამ ცარიზმი არ იქნება მოსპობილი. რუსეთის ცარიზმის მხეცური მოქმედება სასტიკად

---

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი, თეზისები, 1955, გვ. 4.

დაგმო გერმანიის მუშათა მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ ავგუსტ ბებელმა რაიხსტაგში წარმოთქმულ თავის სიტყვაში. რუსეთის ამბებს ღრმა რევოლუციური ანალიზი გაუკეთა ლაიპციგში 1905 წლის 12 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კარლ ლიბკნეხტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამბები, რომლებიც ამჟამად ხდება რუსეთში, „...მობრუნების პუნქტია ევროპის ხალხთა ისტორიაში... თავისუფლების განთიადი, რომელიც რუსეთში ამოდის, — ეს არის აგრეთვე პრუსიის, საქსონიის, მთელი გერმანიის თავისუფლება. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ დავდგეთ რუსეთის რევოლუციის დროშის ქვეშ. რუსეთის რევოლუცია — ეს ჩვენი საქმეა, რეაქცია — მეფისა და პრუსიის მთავრობის საქმეა. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ცნობს თავის ერთიანობას რუსეთის პროლეტარიატთან, მისი თავისუფლება — ჩვენი თავისუფლებაა“ [1].

პარიზის მუშების სინდიკატთა კავშირის მანიფესტში საუცხოოდ არის გამოხატული ფრანგი მუშების სოლიდარობა თავისუფლებისათვის მებრძოლ რუსი მუშებისადმი: „რუსეთის მუშებო! სინდიკატების კავშირი, რომელიც ღრმად აღშფოთებულია პეტერბურგის მკვლელობებით, რომელთა საშინელებანი მოგვაგონებენ 1871 წლის სისხლიანი კვირის საშინელებებს, პარიზის მუშების სახელით... გიგზავნით რევოლუციის წარმატებათა სურვილს, რევოლუციისა, რომელიც თქვენ დაიწყეთ და რომლის შეჩერებას ვერ შესძლებენ მასობრივი დახვრეტებით.. დაე სამუდამოდ მოისპოს ცარიზმი, დაიხრჩოს მის მიერ დაღვრილ სისხლში!

პარიზის, რევოლუციის ქალაქის მუშები სულით და გულით თქვენთან არიან. ისინი გეუბნებიან თქვენ: ჩვენი მხარდაჭერის იმედი გქონდეთ! ჩვენი დახმარება თქვენ უზრუნველყოფილი გაქვთ! ძირს მეფე! ძირს იმპერატორი! გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას!“[2].

რუსეთის ელჩი თავის საიდუმლო დეპეშაში რომიდან იტყობინებოდა, რომ რომში და იტალიის სხვა ქალაქებში შედგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციები პეტერბურგის მუშების ვერაგულად დახვრეტის გამო. 9 იანვრის სისხლიანი ამბების გამო საპროტესტო მოძრაობა მოედო ავსტრია-უნგრეთის ყველა დიდ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრს. ვენაში ჩატარებულ ერთ-ერთ დიდ მიტინგზე, სადაც სასტიკი აღშფოთება გამოთქვეს რუსეთის

---

[1] ახალგაზრდობა რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, 1955, გვ. 268—269.

[2] იქვე, გვ. 260.

თვითმპყრობელობის მიერ ჩადენილ მხეცობის გამო, მრავალი ათასი კაცი ერთხმად გაიძახოდა: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“.

პეტერბურგის მუშების მხეცურად დახვრეტის გამო გაჩაღებული მოძრაობა გავრცელდა ინგლისშიც. პარლამენტის წარმომადგენელთა კომიტეტმა ლივერპულში 1905 წლის იანვარში მიიღო სპეციალური რეზოლუცია, სადაც პროტესტს აცხადებდა მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი სისხლისღვრის გამო. კომიტეტმა ამავე დროს დაადგინა გაფიცულთა სასარგებლოდ დაეარსებინა დამხმარე ფონდი.

1905 წლის 13 მარტს რუსეთის დეპეშათა სააგენტო ლონდონიდან იტყობინებოდა, რომ ინგლისის მუშათა კომიტეტმა რუსეთის გაფიცულ მუშებს გამოუგზავნა 800 გირვანქა სტერლინგი.

მუშები, მშრომელი მასები და პროგრესული ინტელიგენცია თავიანთ მრავალრიცხოვან საპროტესტო კრებებზე, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ყველგან გმობდნენ რუსეთის ცარიზმის მიერ მოწყობილ სისხლისღვრას პეტერბურგში. კრებებსა და მიტინგებს ყველგან ატარებდნენ ლოზუნგით — „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“ ამ მოძრაობის დროს ყველგან — გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში და სხვ. — გმობდნენ მეფის მთავრობის მოქმედებას, თავიანთ სოლიდარობას უცხადებდნენ რუსეთის პროლეტარიატს და მოუწოდებდნენ ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანებს მხარი დაეჭირათ რუსეთის პროლეტარიატისათვის ამ ბრძოლაში.

რუსეთში მყოფი უცხოელი კორესპონდენტები უშუალოდ ადევნებდნენ თვალყურს სისხლიანი კვირის ამბების მთელ მსვლელობას, რომელსაც აღწერდნენ და უცხოეთის პრესას აწვდიდნენ, რაც საშუალებას აძლევდა მსოფლიოს დაწვრილებით სცოდნოდა რუსეთის ამბების შესახებ.

ამრიგად, 1905 წლის 9 იანვრის ამბებს, რომლებიც წარმოადგენდა რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისს, მხურვალედ დაუჭირეს მხარი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და პროგრესულმა ინტელიგენციამ. ამიტომ იანვრის ამბებმა უდიდესი როლი შეასრულა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, რაც ნაზგასმით აღნიშნა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში“. ლენინი წერდა:

„მთელი რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი მოუთმენლობით შესცქერის ახლა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. რუსეთში ცარიზმის დამხობა, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, შემობრუნების პუნქტი იქნება ყველა ქვეყნის ისტორიაში, ყველა

მუშის საქმის შემაუბუქება იქნება ყველა ერში, ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ყველა კუთხეში.“[1]

ასეც მოხდა. 1905 წლის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე; რევოლუციური მოძრაობის ზრდის ნათელ ფაქტს წარმოადგენს მუშათა საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერება მთელ რიგ ქვეყნებში. გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდა მილიონობით ადამიანი. ამ საგაფიცვო მოძრაობამ წამოაყენა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნებიც. გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა ისეთი მძლავრი საპროტესტო ხასიათი მიიღო, რომ ისინი ევროპის მთელ რიგ ქალაქებში ხშირად მთავრდებოდა მშრომელებსა და პოლიციას შორის სისხლიანი შეტაკებებით.

1905 წლის რევოლუციის გავლენით მუშათა მოძრაობამ მთელ რიგ ქვეყნებში არნახული გაქანება ჰპოვა. 1905 წელს გერმანიაში მუშათა გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 500 ათასზე მეტმა კაცმა. რუსეთის რევოლუციის გავლენით ავსტრიაში 1905 წელს 150 ათას მუშიდან 100 ათასი გაფიცული იყო, ამავე დროს ფართოდ გაიშალა სახალხო მოძრაობა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, რომელმაც მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. გაფიცულები და დემონსტრანტები გამოდიოდნენ რევოლუციური ლოზუნგებით: „გაუმარჯოს რუსეთს!“, „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“. 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გავლენით კიდევ უფრო გაძლიერდა გაფიცვები და დემონსტრაციები ავსტრიაში. 28 ნოემბერს ვენაში შედგა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 250 ათასმა კაცმა. 1905 წლის ნოემბერში ავსტრიის პროლეტარიატის რევოლუციურმა გამოსვლებმა იძულებული გახადა მთავრობა ნაჩქარევად გამოსულიყო განცხადებით საყოველთაო არჩევნების შემოღების შესახებ.

ამრიგად, ავსტრიაში მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა გაჩაღდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენით. „რუსეთის რევოლუციამ არაპირდაპირი გზით გავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზედაც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელნიც დასავლეთით მდებარეობენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც კი 1905 წლის 30 ოქტომბერს ვენაში მივიდა დეპეშა მეფის კონსტიტუციური მანიფესტის შესახებ, ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების საბოლოო გამარჯვების საქმეში“[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 103 — 104.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 331 — 332.

გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. 1905 წლის 5 ნოემბერს პრაღაში შედგა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა 200 ათასზე მეტი კაცი. დემონსტრანტების წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა ჯარი და პოლიცია. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 15 დემონსტრანტი და დაიჭრა 260 კაცი. ჩეხოსლოვაკელი კომუნისტი მწერალი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ან. ზაპოტოცკი წიგნში — „მღელვარე 1905 წელი" — წერდა, რომ დემონსტრაციის მონაწილეებმა წამოაყენეს ლოზუნგები: „დიდება რუსეთის რევოლუციას!", „სირცხვილი ყველას, ვინც საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგია!", „სირცხვილი მშრომელი ხალხის მტრებს და მცველებს!" და სხვ.

რუსეთის პირველი რევოლუციის უშუალო გამოძახილს წარმოადგენდა მუშათა მოძრაობის აღმავლობა უნგრეთში, საფრანგეთში, სადაც მარტო 1906 წელს 1322 გაფიცვა მოხდა.

თავის მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის რევოლუციამ მიაღწია არა მარტო იმას, რომ მან სამუდამოდ გამოაღვიძა ძილისაგან ევროპის ყველაზე დიდი და ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა და შექმნა რევოლუციური ხალხი, არამედ იმასაც, რომ „რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავებდა მ რ ა ვ ა ლ ი ა ს ე უ ლ ი მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას"[1].

1905 წლის რევოლუციის გავლენით აზიის ქვეყნებში გაჩაღებული გამათავისუფლებელი მოძრაობით აღშფოთებული და შეშინებული იყვნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და რუსეთის თვითმპყრობელობა. 1906 წლის მაისში რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი თეირანში თავის დეპეშაში საგარეო საქმეთა სამინისტროს სწერდა: „რუსეთის უკანასკნელმა ამბებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს სპარსეთზე... აქ შეიქმნა ძლიერი პარტია, რომელიც მოითხოვს ძირფესვიან რეფორმას..."[2].

რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით მუშათა მოძრაობამ გაძლიერება იწყო იაპონიაშიც. 1905 — 1907 წლებში იაპონიის მთელ რიგ სამრეწველო ქალაქებში მიმდინარეობდა გაფიცვები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 331.

[2] ახალგაზრდობა რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, 1955, გვ. 261.

იაპონელი ხალხის დიდ თანაგრძნობას რუსეთის რევოლუციისადმი გამოხატავდა საერთაშორისო მუშათა პრესაში გამოქვეყნებული „იაპონიის სოციალისტების წერილი რუსებს". ამ წერილში იაპონელი მუშები და მოწინავე ადამიანები გამოსთქვამდნენ ბოლშევიკებისადმი სოლიდარობას და უსურვებდნენ მათ ბედნიერებას და წარმატებებს. წერილში ნათქვამი იყო: თქვენი მტერია არა იაპონელი ხალხი, არამედ ჩვენი მილიტარიზმი და ეგრეთ წოდებული პატრიოტიზმი, ისე როგორც ჩვენს მტერს წარმოადგენს არა რუსი ხალხი, არამედ თქვენი ეგრეთ წოდებული პატრიოტიზმი.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენით გაჩაღდა ჩინეთის რევოლუცია 1911 წელს, რომელიც თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით განსხვავდებოდა აზიის სხვა რევოლუციებისაგან. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ჩინეთის რევოლუციაში გამოვლინდა „...ნამდვილად დიდი იდეოლოგია ნამდვილად დიდი ხალხია, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო ოდენ თავის საუკუნეობრივ მონობაზე, არა მარტო ოცნებობდეს თავისუფლებისა და თანასწორობაზე, არამედ კიდეევაც ებრძოდეს ჩინეთის საუკუნეობრივ მჩაგვრელებს"[1].

ჩინეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა სუნ იატ-სენის მიერ 1905 წლის აგვისტოში იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში შექმნილმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ „ტუნმინხოიმ" („საკავშირო ლიგა"), რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და მოსწავლე ახალგაზრდობას, და წარმოადგენდა რევოლუციის მომზადების ორგანოს. მან წამოაყენა „ჩინეთის რესპუბლიკის" შექმნის ლოზუნგი. ამ ლოზუნგით ლიგამ ჩინეთის მშრომელ მასებში გააჩაღა რევოლუციური პროპაგანდა და აგიტაცია. მან შეჰქმნა თავისი ორგანო გაზეთი „მინბაო" („სახალხო გაზეთი"), რომელიც გამოვიდა 1905 წლის დეკემბერში. გაზეთი სისტემატურად აშუქებდა 1905—1907 წლებში რუსეთში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებს, აცნობდა მათ ჩინელ ხალხს.

გაზეთმა „მინბაომ" რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებს მიუძღვნა მთელი რიგი სტატიები: „ლიფლანდიის დამოუკიდებლობა", „რუსეთის 1905 წლის რევოლუცია", „რუსეთის რევოლუციური პარტიების გაზეთები", „რუსეთი კონსტიტუციის შემოღების შემდეგ", „რუსეთის ჟურნალების ფურცლებზე" და სხვ. ამ სტატიებში გაზეთი აღნიშნავდა რუსეთის რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 188.

რომ მან გაასწრო ყველა ქვეყნის რევოლუციებს. გაზეთი მოითხოვდა, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება გამოეყენებინათ ჩინეთში. გაზეთ „მინბაოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ მთელ რიგ სტატიებში, წერილებსა და კორესპონდენციებში სასტიკად იყო მხილებული რუსეთის ცარიზმის მხეცობა, მისი ხრიკები. შეცდომაში შეეყვანა მშრომელი მასები სხვადასხვა ყალბი მანიფესტებით და დაპირებებით.

1905 წლის რევოლუციის გაელენით და „საკავშირო ლიგის“ დიდი პროპაგანდისტული და საagიტაციო მუშაობის შედეგად ჩინეთის მთელ რიგ პროვინციებში დაიწყო მუშების, გლეხებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური გამოსვლები, ხოლო 1911 წელს იფეთქა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ამ რევოლუციამ ვერ შეძლო ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ბოლომდე მიყვანა.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გმირული ისტორიის შესწავლის დროს სსრ კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები დიდი პატივისცემით და მადლობით იგონებენ საზღვარგარეთის ინტელიგენციის იმ მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებიც მთელი შეგნებით გამოდიოდნენ რუსეთის 1905 წლის რევოლუციის დასაცავად და დიდ მორალურ დახმარებას უწევდნენ რუსეთის რევოლუციონერებს. ამ ადამიანთა შორის იყო დიდი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი. რუსეთის რევოლუციის დაცვას და თვითმპყრობელური წყობილების მხილებას ფრანსმა მთელი რიგი ნაწერები მიუძღვნა.

ა. ფრანსი რუსეთის რევოლუციური ხალხისადმი სიმპათიით განმსჭვალული იყო ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე. რუსეთის მშრომელებმა და რუსეთის ამბებმა განსაკუთრებით მიიპყრო მისი ყურადღება 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ა. ფრანსი აქტიურად გამოდიოდა რუსეთის რევოლუციის სასარგებლოდ და მხარის დამჭერად. როგორც კი დაიწყო გაზეთმა „ლუმანიტემ“ ხელის მოწერის შეგროვება 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში დაღუპული მუშების ოჯახების სასარგებლოდ, ა. ფრანსმა პირველმა მოაწერა ხელი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გამოვიდა მრავალრიცხოვან მიტინგზე, სადაც წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა რუსეთის რევოლუციის დასაცავად. 1905 წლის 31 იანვარს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა პროტესტი მაქსიმ გორკის დაპატიმრების გამო. პროტესტს ხელს აწერდა რამდენიმე ცნობილი მოღვაწე, მათ შორის იყო ა. ფრანსიც. გორკის დაპატიმრების გამო ანატოლ ფრანსი სპეციალური განცხადებით გამოვიდა პრესაში. 1905 წ. 1 თებერვალს

ა. ფრანსი გამოვიდა მე-17 და მე-18 ოლქების სახალხო უნივერსიტეტების მიტინგზე და მხურვალედ მიესალმა რუსეთის სახალხო რევოლუციას. 3 თებერვალს მოწყობილ მიტინგზე მან ისევ წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა. თავის გამოსვლებში ანატოლ ფრანსი აქებდა და ადიდებდა რუსეთის რევოლუციას, ამხელდა თვითმპყრობელური მთავრობის მხეცურ მოქმედებას.

რუსეთის რევოლუციისადმი უფრო ორგანიზებული და ქმედითი დახმარების სურვილი სულ უფრო ძლიერდებოდა საფრანგეთის პროგრესულ ინტელიგენციაში. ამ მიზნით მოწინავე ინტელიგენციის ინიციატივით საფრანგეთში შეიქმნა „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოება", რომელმაც დიდი საქმიანობა გაშალა რუსეთის რევოლუციის დასაცავად და დასახმარებლად. ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოების" შექმნას და მის მუშაობას. ბოლშევიკების ორგანო გაზეთი „ვპერიოდი" სარედაქციო შენიშვნაში აღნიშნავდა, რომ საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ საფრანგეთის საზოგადოების „...საუკეთესო ლიტერატორები და პოლიტიკოსები"[1]. საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნენ: ა. ფრანსი, ო. მირბო, პ. პენლევე, შ. სენიობოსი, სტეინლეინი, ჟ. ჟორესი, დეჟანი, კუტანი, ალგემანი და სხვ. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანატოლ ფრანსი.

როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა შეეცადა მიეღო სესხები დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისაგან, რათა ჩაექრო რევოლუცია, მოეშუშებინა რუსეთ-იაპონიის ომით მოყენებული ჭრილობა, განემტკიცებინა 1905 წლის რევოლუციით შერყეული ტახტი. ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ გაშალეს აგიტაცია, რათა ჩაეშალათ ცარიზმის ეს ცდები. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია გამოვიდა რუსეთის თვითმპყრობელობის დასახმარებლად, ყოველგვარი ზომები მიიღო რევოლუციის ხანძრის ჩასაქრობად და რუსეთში „წესრიგის" აღსადგენად.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „რევოლუციის პირველი გამარჯვება" წერდა, რომ ევროპის ბურჟუაზია ქმნის ერთიან ფრონტს ცარიზმთან რევოლუციის წინააღმდეგ: „შეხედეთ: ევროპა უკვე ბობოქრობს. მისი ბურჟუაზია შეშფოთებულია და მზადაა მილიონები და მილიარდები გასცეს, ოღონდ შეაჩეროს ხანძარი რუსეთში. მილიტარისტული ევროპული სახელმწიფოების მმართველები ფიქრობენ სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ მეფეს"[2].

---

[1] გაზ. „ვპერიოდ", № 10, 1905 წ. 15 (2) მარტი.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 533.

მეფის მთავრობის მიერ სესხების მიღების ჩასაშლელად მთელი თავისი შემოქმედებითი ძალით გამოვიდა მაქსიმ გორკი. ამ საკითხს მიუძღვნა მან წერილები: „არ მისცეთ ფული რუსეთის მთავრობას“, „წერილი ანატოლ ფრანსს“, „წერილი რედაქციას“, „მოწოდება ფრანგ მუშებს“, „იტალიელებს“, „ღია წერილი ბატონ ა. ოლარს“ და სხვ. მიმართვაში — „არ მისცეთ ფული რუსეთის მთავრობას“ — გორკი აღნიშნავდა, რომ მეფის მთავრობისათვის სესხის მიცემა არის სამარცხვინო ბოროტმოქმედება, რომ სესხის მიცემით ევროპა ეხმარება მეფის მთავრობის ბოროტმოქმედებას, რათა მან მოსპოს რუსეთის საუკეთესო ადამიანები.

1906 წელს მაქსიმ გორკიმ წერილით მიმართა „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოებას“, რომელშიაც იგი მოუწოდებდა საფრანგეთის ხალხს ჩაეშალა ფრანგი ბანკირების მიერ მეფის მთავრობისათვის სესხების მიცემა. გორკი მოუწოდებდა ფრანგ მუშებს დამეგობრებულიყვნენ რუსეთის პროლეტარიატთან, დაემყარებინათ მასთან ძმური კავშირი, რათა გადამწყვეტი ბრძოლის დროს ერთმანეთისათვის აღმოეჩინათ დახმარება.

რუსეთის ბოლშევიკებისა და მათი მიმდევარი პროგრესული ინტელიგენციის მიერ მეფის სესხების წინააღმდეგ გაჩაღებულ აგიტაციას და პროპაგანდას შეუერთდა საფრანგეთის პროგრესული ინტელიგენციის მიერ შექმნილი „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოება“. საზოგადოებამ 1905 წლის 18 მარტს მოაწყო საპროტესტო მიტინგი მეფის მთავრობისათვის სესხის მიცემის წინააღმდეგ. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ანატოლ ფრანსმა, რომელმაც ამხილა მეფის მთავრობის მიერ რუსეთში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა და საფრანგეთის ბურჟუაზიის ცდები — დახმარება აღმოეჩინა თვითმპყრობელობისათვის. ა. ფრანსმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ბურჟუაზიას: „თქვენი ფულით ნასაზრდოებია ანგარებითი და უაზრო პოლიტიკა: თქვენი ფულითაა ნაყიდი ზარბაზნები, რომლებიც იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში მუკდენთან, კრეისერები და ჯავშნოსნები, რომლებიც ჩაძირულია ეკიპაჟებიანად კორეის სრუტეში. თქვენი ფულითაა გადახდილი პეტერბურგის მუშების, მათი ცოლებისა და ბავშვების დარბევა. ამჟამად თქვენი ფულით იხდიან ხელისუფლების მიერ მოწყობილ სომეხთა დარბევას ბაქოში, სტუდენტთა დახვრეტას ტომსკში, მეფის მთავრობის მიერ ოფიციალურად ორგანიზებულ ხოცვა-ჟლეტას სარატოვში, კურსკში, ყაზანში.

მაშ ასე, საფრანგეთის ბურჟუებო, ბედნიერო და დამშვიდებულო

მეფის კრედიტორებო, აი რას ხმარდება თქვენი ფული, აი როგორია მათი ნაყოფი!"[1].

„რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოების" მოღვაწეობით და მის მიერ რუსეთის რევოლუციისადმი მხარის დაჭერით აღფრთოვანებული მ. გორკი ანატოლ ფრანსს სწერდა: „...როდესაც რუსეთის ხალხის მეგობართა სიაში თქვენი ბრწყინვალე სახელი... მირბოს, სტეინლეინის, ...ლანგუას, სენიობოსის სახელები დაინახე,—ყველესენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც მე დიდი ხანია პატივს ვცემ,—ჩემმა გულმა გულწრფელი სიხარული განიცადა... თქვენი დამოკიდებულება რუსეთის ხალხისადმი... კვლავ აღადგენს მსოფლიოში დიად ოცნებას ხალხთა ძმობის შესახებ"[2]. იმავე წერილში გორკი სწერდა ა. ფრანსს იმის შესახებ, რომ რუსი ხალხი მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის მაგალითს:

„მე ვიცნობ რუს ხალხს და არ ვაზვიადებ მის ღირსებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე მწამს, რომ ეს ხალხი შესძლებს დედამიწის სულიერ ცხოვრებაში შეიტანოს რაღაც თავისებური და ღრმა, რაღაც ყველასათვის მნიშვნელოვანი"[3].

რსდმპ V ყრილობამ სპეციალური დადგენილება მიიღო „სესხის შესახებ", სადაც დაგმობილია დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის დახმარება მეფის მთავრობისადმი: „...დასავლეთის სახელმწიფოები, როცა მორალურ ან ფინანსურ დახმარებას უწევენ რუსეთის მთავრობას, ფაქტიურად მისი მოკავშირენი ხდებიან რუსეთის ხალხთა ჩახშობის საქმეში..."[4].

საფრანგეთის რეაქციულმა ბურჟუაზიამ მეფის მთავრობას 1905 წლის დეკემბერში მისცა 100 მილიონი მანეთი სესხი, ხოლო 1906 წელს 843 მილიონი მანეთი, რამაც მრისხანე აღშფოთება გამოიწვია ყველა პროგრესულ ადამიანში.

1906 წლის 9 იანვარს, პეტერბურგის უდანაშაულო მუშების დახვრეტის წლისთავზე, საფრანგეთის სოციალისტების ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა მრავალი კრება და მიტინგი, სადაც გმობდნენ მეფის მთავრობის მიერ ერთი წლის წინათ ჩადენილ მხეცობას და თანაგრძნობას უცხადებდნენ რუსეთის მუშებს. ამ დღეს მარტო პარიზში ჩატარდა 10-ზე მეტი მიტინგი. მიტინგზე მთავარ ორატორებად გამოდიოდნენ ჟან ჟორესი, ანატოლ

---

[1] ახალგაზრდობა რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, გვ. 267.

[2] მ. გ ო რ კ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 386 — 387.

[3] იქვე, გვ. 387.

[4] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I. გვ. 210

ფრანსი, დეკანი, კუტანი, ალგემანი და სხვ. მიტინგზე ყველგან გამოჰქონდათ ერთსულოვანი რეზოლუციები რუსი ხალხისადმი სოლიდარობისა და მხარის დაჭერის აუცილებლობის შესახებ.

1906 წლის 9 იანვარს პარიზის პრესაში გამოქვეყნდა მ. გორკის წერილი, რომლითაც მან მიმართა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ბრიუსელში. წერილში მხილებული იყო რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის რეაქციულობა, აგრეთვე 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტის პროვოკაციული მიზანი.

საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობამ. ევროპის პრესაში ფართოდ და სისტემატურად იწერებოდა წერილები და კორესპონდენციები რუსეთის სტუდენტთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობის შესახებ. ბერლინის ლიბერალური გაზეთი „ფოსის გაზეთი“ წერდა: „როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისე სამთო აკადემიასა და პოლიტექნიკუმში იმართება გიგანტური სახალხო კრებები... რომლებიც დილაადრიან იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება. წარმოთქვამენ მხურვალე, მგზნებარე სიტყვებს, ამბობენ რევოლუციურ სიმღერებს. გარდა ამისა, იქ საშინლად აგინებენ ლიბერალებს, განსაკუთრებით მათი „ორპოფობისათვის“, რომელიც შემთხვევით კი არ მოსდგამს რუსულ ლიბერალიზმს, არამედ ვითომც გაპირობებულია მარადიული კანონებითო“ [1]. ლიბერალების დამცველი ეს წერილი სასტიკად გააკრიტიკა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „მდგომარეობის გამწვავება რუსეთში“. იმავე კორესპონდენციაში „ფოსის გაზეთი“ აღნიშნავდა, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ ისეთი მძლავრი ხასიათი მიიღო, რომ მეფის მთავრობა ისევე უმწეოა სტუდენტთა ამბების წინაშე, როგორც უმწეო იყო მუშათა მღელვარების წინაშე, რომ გენერალ ტრეპოვსაც კი აღარ სწამს უკვე თავისი საქმე. „თავის მეგობრებს ის აღარ უმალავს, რომ თავს სასიკვდილოდ განწირულად თვლის და არავითარ დადებითს შედეგს არ მოელის თავის მართვა-გამგეობისაგან... ცუდად ყოფილა მეფის ტახტის საქმე, თუ პოლიციის მეთაური ასეთ დასკვნებამდე მიდის“[2].

დასავლეთ ევროპის პრესაში ბევრი წერილი და კორესპონდენცია დაიწერა 1905 — 1907 წლებში საქართველოში რევოლუციური გამოსვლების შესახებ, მეფის ჯარებისა და მოხელეების მიერ საქართველოს მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების აწიოკებისა და

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ.. ტ. 9, გვ. 500.

[2] იხ. იქვე, გვ. 507.

გადაწვის, მშრომელთა მასების აბუჩად აგდებისა და მათი ადათ-ჩვეულებების შეურაცხყოფის შესახებ.

1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში მომხდარი ამბებით, მეფის მთავრობის მიერ მხეცური რეპრესიების შედეგების შესწავლით ბევრი უცხოელი კორესპონდენტი იყო დაინტერესებული, მაგრამ მთავრობის მოხელეები ამის საშუალებას არ აძლევდნენ მათ. ინგლისიდან მოვლინებული დრაიჰორსტი თავის წერილში — „საქართველოს სოფლის ნანგრევები" —წერდა: „ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ჟურნალისტი მივიდა გურიაში და უნდოდა დაეთვალიერებინა ნანგრევები, მაგრამ ერთ გაზეთში ამაზე დასწერეს. ისიც უკან დააბრუნეს და გააძევეს საზღვარგარეთ"[1].

1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში მომხდარმა ამბებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენდა ინგლისში „საქართველოს დამხმარე კომიტეტის", შექმნა, რომელმაც საქართველოში მომხდარი ამბების გამოსარკვევად და დაზარალებულთათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად გამოგზავნა მისის დრაიჰორსტი. ამ უკანასკნელმა დაიარა საქართველოს ქალაქები და სოფლები; იყო თბილისში, ზესტაფონში, გურიაში და სხვ. დრაიჰორსტმა მის მიერ საქართველოში ნახული მთელი საშინელება, მთავრობის ჯარების მიერ ქალაქებისა და სოფლების აოხრება აღწერა თავის წერილებში და კომიტეტისადმი წარდგენილ მოხსენებაში. წერილში — „საქართველოს სოფლის ნანგრევები" — დრაიჰორსტი გადმოგვცემს მის მიერ ზესტაფონში ნახულ საშინელ ფაქტს: ჯარის ნაწილები ძარცვავდნენ სოფლებს, „...ჰკრავდნენ ნაძარცვს და აწყობდნენ თბილისში მიმავალ ვაგონებში. შემოღამდა და სახლები ცეცხლს მისცეს... ჯარისკაცებმა ჯერ მაღაზიები გაძარცვეს, მერე კერძო სახლებში შეცვივდნენ და ააწიოკეს მთელი ოჯახები... მეორე დღეს დაიწყეს გაქცეულ ხალხზე ნადირობა და ქალების გაუპატიურება. ერთი განათლებული ქალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ მოძრაობაში, განსაკუთრებით უჩვენეს სალდათებს და საწყალი ქალიც გააუპატიურეს. მე ვიკითხე — რა დაემართა შემდეგ ამ ქალებს. მე მითხრეს, რომ ზოგი ქუთაისის ჰოსპიტალში დააწვინეს, ზოგიერთნი კი ჩუმად გაჰქრნენ — მათ ვეღარ შესძლეს საზოგადოებაში თავის გამოყოფა"[2].

დრაიჰორსტი წერდა: ევროპის დემოკრატიული საზოგადოებრიობის დახმარებამ და თანაგრძნობამ მოაღწია საქართველომდე, ქარ-

---

[1] საქ. სახ. ცენტ. ისტორიული არქივი, ფ. 48, საქ. № 6857, 1905, ფ. 2.
[2] იქვე, ფ. 4 — 5.

თველი ხალხი მადლიერებით განიმსჭვალა ყველა იმათ მიმართ, ვინც ხმა აიმაღლა რბევა-აწიოკების წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა „...დიდი მადლობა დამაბარა ინგლისის პრესასთან, რადგანაც ამ უკანასკნელმა დიდი სიმპათია და ყურადღება გამოიჩინა საქართველოს საქმეთადმი“ [1].

1906 წლის დეკემბერში „საქართველოს დამხმარე კომიტეტმა“ მოიწვია კრება ლონდონში. მოსმენილ იქნა საქართველოდან დაბრუნებული დრაიჰორსტის მოხსენება, სადაც დახატული იყო საშინელი სურათი ქართველი ხალხის ტანჯვა-წამებისა. „1905 წლის 30 დეკემბრიდან 1906 წლის მარტამდე, ნათქვამი იყო მოხსენებაში, საქართველოში მეფის ჯარმა გაანადგურა ოთხი დიდი ქალაქი, 125 სოფელი და ხუთი პატარა ქალაქი, აუარებელი ხალხი უსახლკაროდ დატოვეს. მრავალი ხალხი ტყეებში გაიხიზნა, სადაც ბავშვები ცუდი ამინდის გამო დაიხოცნენ“ [2].

* * *

ამრიგად, რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა, რევოლუციამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს ჩაგრული ერების, პროლეტარიატისა და პროგრესული ადამიანების გამოღვიძებისა და გარევოლუციონერების საქმეში, მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

1905 — 1907 წწ. რევოლუცია იყო საერთო-სახალხო რევოლუცია, ე. ი. თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ აგრეთვე მოსახლეობის რევოლუციურად განწყობილი ყველა ფენა, პირველ ყოვლისა, სახალხო ინტელიგენცია. თვითმპყრობელური წყობილების უღლის ქვეშ გმინავდნენ არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ სახალხო ინტელიგენციაც მძიმე ეკონომიურ და უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ი. ბ. სტალინი წერდა, რომ ცარიზმის საშინელ რეჟიმს, მის შოლტსა და მათრახს განსაკუთრებით ვერ შერიგებოდა „...განათლებული ნაწილი ბურჟუაზიისა, ეგრეთწოდებული თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლებლე-

---

[1] საქ. სახ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 48, საქ. № 6857, ფ. 6.

[2] ი ქ ვ ე, ფ. 481, საქ. № 6857, 1905, ფურ. 11.

ბი, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგადოდ მოსწავლეები)“ [1].

რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ინტელიგენციის მონაწილეობის საკითხი განსაზღვრა ინტელიგენციასთან დამოკიდებულების ბოლშევიკურმა ტაქტიკამ. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლაში დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბოლშევიკები. ვ. ი. ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ინტელიგენცია, ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი მაინც, მიიღებს მონაწილეობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება რევოლუციისათვისო. 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებამ დაადასტურა ლენინის დებულება სახალხო რევოლუციაში ინტელიგენციის მონაწილეობის შესაძლებლობისა და მნიშვნელობის შესახებ. ამ რევოლუციის დროს ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა მართლაც დაუჭირა მხარი პროლეტარიატს, დაირაზმა მისი დროშის ქვეშ და აღიარა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-მინიმუმი. მუშათა რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით პროგრესული ინტელიგენცია პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად იბრძოდა ცარიზმის დასამხობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.

1905 — 1907 წწ. რევოლუციისადმი სახალხო ინტელიგენციის მიმხრობისა ეშინოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას. იგი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა რევოლუციისათვის ჩამოეშორებინა სახალხო ინტელიგენცია და თავის რეზერვად გადაექცია. ამ მიზნით ლიბერალურმა ბურჟუაზიამ თავისი ცენტრის საშუალებით 1905 წლის რევოლუციის დროს დაიწყო ინტელიგენციის „პროფესიულ-პოლიტიკური კავშირების“ შექმნა. ბოლშევიკებმა ფართო აგიტაცია და პროპაგანდა გააჩაღეს ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური მოქმედების წინააღმდეგ, ამხილეს ინტელიგენციის მოტყუების მათი ცდები, გააკრიტიკეს ამ პროფესიული კავშირების ბურჟუაზიულ-ლიბერალური ბუნება.

1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში ცარიზმის დასამხობად ბრძოლაში გმირულ მონაწილეობას ღებულობდა მოსწავლე ახალგაზრდობა. ბოლშევიკების მოწოდებით და ხელმძღვანელობით მოსწავლე რევოლუციურმა ახალგაზრდობამ მთელი რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები გადააქცია რევოლუციის ტრიბუნად. პროლე-

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 22.

ტარიატსა და სტუდენტებს შორის დამყარდა მტკიცე იდეური და საბრძოლო კავშირი. რევოლუციური ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არა მარტო მიტინგებში და ქუჩის დემონსტრაციებში, არამედ საბრძოლო იარაღისა და მასალის შეძენაში, შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და გატარებაში და ბევრი მათგანი გმირულადაც შეეწირა რევოლუციის საქმეს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში დემოკრატიული ძალების იდეური აღზრდისა და შემჭიდროების, პროლეტარიატის დროშას ქვეშ მათი დარაზმვის, სახალხო ინტელიგენციის პოლიტიკურად აღზრდისა და პროლეტარიატთან მისი დაკავშირების საქმეში თვალსაჩინო როლი ითამაშა დემოკრატიულმა პრესამ.

ასეთია მოკლედ 1905 — 1907 წწ. რევოლუციის პერიოდში დემოკრატიული ინტელიგენციის მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან დაახლოებისა და დაკავშირების ისტორია, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების მიერ დემოკრატიული ინტელიგენციის იდეური აღზრდისათვის, რევოლუციურ მოძრაობასთან მისი დაკავშირებისათვის ბრძოლის ისტორია, თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლის ისტორია.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი I. დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში (1901 — 1904 წწ.) 5

თავი II. დემოკრატიული ინტელიგენცია 1905 — 1907 წწ. რევოლუციის პერიოდში 60

თავი III. ინტელიგენციის პროფესიული კავშირები 1905 — 1907 წლებში 141

თავი IV. მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში 175

თავი V. დემოკრატიული პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში 244

თავი VI. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამოძახილი საზღვარგარეთ 302

რედაქტორი მ. გაფრინდაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი მ. კორძახია
მხატვარი რ. ზედელაშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი ე. ტრიპოლსკაია

გადაეცა წარმოებას 1/X-57 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 18/III-58 წ. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×92 1/16. ფიზთაბახი 10.
პირობითი თაბახი 20. სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 17,46. ტირაჟი 2000. შეკვეთის № 953.
უე 00347. ფასი 5 მან. 50 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.